114
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

12

1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე    № 12    დეკემბერი, 1977 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ლექსები . . . . . 3
ხუტა ბერულავა — თბილისის თანამგზავრი. საოქტომბრო პოემა . . . . 5
გიორგი ციციშვილი — სძლიე სიხარბესა შენსა! მოთხრობა. გაგრძელება 23
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები . . . . . 66
კარლო კალაძე — ლექსები . . . . . 68
იზა ორჯონიკიძე — ლექსები . . . . . 72
სოლომონ სამხარაული — თეთრი გედი. მოთხრობა . . . . . 76
ნუგზარ აფხაზავა — მოთხრობები . . . . . 82
სილოვან ნარიმანიძე — ლექსები . . . . . 90
ავთანდილ გალდავაძე — ფიცი. მოთხრობა . . . . . 97
დავით ასკურავა — ლექსები . . . . . 107
რამაზ კობიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი . . . . . 109

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

მირონ ხერგიანი — გზანი მშვიდობისანი . . . . . 132

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სერგი ჭილაია — ოქტომბერი და ქართული მწერლობა. დასასრული . . 146
გივი ორჯონიკიძე — აღმავლობის გზის პრობლემები . . . . . 157
დავით აბაშიძე — პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ . . . . 169

### ფაქტები, მოგონებანი

გიორგი ლეონიძე — მცირედი მოსაგონარი . . . . . 173
რევაზ ჯაფარიძე — ტრიბუნის ვეფხვი . . . . . 184

### წიგნების მიმოხილვა

თ. ჩიგოგიძე — ღვაწლმოსილი მანდილოსნები . . . . . 187
ჟურნალ „მნათობის“ 1977 წლის ნომრების შინაარსი . . . . . 189

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. რედაქტორის მოადგილის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 1/XI-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/XII-77 წ., ანაწყობის ზომა $7^{1}/_{4} \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^{1}/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 12828. ტირაჟი 13.900. შეკვ. 3250.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1977.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ირაკლი აბაშიძე**

# ლექსები

## დედულეთი

სულ ერთი წუთი
ყოველგვარ პირველს,
სულ ერთი წუთი
ყოველგვარ საწყისს —
დახეთქილ ლოყებს,
მოუცვლელ კბილებს,
ვარდისფერ დილებს პატარა კაცხის.

სულ ერთი წუთი,
სულ ერთი წუთი
ეზოში წითლად
დაფანტულ მარწყვის;
ივნისში შრიალს
ნუშის და თუთის,
ივლისში თვლემას კაკლის და ცაცხვის.

სულ ერთი წუთი
იმ პირველ საწყისს,
სულ ერთი წუთი
იმ პირველ მარცვლის —
ათასი ფუთის,
ათასი ფუთის
მომავალ დრამის,
ძლევის და მარცხის.

სულ ერთი წუთი,
სულ ერთი წუთი
ვარდისფერ დილებს პატარა კაცხის...

## ახალციხე

აქედან სადღაც, მოუსავლეთში,
აქედან სადღაც, დასაკარგავში;
ღაწვზე შემწყდარი
მშობლის ალერსი,
ვაჟკაცის წელზე უხმლო ქარქაში.

ოხვრა ხნულების,
კვნესა მოსავლის;
მხვნელის მშვიდობით,
მკელის ნახვამდის...

ადუღებული ზეცა ოსმალის,
ვარსკვლავიანი მთვარე მაჰმადის.

აქედან სადღაც,
ხვატში ლასლასი;
აქედან მტვერში
და ქარ-წვიმაში —
ათასი გზა და გეზი ათასი,
მაგრამ ერთი გზაც — პალესტინაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სხვა ანგარიში

პოეტთან სიკვდილს
სხვა პირი აქვს,
სხვა ანგარიში;
თუმც, თქმა არ უნდა,
აქ ჩვენც ვსუნთქავთ
მისი თანხლებით;
ის გვისჯის სასჯელს
ჩვენც იმ ქვეყნად
გადასახლებით —
არც ჩვენ მივყავართ
სხვა თბილისში,
სხვა რამ თავრიზში.

ის ჩვენ, პირიქით,
ზოგჯერ ყრმებსაც
გზებში დაგვხვდება,
მას, მას არ აკრთობს
ხმა ჯერ ყრმების,
ხმა ჭარმაგების —
მაგრამ არ გვისჯის
სამუდამო გადასახლებას,
მთელი ქონების ჩამორთმევით,
გაჩანაგებით.
მოდის.
თავის გზას,
თავის საქმეს
წმინდად განაგრძობს —
ჩვენს განძს არ იხვეჭს,
არც ამ განძის
შეცვლით გვაშინებს;
მთელს ჩვენს ნაოფლარს,
მთელს ჩვენს ნაღვაწს,
მთელს ჩვენს დანაზოგს
ზუსტად, უკლებლად
ის გადასცემს
ჩვენს შვილთა-შვილებს.

ღმერთთან თანხმობით,
ღმერთთან ძმობით,
ღმერთთან ალერსით,
ის სცნობს ამ კანონს,
სულით მკაცრით,
გულით ალალით,
და თუ აქ ზოგჯერ
ეს კანონი
მოკვდავს არ ესმის —
ეს მან არ იცის,
ეს სიკვდილის საქმე არ არის.

## იმ ძველ ნახევრით

როგორც იბერთა
როგორც წესი
ძველი ბურძნების,
განძს რომ საფლავში
თან ატანდა
მოყვასს წარმართი —
მეც ჩემი განძის, ნახევარი
ჩემი შეძლების
თქვენ ჩაგატანეთ,
ან უკეთ ვთქვათ —
თქვენ მე წამართვით
ბევრის გამგები
მე თქვენს შემდეგ,
ბევრის წამგები,
ბევრის გამგონე,
ბევრის მომსწრე,
ბევრის მნახველი —
ახალ ჭიდილით,
ახალ ქებით,
ახალ ძაგებით
მე ვცოცხლობ, ვცოცხლობ,
კიდევ ვცოცხლობ
იმ ძველ ნახევრით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა ბერულავა

# თბილისის თანამგზავრი

## საოქტომბრო პოემა

### კარი მეთერთმეტე

#### ავტორისაგან

სიტყვა წავართვი ვანო თელიას:
მერე მოგვითხროს, რაც სათქმელი აქვს...
ხალხო, დალოცე მეფოლადენი!
ბედმა აშოროთ ჯავრი მაცდური!
ყველა მათგანში მეფობს ნათელი
რაინდული და ჯარისკაცური.

ფოლადის ენას ვინც შეითვისებს,
ისე ბრიალებს, ისე გიზგიზებს
მის გულში ცეცხლის და სიბრძნის მადლი,
რომ შიგ სიავე ვერ იბინადრებს.
ო, რომ იცოდნენ ფოლადის ყადრი,
მარტენთან დგომას ბევრი ინატრებს!

ყველაზე უფრო რაც ძვირფასია:
ფოლადი აწრთობს კაცის ხასიათს,
აწრთობს,
აწაგრებს,
ანთებს,
ანაზებს
მისი დუღილი თავაწყვეტილი.
არ მეგულება ამ ქვეყანაზე
მეფოლადეზე უფრო კეთილი!

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამის გამო, და ამის გამო,
ყველა მათგანის დიდებას ვლამობ,
ვინც რუსთავისთვის გაიღო ღალა
და გაიმეტა სულის ნაწილი,
ვინც უსახსოვრა ფოლადის ქალაქს
ქუჩა კი არა, თუგინდ გზაწვრილი;

პირველი ბარი ვინც დაჰკრა მინდორს,
სიცხისაგან რომ ბოლავდა იმ დროს,
ვინაც დაიწყო, ვინაც განაგრძო,
ვინც გააცოცხლა ნაქალაქარი —
გრძნეული სიტყვით ხალხი აღაგზნო
და რუსთავისკენ დაძრა ლაშქარი;

პირველი ღამე ვინც გაათია
და პირველ ნადნობს ჰყავდა ნათლიად,
ვინც ათას ცხრაას ორმოცდაათის
ოცდაშვიდ აპრილს ვერ დაივიწყებს
და კვლავ აჟრჟოლებს ის დღე, საათი,
ვით გაზაფხულის ფეთქვა, სიფიცხე;

ვინც პირველ თუჯზეც, ვით უკვდავ ფირზე,
ამოკვეთა და მიმართა იმ ძმებს,
რომელთა მზიან ბედსა და იღბალს
მშობელი ერი სჭედს აქედანვე
და იცხოვრებენ ასი წლის მიღმა,
და წინაპრები დღესაც ხედავენ...

მამული მიხმობს და ამის გამო,
ფოლადის კაცთა დიდებას ვლამობ.
აჰა გვარები, სხივთა მფრქვეველი,
გულის ფიცარზე ვინც გვიწერია:
ფანცულაია და მეტრეველი,
მეტრეველი და გოგიბერია...

არა, მკითხველო, კი არ შემშლია,
კარგად იციან რაჭის წთებშიაც:
იმ გვარის ხალხში ერთი როდია
ფოლადისა და ცეცხლის მსახური,
ძმები მოდიან... ძმები მოდიან...
და მათ გულებში დგას გაზაფხული.

არა, მკითხველო, ხელს ნუ შემიშლი,
მეც გავიხსენებ კუხალეიშვილს,
ვით კობერიძეს ანდა ძამაშვილს!
გადავიწყება არც მიფიქრია!
არ ჰყვარებიათ ცეცხლთან თამაში,
ცეცხლთან ბრძოლაა მათი სტიქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი ვთქვი და... ესღა მახელებს,
რომ ყველას ერთად ვერ ვასახელებ.
რომ არ გამოდის, რასაც ვლამობდი
დღითა და ღამით, დღითა და ღამით,
მაგრამ სიმღერას აქვს კალაპოტი,
გადალახავ და... ახლოა ხრამი!

ახლოა ხრამი? არ ვშიშობ მაინც,
მწამს იგი, ერთხელ ვიწამე რაიც.
მჯერა: გამიგებს ხალხი მშობელი,
საყვარელ გმირებს რად ვერ ველევი,
რად ეხიბლავს მათი საგალობელი —
და კოჟრიანი, სანდო ხელები.

ხამს ამაღლება კეთილ მეკვლეთა:
ვინც ამ უდაბნოს მკერდით ეკვეთა
და სასიცოცხლო გაავლო კვალი,
მარილიანი სიტყვის ღირსია!
მეც არ მასვენებს, ვით წმინდა ვალი,
იმ პირველ გმირთა დიდი მისია!

... ამგვარი გრძნობით ავყევი აღმართს
და რომ ვფიქრობდი, მივდივარ წადმა,
და რომ ვფიქრობდი, უკვე იქა ვარ,
სადაც ზეიმი და ხალისია,
უცებ ელვა, უცებ პირქარმა
იმედის აფრა გადამიმსხვრია.

— ნუთუ რუსთავში ყველა გმირია?
სიტყვაც და საქმეც ერთნაირი აქვთ? —
მკითხა უნებურ ხმამ-ეჭვიანმა,
თითქოს წამიერ თვალდაშრეტილმა,
თითქოს ჭიშკარმა გაიჭრიალა
და ფიქრიც უმალ გამაწყვეტინა.

— ნუთუ რუსთავში ყველა გმირია? —
სიტყვაც და საქმეც ერთნაირი აქვთ? —
ძმობილს მივაპყარ ვედრების თვალი,
როცა იმედი გამომელია.
ხმაში ერთბაშად ჩაუდგა რვალი
და მიპასუხა ვანო თელიამ:

## კარი მეთორმეტე

## მოულოდნელი მონოლოგი

ძმაო პოეტო, არა მგონია,
გითხრა, გაუწყო რამე იცგვარი,
გარდათქვა ლექსად ან სიმფონიად,
შესძრას გული და გაჩნდეს გრიგალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი, არა ხარ მუნჯი გამგონი,
ყველა როდი გვყავს გულით ხალასი.
ჩვენც გვირევია უჯილაგონი,
ვით სარეველა პურის ყანაში.

შურიც არ გახლავთ ისე უმწეო,
ისე აზიზი, წმინდა ცხოველი,
წამალი ერთხელ გამოუწერონ
და განიკურნოს მისგან ყოველი.

შურს ისიც კი შურს და ეხარბება,
რომ ძნელ ჯაფაში ხარ დაუღლელი,
სხვათა სიკეთე რომ გიხარია
და არ გამძიმებს ძმათა უღელი.

უკეთურობას მართლა რა იცავს,
თუ არა გულგრილ მოგვთა სიმშვიდე!
გადავხატავდით ამ ცას და მიწას,
ხელს ეს ოხერი რომ არ გვიშლიდეს.

ეს უგულობა მაოცებს ჩხოლოდ ,
სხვა არაფერი, ბოლოს და ბოლოს:

რადა დუმს ზოგი, როდესაც გიჭირს
და მუხანათი გიმზადებს ლახვარს,
რად ებადება უცაბედ იჭვი,
თუმცა კი უწყის: ვინა ხარ, რა ხარ...

რად არ იქუხებს ხმა მისეული,
უსამართლობას როდესაც ხედავს?
ო, გულგრილობა! იყოს წყეული
მისი გაჩენის პირველი დღე და —

უკანასკნელიც იყოს წყეული!
დენივით სადმე ჩამიწებული,

განა აშკარა არ სჯობს ღალატი,
ვიდრე ეს ცივი დაღრეჯილობა,
თავზე რომ გადგას, როგორც ჯალათი,
და... უფრო მწარედ გტკივა ჭრილობა.

მეც ვიცი, როგორც ქვეყანამ იცის:
სიბრძნით,
სიკეთით,
ოცნებით,
კვნესით
ადამიანი დღედაღამ იბრძვის,
რომ უგულობის აღმოფხვრას ფესვი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაბამიდან ჯიუტად იბრძვის
სძლიოს იმ ურჩხულს, არც ისე მომცროს,
და ამისათვის, ვით შუქი სიბრძნის,
ურიცხვი გმირი შერთვია კოცონს.

ამას რომ ვამბობ, ცეცხლი მედება
და წიწამურის გზა მახსენდება,

იმ ათას ცხრაას შვიდი წლის წამი,
როცა შეჩერდა ილიას ეტლი!
რატომ შეჩერდა?
შენ გატეხ ყამირს
და მიპასუხებ, თუ ვერვინ მეტყვის?

ბერბიჭაშვილის ტყვიის ზუზუნი,
ხომ იქნებოდა თითქმის უძლური,

რომ უფრო ადრე ხმა ამოეღო,
წამომდგარიყო ილიას ნაცვლად,
ვისაც ძალედვა ბრძოლა მოეგო
და ეკუთვნოდა პოეტის დაცვა.

რატომ არავინ, რატომ არავინ
აღმოჩნდა, ვიდრე არ იყო გვიან,
რომ აეცდინა გულშემზარავი
და უღვთო ტყვია?

ნუთუ რჩეულთა ხვედრი ეს არი,
რომ სიცოცხლეში ჯვარს აცვან ყველა,
ვისი ნართალი გული მკვნესარი
ითხოვს მამულის ხსნასა და შველას!

ნუთუ... ეტყობა საზღვარს გადაველ,
(აღსარებაა ეს, თუ ჩივილი!)
დიდ ტრაგედიას რომ შევადარე,
ჩემი სულ მცირე გულისტკივილი.

თუმცა გგონია, არ ვარ დაღლილი,
თუმცა მიწოდებ ზოგჯერ ოქროპირს,
ვერ დავიჭირე მაინც აღვირი
სურვილის, სიტყვის და ზობოქრობის.

შენც, როგორც მკითხველს, გთხოვ მაპატიო,
რომ ახსნილი მაქვს მკერდი — სარქველი,
ამაღამ თეთრად რომ გავათიოთ,
არ დამელევა შენს წილ სათქმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარი მეცამეტე

### ...და მზე ქალივით შემოგანათებს

შიშველი ფეხით ვისაც უვლია
მწვანე წინდორზე, ალბათ უხილავს:
მზეა,
სითბოა,
გაზაფხულია
და... ცა იქცევა ჰექა-ქუხილად.

მზეს ღრუბლის ფარდა აეფარება,
გარინდდებიან ტყეში ჩიტები,
ფიქრი რა არის, არ გეკარება
და შენც ბჟიტივით გაირინდები.

და არსაიდან სინათლის ზოლი,
და არსაიდან ძახილი მეხრის,
და მოლოდინი შიშის და ძრწოლის,
და მოლოდინი ელვის და მეხის!

გგონია, ბნელში მარტოკა დარჩი,
დაკარგავ ბილიკს, ეგზომ სანატრელს,
იირევიან
ღრუბლები
ქარში
და... მზე ქალივით შემოგანათებს.

შემოგანათებს ისე ლამაზად,
დაგახუჭვინებს თვალებს ანაზდად!

ან კიდევ, კიდევ, როცა ბოროტი
გზას გადაგიჭრის, ვით შავი კატა,
მხოლოდ სიავეს ელი ბოლომდის
და სულ ბინდისფერ სურათებს ხატავ.

ელი, ყველაზე ცუდი რაც არი,
შეგიპყრობს დარდი მთების ოდენა,
არ ჩანს იმედის მცირე მარცვალი
და ყველასათვის მოულოდნელად,

მოგევლინება უცნობი ვინმე,
რომელსაც არც კი სცნობდი სახეზე,
რომ გაგიქარვოს ნაღველი მძიმე,
მოგეფერება, მოგიალერსებს!

ხელს გამოგიწვდის კეთილი ხელი,
გაჰქრება ღამე
და როგორც მხსნელი,

იმ დღესაც... კართან აენთო ზარი.
და რომ გაადო მარიკამ კარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ შემოვიდა უცნობი... არა,
რევაზიშვილი ზაქრო ვიცანი.
— აქა მშვიდობა! — წარმოსთქვა წყნარად,
და მომაჩერდა, ვით გულთმისანი.

— რას ჩამოგტირის ცხვირი იმ დილით,
მოვსულვარ შენთან ეგებ შორიდან,
არა ხარ ციდან ჩამოვარდნილი,
თავი ჩათვალო მეტეორიტად.

ამაოდ ფიქრობ, რომ დარჩი მარტო
და სამუდამოდ გაქციეს ზურგი,
ყველა თელიას წაქცევას ნატრობს
და მისი განცდა არაფრად უღირს.

ამაოდ-მეთქი... დაცხრი, დამშვიდდი,
შემომანათე მზერა ნათელი
და ვიდრე დღეის გაზეთს გაშლიდე,
გადაიკითხე ეს ბარათები!

## კარი მეთოთხმეტე

## ფარნაოზ ხვედელიანის ბარათი

ორიოდ სიტყვა საკუთარ თავზე:
სადაც არიშის ნაციხარია,
იქ ვცხოვრობ ჩემთვის, იმედით სავსე,
ჩუმად ვსულდგმულობ და მიხარია —

ჩემი რუსთავის ჩხარგაშლილობა,
მისი მშვენება, მზე და სიმწვანე,
და მავიწყდება ძველი ჭრილობა,
და მავიწყდება ყველა სიმწარე.

მე იმ გზას მივდევ, სიჭაბუკითვე
რაც ავირჩიე, რაც დავისახე,
მე ძველებურად, — ვის გაუკვირდეს, —
ვეტრფი იმ სახეს, ვეტრფი ის სახელს,

როგორც ტიტანმა,
რევოლუცია ვინც მოგვიტანა!

რევოლუცია! ბრძოლა წყვდიადთან!
იმ ათას ცხრაას ჩვიდმეტის შემდეგ,
როგორც დიდება ადამიანთა,
გრძელდება ისევ, გრძელდება დღემდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება-მეთქი და გაგრძელდება,
ძველი „ავრორას“ ქუხილიანა,
ვიდრე მზესავით არ გათენდება
ყოველი კაცის სულში მთლიანად.

გთხოვთ მაპატიოთ ეს შეძახილი,
რომ არ ჰგავს მგზავრის უდარდელ ღიღინს.
ნე კომუნისტის მქვია სახელი
და ეგ სახელი სიცოცხლედ მიღირს.

რადგანაც მისი ერთგული მარად,
სიმართლისათვის მეც ვარ ჯვარცმული,
გამცნობთ,
გაუწყებთ,
გიგზავნით ბარათს, —
მალაპარაკებს სევდა კაცური!

ვანო თელიას დარდი მაწვალებს,
მისი უბრალო, პატარა დარდი!
ყველა სიკეთე რაც ჩაამწარეს,
მას შემდეგ, ვხედავ, ლანდივით დადის.

ვილაც ულირსმა და უმეცარმა
გადმოანთხია თავისი შხამი
და ანაზდეულ ისე შეგცვალათ,
ფოლადის კაცი დაიბნეს ლამის.

თქვენ ადიდებდით მას წარამარა
და ხელისგულზე დაატარებდით,
დღეს მიატოვეთ დარდის ამარა,
გუშინ რომ ნიავს არ აკარებდით.

და გეკითხებით, თქვენ, ვისაც ხალხმა
განდოთ ქართული ფოლადის ბედი
და ეს გიგანტიც წინ მიგყავთ, მაღლა,
ხომ არ გამოგრჩათ მაშვრალი ერთი,

გადამლახველი ყველა სიძნელის,
აქ რომ დაგიხვდათ, ვით მასპინძელი!

სოფლელი ბიჭი გახდა მდნობელი,
დაუძმობილდა მარტენის ღუმელს,
არ უთხოვია სამადლობელი,
არ უნატრია დიდება მრუმე,

ის ერთ ადგილზე არ გაყინულა,
იზრდება, როგორც ქალაქი მისი,
ასიათასში იბრძვის გმირულად
სიყვარულის და მადლობის ღირსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელიაც ხედავს, ქარხანა ჩვენი
რომ ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს,
მას კი უმზერენ... დუმილით, წყენით,
თითქოს უცხო და უცნობი იყოს.

ჰოდა, სიჩუმით ვინღა სარგებლობს,
ძნელი როდია ამის გაგება, —
მცირესთან ერთად, ამხანაგებო,
დიდი სიმართლეც დაიკარგება.

თანაშებრძოლთა დუმილი ცივი,
მეთაურების განზე გადგომა,
ხრის წინასწარ ჩაქრობა სხივის,
არა ნამდვილი ამხანაგობა.

ყველა ბოროტი, ყველა ავსული,
მაშინ თავხედობს და იკლაკნება,
როცა კაცს იჭვით შემოგარსული
რწმენა შვილივით ხელში აკვდება.

ამხანაგს, მაშვრალს, თანამოაზრეს
სჭირდება ჩვენი ძალა და მხარი,
როცა მას, თუმცა დიდი დროა მზის,
აღარ უნათებს ნაზიანი დარი.

ნუ მიატოვებთ ამხანაგს გზაში,
ამხანაგს — დაღლილს, ურვილს, ნამეხარს.
ავადმყოფობას ყველაზე საშიშს
ჰგავს ჯარისკაცის გულის გატეხა.

იჩქარეთ, ვიდრე არ არის გვიან,
როგორც ლენცოფა, მოთხარეთ ძირში
ის, რასაც ქვეყნად აშკარად ჰქვიან
უკუღმართობის წინაშე შიში!

პასუხს არა გთხოვთ, აღარც უხდება,
ჩვენს შორის განა კედელი არი...
გწერთ (მომიტევეთ ეს შეწუხება!)
თქვენი ფარნაოზ ხვედელიანი.

## კარი მეთხუთმეტე

## ვით აღსარება ძმადნაფიცების...

ჩვენ ანგელოსზე არ ვამბობთ, ძმანო,
ადამიანზე გესაუბრებით,
გვწადია მხოლოდ გაგაცნოთ ვანო,
ამხანაგთა და ძმათა უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანამ იცის ჩვენი ამბავი,
ერთად ვისწავლეთ, ვისწავლეთ რაცა.
ერთად აგვიხსნა ცეცხლის ანბანი
ვოლგისპირელმა ფოლადის კაცმა.

ამიოდ გვაწრთო ფროლოვმაც განა?
ერთად დავბრუნდით მშობელ მხარეში.
ზოგს მშობელივით ჩამოჰყვა თანა,
ვინც არ მოაკლო შორეთს ალერსი.

ვინც იმ დღეებში რუსთავს მოვიდა
და ახალბედებს აგვიბა მხარი,
მათ შორის რუსი ბულგაკოვი და
უკრაინელი ლიხოტაც არის.

რუსთავი მათი მადლობელია,
მაგრამ სულ ახსოვს სხვა დანარჩენიც,
ვით ესტონელი რობერტ პელია
და მოლდაველი ნინა მარჩელი...

გმირული შრომის გავიდნენ წლები.
ვანომაც ფრთები ლაღად გაშალა,
მაგრამ სისინი მოშურნე მტრების
ვის არ დაუხშობს, ნეტავ, გზა-შარას?

ვით გაბედოო ხმის ამოღება,
ვით გაკენწლაო უცნობ-ნაცნობი,
რომ დაიფარეს დიდმა მოგვებმა
და... წუნი გახდა მისი ნადნობი.

და შეწყდა ყველგან გმირის ხსენება,
და ოსტატობაც გახუნდა, გაცვდა,
ვით წყევლა-კრულვა და შეჩვენება,
თან გაეკიდა დუმილი კაცთა.

ვდუმდით ყველანი, რადგან გვეგონა
არ სჭირდებოდა მას მიშველება,
გული დავწყვიტეთ ალალ მეგობარს, —
აი, ეგ არი საშინელება!

რადგან გვეკუთვნის ჩვენ საყვედური,
ძმადშეფიცული არც გვეკარება,
ჯავრობს, ბობოქრობს, ღელავს, გვემდურის
და უძნელდება თავშეკავება.

არც ჩვენ აღმოვჩნდით ისე ჭკვიანი,
რომ არ დაგვეწყო წილადობილა,
ხოლო ზელიმხან ჯინჭველიანი
გვიან გავიგეთ, ვინცა ყოფილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინული ერთხელ რომ გაიბზარა,
სიავის ყველა მოასპარეზე,
ყველა ლაჩარი, ყველა მშიშარა
შეკრბა და დადგა იმის მხარეზე.

ვისაც კი ჰქონდა პატარა წყენა
საქმის გამო თუ შემთხვევის გამო,
არ აჩერებდა ჭორფლიან ენას,
რომელსაც ქვეყნად ვერავინ სწამლობს...

თელიას განმარტება:

არ ჩავყოლივარ ბოლომდის ბარათს,
თვითონვე მივხვდი დანარჩენს... კმარა...

ზაქრომ გაზეთიც გაშალა უმალ,
სადაც ვეხატე — მარტენთან მდგარი,
გადავეხვიე ჩემს კეთილ სტუმარს
და კვლავ გაიხსნა ოცნების კარი.

## კარი მეთექვსმეტე

## რუსთავის შვილთა ეს მოწოდება

დღეს აღარ კმარა, რაც იყო გუშინ,
მწვერვალზე ასვლის დიდი დრო დგება! —
ომარ წითლიძის ეს მოწოდება
ამოვიკითხე საკუთარ გულშიც.

ყველა სიკეთეს და თაოსნობას
ერის ძახილი დასდევს დასტურად.
(წყალს წაუღია ჩვენი ოცნება
თუ საქართველოს არ ემსახურა!).

ეს ღაღადისიც არვის სჭირდება,
თუ არ მისწვდება უშიშ რაინდებს,
თუ სევდიანად გაირინდება
და ნაწყენობას გულში ჩაიდებს;

თუ არ შეიცნო გუგუნი მთების,
როგორც არაგვმა, როგორც ენგურმა,
და იმ რაინდებს მეომრულ გზნებით
არ ამოუდგა მხარში ერთგულად...

ნაწყენობა თუ გულნატკენობა
რა სათქმელია, ან მოსაგონი,
როცა ხვალის დღის უკვდავ შენობას
უნდა შეუდგე მთელი ძალღონით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თუ გწადია ყოველი წელი
აცისკროვნებდეს მშობლიურ კერას,
ფოლადის შუქით ანთებულ წერილს
ყური მიუგდე, ვით გულისძგერას.

მას ვერ გაიგებს კაცი უღირსი,
შენ კი რომ იგრძნო, ხარ ვალდებული,
სიტყვა ფოლადის ლავის დუღილში
დაბადებული:

როცა გზა შუქით გაქვს მოფენილი
და თავზე გადგას მზე ამაღლების,
გვერდით არცერთი ჩამორჩენილი
და მითუმეტეს — რიტმის დამრღვევი;

და მითუმეტეს — ხელის შემშლელი,
ვისაც არა სწამს ჩვენი დღეების,
ვისაც სახელი როდი შეშვენის
წარსულის გმირთა მემკვიდრეების!

გუნდს მოწყვეტილი ახლოს თუ არი,
მყის გაუწოდე მაშველი ხელი
და არაოდეს ამცნო უარი,
შენს თანაგრძნობას როდესაც ელის

გამოცდილება და მხარდაჭერა
არ დაამადლო, ძმობას გაფიცებ,
ასჯერ რომ გკითხოს რჩევა, ასჯერაც
აუხსენი და... გამოაღვიძე.

გამოაღვიძე, წაახალისე,
გაიყოლიე, გაწაფე, ენდე,
რომ თანამდგომსაც დიდი ხვალისდღე,
უფრო მზიანი დღე გაუთენდეს!

შენ უწყი ყადრი, ვით მეწინავემ,
შემოქმედების, ლტოლვის, შენების,
დაე შენს გვერდით სხვებიც ბრწყინავდნენ
და ორგზის კაცად მოიხსენები...

იბრძოლე, ძმაო, რადგან გრძელდება
შეტევა მძლავრი და წინსვლა დიდი,
ჩვენი საერთო თავგამეტება
არის დღეის და მომავლის ხიდი.

წინ გზები შუქით გვაქვს მოფენილი
და თავზე გვადგას მზე ამაღლების.
გვერდით არცერთი ჩამორჩენილი
და მითუმეტეს — რიტმის დამრღვევი!

მწვერვალზე ასვლის დიდი დრო დგება
და დღეს არ კმარა, რაც იყო გუშინ!
...ომარ წითლიძის ეს მოწოდება
ამოვიკითხე საკუთარ გულშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი მეჩვიდმეტე

## შთამომავლობას, ასი წლის შემდეგ

— შთამომავლობავ, ჩვენო სისხლ-ხორცო,
გთხოვ ეს უსტარი არ გაიოცო
და წაიკითხო ასი წლის მერე,
ფოლადის ფირზე რაც ჩაგიწერეთ!

ვწერდით და მხოლოდ შენზე ვფიქრობდით
და შორი სალმის ყველა სტრიქონი
გამსჭვალულია შენდამი ნდობით
და სიყვარულის მფეთქავი გრძნობით.

საიდან ვართ და ვინა ვართ ახლა?
ჩვენ გამოგვზარდა ქართველმა ხალხმა,
რომელსაც ბევრი ჰყოლია მტერი
და არაოდეს უცვლია ფერი.

თავისუფლების ლამპარი ეპყრა
და ეძიებდა მოკეთეს ქვეყნად.
რუსთველი გვყავდა როგორც მოძღვარი
და მგალობელიც სხვა, საოცარი.

ჩვენს ქალაქს, გვამცნობს ძველი არაკი,
რქმევია თურმე ბოსტან-ქალაქი,

კიდევ: რუსთავი — სათავე რუის,
კიდევ: ნაგები და... ბედის ყმუილს
ვერ გაქცევია კუხეთის ბურჯი,
სელჯუკთა ზვავთან მებრძოლი, ურჩი.

— აწცა ოხერ არს! — გემახსოვრება,
როგორ გმინავდა „ქართლის ცხოვრება".
— აწცა ოხერ არს, როგორც არიშის
ციხე-კედელი შესაბრალისი! —

მოსთქვამდა მიწა უდაბნოსგვარი,
და თარეშობდა ხორშაკი ქარი,
ვიდრე... დანარჩენს რუსთავი გეტყვის,
ვით მეგობრობის ცხოველი სვეტი.

რომ არა დიდი წინაპრის ბრძოლა,
რომ არა ჩვენი მზისაკენ ლტოლვა,
რომ არა ჩვენი ბიჭების გარჯა
და ძმადნაფიცთა მაგარი მაჯა,

დაგიხვდებოდა მწირი ალაგი
და არა დიდი ბოსტან-ქალაქი,
უკაცრიელი და გადამწვარი,
და არა ძმობის დიდი ტაძარი!

შთამომავლობავ, რუსთავის მკვიდრო,
როცა მშობლიურ ცასა და მინდორს
მოავლებ მზერას და გაიხარებ,
როს ჩაგიდგება სულში სიწყნარე,



13465
კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა იხილავ სიგუას ქუჩას,
დასასრული რომ აღარსად უჩანს,
შარაძენიძის განიერ გამზირს
როცა გაჰყვები ფიქრით და აზრით,

გომელაურის მშვენიერ ბაღში
რომ დაგიხვდება ურიცხვი ბავშვი,
ან გიორგაძის ლამაზ ხეივანს
რომ გააყოლებ თვალს არხეინად,

ქამაკაშვილის ძეგლთან ვედრებით,
სულ ერთი წამით რომ შეჩერდები,
გთხოვ თაყვანი სცე თვითეულ მათგანს,
და ათასობით სხვა გმირსაც, რადგან,

მათ, საქართველოს სანდო შვილებმა,
შეძლეს ფოლადის დამორჩილება.
მათმა გულებმა, მათმა ხელებმა,
შექმნეს ვით დროის საკვირველება,

შენი ქალაქი, დასტურ უბადლო!
ხამს ყველა მათგანს რომ დაუმადლო,

ასწიო თასი აღელვებულმა
და ქართველურად, და ძველებურად,
სთქვა მეფოლადის სამადლობელი
და განადიდო ერი მშობელი!

...ძმაო კეთილო, უსტარი ესე,
არა ქაღალდზე და არა ხეზე,
ჩვენ ამოვკვეთეთ ფოლადზე, რათა
შენ გაუმხილო სხვათა და სხვათა.

## კარი მეთვრამეტე

## ქორწილი კოლხეთში

თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო რთველი
და თავს იკლავდა ცხელი ზაფხული,
ფეხზე წამოდგა სოფელი მთელი —
ელოდა ლხინი ჯერარნახული!

ასეთი მშვიდი, ასეთი წყნარი
ჯერ არ მეხილა ჩემი გამზრდელი...
გაიღებოდა სამზადის კარი
და მოდიოდა საჭმელ-სასმელი.

არც ღვინო გვაკლდა, არცა საკლავი,
არც წიკლაურის ნანადირევი,
როშკის ჩანჩქერთან ტყვიანაკრავი —
ჯიხვი იდგა თუ მართლა ირემი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ეზოში ენთო კოცონი,
ფრინველსა ხოცდნენ,
წვავდნენ,
ხარშავდნენ.
ვერ ვიოკებდი გრძნობას მოწოლილს,
ვერ ვისვენებდი სუფრის გაშლამდე...

ფარიკაობდნენ ჭმუხა ბიჭები,
გაბროს კი შებმას ვერ უბედავდნენ.
იბრძოდნენ ქინით, გულდადინჯებით,
რადგანაც ნამდვილ ხევსურს ხედავდნენ.

მუხის ქვეშ თედო ბერეკაშვილი
აჟრიალებდა ფანდურს ძველებურ.
თემურ ხეთელიც, გურიც, არჩილიც
ჰანგსა მღეროდნენ ამოჩემებულს.

იყო ზეიმი და ჟრიამული,
თრთოდნენ სიამით გულის ძარღვები.
ნიავს მიჰქონდა ხმა მხიარული,
არა გნიასი ყურისწამღები.

დაფარფატებდა მაშა-მარიკა,
გაღიმებული, თავამართული,
ედიმებოდა, რადგან გაიგო, —
გამზრდელს მოსწონდა მისი ქართული.

დედები თითქოს არც განიცდიან,
ქალიშვილები რომ თხოვდებიან,
მაგრამ მამები... არა ვიცი რა,
რატომ ვღელავდი, როგორც... ბებია!

უკვე აქ იყვნენ ჩვენებურები.
აქ იყო ჩემი ორივე შვილი,
იგვიანებდნენ ოღონდ სტუმრები,
რომ ჩამოფრინდნენ ვოლგიდან დილით.

მეუბნებოდნენ: — გულს რად იხეთქავ,
ქორწილი არის ბოლოს და ბოლოს.
განა არ გითხრეს, რუხის ციხესთან,
რომ უნდა დახვდნენ ივანე ფროლოვს!

და აი ამ დროს მოიჭრა დალი
(გოგოსა ჰგავდა ოთხი ძის დედა!)
— გთხოვ გაახილო, ძმობილო თვალი,
ჭიშკართან დახვდი მაშასთან ერთად!

მოდიან. აგერ შალვა და მზია —
შენი სიძე და შენი გოგონა!
რუსი სტუმრებიც მოვიდნენ გვიან.
სტუმრები გვყავს და მერე როგორი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდიდოს მადლი უკვდავი ძმობის
და მისი ძალის საკვირველება!
სამახარობლო გავარდა თოფი, —
როგორც იცოდნენ ჩვენმა ძველებმა.

— მამა! — შესძახა ქართულად მაშამ
და დედამისმა გასცა პასუხი.
ატყდა სიცილი და მერე ვაშას
ხმა შეერია ამ ზღვას, ამ ქუხილს.

კიბეზე დადო დიდედამ თეფში,
სიძემ დაადგა ფეხი და იმ დროს
„ფეხბედნიერი“ სიმღერის ეშხი
მოედო მწვანე ეზოს და მინდორს.

სიმღერის ექო რაკი მიწყნარდა,
მაშამ ჩამოჰკრა ჩონგურის ლარებს.
ოცმა ჩონგურმა დაიწკრიალა
და მოეფინა მშობლიურ მხარეს.

## კარი მეცხრამეტე

## სიტყვა ივანე ფროლოვისა

წკრიალი იგი ძნ დამცხრალიყო,
თოვლის ფიფქივით წვებოდა ველზე,
როცა სტუმარმა სწრაფად აიღო
ჯიხვის ყანწი და წამოდგა ზეზე:

— ადამიანი მხოლოდ ის არი,
ვინც მშობელ მიწას დედას უწოდებს,
ვისაც არა სწამს რამ ნასხვისარი
და ცას მიაპყრობს მზერას უცოდველს.

თქვენ გაქვთ სამშობლო სახელგანთქმული,
ზღვა რომ იისფრად ებუბუნება,
ღვთაებრივია თქვენი ქართული
და ზღაპრულია თქვენი ბუნება.

მისი სიცოცხლე შორით იწყება,
შორიდან მოჩანს სიმაღლეც მისი,
მას არაფერი არ ავიწყდება
გახსენების და სიკეთის ღირსი.

დღეები დღეებს, ლოდები ლოდებს,
ომები ომებს ეჯახებოდნენ,
სულს მოითქვამდა დაღლილი ოდეს,
მისი დროშები ზეცას სწვდებოდნენ.

არა ცხრებოდნენ მისი ფიქრები,
ხან გამხელილნი, ხანაც უთქმელნი,
იბადებოდნენ ბრძენი წიგნები,
მწველი ჰანგები და ჩუქურთმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლში, გრიგალში და სისხლისღვრაში
იფერებოდა მისი სახელი,
ცის კაბადონზე, როგორც რიჟრაჟი,
იწერებოდა მისი სახელი.

ებრძოდა ათას რისხვას მოწოლილს
და ძალას მტრისას მაინც არ სცნობდა.
ზე მიიწევდა, როგორც კოცონი,
შვილთა კაცობით და ვაჟკაცობით.

მათ აღაშენეს, მათ განანათლეს
ქართვლის დიადი გზა და სავალი,
მათ მოგიტანეს, მათ დაგანათლეს
ეს გამარჯვება და მომავალი!

არცა მცირეა, არცა მწირია,
ჟამთა სიავით გაუთქერავი,
თუმცა ბედს ხშირად გაუწირია,
მისი ჩაქრობა შეძლო ვერავინ.

დიდი სიცოცხლით და გულისფეთქვით
დათრგუნა ყველა მოსისხლე მტერი.
უსაქართველოდ, უმისოდ-მეთქი,
არ ექნებოდა პლანეტას ფერი!

გუგუნებს თქვენი ხალხი მშობელი,
მამულის დროშას ნიავი არხევს,
დგას და გასძახის, ვით ახლობელი,
შორეულ ქვეყნებს, ვარსკვლავებს, ხალხებს...

მის გულს ნიადაგ შვებით ეძგეროს,
გზას უნათებდეს სუნთქვა ძმებისა...
გთხოვთ შეუერთდეთ ამ სადღეგრძელოს:
ვსვამ საქართველოს უკვდავებისას!

## კარი მეოცე

### ბოლოთქმა

ამაოდ ფიქრობს, ვინც აგრე ფიქრობს,
პოემა თითქოს სულს ღაფავს უკვე,
ვინცა გმობს დროის ცეცხლოვან სტრიქონს
და მწირ ქვეტექსტებს საკმეველს უკმევს.

არა ქადილი მსაჯულთა ცრუთა,
გვწამს რუსთაველის ნატიფი სიტყვა,
რომ უკვდავია დღესაც და მუდამ,
რაიც ჭეშმარიტ ყალიბში ითქვა;

არა ჩხაკუნი ხეკაკუნების,
ახლაც აკაკის ძახილი გვესმის,
ვითარცა სუნთქვა დედაბუნების,
რომ სულ მწვანეა პოემის ფესვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პუშკინი, როგორც გოეთე.
ღაღადებს ვაჟა, ფეხზე ამდგარი,
და ევედრება დღეის პოეტებს
არ გააგონონ სიტყვა ამგვარი, —

თითქოს პოემის დრო წასულია
და გახდა ნივთი სამუზეუმო,
თითქოს არ ძალუძს დროშა სრულიად-
პოეზიისა კვლავ აზეიმოს!

ოღონდ ფეთქავდეს გრძნობათა თქეში,
ოღონდ
ხმამაღლა
სათქმელი
ჰქონდეს,
ვითარცა მუხა იცოცხლებს ტყეში,
ისე პოემაც არ დახრის ტოტებს!

შენც, ძმობის წიგნო, როგორიც იშვი,
მწადია ენთო ჟამთასვლის მერეც,
რადგან ეს ძმობა — ოქტომბრის პირმშო
აერთიანებს გულებს და ერებს.

რაიც გენებოს, თქვი ვაჟკაცურად,
ადიდე გრძნობა — სიკეთის თესლი.
რაგინდ იავოს სიტყვამ მაცდურმა
სიწმინდეს ვერას დააკლებს გესლი.

შენი ვალია სინათლეს ჰფენდე
დედა-სამშობლოს წინსვლას და ბრძოლას.
მომავლის ძალას ბოლომდის ენდე,
როგორც ენდობი მიწას და ფოლადს!

1977. მოსკოვი — თბილისი.

## გიორგი ციციშვილი

# სძლიე სიხარბესა შენსა!..

### მოთხრობა

— ეგ ეგრეა, რახან დგავალეს.

— მაგრამ ძალიან ძნელი საქმე კია. რესპუბლიკის ხელმძღვანელს უთქვამს ჩვენი მდივნისათვის, რომ საერთო ბიუჯეტიდან კაპიკს ვერ მოგცემთო, თქვენი რაიონის სახსრებით უნდა ააშენოთ სასტუმრო სახლიო. ჩვენს რაიონს კი რა სახსრები გააჩნია? ჩვენ რომ ციტრუსების, ან ჩაის, ან ყურძნის რაიონი ვყოფილიყავით, იცოცხლე, ფულიც გვექნებოდა, მაგრამ შაქრის ჭარხლითა და, პურ-კარტოფილითა განა ფეხს გაშლი!... და აი, საგონებელში არის ჩავარდნილი ჩვენი ვახტანგ პეტროვიჩი. არ დაგიმალავ, სანდო ხალხს ეძებს, რათა ჩვენის დახმარებით ეს დიდი საქმე როგორმე მოაგვაროს... უნდა აუცილებლად შევეშველოთ, რაც შეიძლება მხარი მივცეთ. აბა, მაშ როგორ, ჩვენს ვახტანგ პეტროვიჩს მარტო ხომ არ მივატოვებთ? ქს ნამუსი იქნება?...

— ჩვენ რა შეგვიძლიან, კაცო?! — ხელები გაშალა გოდერძიმ.

— ვაჰ, როგორ თუ რა? მთელი სააშენებლო მასალები ჩვენს ხელში არ არის?

— კეთილი, გვიბრძანონ და მივყიდით. სულაც მაგათ მივცემთ ყველაფერსა. ჩვენთვის სულ ერთი არ არის, ვინ შეისყიდის, ოღონდ ფული ჩამოვიდნენ.

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 11.

— ერიჰაა, შენა უფროსო, ან თავს ისულელებ, ანდა მართლაც... ანდა მართლაც ცუდად გესმის გარემოებანი...

— ისაკ, ხომ იცი, ძალიან ნუ გაუტიე, თორემა მე ისევაც გოდერძი ზენკლიშვილი ვარ!! — იფეთქა ბაზის მმართველმა.

— რა გეწყინა, შე კაი კაცო, ისევაც გოდერძი ზენკლიშვილი იყავი, ვინ გართმევს? მე იმას გეუბნები, რომ საქმეს ფესვში არ უყურებ მეთქი...

— შენზე ცუდად დამნახველის პატრონი დედაცა, უყურე ერთი ამასა!

ისაკამ დაინახა, რომ ბაზის მმართველი მართლაც არასახუმაროდ გაბრაზდა. ეს კი ყოველთვის საშიში იყო. ცხვარი ცხვარია, თუ გაბრაზდა ცხარიაო, სწორედ გოდერძიზე ითქმოდა.

ამიტომ ცოტა დაახანა, სანამ დაცხრებოდა და გულმოსულობა გადაუვლიდა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო, გოდერძის გაუწოდა. იცოდა, როცა მმართველი უგუნებოდ იყო, სიგარეტს მიეძალებოდა ხოლმე. თვითონაც გააბოლა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. როცა ნახა უფროსი ცოტა დაშოშმინდაო, მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და რაც შეიძლება დაბეჯითებით წარმოთქვა:

— ამისმა გახარებამა, შენი წყენა აზრადაც არა მქონდა... მე მარტო ისა მწადია, სიტუაციაში, გაიგე კაცო, სიტუაციაში გაერკვე! თუ ვინიცობაა შენ ეს არ გინდა, სულაც

დავმუნჯდები! რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს...

— ჰო, კარგია, მიდი, თქვი, რასაც აპირებდი. გოგო-ბიჭი ხო არა ვართ, ერთმანეთს ველოლიავოთ...

— აი, შენ რომ ამბობ, ფული მომცენ და მასალას მივცემო, ფულს ვინ მოგცემს? ფული სად არის? ვერ გაიგე, კაცო , რაიონმა თავისი სახსრებით უნდა ააშენოსო? ეს იმას ნიშნავს, რომ რაიონული ორგანიზაციები ერთად უნდა შედგნენ, ხარჯები გაინაწილონ და ყველამ თავთავისი წილი გაიღოს. შენ თუ მართლაც რაიონის პატრიოტი ხარ, შენც ასე უნდა მოიქცე. თუ არა, ხომ იცი, ვახტანგ პეტროვიჩს წელი მაგარი აქვს, მე და შენისთანას კი არა, ვისაც გინდა იმას დაკოდავს ბურვაკივითა...

— მასალები როგორ უნდა გავცე, კაცო? აგრე რომ გავანიავო, უფრო არ დამკოდავენ?

— ეეე, ნუ ხარ მიამიტი. მაგას ადვილად ეშველება, მაგას მე გასწავლი...

— უყურე ბიჭსა, მასწავლის! შენი სწავლა რა თავში ვიხალო, საქმე საქმეზე რო მიდგება შენ კი არა, მე მამკითხავენ!.. რა ვუთხრა მაშინა? — ისაკამ მასწავლა-მეთქი?

— ეე, — კიდევ უფრო დაიმანჭა ისაკა, — შენზე ადრე მე მომკითხავენ, ბუღალტერი მე ვარ. რო გეუბნები გასწავლი-მეთქი, ეს იმასა ნიშნავს, რომ ვერც შენ მოგკითხავენ და ვერც მე. თუ გინდა გეტყვი, როგორც უნდა მოვიქცეთ, თუ არა და ბატონი ბრძანდებოდე, — ისაკამ წასვლა დააპირა.

— მაინც როგორ? — წამიერი ფიქრის შემდეგ დაინტერესდა გოდერძი.

— როგორ და, „ლევის“ ანგარიშში. აი, იმ დღეს რომ გეუბნებოდი...

— ისაკ, შენა შარში არ გამხვიო, რალაც ისე ლაპარაკობ გული ავს მიგრძნობს.

— კარგი რაღა, ე, რა მშიშარა ვინმე ყოფილხარ! რა შარში უნდა გაგხვიო, როცა რაიკომი ჩვენთან არის და ორთავენი ერთ საქმეს ვაკეთებთ?

— თუ საქმემ წაიფორხილა და უკუღმა შემოგვიტრიალდა, ისე გამოგეცლებიან, შენი მოწონებული. კარგად ვიცი მაგათი ამბავი. სანამ კარგათა ხარ, შენთან არიან, ოდნავ ფეხი დაგისხლტება თუ არა, პირველი თვითონვე ამოგკრავენ ჭიტლაყსა...

— ვახტანგ პეტროვიჩი მაგისთანა კაცი არ არის. სულაც რომ ჩამოახრჩონ, მეგობარს გაჭირვებაში არ მიატოვებს. მერე და ეგა რესპუბლიკის ხელმძღვანელის განკარგულებაა, წინ ვინ გადაუდგება? მაგრამ თუ ამ საქმეში ჩამოვრჩით, ამას კი არავინ გვაპატიებს.

— სულ უფასოდ უნდა მივცეთ?..

— სულ.

— ვაჰ, ვაჰ, ეს რა ცეცხლში ჩავარდი, კაცოუ!...

— ცეცხლი მაშინა ნახე, თუ რაიონის საჭიროებას ანგარიშს არ გავუწევთ, რაიონის პატრიოტები არ აღმოვჩნდებით და სადაც ყველა არის, ჩვენც იქ არ ვიქნებით...

— კი, მაგრამა, სულ უფასოდ რომ მივცეთ, ხარჯები საიდან დავფაროთ?

— დამიგდე ყური: იმ „ლევის“ რომ მივიღებთ და გავასაღებთ, ძიენ დიდ მოგებას მოგვცემს. დადგენილ ფასებშიც რომ გავყიდოთ, გამომგზავნებს, იმოთა „პასტავშჩიკები“ ჰქვიათ, ორმოცი პროცენტი უნდა მივცეთ, ნახევარფასზე ნაკლები. გაიგე? ძიენ სარფიანია. ასეა ლევისათვის დადგენილი. მერე შენ ხარ ჩემი ბატონი, თხუთმეტი პროცენტი ჩვენი დაწესებულების უფროსებს ეკუთვნით. იმათ ყველაფერი იციან და ამიტომაც წილში არიან. ათ პროცენტს აქაურ მეთაურებს მივცემთ, ხუთს კი რევიზორებისათვის ვინახავთ. დანარჩენი ოცდაათი პროცენტი სუფთად ჩვენია!.. მაგრამ ეს ოცდაათი პროცენტი მასალის დადგენილ ფასებში გაყიდვიდან მოდის. ხოლო ჩვენ, სინამდვილეში, ამ ფასებით კი არა ვყიდით, არამედ სულ ცოტა ერთნახევარჯერ უფრო ძვირად... ამიტომ ორმოცდაათი პროცენტი კიდევ გვრჩება მთელი მასალიდან, მთელი შემოსული მასალიდან, გაიგე? ეს ამბავი ჩვენი ყველაზე დიდი საიდუმლოა. ჯვარზედაც რომ გაგაკრან, არ უნდა გატყდე. — არ ვიცი, ი, ვსიო. დეე მიხვდნენ, დეე ილაპარაკონ, ჩვენ პირწმინდად უარვყოთ: — არა, ი, ვსიო!.. ამის შესახებ ძეხორციელმაც კი არაფერი არ უნდა იცოდეს, გარდა სამი კაცისა: შენი, ჩემი და სერგოსი. ეს ორმოცდაათი პროცენტი იმდენს შეად-

გენს, რომ სანადირო სახლისათვის საჭირო ყველა მასალასაც ჩავაცეცხლებთ, რაც საჭირო იმასაც მივაშავებთ და ჩვენც იმდენი დაგვრჩება, ზარალში არ ვიქნებით! დამიჯერე, ისაკამ ანგარიში ისეთი იცის, მთელი ქვეყნის მათემატიკოსები რომ შეკრიბო, ვერ აჯობებენ... ამისმა მადლმა!!..

—ჰო, ჰო, ჰო, რა ყოფილა, კაცოუ, რა ყოფილა, ტა-ტა-ტა-ტა — თავი გადააქნივ-გადმოაქნია გოდერძიმ, — როგორ ერთმანეთზე ყოფილა ყველაფერი გადაბმულ-გადაკლერტილი...

— ცხოვრებამ ასე იცის, უფროსო, ყველაფერს თავის თითისტარზე ახვევს.

— ისაკა, შენ საქმეს მიხედე, მე კი წავალ, ცოტას წავუძინებ, თავი ამტკივდა, ეგება გადამიაროს. ეს ოხერი მათემატიკა და პროცენტები ძალიან მეჯავრება... დასწყევლოს ღმერთმა მაგათი მომგონი, ეგენი რომ არა ყოფილიყო, რა დამშვიდებით ვიქნებოდით...

მეორე დილით ისაკამ კვლავ დაიმარტოხელა ბაზის მმართველი.

— აჰა, ხელი მოაწერე. — და მანქანაზე დაბეჭდილი რაღაც ქაღალდი მაგიდაზე დაუდო.

— ეს რა არის? — იკითხა ნირწამხდარმა მმართველმა და ქაღალდს იმნაირად დახედა, გეგონება, თეფშზე დადებული ლეში მიერთმიოთ.

— ატნაშენიაა, წუხელ რომ გელაპარაკე...

— კაცო, ასე დოგა-დოგა დადგომა შეიძლება? ღმერთი აღარა გწამს! ცოტა დამაცადე, რაღა! ჯერ არ მომიფიქრებია, მაგასა, ხომ იცი, ყოველი მხრიდან აწონვა უნდა. ნათქვამია, ცხრაჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო...

— არ გინდა და ნუ გინდა, ჩემი დარდიც ეგ იყოს!.. — გაბრაზებულმა ისაკამ ქაღალდს ხელი დასტაცა, დაკეცა და უბეში ჩაიდო.

— მოიცა კაცო, მოიცა. სული ყელში ნუ გჩრია. ცოტა დამაფიქრე, რაღა! ვაჰ, ეს ვინ გამომიჩნდა ასეთი მამაოხერი!..

— შენა, ჩემო ძმაო, უკვე ხუთი თვეა ფიქრობ. ისე ირჯები, გეგონება, მარტო ჩემ ჯიბეში უნდა ჩავიდეს!.. საქმის თავი შენა ხარ, არ გინდა, ნუ გინდა, მოვრჩით?! — გაცეცხლებულმა ისაკამ კარი გაიჯახუნა, თანაც ისე შეიკურთხა, ალბათ გინების ყველა ოსტატს შეშურდებოდა.

იმ დღეს გოდერძი გარეთ არ გასულა. თავის კაბინეტში იჯდა, ღრმა ფიქრში წასული.

არც ბუღალტერს შეუღია მისი კარი. ისიც თავის ოთახში ჩაიკეტა, თან მოანგარიშე გოგონებს მკაცრად დაუბარა, არავინ შემოვიდეს, კვარტალის ბალანსს ვადგენო.

სამუშაო დღე რომ მიიწურა, გოდერძიმ მთავარი ბუღალტერი იხმო.

ისაკა ერთბაშად როდი გამოცხადდა. ბარემ სამჯერ დააძახებინა თავი.

— როდის აქეთ დაიწყე ჩემი ურჩობა? — შეუბღვირა შემოსულ ისაკას გოდერძიმ.

— უფროსო, როცა სადალაქოში ზიხარ, სამართებლიან დალაქს არ უნდა ეჩხუბო. არც მენავეს უნდა ეჩხუბო, როცა ნავში ზიხარ. ხომ იცი, ბუღალტერი დალაქივითაა, როცა გინდა ყელს გამოგჭრის, მენავეც არის, როცა უნდა მაშინ დაგახრჩობს. მე კიდევა შენთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდა, შენ კიდევა არც მაფასებ და არც მიჯერებ. აბა, რა ვქნა, არ მეწყინოს?

— აბა, მაჩვენე რა გიწერია იმ ქაღალდშია...

— რად გინდა, შენა იმაზე ხელის მომწერი მაინც არა ხარ.

— მაჩვენე-მეთქი!

ისაკამ დაკეცილი ქაღალდი გაუწოდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

დიდხანს იკითხა მიმართვა გოდერძი ზენკლიშვილმა. მისი გონება უჩვეულო გამალებით მუშაობდა.

— „მართლაც, არაფერი საშიში აქ არა წერებულა. ვთხოვოთ, რომ ლიმიტს ზევით, თუ საშუალება აქვთ, ამდენი და ამდენი ხეტყე გამოგვიგზავნონ. — იაზრებდა ბაზის მმართველი, — მე ოფიციალურად ვთხოვ და რა ვიცი, „ლევი“ მოვა თუ „პრავი“. ჯერჯერობით საშიში არაფერია. ამბები ალბათ შემდეგ დაიწყება, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მოვიფიქრებ და თუ ხელს არ მომცემს, ამ მიმართვით გამოგზავნილს შემოსავალში გავატარებინებ, მერე კი ოფიციალურად გავყიდი... ეჰ, ისაკ, ისაკ, სადა

ყოფილა რომ პატარა ეშმაკსა დიდი ეშმაკი მოეტყუებინოს“.

— კარგი. მოვაწერ. მაგრამ იცოდე, მთელი პასუხისმგებლობა შენზეა, მე არაფერი არ ვიცი!.. მოდის?..

— მოდის. — მხნედ უპასუხა ისაკამ და თავის თხელ ტუჩებში შეუმჩნევლად ჩაიღიმილა.

— რაც არის, არის. — თქვა გოდერძიმ და ქაღალდს მსუქნად ხელი მოაწერა. — — აჰანდე, წაიღე, დეე, ყველაფერი კეთილად დამთავრებულიყოს...

— ამინ. — გაეპასუხა ერთბაშად გამხიარულებული ისაკა. ქაღალდი დაკეცა და უბის ჯიბეში ჩაიდო.

—ესეც ესე, — თქვა მან, — აი, ახლა კი მართლაც ნამდვილი ბაზა ვიქნებით...

თვენახევარიც არ იყო გასული ამ სამახსოვრო შემთხვევიდან, რომ რკინიგზის სადგურიდან ტელეფონის გაუთავებელი რეკვა ატყდა: თქვენს სახელზე სარკინიგზო ვაგონები ჩამოდგა, ხე-ტყით დატვირთული, ჩქარა წაიღეთ, თორემ გაცდენაში დიდ ჯარიმას გადაგახდევინებთო.

ამის გამგონე ისაკა და სერგო ისე აწრიალდნენ, როგორც გალიაში დამწყვდეული მშიერი მგლები საჭმლის დანახვაზე.

ისაკა დაფეთებული შეიჭრა გოდერძისთან, აკანკალებული ხელით მინდობილობა გაუწოდა, ბეჭედი დამიკარიო და ისე საჩქაროდ გამოსტაცა ხელმოწერილი ქაღალდი, რომ მმართველს არც კი შეახედა, რამდენ კუბომეტრზე იყო მინდობილობა გაცემული.

საბუთი მიიღო თუ არა, ჯერ თავის ოთახში ჩაიკეტა, საანგარიშო აარაკუნა, მერე სადგურში კისრისტეხვით გაქანდა და სახეგაბრწყინებული სერგო თან გაიყოლია.

მთელი სამი დღე მოუნდნენ ვაგონებიდან ხე-ტყის გადმოტვირთვას, მანქანებით გადაზიდვას, ბაზაში დაბინავებას.

კიდევ კარგი ვახტანგ პეტროვიჩმა ავტომანქანები, საზიდარები და მუშახელი მიაშველა, თორემ ამ სამუშაოს ორ კვირასაც ვერ აუვიდოდნენ.

როცა ყველაფერი მოთავდა, როცა ბაზა ხე-ტყით აივსო, ისაკამ შეუვალად მოითხოვა, კიდევ ორი დღე დამაცადეთ, უნდა ყველაფერი წვრილად აღვნუსხო, გაყიდვას მერე შევუდგეთო.

ეშმაკი იყო: უნდოდა ხე-ტყის მოტანის ამბავი რაც შეიძლება შორს გავარდნილიყო.

მართლაც, გაალეს თუ არა პარასკევ დილით მწვანედ შეღებილი ვეება ჭიშკარი, ხალხი ისე მიაწყდა „გოდერძის საწყობს“, ეზოში ტევა აღარ იყო. მასალის წასაღებად მოსული მანქანები, ურმები, საზიდარა გამობმული ტრაქტორები ერთმანეთში აირია.

სერგო-ბიჭი ჯარასავით ტრიალებდა, მოანგარიშე და მოლარე კი ფულის მიღებასა და ქვითრების გამოწერას ვერ ასდიოდნენ.

ისაკა ყანჩასავით დააბოტებდა შტაბელიდან შტაბელამდე და თვალთა უპეებში სიხარული ჩასდგომოდა.

იგი წარა-მარა შედიოდა მმართველის კაბინეტში და გაბღენძით მჯდარ გოდერძის ერთსა და იგივეს უმეორებდა.

— ნახე კაცო, რა მუშტარი მოგვაწყდა!

— ეჰე, — ხალისიანად პასუხობდა გოდერძი, — თაფლი იყოს, თორემ ბუზი სტამბოლიდანაც მოფრინდება.

მმართველი აშკარად აღგზნებული ჩანდა. ლოყები შეღაჟღაჟებოდა, უფრო ჩქარჩქარა ლაპარაკობდა, სავარძელში წრიალებდა, ყოველ მომსვლელს დაკვირვებით შესცქეროდა თვალებში.

მაგრამ თუ კარგად დააკვირდებოდი, შეამჩნევდი, რომ ცოტა შემფრთხალიც იყო. დაბნეულობის დასაფარავად ისე გაჯგიმულიყო, გეგონება, მთელი ეს აურზაური მან მხოლოდ იმისთვის მოაწყო, რომ სეირისათვის ეცქირა და სხვებისათვისაც ეჩვენებინა, აი, რა ძალმიძს მეო.

ხე-ტყე კი განუწყვეტლივ მიჰქონდათ და მიჰქონდათ.

მართლაც, საიდან არ იყვნენ ჩამოსულები: მცხეთიდან თუ კასპიდან, გორიდან თუ ხაშურიდან, ბორჯომიდან თუ სურამიდან. წარმოიდგინეთ, თბილისური მანქანებიც ბლომად ჩანდა.

ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ არაფერს არ იწუნებდნენ. ყველაფერი მიჰქონდათ.

ციმბირიდან ჩამოტანილი წიწვოვანი ჯიშების ჯანსაღი, ინდაურის ხორცივით თეთრი, კოხტად დახერხილი მასალის ვეება შტაბელები ყველას თვალწინ დნებოდა. ან

ფასს ვინ კითხულობდა, ან იმას ვინ დაეძებდა, თუ გამხიარულებული სერგო ერთი კუბომეტრის ნაცვლად, კუბომეტრანახევარს ანგარიშობდა.

ბუღალტერსა და საწყობის გამგეს აღარც ჭამა ახსოვდათ, აღარც ძილი. გაოფლილი, სახეაფორაჯებულები დარბოდნენ ისინი აქეთ-იქით და ხელების ქნევით, თვალების ბრიალით ელაპარაკებოდნენ მყიდველებს. მყიდველები კი მათ განზე გახმობასა და დამარტოხელებას ცდილობდნენ.

საშშაბათისათვის ხე-ტყის მასალა სულ გაზიდული იყო.

თუ აქამდე მთავარი ჯაფა სერგოს ადგა, ახლა მთელი სიმძიმე ისაკას დააწვა. გვიან ღამემდე იჯდა იგი თავის პატარა ოთახში, ბუღალტრიის თანამშრომლებთან ერთად და გამალებით ანგარიშობდა, წერდა, ქაღალდებს ჩაკირკიტებდა, საანგარიშოს ქვებს საშინელი სისწრაფით არაკუნებდა.

მასალის მიღებიდან ერთი კვირის თავზე, ისაკა მმართველის კაბინეტში შევიდა და მიუხურავი კარების ღრიჭოდან ქურდულად გაიხედ-გამოიხედა.

ბაზაში შესვენება გამოეცხადებინათ. ეზოში უცხოთაგან აღარავინ ჩანდა. ბუღალტერიის თანამშრომელი გოგონები ჩრდილქვეშ, მოლზე ისხდნენ და საუზმობდნენ. ბაგრატას ძაღლებთან სალაფავი მიჰქონდა, თან რაღაცაზე ხმამაღლა ტუქსავდა. სერგო არა ჩანდა.

— ესა, შენი წილია, სამი ათასი მანეთია აქა. — ხმადაბლა თქვა ისაკამ და გაზეთში გახვეული შეკვრა გოდერძის წინ დაუდო.

— უჰ, — შეიცხადა ბაზის მმართველმა და უკან ისე გადაქანდა, თითქოს მის წინ ფულის შეკვრა კი არა, დახლაკნილი გველი დაედოთ,

— შარში არ გამხვიო, ისაკ!.. — თითქმის ვედრებით თქვა მან.

— ეეე, — სახე დაემანჭა ისაკას, — ნუ ხარ, კაცო, გულდედალი. შენთვის ვისა სცალიან, ან ვის ესაქმება, აიღე, ჩაიდე, არავინ შეშოვეიდეს...

თითქოს ამ მჭახე შეძახილს ელოდაო, ერთბაშად მოთვინიერებულმა გოდერძიმ შეკვრა აიღო, კი არ აიღო, საჩქაროდ ხელი სტაცა, უჯრა გამოაღო შეკვრას შიგ ჩაუძახა, გულმკერდით მიაწვა, მიხურა და ისევ-ისე გაბღენძით დაჯდა, როგორც აქამდე იჯდა.

ეგ არის, ცოტა სახეზე წამოწითლდა...

ისაკამ თავისებურად ჩაიღიმილა და კარი უხმოდ გაიხურა.

გავიდა ცოტა ხანიც და რკინიგზის სადგურიდან კვლავ ასტეხეს ტელეფონის გაუთავებელი რეკვა, თქვენს სახელზე მასალა მოვიდა, წაიღეთო.

ისევ ატყდა საშინელი ფაციფუცი, ისევ აირივ-დაირივნენ მანქანები და ადამიანები, ისევ გარბი-გამორბოდნენ სახეაჭარხლებული სერგო და ისაკა, ისევ მოაწყდნენ ბაზას ხე-ტყეს დახარბებული მყიდველები.

ერთი სიტყვით, ყოველივე უწინდებურად განმეორდა...

ეგ არის, ამჯერად, გოდერძი დარჩა გაოცებული.

ისაკა თავისთან იხმო და თვალებში ჩაშტერებით ჰკითხა:

— კაცო, ის პირველი პარტია, გასაგებია, მოვითხოვეთ და გამოგვიგზავნეს, მაგრამ ეს რაღა ოხრობაა? ეს ხომ არ მოგვითხოვია? რაშია საქმე, ვინ გვიგზავნის? უწინ ვენოთა, ჩვენვე გვწერენ ჯვარსა?

— ეეე, — კვლავ დაემანჭა სახე ისაკას, — შენ ხილი იხილე, მებაღეს რასა კითხულობ. ეს პარტია, იმაზე ნაკლები რითია? ესეც დედის ხსენივით შეგვერგება. და გარეთ გავიდა. იქ მას ხალხი ელოდა. ზოგი საიდანლაც გამოგზავნილი ბარათებით, ზოგიც უბარათოთ.

ეტყობა, მასალების განაწილება მართლაც სარფიანი საქმე იყო, რადგან ისაკა მას ხელიდან არ უშვებდა და ხე-ტყეს ისე არიგებდა, მმართველს არაფერს ეკითხებოდა.

გოდერძი არა თუ არ ერეოდა ამ საქმეში, არამედ არც კი წარმოედგინა, რომ საკითხი იმის შესახებ, ვისთვის რა მიეცა, იმდენად მნიშვნელოვანი, იმდენად სარფიანი იყო და, რომ ისაკას იგი ასე დიდად უღირდა...

ბოლოდროინდელმა ნერვიულმა დაძაბვამ შესამჩნევად იმოქმედა გოდერძიზე. იგი როგორღაც უმოძრაო გახდა. შევიდოდა თუ არა თავის კაბინეტში, სავარძელში ჩაეშვებოდა და ხანდახან მთელ დღეს ისე დაალამებდა, ერთხელაც არ წამოდგებოდა. აღარც მორებზე შესკუპებულა, აღარც მტკერისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცქერია, ერთთავად ოთახში იჯდა, გეგონება, უცხო თვალს ერიდებაო.

ბაზის ეზოში კი განუწყვეტელი გნიასი იდგა და ადრიანი დილიდან გვიან საღამომდე მომსვლელ-წამსვლელის ყაყანი გაისმოდა.

ყველა ხმას ისევ სერგოს ხავილა ხმა ფარავდა: — „მიშაა! შე ჩემი ცოდვით სავსე, სად დაიკარგე“; „ბაგრატ, შენ მიეწიე მამაშენს, ხომ გითხარით აქ დააწყე-მეთქი“...

მეორეჯერ მოსული ხე-ტყეც რომ გაასაღეს, ისაკა კვლავ ქაღალდებს ჩაუჯდა და ისევ ააჩხაკუნა თავისი საანგარიშო. ორშაბათ საღამოს კი ისევ ფრთხილად შეიწმახნა გოდერძის კაბინეტში და გაზეთში გახვეული შეკვრა, იმავე სიტყვებით, ხაწერ მაგიდაზე დაუდო.

— ეხა, შენი წილია, კეთილად მოგხმარებოდეს...

ბაზის მმართველი ამჯერად უფრო დინჯად შეხვდა საკმაოდ მძიმე შეკვრას; ისე გველნაკბენივით აღარ გადაქანებულა სკამზე, როგორც პირველად. უჯრა გამოაღო, შეკვრას სწვდა, შიგ ჩაუძახა. არც სახეზე წამოწითლებულა, არც იმდღევანდელივით აჰკანკალებია ხელები.

ისაკა კმაყოფილი იყო.

გვიან ღამით, დასაძინებლად რომ ემზადებოდნენ, მალალომ დიდი ტაშტით მდუღარე შემოიტანა, გოდერძისათვის წყალში ფეხები უნდა ჩაეყრევინებინა, ასე ყავდა ქმარი დაჩვეული, უამისოდ ვერ დაიძინებდა.

ფეხშიშველა, საცვლების ამარა გოდერძი, ლოგინზე იჯდა და ფეხის თითებს ათამაშებდა...

მოულოდნელად კარზე დააკაკუნეს.

— ვინ უნდა იყოს ასე გვიანობისას? — გაიოცა მალალომ.

ზღურბლზე ისაკა დანდლიშვილი იდგა.

გოდერძის გული გადაუქანდა.. ბუღალტერს თვალები დააშტერა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო...

— მეც რომ ასეთი მზრუნველი ცოლი მყავდეს, რა მომკლავდა. — დაკრიჭა თავისი ჭიანი კბილები ისაკამ.

— შენა, ასე ამბობენ, ბარე სამი გყავსო. — დაურიდებლად მიახალა მალალომ.

— ვინ დამითვალა, ნათლიდედ, [illegible] მეტიცა მყავს? — ისევ გაიკრიჭა ისაკა. იგი აშკარად კარგ ხასიათზე იყო.

გოდერძის გულზე მოეშვა.

— ასე გვიან რაზე გარჯილხარ?

— საქმემ, უფროსო, გვიან და ადრე არ იცის. როცა თავს გაგახსენებს, მაშინვე უნდა მიხედო. იცოდე, მეორე გახსენებაზე ნახევარი საქმისა უკვე დაკარგულია, მესამე გახსენებაზე კი, მთელი საქმე ხელიდან წასული.

მალალო მიხვდა, რომ მოსულს ქმართან მარტო დარჩენა სურდა, ტაშტს ხელი დაავლო და ოთახიდან გავიდა.

—როგორა გგონია უფროსო, — ისაკამ გოდერძის თვალები დააშტერა,— ის ორი პარტია რომ მივიღეთ მასალებისა, ვახტანგ პეტროვიჩმა არაფერი იცის? ან ის ხალხი და ავტომანქანები რომ მოგვაშველა, არაფრად არ უღირს? ან რომ „ობეხეესი“, მილიცია, სახალხო კონტროლი და ათასი დარდუბალა რომ არ გვაწუხებს, ეს შენი ხათრითა ხდება?... ხოოოდა, სიკეთესა სიკეთით უნდა უპასუხო. მაშ როგორ გინდა!? ჩვენ რომ ვხეირობთ განა სხვას არ უნდა? ხომ გაგიგია ყველაზე ბრძნული ანდაზა, რომელიც კი ოდესმე ხალხს გამოუგონია: თვითონაც ჭამე, სხვასაც აჭამეო... ძველადაც ასე იყო, ახლაც ასეა. მაშ როგორ გინდა? მარტო იცი ვინა ჭამს? ჩვენც ხომ იმ ღორებს ვერ დავემგვანებით? რახან ადამიანები ვართ, ადამიანურად უნდა მოვიქცეთ. მაშ როგორ გინდა, უფროსო? თქვი, ასე არ არის?

— მოკლედ მოსჭერი, ლათაიებს მოუკვდა პატრონი! — ყრუდ ამოსთქვა გოდერძიმ.

— მოკლედ, აი, ეს, — ისაკამ უბის ორივე ჯიბიდან ორი მოზრდილი შეკვრა ამოიღო, — ვახტან პეტროვიჩს უნდა მიართვა.

— მეეე?..

— ხო, შენა, აბა მეე! რახან დაწესებულების ხელმძღვანელი შენა ბრძანდები, ეგ საქმეც შენ უნდა იკისრო; მაშ, როგორ გინდა, ეგა შენი მოვალეობაა, დიაღაც!

— არა, ძმაო, მე მაგის მიმცემი არა ვარ!

— ვაჰ, უყურე ერთი ამახა, მიმცემი არ არის!!.. ამღები ხომ ხარ? ვისაც აღება უყ-

ვარს, მიცემაც უნდა შეეძლოს. მაშ როგორ გინდა!

— ისაკ, კაცი დავბერდი და ქრთამი ჩემი ხელით არავისთვის მიმიცია. ახლა როგორ მივცე? მერე ისიც ვახტანგ პეტროვიჩს, რო მომიბრუნდეს და შემარცხვინოს?..

— ვაჰ, აბა შენა ყოფილხარ! ფული მიგაქვს და შემოგიტრიალდება? საიდან ჩამოხვედი, მთვარიდან?

— არა, არა, ისევ შენ მიეცი, მე ვერ ვიზამ!

— უფროსო, იმასთანა მე ჩემი ანგარიშები მაქვს. მე რომ ეს მივცე, იფიქრებს ისევ იმისა არისო, ესე იგი სხვა საქმისა, გაიგე? ეს ჩვენი საერთო მისაცემი კი ისევ მისაცემი დაგვრჩება. გაიგე, კაცო, ნუ დახლართავ ყველაფერსა!..

— ოჰო, ჰო, ჰო, რა ძნელი საქმეა, კაცოუ, კაცსა თვალებში უნდა უყურო და ისე მისცე...

— ვაჰ, თვალებში უნდა უყურო, აბა, მაშ სადა? ანდა შენ რისი უნდა გრცხვენოდეს, ის იღებს, შენ ხომ არა?.. დამიგდე ყური: ვახტანგ პეტროვიჩი ჭკვიანი კაცია, თვითონ შეგიმსუბუქებს საქმესა. აი, მიდი, მიიტანე და ნახე, რა ადვილად გაიჩალხება ყველაფერი. ალბათ, თვითონვე გაგიღებს უჯრასა და შენც მაშინვე უჯრაში ჩაუდე, სწორედ ისე, როგორც შენსას იდებ ხოლმე...

მეორე დღის დამლევს, გოდერძი ვახტანგ პეტროვიჩის ლამაზად მოპირკეთებულ მოსაცდელში იჯდა.

ბოლო დროს რაიკომის შენობამ შესამჩნევად იცვალა ფერი. გარედან კოხტად შეაბათქაშეს, პირველი სართულის კედლები თეძამის ტუფით მოაპირკეთეს, ზემოდან კიდევ ერთი სართული დაადგეს და კარფანჯრებიც მოდურ ყაიდისა ჩაუსვეს. შიგნიდან ხომ კიდევ უფრო კოხტად გამართეს. ახალმა ხელმძღვანელმა კიბეებზე წითელი ფიანდაზები დააგებინა, კედლებზე მუხის მოჩუქურთმებული და მოპრიალებული ფიცრებიააკვრევინა, კორიდორები დღის სინათლის ლამპიონებით გააშუქა, თვალსაჩინო ადგილებში ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და რაიონის მოწინავე ადამიანთა სურათები დააკიდებინა.

გოდერძი ყურადღებით ათვალიერებდა ვახტანგ პეტროვიჩის ორგანიზატორული საქმიანობის თვალსაჩინო შედეგებს. დრო და დრო თვალს თავისი განიერი შარვლის ღრმა ჯიბეებისაკენ გააპარებდა, უნდოდა შეეტყო შესამჩნევად ხომ არ გამობერილიყო გაზეთში გახვეული ორი შეკვრა, აქეთ-იქით რომ ჰქონდა ჩაწყობილი.

ვახტანგ პეტროვიჩმა დიდხანს ალოდინა. სანამ ყველა არ გაისტუმრა, არ შეიპატიჟა. როგორც იქნა, როდის, როდის, ლამაზმა მდივანმა ქალმა კარები ფართოდ გაუღო და ზრდილობიანად უთხრა:

— ვახტანგ პეტროვიჩი გთხოვთ!..

ვეებერთელა კაბინეტში, ვეებერთელავე საწერ მაგიდას ვახტანგ პეტროვიჩი უჯდა.

თავაზიანად წამოდგა, ხელი ჩამოართვა, მოიკითხა, დაჯდომა შესთავაზა.

გოდერძის გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა, მდივნის შეკითხვებზე მოკლედ პასუხობდა და სულ იმას ელოდა, როდის გამოაღებდა მდივანი უჯრას. მაგრამ იგი არა ჩქარობდა.

მდივანმა ბაზის საქმეები გამოკითხა, მასალის რეალიზაციის გეგმის შესრულებით დაინტერესდა, კიდევ რაღაცეები ჰკითხა, მერე კი... ხელი მარჯვენა ზედა უჯრისაკენ წაიღო და ნელა გამოსწია...

უჯრის კუთხეში გოდერძიმ თვალი მოჰკრა სიგარეტის კოლოფს და ზედ დადებულ ყვითელ სანთებელს. მეტი არაფერი დაუნახავს, თვალებზე თითქოს ლიბრი გადაეკრაო, და სწორედ იმ წუთში როცა ვახტანგ პეტროვიჩმა სიგარეტი და სანთებელა უჯრიდან ამოიღო, გოდერძი სწრაფად წამოხტა, ჯიბეებიდან ფაციფუცით შეკვრები ამოიგლიჯა, მდივანს უჯრაში ჩაუყარა და თავის ხელითვე ისე სწრაფად მიუკეტა, კინაღამ თითები მოაწეწკვა.

ვახტანგ პეტროვიჩმა აშკარა გაოცებით ახედა გოდერძის და კარგა ხანს დაკვირვებით შესცქეროდა.

— ეს რა არის? — მოკლედ, რაღაც უცხო ხმით იკითხა მან.

იმ შემთხვევიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგაც გოდერძის ვერაფრით ვერ გაეგო, საიდან მოადგა მაშინ ენაზე ის სიტყვები:

— ხელის ჭუჭყია, თქვენი ჭირიმე.— იმდენი ხარჯი გაქვთ, ჩვენა კიდევა ისე გვიყვარხართ, რომა...

ვახტანგ პეტროვიჩმა კიდევ უფრო მეტი დაკვირვებით ჩახედა თვალებში და დიდხანს ბურღა თავისი გამჭოლი მზერით, რომელიც დრო და დრო მეტად მძიმე ჰქონდა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

სიგარეტი თითებით დაზილა და დინჯად გააბოლა...

გოდერძი გაქვავებულივით იჯდა და ისე შესცქეროდა ვახტანგ პეტროვიჩს, როგორც ბრალდებული მოსამართლეს, როცა მას სიკვდილის განაჩენს უკითხავენ.

მდივანი ეტყობა რაღაცას იაზრებდა.

გოდერძის ისე მოეჩვენა, თითქოს ვახტანგ პეტროვიჩი, ყოყმანობდა კიდეც.

მაგრამ, რადგან ასეთ ყოჩაღ და გამბედავ ხალხს ყოყმანი დიდხანს არა სჩვევია, ვახტანგ პეტროვიჩმაც ეტყობა საკითხი გუნებაში ადვილად გადაწყვიტა. ყავისფერზოლებიანი ცხვირსახოცი ამოიღო, მელოტ კეფაზე დინჯად გადაისვა და გოდერძის გაუღიმა...

— იმ დღესა, ძალიან პურმარილი გაგვიშალე... ჩვენც ძალიან მოვილხინეთ. ოჰ-ჰოჰო, რა ღვინის დაყენება გცოდნია! იმისი გემო ახლაც პირში მაქვს.

— ის ღვინო კიდევ ბლომად მაქვს, თუ გვეკადრებ...

— სიამოვნებით, ერთი შეძახილი და, — შენთან გავჩნდებით...

— ცოტა ხანში ჩემი ბიჭი უნდა ჩამოვიდეს, უნივერსიტეტს ამთავრებს და თუ დამილოცავ...

— კეთილი და პატიოსანი, შემატყობინე, აუცილებლად გეწვევი. — ღიმილით თქვა ვახტანგ პეტროვიჩმა, წამოდგა, ხელი მაგრად ჩამოართვა და კარებამდე მიაცილა.

გოდერძის აღარ ახსოვდა როგორ გამოვიდა იმ გრძელი კაბინეტიდან.

მხოლოდ ერთი გრძნობაღა დაჰპატრონებოდა მთელ მის არსებას, გრძნობა კმაყოფილებისა.

საოცრად მსუბუქად ეჩვენა თავისი ღონიერი სხეულიც და ყველა ის სიძნელეც, რომელსაც ამიერიდან შესაძლოა გადაჰყროდა. რაღაც სიამაყესაც კი განიცდიდა, რომ ის ძნელი საქმე ასე ადვილად მოითავა.

ფრენა-ფრენით მიდიოდა სახლისაკენ და უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, წინ ისაკა აესვეტა.

— რა ჰქენი, მიეცი? — ოდნავ შემცბარმა ჰკითხა მან.

—ძაან ღვთისნიერი კაცი ყოფილა, ერთი კარგი პურმარილი კიდევ უნდა გავუშალო...

— მიეცი? — ხმადაბლა, მაგრამ დაჟინებით გაუმეორა ისაკამ.

— მაშ არა და ვუხათრებდი, შიგ უჯრაში ჩავუდე...

— ვაჰ, — აღმოხდა ისაკას.

— გამოაღო თუ არა უჯრა, მაშინვე ვთხლიშე!

— ვააააჰ! — კიდევ აღმოხდა ისაკას. მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, სადავემოწეულივით შეჩერდა, გოდერძის ეჭვის თვალით დააცქერდა, წამით ასე გაშტერებული იდგა, მერე გეგონება გონს მოეგოო, მკლავებზე ხელი წაავლო და აღტაცებით მიაძახა:

— ყოჩაღ! — ხელისგულები მოისრისა და გახარებულმა დაიყოლა: — ეგეც ეგრე, ეგეც მოვტეხეთ!.. ცოტა გული კი მეთანაღრებოდა, — გამოტყდა ისაკა, მაგრამ ის კი დამალა, რომ არა თუ ეთანაღრებოდა, ძალიანაც ეშინოდა, რადგან დანამდვილებით არ იცოდა, როგორ შეხვდებოდა ამ საოცარ ნაბიჯს ვახტანგ პეტროვიჩი.

მართალია, თავის ამფსონთაგან გაგონილი ჰქონდა, ვახტანგ პეტროვიჩი „შიგა და შიგ იღებსო“, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ ჭორი იყო და აი, ახლა, ამ ბოთე გოდერძიმ ჭორად გაგონილი სინამდვილედ აქცია!

— ყოჩაღ! — გაიმეორა მან და დაჯერებით დაიყოლა: — შენ თუ კვლავ ეგრე ივარგე, ძალიან წინ წახვალ, ჩემმა მზემ!..

მართლაც ძალიან „წინ წავიდა“ გოდერძი ზენკლიშვილი.

იმ სამახსოვრო დღის შემდეგ, მრავალჯერ ჩამოდგა რკინიგზის სადგურზე „ლესსტროიტორგის“ სამების ბაზის სახელზე გამოგზავნილი დალუქული ვაგონები. მრავალჯერ აივსო მაღალით და მრავალჯერ სწრაფად დაცალიერდა „გოდერძის საწყობი“.

მრავალჯერ შეიტანა ისაკამ გაზეთში გახვეული შეკვრები ბაზის მმართველთან, მმართველმა კი ვახტანგ პეტროვიჩთან...

მიეჩვია გოდერძი ზენკლიშვილი „აღე-

ბასაც“ და „გაცემასაც“, აღარ ეუხერხულებოდა, აღარც სინდისი ქენჯნიდა.

— თუ, ამას ვახტანგ პეტროვიჩი არა თაკილობს, თუ ყველგან ასე ხდება, მაშ ჩვენ რატომღა უნდა ვიყოთ თეთრი ყვავები? — თავს ინუგეშებდა ხოლმე გოდერძი, როცა თავის საქმიანობაზე ჩაფიქრდებოდა.

„ყველგან“ რომ ასე არა ყოფილიყო, განა ამდენ ვაგონს გამოუგზავნიდნენ, ისიც ნახევარფასში? და მერე როგორ მასალას, სულ თაფლივითაა, რომ უყურებ, შეჭმა გინდა, კოჭი კოჭსა ჯობია, ფიცარი — ფიცარს.

ცოტა ხანში დიდძალი ფული დააგროვა გოდერძი ზენკლიშვილმა. სახლში მიიტანდა და ცოლს ჩააბარებდა ხოლმე.

მალალო ვიშვიშებდა, შეშინებული შეჰყურებდა ამაყად მდგარ ქმარს, მაგრამ შეკვრას მაინც ართმევდა და სადღაც მიჰქონდა. გოდერძიმ იცოდა, რომ მას სხვენში სამალავი ჰქონდა გაკეთებული. იქ ბუხრის საკვამურის ორი აგური მორყეულიყო და ფულს იმათ უკან ინახავდა.

როცა გოდერძიმ მეტისმეტად მოუხშირა გაზეთში გახვეული დასტებით სახლში დაბრუნება, იფიქრა, ცოლი არ შემიშინდესო და გადაწყვიტა ახლა თვითონ დაეწყო ფულის გადამალვა, თანაც ისე, რომ მალალოს არაფერი ცოდნოდა. ამან მართლაც დააშოშმინა მალალო, ქალმა იფიქრა — შეწყვიტა ქმარმა სახლში დინამიტის ზიდვაო...

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და გოდერძი უფრო მეტად დამშვიდდა, გული მოიცა. ძველებურად აღარ უფრთხოდა ფულის აღებას. პირიქით, მეტის დაგროვების სურვილიც კი აღეძრა. დაუგვიანებდა თუ არა ისაკა შეკვრის მირთმევას, გოდერძი თვითონ აგრძნობინებდა ხოლმე ვადის გასვლას. გარეგნულადაც იცვალა ფერი, კიდევ უფრო ჩაკურატდა, რიხიც შესამჩნევად მოემატა.

რევიზორებს ისაკა დანდლიშვილის წყალობით ადვილად იგერიებდა. როცა დასაკონტროლებლად გამოგზავნილი კომისიები შემოწმებას დაამთავრებდნენ, ისაკა მათ ცალკე გაიხმობდა, მოკლედ წაელაპარაკებოდა და პირმცინარე რევიზორები გოდერძისთან პირმოთნეობას იწყებდნენ, წესრიგს უქებდნენ და მანქანაზე დაბეჭდილ აქტს მაგიდაზე ხელმოსაწერად უდებდნენ.

გოდერძი მხოლოდ ერთხელ შეავლებდა თვალს მორთმეულ ფურცლებს, მათ [illegible]ვით თავს არ იწუხებდა.

— „ხომ რიგზეა ყველაფერი?“ — შეეკითხებოდა ხოლმე იგი ისაკას და როცა გაფხორილი ბუღალტერი თანხმობის ნიშნად თავს დააქნევდა, აქტზე ხელს მოუწერდა.

ისაკა კი ისევ ის ისაკა იყო, არც წონაში მოუმატია, არც გარეგნულად გამოცვლილა. კვლავ ის რუხმოყავისფერო კოსტუმი ეცვა, გვარიანად დალაქავებულ-დაჭმუჭნილი, თავზე კი იგივე გახუნებულ-გაცრეცილი მწვანე შლაპა ეხურა, ოფლისაგან დამჩნეული მოყვითალო ზოლით.

მართალია, ბოლო ხანებში გოდერძი ადმინისტრაციულად გაფხიანდა, მმართველობის ეშხში შევიდა და ისაკაც გვარიანად „მოთოკა“, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად; ნართალია ბარათებს ახლა თვითონ გოდერძი იღებდა, მასალებსაც თვითონ ანაწილებდა, მაგრამ საქმის ნამდვილი ბატონპატრონი ისევ ისაკა გახლდათ.

— „დაე, ანაწილოს, ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის სულ ერთია, ვინ იყიდის მასალას და ვინ არა. მთავარია, — ფული შემოდიოდეს. სახელი მაგისა იყოს, კიდეც უკეთესია, სახრავი, მაინც ჩემი იქნება. — იმშვიდებდა გულს ბაზის ბუღალტერი, რომელიც მარტო ანგარებიანი კი არა, ფრიად პატივმოყვარეც აღმოჩნდა.

დრო და დრო ისაკა, გოდერძის „დამუშავებას“ განაგრძობდა.

გაზაფხულსა და შემოდგომით, როცა მზე ალერსიანი და უწყინარი ხდებოდა, როცა ბაზის მმართველს მზით შემთბარ მორებზე უყვარდა ჯდომა, თან ვერცხლისფრად მბზინავი მტკვრისთვის დიდხნობით ცქერა, ისაკაც გვერდით მოუჯდებოდა და ისე წაიყვანდა ხოლმე საუბარს, რომ სიტყვას აუცილებლად ცნობილ თბილისელ საქმოსნებზე ჩამოაგდებდა. თვალებდაწყლიანებული, ნერწყვმომდგარი, აჩქარებითა და დაუფარავი ინტერესით მოუთხრობდა იგი თავის უფროსს მათ შესახებ, ვინც „მილიონებს ატრიალებდა“.

პირდაპირ საკვირველი იყო, საიდან იცოდა ისაკამ ამდენი რამ მათ შესახებ, ანდა

როგორ იმახსოვრებდა ამდენ სახელებს, რიცხვებს, წვრილმანებს.

მთავარი ბუღალტრის შეგონებებს არც ეროვნულ-პატრიოტული ძარღვი აკლდა.

უყვარდა ისაკ დანდლიშვილს საქართველოს საჭიროებაზე ლაპარაკი, რესპუბლიკური და მსოფლიო მასშტაბებით მსჯელობა. ასეთ წუთებში ენაწყლიანი ბუღალტერი ვახტანგ პეტროვიჩის, სამების, თუ „ლესსტროიტორგის“ კანტორის გამოცდილებას მთელს ქვეყანაზე ავრცელებდა, ფართო განზოგადებებს მიმართავდა და ახალი „პროგრესული“ ეკონომიკური კანონები გამოჰყავდა, — ინდივიდუალური ინიციატივის სტიმულიაციით, წახალისების ახალი ეკონომიური ფორმების მოშველიებით, ადამიანთა მეტი დაინტერესებით, მეწარმოეობისათვის მეტი თავისუფლების მიცემით.

— აი, კაცო, შეხედე — უმარტავდა იგი გოდერძის, — რა ძალა ჰქონია კერძო ინიციატივას. ტყუილად კი არააყვავა მაგანა მთელი ქვეყანა. კაპიტალიზმი რომ არა ყოფილიყო, სოციალიზმიც ხომ არ იქნებოდა? მაგრამ კაპიტალიზმი რამ წარმოშვა? რამა და კერძო ინიციატივამ. მაშასადამე, კაცმა რომ სთქვას, ეგა, — ესე იგი კერძო ინიციატივა, — ჩვენი წყობილების პაპაა, და ხომ იცი, პაპის სისხლსა რა ძალაცა აქვს შვილიშვილისათვის, ერიჰაა, იმ დალოცვილ სტალინსა კერძო ინიციატივა აგრერიგ ძირში რომ არ ჩაეკლა, ახლა ორჯერ წინ ვიქნებოდით!..

აიღე, მაგალითადა ჩვენი საქმე; ომი მოვიგეთ, წელშიც გავიმართეთ, ახლა ხალხს რა უნდა? რა და კარგი ცხოვრება. კარგი ცხოვრება კი საიდან იწყება; საიდან და კარგი სახლიდან! მაშასადამე, სახლებს შენება უნდა. მაგრამ მასალები? მასალები — იოხტურ!

აი, ამ ცოდვის კითხვისას გამოჩნდებიან ჩემნაირი, ან შენნაირი ინიციატივიანი კაცები და მასალებს შოულობენ! განა ეს ცუდი საქმეა? განა ეს დანაშაულია? ამიხსენი, კაცო, რად არის ეს დანაშაული? მე ხომ არავის არ ვართმევ, არცა ვპარავ, ნორმის ზევით ვიღებ. საიდან? — იქიდან, სადაც ერთი ხის მაგიერ ჩემნაირი ინიციატივიანი ადამიანები ორსა და სამსა ჭრიან, ესე იგი ნორმას ორმაგად ასრულებენ, თავის ჯანს ზედ ალევენ, რომ ცოტა რამე იშოვონ. არ მითხრა, ახლა, სახალხო ქონებას ანიავებენო. ვითომ რად ანიავებენ? ქარს ხომ არ ატანენ, ხომ არა წვავენ, წყალში ხომ არა ყრიან, — ისევ ხალხს არ უბრუნებენ?..

აიღე ჩვენი ბაზის ამბავი; მთელი შუა ქართლი უმასალოდ იყო. ხალხსა შენება უნდა, მაგრამ მასალები არ არის. მასალები იოხტურ! რაც ლიმიტით მოდის, ისა სახელმწიფო მშენებლობასაც არა ჰყოფნის. ჩვენ კიდევა, ჩვენ, — ესე იგი, ინიციატივიანმა ხალხმა, საქართველოს ლიმიტს ზემოთ, საქართველოს ფარგლებს გაღმიდან, ჩვენივე ინიციატივით ნაშოვნი მასალები ჩამოვზიდეთ და ჩვენსავე ხალხს მივყიდეთ. ამით მთელი ხუთი, თუ ექვსი რაიონის მშრომელთა მადლი მოვისხით, ქართველი ხალხის ცხოვრების პირობები გავაუმჯობესეთ, განა ეს ცუდია, განა ეს დანაშაულია, განა, ეს დასაძრახია?

რაც მთელს ჩვენს რესპუბლიკას ლიმიტით ხე-ტყე ერგებოდა, იმაზე მეტი მარტო ერთმა ჩვენმა ბაზამ მიიღო! კიდევ რომ რამდენიმე ასეთი ბაზა ყოფილიყო, ხომ აშენდებოდა საქართველო? თუ სხვა რესპუბლიკები შენდებიან, ჩვენ რატომ არ უნდა ავშენდეთ?.. შუა აზიაში არც ერთი ევროპული ქალაქი არ იყო, ახლა წადი, ნახე, რა ქალაქები ააგეს. ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ?

ამას წინათ, დაღესტანში მიწისძვრა მოხდა. ახლახან კიდევა ტაშკენტი დაინგრა და მთელი მასალები იმათ გადასცეს. ამის გამო ჩვენთან მშენებლობა შეფერხდა. განა ეს კარგია? ჩვენ კიდევა ლიმიტის ზევით, გეგმის ზევით, მასალებს ვშოულობთ. ჩვენ, პატარა ადამიანებს, რიგითი მუშაკებს რო ეძახიან, შეგვიძლიან შოვნაცა და ჩამოტანაც. განა ეს დასაძრახია? ვიცი, იმას მკითხავ, საიდან ჩამოგაქვთო. საიდან და მწარმოებლებს ვაინტერესებთ. ამ დაინტერესების გამო ისინიც იმაზე მეტს აწარმოებენ, რაც გეგმით ეკუთვნით, გეგმასაც ასრულებენ და რასაც ჩვენა ვთხოვთ, იმასაც. აი, ამას ჰქვია კერძო ინიციატივა! ყველაფერი დაინტერესებაა!! ინტერესი თუ არ არის, სიცოცხლე-სიცოცხლედ არა ღირს. ინტერესი თუ არ იქნა არც საქმე გამოვა, არც ქვეყანა აშენ-

დება, არც ხალხი გაძღება. ფართი-ფურთი იქნება, ლაილაი იქნება, ტრაბახი იქნება, გაზეთებში მოწინავეები იქნება, შედეგი კი არ იქნება! გაიგე კაცო?

... წადი ახლა და თქვი, რომ ჩვენ ბოროტმოქმედები, კომბინატორები, საქმოსნები, წამგლეჯები ვართ. მართლაც ასეა ესა? — არა! პირიქითა, უფროსოჯან, პირიქითა. ჩვენა ხალხსა გასუქების საშუალებას ვაძლევთ და სახელმწიფოსაც სარგებლობას ვაძლევთ, ცხოვრებას ვაჩანჩქერებთ, რომ სულ მდორედ არა დიოდეს და ვაჭრობასაც ვაცხოველებთ, რადგან ვაჭრობის გარეშე ვერც სოციალიზმი დამყარდება და ვერც კომუნიზმი.

აი, ვახტანგ პეტროვიჩსა ესმის ეს ამბავი. გამოცდილი, ცხოვრებაში ჩახედული კაცია და ამიტომ ხაზიც სწორად უჭირავს. ასეა, უფროსო, ინიციატივა უნდა წაათამამო, თუ გინდა რომ საქმე გამოვიდეს. მერე რა, რომ ორიოდე კაცი ცოტა ხელს! მოითბობს და სხვაზე მეტად გასუქდება? აბა, მაშ როგორ გინდა? როცა სხვასა სძინავს ან ქეიფობს, მე სულ საქმეზე ვფიქრობ და ვირივით ვმუშაობ. მაშ ხეირი არ უნდა მქონდეს? თუ არ მექნა, მაშინ არც ვიმუშავებ და თუ მე არ ვიმუშავე, შენ არ იმუშავე, იმან არ იმუშავა, საქმე თავისთავად გაკეთდება?

მუშაობას, უფროსოჯან, მე იმას კი არ ვეძახი, ზოგიერთი რომ დადის სამსახურში და ტყუილა-უბრალოდ ზის, დრო გაჰყავს, ჯამაგირს მუქთად იღებს! არა, მუშაობა ის არის, რასაც ფული მოჰყვება! მარტო ჯდომა ან მარტო მოძრაობა საქმეს რომ შველოდეს, ყოველი კუტი ან ყოველი პეპელა დავით აღმაშენებელი იქნებოდა. გაიგე, კაცო, გაიგე რაღა, სად მარხია ძაღლის თავი. ცხოვრება ფულშია, საქმე ფულშია, სიხარული ფულშია, მაგის დედაც ავატირე მე...

მერე, კაცო, ცოტა საქართველოსაც ხომ უნდა მივხედოთ? ყველაფერი რომ ტაშკენტსა და დაღესტანში გააგზავნონ, ჩვენ რაღა? აი, ჩვენისთანა ხალხი, ესე იგი ჩემნაირი ინიციტივიანი ხალხი კი დოვლათს ადგილობრივ აგროვებს. განა ეს საქმე არ არის? განა ეს ცუდია? როცა დოვლათი დატრიალდება, ბავშვებიც კარგები გაიზრდებიან, კარგი კვება, კარგი აღზრდა, კარგი წყალი, — ეს მუსიკაო, ეს ენებიო და ბავშვებს [illegible]თები დადგებიან, შენი მოწონებული.

აი, მაგალითად, შენმა შვილმა ენები იცის? — იცის. ჩემებმა? — არა. ესე იგი მუნჯები არიან. და განა მუნჯი ბავშვი ცხოვრებაში ივარგებს? მაგრამ რატომ არიან ჩემი ქალები მუნჯი? იმიტომ, რომ სიღარიბეში გაიზარდნენ. ძველად რომ სიღარიბეში იზრდებოდნენ, ისა, სხვა საქმე იყო. მაშინ ხალხსა უჭირდა. ღარიბი უფრო მეტი იყო მდიდარზედა. ახლა? ახლა პირიქით არის, ამიტომ, ბავშვი თუ ღარიბად ცხოვრობს, აუცილებლად დაიჩაგრება. ახლა, სხვა მოთხოვნებია. მოთხოვნებს კი საფანელი უნდა, საფანელს კიდევ შოვნა უნდა.

ასეთ წუთებში გოდერძი მთელი თავისი გამჭრიახობის მოშველიებას ცდილობდა, რათა ყოველივე ზუსტად აერწყო და როგორც ისაკას უყვარდა თქმა, „სიტუაციაში გარკვეულიყო“, მაგრამ ეს არც ისეთი ადვილი საქმე აღმოჩნდა...

ცხოვრება რომ ძნელი იყო, ეს ადრევეც იცოდა. საკუთარ თავზე ჰქონდა გოდერძის მისი საბედისწერო კლანჭები გამოცდილი. მაგრამ მაშინ უბრალოდ უფრთხოდა, გაურბოდა მას და ეს საკმარისი იყო ხოლმე. ახლა კი ისეთი დრო დადგა, ვეღარც გაექცევი და ვეღარც დაემალები, — ლომის ხახაში ხარ პირდაპირ მიცემული.

აქ კიდევ ეს წყეული ისაკა უმღვრევს გუნებასაც და ცხოვრებასაც. ჯერ იყო და, შარში გახვია, სასხლეტ ბილიკზე შეაყენა, ახლა კიდევ ,ისეთ კითხვებზე ითხოვს პასუხს, რაზედაც გოდერძის თავის დღეში არ უფიქრია.

გოდერძი გუმანით გრძნობდა, რომ საქმე ისე არ იყო, როგორც ამას ისაკა დანდლიშვილი ხატავდა, მაგრამ ზოგიერთ რაღაცეებში ეტყობა არც ისაკა ტყუოდა. მართლაც, თუ ხალხს ასარგებლებ და ამით არავის არაფერი დაუშავდება, — არც სახელმწიფოს, და არც ადამიანებს, — მაშინ, რატომღა უნდა იყვნენ ამის წინააღმდეგი?

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამ საკითხებზე, მით უფრო ერეოდა თავგზა. ათასნაირი ფიქრები კრაზანებივით ეხვეოდნენ და მწარედ კბენდნენ. როცა ასეთ დღეში იყო, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაო საკითხს ყოველთვის მარტივად წყვეტდა: — „რაც არის არის. ჯერ ასე იყოს, მერმინდელი კი მერმე გამოჩნდება“.

დრო გარბოდა, ვაგონებს კი კვლავინდებურად ზუსტად და დაუგვიანებლად უგზავნიდნენ.

ისაკაც ისევ ისე ანგარიშობდა, გაზეთში გახვეულ შეკვრებს ბაზის მმართველს მაგიდაზე უწყობდა. გოდერძის ნაწილი სახლში მიჰქონდა, ნაწილსაც ვახტანგ პეტროვიჩს აძლევდა.

ყოველივე ერთხელ დაკანონებული გზით მიდიოდა და მცირეოდენ შიშთან ერთად, დიდ სიხარულსაც შობდა.

დრო და დრო, როცა შიში ბაზის მმართველს მეტისმეტად მოეძალებოდა, დააძაბუნებდა, ძვალ-რბილში გაატანდა და გულს აუთრთოლებდა, იგი მტკიცედ გადაწყვეტდა ხოლმე ბაზიდან წასვლას.

გამოსავალი ერთია, — ფიქრობდა ასეთ წუთებში გოდერძი, — უნდა დავანებო თავი ამ წყეულ ბაზას. რაც იყო, იყო. უნდა შევეხვეწო ვახტანგ პეტროვიჩს სადმე სხვაგან გადამიყვანოს. აქ მეტი ყოფნა აღარ შეიძლება. იცოცხლე, კარგი ადგილია, მაგრამ ჰეი, გოდერძი ზენკლიშვილო, სძლიე სიხარბესა შენსა და ცხონდები. თუ არა და ვერ გადაურჩები ხვედრსა მწარეს.

ასეთი ავი ფიქრები განსაკუთრებით ღამით ესტუმრებოდნენ ხოლმე.

გულგამაწვრილებელი სიჩუმე, უკუნეთი სიბნელე, ძაღლების ყეფა და ღამეული მატარებლების რაკი-რუკი, შორიდან რომ მოისმოდა, ძილს უფრთხობდა, გულს უდარდიანებდა, გუნებას უმღვრევდა.

მაგრამ როგორც კი ინათებდა და გაბაცებულ ცას, მტრედისფერი შეეპარებოდა, გოდერძის მშფოთვარე სული თანდათან სიმშვიდეს იბრუნებდა. მაშინ ღამეულ ფიქრთაგან მარტოდენ მწველი მოგონებაღა რჩებოდა. მაშინ ბაზის დირექტორს თავისი შუაღამური ნააზრევი სიზმრისეულ აბდა-უბდად ეჩვენებოდა და მისი შავბნელი ფიქრებიც ისე უჩინარდებოდნენ, როგორც მზის სხივებით გაფანტული წყვდიადი.

დღისით ღამეული წამება მხოლოდ უბრალო მოგონებად გადაიქცეოდა ხოლმე. ამიტომ შესძაგდა გოდერძის ღამე, ამიტომაც შეიყვარა უფრო მეტად დღე.

დღისით გაუაზრებელ ცხოველურ შიშს, მხნეობა, განსჯა ენაცვლებოდა და გოდერძიც სრულიად სხვა, იმედიანი თვალით შესცქეროდა მომავალს.

დღისით, კეთილ მრჩევლად მიჩნეული რაღაც იდუმალი ხმა გამამხნევებლად ჩასჩურჩულებდა ყურში:

„რისა გეშინიან, ძველო მეტივევ და სახელოვანო მოჭიდავევ? განა არ იცი, რომ შიში წაქცევას ნიშნავს? მაშ წინდაწინ რატომღა ექცევინები? ჯერ კიდევ გაიბრძოლე, შე სახელძაღლო, ვინძლო, უფრო გაიმარჯვო. რისა გეშინიან? ჯერ საშიში არაფერია. არც საგანგაშო ჩანს რამე. განა ასეთ ადგილსა კიდევ სადმე იშოვი? რად უნდა მიატოვო? ვის დაუთმია ნებითა ოქროს ძარღვი, შენ რომ დათმო?“

გოდერძი ყურადღებით უსმენდა ამ სალბუნა ხმას და თავისი ღამეული გადაწყვეტილების შესრულებას უფრო გვიანი დროისათვის გადადებდა ხოლმე.

თვითონაც უკვირდა, თავისივე ჯიუტობა. ქონება კარგი შეიძინა, იმ სამალავს მალალომ რომ გააკეთა სხვენში, ბარემ ხუთი სხვაც წაუმატა, — ვენახში, მარანში, სარდაფში, ბოსტნის ბოლოს მდგარ ძველ საპირფარეშოში, საქათმის კედელში, — და მაინც ვერა სთმობდა საშიში შემოსავლის წყაროს.

თითქოს და რა უნდა ყოფილიყო იმაზე ადვილი, რომ ერთი პატარა განცხადება მიეცა, სხვაგან გადაყვანის თხოვნით. მაშინ ყველაფერი ადვილად ჩაიფარცხებოდა, მაგრამ... ეეჰ, — აღმოხდებოდა ხოლმე გოდერძის — ხარბი და გაუძღომელი ყოფილა მართლაც კაცის გული...

არაერთხელ უფიქრია ანდაზაზე, მის ცხონებულ სიმამრს, კაკოლას, რომ უყვარდა: „ადვილია დევთან შეყრა, მაგრამ გაყრა გაძნელდებისო“. ფულიო, — იტყოდა ხოლმე კაკოლა, — ისეთი დევია, რომელსაც ადვილად შეეჭიდები, მაგრამ ვეღარ გაეცლებიო. რა მართალი ყოფილა ის მამაცხონებული!..

ფული კი მართლაც ჩეჩქივით ჰქონდა გოდერძის.

ბოლო ოთხ წელიწადში განსაკუთრებით ბევრი დაუგროვდა.

დაუგროვდებოდა აბა, რა იქნებოდა, ხარჯვით არაფერში ხარჯავდა; ცხოვრება კი იმდენი რა უჯდებოდა. ერთადერთი გასავალი მალხაზის რჩენა იყო, მაგრამ ეს უცნაური ბიჭი ისეთი ხელმომჭირნე გამოდგა, თავისი ამხანაგები ერთ კათხა ლუდზეც კი არ დაეპატიჟნა.

გოდერძის ფულიანობას ყველა გრძნობდა. სოფელში უკვე დაუფარავად ლაპარაკობდნენ მის დიდ შეძლებაზე, ეს თვით მალხაზსაც კარგად მოეხსენებოდა.

და აი, ერთხელ, შემოდგომით, როცა დამპალმა ყავარმა წვიმა ველარ შეაკავა და გოდერძიანთ ძველთაძველ პატარა სახლში იატაკზე გუბეები დადგა, სწორედ იმ დატანებაზე სოფლად მყოფმა მალხაზმა ველარ მოითმინა:

— შენა, მამაჩემო, სოლომონ ისაკიჩივითა ხარ...

— რომელი, სოლომონივითა? — ვერ გაიგო გოდერძიმ, — აი, ბრძენს რომ ეძახდნენ?

— არა, სოლომონ მეჯღანუაშვილივითა.

— ეგ ვიღა მამაძაღლია?

— ვაჭარი იყო ერთი. ფულის დაგროვება შეეძლო, მაგრამ გამოყენება ვერა.

მავთულჩაწნული მატრახის გადაკვრასავით ემწვავა გოდერძის შვილის მწარე სიტყვა. ხმა აღარ გასცა, ვითომც ვერ მიუხვდა არაკს, მაგრამ გამოზაფხულდა თუ არა, უზარმაზარი სახლის შენება წამოიწყო ზენკლიშვილმა.

ცოტა უცნაურადაც კი მოხდა ეს ამბავი: თუ მანამდე გოდერძი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაემალა თავისი დიდი ფულიანობა, რათა ხალხი არ აელაპარაკებინა, ახლა, საკუთარი შეძლების, თვით მის მიერვე ასე ერთბაშად სააშკარაოზე გამოტანა გაკვირვებას იწვევდა. თავისი ეს საქციელი დროდადრო თვითონვე აოცებდა ბაზის მმართველს, მაგრამ არც სხვაფრივ მოქცევის ძალა ჰქონდა. ეტყობა, კაკალასი არ იყოს, ადამიანის ბუნება თუ საითმე გაიწევს, მერე თვით გონებაც კი ველარ დააოკებს...

ეს გადაწყვეტილება გოდერძის ერთბაშად როდი მიუღია. ბევრი იფიქრა და ბოლოს ხელი ჩაიქნია, რაც არი, არი, რომელშიც უნდა ვეყაროთ გომურში, ხალხი ახალ სახლებში დაბინავდა, მაგრამ არავინ არაფერს ეკითხება, რაღა მე მომკითხავენო.

ზენკლიშვილმა გული დაიმშვიდა და ისე ღონივრად შეეჭიდა საქმეს, ერთ წელიწადში ვეება სახლი წამოჭიმა, ხოლო მეორე წლის გვიანი შემოდგომით, გიორგობა დღეს „განათლა" კიდეც.

თვითონაც არ ეგონა, რომ სახლის შენება ასე ჩაითრევდა. ხანდახან მთელი კვირაობით არ დადიოდა სამუშაოზე.

ასეთ შემთხვევაში ბაზის მმართველს ისაკა ცვლიდა. ისაკ დანდლიშვილს ოდნავადაც არა აწუხებდა ზედმეტი დატვირთვა.

— ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო. შენა საქმეს მიხედე, აქაურობის დარდი ნუ გექნება, მე აქა ვარ! — ყოველთვის ერთნაირად ანუგეშებდა იგი გოდერძის, — მოგიკვდეს ისაკა, თუ რამე შეეშალოს.

და გოდერძიც აშენებდა ვეებერთელა ციხეგოდოლს. ორსართულას, ზევით ექვსი, ქვევით ოთხი ოთახით, მარან-სარდაფით, ცენტრალური გათბობით, ვეებერთელა შუშაბანდით, დაკიდული რკინის აივნებით, მოზაიკური კიბეებით, ორი საპირფარეშოთი, ვეებერთელა აუზიანი აბაზანით...

პროექტი ცნობილ არქიტექტორს გააკეთებინა. სახლზე სამასი ათასი აგური წავიდა, გადასახურავად ორი ტონა თუთიის ფურცელი დასჭირდა, ხე-ტყე და ცემენტი ხომ უთვალავი დაიხარჯა.

გოდერძი არ ძუნწობდა. არც არაფერი ენანებოდა, არც არაფერი ეძვირებოდა. კარფანჯრები თბილისში დაამზადებინა, საკეტები და სახელურები ბრინჯაოდან ჩამოასხმევინა, პარკეტი მაიკოპიდან ჩამოატანინა, ნახშირზე გამომწვარი კირი თბილისის მახლობლად, „დამპალოში", იშოვა, ოთახების შესაღებად „მალიარების" ცნობილი თბილისური ბრიგადა ჩამოიყვანა, მხატვარ მიზრახის ხელმძღვანელობით.

სახლი, მართლაც, ისეთი დიდებული გამოვიდა, ავ თვალს არ დაენახვებოდა.

საიდან არ მოდიოდნენ მის დასათვალიერებლად, მაგრამ გოდერძი და მალალო ყველას როდი ხდიდნენ მისი ნახვის ღირსად.

მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ გოდერძის სასახლეში მოხვედრა. დანარჩენებს ღობის გადაღმიდან უნდა ეჭვრიტათ ბექობზე ამაყად წამომდგარი ცემენტით შელესილი და თეთრად შეფეთქილი დიდფანჯრება შენობისათვის.

აშენებაზე მეტი დრო სახლის შიგნიდან გამართვასა და ავეჯით გაწყობას დასჭირდა.

გოდერძი ისე ჩქარობდა, გეგონება, დღეები დათვლილი ჰქონდა და უნდოდა სიკვდილისათვის დაესწრო.

ავეჯი ძვირფასზე ძვირფასი იშოვა. უამრავი ფული შეალია ამ საქმეს. პოლონური თუ იუგოსლავიური, არაბული თუ რუმინული, უნგრული თუ გერმანული იმპორტული ნივთები ისე დაახვავა, მასთან რომ შეხვიდოდი, გეგონებოდა საკომისიო მაღაზიაში მოხვდიო.

მაგრამ კრიალა და კოხტა ნივთებმა კინაღამ მალალო მოიდნეს: დილიდან საღამომდე დაბორიალობდა იგი ვეებერთელა ოთახებში და თავის ძვირფას იმპორტულ ნივთებს ხან მტვერს აცლიდა, ხან ზედაპირს უპრიალებდა, ხანაც შუშებს უწმენდდა. ნიადაგ იმის ცდაში იყო, არაფერი გაკაწრულიყო, არაფერი გამტყდარიყო, არაფერი დაზიანებულიყო.

— ლამის მომინელოს ამათმა მოვლამ. თუ მოვკვდი, ისევ ამათგან მოვკვდები. — იტყოდა ხოლმე ილაჯწართმეული დიასახლისი და რბილ სავარძელში ჩაეშვებოდა. „რა ყოფილა, ეს ოხერი: ქონება არა გაქვს და გენატრება, გაქვს და ჭირს გიჩენს“. — სულ უფრო და უფრო ხშირად ფიქრობდა იგი.

სახლის მოვლა-დასუფთავებას კიდევ როგორმე აუვიდოდა, მაგრამ ამაზე მძიმე სტუმრების მიღება-გამასპინძლება გამოდგა.

მომსვლელი კი არ ილეოდა, უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა. პირველივე დიდი წვეულებიდან დაწყებული, ოჯახის თავმა სახლის „განათლებაზე“ ბრალიან-უბრალოს რომ დაუძახა, ზენკლიაანთ ოჯახში სტუმრობა არ შეწყვეტილა.

დასაწყისში გოდერძის ეხალისებოდა კიდეც საპატიო სტუმრების მიღება. რაიონში რომელიმე სახელოვანი კაცი როცა ჩამოვიდოდა, თუ, რასაკვირველია, ვახტანგ პეტროვიჩი მისთვის სუფრის გაშლას სათანადოდ ჩასთვლიდა, აუცილებლად ზენკლიშვილებთან წაიყვანდა.

მაგათზე კარგი დახვედრა სამებაში არავინ იცისო. — ამბობდა მდივანი.

დიდებულად მორთული ბინა, ბროლითა და ფაიფურით, ვერცხლის დანა-ჩანგლითა და უცხოური სერვიზებით გაწყობილი სუფრა, ძვირფასი ჭაღებით გაბდღვრიალებული ოთახები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩამოსულ სტუმრებზე.

— ჩვენი რაიონის აქტივია. — თავმომწონედ წარუდგენდა ხოლმე ზენკლიშვილს ვახტანგ პეტროვიჩი.

მაგრამ გაუთავებელმა სტუმრობამ ცოლქმარი მალე მოჰქანცა. განსაკუთრებით მალალო იჩაგრებოდა. არ იყო ამგვარ დიასახლისობას დაჩვეული. მართალია, მამამისი, კაკოლა, დიდი ქონების პატრონი გახლდათ, სტუმარი იშვიათზე-იშვიათი იყო მის ოჯახში .

მხოლოდ შობასა და აღდგომას, მარიამობასა და ახალწლობას იცოდნენ სუფრის გაშლა შავდათუაშვილებმა. მაშინაც რამდენიმე კაცს თუ უმასპინძლდებოდნენ: სოსო მალალაშვილის ოჯახს, ოქროპირიძეანთ მღვდელს და დიდვაჭარ ყიფიანებს. ეგ იყო და ეგ.

წვრილფეხისა და ქათამ-ინდოურების ასეთი უთავბოლო ხოცვა, ამდენი ღვინის სმა, ამდენი ნაირ-ნაირი კერძების კეთება, ამდენი ხარჯის გაწევა, არავისგან არ ახსოვდა ძველ ყაიდაზე აღზრდილ მალალოს.

— მამაჩემს ჩვენი სტუმრიანობა და ხარჯი რომ ანახა, ალბათ სიმწრით საფლავში გადატრიალდებოდა — იტყოდა ხოლმე იგი.

მალალოს გასაჭირს ისიც ზრდიდა, რომ ქეიფის ეშხში შესული ვახტანგ პეტროვიჩი სუფრას ძნელად ელეოდა. ამიტომ ნადიმები ზოგჯერ გათენებამდე გრძელდებოდა. ყოველი ასეთი ქეიფის შემდეგ, მალალოს ფეხები უსივდებოდა და მეორე დღეს განძრევა აღარ შეეძლო.

— ასე თუ გასტანა, მომიდნობენ ამ ქალს, ეს ოხრები. — სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობდა შეწუხებული გოდერძი.

ერთხელ ვეღარ დაფარა თავისი ხვაშიადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაიკომის განყოფილების გამგეს, ბეჟიკო ცქვიტინიძეს გაუმხილა.

— მაშ, როგორ გინდა? — არ აცალა სიტყვის დამთავრება ბეჟიკომ.

— ბიჭოს, — იფეთქა გოდერძიმ, — როგორ მინდა, რომელია, ბევარა ხომ არ არის, ჩემი ქალი ლამისაა წელში გაწყდეს...

— ვითომ რატომ წყდება წელში? დამხმარეები გაიჩინოს, განა ცოტაა სუფთა ქალი სამებაში? აიღოს და მოიშველიოს, რა, ორი მანეთი გასამრჯელო გენანებათ?

— გაიგე, კაცო, ხარჯი კი არ მაწუხებს, და-ვი-ღა-ლეთ! არაქათი გამოგველია. აბა, შენ გაუძელი ასეთ სტუმრიანობასა!

— მაშ, როგორ გინდა? აქტივი შენა ხარ. შენი იმედი აქვს ვახტანგ პეტროვიჩსა. ამიტომ უნდა დაუფასო კიდეც.. .იმ საპატიო ხალხსა ყველასთან ხომ ვერ წაიყვანს? ზოგჯერ ისეთი ლაპარაკი მიდის, ყველამ არ უნდა იცოდეს, სახელმწიფო საქმეებსა საიდუმლოება სჭირდება, შენ კი ვენდობიან... მაშ როგორ გინდა?

— შე დალოცვილო, სხვის ხარჯზე ლაპარაკი ადვილია. აბა, თვითონ ჩადექი ასეთ ცეცხლშია...

— მე რაიკომის მუშაკი ვარ და არ შემფერის. შენ კიდევ მმართველი ბრძანდები. ოჯახიც სხვანაირი გაქვს. შენთანა კაცის მოყვანა არავისაც არ შერცხვება. თვითონაც მოგეხსენება, ჩვენზე მეტი ქონების პატრონი ბრძანდები. არა, მე კი არა გძრახავ, არც მშურს, არც იმას დავეძებ საიდანა გაქვს, მაგრამ ცოტა შენც ხომ უნდა შეგვიწყო ხელი. აბა, როგორ გინდა, კარგი შემოსავალი გაქვს და არავინ გაწუხებს, არავინ გედავება. ამიტომ შენც უნდა გაისარჯო, მაშ როგორ, არაფერი არ უნდა არგო მშობლიურ რაიონს და იმის ხელმძღვანელობას?

ეტყობა იმ ლაქუცა ბეჟიკომ ვახტანგ პეტროვიჩს ენა მიუტანა და პირველსავე წვეულებაზე, რომელიც ბეჟიკოსთან სამახსოვრო საუბრის შემდეგ გაიმართა, მალალოს დასახმარებლად რაიკომის ორი თანამშრომელი გამოგზავნეს.

მალალო ამან უფრო შეაშფოთა. თან ეშინოდა გამოუცდელი გოგონები უცხოური ფაიფურის ჭურჭელსა და ბროლის სასმისებს დაამტვრევენო (მალალო კი მათ სასოებით დაჰკანკალებდა), თანაც არ უნდოდა, უცხო თვალი ოჯახის ავლა-დიდებაში ჩახედვინებინა. საწყალი დედამისი ხომ სულ იმას უჩიჩინებდა: არა თუ მთლად უცხო, ოდნავ გარეული კაციც კი ოჯახში არ უნდა შეიყვანო, თორემ მოშურნე თვალს დაგადგამს, დაგნავსავს, ბარაქას გამოგილევსო.

ეს თავისი შიში მალალომ ქმარს განდო. გოდერძის თუმცა ჭკუაში დაუჯდა მალალოს რჩევა და ძალიანაც შეეცადა რაიკომის ახალგაზრდა თანამშრომლები სახლში არ შეეშვა, მაგრამ ვერაფერმა ვერ გაჭრა, ცალკე ბეჟიკო გაჯიუტდა (სწორედ იგი იყო წვეულებათა მთავარი ორგანიზატორი), ცალკე გოგონები აღმოჩნდნენ ისეთი თავისნათქვამები, რომ თავისი გაიტანეს. სიცილკისკისით შეიჭრნენ ზენკლიანთ სახლში და შინაურებივით დატრიალდნენ. მალალომ ვეღარაფერი გააწყო. მოხალისე გოგონები დიასახლისს არა სცილდებოდნენ და, უნდა ითქვას, შრომაც ბევრად გაუადვილეს.

მალალო თანდათან შეეჩვია უცხოთა დახმარებას. ორიოდე ნადიმის შემდეგ ისე უფროსობდა მათ, როგორც გამოცდილი მთავარსარდალი. კიდევ კარგი, სტუმრიანობამ ბოლო დროს საკმაოდ იკლო, რადგან გაურკვეველი მიზეზებისა გამო, ვახტანგ პეტროვიჩს ქეიფის ჟინი შესამჩნევად დაუცხრა.

მას აქეთ, რაც ზენკლიაანი ახალ სახლში დაბინავდნენ, მალხაზმა ბევრად უხშირა სამებაში ჩამოსვლას.

გოდერძის ვერაფერი ვერ გაეგო: სოფლისაკენ გამოუწია ბიჭს გულმა, ქალაქში შვიდი წლის ცხოვრებით გაბეზრებულმა დედ-მამა მოისაკლისა, ახალმა სახლმა მოიზიდა თუ კიდევ რაღაც სხვა მიზეზი არსებობდა სოფლად მისი ხშირი ჩამოსვლისა.

ასე იყო თუ ისე, მალხაზი ყოველ შაბათკვირას მშობლებთან ატარებდა, რაც უნივერსიტეტში შესვლის დროიდან არასოდეს არ უქნია.

მალხაზის ოჯახისკენ შემობრუნებით გახარებულ დედ-მამას ვერაფრით ვერ აეხსნა ეს ცვლილება. მიზეზის შეტყობა განსაკუთრებით მალალოსა სურდა. მან დიდხანს უთვალთვალა შვილს, რათა იგი მარტო დაეხელთებინა და მისი უცნაური გუმანი შეეტყო.

ეროვნული

მაგრამ მალხაზის გულში ჩახედვა, მისი წადილის შეტყობა, აგრე ადვილი როდი გახლდათ. უკიდურესად გულჩათხრობილი იყო ეს კოხტა ჭაბუკი, გვერდზე გადავარცხნილი თმებით და გრძელი შავი წამწამებით, რომელთა ქვეშიდან მსუსხავად იცქირებოდნენ დედისეული თაფლა თვალები.

მუდამ წარბშეკვრით მზირალი, დინჯი და თავდაჭერილი მალხაზი საკუთარ დედმამის გულშიც კი შიშნარევ რიდსა ღძრავდა.

— „ვის გამოემგვანა ეს მამაძაღლი“. — ალერსიანი სიყვარულით გაიფიქრებდა ხოლმე გოდერძი, როცა საკუთარი ღირსებით გაამპარტავნებული ვაჟიშვილის დინჯსა და კისერმომშვილდულ სიარულს დაინახავდა, თავის ოდნავ გვერდზე გადაქანებით, ბეჭების რხევით რომ მიალაჯებდა დაბის მთავარი ქუჩის ვიწრო ფილაქანზე. სალამს თუმც არ დაგაკლებდა, მაგრამ არც დროზე მოგცემდა, გეგონება, სულ იმის ცდაში იყო პირველი სხვა მისალმებოდა.

ეს ყველაზე მეტად უმძიმდა გოდერძისაც და მალალოსაც. მათ კარგად ახსოვდათ დიდი ხნის გარდაცვლილი მშობლების ანდერძი, ძველი ხალხის ჩვევას რომ გამოხატავდა: — სულ იმას უნდა ცდილობდე, სალამი არავინ დაგასწროსო. და, მართლაც, ცოლქმარს სალამს ვერავინ დაასწრებდა ხოლმე.

ეს ბიჭი კი შორიდანვე დაუხამხამებლად გიყურებდა თავისი ოდნავ სევდიანი, რაღაც გამკიცხავ-საყვედურიანი თვალებით და ელოდა, რომ პირველი შენ მისალმებოდი.

— „ვის გამოემგვანა ეს მამაძაღლი“ — კიდევ უფრო ხშირად გაუფიქრია გოდერძის, მაგრამ უნებლიე შეკრთომისა თუ უკმაყოფილების მეტი გულში სხვა არაფერი აღმოუჩენია.

გადიოდა წლები და მამის სიყვარულიან მზერას სულ უფრო ხშირად ენაცვლებოდა მისივე გაოცება, დადარაჯებული, შიშნარევი მოლოდინი, რაღაც ფარული სურვილი, რომ „ბიჭი“ ცოტა სხვანაირი გამხდარიყო, ცოტა მოლმობიერებულიყო, ასეთი მკვენარა მზერა არა ჰქონოდა, და თვითონაც ასე ამაყად შემართულს არ ეარა სოფელში.

ვინ იცის, რას არ მისცემდა გოდერძი შვილის ერთ გულუბრყვილო გაღიმებაში, მის ერთ თხოვნაში, მაგრამ მალხაზი, თითქოს ჯიბრზე, არასოდეს არაფერს არა თხოვდა. მიღებით ყველაფერს იღებდა, მაგრამ თხოვნით არაფერს თხოვდა.

ყველაზე საშიში, ყველაზე საჭოჭმანო გოდერძისთვის ის იყო, რომ მისი შვილი ყოველივეს გონებითა წონიდა და ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯსაც კი არ გადადგამდა. ათჯერ გაზომავდა, სანამ რამეს გადაწყვეტდა.

ძიგადაშიგ, ქვეშეცნეულად თითქოს ეშინოდა კიდეც მამას შვილისა.

ის შინდისფერი „ვოლგაც“ ისე მიიღო, გეგონება, აქეთ უშვებოდა წყალობას...

ცივი დეკემბრის ერთ ღამეს, გოდერძი ქურდივით ფრთხილად შეიწმახნა საკუთარ სარდაფში, რკინის ორფრთიანი კარი შიგნიდან ურდულით გადარაზა, უამრავ ქვევრებსა, დერგებსა, ქილებსა და გოზაურებს, შორის ერთი მოზრდილი ქოცო გამოარჩია, ძმარი ამოხაპა, მერე მკლავი გაიშიშვლა და ქოცის ძირიდან ცელულოიდის სიფრიფანა ფურცელში ათმაგად გახვეული, გერმანული წებოთი დაბეჭდილი ფულის სქელი შეკვრა ამოიღო. შეკვრას რამდენიმე დასტა მოაკლო, დანარჩენი ისევ ძველებურად გაახვია, დააწება და ისევ ქოცოში ჩაუშვა, ზედ კი კვლავ ძმარი დაასხა.

იმ დღიდან ორიოდე კვირაც არ იყო გასული, რომ ახალწლის წინა დღეებში, დამზადების კანტორის შოფერმა, გიჟმაჟმა შადიმანმა, მაღალი, ლამაზი ღობით შემოვლებულ გოდერძიანთ ვეებერთელა ეზოში ახალთ-ახალი „მოსკვიჩი“ საყვირის ხრიალით შეაგრიალა და აივანზე გადმომდგარ მალალოს ხმამაღლა შესძახა:

— იხარე ჭერო, დამიწყდი მტერო, მიიღეთ დედიჯან, შენა და შენმა ბიჭმა, ძვირფასი მეუღლის საახალწლო ფეშქაში!.. — და მანქანა კიდევ რამდენჯერმე გაბმით დააყვირა.

თეთრშალწამოსხმული მალალო შეშინებული იდგა აივანზე და თავში ერთი ფიქრიღა უტრიალებდა: — „ეს რა უქნია იმ მამაცხონებულსა? ახლა რომ ადგნენ და მოჰკითხონ, რა ფულით იყიდეო, მაშინა?“...

გვიან დაბინდებულზე, როცა ღვინით შეჭიკჭიკებული ქმარი მძიმე ქშენითა და დინჯი სიარულით აივანზე ამოვიდა, მალალომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეღარ მოითმინა, თავისი სადარდებელი გაანდო.

გოდერძი წამით შეჩერდა, მერე საძილე ოთახისაკენ წავიდა და ვითომ სხვათაშორის მიუგო:

— თუ აქამდე არ მომაკითხეს, რაღა ახლა გაცოფდებიან? განა არ იციან, რომ მაგისთანა ჭყეტელა მანქანას, თუ მოვინდომე, ბარე ათს ვიყიდი?.. აბა მაშ, რა ვქნა. ბიჭი მინდა გავახარო,—და ცხარედ დააყოლა,— მომკითხავის პატრონი დედაცა, თუ ძალიან გაჭირდა, ერთს იმათაც ვუყიდი და პირში ბურთს ჩავჩრი. ყველას მანქანა უყენია ეზოში, ჩვენ რა სხვაზე ნაკლები ვართ?

ზენკლიშვილი ისე ცხარედ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, ამ საკითხზე ადრეც ბევრი ეფიქრა და ახლა, თითქოს, თავის თავს არწმუნებდა.

— შენ მანდ არაფერი გამოჩეკო...

— შენ კიდევ, შენთვის იყავ.

— ორივე გლახა ამპარტავანი ხართ, მამაცა და შვილიცა — გაგულისებულმა მალალომ კარი ისე გაიჯახუნა, რომ შვინდისფერი „მოსკვიჩისათვის" მეტად აღარც შეუხედავს.

გოდერძი მოაჯირს გადაეყრდნო.

ფიქრებში წავიდა.

დღე მიწურულიყო. საცაა მალხაზიც უნდა მოსულიყო. გოდერძის ძალზე აინტერესებდა, როგორ შეხვდებოდა იგი მამის საჩუქარს...

მწვანედ შეღებილი, რკინის ვეებერთელა ჭიშკარში დატანებული ვიწრო კარები ბარტყუნით. მიიხურა. გოდერძის თავი არ მოუბრუნებია, მიხვდა, რომ ეს მალხაზი იყო. კარგად იცოდა ბიჭის ჩვეულება: ზამბარიან კარებს ღონივრად მოზიდავდა, მერე ისე ერთბაშად გაუშვებდა, ოდნავაც არ შეაშველებდა ხელს და ზამბარაშებმული რკინის კარები იმგვარი ბათქით ეხეთქებოდა დირეს, გეგონებოდა, ზარბაზანმა იჭექაო.

მალხაზმა კარიბჭიდან შენიშნა ახალთახალი „მოსკვიჩი", მონიკელებულ ნაწილებზე რაღაც ყვითელი ქონის მაგვარი ნაცხი რომ ჰქონდა სქლად წასმული.

გოდერძი გაფაციცებით აკვირდებოდა შვილს...

ბიჭმა დინჯად შემოუარა „მოსკვიჩს", პრიალა სახურავზე ხელი გადაუსვა, მერე აივანზე მდგარ მამას ახედა, ზემოდან თვალმოჭუტული რომ დასცქეროდა.

—კარგი მანქანაა. — ვითომ სხვათა შორის წარმოთქვა მალხაზმა.

— ჰმ, მეტი არაფერი?... — გულჩაწყვეტით ჰკითხა გოდერძიმ და სიხარულიანი ღიმილი სახეზე შეეყინა...

— დანარჩენი მერე გამოჩნდება, როცა ავამუშავებთ.

— როცა ავამუშავებთ, არა? — ორაზროვნად გაეღიმა გოდერძის.

— ჰო, მამაჩემო, ყველაფერი მუშაობაში მჟღავნდება. განა არ იცი?...

— მაშა, მაშა, — სწრაფად დაეთანხმა გოდერძი, შვილის კიბეზე ამოსვლას აღარ დაელოდა, ოთახში სასწრაფოდ შევიდა.

სადილს დაუბრებულებივით შეექცნენ.

მამა ელოდა, რომ შვილი წარბს გაუხსნიდა, მადლობას ეტყოდა, ცოტა სითბოს მაინც უწილადებდა, მაგრამ ამაოდ. მალხაზი უხმოდ შეექცეოდა საჭმელს და დალაპარაკებას არა ჩქარობდა. მალალომ ვეღარ მოითმინა აუტანელი სიჩუმე, ჭურჭელი აალაგა და სამზარეულოში გავიდა.

შვილთან საუბრის იმედი საბოლოოდ რომ გადაიწყვიტა, დაზაფრული გოდერძი წელატრევით წამოდგა, საძინებელი ოთახისაკენ გაემართა.

— მამაჩემო! — დაადევნა შვილმა.

— რაო, რას იტყვი? — შემოუტრიალებლად გაეპასუხა იგი შვილს.

—შენ, ალბათ, გგონია, რომ მე ახლა ამით ვიგრიალებ სამების მტვრიან ქუჩებში და დედაბრებს ავაყაყანებ?

— შენ იცი. ნურც ქუჩებში იგრიალებ და ნურც დედაბრებს ააყბედებ.

— მაშ რატომღა იყიდე, ისე რა ფასი აქვს?

— ფასი დიდი აქვს. თავის დროზე გამოჩნდება.

— ჩემის აზრითა, ის აჯობებდა, ეგ მანქანა სანდრო ტურელაძისათვის გეჩუქებინა...

— ვისთვისა? — გაოცება ვერ დაფარა გოდერძიმ და შვილისაკენ ნაკბენივით შეტრიალდა.

— განათლების რაიონული განყოფილე-

ეროვნული

ბის გამგისათვის. — მშვიდად აუხსნა მალხაზმა.

— ვითომც რატომაო, რა გვმართებს იმ მამაძაღლისა?

— ხომ ხედავ, მეოთხე თვეა უქმად დამატარებს, სკოლაში მასწავლებლობას მპირდება, თან ეშმაკურად მიღიმის. როცა ვეტყვი ხოლმე, როდემდე უნდა ვიარო მეთქი უმუშევარმა, გაიძვერულად მამშვიდებს, მამაშენს შენი რჩენა არ გაუჭირდებაო, მამაშენსაო საფანელი არ გამოელევაო, ცოტა რო გაისარჯოს, არაფერი არ დააკლდებაო ამას ვითომ შენგნივ ჩემს რჩენაზე ამბობს, სინამდვილეში კი „გარჯაში“ მისთვის რაღაცის გაღებას გულისხმობს...

გოდერძი გამოშტერებულივით იდგა და შვილის ნათქვამს იაზრებდა.

მართლაც, რატომ აქამდე არ მოუვიდა თავში ასეთი აზრი? ეტყობა, იმდენად დარწმუნებული იყო შვილის ძალასა და უნარში, ეგონა ყველა თავის საქმეს თვითონვე მოაწესრიგებსო, ყველაფერს თვითონვე გაარიგებსო და ამ კარგ კაცს კი თურმე დახმარება სჭირდება...

ეს იყო მალხაზის პირველი თხოვნა. ამასთან თხოვნაც იყო და არც იყო. რჩევას უფრო ჰგავდა, მაგრამ აზრიანი რომ იყო, გოდერძი ამას მაშინვე მიხვდა.

არა, არც ისეთი გამოუცდელი და ცხოვრებაში ჩაუხედავი ყოფილა მალხაზი. მართალია, იშვიათად ლაპარაკობს, მაგრამ რასაც იტყვის, შიგ მიზანში ახვედრებს.

— კარგი, შვილო, — ალერსიანად თქვა გოდერძიმ, — როგორც გინდა ისე მოვიქცევი, ამაღამვე გავუგზავნი იმ მელია მამაძაღლსა, ვინძლო მართლაც გაგიკაფოს გზა.

შვინდისფერმა „მოსკვიჩმა“ იმავე ღამით გადაინაცვლა ასეთივე მაღალ ღობით შემოსალტულ სხვა ეზოში და მფლობელის ვინაობა შეიცვალა.

არ გასულა ერთი კვირაც „მოსკვიჩის“ ერთი ეზოდან მეორეში გადაადგილების შემდეგ, რომ მალხაზი რაიონის განათლების განყოფილებაში გამოიძახეს და სამების პირველი სკოლის ისტორიის მასწავლებლად დანიშნეს.

გოდერძის არც კი წარმოედგინა, რომ მის ბიჭს საქმისადმი ასეთი ერთგულებას შეეძლო, ასეთი უზარებელი თუ იყო. პედაგოგობამ იმნაირად ჩაითრია, სხვა აღარაფერი ახსოვდა.

საერთოდ კი ისეთი საწინააღმდეგო მხარეები, თვისებები და სურვილები მოსდგამდა ზენკლიაანთ ჭაბუკს, რომ ყველა მისი მცნობის გაოცებას იწვევდა.

ვერაფრით ვერ წარმოიდგენდი, თუ ორი სრულიად განსხვავებული ნიშანი ერთ არსებაში ასე მშვიდობიანად დატყუპდებოდა და ერთმანეთის ხელშეუშლელად იარსებებდა.

არანაკლებ საკვირველი იყო ისიც, რომ ეს უთქმელი, უკარება ახალგაზრდა კაცი, მუდამ წარბშეკვრით მზირალი და მარტოობის მოყვარული, დიდი ხალისით ესწრებოდა მამის სახლში გამართულ ნადიმებს.

გოდერძიმ აშკარად შეამჩნია, რომ მისი შვილი ვახტანგ პეტროვიჩის ყურადღების მიზიდვას ცდილობდა. მამის ოჯახში გამართული ქეიფის დროს მალხაზი სულ მდივნის მახლობლად ტრიალებდა და სუფრასთან ადგილსაც სადმე მის გვერდით ირჩევდა.

შვილის ასეთი ქცევა ძალიან აკვირვებდა გოდერძის, უფრო ეჭვიანსა და დადარაჯებულს ხდიდა მას.

— ნეტავი რა უნდა? — ფიქრობდა იგი. თუ რამე სჭირდება, რატომ არაფერს მეტყვის, მე უფრო არ გავუხერხებ?

ამ უცნაური აღმოჩენის შემდეგ, გოდერძიმ კიდევ უფრო გააძლიერა შვილის ფარული ზვერვა. იგი დაკვირვებით უთვალთვალებდა თავის ერთადერთ ძეს, რომელიც ასე რიგად არა ჰგავდა თავის სოფლელ თანატოლებს და რომლის ზრახვებსა და სურვილებს ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო. ამიტომ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რაც არ უნდა ეკეთებინა, ცალი თვალი და ცალი ყური შვილისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

სოფლისადმი ინტერესი მალხაზს ეტყობა იმანაც გაუძლიერა, რომ ქალაქში ფეხი ვერ მოიკიდა.

უნივერსიტეტი თუმცა წარჩინებით დაამთავრა და „წითელი დიპლომი“ მიიღო, მაგრამ ასპირანტურაში შესვლისას ფეხი დასხლტა: პირველ წელს არათავის სპეციალობაზე აბარებდა და მის მაგიერ სხვა კანდიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატი შეარჩიეს. ისე, რომ დიდი ხნის ოცნება აუსრულებელი დარჩა, მერე ლაბორანტად უნდოდა ისტორიის კათედრაზე მოწყობა და იქაც უმუხთლა ბედმა: ვაკანტურ ადგილზე უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორის ქალიშვილი მიიღეს. ასპირანტურაში შესვლის მთელ იმედებს მეორე წელზე ამყარებდა, მაგრამ ამჯერად ახალმა კონკურენტებმა აჯობეს.

და აი, სწორედ იმ ხანებში გაიცნო მან, შედარებით უფრო ახლოს, ვახტანგ პეტროვიჩი.

თბილისიდან ერთ-ერთ ჩამოსვლისას (მაშინ მალხაზი სამინისტროში მთარგმნელად მუშაობდა), საზეიმოდ გაჩირაღდნებულ მამისეულ ახალ სახლში მას ღვინით შეზარხოშებულ ადამიანთა გამხიარულებული კრებული დახვდა.

მეინახეებმა გულღიად მიიღეს გოდერძის ერთადერთი მემკვიდრე და ვახტანგ პეტროვიჩმა (რომელიც, როგორც ყოველთვის, რა თქმა უნდა ,ამჯერადაც თამადობდა) ისე შეამკო, ისე აამაღლა ზენკლიაანთ ვაჟი, რომ ცალკე მამას აუჩუყა გული, ცალკე შვილს გაუძლიერა სიამაყის ღიტინა გრძნობა.

ის საღამო ახლაც არ დავიწყნია გოდერძის. იჯდა და თვალებს არ უჯერებდა: თურმე, მის შვილს გიტარაზე დაკვრა და სიმღერა შესძლებია! შესძლებია, მერე როგორ!! სიმღერას რომ მორჩებოდა, სტუმრები აღტაცებისაგან ლამის ყირაზე გადასულიყვნენ, სულმოუთქმელად აქებდნენ, ქალივით კოცნიდნენ, მის სადღეგრძელოს საგანგებოდ სვამდნენ, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გაჰყვიროდნენ — ,,ექსტრა“, ,,ექსტრაო“...

ვახტანგ პეტროვიჩი მალხაზს ადრეც ჰყავდა ნანახი. პირველად მაშინ შეხვდა, როცა უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავად მამამისმა დიდი წვეულება გამართა და სამების სხვა წარჩინებულ ადამიანებთან ერთად მდივანიც დაუპატიჟა.

იმ პირველი შეხვედრისას, მალხაზს ვახტანგ პეტროვიჩისადმი არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია. პირიქით, თითქოს რაღაც მტრული ირონიითაც კი ექცეოდა. იმდენი ქნა, რომ მარიკა მასწავლებელი გვერდით მოისვა და მთელი საღამო დაუფარავად ეკურკურებოდა. ჭაბუკი აშკარად გამომწვევად იქცეოდა, თითქოს პირველი მდივნის საჯაროდ გატრიზავება უნდოდა.

ვახტანგ პეტროვიჩი ცდილობდა არაფერი დაემჩნია, მაგრამ დროდადრო თვალს მაინც მათკენ გააპარებდა ხოლმე. უნდოდა მარიკას მზერა დაეჭირა, რათა თვალით ენიშნებინა და ისევ თავისთან დაებრუნებინა.

მაგრამ მალხაზის გამიზნულმა საქციელმა მარიკაც აიყოლია. შესაძლოა, კეკლუცმა მასწავლებელმა მდივნის გაწიწმატებაც მოიწადინა: მამაკაცის გულში ეჭვიანობის აღძვრას ხომ ყოველი ქალი ცდილობს:

ვახტანგ პეტროვიჩი გაწბილებას არ იმჩნევდა. იგი ჩვეული რიხითა და დარდიმანდობით მიუძღვებოდა სუფრას. ყოველ წამოდგომაზე იმსიგრძე სადღეგრძელოს წარმოთქვამდა, ერთ კარგ გამოძინებას მოასწრებდი. მაგრამ მოარშიყე წყვილს თვალს მაინც არ აშორებდა. დროდადრო ისეთი ღიმილით გადახედავდა ხოლმე, გეგონება, ეუბნებოდა: ბიჭო მალხაზო, შენისთანა ლაწირაკი, მე რას დამაკლებს! ეგ ქალბატონი, რამდენიც არ უნდა გეპრანჭოს, ამაღამ მაინც ჩემთან წამობრძანდება, შენ კი მშრალზე დაგტოვებს. ქალს ძალა უყვარს. მე სწორედ ის ძალა მაქვს, შენ რომ არ გაგაჩნია, რადგან ჯერჯერობით უმარილო ყველსა ჰგევხარ და მეტი არაფერი. ცინდლიანო, იცი ვის ეჭიდები?...

მალხაზსა და მარიკა მასწავლებელს არც გოდერძი აშორებდა თვალს. მას გული ბოღმით ევსებოდა და ერთი სურვილიღა ჰქონდა: წამომხტარიყო, თავისი უჯიათი ბიჭისათვის ხელი ქეჩოში ჩაევლო, ტომარასავით დაებერტყა, მერე სადღაც კუნჭულში მიეგდო. მარიკა მასწავლებელი კი ჯერ თმებით დაეთრია, მერე კინწისკვრით გარეთ გაეგდო და ზედ თავისი ნაქები, საოცრად ბილწი, ხუთსართულიანი გინება მიეყოლებინა.

,,ნუთუ ქალი გამოელია ამ მამაძაღლს, რომ სხვასთან ნათრევსა და ნაწოწიალებს არ აეკიდოს? — ფიქრობდა გოდერძი, — ან ამდენს როგორა ბედავს, მდივნის შერჩეულს ეარშიყება, ხომ არა ჰგონია, რომ აპატიებს? შენა, ძმაოსან, ისევ ქალაქში გაიძურწები, ჯოხი კი ჩემზე გადატყდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უეცრად დაწყებული რომანი უეცრადვე დამთავრდა. შუა ღრეობაში მალხაზი სადღაც გაუჩინარდა და ღვინით შეხურებული მარიკა მასწავლებელი მთვრალ მეინახეებს შეატოვა. მარიკამ ჯერ მოიწყინა, როგორღაც ჩაქრა, ჩაინავლა, მაგრამ ბევრი არ უყოყმანია, წამოდგა და ისევ თამადას მიუჯდა. ყველამ დაინახა, რომ ამან ვახტანგ პეტროვიჩი შესამჩნევად გაამხიარულა.

შვილის უცნაურმა „გაუჩინარებამ“ გოდერძი კიდევ უფრო გააცეცხლა. იგი თვითონაც არ მოელოდა, რომ მალხაზის მიერ „ბრძოლის ველის“ უსახელოდ მიტოვება ასერიგად გაანაწყენებდა. გულის სიღრმეში ის ერჩივნა, შვილის გულისათვის მდივანი გადაჰკიდებოდა, ვიდრე მისი მოულოდნელი გატრიზავება.

„ქარაქუცა მამაძაღლო, ფიქრობდა გოდერძი, — თუ თავი არა გქონდა, ან არ შეგეძლო, რაღაზე ეტენებოდი? ახლა კი რა გამოვიდა, ის კაციც დაბოღმე და თვითონაც ვერაფერი ჰქენი, შუაგზიდან დაიხიე... ვაი, ჩემს თავს, ყველაფერში ეგრეთი ქარაქუცა თუ იქენი,მარტო ნასწავლობა რას გიშველის, შე უბედურო“...

შვილისა და ვახტანგ პეტროვიჩის მეორე შეხვედრას, გოდერძი დაღარაჯებული შეშფოთებით შეხვდა. ეშინოდა, მდივანს ძველი ნაწყენობა არ გაეხსენებინა; ახალ შეტაკებას, შესაძლოა, სამუდამოდ გაეთიშა ისინი და შეურიგებელ დუშმანებად ექცია.

მაგრამ თამადის პირველივე სიტყვამ დაამშვიდა. ტყუილად კი არ მიაჩნდა ვახტანგ პეტროვიჩი გამოცდილ და გამჭრიახ კაცად: მდივანმა ისე შეამკო სუფრაზე შემოსწრებული მალხაზი, რომ კარებთან მოყურადებულმა მალალომ თავისი მოდური ჭრელი წინსაფრის ბოლოებით ცრემლები ძლივს ამოიმშრალა.

ამჯერად მალხაზი სრულიად სხვაგვარად იქცეოდა: მდივანს შესციცინებდა, თან შემთხვევას არა ტოვებდა, რომ არ გამოლაპარაკებოდა. ბოლოს, დრო იხელთა, სავსე ჭიქით ხელში თამადას მიეახლა, დღეგრძელობისათვის მადლობა გადაუხადა.

იქვე მჯდომმა ბეჟიკო ცქვიტინიძემ თანამესუფრენი გასწი-გამოსწია, თამადის მახლობლად ადგილი გაათავისუფლებინა და მალხაზი ვახტანგ პეტროვიჩს გვერდით მოუსვა.

მდივანმა და მალხაზმა მაშინვე საუბარი გააბეს. გოდერძის სასიხარულოდ, ისე ტკბილად დაიწყეს ჭუკჭუკი, გეგონება ერთმანეთს მოწყურებული მეგობრები შეყრილიყვნენ.

აი, სწორედ მაშინ „აიწყვიტა“ მალხაზმა: მეზობლიანთ გიტარა მოითხოვა, დაუკრა, იმღერა, სადღეგრძელოები თქვა და ისე მოხიბლა მდივანი, რომ ვახტანგ პეტროვიჩმა მალხაზს ხელი გადაჰხვია, ახლო მოიზიდა და მთელი საღამოს განმავლობაში აღარ მოუშორებია.

მალხაზისა და ვახტანგ პეტროვიჩის მესამე შეხვედრა ხომ კიდევ უფრო სამახსოვროდ დაურჩა გოდერძის. მაშინ მალხაზი უკვე სამებაში ცხოვრობდა და სკოლაში მასწავლებლობდა.

იმ საღამოს სუფრას სულ რამდენიმე კაცი უჯდა.

გოდერძის ვეება სასადილო ოთახი სადღესასწაულოდ იყო გაჩირაღდნებული.

მდივანი ხალისიანად თამადობდა და ქეიფის ეშხში შესული სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდა, თანაც ყოველ ჭიქას ბოლომდე ცლიდა.

მალხაზი ამჯერადაც გვერდზე უჯდა ვახტანგ პეტროვიჩს და მის ყოველ სიტყვას ისე კარგად ავრცობდა, ისე ეხმატკბილებოდა თამადის ნათქვამს, კაცი იფიქრებდა ეს ხვავრიელი სუფრა ამ ორი ადამიანის სამჰევრმეტყველოდ გაუმართავთო.

მალალო სამზარეულოში ფუსფუსებდა, გულიან ქადებს აცხობდა. ერთხელ, ეშმაკად, მდივანს ქართლური ქადა მიართვა. ვახტანგ პეტროვიჩს ისე მოეწონა დახვეულჩაკეცილი ქადა, რომ შემდეგ ყოველ მოსვლაზე მხოლოდ ქადას თხოულობდა. საწყალი მალალო იძულებული იყო გახურებულ ქურასთან საათობით ეფუსფუსა, რათა მდივნის სურვილი შეესრულებინა.

გოდერძი სუფრას უჯდა, მაგრამ როგორც თადარიგიანი მასპინძელი, დრო და დრო წამოდგებოდა, რათა სუფრისათვის სანოვაგე წაემატებინა და დაცლილი ყარყარა საღვინე ხელადები თავისივე დაწურული ლალისფერი თავკვერით შეევსო.

მან რამდენჯერმე სტყორცნა მკაცრი მზერა თავის გათამამებულ შვილს, რომელიც ნებიერად წამომჯდარიყო და აინუნშიც არ აგდებდა მამის სუფრასთან ფუსფუსს, უცხო სტუმარივით აზიზობდა.

მალხაზის ასეთი საქციელი პირველი როდი იყო. ქართულ წესზე აღზრდილმა გოდერძიმ შვილის რჯულზე მოქცევა, მისთვის ჭკუის სწავლება გადაწყვიტა.

— ეი, ბიჭოუ, — განზრახ ტეტიურ როყიოობით შეუძახა მარნიდან ერთ-ერთი აჭოსვლისას ენათ გაკრეფილ შვილს, — ემანდა მუხრან-ბატონივით რომ წამომჯდარხარ, ვერა ხედავ, რო სუფრასა ღვინო დაჰკლებია? მე, ძმაოსან, შენხნობისას სუ ციბრუტივით ვტრიალებდი. აბა, მიდი, შემოიტანე — და შვილს ცარიელი დოქები მიაჩეჩა.

მალხაზმა არ იწყინა (ან შესაძლოა არ დაიმჩნია), ფიცხლად წამოხტა, თითო ხელში ორ-ორი დოქი მოიმარჯვა და ოთახიდან კისრისტეხით გავარდა. ცოტა ხანში უკან შემობრუნდა, დოქები თეატრალურად მაღლა შემართა, თან როგორც მამამისმა იცოდა, ყარაჩოღულ ყაიდაზე ხმამაღლა შეჰყვირა:

— კამპანიას გაუმარჯოს! — და პირკუშლმა თვითონ გადიხარხარა. ყოველივე ეს ისე კოხტათ, ისე მოხდენილად გამოუვიდა, რომ თვით უჟიათმა გოდერძიმაც კი სიამოვნებით ჩაიღიმილა თავის ფაფუკ ულვაშებში.

მალხაზის შეძახილს პირველი ვახტანგ პეტროვიჩი გამოეხმაურა, იგი შესაშური სიმკვირცხლით ფეხზე წამოიჭრა, მალხაზს ორივე დოქი დარდიმანდულად ჩამოართვა და კიდევ უფრო ხმამაღლა შესძახა:

— კამპანიას გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს... — ისეთი ხრინწიანი ხმით დაიღრიალა ბიჟიკო ცქვიტინიძემ, გეგონება, ყელში დანა გამოუსვესო.

თამადამ და მალხაზმა დიდხანს იცინეს, მერე კვლავ ერთმანეთის გვერდი-გვერდ დასხდნენ და შეწყვეტილი საუბარი განაგრძეს.

მაგრამ მალხაზი ამჯერად უფრო თადარიგიანად იქცეოდა: სასმისებსა და დოქებს თვალს ადევნებდა. მოაკლდებოდა თუ არა სუფრას ღვინო, მაშინვე მარანში გარბოდა, ეტყობა მამის შეგონებამ მართლაც გაჭრა.

ნადიმი მთავრდებოდა, როცა მამა-შვილი მარნის კარებთან პირისპირ შეეჩეხნენ ერთმანეთს.

გოდერძი არ იყო შურიანი კაცი.

მით უფრო ვერ იქნებოდა იგი მალხაზის მოშურნე, მაგრამ ბოლო დროს არა მარტო აკვირვებდა, არამედ გულსაც კი უკენწლავდა რაიკომის მდივნის ხაზგასმული ყურადღება მისი შვილისადმი.

ალბათ, ფულმა ჰქნა, რომ ბაზის მმართველს კაცი კაცად აღარ მიაჩნდა თუ იგი ფულის მშოვნელი არ იყო.

— ,,ჯერ რა შეუძლიან — არაერთხელ გაუფიქრია მას მალხაზის შესახებ, — სტიპენდიის გარდა და ჩემს მეტი, სხვა არავისგან ჯერ არაფერი არ მიუღია. რა იცის ცხოვრებისა, ჭყინტი ყველივით ჩვილია... ლაქლაქი ერთია, საქმე მეორე.. შეჰყოს თავი უღელშია და რა ხალისსაც შეინარჩუნებს, იმას მერე ვნახავთ"...

განსაკუთრებით ისა სწყინდა გოდერძის, რომ ეს ერთი ხანი იყო, რაიკომის მდივანი სერიოზულ საქმეზე მას ერთხელაც არ გამოლაპარაკებია. თუ კი რამეზე ესაუბრებოდა, მხოლოდ ხე-ტყის მოზიდვა-გასაღებაზე, ან ღვინის დაყენებაზე, ანდა საჭმელებზე. არაფრის შემძლე და მამის კმაყოფაზე მყოფ შვილთან კი ისეთი სიდარბაისლითა და სერიოზულობით მუსაიფობდა, გეგონება, მხოლოდ მისი დახმარებით წყვეტდა საქვეყნო საქმეებს.

— რას გეუბნება ის ჩვენი ბრექია? — დამცინავი ღიმილით ჰკითხა ერთხელ გოდერძიმ შვილს და ამით მდივნისადმი თავისი შეცვლილი დამოკიდებულებაც გამოამჟღავნა. იმ აღტაცებისაგან, რომლითაც გოდერძი ადრე იყო აღსავსე, აღარაფერი არ დარჩენილიყო, თუმცა ჯერ-ჯერობით არც ძველი პატივისცემა გამქრალიყო მთლად, არც ძველი შიში.

— ვინ ბრექია? — აზიდა თავისი ხშირი წარბები მალხაზმა.

— ვინა და შენი ვახტანგ პეტროვიჩი. ვინ არის აქ კიდევ სხვა ბრექია? — გაგულისდა რატომღაც გოდერძი.

— ჩემზე უფრო მეტად შენია, სულაც შენ არ გამაცანი?

— ერთი სიტყვითა, არც არაფერი გენიშნა და ვერც ვერას მიმიხვდი, როცა იმასა ბრექია ვუწოდე?..

— რა ვიცი, მე მეგონა, ბეჟიკოზე ლაპარაკობდი. — მიამიტად უპასუხა მალხაზმა და ამით კიდევ ერთხელ უჩხვლიტა მამას.

— ისა, შვილოსა, ბრექია კი არ არის, — სკინტლია... მაგრამ უბრალო არ გეგონოს, მოლაპარაკე სკინტლია. გაიგე?.. მაინც რა მინდაო, ბრექიამა, რას გელაპარაკებოდა?

— საფრანგეთის რევოლუციაზე ვლაპარაკობდით.

— რაზეო, კაცო, რაზეო?

— საფრანგეთზედა, იმის კულტურაზე, რევოლუციაზე. თურმე, ვახტანგ პეტროვიჩიც ისტორიკოსია და ძალიან უყვარს საფრანგეთი.

—ჰო, მამა გიცხონდათ, საქართველოში. აღარ მოიძებნება თქვენი საკადრისი სალაპარაკო მასალა და ახლა საფრანგეთსაც გადასწვდით...

— ეჰ, მამაჩემო, მამაჩემო! რა კარგი კაცი ხარ და რა ვიწროდ მხედველი. შენა საქართველო, ქვეყნის მარილი გგონია.

— შენა, ძმაოსან, ცოტა ფრთხილად ილაპარაკე საქართველოზედა, თორემა, ხომ იცი, მე მაგის მეტი საფიცარი, სხვა არაფერი მაქვს!!..

—ცუდს რას ვამბობ, საქართველოთი ზომავ-მეთქი ყველაფერს...

— მე ვიცი, რასაც ამბობ. ისე კი, მარტო საქართველოთიც რომ ვზომო ყველაფერი, როგორცა შენა ბრძანებ, არც მაშინ იქნება ვიწროდ მოხაზული. საქართველოსა, შვილოსა, ბევრიც გაუძლია, ბევრიც დაუმიწებია, ბევრიც აუღზევებია და ბევრის დამხობასაც შეესწრება!.. საქართველო!? — იიი, იცი კაა რა არის საქართველო? — ამასა, ჩემო შვილო და ჯიგარო, ჩემი ხნისა რო მოიყრები, მარტო მაშინ გაიგებ!.. ეგენი კიდევა ქეციანები არიან.

— თუ ეგრეა, რატომ ეპატიჟები, ან რაზე ეგები ფეხქვეშა, განა ესა კაცობაა?.. განა ეს საკადრისია? — გაისწორა სიტყვა მალხაზმა.

— აბა, აბა, შეაყოლე, შეაყოლე, სანამ არა გდრუზე მაგ ზუკებშია!.. უყურე ერთი ამასა, როგორ გამითამამდა! რატომ იმათ აღარ ეკითხები, რაზე მოდიან ყველ მაზათ დღესა მამაშენთანა? განა ეგ კი კაცობაა, სხვის სახლისკენა გზა გაიკვალო და მერე მთლად შეაჯერო, მოსვენება აღარ მისცე?..

— განა, მაგის საზღაურს არაფერს გიზღავენ?

— მიზღავენ, მამა უცხონდათ, თავიანთი ქონებიდან მიზღავენ...

— შენ კი შენი ქონებიდან აძლევ?

— ვაჰ, რა სულთამხუთავივით მომდექი, შე მამაძაღლო, შენა, მე რომ გული გამისკდეს ასეთი ლაპარაკითა, შენც ხომ ფესვდაჭრილი ყვავილით ჩაჭკნები?

— ნუ გეშინია, მამი, მე არც ისე მოკლეფესვება ვარ, შენ რომ გგონია. კარგად იყავი, თორემა, თუ მართლაც გინდა, დღესვე გაგეცლები...

გოდერძი უკვე კიბეზე ადიოდა.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე თოფნაკრავივით შედგა, შვილისკენ სახით შემობრუნდა, წამით უხმოდ შესცქეროდა, მერე ორივე პირთამდე ავსებული ხელადა იატაკს დასთხლიშა.

დოქები ხმაურით დაიმსხვრა, ღვინის ლალისფერი შხეფები მამა-შვილს ერთდროულად მოხვდა სახეში.

— ბიჭოუ, ეგ რა სთქვი, შვილო?—ისე ხმადაბლა ამოილაპარაკა მან, გეგონება გული მისდისო, —როგორ თუ გამეცლები? მე შენითა ვცოცხლობ, შენთვის ვცოცხლობ, შენს მეტი ამ ქვეყნად არც არაფერი მინდა და შენ კი გაცლაზე მელაპარაკები? ეგ რა წამოგცდა შვილო?!.

მალხაზი თავჩაქინდრული იდგა და ხელადის ნამტვრევებს დასცქეროდა.

გოდერძი ნელა მიუახლოვდა, თავისი ვეება მკლავები შვილისკენ გაიწვდინა, ერთი ხელი მარჯვენა მაჯაში წაავლო, მეორე იდაყვის ზემოთ ჩასჭიდა და წამით გაჯიუტებული შვილი თავისკენ ღონივრად მოიზიდა. სწორედ ისე, როგორც ჭიდაობის დროს იცოდა, როცა მოწინააღმდეგეებს მკლავში ხელებს ჩაავლებდა, რათა ოავისი ნაქები გვერდულით მიწაზე დაენარცხებინა.

მაგრამ ამჯერად სულ სხვა ილეთი იხმარა: შვილი გულში ჩაიკრა, თავისი ღონიერი მკლავები ბეჭებზე შემოხვია და უცნაურად გაკოცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძის მკერდზე აკრულ ბიჭს კარგად ესმოდა, თუ რა ბაგაბუგი გაუდიოდა მამის გულს, როგორ ცვიოდნენ მამის თვალებიდან მლაშე ცრემლები და პირისახეს უსველებდნენ.

კარგა ხანს იდგნენ ასე ყუჩად.

მერე გოდერძიმ შვილს ხელი შეუშვა, თაროსთან მივიდა, ახალი დოქების წყვილი ჩამოიღო, ღვინით აავსო და მარნიდან უხმოდ გავიდა.

ხელგადახვევით მდგარმა მამა-შვილმა ვერც კი შენიშნეს, რომ მარნის ზღურბლზე მალალო შემოდგა. მას კარგა ხანია შიში აწვალებდა, რომ მალხაზი და გოდერძი ერთმანეთთან პირისპირ მარტო არ დარჩენილიყვნენ.

ეშინოდა, აუცილებლად წაეკიდებიან ერთმანეთსო და ამიტომ განუწყვეტლივ ფხიზლად იყო, განუწყვეტლივ ზვერავდა, დღენიადაგ ორთავეს უთვალთვალებდა, და, თუკი, ეჭვს აიღებდა, სადმე ერთმანეთს უჩემოდ შეხვდებიანო, თვითონაც იქით გარბოდა. ამიტომ იყო, რომ ლანდივით დაჰყვებოდა ხან ქმარს და ხანაც შვილს.

ახლაც გულისხეთქვით ჩამოირბინა მარნის კიბე, რადგან გუმანით იგრძნო, რომ ორივე იქ იყო.

გოდერძის მკლავებში მომწყვდეული შვილი რომ დაინახა, მხრები აუცახცახდა, ელვისუსწრაფესად შეტრიალდა, კიბე სულმოუთქმელად აირბინა, მერე ცას შეხედა და ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვეულებისამებრ პირჯვარი გადაისახა. იგი გულამომჯდარი ზლუქუნებდა.

მამაცა და შვილიც სახეგაბადრული ამოვიდნენ მარნიდან.

მალხაზის მუდამ მკაცრ თვალებში რაღაც სითბო ჩამდგარიყო.

გოდერძიმ კი ღვინით გალიცლიცებული, ფერდებდასველებული ხელადები ხმამაღალი შეძახილით თამადას გაუწოდა. სუფრაზე ღვინის ასეთი შემოტანა მხოლოდ გოდერძიმ იცოდა: ხელადის ყურში ცერა თითებს გაუყრიდა, მკლავებს მაღლა შემართავდა და ორი სავსე ხელადა, თავს ზემოთ აწეული, ერთი ზარითა და ზათქით მოჰქონდა.

ახლაც ასე შემოვიდა: ხელები შეემართა, ცერა თითებზე ორი ხელადა ჩამოეკიდა, დანარჩენი თითები შორიშორ გაებარჯღა, და ყვირილით იქაურობას იკლებდა, — „თამადას გაუმარჯოსო."

გოდერძის გამხიარულება იმის ნიშანი იყო, რომ მალე თავის განთქმულ „მეტივურსაც" წამოიწყებდა, რასაც ერთობ იშვიათად სჩადიოდა და რაც ვისმესადმი განსაკუთრებული ხათრის ნიშანი იყო, ან განსაკუთრებული მხიარულებისა.

და სწორედ ამ დროს, სასადილო ოთახის ვეება კაკლის კარები ბრახუნით გაიღო და, ღმერთმა იცის, საიდან ან როგორ, კარებში ტანმორჩილი, თეთრულვაშებგაწკეპილი ჭაღარა კაცი გამოჩნდა.

დიდმა სინათლემ ეტყობა თვალი მოსჭრა, ოთახში შეყრილთა ყაყანმა კი ოდნავ გააოგნა. იგი ხელის მოჩრდილვითა და თვალების ჭუტვით ათვალიერებდა სუფრასთან მსხდარ ადამიანებს, თან სახეზე რაღაც უცნაური ღიმილი დასთამაშებდა.

— ქიტა, ქიტა, — გაისმა აქა-იქ და ოთახში ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა ზღურბლზე მდგარ ლამაზი პირისახის თეთრთმიან მოხუცს შესცქეროდა.

იგი კი თითქოს განზრახ აჭიანურებდა თავისი პირველი გამოცხადებით გამოწვეულ ელდას თუ დაბნეულობას და ისევე ხელმოჩრდილული ოთახს ათვალიერებდა. მის უკან მალალოს დაბნეული სახე მოჩანდა.

ვახტანგ პეტროვიჩი ფიცხლად წამოდგა და ახალმოსულისაკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა.

ქიტამ კი, სწორედ ამ დროს, მისი ტანისა და ასაკისათვის შეუფერებელი ხმით ღონივრად დასჭექა:

— ამ მაღალ კრებულს ჩემი უმდაბლესი სალამი! — მარჯვენა ხელი მაღლა შემართა, შეაქანავა, მერე შუბლთან იმნაირად გაიჩერა, როგორც პიონერემმა იციან მისალმების დროს და სწორედ იმ წუთში, როცა ვახტანგ პეტროვიჩი მიუახლა, რათა ხელის ჩამორთმევით მისალმებოდა, კაფანდარა კაცი ადგილს მოწყდა, მაგიდას მეორე მხრივ შემოუარა (რათა მდივანს არ შეყროდა), სუფრაზე თავისუფალი ადგილი მოიძია, უკითხავად მიუჯდა და ვეება ვერცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანგალს ქაღალდის ხელსახოცით წმენდა დაუწყო.

ყველა გატვრენილი იჯდა და უცნაურ სტუმარს შესცქეროდა.

იგი კი ისე იქცეოდა, ვითომც, აქ არაფერიაო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ჩანგალსა წმენდდა.

საქციელწამხდარი ვახტანგ პეტროვიჩი შუა გზაზე შეჩერებულიყო. მან აღარ იცოდა რა ექნა, კაფანდარა კაცს დასდევნებოდა, თუ თავის ადგილზე დაბრუნებულიყო. ბოლოს ეტყობა, გადაწყვიტა, სუფრას შემოუარა, ქიტას უკან დაუდგა და წელში მოხრილმა ყურში მოწიწებით ჩაულაპარაკა:

— ბატონ ქიტას ვახლავართ!

— ოჰ, შენც აქა ხარ, კაცო?—გაიკვირვა ქიტამ, ვითომც ჯერ არ დაენახოს რაიკომის მდივანი და დამჯდარმა ხელი ისე გაუწოდა გეგონება მათხოვარს უზალთუნს აძლევსო.

ოთახში ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის ხმასაც კი გაიგონებდი. თვით ბეჟიკო ცქვიტინიძეც კი ყუჩად იჯდა და ინტერესით ათვალიერებდა თითქმის ლეგენდარულ ქიტა ლარაძეს.

ქიტა ლარაძე — ეს სახელი მთელმა საქართველომ იცოდა.

ქართლში კი იგი ზარისდამცემიც იყო.

„ქიტა მასწავლებელი", — როგორც მას ჩვეულებრივ ეძახდნენ, მეჯვრისხეველი მღვდლის შვილი გახლდათ. გორის სასულიერო სასწავლებელში სტალინთან ერთად სწავლობდა, თუმცაღა მასზე ხუთი წლით უმცროსი და სამი კლასით უკან იყო.

ლარაძეები და ჯუღაშვილები ერთ უბანში ცხოვრობდნენ, მეზობლები იყვნენ და ამიტომ სტალინი ბავშვობიდანვე კარგად იცნობდა ქიტას.

სამამულო ომის შემდეგ ქიტა სამიოდეჯერ გაიწვიეს კრემლში და იქ სტალინს ესაუბრა. ამ საუბრების შესახებ ქიტა ჩვეულებრივ კრინტსაც არა ძრავდა, თუმცაღა ყოველ ინტიმურ შეხვედრაზე ყველანი ამაზე ელაპარაკებოდნენ და რისიმე თხრობას ეაჯებოდნენ.

ქიტას სახელი პასუხისმგებელი პირებისათვის საფრთხობელად იყო გამხდარი. „შენ გადაგეყარა ქიტა ლარაძეო", — ხუმრობდნენ ისინი.

განსაკუთრებით ავობდა ქიტა თავის მშობლიურ რაიონში, რომელიც სამების რაიონს ემეზობლებოდა. იქაურ რაიკომისა და რაიაღმასკომის თანამშრომლებს სიცოცხლე ჰქონდათ გამწარებული.

სულ ცოტა რამ და ქიტა მასწავლებელი მაშინვე თბილისში გარბოდა ცენტრალურ კომიტეტში საჩივლელად. თუ იქაც არ შეეწეოდნენ, პირდაპირ სტალინსა სწერდა და მაშინ ვაი, იმის ბრალი, ვისაც ქიტა ბარათში „ჩააგდებდა".

სტალინის სიკვდილის შემდეგ ქიტას რიხმა შესამჩნევად იკლო, მაგრამ ბევრის თვალში იგი ისეთივე გამოჩენილ პიროვნებად დარჩა.

ყველა უხმოდ შესცქეროდა ამ ჩია ტანის კაცს, ვიწრო მხრებითა და გაფშეკილი ულვაშებით, საკმაოდ ნახმარი რუხ-მონაცრისფერო კოსტუმი რომ ეცვა.

იგი კი, ვითომც აქ არაფერიიო, ვითომც შემოსწრებული და დაუპატიჟებელი კი არა, პირველი და ყველაზე საპატიო სტუმარი ყოფილიყო, ამაყად იჯდა და ინდაურის თეთრ ხორცს მადიანად შეექცეოდა, თან თავისი წვრილი ჭროღა თვალებით იქაურობას ბურღავდა.

გოდერძიმ დრო იხელთა და მალალოს თვალების ბრიალით წაუსისინა:

— რა ეშმაკად დაგვაყენე თავზე, — ვერ უთხარი სახლში არ არისო?...

—ჰო, ხელად არ დაგიჯეროს! ვუთხარი, მაგრამ მაგასთან რას გააწყობ? პირდაპირ ოთახში შემოაბოტა და ყველა ოთახები გზირივით დაიარა...

— ერიჰაა! — აღმოხდა გოდერძის.

სწორედ ამ დროს ქიტა ფეხზე წამოდგა, თეთრი ქათქათა ხელსახოცი პირზე გადაისვა, ულვაშებს ბოლოები აუპრიხა, თავისი ჭროღა თვალები იქ მყოფთ მოავლო და როცა დაინახა ყველა ყურადღებით მისმენსო, ხმამაღლა, ამასთან მეტად გარკვევით, გეგონება, სოფლის გოგო-ბიჭებს რთულ გაკვეთილს უხსნისო, თავის გვერდზე გადაქანებითა და დინჯი ჩამარცვლით დაიწყო:

... როცა მე სტალინთან შესახვედრად დამიძახეს, 1949 წლის შემოდგომაზედა, ესა ჩვენი მესამე საუბარი იყო ომის შემდგომა, იმ დიდმა ადამიანმა, ვინ იცის მერამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნედ, მკითხა: როგორა ცხოვრობს თქვენში გლეხკაცობაო. მე ვუთხარი: ჩემო სოსო, მეთქი, ჯერჯერობით მეტად ვიწროდ არიან, მეთქი. დაღონდა ის გენიოსი კაცი და მითხრა: ვიცი, ვიცი ჩემო ქიტაო, მაგრამ რა გაეწყობა, ამოდენა სახელმწიფოს აღდგენა არ უნდაო?..

მე რომა მაშინა ეს ოჯახი ნახული მქონოდა, ავდგებოდი და პირდაპირ, როგორც მე ეს მჩვევია, ვეტყოდი: სოსოჯან, ჩვენში კაპიტალისტები აღდგნენ-მეთქი!..

— ეს როგორ, უნდა გავიგოთ, ჩემო ბატონო? — ვერ მოითმინა ბეჟიკო ცქვიტინიძემ.

— ისე უნდა გაიგო, როგორც მე ვთქვი. — მოუჭრა ქიტამ.

— თქვენ ისეთ რამეს ბრძანებთ, ბატონო ქიტა, რომ ვერც ერთი აქ მყოფთაგანი ვერ დაგეთანხმებით, რადგან ეს ჯერჯერობით არც ერთ პარტიულ დოკუმენტს არ აღუნიშნავს.

— იჰ ,შენც დამაშინე რაღა, არ დამეთანხმები და ჩემ ჭირას. მე იმას ვამბობ, რასაც ვხედავ და მჯერა. მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი თქვენთვის დამითმია...

გოდერძი შემკრთალი ჩანდა.

მალალოს სახე დაჰგრძელებოდა.

წარბშეკრული ვახტანგ პეტროვიჩი სიგარეტს მწყრალად ექაჩებოდა და მეტად დადარაჯებულად გასცქეროდა კაფანდარა მოხუცს, რომელსაც ულვაშები კიდევ უფრო გაფშეკოდა და ღვინით შეღაჟღაჟებული, მოპაექრეებს უღრენდა .

— ჩემს სახლსა ჭერი დაუძველდა და წვიმა ჩამომდის. მე რომ მე ვარ, — საქართველოს სახალხო მასწავლებელი, საკავშირო პერსონალურ პენსიონერი, პარტიის წევრი 1921 წლიდანა და სტალინის პირადი მეგობარი, მე რომ მე ვარ, — შიფერი ვერ მიშოვნია და ახლა თქვენთან ჩამოველ, აქა სამებაშია. მითხრეს, მხოლოდ იქაურ საწყობში თუ იშოვნი, სხვაგან ვერსადაო. მაგრამა ამ სახლში რომ არ შემოვედი, სულ თვალთ დამიბნელდა...

— სულაც რომ დაგიბნელდეს, კაი იქნება. — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ბეჟიკომ და მდივანს გადახედა, მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩს მისი ხუმრობისთვის არ ეცალა, იგი დიდი გულისყურით უსმენდა გახურებულ ქიტას .

მოხუცი კი სულ უფრო და უფრო ცხარდებოდა...

— დიახ, თვალთ დამიბნელდა. ასეთი ძვირფასეულობა თვით კრემლშიაც არ მინახავს... ჰო, ჰო, ჰო, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!..

— რა ნახეთ მასეთი, ბიძია, რა? — ბეჟიკო ცქვიტინიძე ფეხზე წამოხტა, მას აშკარად ეტყობოდა, რომ საომარ გუნებაზე დამდგარიყო.

— შენა ხომ გაგიგონია, თავხედ ვარიკასა მელია პირველს შეჭამსო? შენც ეგრე არ მოგივიდეს. დაჯექი და იყუჩე. — გააფრთხილა ქიტამ.

— დიდად პატივცემულო ამხანაგო ლარაძე, — ბეჟიკომ ნერწყვი გადაყლაპა, ეტყობა ბრაზისაგან ყელი გაშრობოდა, — თქვენ აქ საეჭვო ხასიათის აგიტაციას ნუ ეწევით და საერთოდ იცოდეთ, რომ ახლა ის დრო აღარ არის, როცა თქვენი ტყუილიც გადიოდა...

— ჩემი ტყუილი ჯერ არავის არ გაუგონია, ჩემი მართალი კი ძველადაც გადიოდა და ახლაც კარგად გავა... ხოოდა, იმას მოგახსენებდით, რა ნახა მეთქი ჩემმა თვალებმა, ამ... ამ კაცის, დამავიწყდა რა გქვია ძმობილო, შენა?..

— მასპინძლის სახელი არ უნდა დაგავიწყდეს, ბიძაჩემო, მის პურსა და ღვინოს მიირთმევ... — ჩაურთო ბეჟიკომ, მაგრამ ისე რომ ქიტას არ გაეგონა.

— გოდერძი მქვიან, ძია ქიტა, ნუთუ აღარ გახსოვარ, ჩემი ტივითა ბევრჯერ ჩამიყვანიხარ გორსა და თბილისში...

ქიტამ დაკვირვებით შეხედა, წამით შეჩერდა კიდეც, მაგრამ ეტყობა გოდერძი ვერ გაიხსენა.

— ჰოოდა, იმას გეუბნებოდით, რა ნახა მეთქი ჩემმა თვალებმა ამ კაცის სახლშია, რა გქვია, კაცო, შენა აღარ იტყვი?

— გოდერძი, გოდერძი. — მიაშველეს აქეთ-იქიდან.

რაიკომის მდივანმა ეტყობა ახლა კი დროულად მიიჩნია თავისი ჩარევა და ფეხზე წამოდგა.

— ბატონო ქიტა, — შეუვალი ხმით დაი-

წყო თამადამ, — თანახმად ქართული წესისა, ჯერ ჩვენ უნდა გვესხლოთ შემოსწრებულის სადღეგრძელო, ხოლო შემდეგ მან უნდა დალიოს ოჯახისა და დამხვდურებისა, ამიტომ ნება მიბოძეთ...

— მოიცა, კაცო, მოიცა, — ხელი გაიქნია, ქიტამ, — ჯერ ჩემი სათქმელი ვთქვა, მერე შენა თქვი...

მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩს სწორედ ისა სწადდა, რომ ამ უცნაური მოხუცისათვის, ასეთი ფორიაქასა და ჟიუტისათვის, სიტყვა არ ეთქმევინებინა. და მიაღწია კიდეც საწადელს. ქიტა ოსტატურად მიაყუჩა, სკამზე დასვა და ისეთი სადღეგრძელო უთხრა, ქვებიც კი ატირდებოდნენ, და აკი ქიტაც ატემლდა...

პირდაპირ საკვირველი იყო, საიდან იცოდა ვახტანგ პეტროვიჩმა ამდენი რამ ქიტასა და მისი სემინარიელი მეგობრების შესახებ, ან მისი შემდგომი ცხოვრება ასე კარგად საიდან ახსოვდა. ყველაფერი წვრილად აღუდგინა, ყველაფერი გადმოულაგა და ისე შეამკო, ისე განადიდა, ისე აამაღლა მოხუცი მასწავლებელი, რომ იგი სულ ცრემლებს იწმენდდა და დაზეპირებულივით გაიძახოდა: — შენისთანა მდივანი ჩვენს რაიონსაც რომ ჰყოლოდა რაღა გვიჭირდა!...

მაგრამ ეს როდი აკმარა; ქიტამ რომ სამადლობელო სიტყვა მოითხოვა, ვახტანგ პეტროვიჩი ფეხზე წამოხტა და მთელი ხმით შეჰყვირა: — შევსვათ, ერთსულოვნად დიდი სტალინის მარადი სახსენებელი, უკვდავება მისი ხსოვნისა; მართალია, ეს ბოლო რვაცხრა წელია, ვაკრიტიკებთ, და სამართლიანადაც, მაგრამ მის სიდიადეს არავინ არ უარყოფსო...

ქიტა ფეხზე წამოხტა, ვეება სასმისს ხელი სტაცა, სულმოუთქმელად გამოსცალა.

მაგრამ მოტყუვდა: ნაადრევად გამოუვიდა. ვახტანგ პეტროვიჩმა გრძელი სიტყვა წამოიწყო.

მან ოსტატურად დაახასიათა სტალინის საქმიანობა, ილაპარაკა მის ღვაწლსა და დამსახურებაზე, გაიხსენა მთელი მისი ცხოვრება, დაწყებული ნაადრი სიჭაბუკით, ვიდრე ომისშემდგომ საქმიანობამდე. შიგა და შიგ, ოსტატურად ურთავდა ნაწყვეტებს გიორგი ლეონიძის პოემიდან და ისე მოხიბლა ქიტა მასწავლებელი, რომ გულაჩუყებულმა მოხუცმა რაიკომის მდივანს მთელი სახე დაუკოცნა და, ალბათ, ძველი მახსოვრობით სულ იფიცებოდა, შენს ამბავს კრემლში მივწერო...

ვახტანგ პეტროვიჩის შემდეგ, სიტყვა ისევ ქიტამ მოითხოვა. თამადამ მისთვის საგანგებო სასმისის მირთმევა ბრძანა. მაგრამ ქიტა გაჯიუტდა, უკვე დავლიეო.

— თუ დალიე, მაშ რაღა გინდა? — შარი მოსდო ვახტანგ პეტროვიჩმა და პირობად დაუყენა: სიტყვის თქმა თუ გწადიან, უნდა კიდეც დალიო, ჩვენშიო, ასეთი წესიაო. სხვაფრივ კი არც იმ კაცს ეკადრება, ვისია სადღეგრძელოც უნდა თქვა და არც ჩვენაო.

ქიტამ ხელი ჩაიქნია, თავის ადგილზე დაჯდა, უკმაყოფილოდ აბუზღუნდა. მაგრამ თამადამ ამოსუნთქვა არ აცალა; უფრო დიდ სასმისს წამოავლო ხელი, სახალხო განათლების ქართველ მოღვაწეთა სადღეგრძელო წამოიწყო და ალავერდი მოხუცთან გადავიდა.

ქიტას კვლავ გაებადრა სახე. მაგრამ როცა ვახტანგ პეტროვიჩმა თავისი გაჭიანურებული სიტყვა ძლივ-ძლივობით დაამთავრა, მოხუცს ღვინო მოერია, სიტყვა ვეღარ ამოსთქვა, ენა აუბორძიკდა და სკამზე მოწყვეტით დაეცა.

თამადას ეტყობა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მისთვის კინწი მოეტეხა, და იმავე წამს ახალი ალავერდი გადავიდა: ეს ჩვენი კარის მეზობელს გორს გაუმარჯოს, არწივების ბუდესაო. მერე გორის ძველთაძველი ისტორია გაიხსენა, დაწყებული იქიდან, ოდეს მის დედაციხეში ძველბერძენთა ლაშქარი იდგა და ქალაქს სახელად „ტონთიო“ ერქვა, რაც ბერძნულად „ვერხვნარს“ ნიშნავდა...

ქიტა რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ აღარც ენა ემორჩილებოდა, აღარც სხეული, დოსავით სქელმა გოდერძის თავკვერმა ისე მოადუნა, ისე მოცელა, გასაგისი აღარაფერისა ჰქონდა.

ბოლოს, მოხუცი მეტისმეტად რომ მოლბა, ვახტანგ პეტროვიჩმა გოდერძის თვალი ჩაუკრა, ბეჟიკოს რაღაც მალულად გადაულაპარაკა და ამ ორმა კაცმა სხეულმოდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული მასწავლებელი სუფრიდან ფრთხილად წამოაყენა, ორივე მხრიდან ხელკავი გამოსდო, გარეთ გაიყვანა. თრევა-თრევით მიაჩოჩიალეს საძილე ოთახამდე და ტახტზე წამოაწვინეს, მალალომ ტაშტი დაუდგა, გულისრევისას ადგომა რომ არ დასჭირვებოდა, გოდერძიმ კი ბორჯომის ბოთლი მოუმარჯვა.

მაგრამ მოულოდნელად ქიტა გონს მოვიდა და ისევ ძველი გაიხსენა:

— კაცო, — შეუყვირა მან თავთით მდგომ გოდერძის, — ეს ამოტოლა ქონება ნეტავი სად დააგროვე? ან ისეთი რა იქურდე, შე მამაცხონებულო, ან ისეთი რა მოიპარე, რომ ამდენი გაგიჩნდა?!...

გოდერძის ბოლო დროს ერთი უცნაურობა დასჩემდა: როგორც კი ვისიმე ქონებაზე დაუწყებდნენ ლაპარაკს გუნება ეცვლებოდა. მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, თუ მის ქონებაზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას, მაშინ ხომ ნამდვილი ელეთ-მელეთი მოსდიოდა, შუბლი უხურდა, გული უჩქროლავდა.

ახლაც ამ დღეში იყო; არც ქიტას მომდურება უნდოდა,—თანდაყოლილი სიფრთხილის გრძნობა არასოდეს არ დაუკარგავს ყოფილ მეტივეს, — არც ამ ლაპარაკის მოთმენა შეეძლო. ამიტომ გაჭირვებულ მოხუცს ბავშვივით უყვავებდა, თან რაღაც საწყალობლად უღიმოდა. მალალოც იქვე იდგა, ქმარზე უფრო მეტად დამდურებული.

ყველაზე აქტიურად ქიტას ისევ ბეჟიკო ცქვიტინიძე უტევდა. პროპაგანდის განყოფილების გამგე თავენება მოხუცის მოთვინიერებას ლამობდა:

— დეიძინე ახლა, დეიძინე, ბატონო, ნუ მოქანცე ეს საცოდავი მასპინძლები, თქვენს გარდა აგერ კიდევ ათი კაცი ყავთ გასასტუმრებელი.

— შენა ეი, ძმობილო, შენს საქმეს მიხედე, მე და ეგა უშენოდაც მოვრიგდებით. გამომივიდა აქა მირავოი პოსრედნიკი, შენ ვინ გეკითხება?...

— თქვენ, ჩემო ბატონო კიტა...

— კიტა კი არა, შე მუტრუკო, მე ქიტა მქვიან!...

— ქიტა გქვიან, ჩემო ბატონო, თუ ქიტესა, უნდა იცოდეთ, რომ...

— უყურე ერთი ამ მამაოხერსა! ჩემი სახელი მთელმა საქართველომ იცის, ეს კიდევა რაღაცა სხვას მიძახის! — შეურაცხყოფა ვერ მოენელებინა შემთვრალ მოხუცს.

— თქვენ უნდა იცოდეთ, ბატონო კიტა, ბატონო ქიტა, რომ...

— ხალხნო, მომაცილეთ ეს ვიღაც ყბედიოხერი, რას გადამეკიდა, რა უნდა ჩემგანა? ან ხომ არა ეშლება რა, მე კვლავაც ქიტა ლარაძე ვარ, ისე გავუხადო საქმე, თაგვის სორო მილიონად უღირდეს...

— თქვენ უნდა იცოდეთ, ბატონო კი... ქიტა, როცა ჩვენ პიროვნების კულტს ვაკრიტიკებთ, ამით იმ გარემოცვასაც ვაკრიტიკებთ, რომელიც მაშინ იყო. ამიტომ ნურც თქვენ წარმოიდგენთ თავს, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, უმანკო კრავად, თქვენ ბატონო კიტა, უკაცრავად, ქიტა...

ამ დროს საწოლ ოთახში ვახტანგ პეტროვიჩი შემოვიდა, დაინახა თუ არა ორატორის პოზაში ხელშემართულად მდგარი ბეჟიკო, გვარიანად რომ შემთვრალიყო, მკლავი მოხვია, კარებამდე მიიყვანა, ოდნავ ხელი უბიძგა და კარი მიუხურა. მერე ტახტზე ჩამოჯდა და მოხუცს ჩააშტერდა.

ღვინომორეულ ქიტა მასწავლებელს უკვე ჩასძინებოდა.

გოდერძი და მალალო დამნაშავეებივით იდგნენ, რაიკომის მდივანს უხმოდ შესცქეროდნენ. მალალო შემკრთალი ჩანდა, გოდერძის სახეზე ალმური ასდიოდა.

ეტყობა, მართლაც ჰქონდა ვახტანგ პეტროვიჩს გულთმისნური ალღო: გოდერძისთან მივიდა, მხარზე ხელი მოუთათუნა, მერე მკლავში ხელი წაატანა, შეაჯანჯღარა:

— რაო, ძველო მეტივევ, ხომ არ გაწყენინა ამ ძველმა კაცმა? რას იზამ, უნდა მოვუთმინოთ. ჯერ ერთი, ეგენი სხვა არშინითა ზომავენ ყოველივეს და, მეორეც, ეგენი უკანასკნელი მოჰიკანები არიან...

თუმცა გოდერძიმ ვერ გაიგო რას ნიშნავდა სიტყვა „მოჰიკანი", მაგრამ მიხვდა, რომ რაიკომის მდივანი ბოდიშსა ხდიდა უჯიათ მოხუცს და ცოლქმრის დაშოშმინებას ცდილობდა.

— რა გაეწყობა, შენი ჭირიმე, — თქვა გოდერძიმ და თავისი მადლიანი მკლავები ფართოდ გაშალა — სტუმარსა, ჩემო ბატონო, უნდა კიდეც მოულხინო და კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუთმინო. სხვაფრივა სტუმართმოყვარეობას შესცოდავ, ეგა კიდევა არა და არ ვარგა...

— აბა, წავიდეთ, ჯერ „ბევრზე-ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი — ლექსივით გაწელა ვახტანგ პეტროვიჩმა და გოდერძის წინ გაუძღვა.

— ჩვენს დიდ თამადას გაუმარ-ჯოს! — ვახტანგ პეტროვიჩის გამოჩენისთანავე იყვირა ბეჟიკომ და ოთახში სამჯერ გაისმა მქუხარე „ჯოს".

ეტყობა, ქიტას შემოსწრებით გამოწვეულმა შეხლა-შემოხლამ ვახტანგ პეტროვიჩი ფილოსოფიურად განაწყო და თეორიული მსჯელობის საღერღელი აუშალა. იგი ყოველ სადღეგრძელოს საათიან სიტყვებს ანდომებდა და ისე მოქანცა მსმენელები, რომ თვით დაუდეგარ ბეჟიკოსაც კი სუფრაზე ჩამოეძინა.

ერთადერთი კაცი, რომელიც შეუნელებელი ყურადღებით ისმენდა თამადის მომადუნებელ მჭევრმეტყველებას, თავის დროზე უკრავდა მას კვერს, თავის დროზე შემოჰკრავდა ხოლმე ტაშს და აღტაცებით სცლიდა სასმისებს, — მალხაზი იყო. მხოლოდ მალხაზს არ ემჩნეოდა დაღლა. ჭაბუკი ისევე ხალისიანად იქცეოდა, ისეთივე ფხიზელი ჩანდა, როგორც ნადიმის დასაწყისში.

რა თქმა უნდა, ეს გარემოება თამადას არ გამოჰპარვია. ამიტომ ყოველი ახალი სადღეგრძელოს ალავერდს მასთან გადადიოდა. მალხაზიც დიდის მონდომებით ლაპარაკობდა, თან სასმისს სასმისზე ცლიდა. ერთი სიტყვით,ისეთ გამოცდილ თამადას, როგორიც ვახტანგ პეტროვიჩი იყო, მხარიც აუბა და „ანგარიშიც გაუსწორა".

ერთ-ერთ უკანასკნელ სადღეგრძელოდ თამადამ სვინდის-ნამუსის სადღეგრძელო შესვა და ყველა ნამუსიანი ადამიანი ადღეგრძელა.

აი, სწორედ მაშინ გამოიჩინა განსაკუთრებით თავი მალხაზმა. დინჯად წამოდგა, თამადას სიტყვა თხოვა და ისეთი ომახიანი ხმით დაიწყო ლაპარაკი, რომ მიძინებული ბეჟიკოც კი გამოფხიზლდა.

გოდერძი და მალალო შიშნარევი გრძნობით შესცქეროდნენ სალაპარაკოდ შემართულ ვაჟიშვილს. მათ თვითონაც არ იცოდნენ რატომ, მაგრამ სვინდისზე სიტყვის ყოველი შეგდება შინაგან ცახცახს აწყებინებდათ.

— მე, როგორც მოგეხსენებათ, ისტორიკოსი გახლავართ და ჩემი სპეციალური საგნის შესწავლამ ერთ დასკვნამდე მიმიყვანა, — მალხაზის ხმა მკაფიოდ ჟღერდა, კილოც დარბაისლური ჰქონდა. გოდერძის ესიამოვნა შვილის მიერ სიტყვის ასეთი დაწყება და უფრო ყურადღებით დაუწყო მოსმენა.

— მე, ცხადად დავინახე, რომ ყოველი ეპოქის მიჯნაზე, ესე იგი, ისტორიის ყოველ მოსაქცევზე, როცა ცხოვრება იცვლება და, მაშასადამე, მორალიც იცვლება (რადგან მორალი, მოგეხსენებათ, ისტორიული კატეგორიაა), სხვადასხვა თაობები ერთმანეთს მორალის დაკნინებას აბრალებენ!...

აქ მალხაზი შეჩერდა, ბორჯომი დაისხა და ყელი გაისველა. ყოველივე ამას ისე დინჯად და გაზომილად აკეთებდა, გეგონება, ვიღაც დიდი კაცი ყოფილიყო და მაღალ კრებულში მოხსენებას კითხულობდა. ამასთან, თავისაზე უფროსს კი არა, უმცროსს ამხანაგებს შორის. ვახტანგ პეტროვიჩი ყურადღებით უსმენდა ლამაზ ჭაბუკს. საერთოდ, რაიკომის მდივანს ძალიან უყვარდა ღრმააზროვანი სადღეგრძელოები. „მიყვარს ინტელექტუალური სუფრა", არაერთხელ უთქვამს ვახტანგ პეტროვიჩს და თავის თავს სწორედ ასეთი „ინტელექტუალური სუფრის" ორგანიზატორად თვლიდა, რითაც ცოტა თავიც კი ესახელებოდა.

შვილის პირველივე სიტყვიდან დაწყებული გოდერძისაც სიხარულის მაგვარი რაღაც გრძნობა დაეუფლა. რომ შეჰკითხოდი, ალბათ თვითონაც ვერ გიპასუხებდა რა იყო ეს, — სიამაყე, კმაყოფილება თუ სიხარული, მაგრამ სასიამოვნო რომ იყო, ამას გარკვევით გრძნობდა. ასეთი რამ პირველად არ ემართებოდა, ამგვარი სიხარული ადრეც განეცადა, მაგრამ ამჟამად ყოველივე ეს უფრო შეცნობილი და გააზრებული იყო.

... და აი, სწორედ მორალის ასეთი შეცვლის მომენტებში, — განაგრძობდა მალხაზი — ყოველი უფროსი თაობა, თავის მომდევნო თაობებს ზნეობის დაცემას, ზნეობის შესუსტებას უსაყვედურებს და ახალგაზრდობას მორალის შერყვნას უკიჟინებს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უყურე ერთი ამ მამაძაღლს, — ალერსიანად გაიფიქრა გუნებაში გოდერძიმ, — რა დალაგებულად ლაპარაკობს! არა, მამიჩემის ცხონებამ; მართალსაც ამბობს. ის დალოცვილი კაკოლა დღენიადაგ იმას არ მისაყვედურებდა, სულ მალე ნამუსგარეცხილები დაეპატრონებით ქვეყანასაო, თითქოს, მე რაიმე ბრალი მიმიძღოდა“.

— მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივია. — იმავე დაჯერებით განაგრძობდა მალხაზი, — სწორედ იმიტომ არის მორალი ისტორიული კატეგორია, რომ ყოველი კონკრეტული ეპოქა მას თავის ანაბეჭდს ადებს, რაღაცას აკლებს ან რაღაცას უმატებს. რომელიღაც ნორმას მოძველებულად გადააქცევს, სასაცილოდაც გახდის, მაგრამ რაღაც ისეთ თვისებასაც შესძენს, რომელიც უფრო ადრეული დროისათვის პირდაპირ გაუგონარი, თავხედური და ულირსი იქნებოდა. ერთი სიტყვით, ყოველი ახალი დრო ზნეობის ძველი ნორმებიდან რაღაცას კვარცხლბეკიდან ჩამოაგდებს, გააპამპულებს, არარაობად აქცევს. სამაგიეროდ კი, რაღაც ახალს გააღმერთებს და განადიდებს. რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები ასე ნაუცბათევად, ასე ხელაღებით არა ხდება. რა თქმა უნდა, აქ ხალხი დიდ წინდახედულებას იჩენს, ძველისადმი ერთგულებას ამჟღავნებს, მაგრამ ჩემ მიერ დახატული სქემა მაინც განუხრელად ხორციელდება. და გინდა, არ გინდა, ან როგორც არ უნდა გაუძალიანდე, ყოველი ახალი, ყოველ ძველს აუცილებლად დაამარცხებს და, მაშასადამე, მორალის ნორმებსაც ასეთივე დღე უწერიათ...

— მშვენიერია! — წამოდგომითა და თითის მაღლა შემართვით წარმოთქვა ვახტანგ პეტროვიჩმა, — აი, ეს არის მარქსისტული დიალექტიკა მოქმედებაში! შეიძლება მარქსიზმი მშვენიერადაც იცოდე, მაგრამ კონკრეტულ საკითხებში ვერ მოიმარჯვო. ჩვენმა ძვირფასმა მასპინძელმა ამის შესანიშნავი, ნიმუში მოგვცა. ჩვენ გისმენთ ბატონო მალხაზ!...

მდივანი ისევ სკამზე ჩამოჯდა, ხელები ნიაპქვეშ შეიბჯინა, მეტი ყურადღების ნიშნად, და სასმენად მოემზადა.

— ის, რაც მე მოგახსენეთ, ყველაფერი მეტნაკლებად ცნობილია, — განაგრძო მალხაზმა, — მე ამერიკის აღმოჩენას არ ვაპირებ...

— არც მთლად მასეა საქმე! — ჩაურთო პროპაგანდის განყოფილების გამგემ, — ნამეტანი თავს ნუ იკატუნებ! შენ ჩინებულად განავითარე ერთი საინტერესო თეორიული დებულება და ძალიან ზუსტი ინტერპრეტაციაც მიეცი... — ბეჟიკომ შეატყო, მდივანი მალხაზის სიტყვამ დააინტერესაო, ამიტომ თავისი კმაყოფილების გამოხატვასაც შეეცადა.

ასეთი ჩვეულება ჰქონდა: თუ მდივანი რაიმეს მოიწონებდა, მასაც აუცილებლად კვერი უნდა დაეკრა. მით უმეტეს, იდეოლოგიის საკითხებში, რომლებშიც ბეჟიკო თავის თავს ნამდვილ ავტორიტეტად თვლიდა, ყოველ შემთხვევაში, სამების მასშტაბით მაინც.

— მაგრამ მე ისეთი რამის თქმაც მინდა, რასაც სპეციალურ კურსებსა და შრომებში ვერ იპოვით: თუ მორალი ცვლადი კატეგორიაა, მაშასადამე, სვინდისის ცნებაც შედარებითია და ისიც მეტად ცვლადი რამ არის. აქედან გამომდინარე ნამუსიანი კაციც, რომლის სადღეგრძელოც ჩვენმა ძვირფასმა თამადამ ახლა შესვა, სულ სხვადასხვანაირად იცვლება და რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რაც დღეს არის, — ის ხვალ აღარ იქნება. ამაშია რევოლუციური დიალექტიკის არსი, სწორედ ეს არის განვითარების საწინდარი...

— და უარყოფის უარყოფაც!... — შეჰყვირა ბეჟიკომ. — სწორედ უარყოფის უარყოფა არის მარქსისტული დიალექტიკის სული და გული! — და პროპაგანდის განყოფილების გამგემ თავისი მიმინოსებური, მოყვითალო ბაიებიანი თვალები იქ მყოფთ მოავლო.

— როგორ უნდა გავიგოთ ამ ყოველისმძლე შინაგანი დიალექტიკის შუქზე ნამუსიანი კაცის ცნება? — იკითხა მალხაზმა და მრავალმეტყველად შეჩერდა.

— ოჰო, ეს ფრიად და ფრიად საინტერესო კითხვაა, — დინჯად წარმოთქვა რაიკომის მდივანმა.

— და ფრიად და ფრიად პრაქტიკულიც! — დაუმატა ბეჟიკო ცქვიტინიძემ.

— აი, ახლახან პატივცემული ბატონი ქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტა მორალის შესუსტებას გვისაყვედურებდა...

მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა საოცრება: იმ წამს, როცა მალხაზმა ქიტა ახსენა, სასადილო ოთახის ვეება კარები ფართოდ გაიღო და ზღურბლზე ქიტა ლარაძე გამოჩნდა. იგი ისევენაირად იჩრდილებდა ხელს, როგორც პირველ შემოსვლაზე და სუფრასთან მსხდომ მეინახეებს გამოსცქეროდა.

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მოხუცის გამოჩენას არავინ არ ელოდა.

ვახტანგ პეტროვიჩი ზეზე წამოიჭრა, ლარაძე მოიპატიჟა: — მობრძანდით, ბატონო ქიტა, თქვენი სასმისი ისევე გელით!

— ეგ კი მელის, თქვენ არ მელოდით! იფიქრეთ დავათვრეთ ბერიკაციო, მაგრამ ვერ მოგართვეს, აი, მე ისევ აქა ვარ!...

— ეს ნამეტანი სასიხარულოა, ბატონო ქიტა, ნამეტანი! — ხელები გაშალა ბეჟიკომ, — უთქვენოდ ისე ვიყავით, როგორც თევზი უწყლოდ.

— ჰო, ჰო, ჰო, რა ცუღლუტი ვიღაცა უნდა იყო შენა... — თავი გადააქნივ-გადმოაქნია ქიტამ და თავისი წვრილი თვალები ბეჟიკოს ჩაასო.

— უკაცრავად, — თქვა საკმაოდ მკაცრად ვახტანგ პეტროვიჩმა, — დამავიწყდა წარმომედგინა პარტიის რაიკომის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე, ამხანაგი ბეჟიკო რაჟდენის ძე ცქვიტინიძე.

— ჰო, კარგი, კარგი, — მეტს აღარაფერს ვეტყვი. — მიუხვდა თამადას ქიტა და გოჭის შებრაწული ბარკალი დაითრია.

— მე ძალიან მიყვარს, როცა სხვებთან ერთად ისიც მისმენს, ვისაც ვეკამათები. დაუსწრებელი კამათი მეტად ძნელია, რადგან ზოგჯერ ზურგში ხანჯლის ჩაცემასა ჰგავს, ვაჟკაცი კი პირისპირ უნდა ებრძოდეს მტერს...

— შენი ჭკუითა, ისე გამოდის, რომ თუ მტერს საზრიანობაში აჯობე, თუ ზურგიდან მოუარე და იქ დაარტყი, სადაც არ ელის, — ეს უზნეობა ყოფილა! მგონია, ასე თქვი არა? — დაეტაკა მალხაზს ქიტა.

— არა, ბატონო ქიტა, სამხედრო ხელოვნება სხვაა და ორი კაცის კამათი კიდევ სხვა. მე მინდა თქვენ, უფრო სწორად — თქვენს აზრს შევეკამათო...

— ბიჭოს, ეს რა ძიძგილა ყვინჩილა ყოფილა!? განა ისეთი რა ვთქვი? ჯერ ხომ ხეირიანად პირიც არ გამიღია, რომა გადმოდგე და კამათი გამიმართო? ვინ არის ეს ჭაბუკი? — იკითხა ქიტამ.

— ჩემი ვაჟია, — ისე წარმოთქვა გოდერძიმ, ვერ გაიგებდი დარცხვენით ამბობდა თუ სიამაყით, — ისტორიული დაამთავრა და ახლა საკამათოდ გული ერჩის... — გაიღიმა ზენკლიშვილმა.

— აბა, მაშინ თქვი, შენს გახარებასა, ვინძლო კარგი რამა თქვა. თუმცა, ჩვენი ისტორიკოსებისაგან მაგას დაჩვეული არა ვართ. იმათა უფრო ძველის ლანძღვა აძლევთ ხელსა. ყური რომ დაუგდო, საქართველოში ღალატისა და გამცემლობის მეტი არაფერი ყოფილა. თუ ასეა, როგორ მოვიტანეთ აქამდე თავი, როგორ შევინარჩუნეთ მიწაწყალი, სახელმწიფო, ეროვნება, ენა და კულტურა! როგორ გავუძელით ყოველი მხრივ მოძალებულ მტერსა? ეჰ, რა ადრე ჩაწვა ის დალოცვილი საფლავში, რომ ამ მუტრუკებისათვის მოევლო...

—მე იმას მოგახსენებდით, ბატონო ქიტა, რომ ნამუსიანი კაცის ცნება მარად ცვლადი სიდიდეა და იგი ახლაც იცვლება. რომ ამ ცნების გაგება გუშინ სხვა იყო, დღეს კი სხვა არის...

— რეებსა როშავს ეს ჭაბუკი? მაგის სიტყვიდანა გამოდის, რომ ილია ჭავჭავაძის ნამუსი, ვაჟა-ფშაველას ნამუსი, ივანე ჯავახიშვილის ნამუსი დღეს უკვე აღარ გვარგია, რომ ახლა სხვა ნამუსს უნდა მივდიოთ? და თუ ამ ახალ ნამუსს ვაღიარებთ ჭეშმარიტ ნამუსად, მაშინ ისე გამოდის, რომა ჩვენი დიდი წინაპრები უნამუსონი ყოფილან! დიახ, უნამუსონი შენი დღევანდელი საზომითა!!.. ასე არ არის? ტარანი თვლით არიო, აბა შენც იანგარიშე!... — ქიტა ფეხზე წამოხტა, გაიფოფრა, კვლავ სამარ ხასიათზე დადგა.

— ბატონო ქიტა, აქ დისპუტი კი არა გვაქვს, აქ დარბაისლურ ნადიმს ვეწევით. ბატონმა მალხაზმა სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება მთხოვა და მეც მივეცი. ახლა იგი სწორედ ამ სადღეგრძელოს ამბობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეწონებათ ხომ კარგი, არა და, ბატონი ბრძანდებით, ნუ დალევთ. მაგრამ დაშლით კი, უფლება არა გაქვთ დაუშალოთ. სადღეგრძელო მაგისია და რაც უნდა ისა თქვას. ეს ხომ უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტება არ არის, ეს უბრალო სადღეგრძელოა...

იცოდა ვახტანგ პეტროვიჩმა მოკამათისათვის პირში ჩალის გამოვლება. გამოცდილი მუშაკი იყო. ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში შეესწრო სამაზრო დისპუტებს კომკავშირულსა და პარტიულ ორგანიზაციებში, ოცდაათიანი წლების შუაწლებამდე რომ გრძელდებოდა. ისეთ დარჯაკში იყო გამოსული, ისე გაიწაფა, გული სულ კამათისაკენ უწევდა. წარმოიდგინეთ, ხანდახან თავისდაუნებურად თვითონ აღვივებდა კამათს. ეს კი ზოგჯერ ძვირადაც დასჯდომია და საზარალოდაც შეტრიალებია.

მაგრამ არც ქიტა იყო ნაკლებ თავისნათქვამი და ჟიუტი. რაიკომის მდივნებიც მრავლად ჰყავდა ნახულ-გამოცვლილი, ამიტომ თვით მათაც კი არ ეპუებოდა.

— გამოდის, რომ სუფრაზე ჯდომასა და ქცევასაც მასწავლი, რაღა; — მწყრალად თქვა ქიტამ და ფეხზე წამოდგა.

ვახტანგ პეტროვიჩმა ერთბაშად დაიხია. შეატყო, რომ ეს ახირებული მოხუცი (ისიც ნასვამი და ღვინით შეხურებული) ახლა ყველაფრისათვის მზად იყო და მრავალი უცნაურობის ჩადენაც შეეძლო.

— ბოდიშს გიხდით, ბატონო ქიტა, მე აზრადაც არა მქონია თქვენი წყენა. მაპატიეთ, თუ ოდნავ მაინც ასე გამომივიდა. ეს უბრალოდ მინდოდა განემარტა სუფრის წევრებისათვის მათი უფლება-მოვალეობანი. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რა ტრადიციული და რთული წესები გვაქვს სუფრისა და უნდა ვეცადოთ დავიცვათ ისინი, რათა არავინ არ არღვევდეს მათ, უნებლიედ იქნება ეს, თუ ნებსით...

— ჰო,ჰო, ჰო, შენც რა კარგი დემაგოგი ყოფილხარ!... — ჩაილაპარაკა ქიტამ.

ვახტანგ პეტროვიჩმა ვითომც ვერ გაიგო ეს საკმაოდ ხმამაღლა თქმული ქაროში, სკამზე დაჯდა და მალხაზს ხელით ანიშნა განაგრძეო. მაგრამ აქ ბეჟიკო გამოენთო ქიტა მასწავლებელს.

— ბატონო კიტა, — რიხიანად შესძახა მან ლარაძეს, — თქვენ ხომ არ გეცოდინებათ, რა ჭკვია იმ კაცს, ყველაფერს რომ იწუნებს, ყველაფერს რომ დასცინის და ყველანი თავის ჭკუაზე რომ უნდა გაატაროს?.

— როგორ არ გეტყვი, მოდი ჩემს საჩვენებელ ლექციაზედა , ყოველ კვირას რომ ვატარებ რაიონის მასწავლებლებთანა და იქ სწორედ შენისთანა მატრაკვეცებზე ვლაპარაკობ. — აშკარა იყო, რომ ქიტამ თავიდანვე აითვალწუნა ცქვიტინიძე და მის ყოველ გამოლაპარაკებას ხმალდახმალ ხვდებოდა.

ვახტანგ პეტროვიჩი დამდურულივით წამოხტა, კონიაკის ბოთლზე ჩანგალი ააწკარუნა და მისი თავდაჭერილობისათვის საკმაოდ უჩვეულო ხმისაწევით სტუმრებს ყურადღებისაკენ მოუწოდა, თან ხელის შემართვით მალხაზი წაათამამა.

— მე მინდა ბატონ ქიტას საყვედურის საპასუხოდ,—ვინ იცის, მერამდენედ დაიწყო შეწყვეტილი სადღეგრძელო მალხაზმა, — ორიოდე სიტყვა ვთქვა ზნეობასა და პატიოსნებაზე... — ჭაბუკის ხმაში სიმშვიდე და დაჯერება იგრძნობოდა, თანამესუფრეთა შეხლა-შემოხლამ, ეტყობა, ოდნავაც არ დააბნია იგი.

გოდერძი ახლა უკვე ნამდვილი სიყვარულით შესცქეროდა შვილს. უკვირდა, რომ მალხაზი ასე მტკიცედ მიყვებოდა თავის გეზს, თითქოს, ყოველივე, რაც ირგვლივ ხდებოდა, ოდნავადაც არ ეხებოდა მას.

საერთოდაც ასეთი იყო ეს უცნაური ბიჭი: თავის-თავის გარეშე არსებულს, როგორღაც ზემოდან და ამპარტავნულად დასცქეროდა; თითქოს, თვითონ მზე ყოფილიყო, ხოლო ყველა დანარჩენი, ცდომილთა მსგავსად, აუცილებლად მის გარშემო უნდა ეტრიალნათ.

— ამხანაგო! თუ ამბობ თქვი. ხომ არ გადაგვაყოლებ ამ ერთ სადღეგრძელოს. მეტი საქმე არა გვაქვს, თუ? — ვეღარ მოითმინა სულსწრაფმა ბეჟიკომ და მალხაზს მკაცრად მიაჩერდა.

... — ახლა, ხშირად გაიგონებ, ესა თუ ის კაცი „ნამდვილად" პატიოსანიაო. ახლა ყველაზე დიდ ღირსებად სწორედ ამას ასაღებენ და სრულიად აღარ დაეძებენ, რა ფასი აქვს თვით ამ ეგრეთ წოდებულ „პატიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სან კაცს,“ ან რა ღირს და რა ხასიათისაა მისი პატიოსნება...

— შეხედე, როგორ მოაგვირისტა, როგორ მოუტრიალა კეხი, — გაიფიქრა გოდერძიმ და შვილისადმი უფრო მეტი სითბო იგრძნო.

... — კაცმა რომ თქვას, მთავარი ის არის, თუ ვის პატიოსნებაზეა ლაპარაკი. ცალკე პიროვნება რომ ავიღოთ, ყოველი მათხოვარი პატიოსანი იქნება, რადგან მათხოვარი იმის მათხოვარია, რომ სხვა არაფრის უნარი არა აქვს და არც არაფერი შეუძლიან. ხშირად ქურდობითაც იმიტომ არა ქურდობს, რომ არ ძალუძს, თორემ, რომ შესძლებოდა, შესაძლოა, მოეპარა კიდეც. ეს თუ არ გავითვალისწინეთ, გამოვა, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც ვერაფერს ვერ იპარავს და ვერაფერს ვერ აშავებს — პატიოსანია.

მაგრამ მთავარი სწორედ ის არის, თუ რატომ არ იპარავს ან რატომ არაფერს აშავებს! ხომ არიან ისეთი ლეჩნები, უტვინონი, ისეთი საპყარი და უძარღვო ადამიანები, რომელთაც არავითარი საქმე არ ძალუძთ და უქნარებად, პატარა ოსტატებად, პატარა ჩინოვნიკებად, პატარა სპეციალისტებად უნდა მოკვდნენ? განა მათი პატიოსნება, იმიტომ არის პატიოსნება, რომ უპატიოსნობა არ შეუძლიათ, ამის ძალა არა აქვთ? განა მათი შეზღუდულობიდან, არარაობიდან გამომდინარე პასიურობა მაღალი მორალის გამოვლინებაა? მაშინ ხომ ყოველი არაფრისშემძლე, საცოდავი არსება კრისტალურად პატიოსანი გამოვა!..

არა პატივცემულნო, ასეთი პატიოსნება სულ სხვა რამეა და იგი სხვა სახელით უნდა მოვნათლოთ. ეს არის ძალად პატიოსნება. ისეთი პატიოსნება, რომელიც შენი ღირსებიდან კი არა, შენი უუნარობიდან მოდის... აბა, იმავე ეგრეთწოდებულ პატიოსან ადამიანებს მიეცი მეტი საზრიანობა, მეტი ფხა, მეტი შნო, მეტი გამბედაობა, მეტი გაქანება, მეტი უნარი, მეტი ცოდნა და მაშინ ნახავ, მართლა პატიოსან ადამიანებად დარჩებიან, თუ ისინიც სხვებსავით დაადგებიან პირადი სარგებლობისა და საკუთარი გამოჩენის სასხლეტ ბილიკს...

ყველანი შელოცვილებივით შესცქეროდნენ მოლაპარაკე ჭაბუკს. მას კი გრუზა ქოჩორი შუბლზე ჩამოშლოდა, თვალები გამკაცრებოდა, სიტყვებსაც ისე ჭრიდა, თითქოს ბასრი ცულით ჯირკვებს აპობსო.

ზენკლიაანთ სიჯიუტე და შავდათუაანთ საზრიანობა იგრძნო ბუღასავით ქედმორკალულ შვილში გოდერძიმ და გული აუფრთხიალდა.

ვახტანგ პეტროვიჩიც არანაკლები ყურადღებით უსმენდა მალხაზს. მდივანი ისეთი ჩაფიქრებული ჩანდა, როგორც არასოდეს. ეტყობა, ნათქვამს იაზრებდა. ბეჟიკოს კი თვალები გაფართოებოდა. ასეთ ნაცნობსა და ამავე დროს ჭკვიანურ აზრებს იგი პირველად ისმენდა. თვითონაც არა ერთხელ უფიქრია ამ საკითხებზე, მაგრამ ასე მწყობრად, ასე ნათლად თუ შეიძლებოდა მათ შესახებ მსჯელობა, არც კი წარმოედგინა.

... — მე პატიოსანს ვეძახი არა ასეთ ძალად პატიოსან ხალხს, რომელსაც საშუალება თუ მიეცი, პირობები თუ შეუქმენი, შეიძლება ყველაზე დიდ ყაჩაღებად გადაიქცნენ, არამედ ისეთ მამაც, ჭკვიან და გამბედავ ადამიანებს, ვისაც შნოცა აქვს რაიმე ცოდვის ჩადენისა ,უნარიც გააჩნია დიდი პირადი სარგებლობის გამონახვისა, სიმამაცეც მოსდგამს რისკზე წასვლისა და, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც არც ერთ ცოდვაზე არ მიდიან, მაინც პატიოსან ადამიანებად რჩებიან...

— ეს ვინა ყოფილა!... — აღტაცებით აღმოხდა ვახტანგ პეტროვიჩს.

— შენი ჭირიმე შენი! — შეჰყვირა ბეჟიკომ და მალხაზს საკოცნელად ებდღვნა.

გოდერძი გასუსული იჯდა. ვერც ხმა ამოეღო, ვერც განძრეულიყო. ერთიანად მონუსხა, მოაჯადოვა შვილის ლაპარაკმა. თვალი კარისკენ გააპარა. იცოდა, ამ დროს მალალო აუცილებლად იქ იქნებოდა, ფარულად ატუზული. და, მართლაც, ოდნავ გაღებული კარის ღრიჭოში მალალოს მოჰკრა თვალი. იგი ისე წახრილიყო, ისე აეწურა მხრები, გოდერძი შეუცდომლად მიხვდა, რომ მისი მეუღლე უხმოდ ტიროდა.

— საზოგადოებრივი მორალის თვალსაზრისით ასეთი ადამიანები შეიძლება შეტორტმანდნენ კიდეც, სადღაც წაიფორხილონ კიდეც, — თითის ჩვეული შემართვით

განმარტა მალხაზმა და ამ შემართული თითის დამნახავ გოდერძის ტანში გასცრა: ამ წუთში მისი შვილი საოცრად ჰგავდა პაპამისს, კაკოლას. „საიდან სადაო, არც შესწრებია, არც უნახავს და რანაირად ჰგავს, სულ მისებურად არ უჭირავს ის თითი?“ — ფიქრობდა გოდერძი და შვილს დაჭყეტილი თვალებით შესცქეროდა.

— შესაძლოა, ასეთმა ადამიანებმა ცოტათი წესიც დაარღვიონ, სადღაც მორალსაც შესცოდონ, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ დაეცემიან იმ ზომამდე, ვერასოდეს ვერ წახდებიან ისე, როგორც ეს შეიძლება დაემართოს ძალად პატიოსან ან ვითომც პატიოსან კაცებს. ამიტომ ჩემი სიმპათია ასეთი ძლიერი, ასეთი მამაცი, ასეთი აქტიური და ინიციატივიანი ადამიანების მხარეზეა. თუ, რა თქმა უნდა, ისინი, ამასთანავე, პატიოსანნი და კეთილსინდისიერნი, დაუზარელნი და შრომისმოყვარენი არიან. სწორედ ასეთები უნდა ვიგულისხმოთ ჩვენი დროის ნამდვილ „კაცურ კაცებად“.

გოდერძის თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი ჩამოხსნეს და თავისუფლად სუნთქვის საშუალება მისცეს...

— ადამიანს, რომელსაც დიდი ასპარეზი აქვს, დიდი ცდუნება ემუქრება გადაბირებისა, დიდი სიმამაცე მოსდგამს, დიდი საქმის გაკეთებაც შეუძლიან და ყოველივე ამის მიუხედავად, თავის საქმეს წესიერად აკეთებს, გზიდან არ უხვევს — აი, ის არის დღევანდელ დღეს ნამდვილად პატიოსანი კაცი. მე ასეთს ადამიანს იმასაც ვაპატიებ, თუ სადმე, რამე ზედმეტად შეირგო. უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ადამიანებისაგან სარგებლობაც უფრო მეტია. ასეთი კაცი მანეთს თუ ზედმეტად ირგებს, იქიდან სამ შაურს მაინც სასარგებლო საქმეს მოახმარს და ამ გზით ისევ საზოგადოებას დაუბრუნებს. აი, ასეთი ადამიანების სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ. აი, ასეთ ადამიანებს ვუწოდებ მე, თანამედროვე გაგებით, ნამუსიან და პირიან ადამიანებს...

— აგაშენა ღმერთმა, ოქროპირიც თურმე ესა ყოფილა და ჭკუაც თურმე ამას უჭირის! ჩემო გოდერძი, მართლაც სასახელო ბიჭი გყოლია და აი, ნახე თუ არ ახდეს ჩემი წინასწარმეტყველება: მალხაზი ძალიანაც შორს წავა და ძალიანაც მაღლა აფრინდება. — რაღაც აქამდე შეუმჩნევი მოსიყვარულებით წარმოთქვა ვახტანგ პეტროვიჩმა.

— საოცრად ნათელი თეორიული მსჯელობის უნარი შერწყმული აქვს საოცრად ღრმა ანალიტურ ნიჭთან. — დაასკვნა ბექიკომ.

გოდერძი თვალის დახამხამებაზე ჩაიჭრა მარანში, თავისებურად, ორ ცერათითზე წამოცმული დოქები ამოარბენინა, სახემცინარმა თამადას გაუწოდა და ძველი დარდიმანდობით შეჰყვირა: „სადღეგრძელოს გაუმარჯოსო“, მერე ყელი ჭაბუკურად მოიღერა და „მეტივური“ ჩაარაკრაკა...

— ესა შენი ბიჭია ხომ? — მიმართა ქიტამ გოდერძის და თითით მალხაზზე იმნაირად მიანიშნა, გეგონება ეშინოდა სხვებში არ ამერიოსო, — უკაცრავად დამავიწყდა შენი სახელი...

— გოდერძი, გოდერძი, ქიტა მასწავლებელო!

— ისე გამოდის, რომ შენა პრაქტიკულად მოღვაწეობ, ეგა კიდევა თეორიულად გეხმარება. ორივენი ერთად კი ხალხს რყვნით. — ერთბაშად ჩაუწყვიტა სიხარულის ძარღვი უჯიათმა ლარაძემ.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

ბექიკომაც კი აღარ იცოდა, როგორ გაპასუხებოდა აბეზარ მოხუცს, რომელიც თითქოს იმასა ცდილობდა, რომ აქ მყოფნი გაეწბილებინა.

— აბა, რა, ამოდენა ქონება რომ დააგროვე, ამდენი ხალხი რომ გაფრცქვენი, მაგასა ხომ გამართლება უნდა თეორეტიულადა, და აი, შენი შვილი გამართლების საფუძვლებს ეძებს შენისთანებისათვისა. აქტიური ქურდები გვჭირდებაო, რათა თვითონ ბევრი ჩაიჯიბონ და იქიდან ცოტა ხალხს უწყალობონო. აგრე არ არის, ჭაბუკო დემოსთენო? აგრე არ გვითხარი ახლა?

— არა, აგრე არ უთქვამს. — ყრუდ, მაგრამ დარწმუნებით წარმოთქვა რაიკომის მდივანმა და ფეხზე წამოდგა.

— აბა, რაღა გითხრათ, როცა პარტიული ხელმძღვანელობაც თქვენს მხარეზეა. — მხრები აიჩეჩა ქიტა ლარაძემ. მერე მძიმედ წამოიწია, თითქოს რაღაცაზე ყოყმანობსო,

ირგვლივ მყოფთ თვალი მოავლო, მზერა მალხაზზე შეაჩერა და გაწგებ დათაფლული ხმითა ჰკითხა:

— იცი ვინა ხარ შენა?

— ჩვენ კი ვიცით, — გაეპასუხა ბეჟიკო, — მაგრამ ეგება თქვენ გვიბრძანოთ, შეიძლება ვცდებით და გაგვისწორე....

— სანეხვეზე ამოსული ყვავილი!..

— რაო, რაო? — გაკვირვებისაგან თვალები დააჭყიტა ბეჟიკომ.

— ყვავილი, რომელსაც ფერი ღვთიური აქვს, სუნი კი ფუნისა, რადგან ფუნისავე წვენით იკვებება! — გაგულისებულმა ქიტამ თეთრი ხელსახოცი მაგიდას დასთხლიშა, თითქმის სირბილით გადასერა ოთახი და კარი ღონივრად გაიჯახუნა.

ყველა გაქვავებული იჯდა.

აღელვებული ვახტანგ პეტროვიჩი აკანკალებული ხელით სანთებელას აჩხიკინებდა, უნდოდა სიგარეტისათვის მოეკიდებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

გაფითრებული, მაგიდას დაყრდნობილი გოდერძი აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს შემწეობას ითხოვდა და იქ მყოფთ ეკითხებოდა: ,,ნუთუ მართალია, რაც ამ კაცმა თქვაო“.

— გიჟი ყოფილა, და ეს არის! მაინც რა დაგვცოფა ამ ბერიკაცმა, ჰა? ტა-ტა-ტა! — ხელები გაშალა ბეჟიკომ.

გოდერძის სუნთქვა უჭირდა. რაღაც მძიმე, უსიამო გულზე აწვებოდა და მთელ მის ძლიერ სხეულს სადღაც დაბლა დრეკდა.

იგი წელათრევით წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, უნდოდა სიოსათვის შუბლი შეეშვირა, სუნთქვის შემკვრელი აფორიაქება ჩაეცხრო.

ისაკა ფეხდაფეხ გაჰყვა, აივანზე მდგარ გოდერძის წინ გაუჩერდა და ხელაპყრობით უთხრა:

— მომილოცავს, ძმაო მომილოცავს!?

— რას მილოცავ, შვილის გამოლანძღვას? — მწყრალად, ჰკითხა გულჯავრიანმა გოდერძიმ.

— იიჰ, მოცცლია ერთი შენცა, რაღა, ეგ ახლა ვის ახსოვს? ეგ სიტყვები ქარისა იყო და ქარმა წაიღო. მაგას რა ყური უნდა უგდო, ბებერი კაცია, სკლეროზმორეული...

— ერთი შენცა, — აჯანყდა გოდერძი, — გაიძახი ბებერიაო, რომელიც ბებერი, ბიჭსა ფესვები დააჭრა, საქვეყნოდ შეარცხვინა, სანეხვეზე ამოსული ყვავილი უწოდა, ამითა მეც გამლანძღა, გამოდის, რომა მე სანეხვე ვარ... შენ კიდევა გაიძახი, არაფერია, ქარი წაიღებსო...

— უფროსო, შენ ხომ იცო, მე ჭკვიანი კაცი მქვიან? გეფიცები სიყმესა, მართლა ჭკვიანი ვარ. მე, რაც კი არ მიფიქრია, ყველაფერი ამხდენია. ყველაფერი, გაიგე, რაც კი არ განმიზრახავს, ყველაფერი...

— ეჰ, კარგი ერთი, ნუ იცი გადამეტებული ტრაბახი და ბაქი-ბუქი. ან რა მაგის დროა? ხო, ხედავ ჯიგარი მეწვის...

— გოდერძი თანდილოვიჩ, მეც შენთან არა ვარ, მეც მაგისათვის არ გელაპარაკები, მათქმევინე რაღა...

— შენი ღლაბუცი მიშველის ახლა, განა?

— ისეთი რამე გითხრა, მართლა გიშველოს!

— ეეეჰ, კარგი ერთი, და ... წადი სტუმრებს მიხედე, მეც მალე მოვალ. ჰაერზე მინდა ყოფნა, ცოტა გულს მოვიოხებ...

— გამიგონე, თანდილოვიჩ, შენ ისეთი შვილი გყოლია, პირდაპირ ბაჯაღლო ოქროა! უნდა დავაწინაუროთ, უნდა ასპარეზი მივცეთ! წეღან, როცა მაგის ლაპარაკს ყურს ვუგდებდი, სულ ამაზე ვფიქრობდი...

იდაყვით კედლის ქიმს მიყრდნობილი გოდერძი ღამის წყვდიადში იხედებოდა. იგი იქით გასცქეროდა, სადაც მტკვარი ეგულებოდა. მაგრამ დაბლა ჩამოწოლილი ლეგა ღრუბლებს მტკვრის ვერცხლისფერი სირმა გაეუჩინარებინათ.

დადარდიანებული ზენკლიშვილი ერთბაშად ვერ მიხვდა ისაკას სიტყვების აზრს და პასუხი დაახანა. მერე თითქოს ძილიდან გამოერკვაო, მოსაუბრისაკენ ნელნელა შეტრიალდა და დიდრონი თვალები დააშტერა.

— რაო, რაო, ვინ დავაწინაუროთო, ვის მივცეთ ასპარეზიო?...

— ვისა და შენს ბიჭსა, ძალიან კარგი ვინმეა და ძალიანაც შორს წავა. ვახტანგ პეტროვიჩმაც აგრე არ უთხრა? დამიჯერე, ჰო, ღმერთმანი...

გოდერძიმ დიდხანს ბურღა თავისი მკაცრი მზერით უფროსი ბუღალტერი, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი უთქვამს, გეგონება, ენა მუცელში ჩაუვარდაო.

ისაკამ იცოდა, ასეთ წუთებში გოდერძი ყოველივეს თვინიერად ისმენდა და ნათქვამს ჭკუაში ამუშავებდა. ამ მხრივაც მუყაითი კაცი იყო ბაზის მმართველი, ყველაფერის ღრმად გააზრებას ცდილობდა.

— ახლა სწორედ ასეთი პროგრესული ადამიანები არიან საჭირო. დამწნილებულ-დამყაყებული ხალხი არც პოლიტიკაში და არც ეკონომიკაში ახლოსაც არ უნდა გაიკარო. თვითონ ჩვენი ხელმძღვანელებიც ასეთი აზრისანი არიან. ახლა, ჩემო თანდილოვიჩ, ახალი დრო დადგა, — აქტიურობისა, ინიციატივისა. ამასა ალღოს აღება უნდა, ამასა თავისი კადრები სჭირდება. აბა, მაშ ახალ ხაზს სხვანაირად როგორ გაატარებ? უნდა ჩავულაპარაკოთ ვახტანგ პეტროვიჩს, რაიკომში წაიყვანოს. ჯერ თუნდაც ინსტრუქტორად, მერე განყოფილების გამგედ გავხდით, მერე მდივნად და აი, შენ ნახე, მალე შეიძლება პირველ მდივნადაც წამოვასკუპოთ!.. იქიდან კი ერთ კარგ თბილისურ სავარძლამდე ნახევარი ნაბიჯია! ხედავ რა პერსპექტივებია? ვახ, გაიგე, კაცო, გაიგე... უნდა გავისარჯოთ, მივდგეთ-მოვდგეთ, დეე, კიდევ ერთი კაცი გვყავდეს დირექტიულ ორგანოშია. რაც მეტი ჩვენებური იქნება ის არა ჯობია? ხედავ როგორა მსჯელობს? მაგას ეტყობა ნათლად ესმის, რომ დღევანდელი საქმე გუშინდელს არა ჰგავს...

ამ ლაპარაკში გოდერძი თანდათან მოყოჩაღდა, გუნებაზე მოვიდა, ფერი დაუბრუნდა.

იგი გულდასმით უგდებდა ყურს გველივით ჭკვიან მთავარ ბუღალტერს და გულს სიამე ეფინებოდა. მართლაც, რატომ არ უნდა სცადოს? ეგება ამით თავის ერთადერთ შვილს გზა გაუკვალოს. სხვა აბა, რაშია მამის მოვალეობა? და თუ მომავალში ყოველივე ისე მოეწყო, როგორც ისაკა ამბობს, მაგას რაღა ემჯობინება. შვილის თანამდებობა და მამის ქონება სამუდამოდ უზრუნველყოფს მათ ოჯახს და ბალავარს გაუმაგრებს...

ამ ფიქრებმა გუნება გადაუწმინდეს ბაზის მმართველს. სტუმრებთან ასეთი მომღიმარი სახით შევიდა და თავის ადგილზეც ისე ამაყად ჩამოჯდა, ვითომც არც [illegible] ღანდელი ნაწყენობა ყოფილიყო და არც იმ უჯიათი ქიტა მასწავლებლის შეურაცხმყოფელი შემოტევა.

ისაკა აქაც ფეხდაფეხ შემოჰყვა თავის „შეფს", მაგრამ ძველ ადგილს კი არ დაუბრუნდა, ბეჟიკოს მიუჯდა და ხმადაბლა რაღაც საუბარი გაუბა.

პროპაგანდის განყოფილების გამგე ყურადღებით უსმენდა ისაკ დანდლიშვილს, თან დროდადრო თანხმობის ნიშნად თავს უკანტურებდა.

ვახტანგ პეტროვიჩმა, როგორც ზრდილმა, ტაქტიანმა კაცმა, ამასთან, ათასგვარ მდგომარეობა გამოვლილმა და ყოველმხრივ ნაწრთობმა, რაღა თქმა უნდა, ოდნავაც არ დაიმჩნია ქიტას საქციელის შეურაცხმყოფლობა და პირადად მისი, როგორც ხელმძღვანლის საწინააღმდეგოდ მომართული გამქირდავი ქვეტექსტი. იგი ისე მშვიდად და ლაღად იქცეოდა, ვითომც არაფერიც არ მომხდარიყოს.

გოდერძის კი სწორედ მისი ერცხვინებოდა, მისი მდგომარეობა აწუხებდა. იგი სწორედ მას გაექცა, რადგან იფიქრა, ჩემი წყალობით, ჩემსავე სახლში, ვახტანგ პეტროვიჩი უსიამოვნებას გადაეყარაო.

ამავე დროს, მდივნის თანდასწრებით თავისი ასეთი ლაფდასხმა განსაკუთრებით სამძიმოდ მიაჩნდა. თუ არა ვახტანგ პეტროვიჩი, იმ სულელ ქიტას სხვებთან უარესიც რომ ეთქვა, ამაყი ზენკლიშვილი მაინცა და მაინც არად დაგიდევდა.

უგუნებობა არც მალხაზს ემჩნეოდა. იგი რომელიღაც ამერიკელი არქიმილიონერის ამბავს მოუთხრობდა მდივანს, ამბავი ეტყობა სასაცილოც იყო და პიკანტურიც, რადგან ვახტანგ პეტროვიჩი გულიანად ხარხარებდა.

ინგლისური და ფრანგული ენების ცოდნა ძალიან ეხმარებოდა ზენკლიაანთ ბიჭს. უცხოური გაზეთებიდან სწორედ ასეთ ამბებს კრებდა, მერე კი სხვებს მოუთხრობდა. მეხსიერება ჩინებული ჰქონდა, გადმოცემის ჩვევაც ძალზე კარგი და, რაც მთავარია, იცოდა, ვისთან რომელი ამბავი მოეთხრო.

ანეგდოტებისა და საინტერესო უცხოური ეპიზოდების მოყოლის უნარმა, რაც სამების ინტელიგენციაში ესოდენ ძალუმად სჭრიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლამაზ ჭაბუკს არისტოკრატიულ ელფერსა სძენდა, — ბევრი სიკეთე მოუტანა მას.

აქედან ყველაზე თვალსაჩინო ის გახლდათ, რომ სამებელ გოგონებს (ყველას როგორც ერთს!) უკვე უყვარდათ ისტორიის მასწავლებელი, რომელიც მათ ასეთ სრულყოფილ ინტელიგენტად და ზრდილ ვაჟკაცად ჰყავდათ წარმოდგენილი.

საღამოს დასასრულს, როცა საქმე ოჯახის დღეგრძელობაზე მიდგა, სიტყვა ბეჟიკო ცქვიტინიძემ მოითხოვა.

მან ვინ იცის მერამდენედ ვრცლად გაიხსენა გოდერძის ბიოგრაფია (რაც ზენკლიშვილის ყველა სტუმარმა უკვე ზეპირად იცოდა), მაგრამ ამჯერად მხოლოდ გოდერძის დღეგრძელობას არ დასჯერდა და როგორც მასპინძელი მალხაზიც გვერდში ამოუყენა.

პროპაგანდის განყოფილების გამგემ მაღალფარდოვანი სიტყვებით შეამკო ღირსეული პედაგოგი, რომელიც ძალას არ იშურებდა ახალგაზრდობის აღზრდისათვის და, თვითონაც ახალგაზრდა, სამშობლოს ახალ ცვლას უზრდიდა. ბოლოს, რაიკომის მდივანს გადახედა და შთაგონებით თქვა: რა კარგი იქნებოდა, რომ რაიონულ კომიტეტს ასეთი ახალგაზრდები უფრო მეტად მოეზიდა, თავის აპარატში აეყვანა და მათი წყალობით იმ უპერსპექტივო პარტიულ მუშაკთაგან განთავისუფლებულიყო, ვინც აქამდე ვერ გაერკვა პარტიული მუშაობის რაობაში და ვერ შეეწყო რაიკომის იმ სტილს, რომელსაც ასეთი წარმატებებით ნერგავს პარტიული საქმის ნიჭიერი ორგანიზატორი, ვახტანგ პეტროვიჩიო.

— ჩემის მხრივ უნდა განვაცხადო, — რიხითა თქვა ცქვიტინიძემ — რომ აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება კმაყოფილებით უშუამდგომლებდა და სიხარულით მიიღებდა თავის შემადგენლობაში ისეთ ნიჭიერ ახალგაზრდა კაცს, როგორიც მალხაზია, რადგან დიდიხანია დადგა დრო რაიონის ხელმძღვანელი კადრები ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე გაიზარდონ.

რაიკომის მდივანი ყურადღებით უსმენდა ცქვიტინიძის ყვავილოვან სიტყვას, დროდადრო თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა, თანაც მოკლე შორისდებულებით ამხნევებდა.

დამშვიდობებისას ვახტანგ პეტროვიჩი მანქანაში არ ჩაჯდა, მოიმიზეზა, ფეხით მინდა გავლაო, მალხაზს ხელკავი გამოსდო და სუფთა ჰაერზე გასეირნება შესთავაზა.

ღრუბლები გაფანტულიყვნენ. სავსე მთვარის შუქი უხვად ეფინებოდა დედამიწას.

ვეება ჭადრები, რითაც განთქმული იყო სამება, ცის ფონზე ისე მკვეთრად იხატებოდნენ, თითქოს შავი მასალისაგან საგანგებოდ გამოუჭრიათ და მერე ცაზე მიუკრავთო.

ირგვლივ საოცარი სიჩუმე დასადგურებულიყო. რაც უფრო შორდებოდნენ კორტოხზე წამომდგარ სახლს, მით უფრო გაჩირაღდნებული ეჩვენებოდათ იგი. ეს ვეება შენობა, შიგნიდან ბროლის ჭაღებით გაკაშკაშებული, ზღვაში გაჩერებულ გემსა ჰგავდა.

ვახტანგ პეტროვიჩი კარგი მოსაუბრე იყო. ღარიბი რაჭველი გლეხკაცის შვილს ცხოვრების დიდი გზა ჰქონდა გავლილი. ამიტომ მოსაგონარიც ბევრი ჰქონდა და სათხრობიც.

ამ წყნარ საღამოს, ნაღვინები და დალოცვილი სამებური ჰაერით დაბნედილი რაიკომის მდივანი გულახდილი ბაასისათვის იყო განწყობილი.

ჯერ თავისი მშიერი და ღარიბი ბავშვობა გაიხსენა. მერე ჭიათურის მაღაროებში მუშაობა. ცალხელა მამა, რომელსაც მარჯვენა გაუხმა და იძულებული იყო ჩალავდრობა დაეწყო, მერე გაჭირვებული სწავლა ქუთაისში, სადაც იგი ბიძამ, რკინიგზის მებუფეტემ. შეიკედლა და საშუალო განათლება მიაღებინა. მერე კომკავშირულ სამუშაოზე ყოფნა, რაც ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მოგონებად დარჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ვახტანგ პეტროვიჩი უამრავ ადამიანებთან იყო ნამუშევარი. არ არსებობდა არც ერთი ცოტად თუ ბევრად სახელოვანი ქართველი პარტიული თუ სახელმწიფო მოღვაწე, მას რომ არა სცნობოდა. ძალიან საინტერესოდ ყვებოდა მრავალ მათგანზე.

იმ საღამოს კი რატომღაც თედო კორსაველი გაიხსენა, ქუთაისის ქალაქკომის ყოფილი მდივანი. რომლისაგანაც სიმწარეც ბევრი ახსოვდა, მაგრამ პირველი ბიძგიც სამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურში დაწინაურების გზაზე სწორედ მას მიუცია, — ქალაქკომში სამუშაოდ გადაუყვანია.

ღვინის სმაც თურმე იმან ასწავლა და ქართული პურმარილისადმი სიყვარულიც. თვითონაც გაუშვებელი მსმელი ყოფილა და ლამის ვახტანგ პეტროვიჩიც გაულოთებია. გვიან დაბინდებულზე, მორჩებოდნენ თუ არა სამუშაოს, თედო თავის ამფსონებით ან ბალახვანისაკენ გასწევდა ან მწვანე ყვავილაზე, თითო-თითო სახლობელი ქუთაისის ყოველ უბანში ყავდა და დღეს რომ არქიელის გორაზე ღრეობდა, ხვალ საფიჩხიაზე ქეიფობდა, ვახტანგ პეტროვიჩსაც აუცილებლად თან იახლებდა.

ეჰ, რა დრო იყო, ის დალოცვილი! ქუთაისის ნაქებმა პურმარილმა გაზარდა და დაავაჟკაცა ვახტანგ პეტროვიჩი. ახლაც იმას მისტირის და სადაც არ უნდა იყოს (ბედმა კი ვინ იცის სად არ ატარა), დუშეთსა თუ წითელწყაროში, მესტიასა თუ ლანჩხუთში, ქედასა თუ ფოთში, ყველგან ქუთაისი აგონდება, ყველგან მისი ეშხით ქეიფობს. ასე ჰგონია თითქოს ახლაც თეთრ ხიდთან იჯდეს შუშაბანდიან პატარა დუქანში და მოშხუილე რიონს გადაჰყურებდეს...

აუჰ, რა დრო გასულა, აუჰ, როგორ მიიფანტნენ, როგორ გაქრნენ სიყრმის მეგობრები. ნეტავი, სადა ხართ ახლა, ბიჭებო; სად? ანდა რაღა ბიჭები იქნებით, სამოც წელს გადაცილებული ჭარმაგები! ეჰ, დრონი, დრონი....

დიდხანს იარეს დაცარიელებული დაბის დაუასფალტებელ ოღრო-ჩოღრო ქუჩებში და ბოლოს ვახტანგ პეტროვიჩის კოტეჯს მიადგნენ. მდივანი სამების ცენტრში ცხოვრობდა, რაიკომის შენობის უკან, სკოლის ყოფილ ბაღში.

სახლის წინ პატარა ყვავილნარი გაეშენებინათ. ყვავილნარს ქუჩისაგან ბეტონის დაბალი ღობე-კედელი ყოფდა. ვახტანგ პეტროვიჩი ამ კედელზე ჩამოჯდა, გაშოტილი ფეხები წინ გაიწვდინა (ეტყობა, სიარულისაგან დაიღალა) და მოულოდნელად, ისე რომ მალხაზი ამას სრულიად არ მოელოდა, ჯიქურად ჰკითხა:

— რა იქნება, ამხანაგო მალხაზ, რომ მართლაც რაიკომში გადმოგიყვანოთ სამუშაოდ?.

ეს კითხვა მალხაზისათვის მხოლოდ ამ წუთში იყო მოულოდნელი, თორემ სხვა დროს ამაზე ბევრი უფიქრია, ბოლო ხანებში კი უოცნებია კიდეც. წელან, ბეჟიკო ცქვიტინიძემ ამის შესახებ სიტყვა რომ ჩამოაგდო, მალხაზის გულმა ბაგა-ბუგი დაიწყო.

ახლაც ამ დღეში იყო. მთელ მის არსებას სიხარული დაუფლებოდა და გულის ცემა აეჩქარებინა. მაგრამ მალხაზი რის მალხაზი იქნებოდა, ეს საიდუმლო რომ გაემჟღავნებინა. იგი დიდხანს იდგა ვახტანგ პეტროვიჩის წინაშე უსიტყვოდ თავდახრილი. გარეშე კაცი იფიქრებდა, მდივნის გამოშოტილ ფეხებს დასცქერისო. რაიკომის მდივანს კი შარვალი ასჩაჩოდა და წინდებს ზემოთ, თეთრი, თეთრი წვივები მოუჩანდა.

,ვახტანგ პეტროვიჩს ესიამოვნება მალხაზის დუმილი. გუნებაში ეშინოდა, რომ ჭაბუკი სულსწრაფობას გამოიჩენდა და აჩქარებით დასთანმხდებოდა წინადადებაზე. მაგრამ მალხაზის სიდინჯემ კიდევ უფრო კეთილად განაწყო მდივანი და გუნებაში გადაწყვეტილებაც მიაღებინა.

— რას ჩაფიქრებულხარ ჭაბუკო, გეძნელება პასუხის თქმა?

— დიახ, ბატონო ვახტანგ, ძალიანაც მიჭირს...

— რატომ, შე კაი კაცო, განა პარტიული მუშაობა ყველა მუშაობის გვირგვინი არ არის?.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ მე პედაგოგიკისაკენ მიწევს გული, ბავშვებთან მუშაობა მიტაცებს, სკოლა მიყვარს...

— მერე და ვინ შეგიშლის მაგაში ხელს? ჩვენც ავიღებთ და სასკოლო განათლების ხაზით გამუშავებთ! სახალხო განათლება ძალიან საპასუხისმგებლო უბანია პარტიული მუშაობისა. აქ ჩვენ სწორედ ისეთი ხალხი გვჭირდება, ვინც სკოლას იცნობს და სკოლა უყვარს....

— ცოტა დრო მომეცით, ბატონო ვახტანგ, მოფიქრებისათვის. ასე უცებ ნუ გადამაწყვეტინებთ.

—კარხი, ხვალამდე იფიქრე, ხვალ კი ორ საათისათვის რაიკომში გელოდები.

იმ ღამეს ორივეს გაუტყდა ძილი. ორთავემ დილამდე იტრიალეს ლოგინში. მალხაზი სიხარულმა არ დააძინა. ბედი, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც იგი ასე ემდუროდა, ახლა მისკენ იწყებდა შეტრიალებას. იმედი ჰქონდა, რომ რაიკომი ცხოვრებაში გზას გაუხსნიდა. რაიკომის მდივანი ისეთი კაცი ჩანდა, რომ ამისთანა მასშტაბურ მუშაკს რაიონში დიდხანს არ დააბანდებდნენ, აუცილებლად თბილისში გადაიყვანდნენ, ხელმძღვანელ სამუშაოზე, და იქ თუ ასეთი მფარველი ეყოლა...

ვახტანგ პეტროვიჩს კი ახალი, ფრიად იმედისმომცემი აზრი გაუჩნდა: — რა იქნება, — ფიქრობდა იგი, — ამ თავდაჭერილსა და გონიერ ყმაწვილს ჩემი ლია რომ შევრთო? ბიჭად ბიჭიც კარგია და ოჯახიც ღონიერი აქვს. მე ქალაქში გავუკაფავ გზას, გოდერძი კი სოფლიდან მისცემს ყუათს. სოფელი ღონიერია, თუ ფეხი დაგვიცდა ან მე, ან მალხაზს, გოდერძი მხარში ამოგვიდგება. ისეთი შეძლების პატრონია, რამე რომ მოხდეს, მთელი სიცოცხლის მანძილზე შემოგვეშველება. — ანგარიშობდა ვახტანგ პეტროვიჩი და რაც მეტს ვარაუდობდა, მით უფრო მოსწონდა თავისი ჩანაფიქრი.

იგი მარტო დღეს არ გასჩენია. დიდიხანია გონებაში ბუნდად უტრიალებდა, მაგრამ დღეს ისე მკაფიოდ გამოეკვართა, ისე ძალუმად მიიზიდა, რომ ახლა, სანამ ამ აზრს არ განახორციელებს, ვეღარ მოისვენებს.

ლიას მხოლოდ ასეთი დინჯი და გაწონასწორებული ქმარი თუ გამოადგება. ისეთი ფორთაქაა, ისეთი გაწიწმატება იცის, დედამისივითა, რომ დინჯი სოფლელი კაცის მეტი (ვისაც ძარღვები დაბადებიდანვე მშვიდი აქვს) ვერავინ ვერ გაუძლებს. ეს ჭაბუკი კი მეტად მომთმენი, ამტანი და გამძლე ჩანს. ალბათ, ცოტა პატივმოყვარეც არის და ესეც კარგია...

ვახტანგ პეტროვიჩმა კარგად იცის პატივმოყვარე ხალხის მულამი. ისეთ საკენკს დაუყრის, — ცარიელ სურვილად აქცევს; აქეთ მიეტანება, აქეთ მოეძალება. ვერა, მალხაზო, ვეღარ წაუხვალ ლიას! ისიც ცოდოა, ერთი ქმარი უკვე გაექცა, ეს ბოლო საქმროც ალბათ იმის კვალზე წავა. მხოლოდ ასეთი კაცი თუ გაუძლებს და გამოადგება ვახტანგ პეტროვიჩის ჭირვეულ ასულს... ლია, ლია, რომ იცოდე რამდენად ძვირფასი ხარ მამისათვის, შენს მეტი არავინ არა მყავს ამ ქვეყანაზე...

მალხაზიც ლიაზე ფიქრობდა. შორიდან მოეკრა თვალი, სხვათა სიტყვით იცნობდა. რა იქნება, რომ ამ ლამაზსა და თავნება ასულს დაუტრიალდეს? ეგება გამოვიდეს კიდეც რამე. იცოცხლე, დიდი ახტაჯანაა. ისე დააქროლებს თავის მწვანე „ვოლგას“, ამბობენ, საათნახევარში თბილისში ჩადისო. ერთ-ორჯერ ავარიაც მოუხდენია; მალხაზს ჭორად აქვს გაგონილი, რომ ლიამ სამხედრო გზაზე კაციც კი იმსხვერპლა, მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩს ჩაუქრია ეს საქმე. განა მაგაზე მეტის შემძლე არ არის ვახტანგ პეტროვიჩი? რომ მოიწადინოს ხვალ თუ არა, ზეგ მაინც , მალხაზს მინისტრადაც კი დასვამს...

—ლია, ლია, რა ლამაზია, მაგრამ რა მკაცრი თვალები აქვს, ძუ ვეფხვსა ჰგავს, თუ დაგიბრიალა ,ტანში გაგცრის!..

ან რა ჩამოქნილი ტანი აქვს, დალოცვილს, რა შვეტი ფეხები. ის რომ ქუჩაში მიდის, მამაკაცებს კისრები ელრიცებათ. ანდა რა თავდაჭერა მოსდგამს, ისე უჭირავს თავისი კოხტა თავი, გადაგლესილი თმებით, როგორც ნამდვილ დედოფალს. თვითონაც დედოფალსა ჰგავს. ჯიშიც ზედვე ეტყობა. დედა დადეშქელიანის ქალი ჰყოლია. სწორედ იმ დედამ აურია გზა-კვალი. ერთ ქმარს უკვე გაჰყარა; მატრაბაზზე მატრაბაზია ქალბატონი დიგორხანი, საკუთარ სახელად ვიოლა რომ შეურჩევია. საყვარლებს ისე იცვლის, როგორც კაბებს, კაბები კი ერიჰა, ყოველ დღე ახალ-ახალი აცვია...

თბილისის პირველ ლამაზმანად მოაქვს თავი და ისე შემოგყურებს თავის მომწვანო, მოჭუტული თვალებით, გეგონება, გუნებაში ამბობს: „ფუჰ, რა საძაგლობაა ეს კაცი“. ამ ფრაზას, მართლაც, ყველაზე ხშირად ხმარობს ქალბატონი ვიოლა. პირზე მხოლოდ „საძაგელი“, „საშინელი“, „უგემოვნო“ და „პლებეი“ აკერია. „Тихий ужас“ — ჩაურუსულებს ხოლმე იგი და სახეს ისე დამანჭავს, როგორც მაკაკა მაიმუნი ქინაქინის დალეჭვისას.

როგორ შეხედავს ქალბატონი ვიოლა მალხაზს, როცა გაიგებს, რომ მას ლიაზე უჭირავს თვალი და ვახტანგ პეტროვიჩის სიძეობას უმიზნებს? მალხაზმა კარგად იცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თვით იგიც და მთელი მისი ოჯახიც ვიოლას გუნებაში გლეხუჭებად მიაჩნია.

მაგრამ თვით ლია?... ლიას, აბა, რას გაუგებ! სადღაც მაღლა დაჰფრენს და როცა გიყურებს, მაშინაც კი არ იცი, შენ შემოგცქერის თუ შენს თავს გადაღმა, ვიღაც სხვაზე აქვს მზერა შეჩერებული...

შეძლებს კია, მისი გულის მონადირებას? ეს ხომ ადვილი საქმე არ არის. მაგრამ მთავარია ისაა, ღირს თუ არა ცდად და გარჯად. სიმართლე რომ ვთქვათ, აბა რა ღირსებები მოეპოვება მალხაზს ისეთი, რომ ეს აწყვეტილი ასული დააბას და დაისაკუთროს?

ამ საჭოჭმანო საკითხზე ფიქრისას, მალხაზი ისევ თავის წარსულს უბრუნდებოდა და წვრილად აღადგენდა ხოლმე გონებაში მის მიერ განვლილ გზას. თანაც ყოველივეს ქალბატონ ვიოლას მკაცრი შეფასებით ზომავდა. იგი ისე მიეჩვია საგნებისა და ადამიანების ვიოლას თვალით აწონ-დაწონას, რომ თავისდა უნებურად (ამ ბოლო ხანებში მაინც), ყველაფერში ამ ქალის სავარაუდო აზრს ეყრდნობოდა.

მალხაზის წარსული ცხოვრება არ იყო ბრწყინვალებით მოსილი. მაგრამ აბა, რა უნდა მოსთხოვო მისი ასაკის კაცს? — სკოლა, უნივერსიტეტი და აი, სულ რაღაც რამდენიმე წელია, რაც ცხოვრებაში დამოუკიდებლად მიაბიჯებს, რა უნდა მოესწრო მას ამ მკაცრად დათვლილ დროში? თუმცა, მისივე რწმენით, ეს გზა მაინც არ გამოხატავდა იმ უნარსა და შესაძლებლობებს, რაც მას გააჩნდა. ჭაბუკს თავისი თავი ბევრად უფრო დიდად წარმოედგინა, ვიდრე ამაზე მის მიერ მოპოვებული წარმატებები მეტყველებდნენ...

სკოლის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, როცა ყველა მასწავლებელი დიდ მომავალს უქადდა, მან ასევე ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის უნივერსიტეტში და სრულიად დამოუკიდებლად, ყოველგვარი ფარული თუ აშკარა დახმარების გარეშე ყველა საგანში ხუთიანი მიიღო.

უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ, როცა სახელობით სტიპენდიაზე წააყენეს, მაგრამ ძლიერი მოცილე გამოუჩნდა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიაც ამ უკანასკნელმა დაისაკუთრა.

უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა და „წითელი დიპლომიც“ მიიღო, მაგრამ, საუბედუროდ, ასპირანტურაში ადგილების განაწილებისას, მსოფლიო ისტორიის სპეციალობით, რისთვისაც იგი ემზადებოდა ერთეული არ გამოჰყვეს და იგი იძულებული იყო განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ საქართველოს ისტორიის სპეციალობით შეეტანა.

აქ კი კანდიდატები უკვე შერჩეული ჰყავდათ.

მაგრამ არც ამ მარცხის გამო გასტეხია გული. მთელ იმედებს მეორე წელიწადზე ამყარებდა. მეორე წელს, მართლაც, გამოცხადდა ადგილი „მსოფლიო ისტორიაში“, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ამ მეორე წლის გამოშვებაში ორი ისეთი კურსდამთავრებულიც, ერია, რომელთა ჯობნა მან უკვე ვეღარ შესძლო.

ამ მეორე მარცხმა კი მძიმედ იმოქმედა მალხაზზე. კარგა ხანს გაოგნებულივით იყო. არ იცოდა, რა მოემოქმედა, ან რა გზას დადგომოდა. სამეცნიერო სარბიელზე გული აიცრუა, მაგრამ რა სწადდა ამის სანაცვლოდ, ეს უკვე აღარ იცოდა.

ორი წლის მანძილზე, როცა მალხაზი თბილისში ცხოვრობდა და ასპირანტურაში შესასვლელად ემზადებოდა, იგი კერძო სახლში ოთახს ქირაობდა და მამის კმაყოფაზე მყოფი, თავს საკმაოდ არხეინად გრძნობდა.

სახლი, რომელშიც იგი დაბინავდა, ბელინსკის ქუჩის ბოლოში მამადავითის მთის კალთაზე იყო წამომდგარი. აქედან თითქმის მთელი თბილისი ხელისგულზე მოჩანდა. გაზაფხულობით, ამწვანდებოდნენ თუ არა მთაწმინდის ფერდობები და ეზოში მდგარი ნუშები თეთრად გადაიპენტებოდნენ, მალხაზი წიგნს გულს ვეღარ უდებდა, საათობით აივანზე იჯდა და გოდერძივით შორეთს გასცქეროდა. ქალაქის მეორე მხარეს, მახათის მთის კალთებზე, ასეთივე პატარა აივნიანი სახლები იდგა. მათი ჭვრეტა უყვარდა ჭაბუკ ზენკლიშვილს.

სწორედ აქ, პირველსავე გაზაფხულზე, აღეძრა ძალუმი ლტოლვა მუსიკისადმი. სახლის პატრონის შვილი პოლიტექნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრში უკრავდა და მუსიკას უფრო მეტ დროს ანდომებდა, ვიდრე წიგნებს. მალხაზი ძალაუნებურად უსმენდა თანატოლი ჭაბუკის დაჟინებულ ვარჯიშს გიტარაზე და ერთ მშვენიერ დღეს, თვითონაც მოიწადინა დაკვრა.

რაოდენ დიდი იყო მეზობლებისა და თვით მალხაზის გაკვირვება, როცა სულ რაღაც რამდენიმე დღის შემდეგ ზენკლიაანთ ჭაბუკი თავის მასწავლებელს აღარ ჩამორჩებოდა.

გავიდა კიდევ ცოტა ხანიც და ისე დაეუფლა გიტარას, რომ სახლის პატრონის შვილის ამხანაგები საგანგებოდ მიდიოდნენ მისი დაკვრის მოსასმენად და ინსტიტუტის ორკესტრშიც კი მიიწვიეს. მამისაგან გამოყოლილმა სმენამ, იშვიათმა შინაგანმა მუსიკალობამ თავისი გაიტანეს და ისე ძალდაუტანებლად გამოვლინდნენ, რომ თვით მალხაზიც კი არ მოელოდა.

მაგრამ თავის ახალ ხელობას ჯერჯერობით სრულიად საიდუმლოდ ინახავდა. სოფელში წასვლისას, გიტარას თბილისში ტოვებდა და დედ-მამას ეჭვიც კი არა ჰქონდათ, მათ შვილს ასეთი თილისმური დაკვრა თუ შეეძლო.

გოდერძიმაც და მალალომაც ეს მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა ვახტანგ პეტროვიჩის მიერ მოხიბლულმა და ქეიფის ეშხზე დამდგარმა მალხაზმა ერთ-ერთი წვეულების დროს გიტარა მოითხოვა და ,,კარმენის" უვერტიურა დაუკრა, რითაც დიდიან-პატარიანად ყველანი მოხიბლა და გააოგნა. მისი ძლიერი ხელები, გრძელი თლილი თითებით ისე დარბოდნენ და დასცურავდნენ სიმებზე, რომ ყოველ პროფესიონალ დამკვრელს შეშურდებოდა.

ნიჭიერი დამკვრელის სახელმა ახალი მეგობრები შესძინა სახლში ჯდომის მოყვარე ჭაბუკს და თანდათან გააგარეულა. მალხაზი სულ უფრო და უფრო ხშირად დადიოდა ნაცნობ-მეგობრებში, სახელდახელოდ გამართულ ახალგაზრდულ ქეიფზე.

მალე მალხაზმა გიტარაზე დამღერებაც ისწავლა. მას იმნაირივე ტკბილი და ძლიერი ხმა აღმოაჩნდა, როგორც მამას ჰქონდა სიჭაბუკეში. რამდენიმე ბოშურ სიმღერას და ძველ რუსულ რომანსს იგი ანსამბლის წევრების დახმარებით დაეუფლა და ისეთი წარმატებით ასრულებდა, რომ მისი მსმენელები აღტაცებას ვერა მალავდნენ.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. მალე მალხაზი სიმღერის დასაუფლებლად ოპერის ერთ-ერთ ყოფილ სოლისტს მიებარა, რომელიც თვითონ აღარა მღეროდა, მაგრამ კონსერვატორიაში სტუდენტებს ამეცადინებდა. ამ ხნიდან, თბილისელ ახალგაზრდობაში მას დიდი სახელი დაუვარდა და ლამაზი გარეგნობის ჭაბუკი მრავალ ღრეობაში ნანატრი სტუმარი გახდა.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნადიმზე გაიცნო მან მსუბუქი მრეწველობის ობიექტთა მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი, იპოლიტე საბანაძე, ღრეობისა და დროსტარების მოყვარული ზარხოში, რომელსაც ყველაზე მეტად ის ადარდებდა, სად გაეტარებინა დრო, ან სად წაექეიფნა.

იპოლიტემ თავის ირგვლივ ისეთ ხალხს მოუყარა თავი, ვინც გარდა სპეციალური ცოდნისა (ცოდვა გამხელილი ჯობსო: ამაზე უფრო მეტად!), სუფრაზე მოლხენა იცოდნენ.

მის ახლობელთაგან ხუთი-ექვსი კაცი ჩინებული მოსიმღერე იყო და ამ ჯგუფს ,,საბანაძის ანსამბლს" უწოდებდნენ. სადაც კი არ წავიდოდა იპოლიტე, თავისი დასტაც თან მიჰყავდა. ტკბილ ქართულ სიმღერებისაგან ნირვანაში გადასული მინისტრის მოადგილე, თითქმის, ყოველ დღე ქართული ლხინის ეშხით, პეპელასავით იწოდა.

ერთ-ერთ წვეულებაზე ვნებიანმა საბანაძემ მალხაზის დაკვრა და სიმღერა რომ მოისმინა, ისე მოეწონა, ისე ჩაიწვა, იქვე გადაწყვიტა ჭაბუკი ,,ანსამბლში" ჩაერიცხა და თავისი დროსტარების ერთ თანამონაწილედ ექცია.

მაგრამ მალხაზის სპეციალობამ იპოლიტე საგონებელში ჩააგდო: სად ისტორიკოსი და სად მსუბუქი მრეწველობის მშენებლობათა სამინისტრო! — ხელებსა შლიდა იგი და აღარ იცოდა რა ეღონა. გამოსავალი ისევ მალხაზმა იპოვა, ინგლისური და ფრანგული ენების ცოდნა აუწყა.

საბანაძე კინაღამ ცას ეწია სიხარულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მაშინვე დაიწყო ზრუნვა ზენკლიშვილის მთარგმნელად გაფორმებაზე. მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მოყვარული მინისტრის მოადგილე მოსკოვში საგანგებოდ გადაფრინდა, მოდადქცეული ინფორმაციის სექტორის დაარსება მოიმიზეზა და სპეციალური უცხოური ლიტერატურის გაცნობის გასაადვილებლად, მთარგმნელთა ჯგუფის ჩამოყალიბება მოითხოვა.

სულ მალე, საქმე ბოლომდე გაიჩარხა: საკავშირო სამინისტროს განსაკუთრებული ბრძანებით, მსუბუქი მრეწველობის ობიექტთა მშენებლობის რესპუბლიკურ სამინისტროს, მთარგმნელთა ჯგუფისათვის, ხუთი საშტატო ერთეული გამოეყო. ჯგუფის ხელმძღვანელად კი, იმავე დღეს, მალხაზ გოდერძის ძე ზენკლიშვილი დაინიშნა და სამუშაო ფართობის უაღრესი სიმცირის მიუხედავად, მეოთხე სართულზე ორი პატარა ოთახი გამოუთავისუფლეს.

ორ წელზე მეტი იმუშავა მსუბუქი მრეწველობის ობიექტთა მშენებლობის სამინისტროში მალხაზ ზენკლიშვილმა. ამ დროის მანძილზე საბანაძესთან ერთად სუფრაზე გატარებული დრო სულ ცოტა ასჯერ მაინც სჭარბობდა იმ დროს, რომელიც მალხაზს „სპეციალური ლიტერატურის" თარგმნაში გაეტარებინა. მისი ჯგუფისათვის გამოყოფილ ორ პაწია ოთახში ჭაბუკს სულ რამდენჯერმე თუ შეეხედა. მაგრამ მთარგმნელთა ჯგუფი უშუალოდ მინისტრის პირველ მოადგილეს ემორჩილებოდა, ამიტომ ხმას ვერავინ სცემდა.

ჯგუფის ხელმძღვანელს კი არა, ჯგუფის წევრებსაც კი ვერ ნახავდი სამუშაოზე გამოსულს. მართალია, ოთხი თანამშრომლიდან მხოლოდ ერთი „მუშაობდა" მთარგმნელად, მაგრამ რადგან მან არც ერთი ენა არ იცოდა გარდა ქართულისა (ამასთან, მთავრობის წევრის ქალიშვილიც იყო), ამიტომ, არც მას აწუხებდნენ და იგიც მხოლოდ, ხელფასის მიღების დღეებში ესტუმრებოდა ხოლმე სამინისტროს. თუმცა, ამ იშვიათ დღეებშიც არ იწუხებდა თავს მეოთხე სართულზე ასვლით, რადგან სალარო პირველ სართულზე ჰქონდათ გამართული და ხელფასის მიღებისთანავე უჩინარდებოდა.

ჯგუფის დანარჩენი სამი მუშაკიდან, ორ შტატზე მინისტრისა და მინისტრის პირველი მოადგილის რეფერენტები იყვნენ გაფორმებული, მესამე ერთეულზე კი ხან ვის ნიშნავდნენ ხან ვის; ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ამ ერთეულის კუთვნილ ხელფასს მოსკოვიდან ჩამოსული სტუმრების დასახვედრად იყენებენო...

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იპოლიტე საბანაძის წყალობით სამინისტროში სტუმრების ჩინებული დახვედრა იცოდნენ. განსაკუთრებით, თუ ეს სტუმრები სარევიზიოდ იყვნენ ჩამოსულები. მაშინ ყოველი „სარევიზიო" დღე პატარა, მაგრამ დოვლათიანი პურობით მთავრდებოდა. საქმეს განსაკუთრებით ის აადვილებდა, რომ არც თამადა იყო საძებნელი, არც მოსიმღერეები; საბანაძეს მჭევრმეტყველება არ აკლია, მისი „ანსამბლის" წევრებს კი სიმღერის ოსტატობა...

ამ „სამსახურებრივი" ქეიფების სული და გული მალხაზი გახლდათ. როცა მაღალ სტუმრებს არც კახური „მრავალჟამიერი" მოეწონებოდათ, არც იმერული „ცხენოსნური", არც გურული „ხასანბეგურა", არც მეგრული „ოდოია", არც სვანური „ლილეო", არც აჭარული „მაყრული", თუ რაჭული „ასლანური" და, წარმოიდგინეთ, არც ქართლური „ჩაკრულო", მაშინ იპოლიტე აკაკიევიჩი მალხაზს თვალს ჩაუკრავდა და არგენტინულ, ფრანგულ-ესპანურ-იტალიური სიმღერები მალხაზის მიერ ვირტუოზულად დაკრული, ზედ მისივე გულში ჩამწვდომი ხმით დამღერებული, სტუმრებს სულ ხარებივით აბღავლებდა და საქართველოს მზესა და მთვარეს ალოცვინებდა.

იმ ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, რაც მალხაზი სამინისტროში მუშაობდა, მან თითქმის სავსებით მიივიწყა ისტორია, რომელიც ერთ ხანს ასე უყვარდა და იზიდავდა. მაგრამ ძველი სიყვარული მთლად მაინც არ გაჰქრობია: ქეიფებისაგან თავისუფალ დროს, წიგნებს ჩაუჯდებოდა ხოლმე და სანამ მოძალებული მეგობრები ძალის-ძალათი არ ააგლეჯდნენ, არ მოსცილდებოდა.

ოდესღაც საყვარელ მეცნიერებაზე ამ ხამუშ-ხამუში იერიშების დროს, მან გადაწყვიტა სოფელ სამების ისტორია დაეწერა, რისთვისაც უამრავი ძველი მატიანეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკები თუ ძველთა-ძველი სიგელ-გუჯრები გადასინჯა. თუ გამოკვლევა ივარგებდა, მის სადისერტაციოდ წარდგენას ვარაუდობდა, რათა სამეცნიერო ხარისხისათვის ამ გზით მიეღწია, მაგრამ თვეები და წლები გარბოდნენ, მას კი სერიოზული მუშაობისათვის არც დრო რჩებოდა, არც ძალა.

აი, სწორედ აქ დარწმუნდა, რომ ქეიფები უფრო ძნელი ასატანი ყოფილა, ვიდრე მუყაითი შრომა.

ამას რომ ჩახვდა, სწორედ მაშინ ივაჟკაცა კიდეც: თბილისის მიტოვება და სამებაში გადასახლება გადაწყვიტა.

იქ, მშობლები ელოდნენ. იქ, ვახტანგ პეტროვიჩი წაეხმარებოდა. იქ, მამის კეთილმოწყობილი სახლი იზიდავდა. იქ, სულ სხვაგვარი ცხოვრების დაწყება შეიძლებოდა...

სოფელში გადაბარგება, ალბათ, იმანაც დააჩქარა, რომ სწორედ ამ დროს, სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის ქალიშვილი მისგან ფეხმძიმედ შეიქნა. მართალია, ეს გასათხოვარი ქალი უწინაც ყოფილა ორიოდეჯერ ორსულად, მაგრამ ქალის ყაჩაღანა ძმებმა ამჯერად განსაკუთრებულად გამოიდეს თავი და მალხაზს მუცლის გამოფატვრით დაემუქრნენ.

1968 წლის გაზაფხულზე, ოცდაათწელს გადაცილებული ჭაბუკი მშობლიურ სამებას დაუბრუნდა...

გოდერძისა და მალალოს სიხარულს, ენა ძნელად იტყვის!

ცოლ-ქმარი შესამჩნევად გაყოჩაღდა, თანაც შვილის დაოჯახებაზე ლაპარაკს უხშირა. უნდოდათ შინ დაბრუნებული უძლები შვილი უფრო საიმედოდ მიეჯაჭვათ თავიანთი კეთილმოწყობილი და პურმარილიანი სახლის დირესთან.

მთელი ოთხი თვე თავისუფლად დასეირნობდა გოდერძის ამპარტავანი მემკვიდრე. ვერ იქნა და ვერც ერთი შემოთავაზებული სამუშაო ვერ იყაბულა. ხან თანამდებობა ეცოტავა, ხანაც თავისთვის შეუფერებლად მიიჩნია. ბოლოს როგორც იქნა ისაკას დახმარებითა და მამის შემწეობით სკოლაში მოეწყო მასწავლებლად.

თვითონაც არ მოელოდა, რომ ეს მოსაწყენი (როგორც იგი ადრე ფიქრობდა) პროფესია, ასერიგად მიიზიდავდა და დააინტერესებდა.

პირველსავე გაკვეთილზე, ბავშვების ცნობისმოყვარე თვალებმა მიზანში რომ ამოიღეს და წუთითაც აღარ დაეხსნენ, მალხაზმა მანამდე განუცდელი კმაყოფილება თუ სიამაყე იგრძნო, უფრო მოწესრიგებული, უფრო შთაგონებული გახდა.

„მართლაც, რა ყოფილა ბავშვების უზაკველ და გაურყვნელ გულებთან შეხვედრა“. — ფიქრობდა გულისხმას ჩახვედრილი ჭაბუკი და ეგონა, რომ თვითონაც გაახალგაზრდავდა, თვითონაც უფრო ხალისიანი, უფრო მართალი შეიქნა.

მალხაზის „დაბრუნებამ“ დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია სამების მცხოვრებთა შორის.

მშობლიურ სკოლაში, რომელიც მან ასე სახელოვნად დაამთავრა, ახლაც ასწავლიდნენ მისი ყოფილი მასწავლებლები. სკოლას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს თავისი წარჩინებული მოსწავლე, ნიჭითა და მუყაითობით განთქმული მალხაზ ზენკლიშვილი.

დღეს, ეს მალხაზი დაბრძენებული, გადარბაისლებული, ცოდნა შეძენილი და გამეცნიერებული (ასე ეგონა უმრავლესობას), კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას.

თვით ამ ფაქტშიც კი დიდ მამულიშვილობასა და კაცურ კაცობას ხედავდნენ. განა არ შეეძლო ასეთ ნიჭიერ კაცს, ისიც ასეთი შემძლე მამის შვილს, სხვაგან, უფრო საპატიო და უფრო სარფიან ადგილზე მოწყობილიყო? მაგრამ მან მაინც სკოლა აირჩია, და არა რომელიმე, არამედ სწორედ ის, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ თვითონ დაამთავრა.

ნატო მასწავლებელი სიხარულით ტიროდა. იგი სამასწავლებლოში შესულ მალხაზს გადაეხვია და დირექტორთან ერთად კლასში შეუძღვა. საკლასო ოთახში ახალბედა პედაგოგს რამდენიმე თაიგული დახვდა...

ყველა ინტერესით შესცქეროდა ლამაზ მასწავლებელს, ასეთ მიმზიდველსა და ახალგაზრდას. მაღალს, წარმოსადეგს, გრუზა ქოჩრითა და დიდრონი თაფლა თვალებით. იგი უცხოური ქსოვილის მოდურ ფოლადისფერ კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ყელსაბამიც ახლებურად ჰქონდა გამომარყუჟებუ-

ლიდა პერანგიც ისეთი ეცვა, გადაშლილი საყელოს გრძელზე-გრძელი ბოლოებით, რომელიც სამებაში ჯერ არავის ენახა.

როგორ არა ჰგავდა იგი სოფლის იმ მასწავლებლებს, ყოველ დღე რომ ხედავდნენ. „სულ ჩვენ ფუკოს არა ჰგავს“. — იხუმრა ერთმა მეათეკლასელმა და ეს ხუმრობა მალე მთელ სკოლას მოედო.

„ფუკო“ ფიზიკის მასწავლებელს ერქვა ზედმეტსახელად. ეს დაბალი, ჯმუხი მოხუცი, დიდი წითელი ცხვირით, დამეჭეჭებული სახით, დამუწუკებული კისრით (მას დიაბეტი ქონდა, ამიტომ ბებერები არ ელეოდა), ჩამობრანძულ-დაჭმუჭნილი ტანსაცმელითა და გაუპარსავი წვერით, მუდამ მობუზღუნე და ღვარძლიანი, — მოწაფეებს განსაკუთრებით აგდებული ჰყავდათ.

„ფუკო“ — მოხისელი იყო. იგი მრავალრიცხოვან ოჯახს არჩენდა. მისი ორი შვილი თბილისში სწავლობდა, ხუთი კი მასთან ცხოვრობდა. ამიტომ მოხუცი პედაგოგი უსახსრობას განიცდიდა და ერთობ მძიმე პირობებში იმყოფებოდა. მაგრამ ყოველივე ეს, ხელს არ უშლიდა თავისი საგნის სწავლება კარგად დაეყენებინა და სოფლის სკოლის კვალობაზე ჩინებული კაბინეტიც მოეწყო. სწორედ მან ჩაუნერგა მალხაზს ფიზიკისა და მათემატიკის სიყვარული, რომელიც ჭაბუკს ასე მალე და უკვალოდ ამოუქროლდა...

მალხაზს ახლაც კარგად ახსოვს თავისი პირველი გაკვეთილი... კლასში შესულთ მოსწავლეები ფეხზე ამდგარნი შეეგებნენ. ისინი ისეთი გაჭიმული იდგნენ (რაც ფრიად და ფრიად იშვიათი იყო), როგორც ჯარისკაცები გენერლის წინაშე. ნატო მასწავლებელი ღიმილით ათვალიერებდა ნაცნობ სახეებს და სიხარულად იფრქვეოდა. მან კუთხეში, ფანჯარასთან სკამი დაიდგა და ზედ, როგორღაც მოკრძალებულად მოკალათდა. სკოლის დირექტორმა კი მოსწავლეები გასწი-გამოსწია და წინა მერხზე ჩამოჯდა.

მალხაზმა ჟურნალი ამოიკითხა. თითქმის ყველა გვარი დიდი ხნის განაგონი ჰქონდა და მახლობელივით ჟღერდა. ის ჯერ არა, მრავალ მოწაფეს. სახეზედაც სცნობდა, რადგან მათი მშობლებისა და უფროსი დაძმის სახება მტკიცედ ჩაჭედოდა მეხსიერებაში. ყმააწვილთა სახეებში მათი მშობლების თუ და-ძმათა ნიშნების აღმოჩენა ძალიან საინტერესო ეჩვენა.

მოწაფეები ცქვიტად დგებოდნენ და ხალისიანად ეხმაურებოდნენ თავიანთი გვარის დასახელებას. ალბათ უხაროდათ, რომ მასწავლებლისთვის უცხონი არ იყვნენ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ახალი მასწავლებლისადმი თანაგრძნობა ჭაბუკებისა და გოგონების გულებში იქამდე გაღვივდა, სანამ მალხაზი კლასში შევიდოდა.

მალხაზმა ორი მოწაფე წამოაყენა: — „რა მასალა გაიარეთ ბოლო გაკვეთილზეო“. მაგრამ ამის დადგენა მეტად გაჭირდა. ბოლოს, დიდი კამათის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტორებსა და ვიგებზე შეჩერებული იყვნენ.

მალხაზმა საინტერესოდ მოუთხრო ინგლისელი კონსერვატორებისა და ლეიბორისტების შესახებ. ჯერ ისტორიაში ჩაღრმავდა, წარსულის მრავალ საინტერესო ფაქტს შეეხო, მადლობა ღმერთს, ბევრი რამ იცოდა ჩემბერლენის, ლოიდ-ჯორჯისა და სამხედრო მინისტრის ლორდ კიტჩენერის შესახებ. მერე ჩერჩილის პოლიტიკაზე ესაუბრა, იდენის მოსკოვში ელჩობა გაიხსენა, ბავერბრუკის სტალინთან შეხვედრა აუწერა, ბევინისა და ეტლის პოლიტიკა დაახასიათა და ისე მოხიბლა, ისე დაატყვევა მთელი კლასი, ზარი რომ დაირეკა, წამოდგომა აღარავის უნდოდა.

მალხაზი ისეთი დამაჯერებლობით ლაპარაკობდა, გეგონება ყველაფრის თვითმხილველი ყოფილიყო. და ეს-ეს არის კრემლიდან გამოვიდაო. რა თქმა უნდა, ვიწრო წრესათვის ცნობილი ზოგიერთი ეპიზოდიც გაიხსენა, (პირადული ხასიათისა) და ამ სოლიდურმა ინფორმირებულობამ მის მიამიტსა და გულუბრყვილო მსმენელებზე პირდაპირ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე ქუთათელი

### ნატახტარის ბულბულები

ქართლში ჰლვივის მაისის
ვარდისფერი აისი
და ჩაღდება ჯეჯილში
მინდვრის ჩიტთა მეჯლისი.
ელავს მწვანე ყანაში
იაგუნდი, ბადახში,
ყაყაჩო და ღიღილო,
სამოთხე რომ ვიხილო.
ელავს ია ჟუჟუნა,
ჰყვავის იასამანი,
ვერ ჩაუქრო უკუნმა
თვალი ცვარში ნაბანი.
ჩანს ირმის ნამუხლარი,
ქუხს არაგვის ბუბუნი,
და ისევ სტვენს მუხნარში
ნატახტარის ბულბული.

განა ერთი ?— ათასი
მომღერალი უებრო,
რომ თვისი ხმით ხალასით
საქართველოს უმღეროს.
ისმის კოლორატურა,
კრიმანჭული, სოპრანო,
დირიჟორი რად უნდათ,
ცნობილი თუ საბრალო!
მაგონდება ხმატკბილი
ვანო — აბესალომი,
ეთერ-ქალი მანდილით,
რომ გვხიბლავდა ქალობით.
ჩანს ირმის ნამუხლარი,
დგას არაგვის ბუბუნი,
და ისევ სტვენს მუხნარში
ნატახტარის ბულბული.

### ბებერი ხევსურის სიკვდილი

ბანზე გაჭიმულ თოკს ჩასჭიდნოდა
გიგი, ხევსური სნეული პაპა,
ჯამბაზ ქისტივით ზედ არ ვიდოდა,
ცოლი აჭმევდა წყალწყალა ფაფას.
შესივებოდა მოხუცს ფეხები,
ვერ გადივლიდა ღამით შავ მთათა,
ძრწოდა შავეთის ხელის შეხებით,
ბედშავს რომ ცხელი რკინით შანთავდა.

ახლაც მოესმით მისი გოდება,
ბებერი ლომის მსგავსი ბუხუნი
და ის გოდება როს აგონდებათ, —
შავი ნაპრალის ზარავთ უკუნი.

* * *

აგონდებოდა ბედშავს წაწალი,
ცხვარი, მწყემსები, ქისტებთან ომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბუხუნებდა ისევ საწყალი,
ღონემიხდილი ბებერი ლომი.
ხანაც ძაღლივით მთას შეჰყმუოდა,
რადგან სულ მალე ვეღარ ნახავდა.
მთის წყაროს ცივი წყალი სწყუროდა
ცისარტყელები რომ გადახატა.
უკან რჩებოდა აწ ბარისახო,
შატილ-არხოტი, ციხე, ხახმატი,
თვისი შაირით ბევრჯერ რომ აქო,
და ეუბნება ახლა „ნახვამდის".
მის ტალავარზე ნაგვირისტები
კრთოდა ღიღილო, ლაშარის ჯვარი,
ჯვარი, რომელსაც ჰგმობდნენ ქისტები
და შეუსიეს ხევსურეთს ჯარი.
მაგრამ ვერ დასცა ჟამმაც კლდის კარი,
ვერ გადალახა მთაში ღელეჭა.
სულ სხვა მოადგა მთას მზე, ცისკარი
და მან კლდეები შუბით შელეწა.
პაპა გიჟივით მიშტერებოდა
მდინარის პირას აზლუდულ გორას,
სადაც ნელინელ მკვდრის მზე ქრებოდა
და კრუალები ამბობდნენ ქორალს.

მყისვე შეიგნო ბედი ობლისა,
გლოვით და ურვით დანაპურები.
მას ღრღნიდა ჭირი მარტოობისა
და გულგრილობა შინაურების.
შეიგნო, კაცი ბრძენი და ქველიც,
სიკვდილის პირას რომ რჩება მარტოთ,
მას შვილთაშვილიც ვეღარა შველის,
ტოვებს საწუთროს და ამას დარდობს.

* * *

მოხუცს მოესმა ხმა სამარიდან.
დროშას შეაწყდა ზარი შებმული
და სამუდამოდ აწ გადავიდა
შავეთში პაპა გაშეშებული,
ღამით ზეცაში დასხდნენ ვარსკვლავნი,
აღარ იშლიდნენ წამწამთა ხამხამს
და მკვდარი პაპის რკინის ფარსავით
მთვარე დაადგა გაყუჟულ ხახმატს.
მას არად უჩანს ხევსური გიჟი,
არც ბრძენთა ბრძენი და არცა გმირი.
მარად გულგრილად ანათებს იგი
და სცევია ციხის ყრუ ლოდებს კირი.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ

# ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

* * *

ამქვეყნად ყველა სიალის მომსწრე
ისევ და ისევ
აჰა, სამოცდაათი წლის თვალი!

ჩაუქრობელი ჯავრის და ცეცხლის
გამძლეა მისებრ
ძვალი, ყვრიმალის უბრალო ძვალი.

სამოცდაათი წლისაა სისხლი,
ახლაც დროდადრო
მაჯას რომ აგრე შემითამაშებს!

მაშ, გამომწვევი ღიმილი როგორ
არ მოვანატრო
ჩემს მოქიშპეებს და ჩემს ლამაზებს!

მაშ, რა მაღლობი და რა დაბლობი,
რა მთა, რა ვაკე,
რა დასასრული ცისა და მიწის, —

შავი ზღვის პირად რა ჭერ-მაღალი
სახლი ავაგე —
შავი ზღვის პირად გავშვმაც კი იცის...

ამ ოდა-სახლის ხომ ძელ-ფიცარიც
წაბლის ხისაა,
და საჭოჭმანო რა უნდა მქონდეს,

ცაში სარკმელებ-გაბრწყინებული
სწორედ ისაა,
სხვა საცხოვრისი რად მომაგონდეს! —

წვდებოდა ასწლეულს აქ ჩემი ხელი,
ჩემი გონება,
და ორივ ფეხით ვადექი მიწას;

გულის-ფიცარზე უკვე ყოველი
წლის მოგონება
მაჩნია როგორც ამ წაბლის ფიცარს!

* * *

დაგიხატავს, შვილო, მთა და მთა და მდელო,
დაგიხატავს საქართველო ციდან ცამდის!
მაშ, ცად აჭვე ჩემი ნაბდის დამხატველო,
თქვი, რომ: ერთი ერისკაცი მეც ვარ ამ მთის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიქროლეს მთა-მთა ქვეყნის ქარიშხლებმა,
ძველ მუხნარში ვდგევარ, სადღაც, სოფლის ბოლოს ·
სადაც მწვანე ტოტიც კი არ გაიშლება —
ქარიშხალთა სუნთქვა რომ არ მოიგონოს!

მოიგონოს მწვანე ტოტმაც, ტოტის რხევით,
როგორ დავხვდი ცის იმ პირველ გაღიმებას.
ჩამოვიდა ღმერთი, როდის, როდის, ქვევით
და მიუშვა... და მიუშვა ხალხი ნებას!

მოვიგონოთ, აბა, რად არ მოვიგონოთ —
რა გასწორა ქარიშხალმა, რა დაინდო...
სიტყვა რაა, მზეც კალმის ქვეშ მოვიყოლოთ,
კარგად გვახსოვს, სად ჩაქრა და სად აინთო!

* * *

ტყე მორევია წმინდა ილიას ქვიტკირს და მაინც მსურს მოგაგონოთ:
დიდი სიჩუმე ამ იდილიის სიცოცხლისათვის გვეძახის მხოლოდ!

აქ არც კვნესაა, არც განრისხება, აქ უკვე სდუმან მამა-პაპანი.
და სწორედ ქვის ამ ნიშთან იწყება დროგასულ ზღაპრის შემდეგ ზღაპარი!

გადაჭდობია ტოტებს ტოტები, რომ სულმაც ლაღი სუნთქვა ინატროს:
ბერმუხა ჩემი, ჩემი ტოტები ციდან დაჰკურებს ჩემს საბინადროს.

ერთი ციმციმა იმედის მეტი მთელ ვარსკვლავეთში რაღა მებადა —
და როცა ცისკრის სიცილს ვისმენდი — დარდიც ის იყო დაღამებათა!

გამიგეთ ფიქრი, ჯიქთუბნის, ეწრის და წყაროთავის მოხალისენო,
გამიგეთ ფიქრი, წყვდიადში ცეცხლის ანაპერწლებაც რომ გავიხსენო!

შეათამაშეთ ცაში დაირა, როგორც კი მთვარე მისწვდება ფიქრებს,
აი რა უთქვამს ჩემს ლექსს, აი რა, ცეცხლით აი რა ცეცხლს შემაჯიბრებს!

მზეც კი არ მიყვარს შუქის მომფენი, თუ ბერმუხებში ამოსულს არ ჰგავს —
ჩემი პატარა დღე და სოფელი არა, ჯერ კიდევ არ დამიკარგავს...

რომელი ფრთა და რომელი აფრა! ცას განა თვალიც გადავაყოლე,
ბრმა საჰაერო გზებითაც, დაბლა დასაფრენს ეძებს ჩემი ძალღონე!

როგორც კი სოფელს მოველხინარე, ვგრძნობ, ამაფეთქა მეც ჩემმა ნაღმმა
და აი, მე და ჩემი მდინარე სხვა საუკუნეს ვაწყდებით გაღმა!

და თუ სიმღერის ძალა აქვს ამ ცეცხლს, ამ ნაპერწკლებით ცად ამზევებას,
არც ღამისთევით არ უნდა დაცხრეს, ღამეებს ჩემებრ უნდა შეებას!

თუ არა — მწუხრის, და იდილიის რა მწამს რომ ასე მსურს მოგაგონოთ:
დიდი სიჩუმე წმინდა ილიას სიცოცხლისათვის მეძახის მხოლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რა ფიქრი აქრობს ანდა რა დალლა
თვალს ჩაუქრობელს!
მე ჩემს ბიჭობას ვიგონებ ახლა,
ვიგონებ სოფელს.

დღე ალალ-ბედა!
ტყე შეფოთლილი, კვირტებნაყარი.
მინდორი მე და
ლაღი ნაბიჯი, ლაღი ხარხარი!

მტრებზეც განვრისხდით,
მტრები დაგვესხა გზადაგზა, ვითომ!
ომი ყავრის ხმლით
გადავიხადეთ ათასჯერ თითომ.

წისქვილთან, აქვე, მეც მეგულება
ტოტების ბწკარი:
ბროწეულების ალს ესხურება
საგუბრის წყალი.

მეც ბროწეულის ყალიონს, დინჯად
გავიწყობ ჩემთვის.
დინჯად მოვავლებ თვალს მოსასინჯად
ბჭეს კარიბჭემდის.

მაქვს ჟინი, როგორც აქვთ ყანისკაცებს,
აქ სიტყვის აბმის...
ხან ძველი ამბის თქმა გამიტაცებს,
ხან ახალ ამბის!

მზეს ნაპერწკლებით მეც აუვსივარ —
მაჩნია ჭორფლი.
ჩემს ტოლ-ბიჭებში ფეხმორთხმით ვზივარ,
ვით მჯობნის მჯობნი.

ბეჭებდაფქვილულ ბერ-პაპას ვხედავ,
დაფქვილულ ფაფრით, —
რით დაამთავრებს აქ ყოფნას, ნეტავ,
თუ არა — ზღაპრით!

ის კი ჩემს მახვილს ლესავს და ლესავს,
ამბობს: — აბაო,
ვნახოთ მახვილად თუ გაულექსავს
ჩვენი ჯაბაო.

და მე არ ვიცი რად მიხარია
ბიძგიც ტოლების...
ჩემს ლექსს განაგრძობს იქ რა ხანია
ბრუნვა დოლაბის!..

... იმ სიყმაწვილის, იმ წუთის აქეთ
რას არ მოველი,
რა სათამაშო რამ არის, დახეთ,
წუთი ყოველი!

რას დაინახავს იმ ოცნებაში
ახლა სხვა თვალი...
მაშინ ვიყავი, მე უკვე მაშინ,
მათი მხატვარი!

გულუბრყვილობა რომ შემრჩენოდა
მაინც მცირედი —
მზეს იმ წისქვილის მყუდრო ჩეროდან
მეც შევცინებდი!

რა იქნებოდა მეთქვა მაშინვე
ჩემი სათქმელი...
იქ იყო ძალა, იმ თამაშშივე —
ენის ამდგმელი!

## საქართველო არის ყველგან, სადაც მე ვარ!

„... ცა დღისა და ღამის, ციდან ცამდე ღია —
იქნებ ზღაპრად იყო, და არ გამიგია!

უმოსახლო მთა-ბარს სცივა, ისე სცივა,
რომ სიცივით ციმციმს ვარსკვლავები ცვივა.

მდინარეთა ნაპირს როგორც მინანქარი
მიეყინა ტალღა, მიეყინა ქარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კერის ცეცხლი მაჯას ამიჩქარებს
და ხელაკვრით ვაღებ ჩათბუნებულ კარებს!

რაა ჭირხლი, რაა ფერხთქვეშ თოვლის ფენა —
მანქანებმა თუკი ამოიდგეს ენა!

გამოვალ და, მეც ვარ ერთი კაცი ამ დღის.
გამოვალ და, მხრებზე ბური ისევ ამდის —

როცა ვცდილობ ჩვეულ ამღერებას ავყვე,
ავირჩიო კედრი და ძირს დავცე აქვე.

მთაბარს სჯაბნის თოვლი, თოვლს სიმწვანე წიწვის,
კოცონივით გზა-გზა მოგონებაც იწვის:

აჰა, ქროლვა ნაბდის, კვლავაც ფრთა-გაშლილი —
ატამანი ნესტორ კალანდარაშვილი!

სამოცი წლის შემდეგ, ამ კოცონის ახლო
სიჭაბუკე ჩემი, ვფიქრობ, დავასახლო.

და გუგუნებს ცეცხლი, და გუგუნებს მიწა.
ქვიტკირმა და რკინამ ძმობა შემომფიცა.

ჩრდილოეთიც გულთა ძგერამ გაარღვია.
არა, ციმბირს ცივი მიწა არა ჰქვია!

უცხო არც ერთ მღელვარ დღეს არ დაერქმევა —
საქართველო არის ყველგან, სადაც მე ვარ!

დასაფრენად უკვე გადავთოვლე ველი —
მოყვარეს და სტუმარს ჩრდილოეთშიც ველი...

საოქტომბროდ ჩემი ჭერიც მინდა ნახოთ
და აქ ჯონქა-ხარის რქა რქას მივაჯახოთ!

...აქ თავდება ლექსიც ამ დღისა და ღამის.
„ლომთათიძე" — აწერს ხელს მცხოვრები ბამის.

გვთხოვს გადავცეთ ალალ ძმას საკუთარ ხელში —
ლომთათიძეს, მცხოვრებს სოფელ ზემო-ხევში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ია ორჯონიკიძე

### ზამთრის საღამოს

გადაფითრდა და
გადაიტეტკა
ჩემი ფანჯარა,
თვალდახუჭული,
თურმე საქვეყნოდ
ის უნდა მეთქვა,
გეუბნებოდი
რასაც ჩურჩულით...
ვისურვე თურმე
თავხედმა ბევრი
ვარდიც,
უფლებაც
ქალად დარჩენის,
გათავდა!
ვიცი,
წარბსაც არ შევხრი,
შენ —
დამივიწყე და
შემაჩვენე...
მე მზარავს
ჩემი ძალა გაძლების,
ბაგეს მომდგარი
ღიმილი წრფელი
და ამ ზამთარში
მხნე პატარძლების
სიყვარულისკენ
გაწვდილი ხელი.

* * *

შემოდგომაა,
საღამოა.
არავის ველი,
გადავშლი წარსულს
აბრეშუმის ყვითელ ზონარით...
უნდა გავიდეს
კიდევ ნეტა
რამდენი წელი,
რომ აღარ დამრჩეს
თქვენზე რამე მოსაგონარი...
ვით ზეცა ყრმობის,
ვით შუადღის
ალხი — ალერსი,
როგორც ქორწილის ყვავილები
მინდვრებს ნაღვლიანს,
მახსოვხართ მუდამ,
და ეს გახლავთ
უუმწარესი,
თუმცა თქვენს ბილიკს
ხენი უკვე
ფოთოლს აღვრიან...
შემოჩვეული
ჩქარობს ჟამი
ვითა მპარავი:
მიაქვს ზაფხულის ალმასები
ძოწი, მარჯანი...
მარტოობაა.
საღამოა გულშემზარავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წვიმს ცათაგან
დაგროვილი, დაუხარჯავი...
ამიერიდან
უკვდავია თქვენი სახელი,
ეს ამღვრეული შემოდგომაც —
სარკმელს მოხლილი,
ღუის კედელზე
შარშანდელი ტოტი ძახველის,
კვლავ მშვენიერი,
მაგრამ უკვე წელში მოხრილი...

* * *

როგორც მტაცებელს ეკადრება,
ირჯებით ისე.
მიღიმით ვით მსხვერპლს,
ვით საკუთარს,
ვითარცა მხევალს...
იყიდეთ ძაღლი,
ჯაჭვს შეაბამთ
ოქროსას კისერს
და ვით მასხარა არენაზე,
ქალაქში შეხვალთ...
მხიარულია, მხიარული
დარბაზი ცირკის!
რა დღეის დარდი?!
რა საშური საქმენი ხვალის?!
სეირი გინდათ!
გამოწვერთნილი —
გველი და ხვლიკი,
ტურა და მელა,
მგლები, მგლები,
კაციც და ქალიც!
მქუხარე ტაში
კურდღლის მალაყს,
თაგვების ილეთს,
მქუხარე ტაში
შავი ნიღბით
თვალშებურვილებს!
(საძინებელში შესასვლელიც
იშოვნის ბილეთს
თქვენი ამქარი, მოწყენილი,
თუ აქვს სურვილი)...
აი, რას ვფიქრობ,
როცა თქვენი
ღიმილი მძაფე,
ვით ქონი,
გულზე ჩამოღვრილი,
ზედ მეყინება,
როს გზას,
უფსკრულზე გადადებულს
აქანებს ლაღი
სუნთქვა ღვარცოფის.

* * *

სტადიონთა
სტვენა,
გინება...
ნე გაიოცებთ,
თუ ვარჩიე ქოხი ღარიბი,
მკლავები,
ჩუმი და ღირსებით
აღსავსე კაცის!
ჩემი სასახლის
დახშულია თქვენთვის
კარები,
როგორც სამარე
სამუდამო ლოდით და ქავვით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დაგივიწყო მინდა
სამუდამოდ .... უცებ,
რომ სახელი შენი,
ისე მოსწყდეს ტუჩებს
ვით ნაყოფი რამე,
რომელს მისწვდა ხელი,
როგორც წამი — წამებს.
როგორც სუროს — გველი... ,
შემოდგომის ძონძებს
როს ჩაჰყრიან კოცონს,
მინდა შენზე ფიქრი
ცეცხლმა გადაჰკოცნოს,
ხელთ შემრჩება მხოლოდ
რაიც არის წმინდა, —
ფერფლი!
სამუდამოდ
დაგივიწყო მინდა!

* * *

ახლაც ვხედავ:
მატყლსა პენტავს დიდედა,
ჩუმად ცრემლი
ჩამოსწყდება წამწამებს,
ხან შეკრთება,
თითქო ცილი დასწამეს —
კარში ვიღაც
უცხო შემოიხედავს...
გათენდება
დღე ახალი,
კისკასი
მზე დადგება
და სიცოცხლის ამინდი...
„ჭიშკარს გასცდა,
ვისია და სად მიდის“?
არ გამოჩნდა,
არ გამოჩნდა
ის კაცი...
ახლაც ვხედავ
კარებს მიაყურადებს,
წელს თუ არა,
იმედი აქვს გაისის!
მერამდენე,
მერამდენე მაისი
რთავს მინდვრებს და
გადიდებულ სურათებს.

* * *

მივაწუტებ ლოყას
სველ,
ნაწვიმარ სარკმელს.
აჩხრიალებს ტალღა
ქვირითივით ქვიშას.
აღარ ვწუხვარ, აღარ,
მაისს ერთით ნაკლებს.
გადაიღებს წვიმა,
არაფერი მიშავს...
შეტოკდება მინა
და ფოთოლი ხმელი.
ცეცხლს აკვესებს ზეცა:
ხან აქ,
ხან იქ ელავს...
ფიქრი,
როგორც წელში
გაწყვეტილი გველი
გაიბრძოლებს ერთს და
გაცივდება ხელად...
მეჩვენება, ვიღაც
შავ, დაბურულ გორგალს
მე მაჩეჩებს ხელში,
როგორც ბედის ნიშანს...
ზღვა მოსულა კართან,
წრიალებს და ბორგავს
და თვალებში მაყრის
უკაცრიელ ქვიშას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

დამიგდე ყური,
უნდა გითხრა,
რადგან გწყადია!
ვცხოვრობთ და
ვწვალობთ
ათიოდე წელიწადია
და ერთმანეთის
არაფერი
არ გვესმის ჩვენა...
რიღასთვის, მითხარ,
რამდენი გვაქვს
სხვა საზრუნავი,
რიღასთვის ღამე —
დახვეული ტანზე
მცურავი
და საზარელი გულგრილობის
თმენა და თმენა?!
მშვიდობით!
აღარც შემართული
მითრთის მარჯვენა,
მე წავალ
შენზე მოგონების გადასარჩენად,
ჩემს ტანჯვას
მხოლოდ პოეზიის
უხდება ენა!

## ესკიზი მელანქოლიური სურათისათვის

მზე აღარა ჩანს, —
საცოდავად ღრუბლებში ბჟუტავს,
დაბრმავებულა სამუდამოდ
საათი ქუჩის...
ხიდის ყურესთან
ეთხოვება უშვილო თუთას
დღე შემოდგომის,
როგორც ერთ მუნჯს
მეორე მუნჯი...
მიდიმის ვიღაც,
სად მინახავს.
ვიგონებ, — როდის...
ვინ არის ნეტავ,
ვის ვახსოვარ
ამ ქვეყანაზე?!
ოცი წლის შემდეგ
საფლავზედაც არავინ მოდის
და მხოლოდ წვიმა
კორდს აცოცხლებს
და ალამაზებს...
მზე აღარა ჩანს.
ხმელ, გაძარცულ
ღეროს აქანებს
ნოტიო ქარი
ჩაფრენილი ნისლების კალთას,
სდუმს შელამების
ნაღვლიანი, რბილი ფანქარი
და ვიდრე ამბავს დაიწყებდეს,
ჩრდილს ჩრდილში ხლართავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სოლომონ სამხარაული

# თეთრი გედი

მოთხრობა

კვირას დილიდანვე ცხელოდა. შუადღისას კი მზემ ისე დააჭირა, სიცხისაგან ლამის სული გვეხუთებოდა.

— ტბაზე წავიდეთ. — შემომთავაზა ჩემმა მასპინძელმა ზურაბმა.

— აქ სად არის ტბა! — გამიკვირდა.

— ჭალისპირას საგუბარი გაჟკეთეს, ზორბა რამეა.

ჩავსხედით მანქანაში და ჭალისკენ გავუტიეთ. მოხრეშილ გზაზე კარგახანს ვიჯაყჯაყეთ. პაპანაქება სახეს გვიტკრეცავდა. უკან მტვრის კორიანტელი მოგვდევდა. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ ჭალამდე. ნახნავების ბოლოში მარჯვნივ, გავუხვიეთ, წარაფის გასწვრივ, ყამირგზაზე გადავედით. მანქანა უხმაუროდ გასრიალდა. მეჩხერი წარაფის გადაღმა, ტბის მოლურჯო-ლაპე სარკე კრთოდა. ტბას მარჯვნიდან შემოვუარეთ და კბოდეს თავზე, მუხნარში შევედით. მუხნარი თხუთმეტ-თექვსმეტი მეტრის სიმაღლიდან გადაჰყურებდა საგუბარს. ტბის გადაღმა, ბებერი წნორებისა და ვერხვების უკან, ლიჭებითა და ეკალბარდებით ახორხლილი ჭალა ჩაბინდულიყო.

კბოდეს პირას ორი მსუბუქი მანქანა იდგა. იქვე, მუხის ჩალიბრულ ჩრდილში ხუთი თუ ექვსი სახევრად შიშველი მეინახე სუფრას შემოსხდომოდა.

— ოხ, თქვენი!... — წაიბუზღუნა ზურაბმა — ამათ აქ მოსვლას ვინ დაასწრებს. საჭე მარჯვნივ მოღრიჯა, გზა აუქცია და ჩაყუდებული თავდაღმართით საგუბრის ბოლოში გავედით.

— ერთთავად აქა ყრიან. რით ვერ მობეზრდათ ამდენი სმა!

— იცნობ?

— რა დიდი საცნობი ეგენი არიან. კარგი ადგილია, სხვაგან ვერხვის ფოთოლიც რომ არ ტოკავდეს, მანდ მაინც ნიავი ქრის.

ფუღურო წნორის ქვეშ გავჩერდით. ნაშეზე შეყვითლებული ყამირი ბიბინებდა. ჩრდილებში მდელოს სინესტე შემორჩენოდა და გრილოდა. აქაც რამდენიმე მანქანა იდგა. ტბისპირას, რიყეზე, ბავშვები ღლაბუცობდნენ, ვინ წყალში ჭყუმპალაობდა, ვინ სილაში იგანგლებოდა. უფროსები ჩრდილებში მიმოფანტულიყვნენ. ზოგი თვლემდა, ზოგი კითხულობდა. ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ, თან ცალი თვალი ბავშვებისაკენ ჰქონდათ.

მომრგვალებულ საგუბარს სიგრძესიგანე ორას მეტრამდე ექნებოდა. მარცხნიდან კბოდე ეკრა, ბოლოდან და

ჭალის მხრიდან ბეტონის სქელი კედელი და განიერი მოწაყრილი შემოევლოთ. მიწაყრილის თავზე გზა გადიოდა, ძირობაზე კი ნაკური წყლის არხი ჩამოსდევდა. კბოდის გასწვრივ ლელქაშების ვიწრო ზოლი ბიბინებდა.

ტბაზეც სიცხის ბუღი იდგა. ტალღა არ იძროდა. ლეგა გლუ სარკეს მქრქალი ნისლი დაჰფენოდა. ფოთოლიც არსად ტოკავდა.

მოთენთილი გარემო უსიცოცხლოდ გარინდულიყო. სამხრობის შემდეგ დასავლეთიდან სიომ დაუბერა და ოდნავ აგრილდა. ცოტახანში იხვების გუნდი გამოჩნდა. ტბას გადაუქროლეს და ჭალის გაღაღმა მიიკარგნენ. ჩქარა ისევ გამოჩნდნენ! ირიბად დამწკრივდნენ, ტბის თავზე წრე მოხაზეს, მერე ქეშად დაეშვნენ და ლელქაშების ბოლოში ფრთების ფართქალით ჩასხდნენ წყალში. ბავშვები ჟრიამულით გაცვივდნენ მათკენ, მუხრანში მეინახენი წამოიშალნენ, თოფებს წამოავლეს ხელი და წელში წაღუნულები აქეთ-იქით მიიმალნენ. იხვები ტბის სიღრმისაკენ შეცურდნენ. ბავშვები ყიჟინით მირბოდნენ. ხელებს უქნევდნენ. იხვები შეფრთხნენ, კისრები წინ წაიგრძელეს და ჭრელი ფრთების ფრთხიალით ცაში აიჭრნენ.

თეთრპერანგა მეინახე კბოდეზე გადმოდგა, ხელს იშვერდა, რაღაცას ყვიროდა. ბავშვების ხმაურში არაფერი ისმოდა. თეთრპერანგა ისევ იჭაჭებოდა. ბავშვები ერთბაშად გაჩუმდნენ, ყური მიუგდეს.

— დაიკარგენით მაქედან! — ყვიროდა თეთრპერანგა და მუშტებს იქნევდა.

ბავშვები უჩუმრად გამობრუნდნენ და რიყეზე წამოგორდნენ.

მეინახენი სუფრასთან მიქუჩდნენ.

ცოტახნის შემდეგ ჭალის თავზე რაღაც დიდი, თეთრი ფრინველი გამოჩნდა. გრძელი კისერი ისარივით წინ წაეშვირა. ვეება ფრთებს ზანტად იქნევდა და ნელ-ნელა ტბისაკენ ეშვებოდა, ტბის ზედაპირს რომ მიუახლოვდა, ფრთები გაშალა და ერთხანს [illegible] გასწვრივ მილივლივებდა. ლელქაშებთან შეფრთხიალდა, კისერი უკან გადაიგდო და წყალში დგაფუნით ჩაეშვა. ბავშვების ჟივილ-ხივილმა იქაურობა გააყრუა.

— რა არის? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

— გედია. — თქვა ვიღაცამ.

— გედი, გედი! — აყვირდნენ ბავშვები. დიდი და პატარა წყლის პირას გამოიშალა. ყველა გედს უყურებდა.

იმ წუთს მუხნარში მესუფრენი წამოცვივდნენ, მანქანებს ეცნენ. თეთრპერანგამ თოფს დაავლო ხელი და ტბისაკენ დაეშვა. დანარჩენები მანქანებში ჩასხდნენ და წარაფის უკან გააქროლეს.

კისერმოღერებული გედი ლელქაშების გასწვრივ მისრიალებდა და ყიოდა.

— დილას ერთი მოკლეს. ალბათ იმას ეძებს. — თქვა ჭაღარაშერეულმა კაცმა.

— თუ ცალი მოუკლეს, თვითონაც თავს მოიკლავს, — ირწმუნებოდა სათვალიანი.

— სიცოცხლე ტკბილია, მოიკლავს არა..

გედი ყიოდა.

— ეძებს... საწყალი, როგორ ეძებს!..

მანქანებმა ტბას შემოუარეს და გაღმით ერთმანეთის მოშორებით გაჩერდნენ. თოფმომარჯვებული მეინახენი გადმოვიდნენ და მიწაყრილის უკან მიიმალნენ.

— ამასაც მოჰკლავენ, — თქვა შუახნის კაცმა. — ნეტა რას უშლით! — ყველა გაჩუმდა, ბავშვებიც გაიტრუნენ. დაძაბული უცქერდნენ ხან გედს, ხან თეთრპერანგას.

თეთრპერანგიანმა ფლატე ჩამოირბინა და წელში მოხრილი ლელქაშების უკან შეეფარდა. მიწას გაერთხო, მილოლავდა, გველური გლინვით მიძვრებოდა.

— ქშა, ქშა! აფრინდი შე[illegible]

დაო, — ხელებს იქნევდნენ მოთმინებადაკარგული ბავშვები.

თეთრპერანგიანი გაუპირდაპირდა გედს. თოფმომარჯვებული წამოიმართა, გედიც სწრაფად გასრიალდა, კისერი წინ წაიშვირა, ფრთების ფათქუნით გაიქცა. წყალი ააჩქეფა. თანდათან ზევით აიწია და როგორც იქნა, გოგვით აცურდა ჰაერში.

ლელქაშებიდან თოფმა იქუხა. გედი მაღლა-მაღლა ადიოდა. ათი-თორმეტი მეტრის სიმაღლეზე იქნებოდა ასული, მეორედ ესროლა. გედი შეტორტმანდა. მარჯვენა ფრთაზე მოტეხილი წვერო დაეტყო. აფარფატდა, ადგილზე დატრიალდა. მერე მოწყვეტით დაქანდა და წყალში დგაფუნი მოადინა. მაშინვე გასწორდა. ფრთები აიკეცა. მორკალული კისერი ოდნავ წინ გაიშვირა და შუა ტბისკენ გასრიალდა.

გაისმა აღტაცებული შეძახილები. ჩამალულებმა თავები წამოყვეს და ტბის ნაპირზე გამოვიდნენ.

გედი ნარნარად მისრიალებდა. თითქოს არ იძვრისო. მის უკან კუთხით გაშლილ ტალღების ლივლივზე შეატყობდით მხოლოდ, რომ წყალს მიაპობდა. გაღმა მდგარი თოფიანები ისევ მიიმალნენ. გედი გასცდა ტბის შუაგულს და ჭალისპირს დაახლოებით ოთხმოც ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, პირი იბრუნა. იმწუთს მიწაყრილის გადაღმიდან ორი თოფიანი წამოდგა, გზა გადმოირბინეს და ოთხჯერ ზედიზედ ესროლეს. გედი ირიბად წავიდა გაღმისკენ. ტბის გაღმა ჩამალულებმა თავები ოდნავ წამოყვეს. გედი მაშინვე შემობრუნდა. ჩამალულები წამოდგნენ. ერთმა თოფი მაღლა ასწია და თავთხელში შემოტოპა. გედმა ლელქაშების გასწვრივ ჩამოიარა. იქ აღარავინ ჩანდა. ალბათ თეთრპერანგიანი შეამჩნია, ერთბაშად ჭალისაკენ შეტრიალდა. ლელქაშებში თეთრპერანგიანი წამოდგა და წყვილი დაახალა. ეტყობოდა ფინდიხი ესროლა, გედის გვერდით წყალი მსხვილ შხეფებად აინჩქრა.

გედი ჯერ ჭალისკენ სწორად მიცურავდა, ნაპირს რომ მიუახლოვდა, თანდათან გაღმისკენ შებრუნდა. ჭალისპირიდან ერთი ნავში ჩახტა და უკან გაედევნა. გედს ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. აფრენა არ შეეძლო და არც უცდია. ტბის შუაგულში წრეს უვლიდა. წყალში შეტოპილი ჩქარობდა, გაფოთებული მოიწევდა წინ. როცა გედი მისკენ შებრუნდა, თოფი თავზე დაიდო და წყალში ნიკაპამდე ჩაცუცქდა. გედმა წინ ჩაუარა, იგი წამოდგა, თოფი გააყოლა და ესროლა. ტყვიამ ჩვენს მარცხნივ ბეტონის კედელზე მოადინა ბათქანი.

— მოერიდეთ, თორემ ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ ეს შობელძაღლები! — დაიძახა ვილაცამ. რამდენიმე კაცი წნორებს მოეფარა. ქალებმა წიოკი ატეხეს. ბავშვებს ეძახდნენ, მოფარებულში ერეკებოდნენ. ბავშვები არ ეპუებოდნენ, საფარიდან იჭყიტებოდნენ, მოიპარებოდნენ და თანდათან ისევ ნაპირთან მოქუჩდნენ.

გედმა შორიახლო ჩამოუარა ლელქაშებს. თეთრპერანგიანი აღარ გამოჩენილა, ალბათ სასროლი მანძილი ეშორა და მიტყუება სცადა. გედმა მაინც უქცია მხარი, ჭალისკენ შებრუნდა. წინიდან ნავი უახლოვდებოდა. გედი თანდათან გაღმისკენ შეტრიალდა. სავალი წრე ვიწროვდებოდა. ამჯერად უფრო ახლოს ჩაუარა შემოტოპილს, მან ზედიზედ ორი ესროლა, ყრუ ყივილი გაისმა, გედს მარჯვენა ფრთა ჩამოუვარდა. თეთრპერანგიანმა პირველ სროლაზე ტყვიას გედის გვერდზე გაატანინა კვალი, მეორეზე, კი ბუმბულის ბლუჯა გააყრევინა. გედმა ისევ ამოიყივლა და კბოდისკენ შებრუნდა. თეთრპერანგიანმა ვაზნები სწრაფად გამოცვალა, მაგრამ სროლა ველარ მოასწრო, გედი ლელქაშებში შეეფარა. თოფიანები კბოდისკენ გამოიქცნენ. ჩემს წინ ორმა ახალგაზრდამ ერთმანეთს გადახედა, თვალით ანიშნეს და იმათაც იქით მოფხოჭეს. იმათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებიც მიჰყვნენ. ზოგმა ქვები წამოკრიფა და ისე გაედევნა.

მენავემ რამდენჯერმე მიახეთქა ნავი ლელქაშებს, მაგრამ საძრომი ვერ გაიკვალა. ახლა ნიჩბით სცადა ჩალის ჩათელვა, გამეტებით ურტყამდა. ვეღარც ამით აისრულა საწადელი. მაშინ ნაპირ-ნაპირ დაჰყვა, ნიჩაბს ატლაშუნებდა, რომ განაბული გედი დაეფრთხო. თოფიანები და მოხალისეები ფლატეზე გამწკრივდნენ. ლელიანში იჭვრიტებოდნენ, ქვებს ისროდნენ.

— აი, აი, თავწატეხილი ღელის გვერდით ჩაიარა! — ყვიროდა ერთი.

— მიწოლილი ჩალების ძირშიაო, — ირწმუნებოდა მეორე. დანარჩენები მაშინვე იქით მიქუჩდებოდნენ. მინიშნებულ ადგილას ქვებს უშენდნენ. ვარაუდით ესროდნენ თოფს. უყვიროდნენ, მაგრამ გედი ღია ადგილზე ვერ გაიგდეს. მაშინ სამმა თოფიანმა წყალში შეტოპა და ერთმანეთის მიჯრით, ყვირილით და ჩალის ლეწვით ლელქაშების ზოლს გამოჰყვნენ. ბევრი აღარ აკლდათ ბოლოში გასვლას, მაშინ გამოლონლილდა ფრთაჩამოვარდნილი გედი და ჩვენსკენ წამოვიდა. თოფიანები გამოედევნენ. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, ესროდნენ. იგი დროდადრო შეიყივლებდა. ალბათ ძალა აღარ ჰყოფნიდა ფრთა შეეკეცნა, გაფარჩხულს მოათრევდა. დატალღული ფერდები აეფურტკნა, ბუმბული აეწეწა, დრო და დრო ბღუჯა-ბღუჯა სცვიოდა და წყალზე თეთრად გადაპენტილ კვალს ტოვებდა. მხოლოდ თავი ეჭირა ძველებურად. ნირს არ იცვლიდა, არ კრთოდა. მკერდი წინ წამოევდო, კისერი ზვიადად მოეღერებინა და გახევებული ეჭირა.

აი, მოგვიახლოვდა. სული გადაგველია მის მოლოდინში. თანდათან უჭირდა, ძლივს მოლასლასებდა. ჯერ შავყვითელა ნისკარტი დააჩნდა, მერე შავი, დაფეთებული თვალებიც გავარჩიე.

მომღერალი გედია, — წაიბურტყუნა ვიღაცამ.

— ჰო, ორფერი ნისკარტი აქვს, — დაუდასტურა მეორემ.

ნისკარტის წვერო შავად ულაპლაპებდა. კისრიდან სისხლი სდიოდა. ადგილ-ადგილ ქონავდა, წვეთ-წვეთად ცურდებოდა და ქათქათა ნაკრტენზე ფერმკრთალ ზოლებს ტოვებდა.

მომეჩვენა, თითქოს რაღაცის დაძახებას აპირებდა. თითქოს სიმღერა უნდა დასჭექოსო, შემზარავი, სულის შემძვრელი სიმღერა. ის კი კრინტს არ სძრავდა. გაციებული თვალებით მოგვშტერებოდა.

საწრეტი არხიდან ვიღაც ქილათმიანი ამობობლდა. გზა გადმოირბინა, ხალხის წინ გავიდა, თოფი ასწია და გედს დაუმარჯვა. გედმა შეიკივლა, თოფმა იჭექა, გედს კისერი გადაამტვრია და ტყავზე დაკიდებული თავი წყალში ჩატყაპუნდა. უკანასკნელად ძალუმად გაიჭიმა. მერე ერთბაშად მოეშვა და მოლივლივე ტალღებზე ნელა აქანავდა.

გაოგნებულები ვიდექით. ხმას არავინ იღებდა. ქილათმიანმა თოფი გადახსნა, ცარიელი ვაზნა წყალში ხელუკუღმა ისროლა, სავსე მისცა ლულაში და ფიცხლად დაკეტა. ის იყო ხელი ზევით ასწია და ამხანაგებს ანიშნა ყველაფერი დამთავრებულიაო, რომ მის გვერდით შვიდი-რვა წლის ბიჭი აღრიალდა. ქვას წამოავლო ხელი და ბეჭებში დასცა. ქილათმიანი გვერდზე გადახტა. ბიჭი ისევ დაწვდა ქვას. ქილათმიანი ეცა, ხელი დაუჭირა, გადმოკარკლული თვალები გადმოგვიბრიალა და — მომაშორეთ, თორემ გავაწანი სილაო — დაიღრიალა.

ბიჭი ღნაოდა. მეორე ხელით ეპოტინებოდა ქვებს, მაგრამ ვერ სწვდებოდა, ქილათმიანი ზევით ეწეოდა.

—გია, რას ჩადი, გია! — მელოტმა მოხუცმა ბიჭს მაჯაში სტაცა ხელი და განზე გაიყვანა. ბიჭი არც მას ეპუებოდა, ქვებს წვდებოდა, ტიროდა.

ცის თქმა უნდოდა და ტირილში ვერ გამოეთქვა.

ქილთამიანი ირიბად უყურებდა. მოხუცი ცახცახებდა.

— აღარ გრცხვენიათ, ბავშვებს გულს უხეთქავთ, მკვლელობას აყურებინებთ!

— წადი, საქმე ნახე! — ხელი აუქნია თოფიანმა.

მოხუცი ბიჭს ძლივს აკავებდა. თან რაღაცას ბუზღუნებდა. ჩვენ გადმოგვხედა ალბათ მხარდამჭერს ელოდა, მაგრამ ქომაგი არ გამოუჩნდა.

ქილთამიანმა ცალი წარბი აჭიმა. გეზად უყურებდა.

ბიჭი ჭირვეულობდა, მოხუცს არ მისდევდა. მოხუცი დაიღუნა, ყურში რაღაცა უჩურჩულა, ბიჭი მოტყდა, ხელიხელჩაკიდებული ჭალისკენ წავიდნენ. ჩქარა დანარჩენი თოფიანებიც მოგროვდნენ.

„არ დაგვნავსა, ამ კეთილძაღლმა! — იყვედრებოდა შარვალჩამოლორთხილი.

— რას გაბობოქრდა?! უკვირდა მეორეს.

— სანამ ჩემი დატენილი სამი ნილი არ მოხვდა, სიკვდილს არ აპირებდა. — თქვა ქილთამიანმა.

გედი ნელა იწრუოდა. ნიავი აწეწილ ბუმბულს ოდნავ უფრიალებდა და ნაპირისკენ მოაცურებდა. თოფიანებმა ქვების სროლა დაუწყეს. ცდილობდნენ დიდრონი ქვები გედის იქით ჩაგდოთ, რომ ამოჩქეფილ ტალღას სწრაფად გამოერიყა. ქვები გედის გარშემო ცვიოდა. ზოგჯერ ზედ დაეცემოდა და ყრუ ხმაურით იძირებოდა. თოფიანებმა ყიჟინა დასცეს. ხან ერთმანეთს ნასროლს უწუნებდნენ .ხან კი აღტაცებული ღრიალებდნენ.

გედი თანდათან უახლოვდებოდა ნაპირს.

შარვალჩამოლორთხილმა წყალში შეტოპა, თავში ჩაავლო ხელი და ნაპირამდე მოაცურა. აქ სხვებიც წაეშველნენ. ხელიდან ხელში გადაჰქონდათ, წონას ვარაუდობდნენ, ბუმბულსა და ნატყვიარებს უსინჯავდნენ.

— როგორ არის გაკნაჭული, ცარიელა ძვლებია!

— მთლად დალეწილია. სული სადღა ედგა!

— სამაგიეროდ დიდებული ბუმბული აქვს.

გედს სისხლით შეფერილი წყალი ჩამოსწვეთავდა. ქილთამიანმა დაიქნია, დაწრიტა, კისრით მხარზე გადაიკიდა და მუხნარისაკენ წავიდნენ.

ხალხიც დაიშალა. ჩაფიქრებული წავიდ-წამოვიდნენ. ათიოდე კაცი ისევ მდუმარედ იდგა.

— რას უშლიდათ. — ჩაილაპარაკა ჭაღარა კაცმა.

— რომ დაჯდა, გეგონება ტბა გაცოცხლდაო.

— დილას ერთი მოკლეს, ორნი იყვნენ.

— როცა ცალად რჩება, თურმე თავს იკლავს.

— ხო, იმიტომ მოფრინავდა, მოეკლათ.

ჩვენც გავიფანტენით. წნორის ჩრდილებში ჩამოვსხედით. ცოტახნის შემდეგ პაპა-შვილიშვილი მოვიდა. ჭალაში თხილის წნელი მოეჭრათ. მოხუცმა წნელს წვერი წააკვერცხა, ნაჭდევი დაადო და ზედ ანკესის მკედი მოაბა. გია გაფაციცებით შეჰყურებდა ხელებში. ტბისპირას ქვები გადააბრუნეს, ლორჯოები დაიჭირეს და ანკესზე წამოაგეს. მოხუცმა ანკესი წყალში ჩააგდო, გიას აჩვენა, ტივტივა რომ ჩაყურყუმალავდებოდა, ანკესი როგორ ამოეკრა და წნელი გადასცა. ბიჭი თვალს არ აშორებდა ტივტივას გარშემო თანატოლები შემოეხვივნენ. ყველანი ჭრელ ტივტივას მიაშტერდნენ. ბიჭს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. ჩქარა-ჩქარა ჰაერში ამოაგდებდა ანკესს. ფეხებგაფშეკილი ლორჯოები ისევ გველივით ეკიდნენ ანკესზე. ანკესის მკერდზე მობმული ბუმბულის ჭრელი ღერო მჩატედ ციმცი-

მებდა მდორე ტალღებზე, ერთხელაც არ შექანებულა. ბიჭმა წყალგამშვებთან გადაინაცვლა. ახლა იქა სცადა ბედი. ლოდინი არ დასჭირდა. ტივტივა ჯერ შეირხა, მერე წყალში ჩაეშვა. ბიჭმა წნელი აიქნია და ერთი ციდის სიგრძე თევზი ჰაერში აფართხალდა. ბავშვებმა ყიჟინა დასცეს. ბიჭი სიხარულისაგან გაისუსა. ციმციმ შემოაბრუნა წნელი, თევზი რიყეზე დააგდო და ორივე ხელით ზედ დააცხრა. თევზი სხმარტალებდა, მაღლა-მაღლა ხტოდა. ბავშვებიც მისცვივდნენ. ზედახორა გამართეს, თევზი მიწას გაართხეს, რამდენიმე ჭყვილმა ხელმა ერთდროულად ჩაბღუჯა და ლამში ამოგანგლულ ბიჭს მიართვეს. ბიჭმა ორივე ხელით თავბოლო დაუჭირა და პაპისკენ გაიქცა. პაპამ გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და ყოჩაღო — შეაქო. ბიჭმა ნაცნობ დიდ-პატარას ჩამოუარა, ყველას აჩვენა თევზი. ისინი ულიმოდნენ, სიმარჯვეს უქებდნენ. თევზი პირს აღებდა. დროდადრო შეიფართხალებდა. ბიჭი მაგრად უჭერდა ხელებს და გულში იკრავდა. თანატოლები გუნდად დასდევდნენ, ჟრიამულობდნენ ერთიმეორეს რაღაცას უმტკიცებდნენ. იღიმებოდნენ, ბიჭს შესციცინებდნენ, ალბათ მის ბედს ნატრობდნენ. ყველგან რომ მოატარეს, ტბის პირას გუბურა გააკეთეს და თევზი შიგ ჩასვეს. სანახევროდ ფარავდა წყალი თევზი სხმარტალებდა, ქვიშაზე დახოხავდა. გუბურა ამოაღრმავეს. თევზს წყალი შემოადგა. სული მოითქვა. ლაყუჩები აატოკა, ბოლო მოიქნია. ჯერ გვერდულად გაცურდა, თანდათან გასწორდა და წრე შემოხაზა. მოხუცმა სხვა ლორჯოები აასხა ანკესზე. ბიჭმა ანკესი თავმომწონედ გადააგდო წყალში. ტივტივას უცქეროდა, თან ცალი თვალი გუბურისკენ ჰქონდა. ბავშვები გუბურის გარშემო ჩაცუცქდნენ. თევზს უკირკიტებდნენ. ზოგი კენჭებს ესროდა, ზოგი ხელს უფათურებდა. თევზი წრეს უვლიდა, ფართხალებდა. ხელიდან უხხლტებოდათ. ბავშვები გუბურის ნაპირებს ამაღლებდნენ, ქვიშას აყრიდნენ. ზოგჯერ რომელიმე ხელს ჩასტაცებდა, თევზს დაიჭერდა, იმწამს სხვებიც დაეტაკებოდნენ, ძიძგილაობდნენ, დაობდნენ და როდის-როდის ხელს ერთობლივად გაუშვებდნენ. მოსრესილ-მოთელილი თევზი გვერდზე გადაბრუნდებოდა. თეთრ მუცელს ამოალაპლაპებდა. ძლივს მოითქვამდა სულს, ლაყუჩებს ააფათქუნებდა, გაცურდებოდა და ბავშვებიც მაშინვე დაეტაკებოდნენ.

მზე ჩაეწვერა. გრილმა ნიავმა დაუბერა, ბიჭმა ველარაფერი დაიჭირა. მოხუცმა მანქანას მიაშურა და ბიჭს დაუძახა, წავიდეთო. ბიჭი უარზე იყო, ერთსაც დავიჭეროო — ეხვეწებოდა. პაპა ერთხანს ელოდა. ანკესს თევზი აღარ ეკარებოდა. მოხუცმა ძალისძალად წაჰგლიჯა ბიჭს წნელი. გიამ გუბურიდან თევზი აიყვანა და მანქანაში ჩაჯდა. მანქანა დაიძრა. გიამ ორთავე ხელით ჩამუჭული თევზი გარეთ გამოაჭყიტა. ბავშვები ჟრიამულით გაედევნენ, თევზი პირს აღებდა. თითქოს რაღაცის თქმა უნდა და ხმა კი ვერ დაუძრავსო.

ბიჭი ტბას გაჰყურებდა. ალბათ მომავალ თევზაობაზე ოცნებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფხაზავა

# მოთხრობები

## ზარდიამ ჭოუს თვალი გაუსწორა...

— აქიცინე ახლა კუდი და იყავი!

ჭოუ ცაცხვის ძირში იჯდა. ცაცხვი ბებერი იყო. ფესვები მიწაში რომ ვერ დატეულიყვნენ, მაღლა ამოეხეთქათ. ვეება, ზღაპრული უხსენებელივით თუ გველეშაპივით დაკლაკნილიყვნენ, დამსკდარიყვნენ, დაშაშრულიყვნენ. ჭოუც იმ ცაცხვივით ბებერი იყო.

— ჰო, ჰო, აქიცინე კუდი, აქიცინე!

ზარდია მთელ სიგრძეზე გაჭიმული იყო, უკანა ფეხები შეეკეცა, თავი წინა თათებზე დაედო და ჭკვიანი თვალებით პატრონს შესციცინებდა. დროდადრო მართლა აქიცინებდა კუდს.

— ეჰ, დუნია მემლექეთი, რა ძაღლი იყავი, რა ძაღლი!

ზარდია ახლაც ისეთი იყო, შეხედავდი და მოგეწონებოდა. დაკუნთული ტანი, დოლის ცხენივით ძლიერი მკერდი, მაღალი კისერი და გრძელი ფეხები ჰქონდა. მუქი შავი ბალანი ალაგ-ალაგ შეჭაღარავებოდა. მხოლოდ ამით თუ შეატყობდა კაცი სიბერეს.

— ოცდაათი წელია, რაც ეს შტუცერი მემსახურება...

ჭოუ თოფს წმენდდა. თოფიც ბებერი იყო. ლულა ყარყუმივით გაშავებოდა, კონდახს საღებავი გადასცლოდა, ჩახმახს საწყიპი გადალეოდა.

— სწორედ ოცდაათი წელია, რაც შენი ჯილაგი ჩემს კარმიდამოში დამკვიდრდა... ოცდაათი წელი პატარა დრო კი არაა, ზარდია ჩემო. ოცდაათი წლის წინათ კაი ვაჟკაცი ვიყავი, ბაბა, სამი თითით ნალს ვლუნავდი, მარულაში ტოლი არ მყავდა; ადიდებული რიონი უკანასკნელად ამ ოცდაათი წლის წინათ გადავცურე... იმ წელს მაჩუქა ეს შტუცერი მთვრობამ. აბა!..

მარცხენა ხელის ცერის სახსართან ჭოუს ჭრელი სკინტლი დაეცა და დაეტყეპა. მოხუცმა ჭიკჭიკა მერცხალს მოჭუტული თვალი გაადევნა, ხელი ცაცხვის ყვავილის კუნწულით გადაიწმინდა და შარვალზე შეიმშრალა. ზარდია არ განძრეულა, მხოლოდ თვალებში შეეტყო, ამ ამბით რომ დაინტერესდა — ჭოუს ხელის ყოველ მოძრაობას მინისლულ მზერას აყოლებდა.

ჭოუმ შტუცერის ლულას გახედა. დილის მზის სხივებზე ორივე ლულა თვალისმომჭრელად ალაპალაპდა.

—მე და მამაშენმა ამ თხუთმეტი წლის წინათ მოვინადირეთ ჩვენი უკანასკნელი დათვი, შენ მაშინ დაბადებული არ იყავი... მამაშენი რომ არ მხლებოდა, ჩემო ზარდია, დაღმართში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგორდებოდა ჩემი ბედის ურემი. ის ბანჯგვლიანი საფრთხობელა ბოლოკსავით შემახრამუნებდა, აბაა!. არა, თოფს კი არ უღალატია, გასროლის წინ ყვავმა დამჩხავლა თავზე და ამან შემაკრთო. ყვავის ჩხავილი ცუდადა მაქვს დაცდილი...

ზარდიამ კუდი გააქიცინა — მამამისის შექება თუ ეამა.

— შენ პაპაშენის ჭკუა და მამაშენის ძალა გამოგყვა, ზარდია ჩემო, დედის სულს გაფიცებ, შენი პირველი გმირობა თუ გახსოვს — კოპალეს ალმოდებული სახლიდან აჩხავლებული თათუია რომ გამოაფრიალე? იმ დღიდან გაგივარდა სახელი. მერე, შე კაცო, რაიონულ გამოფენაზე პირველი ადგილი დაიკავე, შემდეგ რესპუბლიკურ გამოფენაზე ჩამოგკიდეს მედალი და რა ვიცი!

ზარდიას ცხვირწინ პატარა მწვანე კალია დასკუპდა. ძაღლმა პირი გააწკაპუნმა. კალია სხარტი აღმოჩნდა და გადახტომა მოასწრო. ზარდიამ სინანულით გააყოლა მზერა. ჭოუს ეს ამბავი არ გამოპარვია, მაგრამ არ შეიმჩნია — ძაღლს შერცხვება და მოიწყენსო.

— არა, ის თუ გახსოვს, სახერხი ქარხნის ორმეტრნახევრიან ღობეს ლანდივით თავს რომ გადაევლე, გაქცეულ ქურდს დაედევნე, დაეწიე, დატორე და წააქციე?

ზარდიას, ალბათ, ყველაფერი ახსოვდა, ისეთი გულისყურით უსმენდა მოხუცის ლაპარაკს.

ჭოუმ თოფის წმენდა დაამთავრა, თოფი ააწყო და მშრალი ჩვრით საგულდაგულოდ გააპრიალა.

— ამ გაზაფხულზე კი ჭეშმარიტად გული მატკინე, ზარდია ჩემო, და მთელი შენი ამაგი და დამსახურება ერთბაშად წყალში გადაყარე, თან ჩემი ხათრი და პატივისცემაც ზედ მიაყოლე... მაინც, რა მამაზეციერი გაგიწყრა იმ დღეს?.. ბიჭო, აზავთებული რიონი გადაგიცურავს და ცხენისწყალმა როგორ შეგაშინა?.. ე-ეჰ, შენ რომ გევაჟკაცა, ჯათუ ახლა ცოცხალი იქნებოდა. სულ პაწია წახმარება სჭირდებოდა კაცს, შენ კი, არ იქნა, წყალში შესვლა ვერ გაგაბედვინე... რა მექნა, ე მაშინ გაგიმეტე და მათრახი გადაგკარი...

მოხუცმა ამოიოხრა და გული ამოატანა.

— მერე ის იყო, ორღობეში რძეშეუმშრალმა ბიჭებმა გიკაკინეს და კუდამოძუებული გაექეცი... მაშინ ვაჟკაცობა შეგივინე და იმ ღამეს თვალს ძილი არ მომკარებია... გუშინ კიდევ გერონტია კვირტიას უჯიშო ძაღლს უჩვენე ზურგი და ამან ხომ მთლად გამიშრო სისხლი...

ჭოუმ შტუცერი შეათამაშა და ლულაში ვაზნა ჩასდო.

— ადე, ჩემო ზარდია, წამო. ნუ გეწყინება, რა ვქნა, ჩემი რა ბრალია, ხომ იცი, პირში სიმართლის თქმა მიყვარს.. ცხენისწყლის რიყეზე ჩემი ხნის ქვა არ გდია, მაგრამ აბა ერთი ვინმე მიჩვენე ამხელა სოფელში, ჩემზე რომ ავი თქვას. მით უმეტეს, ჭოუ და უსამართლობა ერთად ვინ გაიგონა, ბაბა, მართალს არ ვლაპარაკობ?

მოხუცი წამოდგა. ზარდიამ კითხვის თვალით შეხედა.

— ადე, ზარდია ჩემო, წამო. ნუ გეწყინება-მეთქი... სიმართლეს თვალებში ვაჟკაცურად უნდა შეხედო. სიბერე ავი და განუკურნებელი ავადმყოფობაა, მაგრამ ნაკლი კი არაა, ზარდიავ. კაცმა რომ თქვას, შენ ჯერ ბებერი არც გქვია. ა, მე შემომხედე აგერ, ღრმა მოხუცი ვარ, მარა მაინც პატარ-პატარა სიკეთეს კიდევ ვთესავ სოფელსა და შვილიშვილებში, ჯერ კიდევ საჭირო ვარ. შენი საქმე კი სულ სხვაა. არა, კაი ახლა, თუ ძმა ხარ, სიბერით ნუ გაიმართლებ თავს. შემეშინდა-თქვა, აღიარე. ჰოდა, შეშინებული კაცი კაცად მოსახმარი აღარაა...

ზარდიამ დაიწკმუტუნა.

—ასეა, ბაბა, აბა რა... მე, ჩემდა-

თავად, შერცხვენას სიკვდილი მირჩევნია. ოდითგანვე ასე მოსდგამს ჩემს გვარს და ჯილაგს. შენც, ჩემო ზარდია, იმისთანა მამა-პაპის 'მთამომავალი ხარ, შენც ასე უნდა იყო. ასეა ეს. დამერწმუნე.

ეზოში სიჩუმე იდგა. ქათმებიც კი სადღაც გადაკარგულიყვნენ. მხოლოდ მერცხლის ბარტყების ჟივჟივი ისმოდა ხანდახან. ჭოუ ეზოს დაჩრდილულ კუთხეში, ახალგაზრდა თხმელის ძირას შეჩერდა.

— მე ეჭვი არ მეპარება, ჩემო ზარდია, შენ რომ ცოტა მეტი ჭკუა გქონდეს და თოფის ხმარება იცოდე, შერცხვენილ სიცოცხლეზე ხელს ჩაიქნევდი, თვითონ მოიკლავდი თავს და იმ დიდ სირცხვილს სისხლით ჩამოიბანდი,

ზარდიამ თავი ასწია და პატრონს მცირე ხნით მზერა გაუსწორა.

— შენი მამა-პაპის დიდი პატივისცემა მაქვს, ჩემო ზარდია... ამის გარდა, მე და შენ ხომ ამდენი ხნის ახლო მეგობრები ვართ და, აბა, თუ მეგობარმა არა, სხვამ ვინ უნდა გაგიმართოს ხელი გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს.

ჭოუმ თოფი ასწია.

— თვალებში მიყურე, ზარდია, და ნუ დამძრახავ. ღმერთმა კი იცის, გული ძალიან მტკივა, ბაბა, ძალიან... მაგრამ...

ზარდია თვალებში უყურებდა პატრონს, შტუცერმა ზარბაზანივით რომ დაიქუხა.

ჭოუს მეტად ხმა აღარ ამოუღია, თოფი ხის ძირას მიაგდო, ლაფაროდან ბარი გამოიტანა და ეზოს მოჩრდილულ კუთხეში, ახალგაზრდა თხმელის ჩრდილში, საფლავის გათხრას შეუდგა.

## ფუძე

— უჩინა!

— ჰოუ!

— გეყოფა ახლა, გავუყვეთ გზას შინისკენ, თვარა დაგვაღამდა და აგია. ხომ არ დაგავიწყდა, სახლში რომ ვართ წასასვლელი?

— კაი კიდევ, რომ გამახსენე, თორემ ამ უღრანში ვაპირებდი ღამისთევას. ყოჩაღ შენ! სადედოფლო ქალი ხარ!

— რა გითხრა, იცი, უჩინა? მასე შენი პირველი ცოლი გაამასხრე! მე მართლა გელაპარაკები.

— ჰო, კაი ახლა! ამ კოპიტს წავაქცევ და წავიდეთ. ბარემ გამოკაფული მაქვს და ნუ მიმატოვებინებ. თვარა ხომ მოგეხსენება, მიტოვებულმა საქმემ რა იცის...

უჩამ ცერად ჩაჭრა კოპიტის ხასხასა ტანი, მერე ცული ირიბად მოიქნია და ქვევიდან შემოჰკრა. ხეს პირველი ნაფოტი ასცდა. ხელისგულისტოლა ნაფოტი დამფრთხალი თეთრი ფრინველივით ავარდა ზევით, ზუზუნით რკალი შემოხაზა და ბარდში შეიჭრა. კოპიტი შეშფოთებით აშრიალდა, ისე ხმადაბლა, ზღვის ქვიშიან სანაპიროზე უკანდახეული ტალღა რომ შრიალებს ხოლმე. ცულის კაკუნი ყრუდ დაირხა. შორიდან ექოსავით ისმოდა რომელიღაც ტყისმჭრელის ცულის ხმა. მაგრამ მაინც სიჩუმე იდგა ტყეში, მძიმე, მუქი და ღრმა საუკუნეთა მანძილზე ძველ ღვინოსავით შესქელებულ-შედედებული სიჩუმე.

— ღმერთო, კაი ამბავი! ღმერთო, კაი ამბავი! ღმერთო, კაი ამბავი! — ჩაიბუტბუტა ნათიამ და ხელისგულით წარბი მოისრისა. — რას მამცნობს ნეტავი ეს მარცხენა წარბი, მთელი დღე რომ მითამაშებს!.. — ჯამ-ჭურჭლის კალათში ჩალაგებას მორ-

ჩა, წამოდგა, კაბის კალთა ჩამოიფერთხა და გასძახა: უჩინა, ფრთხილად იყავი, თუ კაცი ხარ, ფრთხილად!..

უჩას ხმა არ გაუცია. კოპიტის სისქე თითქმის ორი მტკაველი იქნებოდა. შემოჯარულ თხმელის ხეებში კელაპტარივით ასხლეტილიყო. თითქმის შუაწელამდე ბარდი მოხვეოდა, ბარდი სხვა ხეთა ტოტებზეც გადასულიყო და ხეები ფერხულში ჩაბმულ, ხელიხელჩაკიდებულ მოცეკვავეებს ჰგავდნენ. უჩამ ნახევარი საათი მოანდომა ბარდის გაკაფვას და ცულის მოსაქნევი ადგილის გათავისუფლებას. სამი მხრიდან ჩაკაფა და იმ ვარაუდით ჩაუჭრა, რომ წაქცევისას საკუთარ სიმძიმეს ხე ბარდის დიდი ნაწილისაგან გაეწმინდა. ვარაუდი კიდეც გაუმართლდა: კოპიტმა დაიტკაცუნა, მერე ჭახანი გაისმა, ხე შეირხა, დაიძრა და წამოვიდა. ნელა, უნდილად იქცეოდა: მეზობელი ხეებიც შეირხნენ, ბარდიანი ტოტები გამოაყოლეს, თითქოს წასაქცევად არ ემეტებათო. ბოლოს რიგ-რიგობით, ტკაცანით დაწყდა ბარდის მსხვილი ღეროები, კოპიტი ერთბაშად მოეშვა და ხელჩაქნეული კაცივით, მოწყვეტით ჩაილეწა.

— უჩინა! — შეშფოთება გაერია ხმაში ნათიას.

— ჰო, ნუ გეშინია, აგერ ვარ! რა გჭირს შენ დღეს!

— რა ვიცი, უჩინა. აი წარბი მითამაშებს დღეს მთელი დღე და... მეშინია..

— რავა, გლახად გაქვს დაცდილი თუ?

— კი აღარ მახსოვს, ბიჭო... — ნათიას გაეცინა: — ვიცი ახლა მე, რის თქმას აპირებ: ქალო, თუ იბრძნი, ისიც უნდა იცოდე, რას იბრძნი, რა რას ნიშნავს, თუ არადა, მოეშვი მაგ წარმართულ ამბებს და მოიქეც ქრისტეს სჯულსა ზედაო... ა, ხომ კი აპირებდი ამის თქმას?

— ნათია, შენ შემთხვევით, სხვა პლანეტიდან ხომ არ ჩამოსულხარ?..

— ჩაიცინა უჩამ. — ჰეჰ! — წალდი მოიქნია და ტოტი ასხიპა კოპიტს. — დამსახურებული ტელეპათივით კითხულობ სხვის აზრებს... ჰეჰ! — ისევ ასხიპა ტოტი. — ხანდახან გუნებაში ახალგაზრდობისდროინდელი ცოდვების გახსენებაც კი მეშინია, გულთმისანივით გამოიცნობს-მეთქი. ჰეჰ! ჰეჰ!..

— რა ხარ შენ, რა ხარ! — ჩუმად, უხმოდ იცინოდა ნათია. — რა ენა გაქვს! ჩემი მტერი ჩავარდა შენს პირში.

— ჰეჰ! ჰეჰ!

უჩას წალდი და ცული ბეჭებზე გარდიგარდმო გადაედო, ზედ ხელები შემოეწყო და ისე ხალვათად მიაბიჯებდა, თითქოს მთელი დღე ტყეს კი არ ჩეხდა, არამედ მუხის ჩრდილში, ცივ წყაროსთან, მწვანე სუფრაზე ილხენდაო.. ნათია გვერდით, ერთი ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა და ქმრის ახოვანი ტანით ისევე ტკბებოდა, როგორც იმ პირველ დღეს, რუსთაველზე მეგობარმა გოგონებმა რომ გააცნეს. ქალს მკლავზე შემსუბუქებული კალათი ეკიდა, თავსაფარი მხარზე გადაეფინა და ხშირი წაბლისფერი თმა ბეჭებზე ჩანჩქერივით ჩამოჩქეფდა.

ცოლ-ქმარი მტვრიან საურმე გზას მიჰყვებოდა. ზურგსუკან მზე ჩადიოდა. წინ, აღმოსავლეთით, მთელი დღის პაპანაქებით გავარვარებული ლაჟვარდი თანდათან ფერს კარგავდა და მუქდებოდა. გზის ორივე მხარეს სიმინდი შრიალებდა. სიმინდი ისეთი მაღალი იყო, შიგ ცხენიანი კაცი დაიმალებოდა. ტაროები დამსხვილებულიყვნენ, თითო ღეროს ზოგან სამი მძიმე ტარო აჰკვროდა, ორზე ნაკლები კი არც ერთ ძირს არ ება.

— კაი მოსავალი გვაქვს წელს, კაი. — კმაყოფილი კაცის კილოთი თქვა უჩამ. — ზენა ქარმა თუ გვაცალა, ნალიები სიმინდს ვერ დაიტევს, იმდენია. ყველაფრით შეგვიწყო ხელი ამინდმა, ა? რას იტყვი შენ, ნათია ჩე-

მო? მოდი, ქალო, ამომიდექი გვერდში, რავა უკან მომყვები..

— გუშინწინდელი „ცისკარი“ არ გადაგიშლია, უჩინა?

— გუშინწინდელიო? რავა, გაზეთივით დაიწყო გამოსვლა თუ?

— კი ხვდები შენ... გუშინწინ რომ მივიღეთ, მეშვიდე ნომერი „ცისკარი“, იმაზე გეკითხები.

— არა, არ გადამიშლია. ნამეტანი დაღლილი ვიყავი და „ცისკარი“ კი არა, ჭამა არ გამხსენებია. რა იყო ვითომ?

— დათიკოს მოთხრობაა შიგ.

— დათიკო.. დათიკო?

— ვინაო, არ მკითხო ახლა. ერთად რომ ცხოვრობდით სტუდქალაქში... ბელეტრისტობას რომ იჩემებდა.

— ჰო, ჰო, გამახსენდა!.. კაია რამე?

— რა ვიცი, არც მე წამიკითხავს.

— აბა?

— ისე...

აქედან უკვე ჩანდა სოფელი. მაღალმაღალ ალვის ხეთა შორის ზოგან წითელი კრამიტის სახურავი კიაფობდა, ზოგან თეთრი თუნუქი ლაპლაპებდა ჩამავალი მზის შუქზე. მალე ნიავმა ელმავლის კივილი და ვაგონების თანაზომიერი დაგადუგის ხმა მოიტანა.

— ეჰ, ჩავრჩით სოფელში, უჩინა!

— დაიწყე ხომ ისევ? — ცალი თვალით მოხედა ქმარმა. — არ მოგბეზრდა ხომ?

— მომბეზრდა, უჩინა, ყველაფერი მომბეზრდა. არა ვარ ამას მიჩვეული, ხომ იცი შენ. შენც ხომ კარგად იცი, მიუჩვეველს ნუ მიაჩვევო და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო . ამოვიდა ყელში ეს ჭადი და ლობიო, ჩაის პლანტაცია და აბრეშუმის ჭია, ზაფხულში — კოჭებამდე მტვერი და ზამთარში — მუხლამდე ტალახი.

— კაი ახლა. სოფელში არ დაიბადე და გაიზარდე? შენ მაინც არ უნდა ლაპარაკობდე ასე, ამდენი ძაფი გაკავშირებს სოფელთან...

— დავიბადე და გავიზარდე... ჰო, მარა რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ? საშუალო სკოლაც თბილისში დავამთავრე, უმაღლესიც... სულ ქალაქში არ ვიყავი?

— კაი ახლა... ხომ კი იცი, რატომ წამოვედი სოფელში. ახალი ამბავი არაა ეს შენთვის.

ნათიამ ამოიოხრა და კალათს ხელი შეუნაცვლა.

— ვიცი... ახალგაზრდები ქალაქში გარბიანო, სოფელში აღარავინ რჩებაო... მამაჩემის ფუძეს ვერ მოვშლიო... ეჰ, ჩემო უჩა, შენ გაამაგრებ სოფელს? მარტო მე და შენ გავამაგრებთ?

— აბა რას ვიზამთ! ჩვენისთანები კიდევ ბევრია და ბევრიც გამოჩნდება! აგერ, ჩვენი ბიჭიც ამოგვიდგება მალე მხარში...

— ბიჭიც, ა? დარწმუნებული ხარ, რომ დაამთავრებს, აქ ჩამოგივა და სოფელში გაგიჩერდება?

— გაჩერდება, ა, ნახავ აგერ.. იმისთანა გოგო მყავს სარძლოდ ამორჩეული...

ნათიამ თავი დააქნია და ხმაში ირონია გაურია:

— ჰო, ჰო, აბა შენ იცი, ამოურჩიე. ქალაქში ცოტაა ლამაზი გოგოები და რა ეშველება, ვერ მოძებნის, ხომ იცი! მე შენ გეტყვი, სიტყვის სიტყვაზე გადაბმა გაუჭირდება! ზედგამოჭრილი მამამისია...

საურმე გზა სოფელს მიადგა. მხარმარცხნივ ისევ სიმინდის ყანა შრიალებდა, მარჯვენა მხარეს კი კოლმეურნეობის სანერგის მაღალი ღობე მისდევდა გზას. უკვე იგრძნობოდა სოფლის სუნთქვა: სადღაც შეშინებული ქათამი კრიახებდა, დაგვიანებული საქონელი ზმუოდა პატრონის ჭიშკართან, ხმაჩახლეჩილი ძაღლი ყასიდად უყეფდა ორღობეში თავისთვის მიმავალ მგზავრს, „მოო, დეკანა, მოო“ — ეძახდა ვიღაც გზააბნეულ ფურს, ჭრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით მიდიოდა მძიმედ დატვირთული კამეჩის ურემი...

— სწორი ქართული ლაპარაკი დამავიწყდა, აღარ მახსოვს, ოდესმე ლიტერატურული ქართულით თუ ვლაპარაკობდი. — მწარედ ჩაიცინა ნათიამ. — მარტო მე კი არა, შენც დაგავიწყდა. ნეტავი, გაკვეთილზე რომ შედიხარ, მაშინაც ასე ლაპარაკობ, როგორც ჩემთან: კაი, მარა, თვარა, ნალიე, ვარიეო? არადა, შენი ენითა და სტილით, წერისა და მეტყველების კულტურით აღფრთოვანებული იყვნენ ბატონი ვარლამი და ბატონი საშა, ეტალონად და მაგალითად გთვლიდნენ... ახლა, მე მგონი, საერთოდ დაგავიწყდა წერა... მარტო მოსწავლეთა რვეულებს ასწორებ და ესაა სულ...

უჩას ხმა არ ამოუღია, თავაწეული, წელგამართული მიაბიჯებდა, თითქოს საკუთარ ფიქრებს მისცემიაო, მაგრამ ნათიამ იცოდა, ქმარს მისი ერთი სიტყვაც რომ არ გამოპარვია.

— იმ დღეს მალაზიიდან მოვდიოდი, თინა სიხარულიძე დამემგზავრა, ჩვენი კლუბის გამგე...

— აბა იჭორავებდით ჩემზე. მოიჯერებდით გულს.

— კი. ვიჭორავეთ. გაგიჟებულია ქალი, რა მოგარბენინებდათ ამ მტვერში და ჭონჭყოში, იმ გაპრიალებულ-გაცისკროვნებულ ქალაქში ოროთახიანი ბინა რამ მიგატოვებინათო. უჩამ წერას თავი რატომ დაანება, აღარ გამოსდიოდა თუ რა დაემართა, სოფლის მასწავლებლის სახელი მწერლისა და ჟურნალისტის სახელს რატომ ამჯობინაო. კაცი მალე პროფესორი გახდებოდა გვეგონა, მაგი კი თოხით და წალდით ჩვეულებრივ კოლმეურნეებთან ერთად ოფლს ღვრისო, გერასიმა ბრიგადირისაგან ვერ გამოარჩევო...

— რავა, ცუდი ბიჭია გერასიმა ბრიგადირი თუ?

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ, სულ ხუმრობ კიდევაც...

— რაო, კიდევ რაო თინამ? ძალიან მტკივა გულიო?

— რატომ არ ეტკინება ვითომ? ყველას კი ეტკინება გული, ვინც ადამიანისგან რაღაც უჩვეულოს, მნიშვნელოვანს ელოდება და იმედი გაუმტყუნდება. აგერ ორმოცი წლის კაცი ხარ და..

— ეჰ, ნათია ჩემო, რა დროს მაგაზე ლაპარაკია ახლა? ჩვენ ათი წლის წინათ არ შევთანხმდით ამ საკითხზე? მიზეზიც გაგიმხილე, მიზანზეც გელაპარაკე, აქაური, სოფლური ცხოვრების სურათიც დაგიხატე, სხვათა შორის, უფრო მუქი ფერებით, ვიდრე სინამდვილეშია... ხომ იყო ასე, ა, ნათია? — უჩამ წალდი და ცული მარჯვენა ხელით დაიკავა, მარცხენა კი ცოლს ჩამოშლილ თმებში შეუცურა და აუჩეჩა, მიუალერსა. — ხომ იყო ასე? შენ არ იყავი, რომ მითხარი: ჩემო უჩინა, გრენლანდიაშიც რომ წამიყვანო, ესკიმოსივით ყინულის ქოხში მაცხოვრო, თეთრი დათვის ტყავი ჩამაცვა და დღენიადაგ სელაპის ხორცი მაჭამო, შენთან ყოველთვის ბედნიერი ვიქნებიო... ნათია, შენ არ იყავი ის ქალი, ამისთანა სასწაულებრივი სიტყვები რომ მითხრა? ა, რას გაჩუმებულხარ, დედაკაცო, შენ!

— ეჰ, უჩა, უჩა! ღმერთმა ხომ იცის, იმდენად ჩემს თავს არ ვჩივი, შენი ტალანტის ჩაკვლა მენანება. რამხელა იმედი მქონდა შენი...

— ახლა აღარ გაქვს, ხომ?

— შენი იმედი ღმერთმა ნუ მომიშალოს!.. მაგრამ კარგი მასწავლებლის, კარგი ტყისმჭრელისა და კარგი კოლმეურნის იქით რომ ვეღარ წახვალ, ამის ცოდნა მიკლავს გულს!

— ნათია ჩემო! თუ მაგას, რაც ჩამოთვალე, კარგი ქმრისა და კარგი მამის სახელს დაუმატებ, ეს არც თუ ისე ცოტაა და, არა მგონია, ამ შემთხ-

ვევაში რაიმე დასაჩივლი გაგაჩნდეს, ჩემო ქალბატონო!..

— ჰო, რა ხარ, რა ხარ!

— ბიჭოს! კახა შინ ყოფილა! — გაიკვირვა უჩამ, როცა ოდაში სინათლეს მოჰკრა თვალი და არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტი შვილი სახლში დაიგულა. — რაშია საქმე, რძალს ხომ არ გვახვედრებს შინ, ქალო, თუ იცი?

— რძალს კი არა... ხვალ მახინჯაურში აპირებს ბიძამისთან წასვლას და ადრე უნდა, ალბათ, დაძინება... აჰა, უჩინა, აიტანე ეს კალათი ოდაში, თუ კაცი ხარ, აივანზე დადე, მე ბარემ ძროხას მოვწველი და ყველს ჩავქნი. შენ კი მოახერხებ საკუთარი თავის მიხედვას...

აივანზე კახას სილუეტი გამოჩნდა. ბიჭი მამასავით ტანმაღალი და ჩამოსხმული ჩანდა, ოღონდ უფრო გამხდარი იყო. კახა აივნის სვეტს აეკრა და მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა:

— მოწინავე კოლმეურნეებს ვახლავარ!.. უჩა ბატონო, თქვენს სახელზე დედაქალაქიდან წერილი მოვიდა! მანდ მოგართვათ თუ ამობრძანდებით?

— ჩამოიტანე, ჩამოიტანე, თუ ძმა ხარ, — უჩამ წალდი და ცული მორში ჩაარჭო, დაბალ სკამზე დაეშვა და ცალი ჩექმა წაიძრო. — მანახე ერთი, ვისია.

— გამომცემლობიდან გიგზავნიან მამა. მიტანილი გქონდა რამე?

— გამომცემლობიდან?

უჩას მეორე ჩექმა აღარ გაუხდია, კონვერტს თავი წაახია და ორად გაკეცილი ფურცელი ამოიღო. სწრაფად ჩაიკითხა, მერე ხელახლა ჩაათვალიერა და სახე გაუნათდა. თავი ასწია, შვილს თვალი ჩაუკრა და ცოლს გასძახა:

— ნათიავ, მოი აგერ ელანძე, თუ ქალი ხარ!..

კახას გაეცინა:

— მამა, ვინმემ რომ მოგისმინოს, იფიქრებს, ამ კაცს თავის სიცოცხლეში ქალაქი არ უნახავსო. ასპროცენტიანი, შუმი გურული ხარ, შენგან ბრწყინვალე დიალექტოლოგიურ მასალას მიიღებდა კაცი.

— რა ვქნა, კახაია, მიყვარს ეს ჩემი კუთხე, ეს ჩემი დიალექტი და რა ვქნა. ანდა რა შავდება, დიალექტი რომაა, ესეც ქართული არაა? დედა-ქართულის შვილია ესეც... ა, მოხვედი, ნათიავ? მომისმინე. შენც მომისმინე, კახავ: „ამხანაგო უჩა! თქვენი რომანი „ფუძე“ შეტანილია მომავალი წლის საგამომცემლო გეგმაში. ხომ ვერ ჩამოხვიდოდით ორიოდე დღით ხელშეკრულების გასაფორმებლად? კარგი იქნება, თუ ამას თვის ბოლომდე მოახერხებთ...

არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით, რათა გამოვთქვა პირადად ჩემი აღფრთოვანება თქვენი რომანის გამო. ეს ბრწყინვალე ნაწარმოებია, დროული, საჭირო, მართალი ნაწარმოები! ყველაფრით ჩანს, რომ შესანიშნავად იცნობთ ცხოვრებას, თანამედროვე სოფელს, მის ავ-კარგს, ადამიანებს, ბუნებას. საოცრად დახვეწილი და კოლორიტულია თქვენი სიტყვა და ფრაზა, მოხდენილი და მორგებულია მხატვრული ხერხები, წარმტაცი და საინტერესოა სიუჟეტი. ერთი სიტყვით, გილოცავთ გამარჯვებას.

ვიმედოვნებ, როცა ხელშეკრულების გასაფორმებლად ჩამოხვალთ, ხელცარიელი არ ჩამობრძანდებით: შეუძლებელია, „ფუძის“ ავტორს სხვა ნაწარმოებებიც არ ჰქონდეს...

გელოდებით. მაგრად გართმევთ ხელს.
გამომცემლობის დირექტორი...“

წერილს ხელს აწერდა ცნობილი მწერალი.

— მატყუებ, უჩინა, მეხუმრები! — არ დაიჯერა ნათიამ.

— ა, ჩემო ნათია, გამომართვი, თვითონ წაიკითხე.

— კი, დედა, ასე წერია. — დაუდასტურა კახამ და მამას მხრებზე მოეხვია. — ყოჩაღ, მამა. — სადღაც, ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისძირში, უხერხულად აკოცა. — მომილოცავს.

უჩამ ნათიას ახედა და გაუღიმა. ნათიაც იღიმებოდა, ოღონდ თვალში ცრემლი უბრწყინავდა, სიხარულისა და სინანულის ცრემლი.

— როდისღა მოასწარი რომანის დაწერა, უჩინა? ათასში ერთხელ მიუჯდებოდი ხოლმე მაგიდას, როცა მინდვრიდან დავბრუნდებოდით, ან რვეულებს რომ გაასწორებდი, იმის მერე. როდისღა მოასწარი?.. ჩემს ძილში წერდი, ალბათ, ხომ, უჩინა?

უჩამ მხრები აიჩეჩა. იღიმებოდა. ისევ ისე იჯდა, ცალ ფეხზე გახდილი ჰქონდა ჩექმა, ცალზე — ეცვა ტალახიანი, მზით გარუჯული კისრის ნაოჭებში დღევანდელი ტყისა და გზის მტვერი ჩაჯდომოდა. ძარღვიანი, დაკოჟრილი ხელები მუხლებზე ეწყო. ნათიამ დახედა და, თითქოს პირველად დაინახაო, გაუკვირდა — როგორ ახერხებსო ეს ფართო, ვეება, ერთი შეხედვით უხეში ხელები ერთდროულად მძიმე შრომასაც, ნაზ ალერსსაც და თავნება, გოროზი ქალივით ჯიუტი კალმის დამორჩილებასაც?..

ნათიამ ჩაიჩოქა და იმ ხელებს ნელა, ფრთხილად, ალერსიანად გადაუსვა თბილი ხელისგული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილოვან ნარიმანიძე

## შენ სიცოცხლე ხარ...

შენ მარტო წყალი როდი ხარ ქვეყნად,
გსვას და შეგირგოს ყველა მწყურვალმა,
ან განიბანოს ვნებათაგან, მტვერთაგან
სული,
გაიკაჟებდეს სხეულს შენი ზვირთებით
ოდეს...
არც მარტო დიდი ოკეანე ხარ,
მშფოთვარე ზვირთებს რომ აღელვებს, არისხებს ზოგჯერ;
და მშვიდად უმზერს თავის სატრფოს —
უუმაღლეს მზეს,
შენ არც უბრალო ღრუბელი ხარ,
ზეცისკენ ორთქლად წასული მშვიდად,
არც მარტო წვიმა,
მხუილით რომ გადუვლის ტყეებს,
შენ არც მარტოდენ თოვლი ხარ,
არც მარტოდენ ცვარი,
არც მხოლოდ ცელქი ნაკადული, —
ქარაფებს შორის რაკრაკით რომ მიჰყვება დაღმართს,
არც მარტო ტბორი, ქვებუდანთა თავშესაფარი,
არც ოფლი, ჩვენ რომ ჩამოგვტირის
ზოგჯერ სახეზე, —
არა ხარ, არა!
შენ სიცოცხლე ხარ, სიმწვანე ხარ, სილაჟვარდე ხარ, —
მაცთუნებელი ვარდი მასის,
აღმატებული ყოველივეზე,
შენ მიწისა ხარ სისხლხორცეული! —
სისხლი ხარ მისი,
თქრიალით რომ მოედინება.
შენ სიწმინდეც ხარ,
თუ არავინ შებილწა შენი
პირველყოფილი უმანკოება...
სივრცე ხარ მუდამ საოცნებო,
სიმკაცრე შორი,
შენ სიმღერა ხარ,
თუ კი ვინმეს მღელვარედ უთქვამს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხარ, მშობელ მიწაზედ დიდი!
შენ ენაცვლები სხეულში სხეულს,
ხან ფერად შინდის,
ხან ფერად ლალი.
მე გსვი ოდითგან, ვით შარბათი,
და როდესაც აღარ ვიქნები,
შენ მომნახავ, ვიცი მიწაშიც...
ასე, ამგვარად მიმოდიხარ
და მიმოაბნევ
ხან სიხარულს, ხან მწუხარებას,
გიყვარს თარეში, სრბოლა, სხლტომა,
და არასოდეს არა მშვიდდები.
დაიწმინდები ხან და,
ხანაც ჯავრით ივსები, —
ქვა-ღორღიანი, ამღვრეული მოედინები...
შენ განადიდე, შენ განბანე სამყარო მთელი
და შენ რომ არა, რა ვიქნებოდით...
რა ხარ?..
ღმერთი ხარ, თუმც უბრალო გქვია სახელი,
ხარ უდიდესი და უმაღლესი!..

## ᲐᲦᲐᲠ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ...

ადამიანთა ძვირფასი ხმები,
გამხნევება და სიყვარული,
სითბო, რომელსაც გული გამოსცემს,
მე მაღელვებდა ყოველთვის და თან მაკვირვებდა.
ვინც ჩვენს გულს იპყრობს,
მთამსვლელს ჰგავს იგი,
უუმაღლესი მწვერვალები დალახა ვინაც...
ვიყავ ამაყი,
არა ჩემით,
არამედ კაცით,
რომელიც შემხვდა და ჩამეჭიდა,
შორეულ გზიდან მომაბრუნა და მანუგეშა...
...ადამიანთა მაღალი ხმები,
მე ჩამესმოდა განთიადისას...
მიწყდნენ, წავიდნენ, თვალს მიეფარნენ, —
ასპარეზი ვრცელი დატოვეს...
ყურს ვუგდებ ხმაურს, —
ქარების გნიასს,
მდინარეების ჯიქურ კვეთებას,
გაავდრებას თუ გამოდარებას,
და ყველაფერში ნაცნობ ხმას ვეძებ,
სითბოს დავეძებ, კაცის გული რომ გამოსცემდა.
მაგრამ მთამსვლელი შორეთს წასული,
აღარ ბრუნდება მწვერვალებიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეძახდა, ეძახდა!

ტრიალ მინდორში,
          ერთი ხე მახსოვს,
ცისა და მიწის შუა ჩამდგარი,
შორეულ ზეგნებს მედიდურად გადასცქეროდა.
          ზვიადი, მკაცრი, გულდაბურული,
ის მახსენებდა სევდიან წარსულს,
          როცა ვიყავი მარტოდმარტო და უმეგობრო,
მხოლოდ ხანდახან, ცელქი სიო თუ მოირბენდა,
მასთან და მის მხრებს ნაზი რწევით აშრიალებდა.
ზოგჯერ ბულბულიც მოაკითხავდა,
რომ მასთან ერთად, ძვირფას, შორეულ სიყვარულზე
          ნაზად ემღერა...
ხე მაშინ თითქოს გაცოცხლდებოდა,
დაივიწყებდა ყველა სიმწარეს
და მოთმინებით გასცქეროდა შორეულ ტყეებს...
უხმობდა მუდამ,
          ის თავისთან უძახდა მუდამ,
შორს, ჭალაში მდგარ ტანმაღალ და დაბურულ ხეებს...

## ასპინძის დღიურიდან

* * *

ისე არ მოვკვდე
          შენი ტკივილი,
გულს ჩაჰყვეს ჯავრად,
შენ ველარ გნახო
ამაყი, ლაღი, ნაცნობ ღიმილით,
ადრე გაქრილო გზავ, სავენახო,
ძველჯავახებო და ძველმესხებო,
სად გაფრენილო ჩქარო მერცხლებო!
სიშორეებზე დასანახაო,
ფიქრო დამღლელო და სანანაო...

გზები კლდიანი ისევ გაგვიჭერ
აცისკრებულო მინდორ-ველადო,
რომ გაფოთლილი ისევ გაგვიძღვე
და ჯანჩამდგარმა კვლავ გვიბელადო!

სიშორევ ვრცელო, სიმაღლევ ვრცელო,
შორეულ გზიდან გზებით მავალო,
შენ ფიქრო ჩემო გადამლეწველო,
ბედის ვარსკვლავო ამომავალო...

ვეფხის ტყავით, თუ მერნით მზისფერით,
დრო-ჟამს გაედვნენ ახალციხელნი,
შენი ზარზმელი, შენი თმოგველი,
შენი ტაიჭნი ფიცხელ-ფიცხელნი,

შენი თამარი, შენი სოსლანი,
ყველისციხელი თუ ხერთვისელი,
და სხვა ათასი არწივ-მგოსანი,
შენი დღეების ღრმად შემთვისელი...

შენ იყავ ჩვენი სიბრძნის მჭედელი,
კლდე თუ დუღაბი, ბურჯის მჭვრეტელი,
შენს მაღალი ცის ქონგურს აჩნია,
გრიგალზე მძლავრი ერთი ნაფრენი,
უბადლო განძი — ცაში ვარძია,
ჩვენი ტკივილი და გადამრჩენი.

შენ იყავ გული საქართველოსი
და შორზე შორი გზები გელოდა,
მე მინდა დღესაც იგრაგნებოდე,
შენი ხმა ჰქუხდეს საქართველოდან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ხერთვისთან

აქ ნანად ისმის,
ხმა მარადისი,
ხმავ, შორეულო,
ვისი ხარ, ვისი?!.

დროს წაუშლია
ნაქალაქარი,
ჩვენი გული ხომ,
ბაქარ, აქ არი!..

### შვება მწუხარე საღამოთა...

... ტვირთი, რომელიც შენ დღემდე ზიდე,
უფრო მძიმდება და
მატულობს ტვირთის სიმძიმე...
... როცა მწუხარე საღამოა,
მოგონებებს გაჰყვები როცა,
ის, ვინც შენს სულში
სულ პირველი აღბეჭდა ლოცვა,
ვინც შეგაყვარა ფიქრი ღამის, დუმილში მთვლემარს,
ვინც უცნეთში გირწევდა აკვანს,
ის მოიგონე,
იქ მიგიყვანს ბედი თუ ღმერთი
(შორეულო დღევ, მწუხარე ხარ და ერთადერთი)...
როცა ჩავლილი ქარავნების ჩნდება სიახლე,
თითქოს ძველია ყველაფერი,
ფიქრია მხოლოდ
ახალი,
წარსულს რომ ანათებს, — როგორც სინათლე,
გარდასულ დღეებს რომ აშუქებს
კაცთ სამახსოვროდ...
შვება მწუხარე საღამოთა, ფიქრია მხოლოდ!

### უძლიერესი მქვია ამიტომ...

ნუ შემომწყრები წუთისოფელო,
სევდას გულში ნუ გამაკარებ...
დღე არი დიდი, —
ათასწლიანი ღამეების პირმშოა იგი —
დამიძახე, რომ
სიმაღლეებს მივწვდე უშორესს:
ან თავდაღმართში სირბილით მსდიე,
რომ არ ჩამხერგონ კლდეზე ქარებმა.
და მაშინ ნახავ:
თუ რა ძლიერად
ამაღლდება ეს დღე, რომელიც
შენ გაწუხებდა და გავებდა...
ნუ შემომწყრები წუთისოფელო,

ჩვენზე მცირენიც არიან და
უძლიერესნიც.
მათზე მცირენიც, შენ რომ მცირედ მოგეჩვენება.
მასზე მაღალნიც, ჩვენ ზევიდან დაგვყურებს ვინაც.
მაგრამ ყველაზე დიადია და უმაღლესი,
მუდამ რომ ვუხმობ მეგზურად ჩემად,
სიკეთე, დიდი მეგობარი, ჩემი მთრგუნველი,
უდიდესია,
რაც კი შექმნა არსთა გამრიგემ!..
ნუ გამიწყრები წუთისოფელო,
ის ჩემში არის, —
ყველაზე ვრცელი და ძლიერი მე ხელთ მიპყრია,
ეს სიკეთეა!..

## როცა შენს მაგივრად სხვა მოკვდა

ის მოკვდა, რათა შენ გეცხოვრა,
წინ აგეფარა და შენს მაგივრად დამიწდა, —
გახსოვს, თუ არა, შენ ეს?..
გადარდებს თუ არა, შენ ეს?..
ან კითხვა თუ აღიძვრება ხოლმე შენში,
თუ რა მოუტანა,
მას ამ თავგანწირვამ!...

* * *

კარგი დღეები, რაც შემხვედრია, —
თმობდნენ, დაობდნენ, თუ ბეჯითობდნენ,
მგზავრო, ტკივილი შენი ხვედრია,
გასწი, იარე,
გზები გიხმობენ...
უფრო მკაცრია წარსული მაშინ,
როცა რაღაცას მწარედ ვინანებ,
მოგონებები რჩება ხსოვნაში,
ოქროდ, რომელნიც
მუდამ ბრწყინავენ.

მთებს მიეფარა, ლამაზად გაჰქრა,
თვალს ვერ ვაცილებ განვლილ ბილიკებს,
ვერ დაგიბრუნდი, უკან
და რა ვქნა,
შენც შემინდე და კვლავ შემირიგე.
შენღა შემომრჩი, ფიქრო ეულად
და ერთგულებაც შენი ვიწამე,
და მიხარია, რომ ზეზეულად,
ჯერ კიდევ, ისევ დავალ მიწაზე...

* * *

გარიჟრაჟია, მე ისევ გელი,
გარეთ მეგზური ზარს აჟღარუნებს,
წავიდეთ, გინდაც გზა წვიმით სველი,
ჰკიდებდეს ნისლის მუქ აბაჟურებს.
ვით უკანასკნელ გასროლილ ტყვიას,
ვით ბოლო იმედს, შენც ისე გენდე!

ქარები ბედის ნაკვალევს შლიან
და რა იქნება ვინ იცის შემდეგ.
სადაც ჩემს ნაცვლად, ურიცხვი წელი,
ღამურა უთევს მშობლიურ კარავს,
წავალ, რომ აღიდგეს ის ყველაფერი,
რასაც წარსულის სიმშვიდე ჰფარავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუხების მაცნე ქარი

მთელი ღამე,
მუხების მაცნე ქარი,
გრიალ-გრიალით ენარცხებოდა ტყეებს.
მუხები კი,
როგორც წვიმის ღვართქაფს ციდან,
ელოდნენ, რაღაც უცნაურ ამბებს,
აღმოსავლეთიდან!

განთიადისას კი,
როცა ჩადგა ქარი,
ცა ცრიდა და მუხები ტიროდნენ,
ნეტავი რა ამბავი აუწყა მუხებს ქარმა,
მაცნემ,
მოსულმა შორეულ მხრიდან?!.

## ნატვრა

რა უდარდელად იმზირება
თან დიდგულაა, ის ბედნიერი,
უსაქმური და ნებიერი...
— ო, — ვნატრობ — ნეტა,
ერთი საათი,
მომცა ნეტავ, ერთი საათი,
თავი ასევე უდარდელად წარმოვიდგინო,
რომ მეც ასევე უდარდელი თვალით ვუყურო
სამყაროს, სოფელს, გზებს, მოედნებს,
ადამიანებს,
ყველაფერს, რასაც თვალით ვხედავ,
ირგვლივ რაც არის!
რომ წუთით მაინც დამავიწყდეს,
რაზეც ვდარდობ,
რაც სულზე ტვირთად მაწევს ნიადაგ,
იმ ყველაფერზე ფიქრი,
რაც გულს გადახდენია,
და უთვალავი საფიქრალი სხვა რამდენია.
ნეტავ შემეძლოს გრძნობის გაცვლა
უმეცრებაზე,
ჩემთვის მეფიქრა და მეცხოვრა ამ ქვეყანაზე,
და წუთით მაინც უდარდელად
გამანავარდა ...,
და მომაშორა საგნებს, რამაც
ფიქრი დაბადა.

* * *

არავითარი მემკვიდრეობა,
შენს გარდა ჩემო, ლექსო დევნილო,
ჩრდილიანი მთის მყუდრო ხეობავ,
ქარში ნარწევო და მოწყენილო!
შენს გარდა, განა ვინმე მინატრებს,

ვინმე მიკითხავს,
ვინმე მიტირებს?
ვერც ავალამპრებ სულის სინათლეს,
ვერც გულში ჩუმად ჩავიღიღინებ,
არც დღე ხსოვნისა არ მოიმატებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაზაფხულიც ვეღარ იდიდებს,
შენს გარდა ქვეყნად არვინ მინატრებს,
არვინ მიკითხავს, არვინ მიტირებს...
ვინმეს რაიმე ემახსოვრება,
რაც რომ მე გულით მათთვის ვინდომე?..
მხოლოდ ბავშვური უმანკოება,
ვით მშობელ მამას ისე მიგლოვებს!
წაშლიან, ვიცი ჩემს ნატერფალებს,
ღამის დირენი, — ფერები მუქი,
დაფარავს სხეულს ტალღა მღელვარე,
ან გამიტაცებს მკაცრი ქარბუქი,
ლექსო, მხოლოდ შენ გაიელვარებ,

როგორც რიჟრაჟის კრთომა, სათუთი,
და დაეცემა ჩემს ნატერფალებს,
ღამის დირეთა ჩრდილები მუქი...
არავითარი მემკვიდრეობა, —
შენს გარდა ჩემო,
სიტყვავ დევნილო,
ჩემი ცხოვრება,
ფიქრი, კაცობა,
წაგიღია და შორს გაფრენილხარ,
შეფარებულხარ მარიდისობას, —
ქარში ნარბევო და დამეწყრილო ..

* * *

გინდ მკაცრი გრიგალ-ქარი
შემოდგომური ქროდეს,
იმავ ნაბიჯით ვივლი,
როგორც მივლია ოდეს!..
მე იმ დღეებით გნახავ,
მე იმ დღეებით მოვალ,
გადამავიწყო იქნებ,
ყველა ტკენა და გლოვა...
რაგორ ხვდებოდი, გახსოვს?..
მზეს, — გაზაფხულის დარებს,

ისევე შეხვდი ზამთარს
და ყინვის გრიგალ-ქარებს...
სიცივე ბოჭავს მთა-ბარს,
გულიც დაუხრავს ღალატს,
უკვე იუფლებს სხეულს
უცხო გრძნობა და ძალა.
მე იმ დღეებით გნახავ,
მე იმ დღეებით მოვალ,
გადაივიწყე გულო,
ყველა ტკენა და გლოვა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ გალდავაძე

# ფიცი

მოთხრობა

...იგინი (თუშნი) არა ჰყმობენ კაცთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან. და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი, მხედარნი წარმატებულნი...

ვახუშტი

მზეს სამზეო შემოევლო, დაღლილ-დაქანცულს ცის ციცაბოზე ფეხი დაცდენოდა, ბურთივით დაგორებულიყო და ახლა იქ, ქვესკნელში, ბანაკი დაეცა და ღამის გასათევად ნაბადს შლიდა.

აბღავლებული საქონელი, მწყემსი და მხვნელ-მთესველი ერთად მოადგა სოფლებს.

ბავშვების ჟრიამული, პატარძლების დაოკებული ღიმილი, დედებისა და დიაცების მზრუნველი ქოთქოთი და ნაგაზების ლავლავი მიეგებნენ შინმოსულთ.

ერთი რიგი სოფლებისა ხელისგულისოდენა ტაფობზე გაშლილიყო, მეორე — მთის კალთებს შებუდებოდა, მესამე — ხევის ფერდობზე მიმოფანტულიყო.

ხევისბერის ოთხსართულიან ციხესახლს უცხო, აქაფებულ აჯილღაზე ამხედრებული, ოფლში გაწუწული და მტვერში ამოგანგლული ჩაუქი მოადგა.

უზანგებიდან ფეხები გაინთავისუფლა, ხელებით უნაგირის ტახტას დაეყრდნო, მოქნილი ტანი მაღლა აზიდა და ყინჩად ისკუპა. ცხენს ყურები მოუსრისა, პირიდან დაგრეხილი ლაგამი გამოაცალა, ლაშების გასქელებული კილოებიდან დუჟი მოუწმინდა, ვერცხლით მორახტული ალვირი კისერზე მიუგდო და მისადგომ-მოსადგომად, ოფლის შესაშრობად და სულის მოსაბრუნებლად მინდორზე მიუშვა.

მტვერი გაიბერტყა, მუხლი გამართა, გაიარ-გამოიარა.

მშვენიერი გარეგნობის ჭაბუკს დიახაც უხდებოდა დიგორული შალის აკაპიწებული ჩოხა, წითელი ატლასის ყოშებიანი ახალუხი, სირმით გაწყობილი ყაბალახი, ყარაბანდული შარვალი, დაყაწიმებული სარტყელი, ოქროს ზარნიშით შემკული ხმალ-ხანჯალი, სიათა, დამბაჩა და დაბასმული წაღები.

ჩოხის სამასრეში იდუმალი უსტარი მოისინჯა, — ადგილზე იყო.

არ ამოუღია — შინაარსი, როგორც მაცნეთა წესია, ზეპირად იცოდა:

„ჩემო თუშებო, მტერი წამოიშალა და სადაცაა დაგვლაშქრავს. სეფე ჯარით ვერაფერს გავხდები, ქუდზე კაცი გადავწყვიტეო“, — მეფის პირით იტყობინებოდა დედასამშობლო.

* * *

— ოჯახის შვილებო! — შესძახა ჭაბუკმა.

გაუგონეს,
გამოხედეს,
გამოეგებნენ.

სტუმარმა სალამი ჩამოურიგა დიდ ჯალაბს.

— გაგიმარჯოს! — პასუხობდნენ მამაკაცები და ხელს ართმევდნენ.

— ღმერთიმც გაგახაროს! — მორიდებით მიუგებდნენ მანდილოსნები.

აჯილღას აკაზმულობა ახსნეს და ალაფზე მიიყვანეს. მაცნემ ცხვარ-მეცხვარეები მოიკითხა, მასპინძლებმა — კახეთი და კახთა პატრონი.

ყმამ დაღონებით ამცნო დამხვდურთ ქვეყნის გასაჭირი და მეფის უსტარი გადასცა.

ქალებმა სახე დაიხოკეს.

ვეფხვთანწილდებულ ვაჟკაცებს გმინვა აღმოხდათ და ხელი ხანჯლისაკენ გაუცურდათ.

— ჰაი დედასა, რჯულძაღლისასა! — ჩაილაპარაკა ხევისბერმა და ვაჟიშვილებს მიუბრუნდა.

მიუბრუნდა და... ყმები ცხენებს მოახტნენ, მათრახი მოუქნიეს და მოკურცხლეს.

და ფლოქვების რაკარუკი ოთხივ მხარეს მიაწყდა წყვდიადს...

ციცინათელებივით აელვარდნენ ნალთა ნაკვესი ნაპერწკლები...

* * *

ჭაბუკი შინ შეიპატიჟეს, ზამთრობით საქონლის სადგომი — ბნელი ბაშტე გაატარეს, ფიცრის კიბეს აუყვნენ, ერდოში აძვრნენ და მეორე სართულზე — შუაზე ავიდნენ. ჭრელი ფლასებით მოფენილ კედელზე ჭიანური, ჩონგური და დაირა ეკიდა, მათ ქვევით ხის სკივრი იდგა. სკივრს იქით, მარჯვნივ — ჯეჯიმით გადაფარებული ტახტი, ტახტთან მარცხნივ — მაღალი მაგიდა.

სტუმარს პატარძლებმა წაღები გახადეს, ფეხები დაბანეს, შეუმშრალეს, ნაჭრელი წინდები ჩააცვეს, და [illegible]ჩითები მიართვეს.

ოჯახის უფროსი და ჭაბუკი ტახტზე ჩამოსხდნენ და გაბაასდნენ.

— მესამე სართულიც, ზედაშუა, — უყვებოდა მასპინძელი სტუმარს, — საცხოვრებლად გვაქვს მოწყობილი, აბა, ეს მრავალსულიანი ოჯახი ერთ სართულზე როგორ მოვთავსდებით? ხოლო მეოთხე, ბოლო სართული, ადგილი სახურავსა და ჭერს შუა, ჭერხოს უჭირავს, სახლის საომარ ნაწილს. კედლებში, ბაშტეს მაღლა, ოთხკუთხა სათოფურებია დატანებული, რომლებსაც, როგორც თავად შეხედავდი, ნაკვამური და ნატყვიარი არ აკლია.

ბერდედას ინდიგოსფერი შალის უბიანი გრძელი ჩოხა ეცვა, მკერდზე ყინქილოებით შემკული ფარაგა ეფარა, ყურებზე ვერცხლის საყურე, ხოლო კისერზე გიშრის მძივები ეკიდა.

ბერდედა განკარგულებას იძლეოდა და მაგიდაზე ლაგდებოდა ცხელ-ცხელი კოტორი, მაჭკატი ხავიწით, ხინკალი, ჩობანყაურმა, ჭიმის მწნილი, თავი „წინა“ არაყი. ბერდედამ სუფრას გადახედა და ქმარს მიმართა:

— ეგე, კაცო, მაგიდასთან მოიწვიე სტუმარი!

— ახლავე, სახლობავ, ახლავე! — უპასუხა ბერომ მეუღლეს, წამოდგა და სტუმარი წამოაყენა.

სუფრას მიუსხდნენ, მოხუცმა სახელოები წაიკაპიწა, ღმერთი ახსენა და ჭაბუკს პური გაუწოდა გასატეხად.

სტუმარს საჭმელს ურჩევდნენ, სასმელს აძალებდნენ — მეღვინე, ოჯახის ქალა, თვალმახარა, ჯიხვით ლუდს მიართმევდა, ყანწით — არაყს.

მაცნეს ჭაბუკის გული უფეთქავდა, მჩქეფარე სისხლი უდუღდა — წამიდან წამზე თავისი სათაყვანო მამულის ბედი ავიწყდებოდა და თვალს ვერ სწყვეტდა თვალმახარას...

ქალას, მართალია, ჭაბუკის გამსჭვალავი გამოხედვა არ დაუჭერია, მაგრამ ქალური გუმანით გრძნობდა მის ყინიან, მცხუნვარე მზერას: ხან ზურგი აეწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, ხან — მწყაზარი სახე, ხან — ირმის ყელი, ხან კიდევ — ამობურცული გულ-მკერდი...

უკვე გვიან იყო, მაცნემ დაღლილობა მოიმიზეზა და პურობას მორჩნენ.

ბერო თამბაქოს აბოლებდა, ბერდედა ბურნუთს ყნოსავდა.

თვალმახარამ ჭაბუკს ნაბადი გაუშალა, სასთუმლად ტყავი დაუკეცა, დააწვინა და დურა დაახურა.

მოყმემ ერთხანს იბორგა, იწრიალა და გაიტრუნა.

სტუმარმა იყუჩა თუ არა, ჯალაბი აიშალა და საქმეს შეუდგა.

თვალმახარამ დრო იხელთა, კიბეს ჩაჰყვა, ბაშტეში მიმალულ ქისას ხელი წამოავლო, უბეში ჩაიდო, გარეთ გავიდა და ბილიკს დაემგზავრა.

ციხეებზე მეციხოვნენი გადმომდგარიყვნენ და აბრიალებული მაშხალებით შოლტავდნენ თვალდათხრილ ღამეს...

სათვალთვალო გორებზე და სახედავის ცერებზე ცას სწვდებოდნენ გიზგიზა კოცონები...

რეკავდნენ ზარები და ზარავდნენ მიდამოს...

გომეწარი წოვათას ეგანგაშებოდა, წოვათა — პირიქითს, პირიქითი — ჩაღმას.

ბორგავდა ხუთკუთხა თუშეთის სამოციოდე სოფელი...

ქალები ტალავარსა და ხანგრძლივ საგზალს უმზადებდნენ მეომრებს — თანდათან ივსებოდნენ კოლოტები, გუდები, ტიკები, ხურჯინები...

მამაკაცები ზოგი პირკომლიან მაქარს, აილანს, სიათასა და ხირიმულს წმენდდა და ტყვია-წამალს აგროვებდა, ზოგი — ხანჯალს, ლეკურს, გორდასა და ფრანგულს ფხას უმოწმებდა და ლესდა, ზოგი — სარაჯები, უნაგირებსა და სხვა აკაზმულობას დაზიანებულ ნაწილებს უსინჯავდა და მართავდა, ზოგი — ნალბანდები, დაბალი ტანის, მაგრამ ფეხმარდ და თავლაღ შავრა, ჩალა, ქურანა და ლურჯა ცხენებს ჭედდა და ასამურველებდა...

ავად გნიასობდნენ ნაგაზები... გაბმულად ხაოდნენ მელიები.

ფეხზე დამდგარიყო, იჭურვებოდა და სალაშქროდ ემზადებოდა „ლაღიანი და ლამაზიანი“ თუშეთი...

და ქურციკივით გარბოდა თვალმახარა საცალფეხო გზაზე... ბნელში მისკენ მომქროლავი საბედო გაარჩია... ქალმა სალამი დაასწრო, ხელები გაშალა და უცებ შეკრთა, გამოერკვა, გრძნობა დაიოკა და აწურული და აცახცახებული დადგა გულისსწორის წინ...

ყმაწვილი საბედოს მიეახლა, მიიზიდა...

— თვალმახარავ, ჩემო თვალმახარავ, ჩემო გახარებავ!..

— გიგი, გენაცვალე, გიგი...

— მივდივარ...

— ვიცი, — უპასუხა, უკან დაიხია და წინგადმოყრილი ოთხივე კოწოლი ჩამოიქაჩა.

— კოცნას არ გამატან? — მთრთოლვარე ხმით შეევედრა და კვლავ მიიზიდა.

— არა... დაგაჰვედრებ! — თავჩაღუნვით ჩაილაპარაკა, უბიდან ქისა ამოიღო, გადასცა და განზე გადგა.

გიგიმ ქისა დაყნოსა, ხელში შეათამაშა, ზედიზედ ეამბორა.

— ჩემო თვალმახარავ — ამოიგმინა გიგიმ.

— ჩემო გიგი!.. — ჩაიჩურჩულა თვალმახარამ.

რამდენიმე წუთი უჩუმრად იდგნენ, მერე თითქოს სათქმელ-სალაპარაკო შემოელიათო, თანდათან დაშორიშორდნენ და ქალი აქეთ წამოვიდა, ვაჟი — იქით.

ეჰეი, შეჩერდით, შეჩერდით და შებრუნდით მიჯნურნო! მცირე ხანი მაინც ნუ განშორდებით ერთმანეთს, თამამად მოიქეცით, გადაეხვიეთ ერთურთს, გული შეიჯერეთ ერთმანეთთან ყოფნით: დატკბით, დათაფლდით, რამეთუ... საწუთრო ვერაგი, ფლიდი და მუხანათია. ეს ხომ თქვენი უკანასკნელი შეხვედრაა, უკანასკნელი ურთიერთ ხილვა...

არ გესმით ჩემი ვედრება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც არ იცვლით გეზს?!..

ეჰ, თქვენთან სხვა დროსა და გარემოდან მოსული ადამიანი ვლაპარაკობ, თორემ, ვინ იცის, ეგებ მართალიც იყოთ, ადათს რომ არ თელავთ, თუშეთის მთის მართვეებო!

* * *

კავი, ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს გადააბარეს და რამდენიმე ასეული თუში, ცხენებზე ამხედრებული, თავისი საგზლით, ტყვია-წამლითა და თოფიარაღით აღჭურვილი, ბურაყის ფრიალით გაუდგა სამხრეთის გზას.

ფეხდაფეხ მიაცილებდნენ ბერდედები და ბეროები, მამები და დედები, ცოლები და შვილები, დები და საბედოები, ოჯახის სითბო და დედულ-მამულის განუმეორებელი სურნელი...

ცვიოდა ცრემლი ცხარი, კურცხალ-კურცხალი, გულს აღონებდა გაბმული ოხვრა-გმინვა, იყო ბუტბუტი ლოცვა-კურთხევისა...

დარჩეულ მხედრიონში ორი ძმა, გიგი და ლაგაზი, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ,ნამეტურ ერთი, გიგი გაგხდიდათ კაცის უნახავს: თუშეთის მთებივით ზვიადი, გოროზი ფოლადისფერი სახე, ცისფერი ოცნებით სავსე თვალები, გიშერივით შავი ულვაშები...

ცხენებს მიაგელვებდნენ, მიიჩქაროდნენ, მიილტვოდნენ, —

სამშობლო ეძახდათ...

წმინდათაწმინდა ვალი უხმობდათ...

კავშა ფაშატზე ამხედრებული გიგი უზანგზე მთელი სიმაღლით წამოიმართა, ხალხში თვალმახარა მოიძია, ერთი წამით თვალი გაუსწორა და სიმღერა წამოიწყო:

> ქალმა სთქვა: ქმარი არ მინდა
> ჩემთან მუშაი ცელითა,
> მირჩიავ, ჯავშანს იცვამდეს,
> ლაშქარს რომ იყოს ცხენითა.

თვალმახარას თვალებში ჟრიატი ჩაუდგა, ფიქრები აეშალა, ფეხწყობა აერია და კოწოლი გააწვალა....

უკანა რიგში მდგარმა ლაგაზიმ დეზი ჰკრა თავის ცხენს, წინ გაიგდო, ძმას გაუსწორდა და სიმღერა ჩამოართვა:

> ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
> მამული, თავის ერია,
> არ შეკრთეს, არცა შეშინდეს,
> გინდ გარს ეხვიოს მტერია.

დასჭყივლეს მხედრებმა, მოიქნიეს მათრახები და დაათხეს საფერხეები.

გზა იყო გრძელი, ბარგი — საგზალი და საჭურველი — მძიმე.

ბილიკზე ცხენები გაიბაწრებოდნენ, წალიკ-წალიკად კუდში მისდევდნენ ერთმანეთს, ხოლო ტაფობში გაიშლებოდნენ, ნავარდს, ჯირითსა და ფუნდრუკს მოჰყვებოდნენ და იყო ერთი ჭიხვინი, გასწრება-ჩამოტოვება და მჯობთა მჯობობა.

გზაში, გზადაგზა —

დოგები, დოგები, დოგები, შავ ფირფიტებზე თეთრი წარწერებით: მავანი და მავანი, ამდენი და ამდენი ხნისა, ამა და ამ დროს, ემა და ემ მიზეზით...

ჩამოქვეითდებოდნენ, ქუდს მოიდრეკდნენ, თავს მოიშიშვლებდნენ, სირჩას წაუქცევდნენ —

შენდობა, შენდობა, შენდობა...

მიმწუხრზე, უღელტეხილთან არმისულნი, შეჩერდნენ, ცხენებს ბარგი მოხადეს, ზეზეულად წაიხემსეს, პურს ყველი მიატანეს, ქუმელს — კალტი, ზვავის ნაყური პეშვით იგემეს, ნაბდები გაშალეს, გაეხვივნენ, გაგორდნენ და ღამე გაათიეს.

ალიონზე აიშალნენ, მიდგნენ-მოდგნენ, გზის გასაგრძელებლად გაემზადნენ და ცხენები მოიძიეს.

კავშა ყბედი გორის შიბზე იდგა, ხვიხვინებდა და ხმელ ბალახს ხუხნიდა. გიგიმ ხევიდან ამოუარა ცხენს, ლამაზ ფაფარზე ხელი გადაუსვა — ვინ იცის, თვალმახარას კოწოლებს მიელამუნა...

ესიამოვნა პირუტყვს პატრონის ალერსი, ბალახით გამოტენილი პირი მაღლა ასწია, მისკენ მიბრუნდა და თავი გააქან-გამოაქანა.

თავი გააქან-გამოაქანა და წინა ჩლი-

ქებთან დაკლაკნილი გველგესლა დაინახა —

დაფრთხა.

გავა მოიქნია.

აყალყდა...

და გიგი უძირო ხრამში გადაჩეხა...

— ბაიმეე! — წამოიძახა ყმაწვილმა და თავდაყირა ჩაეყუდა ხევის ხახაში.

ეე, კაცი თუ ფრთხილია და წინდახედული, რა კეთილი ხართ თქვენ, მთებო, ხოლო თუ ოცნებამ გაიყოლია და გულს გადაუვიდა — რა დაუნდობელი...

ჯერ შვეულად დაეშვა, მერე გამოშვერილ ქიმს დაენარცხა, ვაის წამოძახება ვერ მოასწრო, რომ უხილავმა ძალამ განზე გაისროლა, შემდეგ ისევ ცერდალმა დაეკიდა, ახლა ზურგით დაასკდა ამოყუნტულ ბექს და ხერხემალზე გადაიმსხვრა... მერე უსულო, დალადრული და დაფლეთილი ფლატეზე დაგორდა, ლოდები, ქვები, ხვინჭი და ნაშალი მიწა დაძრა და დაიყოლია...

დაიყოლია და სიმძიმემ თავისი გაიტანა: ქვა და ლოდი დაეწია, გადაევლო, გასრისა და გადათელილ ბუჩქის ძირს მიაჭყლიტა...

დიდხანს, დიდხანს არ შემწყდარა ხევში ჩაზვავებული ლოდების, ქვებისა და ხვინჭის ხრიალ-ხრიალი და ხათქახუთქი.

თავზარდაცემული ლაგაზი და რამდენიმე ყმა ყვირილით, ყივილითა და სკუპსკუპით ჩაჰყვნენ ჩავარდნილს...

...ძელებზე წკეპლის ყაპყატო გადაეწნათ — სახელდახელო ჯალამბარი გაეწყოთ — მიცვალებული დაესვენებინათ ზედ და ოხვრითა და ვიშვიშით, ხვითქად დაღვრილებმა, ჯერ კიდევ თბილი, პირსახეზე ჩოხაწაფარებული ცხედარი ამოიტანეს.

ჯალამბარი მდელოზე დადეს.

მხედრიონს ქუდი ხელში ეჭირა და გაუტოკავად იდგა. ახლობლები ახლო მივიდნენ.

ჩოხის ჯიბიდან ქისა გადმოვარდნილიყო, თასმით თავმოკრული სათუთუნე...

თასმის ორივე ბოლო მოსირმული ფოჩებით მთავრდებოდა, ხოლო ქისაზე ქალის გაწვდილი ხელი იყო ამოქარგული, ხელის ნებზე — წითელი და ლაჟვარდი ფერებით ატოკებული გული, გულში — კუპიდონის კუდფრთიანი ისარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ტომაგი დაანაწევრეს, ნაბადში გაახვიეს, ხურჯინის თვლებში ჩაალაგეს და კავშას უნაგირზე გადაკიდეს. მერე გადაჩეხილი მხედრის აილანი, ხანჯალი და სამლარიანი ფხიანი ფრანგული აასხეს. ვარდისფერი ფურისულა დაკრიფეს და სამკერდულზე დაჰკიდეს. მოკლედ მოთოკილი აღვირი უნაგირის ტახტას მოახვიეს — გზაში ძოვნას არ გადაჰყვეს, არ დააყოვნოს, ცხედარი არ გაიხრწნას და ყორანმა, მგელმა და შირაქიდან ცხვრის ფარას ამოყოლილმა აფთარმა სუნი არ აიღონო.

ცხენოსანი აფრინეს, ტყიდან მუხის მარგილი მოიტანეს, გაქერქეს, გახუხეს, მიწაში ჩაფლეს და დოგად დადგეს.

ქვითინს არ მოჰყოლიან, ცრემლი არ დაუღვრიათ, გოდება არ გაუმართავთ — გული დააწურეს...

ნიამორი მოინადირეს, დეკა გაალვივეს, მწვადები ააგეს.

ბოტის ყანწები სულადის არყით აავსეს და მიცვალებულს შენდობა აღირსეს.

მერე ამ გზაზე ამვლელ-ჩამვლელი, დაუთვლელი დალუპული გაიხსენეს.

მესამედ ასწიეს სასმისი, ლაგაზის მიუსამძიმრეს და ზიანს გაჯეროსო, მიუსურვილეს. წამოიშალნენ, ყელში გაჩხირული ლუკმა და ბოლმა ერთად გადაყლაპეს

ცხენი უკან შეაბრუნეს, გავაზე ხელი დაარტყეს და პირი ჩრდილოეთისაკენ უქნეს...

ჩვენო უბადლო დედებო და დებო, ქალთა და კაცთა შობა, ქალთა და კაცთა აღზრდაცა და ქალთა და კაცთა დატირებაც კი, ბედით თუ უბედობით, თქვენ დაგბედებიათ...

ჰოდა, ესეც დაიტირეთ...

რას იზამთ —

თქვენ ხომ ჩვეულნი არა ხართ წუწუნსა და წარბის დახრას? და მსუბუქი იყოს თქვენთვის ეს, ადამიანთა მოდგმის უმძიმესი და უურვესი ტვირთი.

ჰოდა, გოხივით გამაგრდით და გაემზადენით თავზე ცის დასაქცევად და ვაისა და მეხის დასაყრელად, —

დღეს თუ არა, ხვალ კარს მოგადგებათ ლაშქაფიანი კავშა, თავის კანტურით, ჩაცვენილი ფერდებითა და თვალებგამობერილი ხურჯინით...

და იტირეთ...

და იცრემლეთ...

და იგოდეთ..

და ბლიკვის ბაგაბუგით დაიგვემეთ ნაზი და ნაამაგარი ძუძუ-მკერდი...

და თქვენს ისედაც შავ ტალავარს მარჯვენა უბეზე სამგლოვიარო ქოქორა გაუკეთეთ...

და ჩუმად დაიტირე შენც, ჩემო გაუხარებელო თვალმახარავ, შენი ბედდამწვარი, კვირტში ამოკორტნილი სიყვარული.

* * *

ცერის გადასასვლელზე გადაეშვნენ.

უღელტეხილზე თოვლს წამოეყარა და ვეება მთებს თეთრი ნაბადივით წამოფარებოდა.

ქვევით კახეთის სანახაობა დანისლულიყო, გეგონებოდათ რძით აუვსიათ ეს სტორის ხეობა, ის ალაზნის ველი.

მაღლა, ცისფერი ბურუსისა და ჯანღის ზევით ,კამარას ჰკრავდა და ლაღად ნავარდობდა არწივი, ყივილით ღივლივებდა გრძელკისერა ორბი, ფრაშფრაშით დაქროლავდა გაუმაძღარი სვავი.

ცხენის გუმანს მინდობილნი, ნებანება, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ.

უღრან ტყეს მიუახლოვდნენ, ნისლმა და ჯანღმა უკან დაიხია.

გამოიკვეთა ახოვანი, აშოლტილი, ასწლოვანი ხეები, წითელი კრიკინით დახუნძლული უსურვაზის თალარები, ტოტებზე დასკუპებული მწვანე ფითრის ბოლქვები, კლდეს აცოცებული ხასხასა სურო, ხავსის ხავერდით შემოსილი ხერგი.

აღმა-დაღმა დარბოდნენ ბოჩორთხალი, ყელმოღერებული ირმები და თეთრხალიანი ფოთრები, თვალაბრიალებული შვლები და ზურგაჭრელებული ნუკრები.

ტრუხუნით დაშლიგინობდა ტახების კოლტი, ტყისათვის ძირში, ლაწალუწი რომ აეტეხა და მაღლა — კენწეროთა რხევა.

ბაჯბაჯა, უზაკველ დათვს ფუღუროში თაფლი მიეკვლია, სიამით სმუსნიდა და ფუტკარს თავის ქნევით იგერიებდა.

და იყო მეჯლისი ფრთოსან მგოსანთა და მგალობელთა.

ხეობაში მზემ ჩამოაჭყიტა და გზის პირად აღმოცენებულ ცირცელს მარცვალ-მარცვალ დაეკიდა.

ჯანღში გამოვლილი, ცვარნაპკურები ცხენ-კაცი შრებოდა და ოხშივარი ასდიოდა...

კაკლიან ჭალაში ჩამოივაკეს, შეისვენეს, ცხენებს კუდები გაუსკვნეს, კვლავ შეახტნენ, ჭენებ-ჭენებით ლეჩური, ფშაველი და ლალისყური ვაიარეს და ალონის ველზე შეჯირითდნენ.

ლაშქარი დანაწევრდა, მისახედ-მოსახედად და მოსვენებულად თავთავიანთ ცხვრის ბინებისაკენ გასწიეს. საზამთრო საძოვრები კი ვის ტახტიგორაზე ჰქონდა, ვის ჩაკიდულაზე, ვის კაკლიანზე, ვის გაწყვეტილაზე, ვის გურგულჭალაზე, ვის ფხაკალყურეზე, ვის წაწალყურეზე, ვის გორის ბოლოზე და ვის კიდევ ჯანჯაანზე.

მიწურ ბინებს, ზევით, მეორე სართულად ძნები ედგა, ხოლო ირგვლივ სახნავ-სათესი ნაკვეთები შემოსარტყლოდა.

ნაკვეთებს, ჩვეულებრივ, გულგულიდან, ალავერდიდან, ქისტაურიდან, ოქიოდან და მატნიდან ქირაზე მოსული მხვნელ-მთესველები ამუშავებდნენ.

ბინებიდან დაქირავებული მეზარგულები გამოეგებნენ და ერთი ბჭობა ჰქონდათ საზამთროდ ბალახისა და თი-

ვის კმარება-უკმარობაზე, მიწურისა და საბატკნის შეკეთებაზე, ქერისა და ჭვავის მოყვანა-დაბინავებაზე.

რიჟრაჟზე მხედრიონი აიყარა, აიკაზმა, ადგაფუნებული ალაზანი თქარათქურით გატოპა და ახმეტაში გავიდა.

სოფელ-სოფელ, შარა-შარა მიდიოდნენ.

ღობე-ყორეს ხანდაზმულები მოადგებოდნენ და გზას ულოცავდნენ მოლაშქრეებს, ხოლო მოჩიტული და ზრდადასრულებული ქალიშვილები შუკისპირა სახლებში შერბოდნენ, სარკმლებს გამოაღებდნენ და ვარდ-ყვავილებს ესროდნენ დატალიკებულ ჭაბუკებს...

თელავის მისადგომთან მარჯვნივ, მერეში შეუხვიეს, შუშანას ხევი გაიარეს, ცოტა გაიმანძილეს, აღვირები მარცხნივ მოქაჩეს და შუამთის გუმბათიან მონასტერს მიადგნენ.

გალავანთან გაჩერდნენ, ჩამოქვეითდნენ, ცხენებს მოსართავები მოუფომფლეს, აღვირი ახსნეს, ფეხებზე დუშაყები დაადვეს და ხელი აუქნიეს.

კაცი და ცხენი მოჩუხჩუხე წყაროსა და წყაროდან გამომდინარე რუს დაეწაფნენ.

დღე იყო კვირა, ცა იყო მაღალი, მზე იყო მცხუნვარე, მრევლი იყო ჭრელი და უამრავი.

ალაყაფის ღია კარები გაიარეს, ქუდები მოიხადეს, მონასტრის ვეებერთელა ადგილ-მამული მოათვალიერეს და პირჯვრის წერით საყდარში შევიდნენ.

ჭაღარა, ჭარმაგი, ჭროღათვალებიანი მოძღვართ-მოძღვარი, მიტრა რომ ეხურა და მანტიაში ძლივს ეტეოდა, ამბიონზე იდგა, ხელში ბრჭყვიალა ჯვარი ეჭირა და ბოხი, გაბმული ხმით წირავდა.

ამბიონის მარცხნივ, წითელხავერდგადაფარებულ ტრაპეზთან გამხდარი, დროული მნათე დაყუდებულიყო და სასოებით შეჭყურებდა ღმერთის, ღვთისმშობლისა და ქერუბიმების ფრესკებს, მოძღვართ-მოძღვარსა და შემოჯარულ მრევლს.

მოლაშქრეები ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდნენ, კუთხეებში დაკიდებულ ფულაბებში შესაწირს — ვერცხლის უზალთუნებს ჰყრიდნენ, სამ-სამ სანთელს ყიდულობდნენ, საქართველოს, მეფესა და ოჯახს უნთებდნენ და ახალ-ახალ ნაკადს უთმობდნენ ადგილს.

ბოლო ჯგუფიდან ერთი, ვერცხლისწყალივით დაუდეგარი, გრუზათმიანი თუში თვალებს უცნაურად ატრიალებდა, მზერას მაცხოვრის ხატიდან ყოვლადწმინდაზე გადაიტანდა, შემდეგ იოანე ნათლისმცემელსა და წმინდა გიორგის შეხედავდა, მერე — მოძღვართ-მოძღვარს, წარამარა პირჯვარს ისახავდა, თავს აკანტურებდა და ჩურჩულით, მამაოს, მნათესა და დიაკვანს ყური რომ არ მოეკრათ, ლაშარს ავედრებდა სამშობლოს, კახთა მეპატრონესა და ჯალაბს.

როცა წირვას მორჩნენ და გარეთ გამოსვლა დააპირეს, მოძღვართ-მოძღვარი აჩქარდა, გრუზათმიან თუშს დაეწია, მხარზე ხელი დაადო, განზე გაიხმო და უთხრა:

— ეჰ, ჩემო თექიანო, შენ შეიძლება არც ტყუოდე... ვინ იცის, ლაშარი უფრო ახლობელი, მშობლიური და მშველელი იყოს ჩვენი, ვიდრე გადამთიელი იესო ქრისტე, ცას და ქვეყანას რომ დაპატრონებია და ქართველი ერის ურვა და ტანჯვა გულთან არა თუ ვერ მიუტანია...

მერე ხელი გაუშვა, პირჯვარი გადასახა, თავადაც გადაისახა, ტუჩზე თითი მიიდო და სენაკისაკენ გაუტია.

თუში სახტად დარჩა, მაგრამ მალე გამოერკვა. მამაო მოატრიალა, თავი დაუკრა, თვალი ჩაუკრა, განშორდა და თავისიანებს შეუერთდა.

მიტრაზე ამოკვეთილ, გაფითრებულ ქრისტეს თვალები გადმოეკარკლა და ის-ის იყო გადმოუცვივდებოდა...

* * *

ერთი ბუნა წროფელი გზით იარეს, მერე — მიტეხილ-მოტეხილით. შემდეგ აღმართს აჰყვნენ, თეთრი წყლები უკან

მოიტოვეს და გომბორს შეუტიეს.

მთის გადასასვლელზე მცოცავი ქანი დაცურებულიყო, მასზე გამავალი გზა, გზაზე მყოფი ჩარდახიანი ურემი და ურემზე მსხდომი მგზავრები ხევში ჩაეტანა.

ჭალებდალეწილი და დანდალებდამსხვრეული ურემი აქეთ ეგდო, დაფლეთილი ჩარდახი — იქით.

ხარები ნაპრალებში ჩაფლულიყვნენ და საცოდავად ზმუოდნენ.

მოხუცი — ქუდმოხდილი, ზორბა თავადი ტალახში ამოგანგლულიყო, მისგან თხუთმეტი-ოცი ადლის მანძილზე, ქვევით, ხევის ფსკერზე, მაღალი, ნაცრისფერი ბუხრის ქუდი კრავივით გაგორებულიყო.

თავგზააბნეული მეურმე აქეთ-იქით დარბოდა, დაბორიალებდა და არაფერი გამოდიოდა.

ჩიხტი-კოპით მოკაზმული ბანოვანი, ქმრიდან მოშორებით ხელებს უმწეოდ ასავსავებდა და მკივანა ხმით თავისი ქალიშვილის — მზეხათუნას ამბავს კითხულობდა.

შორიახლო ანგელოზივით ახალგაზრდა ასული ცალ მუხლზე დაჩოქილიყო; მეორე, სისხლით გათხვრილ და გადახეთქილ მუხლისთავს მერდინით იხვევდა და... ვერ იხვევდა!

თუშები ფიცხლავ დატრიალდნენ, ზოგნი თავადს მიეშველნენ, ზოგნი ბანოვანს მიეახლნენ, მთელი ჯგუფი ყმაწვილკაცებისა კიდევ ქალიშვილს შემოეხვია.

მზეხათუნა და მისი დედ-მამა ციმციმ აიტაცეს და კორდზე აიყვანეს.

— როგორ ხართ, თუშებო, როგორ? — იკითხა თავადმა.

— კარგად, მთისა და ბარის წყალობით, არა გვიშავს რა.

— საით გაგიწევიათ?

— მეფემ მიგვიხმო.

— ჰეი გიდი, რა დროს მიყელა სიბერემ, ცუდ ყოფაში ვართ, ცუდ ყოფაში...

— მიტომაც მიგვიჩქარია.

— ვიცი, შვილებო, ვიცი თუშების ამბავი, მე და თქვენს მამა-პაპებს ხშირად გვიომნია ერთად, დარწმუნებული ვარ, ჯავრსა არ გვაჭმევთ მტრისასა...

— მამულს თუ რამეში წავადგებით...

...ნაწილმა ხარები ამორეკა, ნაწილმა ურემი და ჩარდახი ამოიტანა და მათ შეკეთებასა და შეკოწიწებას შეუდგა.

ერთი ყმაწვილი მუხლს უხვევდა თავადის ასულს.

იგი თაფლათვალებიანი ახოვანი, მხარბეჭიანი და წელში გამოყვანილი გახლდათ. და რამდენადაც მამაცი და ქედმოუხრელი იყო თავის ტოლებში, იმდენად უმწეო და უსუსური აღმოჩნდა ნაზი და ნარნარი მზეხათუნას პირისპირ დარჩენილი.

ყმა ხან ასე მიუფენდა სახვევს მუხლს, ხან ისე. ცახცახებდა, კანკალებდა, მზეხათუნას ტანზე ამოსხეპილი დიბასტავრა თუ კიდევ რაღაც დოზანა უშლიდა ხელს, თავის თავზე ბრაზობდა და საქმეს თავს ვერ აბამდა.

თავადი თავის ქალიშვილის უკან მხართეძოზე წამოწოლილიყო, ყრუდ გმინავდა, თვალს არ აშორებდა ყმაწვილს და თოვლივით თეთრ ულვაშებს ღიმილი უთელავდა. მოხუცმა ჩაიბუხუნა, მხარბეჭიანი თუშის ყურადღება მიიპყრო, ხმლის ვადაზე ხელი დაიდო, მერე ენერგიულად ჩაიქნია და ანიშნა — სატევარი იშიშვლე და კაბა ჩაუჭერიო.

ყმაწვილმა ქარქაშიდან ხანჯალი ამოიღო, მაგრამ შეყოყმანდა, შუბლი ოფლმა დაუცვარა და ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ქალიშვილმა დამფრთხალი თვალები მიაპყრო ყმაწვილს და სათქმელი თუ წამოსაძახებელი სიტყვა ყელში გაეჩხირა.

— მოუქნიე, ვექო! — ახლა ხმამაღლა შესძახა თავადმა და დათელილი ულვაშები კვლავ გაეშალა.

ფოლადი მზეზე აელვარდა...

— ვაიმე! — წამოიძახა მზეხათუნამ.

— უიმე! — შეჰკივლა ბანოვანმა.

ნატიფი და ბროლ-ბადახშისფერი მუხლისთავები და ბარძაყის შეყოლება

რომ დაეფარა, მზეხათუნა ორად გაჭრილ კაბის კალთებსა და ხელებს იშველიებდა.

ჭაბუკს ჯერ ცეცხლი წაეკიდა, მერე თავს ძალა დაატანა, და, როგორც იქნა, მუხლისთავი შეუხვია.

მერე ისე, რომ გარეშე თვალს არ დაენახა, სახვევის ნახევი აიღო, ქუდი მოიხადა, ყალამა გადაუწია და სასოებით, როგორც ძვირფასი თილისმა, შიგ ჩადო.

ამასობაში ურემი შეაკეთეს, შეკოწიწებული ჩარდახი დაადგეს, მეურმეს ხარების შებმაში შეეშველნენ და თავადი და ბანოვანი დასხეს. მერე ყმაწვილმა ფეხგაშეშებული მზეხათუნა აიტაცა, ურემზე ფაქიზად დასვა, გაიქცა, ცხენს დაგორგალებული ნაბადი და არყით სავსე ტიკი მოხადა, იდაყვით გადაწმინდა და ქალიშვილს ტიკი სახსარქვეშ ამოუდო, ხოლო ქუსლქვეშ ნაბადი მიუმარჯვა.

— ნუ ირჯები შვილო, ნაბადი და ტიკი წაიღე, — უთხრა ბანოვანმა ყმაწვილს და ასულს ბეჭებზე მოეხვია.

— არა, ქალბატონო, აბა ეგეები რა არის... — უპასუხა და გუნებაში გაიფიქრა: „ეს კი არადა, რომ შეიძლებოდეს გულსაც ფეხქვეშ გავუგორებდი“.

— არაყი კიდევ ჰო, შვილო. ფათერაკის მეტი რა მოაქვს, მაგრამ უნაბდოდ მეომარი როგორ იქნები?

— ისე როგორ წავხდები, ერთ ყიზილბაშურ ნაბადს მომხურავს ვერ მოვუკლავ!. — ჩაილაპარაკა ყმაწვილმა და თვალი მზეხათუნასაკენ გააპარა.

მზეხათუნას სახე ჩაემალა მაქმანში და ხმაგაკმენდილი იჯდა.

თავადისათვის ღიმილს კვლავ შეეთელა თოვლივით თეთრი ულვაშები.

— გმადლობთ, თუშებო, გმადლობთ! — თქვა და ქუდი მოიხადა მოხუცმა.

— თქვენ დაუბრუნდით თქვენს ცოლ-შვილს და დედ-მამას სალ-სალამათნი, — ხელებს შლიდა, ზეცას შეჰყურებდა და ილოცებოდა ბანოვანი.

მზეხათუნას თავი ჩაეღუნა და კვლავ დუმდა.

თუშებმაც, თავის წილ, ქუდები მოიხადეს და კეთილი მგზავრობა უსურვეს თავადს, მის მეუღლესა და მათ ასულს.

ურემი აღმოსავლეთისაკენ დაეშვა, ლაშქარი — დასავლეთისაკენ.

უღელტეხილზე გულხელდაკრეფილი, ქუდმოხდილი, ახოვანი ჭაბუკი სალთად იდგა და მონუსხული მიჩერებოდა თავქვემიმავალ ურმებს.

მზე ზენიტში ასულიყო და ულვთოდ აცხუნებდა, ქარი ქროდა და ქოჩორს უწეწავდა.

უცებ ურემზე მზეხათუნა შემობრუნდა, ყმაწვილს ამოხედა, გაუღიმა, ზეწარზე ხელი გადმოწია, მუჰი გაშალა და, უჩუმრად, ოქროსფერი ზარბაბის ცხვირსახოცი მოიქნია მწვანეზე.

მეომარი შეხტა, ჩაირბინა, ცხვირსახოცი აიტაცა, გულში ჩაიკრა, ცხენთან ამობრუნდა, გადაევლო, ყალყზე დააყენა და ქართლისაკენ დაათოხა.

— რა რჯის ამ ხალხს, თუ არა თავის სამშობლოს, საქართველოს, უანგარო სიყვარული? რომ თქვათ სარწმუნოებაო, ქრისტეს რჯული არ ახატიათ მაინცდამაინც გულზე, თავის კერპებსა და ხატებს ვერა და ვერ შეელიენ. მერე კიდევ რა სუფთად და სათუთად შემოინახეს ჩვენი სათაყვანებელი ენა და ჩვენი კაცის იერი?.. რა წამს თუშებს დავინახავ და იმ ჭიუხებს, ხევებსა და ხიფათიან ბილიკებს გავიხსენებ, საიდანაც ისინი კახეთში გადმოდიან, ყველა მათგანს მინდა მივეახლო, მოვეხვიო და მხურვალედ მივულოცო, რომ ცოცხალია და უვნებელი...

სახეგაბადრული მზეხათუნა დაძაბული უსმენდა მამას.

ბანოვანი გაფაციცებით შესცქეროდა ქმარს და რატომღაც ნიკაპზე ცრემლი ენასკვებოდა.

ურემი ნელა-ნელა და ჭრიალ-ჭრიალით მიგორავდა.

* * *

მაცნე ბანაკში შევიდა და მეფის ქეშიკებს თუშების მოსვლა მოახსენა. მცირე ხნის შემდეგ მხცოვანი მეფე უჩვეულო კოჭლობით, აწითლებული, უძინარი თვალების სრესით გამოეგება მეომრებს.

მოლაშქრეებმა ქუდები მოიხადეს და თაყვანი სცეს მეფეს.

— გაგიმარჯოთ, ჩემო თუშებო, დამჭირდა თქვენი თავი.

— აკი გეახელით, მეფევ ბატონო!

— ურჯულოები შემოგვესივნენ, მათი ლაშქარი დაუთვლელია, მადა — გაუმაძღარი, ჩვენ კი რანი და რამდენი ვართ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩემო შვილებო!

—შევერკინებით, მეფევ ბატონო!

— ბრძოლა ფიცხელი იქნება, თითო კაცზე ათი ურჯულო მაინც მოვა.

— მადლობა უფალს, მეფევ ბატონო, ეს ხომ პირველი არ არის !

ეროვნული

— ეხ, ბარემ რომ არ არის, ღმერთმა ჰქნას უკანასკნელი იყოს, ჩვენმა მომავალმა მაინც მოისვენოს ამ ომებისა და სისხლის ღვრისაგან... ახლა კი დაისვენეთ, ჩემო შვილებო, მერე ფიცი მიიღეთ და ხვალ დილაბნელზე მტერს შევუტიოთ.

თუშებმა ერთმანეთს გადახედეს, მხრები აიჩეჩეს, თვალი გაუფართოვდათ. მათ თაფლათვალებიანი, ახოვანი, მხარბეჭიანი ყმა გამოეყო და მეფეს შეჰკადრა:

— შენ მტერი მიგვანიშნე, მეფევ ბატონო, ფიცი რა მოსატანია... ჩვენ ხომ სამშობლოს სიყვარული აკვანშივე დაგვაკვება ღმერთმა დედის რძის სატანად!

* * *

და დაფიონზე დაჰკრეს დაფს, დაფდაფს, ბუკსა და ნაღარას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დავით ასკურავა

* * *

გამხსენდება ლეგენდა ძველი,
სულის მშფოთვარე ფიქრთა აღმძვრელი,
რომელი იყო თქვენ ორში სწორი,
თავად უფალი, თუ უფლის სწორი?
ხშირად ეს კითხვა მესმის ღამითვე:
უფროსე დიდი სიკეთის მთესი —
შენ იყავი, თუ დიდო პრომეთევ,
ის, გულგოროზი, ზვიადი ზევსი?
რამ წაახდინა ღმერთი იმგვარად,
გადაემალა საუნჯე დიდი,
ან შენ რა გულით აღსდექი პირვად,
ნუთუ არ გქონდა კრძალვა და რიდი?

იმან აწონა ცეცხლი და კაცი,
ჰოდა, როდესაც კარგად განსჭვრიტა,
გამოიტანა სასჯელი მკაცრი:
არ მიეცესო! — თქვა, გადაწყვიტა.
გულმშვიდი განსჯა, დამერწმუნები,
ჭეშმარიტებას არ აშიანებს,
მინდა მოგემხრო, მაგრამ რას მეტყვი —
ზევსი არ სცნობდა ადამიანებს?!
რა მოსაზრებით, ო, მინდა ჩავწვდე,
გაბედე, ხელჰყავ, განსჯილის განსჯა?
იქნებ, მართალიც იყავ ცათამდე,
თუმც არ აგცილდა, უფლისგან დასჯა.

* * *

ამბობენ, თითქოს ტრანსპლანტაცი
თვალის, გულის და ფილტვის,
ახალი იყოს ხელოვანება
მეცნიერული რიტმის;
ბერნარი, კიდევ ვიღაც-ვიღაცა
პირველობისკენ ილტვის...

ასე რომ იყოს, — იბერიელი
ვინ გადანერგა ბასკეთს?
სადღაც, აფრიკის უდაბნოებში,
რაღა უნდოდა ქართველს?

გოგო-ბიჭები მარაგ ნაწილად
სად გაუცვლიათ ვალში?
გადაყიდულა კუნთი ოქროზე,
თვალმარგალიტი — თვალში?

რად სჭირდებოდა ქართველი კაცი
ხალიფს, ხელმწიფეს, ხონთქარს,
გადაენერგოთო ფერეიდანში,
მთელი კახეთი! — რომ თქვა!

ჰყიდდნენ ბაგეებს, ღაწვებს, ყველაფერს,
მზეთუნახავთა რემას,
ნაკვთებად დაჭრეს ერი, მამული,
ვერარა უყვეს ენას...

ვინა თქვა, თითქოს ტრანსპლანტაცია
სამეცნიერო ცნება,
იყოს ახალი აღმოჩენილი,
ახალი ხელოვნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ის, ჩვენ რაც ვნახეთ და რაც გავიგეთ,
სულ ახალი, თუ ძველი მითები,
იმას დაჩრდილავს, როგორც ბალახს ხე,
საოცრებათა ლაბირინთები.

შენ, ხვალინდელი დღეის თაობავ,
მე არ მასვენებს იქვი, ფიქრები,
გალაქტიკაში გზებს რომ დაღობავ,
მიწიერებით სავსე იქნები?..

* * *

გვალვისას, ტაროსი როცა შეიცვლება —
ყალყზე რომ დგებიან ზვირთები —
თქვენი მშურს, ღრუბლებო,
ჩრდილად, ან საწვიმრად,
რადგან თქვენც, ვიღაცებს სჭირდებით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ კობიძე

# გვიმრის ფოთლები

რომანი

x x x

ორი დღის შემდეგ, ვალერიან მექვაბიშვილმა დღის თორმეტი საათისათვის ყველა ეჭვმიტანილი ერთად დაიბარა. დაიცადა, სანამ კაბინეტში ყველანი შემოვიდოდნენ — ისევ სახეაჭარხლებული და გაოფლიანებული ბესარიონ მაგრაქველიძეც, ქვეშ-ქვეშ მომზირალი, შუბლზე ძარღვდაბერილი თაზო ბულესკირიაც, ამპარტავნულად, სარკასტულად და თავდაჯერებულად მომღიმარე მირზა ჭირაქაძეც და ყველაფრისადმი გულგრილი, ყველაფერზე ხელჩაქნეული თენგიზ ჯაველიძეც. არც ერთი მათგანისათვის, დაჯდომა არ შეუთავაზებია. არც თვითონ დამჯდარა. თავის მაგიდასთან იდგა და გამომძიებლის მშვიდი, შეუვალი კილოთი გამოუცხადა:

— გთხოვთ, დაიხსომოთ და კარგად გაითვალისწინოთ, რასაც გეტყვით. არც ერთ თქვენთაგანს მე ჯერ ბრალს არა ვდებ ანზორ კუპატაძის მკვლელობაში. ვიმეორებ: ჯერჯერობით არც ერთ თქვენთაგანს მე ბრალს არა ვდებ, მაგრამ გაფრთხილებთ — ყველას ერთად და ყოველ თქვენთაგანს, ცალ-ცალკე: მკვლელისათვის ხელის დაფარება და განუცხადებლობა ისჯება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 205 და 206 მუხლებით. და ისჯება ძალიან სერიოზულად: რამდენიმე წლის პატიმრობით. ეს გაითვალისწინეთ და მომავალში უფრო გულახდილად მოიქეცით, აი, ყველაფერი, რისი თქმაც დღეს მინდოდა. ახლა კი ნახვამდის!

ვალერიან მექვაბიშვილი თავის მაგიდასთან იდგა და თვალყურს ადევნებდა, როგორ მიძვრებოდნენ საქციელწამხდარი, დაბნეული გამოძახებულნი. აშკარა იყო, რომ არც ერთმა მათგანმა აქამდე სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლების არსებობა არ იცოდა.

ორშაბათს მექვაბიშვილმა შარაშენიძეს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა და პოლკოვნიკისაგან რამდენიმე მწარე, აგდებული კილოთი ნათქვამი შენიშვნა მოისმინა. შარაშენიძე ისევ თავისას ამბობდა, მანდ საქმე ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვსო. მექვაბიშვილი არ შეჰკამათებია. მერე გამოვიდა და რაკი იცოდა, რომ ნათია ავალიშვილი ჯერ გამოჯანმრთელებული არ იყო, სხვა, ვიღაც გამფლანგველების საქმის შესწავლას შეუდგა.

---

დასასრული. იხ. „მნათობი“ № 11.

## თავი XXI

ნომალი დიხამინჯიამ თავის ნაცნობ ნევროპათალოგს, ავთანდილ კუხიანიძეს, გულახდილად და დაწვრილებით უამბო, რაც კი ნათიას ავადმყოფობისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ იცოდა. ექიმმა ნათია გულდასმით გასინჯა და ნომალი დაამშვიდა, საშიში სრულიად არაფერია და ყველაფერი ძალიან მალე გაივლის, ოღონდ იმ საქმეზე ჯერ-ჯერობით მაინც ნუ დაელაპარაკებით.

— მე არც ვაპირებ.

— მით უკეთესი. მშვიდად და მოსვენებით იყოს. ოღონდ თუ იმ საქმეზე, შენთან, ან სხვა ვინმესთან ლაპარაკი თითონვე მოინდომოს, მოუსმინე. ეს გულს შეუმსუბუქებს. კაცნი ვართ, იქნებ, სრულიად შემთხვევით ისეთი რამე იცის, რომ ძალიან აწუხებს და იქნება კი ჯერჯერობით რატომღაც ვერ გაუბედნია.

— ისეთი რა უნდა იცოდეს?

— მაგისი რა მოგახსენო... შენ თვითონ იმ ბიჭებს იცნობ?

— შორიდან.

— ძალიან საშიში ხალხია?

— რა ვიცი... არა მგონია...

— იქნებ, იმათი ეშინია?

— ვის? ნათიას? რატომ?

— რა ვიცი... ჰმ! კარგი. მოვიცადოთ. ერთი სიტყვით, მყუდროება და სიმშვიდე. მერე კი ვნახოთ. გამომძიებელს შენთვის ისეთი ხომ არაფერი უთქვამს?

— გამომძიებელი მას მერე აღარც მინახავს.

— აღარც იმას მოუკითხიხართ?

— არა.

— ჰოდა, ალბათ, ისეთიც არაფერია. აბა, ჯერჯერობით! მეტი იძინოს. თუ უნდა, იკითხოს, გაერთოს, ტელევიზორს უყუროს. თუ ისურვებს, რა თქმა უნდა. მე ისევ შემოგივლით.

ნომალიმ კუხიანიძე სადარბაზოს კარებამდე გააცილა და შემობრუნდა. პლატონი ის-ის იყო სამსახურიდან დაბრუნებულიყო და დიდი ხანია შვილს მოუთმენლად ელოდებოდა.

— რაო?

— არაფერი, გაუვლისო

— ნომალი, რატომ არ გინდა, მე რომ იმ მექვაბიშვილთან მივიდე? მე მთელს ამ თბილისში...

— იმიტომ, რომ საჭირო არ არის.

— აბა, ასე ვისხდეთ?

— ექიმმა თქვა, მოვიცადოთ და გაუვლისო

— ახლა, ჩვენ საქმე მარტო ექიმთან ხომ არა გვაქვს! საქმე ჩვენ ახლა პროკურატურასთან გვაქვს. აბა, ეს რომ გაუვლის, მე ეგ უექიმოდაც ვიცი.

— მამაშენს აღარაფერი გინდა დაუჯერო? — ჩაერია სამზარეულოდან გამოსული, სახელოებდაკაპიწებული კესარია. მისი ოთახში შემოსვლა, ვერც პლატონმა შენიშნა და ვერც ნომალიმ.

— დედა, მაცალეთ! ყველაფერს მე მოვუვლი. და ნუ ხმაურობთ. ექიმმა თქვა, მყუდროება და სიმშვიდეო.

პლატონმა და კესარიამ ერთმანეთს გადახედეს. პლატონმა ამოიხვნეშა, თავი ჩაჰკიდა და სააბაზანოსკენ წავიდა. კესარია სამზარეულოში შებრუნდა.

ნომალი ატყობდა, რომ დედამისს, სულის სიღრმეში მთელი ეს ამბავი მაინცდამაინც, არ სწყინდა და თითქოს ქმარსა და შვილს, ხმაამოუღებლად ნიშნსაც უგებდა, აი, ესეც თქვენი ნაქები ნათია, ვიღაც მკვლელების ბანდასთან საქმე ჰქონია და თქვენ კი, ამ ჩემს პატიოსან ოჯახში გამიდედოფლეთო. მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ვერ ბედავდა და ნომალიც ცდილობდა დედამისისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცია. პლატონი კი გულწრფელად იყო შეშფოთებული. მას ნათია მართლაც ძალიან უყვარდა, ემაყებოდა და „იმ ნაძირალა კაცისმკვლელებთან", მართლაც, რაიმე საერთო რომ აღმოჩენოდა, ალბათ იმასაც აპატიებდა.

ნომალიმ ფრთხილად შეიხედა ოთახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ნათია გულაღმა, თვალებდახუჭული, გაუნძრევლად იწვა და, იქნებ, კიდეც ეძინა, ნომალიმ კარი ფრთხილად მოიხურა და სააბაზანოში შევიდა. პლატონს პერანგი გაეხადა და ხელ-პირს ხმაურით იბანდა.

— მე მართლა გეუბნები, გამომძიებელთან მისვლა საჭირო არ არის. — გაუმეორა ნომალიმ მამას.

— მაგას რა სჯობია, მაგრამ... მერე დაგვიანებული რომ დაგრჩეს?

— არაფერი არ იქნება.

— შვილო, არ გეწყინოს და, ცხოვრებას შენ ჯერ არ იცნობ.

— ცხოვრებასთან მე არაფერი მესაქმება! მარტო ერთსა გთხოვ, უჩემოდ ფეხი არსად გადადგა და არავისთან მიხვიდე.

— ბატონი ბრძანდები! — პლატონი წელში გაიმართა და კაუჭზე ჩამოკიდებულ პირსახოცს მისწვდა.

— ვაცალოთ. ნათია მე არაფერს დამიმალავს!

— ღმერთმა გისმინოს! ნათიამ ჩვენ თუ რაიმე დაგვიმალა და — მე მართლაც აღარაფერი მცოდნია, არც ამ ქვეყნისა და არც ხალხის.

— დაწყნარდი. ახლა წავიდეთ — და ვისადილოთ.

სადილობისას ნათიაზე კი არა, საერთოდ არაფერზე კრინტი არ დაუძრავთ. ოღონდ ეს იყო, კესარია ხანდახან ხმადაბლა ამოიოხრებდა. მას ყურადღებას არც ქმარი აქცევდა დ არც შვილი. როცა უკვე დგებოდნენ, პლატონმა ხმადაბლა იკითხა:

— დედამისს აღარ შევატყობინოთ?

— ეგ კი აღარ ვიცი. — ფიქრიანად უპასუხა ნომალიმ, — ვერაფერი გადამიწყვეტია.

— მე მგონია, უნდა შევატყობინოთ. რას ჰქვია!... ერთადერთი ქალიშვილი ასეთ დღეშია და... უარესისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ... არა, უნდა შევატყობინოთ, ოღონდ...

— ოღონდ რა? თქვი, მამა, და გაათავე!

— ცოტა კიდევ ხომ არ მოვცადოთ, ა? ადამიანის ტყუილად შეშინება... რა იცი, რომ ის ამაზე უარესი არაა?

— ჰოდა, მოვიცადოთ. ნათიამ კი იძინოს. მაგისთვის ახლა ძილი ყველაფერს სჯობია.

ნათიას კი არ ეძინა. არც წეღან სძინებია. თვალდახუჭული იწვა და უბრალოდ ვერ შეამჩნია, ნომალიმ კარი რომ შეაღო. ახლა კი ნომალის ღმობიერი, მაგრამ დაღლილი მზერა შეაგება და ხელის სუსტი მოძრაობით ანიშნა, მოდი და ლოგინზე ჩამომიჯექი.

ნომალი ჩამოჯდა და ხელი გამოართვა. ნათიას მაჯა გრილი და ოდნავ ოფლიანი ჰქონდა.

— არ გშია?

— არა.

— გეძინა?

— არა.

— მე წეღან შემოვიხედე.

— არ გამიგია.

— თვალები დახუჭული გქონდა.

— დედაჩემმა იცის?

— არა.

— ჯერ ნურც ეტყვით.

—როგორც გინდა. საშიში არაფერი გჭირს. კუხიანიძემ თქვა, მეტი იძინოს და მოისვენოსო. წამალი არც კი გამოუწერია. ისე, კიდევ შემოივლის.

— ამასობაში... — ნათიამ სუსტად გაიღიმა, — სამსახურს დამაკარგვინებენ.

— ვინ, რატომ?

— ინსტიტუტში... მტრები მყავს... ვიღაც ფრიადოსანი, ვიღაც კადრების გამგე... რა ვიცი...

— მაგისთანეებზე ნურც ფიქრობ. ვერავინ ვერაფერს გაგიბედავს. პროკურატურაში ვინ არ გამოუძახნიათ!..

ნათიამ ღრმად ამოისუნთქა. თვალები ნელა, ძალიან ნელა მილულა. ერთხანს ასე იწვა და თითქოს აღარც კი სუნთქავდა. მისი ხელი გაუნძრევლად იდო ნომალის მაჯაზე, მერე თვალები გაახილა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ლაპარაკი მინდა.

— მერე, მელაპარაკე.

— არ შემიძლია.

— მაშინ დაისვენე. მერე ვილაპარაკოთ.

— იქ კიდევ დამიძახებენ?

— არა მგონია.

— არა... ალბათ დამიძახებენ.

— მერე რა? დაგიძახონ. მეც წამოგყვები. საშიში მანდ არაფერია.

— ჰმ! — ნათიას ტუჩებზე რაღაც ღიმილის მსგავსი აღიბეჭდა.

— რას იცინი? — ნომალიმ ხელი შუბლზე დაადო.

— არაფერს. იქნებ დავიძინო... ა, ნომალი?

— მაგას რაღა აჯობებს.

ნომალი ფრთხილად წამოდგა და ტახტზე გადაჯდა. ნათიამ თვალები ისევ დახუჭა.

მაგრამ დაძინებით, მაინც არ დასძინებია. ან რა დააძინებდა? ტვინს საშინელი ფიქრი უბურღავდა. მაშინაც, მექვაბიშვილის კაბინეტში, გული ამიტომ შეუწუხდა. წარმოიდგინა, რომ ანზორ კუპატაძე მისდამი, ნათიასადმი ერთგულებისათვის მოჰკლეს. ყველანი კარგად ჰხედავდნენ, ის უბედური ბიჭი ნათიას როგორ აღმერთებდა და ალბათ დააბრალეს, ნათიას შენ შეატყობინე, მოტაცებას რომ ვუპირებდითო... იქნებ, ის ანონიმური წერილიც იმასვე დააბრალეს...

— ვაიმე!

ცივი ხმით ანაზდეულმა შეკივლებამ, ნომალი ტახტიდან წამოაგდო. ნათია საწოლში წამომჯდარიყო, აკანკალებულ ხელებს გვერდზე იფათურებდა და თვალებს შეშლილივით აბრიალებდა.

— ნომალი... მიშველე! — და ნათიას ისევ გული წაუვიდა.

## თავი XXII

თეიმურაზ არჯევანიძის უბანზე, საქმეები ჩვეულებრივად მიდიოდა. არჯევანიძე ზუსტად იცავდა შახტისა და ტრესტის ტექნიკურ განყოფილებებში დამუშავებულ, საექსპლოატაციო სამუშაოთა პასპორტებს, გრაფიკის მიხედვით აწარმოებდა მოსამზადებელ სამუშაოებს, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა უსაფრთხოების საკითხებისადმი...

უბანზე სწორედ ისეთი ვითარება შეიქმნა, როგორიც ყოველი ნამდვილი მეშახტისათვისაა სანატრელი. არსად არ მიეჩქარებოდათ და არსად არ აგვიანებდნენ. თავისი საქმე ყველამ იცოდა და თავის მოვალეობებს ყველა პირნათლად ასრულებდა. მოულოდნელი შეფერხებები თუ მცირე ავარიები, რომლებიც შახტებში მუდამ ხდება, — რომელიმე მოტორის მწყობრიდან გამოსვლა, კონვეიერის ჯაჭვის გაწყვეტა, ჭერის გაზზარვა და „თაღის წარმოქმნა", თუ წყლის მოულოდნელი გამოჟონვა — მუდამ საერთო ძალებით, ერთსულოვნად სწორდებოდა. შემთხვევა არ ყოფილა, რომ მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი დაბრკოლებების გადალახვაში მონაწილეობის მიღებაზე, ვინმეს უარი ეთქვას, აქაოდა, ეგ მე დღევანდელ დავალებაში არ მიწერია და მაგ სამუშაოს არც ამინაზღაურებენო. უბანი უპირატესად გამოცდილი, ბევრის მნახველი მეშახტეებით იყო დაკომპლექტებული. ერთ მტკიცე კოლექტივად ისინი ჯერ კიდევ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილმა შეადუღაბა. ერთმანეთის დახმარებასა და გატანაში ბადალი არ ჰყავდათ.

თეიმურაზ არჯევანიძეს საიმედოდ ედგნენ მხარში გერასიმე ცნობილაძე, არქიფო ცალუღლიშვილი, დიანოს გოლეთიანი, — სწორედ ის ოდნავ ტლანქი, მაგრამ პატიოსანი მეშახტე, რომლის მიზეზითაც თავის დროზე ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მოხსნეს, — და ყველა ის ხანდაზმული თუ ახალგაზრდა მეშახტე, ვინც თბილისიდან ჩამოსულ ინჟინერს, თავიდანვე კეთილი თვალით შეხედა. უბანზე საერთო გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობილებას სწორედ ეს მეშახტეები ჰქმნიდნენ.

ერთი შეხედვით, უბანზე არამც თუ საგანგაშო, არამედ უბრალოდ შესაშფოთებელიც კი არაფერი ხდებოდა.

მაგრამ უბანზე მაინც იყო ერთი ადამიანი, რომელმაც არ იქნა და რაღაც აუხსნელი მოუსვენრობის, მოსალოდნელი ხიფათისა და დიდი უბედურების გრძნობას ვერასგზით თავი ვერ დააღწია. ეს ადამიანი თვითონ თეიმურაზ არჯევანიძე გახლდათ. დრო მიდიოდა, თეიმურაზი კი წარბგახსნილი და გულიანად გაცინებული არავის უნახავს.

ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

თეიმურაზს ჯერ იორამ ნოსელიძის უაზრო დაღუპვა ვერ მოენელებინა, რომ გოგოლა ხომასურიძის მოულოდნელმა გათხოვებამ ახალი დარდი გაუჩინა. გამუდმებით ასე ეჩვენებოდა, ის წვრილმანი და ბოროტი გერონტი ჩაფიჩაძე ცოლს ეჭვიანობის ნიადაგზე, ალბათ, ცემითა და წამებით სულსა ხდის, მე კი იმ ქალს ვერაფრით მივშველებივარო. ახალგაზრდა ინჟინერს იოტისოდენა ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ გოგოლა ხომასურიძემ ამოდენა მსხვერპლი — მობეზრებულ, შეზიზღებულ კაცთან შეუღლება, სწორედ მისი, თეიმურაზის გულისათვის გაიღო, უნდოდა, ჩაფიჩაძის სიძულვილსა და მტრობას თეიმურაზისადმი ბოლო მოღებოდა და ქმრის მხრივ წამებასა და დამცირებასაც ამიტომვე იტანდა. თეიმურაზს კი არ შეეძლო ჩარეულიყო და ახალგაზრდა ქალის ხვედრი როგორმე შეემსუბუქებინა. თეიმურაზმა იცოდა, რომ მისი მხრივ ყოველგვარი ჩარევა უსაქმო ხალხს ჭორიკანაობის საბაბს მისცემდა, ხოლო ჩაფიჩაძეს, საკუთარი, თითქოს ნაძალადევად შერთული ცოლისადმი სიძულვილს გაუათკეცებდა.

სწორედ ეს იყო ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ თეიმურაზს გაღიმებულს იშვიათად თუ ნახავდნენ. ამ ქალაქში ჯერ არც კი ჩამოვსულვარო. ფიქრობდა ახალგაზრდა ინჟინერი და ერთი კაცის სიცოცხლე უკვე შევიწირე, მეორეს კი ცხოვრება გავუმწარეო.

თეიმურაზს საფიქრალი, საზრუნავი და დასაღონებელი არც უბანზე აკლდა. იგი მშვენივრად ხედავდა, თუ რამდენ ზედმეტ სამუშაოსა და საზრუნავს ეზიდებოდნენ თავისი ბებერი მხრებით, იგივე გერასიმე ცნობილაძე, არქიფო ცალუღლიშვილი და სხვები, ოღონდ კი თეიმურაზისათვის უბნის ხელმძღვანელობა გაეადვილებინათ. თეიმურაზს ეს ბერიკაცები ხშირად უნახავს მიწისქვეშეთში მაშინ, როცა კანონით ისინი სახლში, მოსვენებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ერთი სიტყვით, ისინიც იმასვე იმეორებდნენ, რაც იმ ბედშავმა იორამმა ჩაიდინა. არა, უბანზე ყოფნით ორივეს დიდი სარგებლობა მოჰქონდა. იორამისთანა წინდაუხედაობას ესენი არასოდეს გამოიჩენდნენ. მაგრამ ასე სანამდე უნდა გაგრძელებულიყო? სანამდე უნდა ეზიდნათ ორმაგი და სამმაგი ტვირთი გერასიმეს, არქიფოს თუ სხვებს? თანაც საქმე მარტო ფიზიკურ შრომაში ხომ არ იყო, არამედ პასუხისმგებლობაშიც. კანონით არც გერასიმეს, არც არქიფოს და არც სხვებს, უბნის უფროსის ფუნქციებში შეჭრის უფლება არა ჰქონდათ, მაგრამ მათი რჩევა ხშირად რჩევაზე მეტი იყო და სწორედ უბნის უფროსის ფუნქციებში შეჭრას უდრიდა.

არადა, მოხუცი მეშახტეების ასეთი ჩარევა თეიმურაზის საქმეებში ხშირად პირდაპირ აუცილებელი ხდებოდა. თეიმურაზი უბანზე მუშაობას მთელი სულითა და გულით, მთელი თავისი ცოდნითა და მონდომებით ეკიდებოდა, მაგრამ არაიშვიათად, მაინც ცდებოდა. თავის შეცდომას, თუნდაც მეტად უმნიშვნელოს, მეტად მტკივნეულად განიცდიდა, უხერხულ მდგომარეობაშივარდებოდა და სასოწარკვეთილი, საქციელწამხდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ფიქრობდა ხოლმე, ის დღე რატომ არ დაიქცა, როცა სარდიონ რაჭველიშვილმა მე უბნის უფროსად დამნიშნა და მე ხმაამოუღებლად დავეთანხმე.

ასე მოხდა ამასწინათაც.

მეორე ცვლას საყელავი მანქანა უნდა გაეშვა და ცვლის ბოლომდე ქვედა სანგრევის შუაგულამდე გასულიყო. ეს ბარე სამას ტონა ქვანახშირს მისცემდათ. ცვლის დაწყებისას ქვედა ნაწილში, საკონვეიერო შტრეკიდან სულ ათიოდე მეტრის დაშორებით, ჭერზე კარგა გრძელი, თითქმის ერთ მეტრამდე სიგრძის ბზარი შეამჩნიეს. ბზარი კი არა, ნამდვილი ნაპრალი იყო. ადამიანის ხელი თავისუფლად შეეტეოდა. თეიმურაზი სანგრევში ცვლის დაწყებისთანავე მივიდა, ჭერი მოათვალიერა თუ არა, თვალში სწორედ ის ნაპრალი ეცა. გული შეუხტა. მყისვე გამომრთველს მივარდა და კონვეიერი გააჩერა. ზევით მაშინვე საყელავი მანქანაც გამორთეს. გულის წამღები ღრჭიალ-გუგუნისა და გრიალის ნაცვლად, სანგრევში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სიბნელიდან გამურული, გაოფლიანებული, გაკვირვებული მეშახტეები გამოძვრნენ.

— რა მოხდა?!

— ვერ ჰხედავთ?! — თეიმურაზმა ნათურა ჭერს მიუშვირა.

— მერე? — გულუბრყვილოდ იკითხა ვიღაცამ.

— როგორ თუ, მერე! ახლავე მებიგეებს გამოუძახეთ!

— მებიგეები აგერა ვართ, თეიმურაზ ბატონო! — სიბნელიდან სახეშემურული გერასიმე გამოძვრა. მას ფეხდაფეხ არქიფო ცალუღლიშვილი მოჰყვებოდა და თან წელზე ნათურის ქამარს რატომღაც ძალიან ძლიერად იჭერდა, ისე, როგორც ძალოსნებმა სიმძიმის აწევის წინ იციან ხოლმე.

— ამ ჭერს ჰხედავ, გერასიმე?

— ვხედავ, თეიმურაზ ბატონო!

— გერასიმე, შენ თითონვე რამდენჯერ გითქვამს, უაზრო რისკი არ გვჭირდებაო?

— უაზრო რისკი აქ არც არის, თეიმურაზ ბატონო. ეჰე, მანქანა უკვე სად არის. ეს იყოს ასე, ერთ ხანს პირდაღებული. ჯერ მანდ საშიში არაფერია. აფეთქების წინ გავამგარებთ და მეტიც აღარაფერი უნდა.

— და, რა ძალა გვადგას?

— საქმის აშლა არ გვინდა, თეიმურაზ ბატონო. რიტმიდან ამოვვარდებით. ახლა რომ აქ ბიგების შემოთრევა დავიწყოთ, კონვეიერი აღმა უნდა გავუშვათ და ყველაფერი შეფერხდება. მოკლე ბიგები, თვითონაც ჰხედავთ, მანდ არაფერს იზამს, ორმეტრნახევრიანები მაინც დასჭირდება.

— ბიგები ზევიდან რომ ჩამოვზიდოთ?

— ეჰ! მაგდენი ხალხი სადა გვყავს! და კიდეც რომ გვყავდეს, ჩამოზიდვას სამი-ოთხი საათი მოუნდება. სანამ ბრემსბერგზე ავლენ, მერე სანამ მოუხვევენ... არა, მაგას არავინ იყაბულებს და არც საჭიროა.

— და რომ ჩამოინგრეს?

— არ ჩამოინგრევა. მანდ სახიფათო არაფერია. თორემ ესეც ჩვენი გასამაგრებელია და ისიც.

— ბიგების ზევიდან ჩამოტანას რამდენი კაცი დაჭირდება?

— სამი-ოთხი კაცი აუვა. მაგრამ მაშინ საყელავს მთელი ცვლით გავაჩერებთ.

— ჰმ!..

— არ გვენდობი? — გერასიმემ თეიმურაზს ეშმაკურად გაუღიმა. ჩაიღიმეს სხვა მეშახტეებმაც.

თეიმურაზმა იგრძნო, რომ სახეზე სიწითლე მოერია. მთელს ტანზე თითქოს ჭიანჭველები შეესივნენო.

— არა, როგორ არ გენდობით, მაგრამ...

— ჰოდა, აბა, ამ ერთხელ, ჩვენებურად იყოს.

თითქოს, ისედაც მუდამ იმათებურად არ ჯდებოდა. თეიმურაზმა

ამოიხვნეშა, ხელი ჩაიქნია და ბიგების ძირში ჩაჯდა. გერასიმემ ვიღაცას ხელით რაღაც ანიშნა, იმ წამსვე კონვეიერი ჩართეს. ზევით ისევ აძიგძიგდა ქვანახშირის ფენას ფოლადის კბილებით ჩაფრენილი საყელავი მანქანა, მთელი სანგრევი — გრიალით, გუგუნით, ლითონის ღრჭიალით გაიტენა.

მთელი ცვლა ისე იმუშავეს, როგორც გერასიმეს ჰქონდა მოფიქრებული. ცვლის დამთავრებამდე, ბარე ოთხას ტონამდე ქვანახშირი გამოზიდეს. ხოლო თეიმურაზისათვის რომ დაეჯერებინათ, თითქმის მთელი ცვლა იმ გაბზარული ჭერის გამაგრებას მოუნდებოდა და მეტი, ალბათ, არაფერი გაკეთდებოდა.

ამ შემთხვევის გახსენებაზე, სიმწრისა და სირცხვილის ოფლი თეიმურაზს კიდევ დიდხანს დაასხამდა ხოლმე.

ზოგჯერ, მარტო რომ დარჩებოდა ხოლმე და ფიქრებს მიეცემოდა, თეიმურაზს კიდეც უკვირდა, რატომ მითმენენ და რატომ შახტის უფროსს არ მოსთხოვენ, ამ პირყვითელა ბარტყის მაგივრად ვინმე ღირსეული დაგვინიშნეო. მაგრამ თითონვე ხვდებოდა, რომ ამ საქმეებში ჩარევის უფლებას, სარდიონ რაჭველიშვილი არავის მისცემდა. შახტის უფროსს კი, ალბათ, თავისი მოსაზრებები ჰქონდა, როცა თეიმურაზი უბნის უფროსად დაინიშნა, და ის მოსაზრებები მას რაიკომის ბიუროს მკაცრმა დადგენილებამაც ვერ შეაცვლევინა. ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზს ასე ეგონა და იმის გაფიქრებასაც კი ვერ ბედავდა, რომ სარდიონთან მისულიყო და თანამდებობიდან განთავისუფლება ეთხოვა.

მაგრამ ყველაფერზე უფრო მას მაინც გრიშა ოდიბაშევის ქცევა ამწარებდა.

მემონტაჟეების ბრიგადირი უკვე აღარავის ეპუებოდა და თითქმის ყოველდღე, ყველას გასაგონად ანგარიშობდა, ყოველმა მემონტაჟემ რამდენი მანეთით ნაკლები მიიღო ყოველ მათგანს რამდენჯერ მეტი სამუშაოს შესრულება მოუხდა მას შემდეგ, რაც ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი მოხსნეს და „უბანს თავზე ეგ ნასწავლი ღლაპი წამოასვეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აუჩემებია, პასპორტები და გრაფიკებიო. რა ვიცი, იმ პასპორტებს ჯიბრაილის დროსაც ვიცავდით, ქვანახშირი კი ნიაღვარივით მოდიოდა და ჩვენც უფრო მოსვენებულები ვიყავით. ახლა, თვეში კონვეიერი რატომ ოცჯერ არ გადაგვაქვს, აქაოდა, სანგრევის უბეს ძალიან არ დავშორდეთო. სულ ქაღალდებში იყურება... მაშინ კი, მომხდარა, თვეში სულ ოთხჯერ, ან ჰო, ხუთჯერ თუ გადამიტანია. ქაღალდებში იყურე, ძმაო, მაგრამ მუშა კაცს ნუ მჩაგრავ. ფული კი რამდენით მეტი გვეწერებოდა. ახლა არ მითხრათ, ფული ზედმეტიაო. ან ერთი ეს მითხარით, უბანზე უბნის უფროსი რა მოხელეა? მაგ პასპორტებსა და გრაფიკებს ზევით ტექნიკურ განყოფილებებში ადგენდნენ. თუ შენ, უბნის უფროსმა, სულ იმ ქაღალდებს სდიე, მაშინ შენ თვითონ რაღა მოხელე ხარ? მაშინ მაგისი შტატი სულაც გააუქმონ და ეგ იქნება.

— ჯიბრაილის დროს უქმად ისხედით? — ეკითხებოდნენ თეიმურაზის მომხრეები.

— არა! როგორ თუ უქმად! მაგრამ ჯიბრაილს ჭკვიანური რისკის თავი ჰქონდა, გაიგე? ჭკვიანურის. ეს კი... ეჰ! ან კი ტყუილად რას მალაპარაკებთ!..

— იმდენი რა ფული დაგაკლდათ?

— სულ ზედიზედ რომ ვიანგარიშოთ? ამ რამდენიმე თვეში რატომ ორასი, სამასი მანეთი არ დამაკლდა! რა, ცოტაა? არა, ძმაო! ვისაც რისკის თავი არა აქვს, ვინც სულ ქაღალდებში იყურება, იმან უფროსობა არც კი უნდა იკისროს. მე რომ ზევით სუფთა ტანსაცმელს ვიხდი, ამ ბრეზენტისა და რეზინის ხურდა-მურდას ვიცვამ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ჯურღმულში მოვძვრები, ასე მგონია, მზეს და სიცოცხლეს სამუდამოდ ვემშვიდობები-მეთქი. და ფულიც აღარ ავიღო? ან ნაკლები შეიძლებოდეს და მეტი კი ვიმუშავო? არა, ძმაო! მე პირდაპირი კაცი ვარ. ცოტა ხანს კიდევ ვუყურებ და თუ ასე გაგრძელდა, მე აქ გამჩერებელი აღარ ვარ. თქვენ კი როგორც გინდოდეთ.

— ეგ შენი საქმეა, მაგრამ... დააცადე ამ ადამიანს, ცოტა მიიხედ-მოიხედოს, თვალი და ყური გააჩვიოს, იქნება, მერე ზოგი რამე ამანაც გაბედოს.

— ეგ როდის იქნება? არა, ძმაო, მე ხვალინდელ ქათამს, დღევანდელი კვერცხი მირჩევნია .

— იმ რაღაც კაპიკებს ხომ ჩვენცა ვკარგავთ, რატომ ჩვენ არ მივტირით?

— ეგ მე არ ვიცი. შენ, იქნებ, მამაშენმა ოქროები დაგიტოვა. მე კი ჩემი ალალი მარჯვენით უნდა ვიცხოვრო.

— შენ ჩემზე უარესად ცხოვრობ?

— მე მეშახტე ვარ. მე მილიარდერ ონასისზე უკეთ უნდა ვცხოვრობდე.

— ღმერთმა ხეირი მოგცეს!

ოდიბაშევის ლაპარაკი მეშახტეებთან, ჩვეულებრივ, ასე მთავრდებოდა. თანამგრძნობებს ვერასოდეს ვერ პოულობდა. მართლაც, რა სახსენებელი იყო ის კაპიკები? ოდიბაშევი ჯიბრაილსაც დღენიადაგ სულს უწვრილებდა, ისიც ზოგჯერ დაუთმობდა ხოლმე და ეს იყო და ეს. ერთი ვნახოთ, რაიმე უბედურება დატრიალებულიყო? მაშინ ციხეში თავს ოდიბაშევს კი არა ჯიბრაილ ჯელთუფლიშვილს ამოაყოფინებდნენ. ეს ყველამ იცოდა, ისიც იცოდნენ, რომ პასპორტები და გრაფიკები მცოდნე ხალხის შედგენილი იყო და ამ საბუთს ჯიბრაილიც დიდ ანგარიშს უწევდა. ყოველ თავის ნაბიჯს, იმ ქაღალდზე ათასჯერ შეამოწმებდა ხოლმე და რისკს მხოლოდ ამის შემდეგ თუ გასწევდა, ისიც ყოველთვის არა. რაღა გასაკვირი იყო, რომ ქალაქში ნასწავლი ინჟინერი, ინჟინრებისვე მიერ შედგენილ პასპორტებს დიდ ანგარიშს უწევდა. არა, ოდიბაშევს მომხრეების პოვნა სულ უფრო და უფრო უჭირდა. ეს კი მას უფრო და უფრო აწიწმატებდა. მისი უხიაგი ნალაპარაკევი, ამა თუ იმ გზებით თეიმურაზის ყურამდე აღწევდა და ახალგაზრდა ინჟინერს სიცოცხლეს უწამლავდა. ან როგორი მოსათმენია, როცა შენს უბანზე შენივე თანამშრომელი და ამავე დროს, პასუხისმგებელი პირი ყოველდღე ასე ხმამაღლა, საჯაროდ გლანძღავს და ბიუროკრატობას, სილაჩრეს და ათას დავიდარაბას გაბრალებს?

— რა ვქნა, გერასიმე? — ჰკითხა ერთ დღეს გამწარებულმა და დაბნეულმა თეიმურაზმა გერასიმე ცნობილაძეს, როცა ოდიბაშევმა ის-ის იყო დავალება მიიღო, თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა და გასვლისას კარები ისე გაიჯახუნა, რომ კედლები შეირყა.

— ცოტა მოიცადე. მაგის სულელი თავი ჯანდაბას, მე მეშინია, თავისი ბრიგადაც არ აიყოლიოს და სადმე, სხვა შახტზე გადაბარგდეს. თავის ბრიგადაში მაგას გავლენა აქვს... ცოტა კიდევ მოვითმინოთ. შენ შენს გზას არ გადაუხვიო. მერე, თუ ჭკუაზე მოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და... სარდიონს ბევრი მაგისთანა მოუგრეხია და მაგასაც გზას მოუნახავს. ნურაფრისა გეშინია.

## თავი XXIII

გარდა თეიმურაზ არჯევანიძისა, შახტზე კიდევ იყო ერთი ადამიანი, რომელსაც არჯევანიძის უბნის საქმეები განსაკუთრებით აწუხებდა. ეს კაცი შახტის უფროსი სარდიონ რაჭველიშვილი გახლდათ.

როცა ანთიმოზ ჩახუნაშვილმა სასამართლოში საქმე მოიგო და თანამდებობაზე აღდგენის დადგენილება გამოატანინა, სარდიონი მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა, თუ როგორ წინდაუხედავად მოიქცა ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა თბილისიდან ახლად ჩამოსული ახალგაზრდა ინჟინერი, პირდაპირ უბნის უფროსად დანიშნა. მაგრამ, რაღა დასა-

მალავია, უბნისა და თვითონ არჯევანიძის მომავალი სარდიონს მაშინ სულ სხვანაირად ესახებოდა.

სარდიონმა იცოდა, რომ უბნის სათავეში უსათუოდ ვინმე დიპლომიანი ინჟინერი უნდა დაეყენებინა. აღარავითარ პრაქტიკოსს დამიანე ჰყონია ერთი წუთითაც კი არ მოითმენდა. ტრესტში მომუშავე ინჟინრებს სარდიონი ნაკლებად ენდობოდა და საამისო მიზეზიც ბევრი ჰქონდა. ისინი ცოცხალ საქმეებს კარგა დიდი ხნის წინათ ჩამოშორებული ხალხი იყო და გარდა ამისა, თავისი ნებით შახტზე სამუშაოდ არც წამოვიდოდნენ. ძალით მოყვანილი კაცის მუშაობას კი რა მადლი აქვს?

თავისი შახტის ინჟინრები სარდიონს ყველა პასუხსაგებ თანამდებობაზე ჰყავდა, ყოველი მათგანი შეჩვეული იყო თავის საქმეს. თუ ვინმეს გადაიყვანდი, ეს მოხდებოდა დიდი ხვეწნის და ყოველგვარი დიპლომატიის გამოყენების შემდეგ. თანაც არაერთხელ მომხდარა, რომ ინჟინერი, რომელიც შესანიშნავად უძღვებოდა რომელიმე სხვა საქმეს,—ვთქვათ, ვენტილიაციას, ან მხოლოდ მოსამზადებელ სამუშაოებს, საექსპლოატაციო უბანზე გადაყვანის შემდეგ ისე სამარცხვინოდ ჩაფლავებულა, რომ იქიდან მერე, ორივე ყურზე ხელებჩაფრენით ძლივს ამოუყვანიათ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა თეიმურაზ არჯევანიძე. ეს თავმდაბალი, უბრალო და სიტყვაძვირი ახალგაზრდა, სარდიონს პირველი შეხედვისთანავე მოეწონა. შეატყო, რომ იგი ამ ქალაქში მართლა სამუშაოდ იყო ჩამოსული და არა დროს გასატარებლად. და სარდიონმა მაშინვე გულში გადაწყვიტა, რაღა კაცი ვიქნები, თუ ამ ბიჭისგან ნამდვილი მეშახტე და ვაჟკაცი ვერ გამოვიყვანეო.

სარდიონმა კარგად იცოდა, რომ არჯევანიძეს გამოცდილება აკლდა. აუცილებელი იყო, რომ ახალგაზრდა ინჟინერს შახტში უბრალო, ნაკლებ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობის რამდენიმეთვიანი პრაქტიკა მაინც გაევლო. — დაეწყო თუნდაც, რომელიმე პატარა ცვლის უფროსობიდან. ეს ყოველთვის ასე ხდება. მიჩნეულია, რომ ახალგაზრდა ინჟინრები საჭირო ჩვევებსა და გამოცდილებას თავდაპირველად ასეთ პატარა თანამდებობებზე მუშაობისას იძენენ. მაგრამ, სარდიონმა ისიც მშვენივრად იცოდა, რომ დიპლომიანი ინჟინრები ასეთ დაბალ თანამდებობებზე მუშაობას, ჩვეულებრივ, მეტად ზერელედ ეკიდებიან. იგი რაღაც სავალდებულო, მაგრამ ყოვლად უაზრო ბეგარად მიაჩნიათ, რომელიც, რატომღაც აუცილებლად უნდა მოიხადონ, თუმცა ამაში ვერავითარ სარგებლობას ვერა ჰხედავენ. ამ თანამდებობებზე მუშაობისას, ისინი გამოცდილების შეძენას დიდად არ დაგიდევენ, თავიანთ მოვალეობებს ჩვეულებრივ სხვებს — გამოცდილ მეშახტეებს ასრულებინებენ და მერე, როცა დრო დადგება და ახალგაზრდა ინჟინერს მისი ცენზის შესაფერის თანამდებობაზე — უბნის უფროსად, ან უფროსის მოადგილედ გადაიყვანენ, გამოირკვევა ხოლმე, რომ იმ დაბალ თანამდებობაზე მუშაობას სულ ტყუილად ჩაუვლია, ინჟინერს გამოცდილება თუ პრაქტიკული ჩვევები თითქმის სრულიად არავითარი არ შეუძენია,—რაკი იცოდა, რომ თავის დროზე მაინც დააწინაურებდნენ — არავისა აქვს უფლება ინჟინრები დაბალ თანამდებობაზე დიდხანს გააჩეროს, — და ყველაფერი სულ თავიდან იწყება. შეცდომები, ჩავარდნები, გაუგებრობანი, ავარიები, გეგმების ჩაშლა, მეშახტეთა უკმაყოფილება და სხვა მრავალი ასეთი უსიამოვნება, სარდიონს არ ახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ თუნდაც ერთწლიანი პრაქტიკის შემდეგ დაწინაურებულ ინჟინერს, უბნის, განსაკუთრებით კი, საექსპლოატაციო უბნის საქმეები თავიდანვე კარგად წაეყვანოს, უსათუოდ შეცდომებით, და ძალიან მძიმე შეცდომებითაც იწყებს. ეს კანონია და აქ თითქმის არავითარ გამონაკლისს არასოდეს ადგილი არა აქვს. წარმატებები შემდეგ. ჟამთა მსვლელობაში მოდის, და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ახალგაზრდა ინჟინერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდრეკი, უჯიათი ხასიათის გამოდგა და პირველ შეცდომებს არ შეუშინდა.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სარდიონმა არჯევანიძისათვის პირდაპირ უბანი ჩაებარებინა. შახტის უფროსი დარწმუნებული იყო, ჯიბრაილმა ეგ უბანი ისეააწყო, რომ, თუ ჩვენც ყურადღებას არ მოვაკლებთ, ინერციით, თითქმის მთელი წელიწადი მშვენივრად იმუშავებსო. თუ ამ ხნის განმავლობაში უბანზე რაიმე გაუთვალისწინებელი ამბები და სიძნელეები წარმოიშვებოდა, იმათ საერთო ძალებით დასძლევდნენ, არჯევანიძეს კი საქმის და ხალხის ცოდნა და გამოცდილება შეემატებოდა. ამასობაში, ახალგაზრდა ინჟინერი გამოიწრთობოდა. გარდა ამისა, სარდიონის ვარაუდით, ანთიმოზ ჩახუნაშვილსაც , ბოლოსდაბოლოს, უნდა შერცხვენოდა მთელი სიცოცხლე მუქთად პურის ჭამა და მოადგილის თანამდებობა ვინმე უფრო შესაფერისი კაცისთვის უნდა დაეთმო, მით უმეტეს, რომ სარდიონი სამაგიეროდ ისევ რაიმე კარგ ხელფასიან, საპატიო, მაგრამ ნაკლებად პასუხსაგებ თანამდებობას შესთავაზებდა.

მაგრამ სარდიონის გეგმებს ასრულება არ ეწერა.

არჯევანიძის დანიშვნიდან ორიოდე თვეც კი არ გასულა, რომ უბანზე კაცი დაიღუპა. ამან მეშახტეთა განწყობილება საგრძნობლად დააქვეითა, და, რაღა დასამალავია, თვითონ არჯევანიძეც მაგრად შეაფიქრიანა (რომ არა ვთქვათ, შეაშინაო). მეორე ის იყო, რომ ანთიმოზ ჩახუნაშვილის მოხსნა არ მოხერხდა, მისი თანამდებობის საუცხოო კანდიდატი უშანგი მონასელიძე იძულებული გახდა, ისევ ძველ საქმიანობას დაბრუნებოდა და, როგორც ამბობდნენ, სარდიონის მისამართით კიდეც ბუზღუნებდა თურმე, — თუ მეტი არ შეეძლო, რას ამაცუნდრუკა, გამაბრიყვა და ბოლოს გაწბილებული დამტოვაო. თეიმურაზ არჯევანიძე, ფაქტიურად, მარტოდ-მარტო აღმოჩნდა ვეებერთელა საექსპლუატაციო უბნის სათავეში.

საქმე გაძნელდა.

გამოცდილების უქონლობასაც რომ თავი დავანებოთ, თეიმურაზ არჯევანიძე ამ სამუშაოს თუნდაც იმიტომ ვერ აუვიდოდა, რომ, იგი, ქალაქურ ყაიდაზე აღზრდილი ბიჭი, ფიზიკურად ვერ გაართმევდა თავს სამ ცვლად, მთელ დღეღამის განმავლობაში განუწყვეტლად მომუშავე უბნისათვის, ყოველ დროსა და ყოველ ადგილზე, თანაბრად ყურადღების მიდევნებას, მუდამ ერთნაირ სიფხიზლისა და გამჭრიახობის გამოჩენას. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი ტყე-ველში გაზრდილი, ბავშვობიდანვე შრომას მიჩვეული იყო. მგლის მუხლი ჰქონდა და თავის ვეებერთელა უბანს დღე-ღამეში თუნდაც ოცჯერ შემოირბენდა. ჩახუნაშვილი მისთვის არც კი არსებობდა. თეიმურაზი კი... თეიმურაზს სარდიონმა უკვე ორჯერ და სამჯერ მოუსწრო სამორიგეოში დაღლილობისაგან ფერმიხდილსა და მაგიდასთანავე ჩათვლემილს, მაშინ, როცა ამისი დრო ნამდვილად არ იყო. შახტის უფროსი სამივეჯერ ფიცხლავ უკანვე გამოტრიალდა და კარი ფრთხილად გამოიხურა, არ გაიღვიძოს და საქციელი არ წაუხდესო.

თეიმურაზს უჭირდა და არავის შეეძლო იმისი თავმდებობა, რომ ხვალ და ზეგ უფრო მეტად არ გაუჭირდებოდა.

სარდიონს ამ საქმეში ვერაფერს შველოდნენ უახლოესი თანაშემწეებიც — კახაბერ გურასაშვილი და ტერენტი ჩაგუნავა. დილის ექვს საათზე სარდიონი სახლიდან სადისპეტჩეროში რომ დარეკავდა და იკითხავდა, საქმე როგორააო, დისპეტჩერმა უკვე იცოდა, რომ უპირველეს ყოვლისა, მესამე უბნის საქმეები უნდა მოეხსენებინა. ასევე იყო ხუთწუთიან თათბირებზეც, შახტის უფროსის კაბინეტში, ყოველ დილით რომ იმართებოდა.

— რას იტყვი, კახაბერ! კაცი მთავარი ინჟინერი ხარ.

— რა მოგახსენოთ, სარდიონ ბატონო!

— მაგ ერთ აღმართს ველარ მოვერევით?

— უნდა მოვერიოთ.

— შენ, ტერენტი?

— მოვერევით, ბატონო სარდიონ!

და ყველამ იცოდა, ლაპარაკი რომელ ალმართსაც შეეხებოდა.

კაცმა რომ თქვას, სარდიონს სულის სიღრმეში მაინც სჯეროდა თეიმურაზ არჯევანიძისა. ამ ხნის კაცივარო, ფიქრობდა და ჯერ ადამიანის შეფასებაში არ შევმცდარვარ, არ შეიძლება. მაგ ბიჭში მოვტყუვდე და მაგან დამაღალატოსო. სარდიონმა ისიც იცოდა, რომ უბნის მეშახტეები არჯევანიძეს გულწრფელ პატივს სცემდნენ და ერთგულად მხარში ედგნენ. ეს კი ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავდა. ამიტომაც იყო, რომ როცა გაიგო, უბანზე გრიშა ოდიბაშევი რაღაცას ჩხირკედელაობს და არჯევანიძის ავტორიტეტს ლაფში სვრისო, სარდიონს ზაფრა ეცა. ეს უკვე სახუმრო საქმე აღარ იყო.

გრიშა ოდიბაშევს სარდიონი კარგად იცნობდა და იცოდა, რა ჩიტიც იყო. მაგრამ ისიც იცოდა, რომ თავისი ბრიგადის წევრებზე ოდიბაშევს განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა. უბნიდან თვითონაც რომ წასულიყო და თანდათან ისინიც უკან გაეყოლებინა? ეს უკვე ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა.

სარდიონმა ბევრი იფიქრა, მდგომარეობიდან ვერავითარი გამოსავალი ვერ იპოვნა და, როგორც ყოველთვის, ასეთ დროს, კახაბერ გურასაშვილი და ტერენტი ჩაგუნავა გამოიძახა.

— ოდიბაშევის ამბები იცით?

ოდიბაშევის ამბავი ერთსაც სცოდნია და მეორესაც.

— მერე?

— გავაგდოთ? — მოკლედ მოუჭრა კახაბერმა.

— იფ! — ტერენტი ჩაგუნავა მთავარ ინჟინერს გაოცებული მიაჩერდა. — გააგდებ და მთელ ბრიგადას უკან გაიყოლებს, ეს აღარ იცი?

— ასე, თორმეტ თუ თოთხმეტ კაცს, ერთბაშად რომელი შახტი მიიღებს. ვის რაში სჭირდება?

— მიიღებენ. გრიშა ოდიბაშევზე უკეთესი სპეციალისტი თუ სად[illegible] ქვეყანაზე, ხალხს აღარც კი ჰგო[illegible]გი მე მკითხე შენ.

[illegible] ბიბლიოთეკა

— აბა, საშველი აღარ ყოფილა და ეგ არის.

— საშველი რომ აღარ არის, მე და შენ აქ იმიტომაც დაგვიძახეს. აბა, საშველი რომ იყოს, შახტის უფროსი იმას თითონაც მონახავდა.

— არ ვიცი... — კახაბერმა ხელი ჩაიქნია და დადუმდა. — თორმეტ და თხუთმეტ კაცს ერთად, რა თქმა უნდა, არავინ მიიღებს, — ფიქრიანად თქვა სარდიონმა. — ეგენი ერთად არც წავლენ. მაგრამ დღეს ერთი გაძვრება, ხვალ — მეორე, ხალხს დააღალატებენ, გუნებას გაუფუჭებენ... აი, საქმე რა არის!

— მე მაინც ჩემსას ვფიქრობ. — ჩაიბურტყუნა კახაბერმა.

— რას?

— გავაგდოთ გრიშა ოდიბაშევი, მართლაც ღმერთი ხომ არ არის. საშა ბულატოვს მაგაზე ნაკლებ პატივსა სცემენ? ყველანი საშას გამოზრდილები არ არიან!

— საშა ბულატოვმა სწორედ გუშინწინ მთხოვა, რაც გინდა ის მთხოვე, ოღონდ მიწისქვეშეთში ნულარ ჩამგზავნიო. კაცს სამოცდაათს აღარაფერი უკლია.

— ნამდვილია — დაუდასტურა ჩაგუნავამ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას იზამ... — თქვა ბოლოს სარდიონმა. — სამოცდახუთის მეც მალე გავხდები. ჩემი ცხოვრება ისე გავიარე, რომ ქედი არავის წინაშე არ მომიხრია. ახლა კი, ამ სიბერეში, მაგ უმგვანო ოდიბაშევს უნდა შევეხვეწო და ჭირი მოვჭამო. ის მაინც გამაგებინა, ღმერთი ასე უწყალოდ რატომა მსჯის?

სარდიონმა ზარს ხელი დააჭირა და მარგალიტა ხეცურიანს, გრიშა ოდიბაშევის გამოძახება უბრძანა.

— ჩვენ აქ ვიყოთ? — ჰკითხა სარდიონს კახაბერმა.

—რას გამიკეთებთ? წადით. თუ დამჭირდით, გამოგიძახებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერი და ტერენტი კაბინეტიდან გავიდნენ.

* * *

ოდიბაშვილი ძალიან მალე გამოცხადდა. სველ თმებსა და ვარდისფრად გაღვივებულ სახეზე ეტყობოდა, რომ შახტიდან ახალი ამოსული და ნაბანავები იყო. ლურჯი კოსტუმი, ცისფერი პერანგი და პრიალა იმპორტული ფეხსაცმელები ეცვა, ყელზე კი მოდური, ფართო შინდისფერი ჰალსტუხი ეკეთა. სარდიონს კარებიდანვე თავი მდაბლად დაუკრა და იქვე, კარებთანვე გაჩერდა.

— ჩემს გრიშას ვახლავარ! — სარდიონი წამოდგა, ოდიბაშვილის შესახვედრად გაემართა და ხელი შორიდანვე გაუწოდა, — სადა ხარ, რა სანატრელი გამხდარი? მახსოვს, მე და შენ ერთმანეთს უფრო ხშირად ვხვდებოდით ხოლმე. ახლა რატომ-და მოშიძულე?

— რა ბრძანებაა! — ოდიბაშვილმა სარდიონს ხელი მაგრად ჩამოართვა, — ვინც თქვენ მოგიძულებთ, ბატონო სარდიონ, ის მზის სინათლის ღირსი არ არის.

— ოჰ, ოჰ! გრიშა, შენ ეგეთი დაშაქრული ლაპარაკი რომ არ იცოდი? მახსოვს, მე და შენ ერთმანეთს სულ თითო სიტყვით შევენაცვლებოდით ხოლმე და ერთმანეთის მაინც კარგად გვესმოდა. ასე არ იყო?

— ეგრე, ბატონო სარდიონ, ეგრე იყო!

— ჰოდა, ასე. აბა, დაჯექი, ჩემო გრიშა, გინდა სკამზე, გინდა ამ სავარძელზე. დაჯექი და ერთი მოვისაუბროთ. სხვა? როგორა ხარ? როგორ ცხოვრობ? ბიჭო, აღარ უნდა დაცოლშვილდე? სულ ასე ლაღად უნდა იარებოდე?

— ლაღ ცხოვრებას რა სჯობია, ბატონო სარდიონ?

— ნუ იტყვი, ჩემო გრიშა, ნუ იტყვი. ყველაფერს თავის დრო და თავისი წესი აქვს. შენ ახლა ერთი კარგი, მოხდენილი, მეოჯახე ქალი ნამდვილად მოგიხდებოდა. ა? მართალს არ ვამბობ? თუ მაგაზე ჯერ არც კი გიფიქრია?

— რაღა დაგიმალოთ, ბატონო სარდიონ, მაგაზე ჯერ მართლაც არ მიფიქრია.

— ჰოდა, სულ ტყუილად, ჩემო გრიგოლ, სულ ტყუილად. მე, მაგალითად, შენს ხნობაზე უკვე კარგა ხნის დაოჯახებული ვიყავი. და მე შენ გეუბნები, მაგითი მე არაფერი მიზარალია. შვილს მოვესწარი, შვილიშვილს მოვესწარი... შენ ოცდაათს ბევრი გიკლია?

— ოცდაათს, ბატონო სარდიონ, უკვე დიდი ხანია, რაც გადავაბიჯე.

— კარგი ერთი!

— ნამდვილად.

— აბა, თუ ეგრეა, მაშინ ნამდვილად არ გეპატიება. თუ ახლო-მახლო შენი მოსაწონი აღარავინაა, გვითხარი, შე კაცო! გამოგვიტყდი. მივიხედ-მოვიხედავთ, გავიკითხ-გამოვიკითხავთ... ერთ კარგ გოგოს ამდენ ქალებში როგორ ვერ ვიშოვნით?

— რა ვქნა, ბატონო სარდიონ... აი, პირობა მომიცია: როგორც კი ცოლის თხოვას გადავწყვეტ, მარტო თქვენ მოწონებულ ქალს შევირთავ. თუ თქვენ დაიწუნეთ, თუნდაც ბოგდიხანის შვილი იყოს, მე იმის სახლში შემომყვანი აღარა ვარ.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი... ბატონი ბრძანდები... მაგის პირობას ნამდვილად გაძლევ. ოღონდ ძალიანაც ნუ დაგვალოდინებ. ხომ გაგიგონია, შე კაცო, სიკვდილის მეტი, ყველაფერი ნაადრევი სჯობიაო. რაღა დაგიმალო და ოცდაათი! გადაცილებული ვაჟკაცი უკვე დაოჯახებული უნდა იყოს. აბა! „ბორჯომს" არ დალევ?

— თქვენგან მოწოდებულს...

— აბა, მიირთვი. პურს დავთმობ და მაგას ვერა. — სარდიონმა გადაიხარხარა, კარადიდან „ბორჯომის" ბოთლი გამოიღო, ოდიბაშვილსაც დაუსხა და თავისთვისაც დაისხა. — მიირთვი ჩემო გრიშა!

„ბორჯომი" ორივემ დალია.

— ხომ არსად მიგეჩქარება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არსად, ბატონო სარდიონ! ეს-ესაა, შახტიდან ამოვედი.

— მერე? როგორაა იქ საქმეები? თქვენს ახალგაზრდა უფროსს ძალიან უჭირს?

— არა,რატომ... რა უჭირს...

— ა?..

— ნამდვილად.

— ჰმ!

— ჩემს სიტყვებს, მე მგონია, თქვენ ყოველთვის ენდობოდით.

— შენს სიტყვებს მე ახლაც ვენდობი.

— ჰოდა, აკი მოგახსენეთ.

— გრიშა!

— ბატონო?

— მოდი, ჩემო გრიშა, ასე: აქ, ამ კაბინეტში ჩემსა და შენს მეტი არავინ არის. ტყუილად რომ არ გამოგიძახებდი, ეს შენც ძალიან კაგად იცი. და მართლაც, ძალიან სერიოზულ საქმეზე დაგიძახე. ჰოდა, მოდი, ასე: სრული გულახდილობა — ხელს გაძლევს?

— ეგ რა კითხვაა, — ბატონო სარდიონ? მე...

— მოიცა! ნუ გამინაწყენდები. მე, ჩემო გრიშა, ერთი დაღლილი ბერიკაცი ვარ. შეიძლება, ყოველი სიტყვა კარგად ვერ მოვზომო. შეიძლება, რაიმე შეუფერებელიც წამომცდეს. ამისათვის ნუ გამიწყრები. ა? ჰოდა, მოდი, ერთი გულიანად მოვილაპარაკოთ. თანახმა ხარ?

— მაგის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს?

— არა, შეკითხვებს შენ ნუ მაძლევ. თანახმა ხარ?

— ვინ? მე?

— ჰო, შენ! მიპასუხე, თანახმა ხარ?

— მე, ბატონო სარდიონ, რა თქმა უნდა...

— მიპასუხე!

— რა თქმა უნდა, თანახმა ვარ.

— აი, ეგრე! ახლა კი მოვილაპარაკოთ. ოღონდ ასე: ჯერ კითხვებს მე მოგცემ და შენ მიპასუხე. მერე, რაც გინდოდეს, შენ მკითხე და მეც ყველაფერზე გიპასუხებ. გინდა?

— რატომაც არ მინდა. — ოდიბაშევმა მხრები აიჩეჩა.

— კეთილი და პატიოსანი. [illegible] გულზე ხელი დაიდევი და მითხარი: არჯევანიძეზე რა აზრისა ხარ?

— ძალიან კარგის. — ოდიბაშევმა ისევ მხრები აიყარა.

— ეგ რა პასუხია?

— რატომ? კარგი აზრისა ვარ. კარგი ბიჭია. უბრალო, საამხანაგო, პატიოსანი... მეტი რაღა უნდა იყოს?

— არჯევანიძის ყველაფერი მოგწონს?

— მომწონს... ახლა... რატომაც არა, მომწონს. ან მაგას ჩემი დასაწუნი რა უნდა სჭირდეს, ეგ ინჟინერია, უმაღლესი განათლებითაა, მე კი უბრალო მემონტაჟე ვარ. როცა უნდა, თავში ჩამაფარებს და... ერთი სიტყვით, კარგი ბიჭია. მეტი რაღა გითხრათ?

— ჰმ!..

— მე ასე ვფიქრობ, ბატონო სარდიონ! ღმერთმანი, ასე ვფიქრობ. მე თქვენ ტყუილს არ გეტყვით.

— კარგი. აბა, სხვანაირად გკითხავ: არჯევანიძის მუშაობა მოგწონს?

— ა? აი, მაგისი კი... მაგისი კი რა მოგახსენოთ.

— აი, ეგრე! აი, ეგ პასუხი მომწონს.. ნამდვილად გულწრფელი კაცი ყოფილხარ. ესე იგი, მაგისი მუშაობა შენ, გრიშა ოდიბაშევს, მაინცდამაინც... ა?

— ერთი სიტყვით, უკეთესი ბევრი მინახავს.

— მერე?

— რა — მერე?

— რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ? ვისაც ეგრე მუშაობა ხელს აძლევს, იმას თავისი ჭკუით გაუმარჯოს.

— და ვისაც არა.

— იმან — თავისი გზა მონახოს.

— ეგეც გასაგებია. ყველაფერი კარგად გავიგე. გმადლობ, რომ სიმართლე მითხარი.

— დასამალავი რა გვჭირს?

— არაფერი. რა თქმა უნდა, არაფერი.

სარდიონი ოდიბაშევისგან ასეთ გულახდილობას ნამდვილად არ მოელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც კი იცოდა, საუბარი როგორ გაეგრძელებინა, ამ მდგომარეობიდან ისევ ოდიბაშევმა გამოიყვანა.

— ერთი რამე კი არ მომწონს, ბატონო სარდიონ!

— მაინც — რა?

— ჩვენს შახტზე ენატანიები გაჩენილან. ეს კი ძალიან ცუდია. ამაზე უარესი აღარაფერი იქნება. სადაც ენატანიები და მაბეზღარები არიან, იქ კოლექტივი ვერ იარსებებს. მე ხომ ვხედავ, თქვენ სადაც მიკაკუნებთ!

— ენატანიებიო — მაგ სიტყვას შენს ადგილზე არ ვიხმარდი. არა! მე ამ შახტს შევაბერდი, გრიგოლ ჩემო, და მუდამ თავი მომქონდა იმით, რომ არასოდეს, არავინ, მე თავის სატკივარს არ მიმალავდა. არასოდეს! და ასე მოხდა ახლაც. ხალხს საფიქრალი გაუჩნდა და მე გამიზიარა. შენ ეს რატომ არ მოგწონს?

— ყველაფერს მე თითონვე გეტყოდით. ენის მოტანა რა საჭირო იყო?

— მე შენ გთხოვე, მაგ სიტყვას ნუ იხმარ-მეთქი.

— ბატონი ბრძანდებით.

— არ მომწონს, გრიგოლ ჩემო, შენი საქციელი!

— ისეთი რა დავაშავე?

— დააშავე. შენგან არ მოველოდი.

— მე შემიძლია სხვა შახტზე გადავიდე.

— ჰმ!

— ნამდვილად.

— ვიცი. შენ უფრო მეტიც შეგიძლია.

— მეტს მე არაფერს ვაპირებ.

— ჰმ!

— მეშახტეობა მძიმე პროფესიაა, ბატონო სარდიონ!

— წარმოიდგინე, ეგ მე ვიცი.

— ტყუილ-უბრალოდ თავს არავინ გაიცხელებს.

— რას ლაპარაკობ!..

— რატომ დამცინით? თქვენ თითონაც იცით, რომ ეს ასეა.

— როგორ გეკადრება! ჩემი დასაცინი რა გჭირს? აბა, აბა, კიდევ რას იტყვი? მაინტერესებს ამდენი ხანია შახტში ვმუშაობ და მეშახტის პროფესიის ჯერ არაფერი გამეგება. ასეთი უცოდინარი სანამდე უნდა ვიყო?

— ჰმ!

— ა?

— არაფერი.

— თქმით შენ მე მაგას არ მეტყოდი. მაგაში გულწრფელი არა ხარ.

— რატომ გგონიათ?

— კი არ მგონია, ასეა. ის, რასაც შენ თხოულობ და, რაც შენ გინდა, ავანტიურაა. შენ ჯიბრაილსაც სული გაუწვრილე, თუ გგონია, რომ მე არაფერი ვიცი. რამდენჯერაც კი პასპორტზე და გრაფიკზე ფეხს დააბიჯებდით, იმდენჯერ ამოვიდოდა და მომახსენებდა ხოლმე. ბიჭი გაჭაღარავდა.

ოდიბაშევს ენა ჩაუვარდა. გაოცდა. სარდიონისაგან ამის გაგონებას ნამდვილად არ მოელოდა.

— დიახ, ბატონო ჩემო! — სარდიონი წამოდგა, კარადის ღიად დარჩენილ კარს ხელი ჰკრა და ოთახში გაიარ-გამოიარა. — ასე იყო. ვიცი. ახლა კი ასე აღარ იქნება. არჯევანიძეს მე თქვენ არ დაგაჯიჯგნინებთ. ახლა მე ქვეყანას მარტო ქვანახშირი კი არ უნდა მივცე, ინჟინერიც უნდა გავუზარდო. გესმის? არ გვინდა ჩვენ ეგეთი ზედმეტი ქვანახშირი. ახალი უბანი მხოლოდ ნორმალურად იმუშავებს: გესმის?

ოდიბაშევი სდუმდა.

— მესმის.

— ჰოდა, კარგად დაიხსომე. ეგეთი ზედმეტი ქვანახშირი მე არ მინდა. ჯიბრაილი იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. რამდენჯერაც კი გადააცდინეთ, იმდენჯერ გადარჩა. არჯევანიძის ვარსკვლავის კი ჯერ მე არაფერი ვიცი. და ავანტიურების უფლებას აღარ გაძლევთ. მორჩა! ახლა მითხარი: უბანზე დარჩები, თუ წახვალ?

— მაგას რატომ მეკითხებით?

— მითხარი, უბანზე დარჩები, თუ წახვალ?

— სად უნდა წავიდე?

— წასასვლელს შენ კი მონახავ. ოღონდ არ ვიცი კი, მიგიღებენ, თუ არა, მითხარი, რას აპირებ?

— მე არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. არც მიფიქრია.

— ნამდვილად?

— ნამდვილად.

— ძალიანაც კარგი. არც მე გაგდებ. თუმცა...

— ბატონო?

— არაფერი. წეღან ტყუილად კი არ გითხარი, ცოლი შეირთე-მეთქი. იქნება, ვინმე ღვთისნიერი შეგხვდეს და სხვისი ხელით ნარ-ეკლის გლეჯვას გადაგარჩინოს. და თან ისიც შეგაგნებინოს, რომ რაღაც ხუთმანეთიანს თუ თუმნიანს ყველაფერი კი არ უნდა გადააყოლო. გრცხვენოდეს, ოდიბაშევო! თუ წასვლა გინდა, წადი. წადი! აი, ახლავე წადი. შენს მაგივრად შახტში სამოცდაათი წლის ბულატოვს ჩავგზავნი და ის იმუშავებს. შენდენსაც და შენზე მეტსაც ის კიდევ შეიძლებს. ახლა, ერთიღა მითხარი, მიდიხარ, თუ რჩები?

— ვრჩები, ბატონო სარდიონ! სად უნდა წავიდე?!

— იცოდე, უბანზე არაფერი შეიცვლება, როგორც ახლა მუშაობს, ისევე იმუშავებს.

— ვიცი... მაგას რა მნიშვნელობა აქვს!

— არ ვიცი, ვისთვის რას რა მნიშვნელობა აქვს. ასე კი იქნება. აი, რისი თქმა მინდოდა შენთვის. ახლა მე გისმენ.

— მე სათქმელი არაფერი მაქვს.

— მაშ, ნახვამდის!

ოდიბაშევმა კარი ძალიან ფრთხილად გაიხურა.

სარდიონი კი კარგა ხანი იჯდა წარბშეკრული და ფიქრებში წასული. მან ის კი დაინახა, რომ ოდიბაშევი ამჯერად შეკრთა და უკან დაიხია. მაგრამ — სანამდე? რა გარანტია იყო, რომ მემონტაჟეების ბრიგადირი თავისას საბოლოოდ მოიშლიდა, უბნიდან არ გაიქცეოდა და მისივე ჭკუის ხალხს თან არ გაიყოლებდა? მაშინ რაღა უნდა ექნათ? შახტში მართლაც სამოცდაათი წლის ბულატოვი ჩაეგზავნათ? იქნებ, ამ წამგლეჯთან ისევ ტკბილი ლაპარაკით საქმის გათავება სჯობდა? მაგრამ სარდიონიც რა დამნაშავეა, თუ ღმერთმა დაშაქრული ენით ლაპარაკის, მოთაფვლისა და რაღაც ტყუილი დაპირებებისა უნარი არ მისცა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სარდიონისა და გრიშა ოდიბაშევის ამ შეხვედრამ მეტად მოულოდნელი შედეგი გამოიღო. ყოველ შემთხვევაში, სარდიონისათვის.

სიფიცხემ როცა გაუარა და დაწყნარდა, სარდიონი შეწუხდა. საქციელი წაუხდა. იფიქრა, თავი ვერ შევიკავე. ოდიბაშევს ავუყვირდი, საბოლოოდ გავანაწყენე და ახლა უბანზე მართლაც აღარაფრის გულისათვის აღარ დარჩებაო. მაგრამ რაღა უნდა ექნა? გულმოსულობის დროს ნათქვამ სიტყვებს უკან ხომ ვეღარ დაიბრუნებდა.

სხვა გზა აღარ იყო, შახტის უფროსს ოდიბაშევის შემცვლელი უნდა ეძებნა და სამოცდაათს მიღწეულ საშა ბულატოვს შეხვეწნოდა, ეგ მემონტაჟეები მაინც ყველა შენი გამოზრდილია და მაგათი ბრიგადირობა დროებით მაინც იკისრეო. ბულატოვს შახტზე დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, ყოველ აგრეგატს თვალდახუჭული დაშლიდა და ისევააწყობდა... საქმეს თავს მალე მოაბამდა და მერე, ალბათ, არც თავისი შემცვლელის გამოძებნა გაუჭირდებოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ოდიბაშევთან იმ ლაპარაკიდან, ორი თუ სამი დღე რომ გავიდა, სარდიონი ბულატოვს დერეფანში შეხვდა, გააჩერა, მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა, რამდენი ხანია, აღარ გაგხსენებივარ, მოდი, მეწვიე, როგორც წინათ მეწვეოდი ხოლმე, დავსხდეთ, ჩემი და შენი სამყოფი არაყიცა და ღვინოც კიდევ მომეძებნება, ერთი ძველებურად შევექცეთ და გული გადავაყოლოთო. ბულატოვს ეს სულაც არ გაჰკვირვებია. ისა და სარდიონი მართლაც ძველი მეგობრები იყვნენ და ერთად არა ერთი და ორი ბოთლი ღვინო თუ არაყი გამოუცლიათ. დაჰპირდა, ერთი მართლაც შემოგივლი, თორემ ცოლს ჩემთვის სულ აღარ სცალიაო.

ერთთავად შვილიშვილებს დატრიალებს, მე კი საღამოობით ზოგჯერ ისეთი მოწყენილი ვარ, რომ არც კი ვიცი, სად წავიდე და რა ვაკეთოო. ეს უთხრა, პასუხად სარდიონს, იმანაც ხელი მოუთათუნა და რაღაც საქმეზე გაიქცა. ასეთი კაცი იყო: მუდამ რაღაც საქმეზე გარბოდა და მისი ჯაჯღანი, შარტის ეზოს ხან ერთი კუთხიდან ისმოდა, ხან მეორედან.

ბულატოვმა სარდიონთან მისვლა რატომღაც დააგვიანა, ეს ერთი, მეორე და უფრო მთავარი კი ის იყო, რომ დღე დღეს მისდევდა, გრიშა ოდიბაშევს კი სამუშაოდან განთავისუფლების განცხადება არა და არ მოჰქონდა.

ეს რაღაცას მოასწავებდა?

— ეშმაკმა იცის, იმ უკუღმართის თავი და ტანი! ის დაყნოსა, რომ სარდიონმა ბულატოვს დაუმიზნა და უბანს ოდიბაშევის წასვლა არაფრად დაეტყობოდა, თუ ასე უცბათ წასასვლელი ვერსად მონახა, თუ, უბრალოდ, სინდისმა შეაწუხა, სარდიონისაგან ამდენი სიკეთე მახსოვს, მე კი ასეთი უმადურობით ვუხდიო, ეს არავინ იცის. ეს კი იყო, რომ სარდიონთან იმდღევანდელი შეხვედრიდან ათი თუ თორმეტი დღის შემდეგ, ოდიბაშევმა თავისი მემონტაჟეები, რომელიღაც სანგრევში შეკრიბა და შთაგონებული, პირდაპირ მგზნებარე სიტყვით მიმართა. მართალიაო, — ბრძანა თავის სიტყვაში მემონტაჟეების ბრიგადირმა, — შეიძლება, ჩვენი უბანი ახლა ისე არ მუშაობდეს, როგორც ჯიბრაილის დროს მუშაობდა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვსო; თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, საქმე როგორც არისო; ჩვენი უბნის ახალი უფროსი კი, ყველანი მშვენივრად ჰხედავთ, ნამდვილად კარგი, ღირსეული და დასაფასებელი ადამიანიაო; მოდით, ჩვენც მხარში ერთგულად ამოვუდგეთ, ნურაფერში დავაღალატებთ, ნურც იმ რაღაც კაპიკებს გამოვეტირებით, ჯიბრაილის ხელში რომ გვერგებოდა ხოლმე. ხელი ხელს ერთგულად მივცეთ და ჩვენს უბანს ძველი დიდება დავუბრუნოთო.

მემონტაჟეები, თურმე, თავის ყურებს არ უჯერებდნენ. ამ მხურვალე სიტყვებს. მათ ხომ იგივე გრიშა ოდიბაშევი ეუბნებოდა, ვინც უკვე რამდენიმე თვე იყო, გაუთავებელი ბუზღუნით ყველას გული დაუწვრილა, ფულს ნაკლებს ვიღებთ, მუშაობით კი მეტს ვმუშაობთ და ეს ვარიანტი მე არ მაწყობსო.

— რას გაჩუმებულხართ? — იკითხა ოდიბაშევმა, — ცუდ რამეს გთავაზობთ?

— არა! — მოისმა აქეთ-იქიდან.

— ცუდს კი არა, ძალიან კარგ რამეს გვთავაზობ.

— ეგრე, რა!..

— თეიმურაზი მართლაც მირონის ბიჭია. მაგას თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ.

— რატომ გგონია? ძალიან კარგადაც ვიცნობთ.

— ან როდის იყო, ჩვენ რაღაც კაპიკებს მივტიროდით?

— ძნელი საცნობი ცუდი კაცია. ცუდი კაცი ეშმაკობს, თავს მალავს და კარგი ვინცაა, იმას ზედვე ეტყობა.

— ჰოდა, — მორჩა! — ოდიბაშევმა ხელი გადაწყვეტით ჩაიქნია. — ამას იქით — როგორც ყოველთვის, ძმობა და ამხანაგობა! მოდის?

— მოდის!

ეს იყო და ეს, უბანზე ვინმეს აღარც ოდიბაშევის ბუზღუნი გაუგონია, და აღარც თუ სხვა ვინმეს დასცდენია, ასეთი მუშაობა ხელს არ მაძლევს და ჩემი გზა უნდა ვეძიოო. ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

მაგრამ თეიმურაზ არჯევანიძესაც, მის უბანსაც და სარდიონ რაჭველიშვილსაც უბედურება სულ სხვა მხრიდან ეწვია.

უკვე რამდენიმე კვირა იყო, რომ გერასიმე ცნობილაძე მთელს სხეულში ერთავად გაუთავებელ სისუსტეს გრძნობდა. ძალიანაც გახდა, — რომ იტყვიან, ცარიელი ძვალი და ტყავი-ღა იყო. ფერიც დაჰკარგა. ტკივილით, თითქოს მაინცდამაინც არაფერს იტკივებდა, მაგრამ რამდენჯერმე დაიჩივლა, ხანდახან მუცლის არეში, რაღაც ისეთი ბასრი ტკივილი დამივლის, რომ ლამის ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ავკივლდე ხოლმე, პირდაპირ სუნთქვა მეკვრებაო.

— რატომ ექიმს არ მიაკითხავთ? — რამდენჯერმე დაეკითხნენ შეშფოთებული ახლობლები.

— ექიმი რას გამიკეთებს!..

— იფ! რას ლაპარაკობ, გერასიმე! აბა, ექიმი რისია? იქნება, ისეთი უბრალო რამე გჭირდეს, რომ თვალის დახამხამებაში მოგარჩინოს. ავადმყოფობის ეგრე თავმინებება შეიძლება?

— გამივლის... საექიმო და სახლაფორთო რა უნდა მჭირდეს.

მაგრამ არ გაუარა. პირიქით, ტკივილებიც უფრო მოეძალა და სისუსტემაც უმატა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დახრა და მიწიდან ცულის აღებაც კი უჭირდა ხოლმე. გული სულ ამოვარდნაზე ჰქონდა, მაშინ არქიფო ცალუღიშვილმა თეიმურაზ არჯევანიძე დაიმარტოხელა.

— ბატონო თეიმურაზ, გერასიმეს ვერაფერს ატყობთ?

— როგორ არ ვატყობთ!

— მერე?

— ექიმთან მივიყვანოთ.

— არაფრით არ შვრება.

— რატომ?

— კაცმა არ იცის.

— მე მოველაპარაკები.

თეიმურაზი გერასიმეს იმ დღესვე მოელაპარაკა. ბერიკაცმა ჯერ მასაც უარის თქმა დაუპირა, ექიმებთან რა მესაქმებაო, მაგრამ მერე, რა შეატყო, თეიმურაზი ამას სულით და გულით მთხოვსო, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა.

— ისეთს რას მატყობ, თეიმურაზ ჩემო?

— მე რას უნდა გატყობდე, მაგრამ ექიმს მაინც უნდა ეჩვენო.

— ა?

— ნამდვილად. ყველაფერს სიმართლის ცოდნა სჯობია. იქნებ სულ უბრალო რამე გჭირს.

— ყველა მაგას მეუბნება.

— ჰოდა, მით უკეთესი. დავრწმუნდეთ. გავიგოთ და იმკურნალე. მაგაზე ადვილი რაღა არის?

— შენი ნება იყოს. სავენტილაციო შტრეკში პატარა საქმე მაქვს. მივხედავ და...

— კარგი. წადი. მე აქ დაგელოდები.

გერასიმე შახტიდან ძალიან მალე გამობრუნდა. ალბათ, იმ საქმის გაკეთება ამხანაგებმა აღარ დაანებეს. საშხაპეშიც ცოტა ხანს დაჰყო , ჩაიცვა და სამორიგეოში თეიმურაზს მიაკითხა.

გერასიმე ცნობილაძე მთელს ქალაქში ცნობილი და პატივცემული მეშახტე იყო. ქალაქის პოლიკლინიკაში ძალიან გულდასმით გასინჯეს. ბოლოს თერაპევტმა სერაპიონ ჩიჯავაძემ ხმამაღლა ამოიხვნეშა, გერასიმეს მოკლედ უთხრა, ჩაიცვიო და თეიმურაზს შეჰხედა.

— გამოსაკვლევად უნდა დავაწვინოთ.

— აუცილებელია?

— დიახ!

გამოსაკვლევად გერასიმე ქალაქის საავადმყოფოში დააწვინეს. ერთი კვირის შემდეგ კი, იმავე სერაპიონ. ჩიჯავაძემ თეიმურაზს უთხრა, ბერიკაცს ღვიძილის კიბო სჭირს და განკურნების არავითარი იმედი არ არისო.

## თ ა ვ ი XXIV

რამდენიმე თვის წინათ, როცა თანამდებობიდან ისე განუკითხავად მოხსნეს და მრავალი წლის თავდადებული შრომით მოპოვებული მდგომარეობა, სახელი და პატივისცემა წყალში გადაუყარეს, ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს ეგონა, ბევრი გაჭირვების მნახველიც კი ვარ, მაგრამ, ალბათ ესაა ყველაზე დიდი სიმწარე, რაც ამ ცხოვრებაში უნდა შემხვედროდა და აჰა, შემხვდა კიდეცო. ახლა კი, როცა კაიმამიშვილმა კრებაზე შავი დღე აყარა და თითქმის მთელი შახტი დააჯერა, — ხელთუფლიშვილი თავის ყოფილ უფროსებზეა განაწყენებული, იმათ ვერაფერი დააკლო და ახლა ინტრიგებს მე მიწყობსო, — ჯიბრაილი მიხვდა, რომ ძალიან ძნელი გადასაწყვეტი ყოფილა, თუ ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიმწარე, როდის და რატომ შეგვხვდება.

კრებიდან ჯიბრაილი პირდაპირ გაოგნებული წამოვიდა. ამხანაგებს, — სწორედ იმათ, ვისი გულისთვისაც ასეთ დღეში ჩააგდეს. — ისე დაშორდა, რომ აღარც კი ახსოვს, დამშვიდობებისას რაიმე უთხრა, თუ არა. თითქოს ეს წაილუღლუღა, თავის მართლებას ჩვეული არა ვარო, და ავტობუსში ავიდა. მთელი გზა, სანამ ძველი, ერთიანად მორყეული და ჭრიალა ავტობუსი ქალაქის ვიწრო, აღმართ-დაღმართიან და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში მიჯაყჯაყებდა, ჯიბრაილი გაუნძრევლად იდგა უკანა კარებთან, გარეთ იცქირებოდა და ხედვით კი ვერაფერს ხედავდა, აღარც ის ახსოვდა, თუ როგორ მოისაზრა, რომ მისი ჩამოსვლის დრო მოსულიყო. ავტობუსიდან ჩამოვიდა, — მერე-ღა გაახსენდა, რომ ბილეთი არ უყიდნია, — და ქვაფენილს გაჰყვა. თავში ახლა მხოლოდ ეს ფიქრი უტრიალებდა, როგორ მოვახერხო, რომ ირინემ ვერაფერი შეამჩნიოს და ვერ მიხვდეს, რომ ასე საჯაროდ გამოძლანძღეს და თავს ლაფი გადამასხესო. ჯიბრაილს ახლა სწორედ ისღა აკლდა, რომ ირინეს თვალშიც დამცირებულიყო. მაგრამ ვერაფერი მოისაზრა. წინათ, რა ძნიმე საწყენიც არ უნდა შეხვედროდა, იმას მაინც ყოველთვის ახერხებდა, რომ უკუღმართი ფიქრები თავიდან მოეშორებინა და სახლში მხნედ და მხიარულად მომღიმარე, გუნება გამართული შესულიყო, ახლა კი...

რაღაც იღბლად. ირინე სახლში არ დახვდა, სამზარეულოს მაგიდაზე წერილი იდო, — გოგუტუნა ამხანაგის დღეობაზე წავიყვანე, შენთვის მაგიდა გაშლილია, ისადილე და მოისვენე, ჩვენც მალე მოვალთ და შენ თუ ძალიან დაღლილი არ იქენი, ცოტა ამ საღამოსაც წავიმეცადინოთო.

ირინე ისევ იმ დასაწვავ ატესტატზე ფიქრობდა! ამ ქალს მეტი არაფერი ადარდებდა.

ჯიბრაილმა ამოიოხრა. აბაზანაში შევიდა, ხელპირი დაიბანა და ისევ სამზარეულოში შებრუნდა. ირინეს მაგიდაზე თავ...ებური ლაზათით დაელაგებინა ორი თხელი ჭადი, თონის პურის ნაჭრები, ლანგარით ჩახოხბილი ქათამი, ყველი, მწვანილი, „ვარციხის“ ნაკლულა ბოთლი და პატარა ბროლის გრაფინით ჯიბრაილის საყვარელი ვარდისფერი „ოჯალეში“ ჯიბრაილს საჭმელზე ფიქრიც კი არ შეეძლო. კონიაკის ბოთლი კი შეათვალიერა, სირჩა გაივსო და გადაჰკრა. ერთ ხანს გაუნძრევლად იცქირებოდა ფანჯარაში, მერე კიდევ ერთი სირჩა კონიაკიც დაისხა, გადაჰკრა და სამზრაეულოდან გამოვიდა.

თავის ოთახში ტახტზე წამოწოლილს მძიმე ფიქრები მიეძალნენ.

ამ შახტზე ჯიბრაილი ახალი კაცი იყო. აქაური ხალხი არ იცნობდა და ალბათ, ბევრი დაიჯერებდა, რომ ის ყველაფერი, რაც კაიმამიშვილმა კრებაზე მოჩმახა, სიმართლე იყო. მით უმეტეს, რომ ჯიბრაილი მართლაც დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით დაიბნა და თავის მართლება ვერც კი მოახერხა. ახლა რაღა უნდა ექნა? ამდგარიყო, ამ შახტს გასცლოდა და სადმე სხვაგან გადასულიყო? ამაზე უარესს ვერაფერს იზამდა. მაშინ ყველა ირწმუნებდა, ჯიბრაილს კაიმამიშვილმა ხრიკები მართლაც დროზე გაუგო და იძულებული გახდა, უბანს გასცლოდაო. თანამდებობიდან მოხსნილ და პატივაყრილ კაცზე ხალხი ხომ ყველაფერს ადვილად იჯერებს. ჯიბრაილს მართლაც ინტრიგანის, ან ცხოვრებისაგან გამწარებული და ყოველგვარ სისაძაგლეზე ყაბული კაცის სახელი მიეკერებოდა და სადაც უნდა წასულიყო, თან წაჰყვებოდა.

არადა, აღარც ამ უბანზე დარჩენა შეეძლო. ჯიბრაილს პირდაპირ ცეცხლი ეკიდებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ხვალ დილით ისევ კაიმამიშვილს უნდა ხლებოდა, მისგან დავალება უნდა მიეღო, შახტში ჩაშვებულიყო და ემუშავა. წარმოიდგინა, როგორ ახითხითდებოდნენ კაიმამიშვილი და მისი ავან-ჩავანები, როგორც კი ჯიბრაილი სამორიგეოდან გავიდოდა, და სიმწრისაგან კბილები გააკრაჭუნა. იმ სინდისისაგან გარეცხილებმა ხომ მშვენივრად იცოდნენ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბრაილი ყველაფერში ცამდე მართალი იყო, მაგრამ ამათ გაიმარჯვეს. ახლა თუ ჯიბრაილს ამ უბანზე დარჩენა უნდოდა, კრიჭა უნდა შეეკრა და ყველაფერი მოეთმინა, მაგრამ ჯიბრაილს ამისთანები როდის შეეძლო? როდის იყო, რომ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი უსამართლო მოპყრობას და აბუჩად აგდებას იტანდა?

რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა: ჯიბრაილი მართლაც წინ წასძღოლოდა იმ მეშახტეებს, კაიმამიშვილი და მისი ავანჩავანები რომ ჩაგრავდნენ, და ყველა ის უკულმართობა მართლაც სააშკარაოზე გამოეტანა. მაგრამ ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. კაიმამიშვილის უბანს საერთოდ კარგი მაჩვენებლები ჰქონდა, მისი მუშაობით შახტის უფროსიცა და ტრესტიც კმაყოფილნი იყვნენ, და ჯიბრაილს მასთან ბრძოლა ნამდვილად გაუჭირდებოდა. ან გააგრძელებდა კი ახლა კაიმამიშვილი ძველებურად ყალთაბანდობას? თუ სულ ცოტა ჭკუა მაინც ჰქონდა, ახლა პატარა ხნით თავს შეიკავებდა და უსამართლოდ აღარავის მოექცეოდა. ესეც რომ არ იყოს, ის მეშახტეები, ახლა რომ კაიმამიშვილით უკმაყოფილონი იყვნენ, ყველა ვაჟკაცური და გამტანი ხალხი იყო? ჯიბრაილს იმ ბრძოლაში ბოლომდე გაჰყვებოდნენ? ვინ იცის... უბანი კაიმამიშვილის ხელში იყო, დღეს ერთს მოიმადლიერებდა და ხვალ მეორეს, ჯიბრაილისათვის კი, შეიძლებოდა, ბოლოსდაბოლოს ყველას ზურგი შეექცია. ჯიბრაილი ხომ ხეირიანად ერთ მათგანსაც კი არ იცნობდა.

მაგრამ იმასაც თავი დავანებოთ, ვთქვათ, ყველანი ვაჟკაცურნი და გამტანნი არიან. ჯიბრაილი განა იმისათვის გადავიდა იმ შახტზე, რომ ყველაფერში ჩაჩრილიყო და მთა და ბარი გაესწორებინა? არა, ღმერთია მოწამე, არა! ჯიბრაილს ახლა მოსვენებული ცხოვრება უნდოდა. მეტი არაფერი. თავისი ცოლ-შვილის სამყოფს ყოველთვის იშოვნის, სხვა კი მას არაფერი უნდა. ნუთუ არ შეიძლება, რომ მოასვენოს და წყნარი ცხოვრების საშუალება მისცენ?

მაგრამ — არა! ახლა ესეც აღარ შეიძლება. ჯიბრაილი უკვე შეურაცხჰყვეს, ჩაითრიეს... ახლა უკან დახევა გვიანღაა. რა გზას დაადგეს?

ჯიბრაილი ბარე ხუთჯერ წამოდგა, სამზარეულოში გავიდა და „ვარციხის" ბოთლი მთლად გამოსცალა. მაგრამ სასმელი არ ეკიდებოდა. ადგილსაც ვერ პოულობდა და თავის ოთახსა და სამზარეულოს შუა გალიაში გამომწყვდეული ნადირივით დაწრიალებდა. როგორ სჭირდებოდა ახლა ვინმე, ვინც რაიმე სანუგეშოს ეტყოდა და ამ ჯოჯოხეთიდან გამოსავალს უჩვენებდა.

ირინესა და გოგუტუნას დიდად არ დაუგვიანიათ. ათი საათი თუ იქნებოდა, როცა შემოსასვლელ კარებში გასაღებმა გაიჩხაკუნა. ერთი წუთის შემდეგ გოგუტუნამ ხუჭუჭა თავი ჯიბრაილის ოთახში შემოჰყო, მამის დანახვაზე რაღაც გაუგებარი და მხიარული წამოიჭყლოპინა, გამოიქცა და კისერზე ჩამოეკიდა. იმავე წუთს კარებში ბედნიერად, მხიარულად მომღიმარე ირინეც გამოჩნდა. რაღაცით ისე იყო ნასიამოვნები, რომ სახეზე პირდაპირ ნათელი გადასდიოდა. ჯიბრაილს მრავალმეტყველი და ხალისიანი ღიმილით თავი დაუქნია და ჩქარი ნაბიჯით თავის ოთახში შევიდა. ალბათ, თავისი ჩვეულებისამებრ, ხელჩანთას საწოლზე მიაგდებდა და მაშინვე ჯიბრაილთან შემობრუნდებოდა. მუდამ ასე იცოდა, როცა სახლში ჯიბრაილზე გვიან მოვიდოდა ხოლმე.

იმ დილით ირინემ ქუთაისიდან წერილი მიიღო. დარეჯანი წერდა, რაც თქვენ წახვედით, ქაიხოსროს ერთხელაც აღარ გაუღიმია, სულ გოგუტუნას ხსენებაშია და ასე ამბობს, ეს ამხელა საცხოვრებელი რისთვის მინდოდა, თუ სიბერეში ჩემი შვილების ნახვა ასე სანატრელი გამიხდებოდაო; სულ ამას ამბობს, რა დაჰკარგვიათ იმ შახტებში, ჩამოვიდნენ და აქ ერთად ვიცხოვროთ, მადლობა ღმერთს, შიმშილით არ მოვკვდებით და ბავშიც აქ უკეთ გაიზრდებაო.

ირინემ პასუხი სამსახურშივე დასწერა. დარეჯანსა და ქაიხოსროს უთვალავი მოკითხვა და კოცნა შეუთვალა, რაღა

თქმა უნდა, გოგუტუნას და ჯიბრაილის მაგივრადაც და თან ისიც მისწერა, თქვენთან ყოფნა ჩვენც ძალიან გვინდა, მაგრამ ახლა მეცა და ჯიბრაილიც მეტად პასუხსაგებ თანამდებობებზე ვართ, აქაურობის მიტოვება საერთო საქმის ღალატი იქნება და ვერ ვიზამთ, თანაც ჯიბრაილს მალე გამოცდების ჩაბარება ეწყება და სულ ვეღარ მოიცლის, მერე ვნახოთ, ჩვენ ყოველნაირად შევეცდებით, რომ თქვენთან რაც შეიძლება, ხშირად ვიყოთ.

წერილი შესვენებისას გაგზავნა. მერე სამსახურის საქმეები მოათავა, სახლში ჯიბრაილს სუფრა გაუშალა და ახლა გოგუტუნასთან ერთად დღეობიდან დაბრუნდა. ისე კარგ და უზრუნველ ხასიათზე იყო, როცა ადამიანს არც კი წარმოუდგენია, რომ შეიძლება ამ ცისქვეშეთში ვინმეს რაიმე აწუხებდეს და იმასაც კი ვერ ამჩნევს, რომ უახლოეს ადამიანს რაღაც მძიმე დარდი შემოსწოლია.

უკვე ათი საათი ხდებოდა. ირინემ გოგუტუნა დასაძინებლად გაიყვანა, დააწვინა, სინათლე ჩაუქრო და ჯიბრაილთან შემობრუნდა.

— ჩაის დალევ?

— არა. არ მინდა.

— მაინც წამოდი და იქ დაჯექი, ვილაპარაკოთ.

— ჩაი დღეობაში ვერ დალიე?

— სულ ბავშვები იყვნენ. ჩვენთვის ვის ეცალა!...

— მოვალ.

ირინე სამზარეულოში გავიდა და ჩაიდანი დადგა. ჯიბრაილიც წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და სამზარეულოში გავიდა. ძალიან ცდილობდა, გუნება გამოესწორებინა და გარეგნულად მაინც უზრუნველი სახე მიეღო, მაგრამ ვერ ახერხებდა. თვითონაც გრძნობდა, როგორ პირქუშად გამოიყურებოდა. სამზარეულოში მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩაიგდო.

— დაღლილი ჩანხარ, — ირინემ ქმარს თავზე ხელი გადაუსვა და კარადიდან ჭურჭლის გამოლაგებას შეუდგა. — მაგრამ არა უშავს. წინათ ხალხი შახტებშიც მუშაობდა და მუშფაკებშიც სწავლობდა. რა, ისინი ჩვენზე უკეთესები იყვნენ?

ირინემ მარტო ის შეამჩნია, რომ ჯიბრაილი დაღლილი იყო.

— შენმა გოგომ დღეს ძალიან დრო ატარა, რომ გენახა, რა ამბავში იყო!.. იქაურობა აიკლო. შენ ნახე, ჯიბრაილ,, გოგუტუნამ ეს ქვეყანა ან სულ თუ არ დააქციოს, ან თუ სულ არ ააშენოს. დიდი ქრისტეს ფეხის მკვნეტელი იზრდება.

— მაინც რა, რას შვრებოდა?

— შენ ის იკითხე, რაღას აღარ შვრებოდა! ყველაფრის მოთავე და ყველაფრის განმკარგულებელი ეგ ბრძანდებოდა. სხვა ბავშვები სულ გუნდ-გუნდად უკან დასდევდნენ. რაც ეგ ამ საღამოს მანუჩარმა და ლეილამ კოცნეს... მანუჩარი სულ ამას ამბობდა, ასეთი საყვარელი ბავშვი ჯერ არ მინახავსო. სულ ხელში ატატებული დაჰყავდა.

ჩაიდანი უკვე დუღდა. ირინემ თავისთვის ჩაი დაისხა და ჯიბრაილს შეჰხედა:

— მართლა არ დალევ?

— არ მინდა.

— ციც! — ირინემ ჯიბრაილს თითი დაუქნია. — თავს ნუ იმკვდარუნებ. ამაზე უფრო დაღლილიც მოსულხარ. საშაქრე მომიწიე.

ჯიბრაილმა საშაქრე მიუწია. ირინემ ჩაი დაშაქრა და ჯიბრაილს ეშმაკურად შემოსცინა.

— კარგი! დღეს მიპატიებია. ოღონდ სულ არა. აი, სანამ მე ჩაის დავლევდე, მოიფიქრე და მიპასუხე: ვინ იყვნენ ქართველი ხალხოსნები, რა გააკეთეს და რა შეცდომები ჰქონდათ. გესმის? ამაზე იოლი შეკითხვა რაღა იქნება? აბა!...

ირინემ ჭიქა პირთან მიიტანა და ჯიბრაილს ეშმაკური ღიმილით მიაჩერდა.

რაც ამის შემდეგ მოხდა, იმას თვითონ ჯიბრაილიც არ მოელოდა. იგი უეცრად ზეწამოიჭრა, აბოლებული სიგარეტი მაგიდაზე დააგდო სამზარეულოდან გავარდა და კარი გაიჯახუნა.

ერთად ცხოვრების მანძილზე ჯიბრაილი ირინეს ასე უდიერად პირველად მოექცა. ირინეს ლოყები შეეფაკლა. ჭიქა

ნელა დადგა მაგიდაზე ,წამოდგა, კართან მივიდა და ჯიბრაილის ოთახისაკენ გაიხედა. ქმარი ვერ დაინახა. მეორე კარი უშლიდა. ნელა მობრუნდა, მაგიდას მიუჯდა და ჭიქა გვერდზე გასწია. ჩაის თავი მას აღარა ჰქონდა. იმავე წამში გაუელვა, ხმაურმა გოგუტუნა ხომ არ შეაშინაო. სწრაფად წამოდგა და ბავშვის ოთახში გავიდა. გოგუტუნას უშფოთველად ეძინა. ირინემ ბავშვს საბანი გაუსწორა და თავის ლოგინზე ჩამოჯდა. დაინახა ჯიბრაილის ოთახში სინათლე როგორ ჩაქრა. ამოიხვნეშა. „ძალიან დაღლილია, — გაიფიქრა ჯიბრაილის მისამართით, — მაგრამ აწი რამდენჯერაც დაიღლება, იმდენჯერ ასე უნდა მომექცეს?“

ამ კითხვის პასუხი ვერ იპოვნა. ფრთხილად გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

ის ღამეც ცოლმაც და ქმარმაც თავიანთ ლოგინში თეთრად გაათენეს. არცერთის თვალებს ძილი არ მიჰკარებია. ირინემ ერთი პირობა ჩუმად წაიტირა კიდეც, ეგ როგორ გამიბედაო. მაგრამ გოგუტუნას გაღვიძების შეეშინდა და ცრემლი შეიშრო.

## თავი XXV

გერასიმე ცნობილაძის მდგომარეობა მალე ქალაქის საავადმყოფოს ყველა ექიმმა უიმედოდ სცნო. ბერიკაცის საავადმყოფოში წოლას აღარავითარი აზრი აღარა ჰქონდა. რვა კაცისთვის ნავარაუდევ პალატაში ისედაც თერთმეტი ავადმყოფი იწვა. მათი ნათესავები, მომვლელები და მნახველები ერთმანეთს გვერდს ვაღარ უქცევდნენ ხოლმე. სერაპიონ ჩიკვაიძემ გერასიმეს ცოლსა და შვილებს ურჩია, ავადმყოფი სახლში გადაიყვანეთო. სახლში გერასიმე თვითონაც უფრო მოსვენებით იწოლებოდა, თავზე მდგომებს მიხედვა გაუადვილდებოდათ, მნახველებიც უფრო ხალვათად იქნებოდნენ, ნემსის გასაკეთებლად კი ექთანი საავადმყოფოდან ივლიდა. ჰოდა, სულ ეს-ღა იყო, რაც გერასიმე ცნობილაძეს ამ ქვეყნად კიდევ სჭირდებოდა. ბერიკაცი სახლში გადაიყვანენ. დამშვიდობებისას სერაპიონ ჩიკვაიძემ გერასიმეს უფროსი ვაჟი და თეიმურაზი დაიმარტოხელა და უთხრა, რა თქმა უნდა. სახლშიც მოვიკითხავთ ხოლმე და ყურადღებას არ მოვაკლებთ, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ, მაგის გამოჯანმრთელებაზე ფიქრიც კი ზედმეტია; სიცოცხლით კი შეიძლება კიდევ ორიოდე თვე იცოცხლოს და რაც მოითხოვოს, ნურაფერს მოაკლებთ, მაგრამ ახლა აღარც რამე მოუხდება და აღარც რამე აწყენსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერიკაცი სახლში გადაიყვანეს.

როგორც ყველა კიბოთი დაავადებულს, გერასიმესაც უმალავდნენ, რომ ეს უკურნებელი სენი სჭირდა. ბერიკაცს კი ეს თითქოს აღარც კი აინტერესებდა. იგი ძალიან მშვიდად, გარშემომყოფთათვის სრულიად შეუმჩნევლად შეურიგდა იმ აზრს, რომ ფეხზე წამოდგომა აღარ ეწერა. თითქმის აღარაფერს სჭამდა, აღარაფერი ახარებდა და არც თუ რაიმეს ნაღვლობდა. ერთხელ ცრემლმორეულ ცოლს ძალიან მშვიდი კილოთი უთხრა, რა გატირებს, ხომ იცი, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართო, — კედლისაკენ გადაბრუნდა და ჩაძინება სცადა.

მნახველები არ ელეოდნენ. წინა ოთახში ხუთი თუ ექვსი ადამიანი ყოველთვის იჯდა. ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ხშირად ოხრავდნენ და ამით გერასიმეს ცოლ-შვილს განწყობილებას კიდევ უფრო უმძიმებდნენ. მაგრამ ამათ იმისი თავიც კი აღარ ჰქონდათ, რომ გულშემატკივრებისათვის ჩაეგონებინათ, ჩვენ თუ არა, ავადმყოფს მაინც მოერიდეთო, თქვენი ოხვრა და გმინვა იმასაც ესმისო...

ბერიკაცი თვალდათვალ დნებოდა. სუნთქვა სულ უფრო და უფრო უჭირდა, საჭმლის ხსენებაც კი აღარ უნდოდა. შინაურები კი სულ უფრო და უფრო აშკარად გრძნობდნენ და ხედავდნენ, რომ ადამიანი, რომლის დანახვაც სამარის პირად მდგარ ბერიკაცს ყველაფერზე უფრო ახარებდა, და საამქვეყნო იერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა თუ განწყობილებას დროებით მაინც უბრუნებდა, ახალგაზრდა ინჟინერი თეიმურაზ არჯევანიძე იყო.

თეიმურაზის შესვლაზე გერასიმეს შინაურები — უძილობისა, დაღლილობისა და უიმედობისაგან ქანცგაწყვეტილი ცოლი და შვილები — მყისვე წამოიშლებოდნენ ხოლმე. თეიმურაზს საწოლის გვერდით მდგარ სკამს გაუნთავისუფლებდნენ. საჭმელს, ხილს ან ცივ ღვინოს შესთავაზებდნენ, გერასიმეს საბანს თუ სასთუმალს გაუსწორებდნენ და ოთახიდან გადიოდნენ. მათ უკვე იცოდნენ, რომ ახალგაზრდა ინჟინერთან მასლაათი ბერიკაცს ძალიან სიამოვნებდა და, სანამ თეიმურაზი მასთან იჯდა, თითქოს ტკივილებიც კი ავიწყდებოდა.

გერასიმე ბალიშს თვითონაც გაისწორებდა ხოლმე. სახეზე უსაშველოდ გამხდარ, ძალაგამოცლილ ხელებს დაიწყობდა და თეიმურაზს სუსტი, უძალო ღიმილით გაუღიმებდა.

— გმადლობ, თეიმურაზ ბატონო! არ მივიწყებ ბერიკაცს... გმადლობ! დაბრძანდი, ახლავე ცივ ღვინოს მოგართმევენ. თუ გშია, ნურც მაგას დამალავ. მე პირში არაფერი ჩამდის, თორემ მეც მხარს აგიბამდი. ა?

— გმადლობთ, ბატონო გერასიმე! არაფერი მინდა. ეს-ესაა, ვისადილე.

— ისადილე? ჰო... ვერ გიქნია კარგი საქმე. მაგ ჩვენი სასადილოს საჭმელს რა გემო უნდა ჩაატანო! თუ ხვალაც გაგახსენდე, უჭმელი მოდი, გადამდები, მგონი, არაფერი უნდა მჭირდეს. მამაშვილობას, ძალიან მასიამოვნებ. ამ ჩემიანებსაც საქმე გაუჩნდებათ, თორემ სულ ჩემზე ფიქრმა შეაწუხათ და ეგ არის. ადამიანები მომაკვდავები ვართ, ამის გაგება კი არავის უნდა.

ბერიკაცი ხშირად ზერელედ სუნთქავდა და თეიმურაზს ალერსიანი თვალებით მისჩერებოდა.

— რა დროს თქვენი სიკვდილია, ბატონო გერასიმე!

— აღარც უდროსია, ჩემო!.. რა მკლავს, ის ვერ გავიგე, თორემ რომ ვკვდები, ამას კი ვხედავ. თქვენ არ მიმალავთ და არ მეუბნებით, ანდა თვითონაც არაფერი იცით. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს! გინდა მგელს შევუჭამივარ და გინდა მგლისფერ ძაღლსო, ხომ გაგიგონია, სხვა რას შვრებით და როგორა ხართ?

— არა გვიშავს, ვცოცხლობთ.

— მთავარიც ეგ არის. ცოცხალი კაცი ყველაფერს მოერევა. ბრალი ჩვენი, მიცვალებულების... ა? ჩვენ აღარაფერი შეგვიძლია. სხვა? ბიჭები როგორ არიან? ზოგი მოდის, მნახულობს, ზოგმა კი უკვე გადამივიწყა. რას იზამ!.. ზოგი შეყვარებულია და პაემანზე მიეჩქარება, ზოგს გულზე არასოდეს ვეხატებოდი და ახლა თავი რატომ-ღა გამოიდოს!.. ზოგი კი ყოველდღე აქაა... გრიშა ოდიბაშევი ისე არ მოვა, რომ ან ხიზილალა არ მოიტანოს ან სხვა რამე მაგისთანა უსაშველო და გაუგონარი. ცოტა ავარდნა იცის, თორემ, თუ კარგად დაუკვირდი, ეგ ბიჭი ცუდი სულაც არ არის. ამას სიმართლის გულისათვის ვამბობ, თორემ ის ხიზილალას კოლოფები, ეგერ, ისევ ხელუხლებელი ჰყრია და ჩემს ქელეხში, ალბათ, ისევ გრიშა და მისი ძმაკაცები შესჭამენ. პირის გემო მაგათ კარგად იციან.

— ქელეხი რაღა სახსენებელი იყო, ბიძია გერასიმე!

— ა? ვითომ? ეჰ, ჩემო კარგო! შენ თუ გგონია, ასე ლაპარაკი მეხალისება, მაგრამ...

გერასიმემ თვალები დახუჭა და გაირინდა.

ოთახში შემოვიდა გერასიმეს უფროსი რძალი, ცისფერთვალება ლიანა. ამაზე ამბობდნენ, გერასიმეს ამბით ხომ ყველა დამწუხრებულია, მაგრამ ყველაზე მწარედ მაინც ლიანა განიცდის, ზოგისთვის ასე საკუთარი ქალიშვილიც კი არ შეწუხდებაო. ქალს ლანგარით ღვინო და ხაჭაპური მოჰქონდა. თეიმურაზს უძილობისა და დარდისაგან ჩაწითლებული თვალებით შეჰხედა, ლანგარი პატარა მრგვალ მაგიდაზე დადგა და მაგიდა თეიმურაზს მიუწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიირთვით.

— გმადლობთ! ნუ სწუხდებით.

ლიანამ თვალდახუჭულ, გარინდულ გერასიმეს სახეზე ყურადღებით დაჰხედა და გავიდა.

— მიირთვით, თეიმურაზ ბატონო! — თვალგაუხელელად უთხრა გერასიმემ.

— გმადლობთ, გეახლებით. — თეიმურაზმა მართლაც აიღო ხაჭაპურის ნატეხი, არ უნდოდა, მაგრამ მაინც ჩაკბიჩა.

— ჰაი გიდი! — გერასიმემ თვალები გაახილა, — აღარც ხაჭაპური მინდა და აღარც ფერსათის ღვინო. აი, სიცოცხლეც ამას ჰქვია!

თეიმურაზმა ღვინოც დაისხა და ცოტა მოსვა.

— მიირთვი, შვილო. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მაგრამ... მე განა ცოტა ვიცოცხლე? სამოცდაათს ხომ ბევრი აღარ მიკლია. მაგრამ უკან რომ მოვიხედავ, ხელში აღარაფერი მრჩება. მოკლეა ეს წუთისოფელი, თეიმურაზ ჩემო! ძალიან მოკლეა. ახლა... რაღაცა უცნაური მემართება. შევბულებაში რომ მივდიოდი, სიტყვაზე, წყალტუბოში, ან სადმე სხვაგან, ცოლ-შვილს წინ დავისვამდი და ათას რამეს დავუბარებდი ხოლმე. ეს ასე ჰქენით და ის ისე ჰქენით-მეთქი. ახლა იმნაირ ხასიათზე ვარ, მაგრამ ლაპარაკი აღარ შემიძლია. ან ვის რა დავაბარო? ღვთით ყველაფერი მოწესრიგებულია, ოღონდ... ეგერ, მარტო შენ მრჩები დაუქორწინებელი, ა? — და გერასიმემ ისევ სუსტად, უმადლოდ გაიღიმა. — გული აღარავიზე შეგივარდა?

— რა მოგახსენოთ... ჯერ, მგონი, არა.

— გოგოლა ხომასურიძე დაგვიწუნე?

თეიმურაზს გული შეუხტა. მთელი ეს ხანი გაუთავებლად, დღედაღამე მართლაც გოგოლაზე ფიქრობდა და არ იცოდა, იმ საქმისათვის რა სალბუნი დაედო. გოგოლაც დაჰპირდა, მოვალო, მაგრამ არ მოდიოდა. იმ დღის მერე ერთმანეთი აღარც უნახავთ. მაგრამ ბერიკაცმა ეს ყველაფერი საიდან გაიგო?

გერასიმე თეიმურაზს მისჩერებოდა და იღიმებოდა.

— დაგვიწუნე, ხომ?

— მე...

— არა, შვილო. — გერასიმემ ღიმილი გაიქრო. გოგოლა რა შენი შესაფერისია.

და გერასიმე ისევ დადუმდა. თვალები დახუჭა. ისევ აჩქარებით და ზერელედ სუნთქავდა. თეიმურაზს ახლა გოგოლაზე ლაპარაკი და ბერიკაცისაგან რაიმე ჭკვიანურის მოსმენა ყველაფერს ერჩია, მაგრამ... არა, ეტყობოდა, გერასიმეს ტკივილები ძალიან მოეძალნენ. ბერიკაცმა რამდენჯერმე ხმადაბლა ამოიგმინა. თეიმურაზმა წამოდგომა და ვინმეს დაძახება დააპირა. იქნებ, სწორედ დროც იყო. ავადმყოფისთვის წამალი შეეშხაპუნებინათ. მაგრამ გერასიმემ თვალები ისევ გაახილა და თეიმურაზს ხელით ანიშნა, იჯექი, არაფერი მინდაო, ალბათ, ტკივილი ცოტა ხნით გაუყუჩდა.

მაინც, რა სწრაფად აკეთებდა ის წყეული კიბო თავის საქმეს? თეიმურაზს თავში ახლა სულ ეს ფიქრი უტრიალებდა, ბერიკაცი შეიძლება ყოველ წუთში მოკვდესო.

— დაგღალე ჩემი ბებრული ლაპარაკით, ხომ? — გერასიმემ უძალო ხელით თავქვეშ ბალიში გაისწორა, — წადი, შვილო. განა მე არ ვიცი, შენისთანა ახალგაზრდა კაცისთვის მომაკვდავ ბერიკაცთან ჯდომა რანაირი სასჯელიცაა. ნუ მომერიდები, წადი. მერე, თუ მოგენატრო, ისევ მოდი. მე ისევ აქ დაგხვდები. ვეღარსად წავალ...

— მე არსად მეჩქარება, ბიძია გერასიმე.

— აბა — იჯექი. შენი ნებაა..

. . .

მეორე დღეს, შუადღისას გერასიმეს სახლისკენ მიმავალ თეიმურაზს, ქუჩიდან გადაუხვია თუ არა, სახლიდან ქალების გაბმული წივილ-კივილი მოესმა. გერასიმე დილის თერთმეტ საათზე მომკვდარიყო.

მეორე წიგნის პირველი ნაწილის დასასრული

ნარკვევები [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# გზანი მშვიდობისანი

## ფერისცვალება სვანეთის მთებში...

ამ სამიოდე წლის წინათ „ელნათურების ლაშქარი შემოესია სვანეთს"

შარშან შემოდგომაზე ცისფერი ტელევიზორი აციმციმდა მესტიის რაიონში.

მიმდინარე საიუბილეო წელს გადაწყდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა — დამთავრდა მესტია-ზუგდიდის გზის მშენებლობა. აღსრულდა ადგილობრივ მკვიდრთა ძველთაძველი ოცნება — „ლომის ხეობის" კლდეკარებმა საუკუნოდ განახვნეს თვისი ქიშკრები.

ერთი სიტყვით, ეს განვლილი ჟამი სასწაულმოქმედებათა ჟამი გახლდათ სვანეთისათვის.

მაგრამ... ნათქვამისა არ იყოს — „ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო..."

ნარკვევში — „გზანი მშვიდობისანი ანუ ფერისცვალება სვანეთის მთებში", სწორედ ამ გარდაქმნებსა და სიძნელეებზეა მოთხრობილი.

* * *

ყოველთვის უცნაურ განცდებთან იყო დაკავშირებული სვანეთში „ქვედა გზით" მგზავრობა. მითუმეტეს თუ მგზავრი მთათა ქვეყნის ამბებში კარგად იყო გარკვეული. მოეხსენებოდა, რა რისკსა და ხიფათებთან იყო დაკავშირებული სულ რაღაც ასიოდე კილომეტრის გავლა „ლომის ხეობაში".

ჯვარიდან გასული, როგორც კი ლაბერაშს მიაიტოვებდი უკან, რომლის ენგურისპირა ახემზედაც ძველისძველ სამანად შემოხკუპებულა უპატრონობისაგან ცალგვერდჩამონგრეული სვანური მურყვამი, და ენგურის ხეობას შეუყვებოდი ალმა, უცბად საიდანღაც გამოტყვრებოდა ეშმაკი, სათუთად ნალოლიავებ ზღაპრულ ხილვებსა და ოცნებებს თავის მზაკვრულ ხელს მოუფათურებდა, ყოველივეს არევ-დარევდა, ეგრეროგად გაილალებოდა სადღაც მშვენიერების ალქმის სურვილი და გრძნობა, მის ადგილას შიში და მღელვარება ისადგურებდა.

მეტადრე წინა წლებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ენგურჰესის სამმართველოს მიერ ჯვარი-ხაიშის მონაკვეთზე გზის მშენებლობა, ამ შიშს აორკეცებდა გზათაპირებზე ავბედითად ჩამორიგებული, ავარიაში მოხვედრილთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა ეპიტაფიები. სავალალო ამბებს იუწყებოდნენ ლაკონიური წარწერები: „გიორგობა ღამეს აქ აღესრულა ბეშქენ ბ-ნი ოჯახითურთ. ზღვამ შეიწირა მათი სული". ზოგიერთ მათგანს გზა ჩამზღვლეოდა, ზოგსაც შემხვედრი მანქანის ავლის დროს გადავარდნოდა მანქანა, სხვებისათვის მაღლიდან ჩამოვარდნილ ლოდებს მოესწრაფათ სიცოცხლე. ავარიაში მოხვედრილთა უმრავლესობა გივერგილ კიბოლანივით ენგურს ჩაერიყა ზღვაში და თავის მანქანიანად უგზო-უკვლოდ მიელამა სადღაც.

### წარსულის ქრონიკიდან.

„მაღალი შავგვრემანი ბიჭი იყო. მშვიდი, აუჩქარებელი ლაპარაკი იცოდა. ღიმილისათვის იყო დაბადებული. პარასკევ დილით ზუგდიდში გაგზავნეს საავადმყოფოსათვის საქონლის ჩამოსატანად. იმდღესვე უნდა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობრუნებულიყო. მაგრამ, გავიდა შაბათი, კვირა, ორშაბათი... იგი არ ჩანდა.

„ალბათ მანქანა გაუფუჭდა, ანდა გზად ნათესავებს შეუარა სადმე...“ — თავს იმშვიდებდნენ მესტიაში ახლობლები. თვითონაც არ სჯეროდათ თავისივე ნათქვამისა, მაგრამ ხავსს ეჭიდებოდნენ. არავის არ სჯეროდა, რადგანაც ის მაღალი, შავგვრემანი ბიჭი უდარდელი და უპასუხისმგებლო როდი გახლდათ. სამსახურში ხუმრობით ჯარისკაცს ეძახდნენ. ჯარისკაცივით ფხიზელი იყო და ყველაფერს თავის დროზე აკეთებდა.

სამშაბათსაც ელოდნენ და ხუთშაბათსაც, ხოლო ხუთშაბათს ზუგდიდიდან ჩამოსულმა სვანებმა შემზარავი ამბავი ჩამოიტანეს. თქვეს, სალიშებს ქვემოთ მდინარის მიერ ნაპირზე გამორიყული ლეიბები ვნახეთო. ისინი, უბრალოდ, გაოცებულნი იყვნენ, ენგურს არასოდეს გამოურიყავს ლეიბებიო — გაიძახოდნენ. მართლაც არავის ახსოვდა, ენგურს ლეიბები გამოერიყოს. ეს იყო და ეს. მაგრამ იმ ბიჭის ნათესავებისათვის ერთი შეხედვით უბრალო და უცნაური ამბავი სულ სხვანაირად აჟღერდა. იგი გამოცანას ჰგავდა, ვას მოშქონდა ლეიბები მესტიაში?

იმ საბედისწერო წუთიდან დაიწყო მაღალი, შავგვრემანი, ლამაზი ბიჭის, შესანიშნავი ოჯახის პატრონი ვაჟკაცის — კარლო ხერგიანის ძებნა ენგურის ნაპირებზე. შავ ზღვამდე ჩაუყვნენ მდინარეს ბექნუ და მიხეილ ხერგიანები, გვარისა და სოფლის რჩეული ვაჟკაცები, ღამეები ათენეს დაღუპულის ძებნაში, ერთი მორევი არ დაუტოვებიათ მოუსინჯავი, მაგრამ ვერც შოფერი იპოვეს სადმე და ვერც მისი მანქანა...

ასე გაჩნდა მესტიის მიწაზე კიდევ ერთი „პირობითი საფლავი“.

* * *

იმ ამბის მერე თორმეტიოდე წელი გავიდა.

და, აი, ენგურის ხეობას ალმააყოლილს მწარე ფიქრები ამედევნა. მინდა როგორმე კავლალო თავიდან ისინი, მაგრამ ვეღარ ვახერხებ. შორიდან თითქოს მუჰარბი გირგულიანის ომახიანი შემოძახილი ჩამესმის. სად არის მუჰარბი გირგულიანი? აი, ამ მოსახვევთან გადაეკიდა სამარშრუტო ავტობუსი მდინარეში. სხვა მგზავრებთან ერთად, ენგურმა შთანთქა მთათა და მწვერვალთა ქვეყნის შვილი, ამჟამად კი ლატალში, მის მშობლიურ სოფელში, თარანგზელის ეკლესიის ეზოშია მისი „პირობითი საფლავი“.

ამ ორიოდე წლის წინ კი, რაიონში საყოველთაოდ ცნობილ ადამიანს, გამოცდილ ინჟინერს რაჟდენ ჭელიძესა და მის ბიძაშვილს უმტყუნა ბედმა. ხაიშის მისადგომებთან, იქ, სადაც ამჟამად მშვენიერი, ფართო დერეფნებია მოწყობილი, მათი მანქანა მკვეთრ და ცაცაბო მოსახვევში მოცურდა და ენგურისპირა ქანჩახზე გადაეყუდა.

ზღვამ შეიწირა რაჟდენ ჭელიძის სულიც.

და კიდევ ერთი „პირობითი სამარე“...

ჩაის საკრეფად გაუწვევიათ კომკავშირელ გოგონებს ბარში. მეზობელი რაიონის მეურნეობებს უნდა მიეხმარონ მოსავლის აღებაში. მთიელებს მიწის სიმცირისა და სიმწირის გამო, ბუნებრივი ხელმოკლეობის გამო, ხშირად უხდებოდათ ხოლმე სამონაგროდ ბარში მგზავრობა და სიარული. დროთა განმავლობაში მოგზაურობის ტრადიციასთან დაკავშირებული რწმენა და ჩვეულება ჩამოყალიბდა. ერთ-ერთ სიმღერაში, მაგალითად, ნათქვამია, რომ უცხო მხარეში მიმავალ ადამიანს მწყრის გუნდი თუ შემოხვდა გზად, უცილობლად უკან უნდა გამობრუნდესო. არავინ უწყის, შემოხვდათ თუ არა იმ დამეს ენგურის ხეობაში ბარისკენ მიმავალ გოგონებს მწყრის გუნდი, მაგრამ ერთი რამ კი, სამწუხაროდ, ფაქტია: ვეღარ ჩააღწიეს მათ დანიშნულ ადგილას...

საგზაო შემთხვევა ზოგჯერ შოფრის დაუდევრობით არის გამოწვეული. „შოფერი მთვრალი მართავდა საჭეს, ზედმეტი სიჩქარე განავითარა, მოძრაობის წესი დაარღვია და სხვა და სხვა...“ საგზაო შემთხვევათა ქრონიკა სავსეა მსგავსი ფაქტებით. მაგრამ სულ სხვაა, როცა შოფერი გამოცდილია, თავის სიმაღლეზე დგას, მობილიზებულია, მაგრამ... გზები ჩამზღვლეული და ჩახრამულია, დავიწროებულია და მანქანები გვერდს ვეღარ უქცევენ ერთმანეთს, ის კი არა, თავისუფალ გზაზეც კი ვეღარ ეტევა ხეირიანად, ცალი საბურავი უფსკრულშია გადაკიდული. მაღლიდან ლოდები ცვივა, შესაძლოა მთელი ბექი ჩამოიშალოს, მანქანა თავის მგზავრებიანად თან ჩაიტანოს მოუსავლეთში. ერთი სიტყვით, ათასი ხიფათია გზაში ჩასაფრებული. იმ ათასიდან, ვინ უწყის, სად და რომელი გამოუხტება ადამიანს? რა უნდა მოიმოქმედოს ამ შემთხვევაში შოფერმა? რა გამოსავალს მიმართოს? გამოსავალი კი ერთადერთია — სამუდამოდ მიატოვოს ეს ობერტიალი მანქანა და ეს წყეული გზები. დაჯდეს შინ თანატოლებთან, უფრო მშვიდობიან საქმეს ეწიოს. მაგრამ არტერიაში თუ სისხლის მიმოქცევა შეწყდა, რა სიკეთე ეწევა ორგანიზმს? სვანეთისათვის კი ენგურის ხეობაზე გაედინება ერთადერთი მასაზრდოებელი და მაცოცხლებელი არტერია. და იქ რომ მოძრაობა შეწყდეს, ყველამ „მშვიდობიან საქმეს“ მოკიდოს ხელი, რა ხეირი ექნება ხალხისათვის?

ალბათ თანდათან გასაგები ხდება ზემოთ ნათქვამი — უცნაურ განცდებთან იყო-მეთქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებული სვანეთში მგზავრობა საერთოდ და განსაკუთრებით კი იქაურ მკვიდრთათვის, რადგანაც მათ ეს სავალალო ამბები თავიანთ თავზე აქვთ განცდილი და გადატანილი. ამ შემთხვევაში კაცი ემსგავსება დასტაქარს, რომელსაც თვითონ დახვეწილი ოპერაცია და მშვენივრად უწყის, რა სიძნელესა და რისკთან არის იგი დაკავშირებული.

და, აი, გვამბრის კლდეებზე გაღწეულს, სადაც ათასი მისახვევ-მოსახვევისაგან შესაძლოა თავბრუ დაეხვეს ადამიანს, და საიდანაც თვალნათლივ მოჩანს უფსკრულებში მოდგაფუნე მდინარე, უეცრად მტრული გრძნობა შემომაწვა რატომღაც ენგურის მიმართ, ამ კლდეებისა და ქანჩახების მიმართ. თავში პოეტის სტრიქონები ამოტივტივდა:

„ვნახე ენგური, რომელიც
კლდეს ღრიანცელით ეხლება,
ენგურთან, ჩემო არაგვო,
ხმა აღარ ამოგეღება...

გაოცებული ვიყავი — ამ წუთში ვეღარაფრით ვერ წარმომედგინა, რანაირად განიცადა ასე ამაღლებულად ენგური ამ სტრიქონების ავტორმა, რა ძალამ და გუმანმა ათქმევინა ეს მშვენიერი სტრიქონები მახრჩობელა მდინარის მიმართ, სტრიქონები, რომელთაც ყოველთვის სიამაყის გრძნობით ვიმეორებდი. — მეამაყებოდა სახელოვანმა პოეტმა — მუხრან მაჭავარიანმა ენგურს მისი შესაფერისი, ლაკონიური და შემართული სტრიქონები რომ უძღვნა. თავი მოწონდა მისი სიძლიერით, სიდიადით, მქუხარებით. იგივე თვისებებს მივაწერდი „ლომის ხეობის" მცხოვრებლებსაც. გონებას აღარ სურდა ამოეტივტივებინა უარყოფითი ემოციები, „ლომის ხეობის" მზაკვრობანი, და იხსენებდა მხოლოდდა დიდებითს, ამაღლებულს, ლამაზს, ზღაპრულს, ერთი სიტყვით, ყოველივე საუკეთესოს.

აქ კი უცნაური რამ მემართებოდა — ზემოთ ნახსენები „ხასიამოვნო ემოციები" შორებელი და უცხო გამხდარიყო ამ წუთში. ამ გზებთან დაკავშირებული სავალალო შემთხვევათა ავბედითი ნუსხა მაჯლაჯუნასავით მაწვა და გათქერვას მიპირებდა.

კიდევ ვცადე გაბრძოლება — „ყველაფერი ეგ ადრე იყო, წარსულს ჩაბარდა, ახლა კი შეიცვალა მდგომარეობა. — ვამბობდი თავის დასამშვიდებლად. — რა არის აქ საგანგაშო და ასაფორიაქებელი, რაც მოხდა, მოხდა, ნუღარ განმეორდება"

მანქანა ასფალტზე მისრიალებდა. სპიდომეტრის ისარი სამოც კილომეტრს სიჩქარეს უჩვენებდა. გზის კიდეებზე თეთრად შეღებილი რკინაბეტონის სვეტები იყო ჩარიგებული. ყველაფერი განეახლებინათ, ისეთი გრძნობა იყო, თითქოს სადღაც ზღაპრულ მხარეში ვიმყოფებოდი.

ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ დამამშვიდა. ერთი ლაღად ამოვისუნთქე მანქანა დერეფანზე მივაყენე და გარეთ გადმოვედი, რათა მხნეობა მომეკრიბა და თავიდან გამეგდო წინა წლებიდან გადმოყოლილი მღელვარება და განგაში.

## ქვაბები...

მხატვრული ინფორმაცია

ლაფაროში ორი ქვაბი დგას. ერთი — სახორცეა, მეორე — საარაყე.

ორივენი ყირამალა დაყუდებულან. შავი, მურიანი ზურგები სათონის ჭერისკენ მიუქცევიათ. ვერავინ იტყვის, მდურვაა მათ მზერაში გამოხატული, თუ სიხარული. ერთი რამ კი ცხადია — ადამიანებმა თანდათანობით მიივიწყეს ისინი. ლამისაა, წარსულის რელიქვიებად იქცნენ.

ოდითგან მოყოლებული ეს ქვაბები სოფლის გამხიარულებასა და გართობას ემსახურებოდა. ჩემში კი მათი დანახვა სევდიან განწყობილებას ბადებს.

უბრალო ქვაბები არ გეგონოთ სადღეობო, სადღესასწაულო, სათემო, საქორწილო, სამხიარულო ქვაბები, სახორცე ქვაბზე, მაგალითად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ სიდიდის ქურჭელს ვერც ერთ საზოგადოებრივი კვების დაწესებულების სამზარეულოში ვერ შეხვდებით. მერედა რა გულმოდგინებითაა ნაჭედი. დათვლილი მაქვს — ჯვერდითა კედელი თუნუქის ასი ნაჭრისაგანაა „შეკერილი". ძირი მთლიანი სპილენძისა აქვს. ეს „საკერებლები" სპილენძისავე „ლურსმნებით" დაუჭედებია ოსტატს. ისინი მოზაიკის კენჭებივით საოცარ ჰარმონიას ჰქმნიან, ამაღლებულ გრძნობას ბადებენ მნახველში, თითქოს უბრალო ქვაბთან კი არა, ხელოვნების ნიმუშთან გქონდეს საქმე. ქვაბის შემოქმედს ნაირნაირი რგოლები, ელიფსური წრეები, იდუმალებით მოცული იეროგლიფები. ფაქიზი ორნამენტები გამოუსახავს ქვაბის კედელზე.

ამ ქვაბში, კარგად მახსოვს, მეხორცეები გიორგობის დღესასწაულებში ასო-ასო აქნილ ნამთევ ხარს მთლიანად ჩაუძახებდნენ ხოლმე.

როგორ გვიხაროდა სოფლის ონავრებს სათემო დღესასწაულების მოახლოვება, რამდენი სიხარული და საამოვნება მოჰქონდა ჩვენთვის ხალხმრავლობას. მოთუხთუხე ქვაბებს მიფიცხებული უფროსები ნაირნაირ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ. სხვადასხვა დავალებებს გვაძლევდნენ. ცხენებით ხალხის შესაყრელად გვაგზავნიდნენ, ჯამ-ჭურჭელს გვაზიდინებდნენ, სუფრის გაშლაში გვიშველიებდნენ. ამ დროს პირველად გვეძლეოდა საშუალება საუფროსო საქმეებში მიგვეღო მონაწილეობა. ლხინის წინა დღეს სხვადასხვა სახალხო გართობები იმართებოდა ხოლმე. ნარჩევი ვაჟკაცები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჭიდაობაში, საჭიდაო ქვის აწევაში, თოფის სროლაში, მკლავის გადაწევაში, მდინარის გადალახვასა და რაში არა... მათი შემხედვარე ჩვენც ბევრ რამეს ვსწავლობდით, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდით მათთვის მიგვებაძა, ვაჟკაცური ჩვევები გამოგვემუშავებინა.

მახსოვს, ერთხელ ბავშვებს ჯამ-ჭურჭლის დარიგება დაგვავალეს. დღეობამ ჩაიარა და ნივთები პატრონებს უნდა დაბრუნებოდათ. ქვაბის მიტანა ბოლოსთვის გადავდეთ. მარხილზე უფროსებმა შეგვიდგეს და გზას გავუდექით. სოფლის თავში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ხარებით ადვილად ავათრიეთ. ეზოს ჭიშკართან დედაჩემი შემოგვხვდა. ხარებს თვითონ შეუძღვა ეზოში, თქვენ ჯერ პატარები ხართ და მარხილი არაფერს გამოსდოთო. ლაფაროს სიახლოვეს ხარები შეაჩერა და ახლა ჩვენ გადმოგვხედა. ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდა. ჩვენც დავფაცურდით, მარხილიდან როგორც იქნა, მიწაზე ჩამოვაბრძანეთ გადაპირქვავებული ქვაბი, მერე ვცადეთ მისი ამოტრიალება, რათა ყურებში მარჯვედ ჩაგვეკიდა ხელი და ისე წაგვეტანა თავის ადგილზე. მეზობლის ბიჭმა, ტატაშმა რაღაც ხერხის გამოყენება სცადა, რათა ჩვენთვის ქვაბის გადაბრუნება გაეიოლებინა, შიგნით შეძვრა და ახლა ზურგით მიაწვა. ვერა და ვერ გადმოვაბრუნეთ ქვაბი, ის კი არა, ბოლოს გადაგვძალა კიდეც და ბრახვანი მოადინა მიწაზე. შენი ტატაში კი შიგ მოიყოლია. გენახათ იმისი ყვირილი და ხელების ბრახუნი. არიქა, მიშველეთ თორემ გავიგუდეო, — სასოწარკვეთილი გაიძახოდა. ჩვენ აბა რანაირადღა ვუშველიდით, ქვაბს ველარ ვერეოდით; მე კეტით ძირში მიწა გამოვუჩიჩქნე — მართლა არ გამეგუდოს ამხანაგი-მეთქი.

— ჰა, მოითქვი სული? — მიაძახა ჩემმა თანაკლასელმა გოგილმა. — ნუ გეშინია, ჩვენ აქა ვართ...

— მანდ რო ყუდიხარ, რისი მაქნისი ხარ თორემ კი... წადი და ვინმეს დაუძახე — მოისმა შიგნიდან ტატაშის მოგუდული ხმა.

მე დედას გადავხედე, სახე ერთიან გაბადროდა, კვლავ შორიდან უყურებდა ჩვენს გაჭირვებას. ნელნელა მოგვეახლა და ჩვენთან ერთად ცალ მხარეს ჩაჰკიდა ხელი ქვაბს. „ერთი, ორი და, საამიი!“ — დაითვალა დედაჩემმა და ქვაბიც დაგვემორჩილა. წამოიწია, წამოიწია, თითქოს ვეშაპმა დაალო ხახა და ჩვენი ტატაშიც, ზღაპრის გმირივით გამოვარდა მისი მუცლიდან. ისიც მოგვეხმარა და ქვაბი ამოვატრიალეთ კიდეც.

მერე ამხანაგები სახლებში წავიდნენ. მე და დედაჩემი დავრჩით ლაფაროში. უხმოდ დავსცქეროდით „მის აღმატებულებას“. უცებ, ფიქრებიდან დედაჩემის ჩუმმა ქვითინმა გამომარკვია. შევხედე, ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

* * *

...გზისპირზე გამოსულმა გამამხნევებელი ვარჯიშები ჩავიტარე. ხელები გავშალ-გამოვშალე, ათასნაირი ზნექები და ბუქნები გავაკეთე. ბოლოს კარგ მოკრივესავით მუშტები დავუშინე ენგურს და ეგრერიგად ოდნავ „მოფერიანებული“ კვლავ მივუჯექი მანქანის საჭეს.

გზადაგზა კეთილმოწყობილი, ფართო და საიმედო დერეფნები მხვდება. რკინა-ბეტონის უშველებელი ფილები გადაუხიდავთ უფსკრულთა თავზე, ჩაუცემენტებიათ, ერთმანეთზე მკვიდრად მიუდუღებიათ, ზედ ასფალტი დაუგიათ, კიდეებზე მოაჯირი ამოუშენებიათ. ეს მოაჯირები უსაფრთხოობის საიმედო ილუზიას ბადებენ მგზავრში. ასე გგონია, თითქოს იმის მიღმა მწვანე მოლია გადაშლილი. აღარ ფიქრობ თვალუწვდენელ უფსკრულებზე. მართლაცდა, რისი მაქნისია იმათზე ფიქრი, გუნებას გიფუჭებს და მეტი არაფერი. ჯანდაბას იმათი თავი. იყონ თავისთვის. ეშმაკებსაც დასცდენიათ მანდ ფეხი!

დერეფნები იმ ადგილებშია გაკეთებული, სადაც კლდის გამონგრევა და ამ საშუალებით გზის გაფართოება ველარ მოხერხებულა. აბა, კარგი ბიჭი ხარ და, ხცადე რომელიმე მწვერვალისათვის ძირის გამოთხრა. არ გინდა მერე ჩამოწოლილი მილიონ ტონობით ქვა-ღორღისა და კლდოვანი ქანების გადაწმენდა? დაახლოებით ასეა აქაც — კლდოვანი ფერდობი სადღაც მეცხრე ცაში აჭრილა, სულთამხუთავად გადმოყუდებულა, თითქოს გათქერვას გიპირებსო, გადამწიფებულ პანტასავით ოდნავადაც რომ შეურხიო ძირი, მთელი ნაყოფი ბრაგვანით წამოვა. ამიტომაც ინჟინრებს სხვა გამოსავალი უნახავთ. თვალშეუვლები სიღრმიდან ბეტონის ხიმინჯები ამოუყვანიათ, ზოგან მთლიანი კედლები ამოუშენებიათ, ზედ რკინის შველერები გაუხიდავთ და მერე, როგორც უკვე ითქვა, რკინაბეტონის ფილები დაულაგებიათ...

ყველაზე თვალშისაცემად აქ გამოსჭვივის ადამიანის შესაძლებლობათა სიდიადე. თო-

კებზე დაკიდებულნი, მთამსვლელებივით მუშაობდნენ აქ მშენებლები. სხვანაირად შეუძლებელი იყო თავის დამაგრება. ცირკის ოსტატის თოკზე კონწიალი ალბათ მძიმე განცდებთან არის დაკავშირებული, აქ, კი გამძვინვარებული ენგურის ცქერაც კი შიშის მომგვრელია.

* * *

ვერაფერი გამეგო. ვერც გავუბედე შეკითხვა, რა გატირებს-მეთქი. გვერდით დავუდექი და ხელებით მკლავზე ჩამოვეკიდე. მივეყრდენი. ერთხანს ასე ვიდექით. მერე შინ შევედით. დედაჩემმა მოხარშული ოსპის წანდილი დამისხა, ქერის ხმიადი დამიჭრა და თეფშით წინ დამილაგა. მერე მშრალი ტილო აიღო და კედელზე ჩამოკიდებულ მამის სურათს მინაზე გადაუსვა.

კარგა ხანს შესცქეროდა.

მე რატომღაც მოუსვენრობამ ამიტანა, რაღაც მაწვალებდა. უფრო იმიტომ ალბათ, რომ დედაჩემის ასეთ მოწყენილობას განვიცდიდი. მინდოდა, გამექარვებინა სადარდებელი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ბოლოს მდუმარება რომ დამერღვია, ვკითხე:

— დედი, ვისი ნახელავია ეგ ქვაბები?

იგი თითქოს შეკრთაო ჩემს შეკითხვაზე, აქეთ შემოტრიალდა და სევდანარევი კილოთი მიპასუხა:

— სახორცე ქვალონელი ოსტატების ნახელავია, არყისსახდელი — ზუგდიდელებისა.. კი, ორივე ზანიდანაა ჩამოტანილი.

„ზანი". ეს სიტყვა ყველამ იცოდა მთაში. იგი სიმდიდრის, ბარაქისა და კეთილდღეობის ასოციაციებს იწვევდა ჩვენში. ზანი ბედნიერი, აყვავებული, სიუხვით აღსავსე ქვეყანა იყო ხალხის წარმოსახვაში. ჩვენი წამა-პაპანი ზამთრის სეზონს მეტწილად იქ ატარებდნენ, ოჯახისათვის სარჩო-საბადებელს, მეტადრე მთის პირობებისათვის დეფიციტურ პირველადი მოხმარების საქონელს და ბევრ სხვა რამესაც სამონაგრო გასამრჯელოთი იქ იძენდნენ. გაზაფხულობით შინისაკენ მიუყვებოდნენ ენგურის საცალფეხო ბილიკებს, ოჯახს გაახარებდნენ, თვითონაც ცოტა სულს მოითქვამდნენ, ზაფხულის დამდეგს ახლა სვანეთის კავკასიონს გადაევლებოდნენ თავს, ყაბარდო-ბალყარეთისა და სტავროპოლის უკიდეგანო მინდვრებში ჩაუდგებოდნენ თავთავიანთ ნამხარს. ცელებს შრიალი გაჰქონდათ უცხო მიწაზე, ოფლით იპოხებოდა სათიბები, მაგრამ მთიბელები შუაგზაზე მაინც არასოდეს ტოვებდნენ თავთავიანთ სვეს... გინდაც მოშუალამებულიყო, ბოლომდე გაიყვანდნენ. შრომის საფასურად ჩრდილოეთიდან ახლა ყაბარდოული ბუღებით გადმოჰყავდათ გადასასვლელებზე — შემოდგომისპირზე ხვადასხვამხრით მოადგებოდნენ გამხდარი, [illegible]დილი, მაგრამ ჯანმრთელი და იმედიანი თავნაბდისქუდიანი ვაჟკაცები მშობლიურ კერას, სოფელს. ორღობეებს მოლაღული საქონლის ღმუილი მოედებოდა. ირგვლივ სიხარული და ბედნიერება ისადგურებდა.

მალე კი ზამთარი ჩამოხტებოდა მთათაპირებიდან. ერთი გვარის მამაკაცები შეამხანაგდებოდნენ, ცელის ნაცვლად ახლა კვლავ ბარს გაიდებდნენ მხარზე და ისევ საზანოს წიადგებოდნენ. იქ რუები და სარწყავი არხები იყო გასაყვანი. ჭაობნარი იყო ასათვისებელი და ამოსაშრობი, მიწა იყო დასაბარი, ვენახი იყო მოსატანი, სახლი იყო ასაშენებელი... სადაც კი ძალა და ღონე იყო საჭირო, სვანებს უხმობდნენ, იცოდნენ მათი სიბეჯითისა და დაუზარლობის, პატიოსნებისა და კაცურკაცობის ამბავი. მთიელთა დაპირება უთუოდ შესრულდებოდა. მაგრამ სხვასაც მოსთხოვდნენ სიტყვის აღსრულებას და ეგრერიგად გადიოდა დღეები. კოლხეთისა, იმერეთისა და გურიის ტალახი იზილებოდა მათ ფეხქვეშ.

სვანები ვართ ჩამოსული ბარადა,
ყამირების სახნავ-საბარავადა...

მღეროდნენ პირხმელი ვაჟკაცები და ჭარმაგი, შუბლდაღარული, მაგრამ ჯერ კიდევ ძალუმად სისხლმოგუგუნე ბერიკაცები. ისინი ფიქრობდნენ მთათა მიღმა მომლოდინე ოჯახებზე, იქ მიტოვებულ საქმეებზე, ახლობლებსა და ნათესავებზე, მურყვამებსა და მაჩუბებზე, საქვეყნო ვალსა და კანონზე და სულაც არ ერცხვინებოდათ და არ ეთაკილებოდათ დღიური მუშის უმწეო და არასახარბიელო მდგომარეობა. არ მუქთახორობდნენ, არ ქურდობდნენ, კაცურად შრომობდნენ, მზეზე ნათელი და რვალზე გამძლისი სიმართლის შუქი მეგზურობდათ. ვითარც ენგურის სრბოლას, მათ სწრაფვასაც ვერავინ შეაჩერებდა...

ხოლო გაზაფხულზე, როცა იგულებდნენ, რომ ენგურისპირა ფერდობებსა და წარაფებზე გადასვლა უკვე შეიძლება, შინისაკენ გამოსწევდნენ, თბილი ქვეყნებიდან მოფრენილ წეროთა გუნდებივით გაზაფხულის მაცნეებად მოევლინებოდნენ მთათა ქვეყანას. ნაირნაირი საქონლით დატვირთულებს, ოფლში გახვითქულებს ერთი ხალთა სიხარული მოჰქონდათ შინაურებისათვის.

მახსოვს, რა ხარბად გვათვალიერებდა ხოლმე ზანიდან ახლადმობრუნებული „ქორამახვში" პატარებს, აბა, თუ მოჩრიხვდნენ და მოიზარდნენო ჩემი ყურჩატები — ფიქრობდა ალბათ თავასთვის. ვინ უწყის, როგორ ეშურებოდა ჩვენს წამოჩიტებას, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზე ამოვდგომოდით მხარში სამონაგრო გზებზე და ერთიანი ძალით ოჯახისათვის მეტი ბარაქა შემოგვემატებინა. ეს გზები — ჩრდილოეთისა და დასავლეთისა იყო ნინველათა საწურთნი გზები. მათი მშვიდობიანად გადამლახველი რამდენიმე თვეში კაცად ინათლებოდა. კაცობა კი უმაღლესი ღირსება იყო ადამიანისა. მაგრამ ჩვენ ჯერ პატარები ვიყავით, იმდენად პატარები, რომ სოფლის რიგრიგასაც არ გვანდობდნენ ხოლმე უფროსები — ნახირი დაგებნევათ და მგლის ლუკმა გახდებაო.

მაგრამ ყოველივე ზემოთ მოთხრობილი მხოლოდღა ერთი მხარეა მთელი ამბისა, უფრო ნათელი და რომანტიკული მხარე. მათს სამთაბარისო ორომტრიალში არც თუ იშვიათად ცხოვრების ჩარხი უკუღმაც შებრუნდებოდა ხოლმე. ამ დროს კავკასიონის გადასასვლელებსა და ენგურის ბილიკებს, „ლილეოს“ შემოძახილისა და ბუღა-ხარების ღმუილის ნაცვლად, სვანური სამგლოვიარო ზარის ყოვლისშემძვრელი გუგუნი მოედებოდა. ხეობის თავზე მკვდრის შავი მზე დაეკიდებოდა, უშბისა და თეთნულდის კალთებზე სპეტაკი თოვლი გათალხდებოდა, ბუმბერაზები შავ საბლარდნელში გაეხვეოდნენ.

ბევრის თავზე დაენთო მკვდრის მზე.

ერთხელ ჩვენს თავზედაც შავად აზიმზიმდა მნათობი.

...აშინ დაკიდა დედაჩემმა „ქორამახვშის“ სურათი კედელზე. იმ დღიდან მოყოლებული უვლის და ეფერება.

ვხვდებოდი, დედაჩემი იმ ძველ სატკივარს შეეწუხებინა.

— დედი, შორს არის ქვალონი?

— მსუბუქად ოთხ დღეს ვუნდებითო ზანში ჩასვლას, ტვირთით კი ექვს დღეში ჩამოვდივართო იქიდან — ასე ამბობდა მამაშენი. — დედამ ერთხანს იყუჩა, მერე კი განაგრძო — ოღონდ ტვირთსაც გააჩნია, შვილო...

— ეგ ქვაბები ვიღამ ჩამოიტანა იქიდან?

—მამაშენმა, სხვა ვინღა ჩამოგვიტანდა.

— დიდი ქვაბიც?

— სახორცე კარდალაც იმან ჩამოიტანა, მაშა... — დედაჩემს კვლავ აუთრთოლდა ხმა, შევამჩნიე, ნაღველი მოეძალა.

— მერედა როგორღა? — აღმომხდა გაოცებულს.

— ზურგით, შვილო... სხვანაირად როგორღა! ჯერ ის საარაყე ჩამოიტანა, მერე კი სახორცე. ყველა ჰკვირვობდა —ამოდენა ქვაბს როგორღა მოერეოდაო, მაგრამ რაღას იქმოდნენ — ქვალონელი ოსტატების ნახელავი ჩვენს ეზოში ეყუდა, უფრთებო იყო და უბორბლებო, თავისით აქ ვერ გაჩნდებოდა. ერთხელ მეც ვუსაყვედურე — შე კაცო, ამ ჯაბახანის გულისათვის თავს რაღაზე [illegible]დი-მეთქი.

— რაო, მერე?..

— სამუშიებს შემოუძლევიათ გასამრჯელოდ. ვერ გადამეწყვიტაო მისი აღება. იმ ღამეს სიზმარში წმინდა გიორგის შთაუგონებია — აიტანე ქვაბი მთაში, თუ გინდა, რომ ვაჟიშვილი შეგეძინოსო. ორსული ვეგულებოდი და, ეტყობა, ფიქრი არ ასვენებდა. წმინდა გიორგის ამბავი, დარწმუნებული ვარ, დამაჯერებლობისათვის მოიგონა, თორემ დიდად მორწმუნე ის არ გახლდათ. ასეთი ოინები უყვარდა ხოლმე...

— მერე, დედი?

— მერე ისე ყველას აუსრულდა ნატვრა, როგორც მამაშენს აუხდა — იმ წელს შენ დაიბადე, შვილო...

* * *

ამასობაში ხაიშიც გამოჩნდა — შუალედური პუნქტი მესტია-ზუგდიდის გზაზე.

აქამდე თუ ენგურის მარცხენა სანაპიროს მიუყვებოდა სამანქანო ტრასა, ახლა, თითქოს მოსწყინდაო „ერთ გვერდზე წოლა“, მეორეზე „გადაბრუნდა“, გვერდი იცვალა. სწორედ ხაიშიდან სამიოდე კილომეტრზე, იქ სადაც ჰყუბრულა ერთვის ენგურს და გზა ხიდზე გადადის, იწყება თვალშეუვლებ ქანჩახთა ბასტიონები, ეგრეთწოდებული უარყოფითი დაქანების კლდეები. ადრე ამ ადგილებში, გზის სივიწროვის გამო, ალაგ-ალაგ ხის მორები იყო გადებული, ასეთნაირად გაფართოვებული გზა, რომ იტყვიან, გაჭირვებისა იყო. მორები მალე ლპებოდა, დიდ დატვირთვას ველარ უძლებდა, ტყდებოდა. ხის დერეფნები, რაც არ უნდა ყოფილიყო ზანზარებდა, ირწეოდა, რაც უფსკრულთა თავზე უსიამო განცდებს იწვევდა შოფრის და მგზავრის გულში... ყველაზე მეტი მსხვერპლი სწორედ ამ ადგილებში იყო. მაგრამ, რაღას იზამდი, თავს ზევით ძალა აღარ იყო. გახვიდოდი, ხო, კარგი! ვერა და...

კვლავ წამოიმართნენ შიშის ღრუბლები. სულში განგაში ბურთივით აგორდა. წინ ემმაკის კლდეკართა გავლა მელოდა. გავუსხლტებოდი მათ? თვალი კვლავ სპიდომეტრისაკენ გარბის, ისარი მაღლა მიიწევს. მოაჯირებიანი, თანამედროვე, რკინა-ბეტონის დერეფანი ლამაზი ნაყშივით გასდევს კლდიან ფერდობს. ენგური თვალსაწიერს მოფარებია. მანქანის გუგუნში არც იმისი ღრიალი „გეჩხირება“ ყურში. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა. მართალია, რამდენიმე კილომეტრის მერმე ასფალტიანი გზა მთავრდება. აქ უკვე გაფართოებითი სამუშაოები მიმდინარეობს. წარწერა სიფხიზლისაკენ მოუწოდებს მგზავრებს, მაგრამ მერე რა მოხ-

და, მთავარია, გზა ფართოვდება, უფრო სწორად უკვე გაფართოებულია, აქა-იქ ცალკეული კვანძებიღა დარჩენიათ მშენებლებს მოსასწორებელი. ერთი სიტყვით, როცა გზა გაფართოებულია, დანარჩენზე უკვე ნაკლებად ნაღვლობს ადამიანი — მთაში ეგრეა, მრავალთაგან მსმენია აქ ეგ აზრი. ბარში, რა თქმა უნდა, სხვა საშუალებებია და ამ საშუალებებთან შედარებით მოთხოვნილებანიც მეტია. აქაური შოფრები კი ჯაყჯაყს ბავშვობიდანვე არიან შეგუებულნი ფუჟუნებაზე პრეტენზიებს არ წამოგიყენებენ. მართალია, ასფალტი კარგია, მაგრამ მოხრეშილ გზასაც არა უშავს, ოღონდ ვიწრო ნუ იქნება! — ამბობენ ისინი. ისე კი, ვინ უწყის, უჩუმრად როგორ ოცნებობენ მოასფალტებულ გზებზე...

მშენებელთა მთელი არმია ხაიში-მესტიის უბანზეა განლაგებული.

შრომის ფრონტია გაჩაღებული. ვის არ შეხვდები აქ — რაიონის ხელმძღვანელებიდან დაწყებული, გზათა მშენებლობის სამინისტროს, სამმართველოებისა და უბნების უფროსებისა და ხამუშაოთა მწარმოებლების ჩათვლით. ასე რომ, მესტიის რაიონში მივლინებით ჩამოსული მწერალი თუ ჟურნალისტი, შეიძლება, ერთბაშად ფაქტების ტყვეობაში აღმოჩნდეს. თვით რაიონის ცენტრში ჩაუსვლელადაც კი. აქვე, გზაშივე შეიქმნას ზოგადი შთაბეჭდილება მისთვის საინტერესო საკითხებზე, კუთხის სადღეისო მდგომარეობაზე... ამისათვის საჭიროა „მოენის“ „ხელში ჩაგდება“ და ორიოდე წუთით სასაუბროდ დაყოლიება...

### 1968 წელი.

დოკუმენტური ინფორმაცია:

ადრე დაბა მესტია ძირითადად ოთხი უბნისაგან შესდგებოდა: ლახთაგის, ლანჩვალის, ლაღამისა და სეტისაგან. პირველი სამი უბანი ერთმანეთს კარგა მანძილით იყო დაშორებული. მაგრამ ამ ბოლო წლებში ახალმა ცხოვრებამ თავისი მკვეთრი კორექტივები აქაც შეიტანა— უბნები ერთმანეთში გადაიზარდა, ძველი მაჩუბებისა და კოშკების ანსამბლს ახალი, ორსართულიანი სახლების წყება ამოუდგა გვერდში. მშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო. დიდი სვანური ოჯახები, აქამდე ერთ ჭერქვეშ რომ ცხოვრობდნენ, მაჩუბებიდან გამოვიდნენ და ცალ-ცალკე ოჯახებად გამრავლდნენ.

რაიონში ადმინისტრაციული შენობებიც აშენდა, მაგრამ დაბის გაფართოვება ძირითადად მაინც კერძო მშენებლობათა ხარჯზე მოდის. სამკითხველო-ბიბლიოთეკები, მაღაზიები, სახელმწიფო დაწესებულებებიც კი კერძო სახლებშია მოთავსებული. უცხოს კი არა, ხშირად მეზობელი სოფლიდან ჩამოსულსაც კი უჭირს მათი მიგნება, გარდა ამისა, არის სხვა გასათვალისწინებელი მომენტიც, უფრო კი მთის ამ კუთხისათვის ნაშანდობლივი და დამახასიათებელი ამბავი. კაცნი ვართ და, ზოგს ამის გამო, ზოგს იმის გამო ყველასთან არ მიესვლება. ნაწილობრივ ამითაცაა ალბათ გამოწვეული, რომ ამ დაწესებულებებში სასურველი ხალხმრავლობა არ იგრძნობა. კულტურის სახლი არცაა მესტიაში. ყველა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, კრება თუ კონცერტი კინოთეატრის გაქუცულ შენობაში ტარდება. გაქუცულიო, იმიტომ ვამბობთ, რომ მისი შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ზამთარში არ თბება, ხალხი სიცივის შიშით შინ ჯდომას ამჯობინებს. ასეთ დროს კინოს აფიშებს ხსნიან და ძალიანაც რომ გსურდეს, კინოსურათს ვეღარსად ნახავ მთელ რაიონში. სწორედ ამიტომ არის, ყველა ჩამოსული სტუმარი ერთსა და იმავეს რომ გაიძახის: „რაც შეეხება ისტორიას, წარსულს, იგი აქ თავის სიმაღლეზე დგას, ოღონდ თანამედროვის ხელი და მზრუნველობა აკლიაო...“

— როგორ მივედით ამ სავალალო მდგომარეობამდე? — კითხულობს ბევრი — როგორ მოხდა, რომ ათი-თხუთმეტი წლის წინათ მესტიაში მოქმედებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროსადგური, დღეს კი მწყობრიდან არის გამოსული და სადამოობით მთელი რაიონი უკუნეთშია გახვეული? ელექტროსამართებლით ვერ გაიპარსავს კაცი პირს, რადიომიმღებს ვერ მოუსმენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ტელევიზიით სარგებლობასა და საერთოდ ელექტროენერგიის საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გამოყენებაზე.

რაიონის ცენტრში თანამედროვე სახლებმა თეთრი ყვავილი გადაიხურეს. ოქროსფერად აბრჭყვიალდნენ, მაგრამ რის მაქნისია მარტოოდენ თეთრი სახურავი, თუ კი ღამე მთელი სახლი წყვდიადში უნდა გაეხვიოს? მოსახლეობის ზრდის ტემპს ვეღარ აჰყვა ელექტროენერგიის გამომუშავება. თუმცა რაიმე აყოლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რაიონული მნიშვნელობის მესტიის ელსადგური მთლიანად მწყობრიდან გამოვიდა. გაუფასურდა ენგურის წყალი. და არც ვინმე ფიქრობს ჯერჯერობით საქმის გამოსწორებაზე. მართალია, ლენჯერის თავში ახალი ელსადგურის მშენებლობა გადაწყდა და დაიწყო კიდეც, კარგა დიდძალი ფულიც ჩაიყარა სათავე ნაგებობათა მშენებლობისათვის, მრავალი შაბათობა გაიღეს მსხვერპლად რაიონის მშრომელებმა, მთელი კვირეები იმუშავეს უსასყიდლოდ საშუალო სკოლის

მოსწავლეებმა, მაგრამ ყოველივე წყალში ჩაიყარა. წლის ბოლოს ზემდგომმა ორგანოებმა ახალი დადგენილება მიიღეს აღნიშნული ელსადგურის მშენებლობის გაუქმების შესახებ.

— კიდევ კარგი, წლის ბოლოს მაინც გაახსენდათ ამ დადგენილების მიღება და გაისისათვის არ გადადესო.... — მწარედ ეცინებოდათ რაიონის მშრომელებს, — თორემ ვინ იცის, მთელი წელი კვლავ გვამუშავებდნენ და საბოლოოდ მაინც ბნელაში დავრჩებოდით.

ამჟამად კი დიზელებს გაუდით „გუგუნი". მცირე სიმძლავრის დანადგარები ცალკეულ უბნებსაც ველარ აკმაყოფილებენ ელექტროენერგიით. სახლებში ნათურები ძლივსღა ბჟუტავენ. ზოგიერთი ლამფასაც ანთებს, ანდა კვარს იშველიებს მამაპაპურად. დგანან ეგრე საცოდავად ჩაბნელებული სახლები და ელიან... აღარავინაა მათი მშველელი.

როცა ასეთი სავალალო მდგომარეობაა ელექტროენერგიით რაიონის მომარაგების მხრივ, რა სინდისით უნდა მოსთხოვო წესრიგი რაიონული რადიოკვანძის მუშაკებს ჟურნალ-გაზეთების მოტანა კვირაობით და თვეობით გვიანდება, ამ დროს კი ნამდვილად დიდი ცოდვაა დაინტერესებულ ადამიანს დიდმნიშვნელოვანი ინფორმაციებისა და ამბების ნაცვლად რაღაც ხრიალი და გულისამრევი ბგერებისა და მელოდიათა კაკაფონია მოასმენინო...

ადამიანებმა დღეს კარგად იციან წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, ელექტრონის, რადიოსა და ტელევიზიის ფასი. მათ სურთ არ ჩამორჩნენ თანამედროვე ცხოვრების სწრაფ მაჯისცემას; ადამიანს სურს რომ ყველაფერი გააჩნდეს მამა-პაპათა მონაპოვრებიდან ნოყოლებული თანამედროვე ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევებამდე. მას აქვს ამისი უფლება... და ეძებენ გამოსავალს. ხშირად ამ ძიებას თავისი რაიონის, თავისი სოფლის მიტოვებამდე მიჰყავს ადამიანი. და დღითიდღე, წლითიწლობით იზრდება ახალგაზრდობის დენადობა, საცხოვრებლად სხვაგან გადასულ ოჯახთა რიცხვი. იზრდება სოფლის დაცარიელების საშიშროება.

და დღეს, როცა ახლოს ვდგევართ ამ საშიში ტენდენციის საწყისებთან, არავის არა აქვს უფლება პირში წყალჩაგუბებული ადევნებდეს თვალს ერთი შეხედვით უმტკივნეულო პროცესს...

## 1977 წ. გზა...

მეასფალტეები ლოდებზე ჩამომსხდარან. შავსაფარდამგები მანქანა გაუჩერებიათ და უკმაყოფილოდ ჩამოუგდიათ თავები. დავინტერესდი, რა მოხდა-მეთქი. მიპასუხეს: ასფალტის მოწოდება შეგვიწყვიტესო, ვე[illegible]დებით მესტიიდან მანქანებს და არ ჩანანო, საერთოდ, ეს ერთი საათია, ზემოდან არც ერთ მანქანას არ ჩამოუვლიაო.

ორიოდე კილომეტრი გავიარე და ყველაფერი ნათელი შეიქმნა:

უშველებელი საწევარი თავის მისაბმელიანად მოსახვევში გაჩხირულიყო. მისაბმელზე ასტონიანი ასფალტსატკეპნი მანქანა იყო მავთულებით დამაგრებული. მისაბმელს უკანა სამი საბურავი ჰაერში გაეკიდა, ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან. მცირე ხევიდან ჩამონაჟური წყალი ისედაც ჰაერში გაკიდულ საბურავებს მიწას უხრამავდა, მისაბმელი თანდათან გვერდზე წვებოდა, თუ დროზე არ უშველიდნენ, ხრამში გადაყირავება არ ასცდებოდა.

მძღოლი, გამხდარი, ქერათმიანი ბიჭი შეშინებული აქეთ-იქით აწყდებოდა, ხუმრობა ხომ არ იყო — ამხელა საქმე ანდეს და თავი ვერ გაართვა. ორივე მხრიდან უამრავი ხალხი და მანქანები მოჯრილიყო. ყველა განიცდიდა ამ ამბავს, მაგრამ გამოსავალი ვერავის მოენახა.

მძღოლმა კიდევ ერთხელ სცადა მანქანის გაყვანა, მაგრამ ამაოდ. საბურავები უარესად გადაეკიდნენ ხრამში. ახლა უკან დასწია, მაგრამ მოსახვევში გადმოყუდებულმა კლდემ აღარ მისცა საშუალება მისაბმელი უსაფრთხოოდ გამოეყვანა ჩიხიდან. „ნურც გადრინდები, ნურც მოფრინდებიო..." ამაზე იყო ნათქვამი. არა და იმ ხიშორიდან ჩამოტანილი ასფალტსატკეპნი მანქანა აქ თავის წონა ოქროდ ფასობდა. მისი ეშმაკებისათვის გამეტება მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა. ესმოდათ ეს ადამიანებს, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინათ.

უცბად ვილაცამ საკუთარი ინიციატივით ორდიფერიანი სატვირთო მანქანა მოაგრიალა, ზედ მისაბმელის უკანა საბურავებთან მიაგდო, ფოლადის ჭალამბარი გაჭიმა. მისაბმელს ღერძზე შემოახვია, მეორე ბოლო თავის მანქანას გამოსდო, მკვირცხლად აძვრა კაბინაში და მთელი ძალით სცადა უკან კაქაჩვა როგორ არ ყარა ტლინკები ორდიფერიანმა, მაგრამ ამაოდ. ძვრაც ვერ უყო. ორდიფერიანის შოფრის ინიციატივა მარცხით დამთავრდა. ხალხმა მწარედ ამოიოხრა. ამასობაში წყალმა კიდევ უფრო ჩაუხრამა მისაბმელს ბორბლებქვეშ მიწა, იგი ხევისკენ გადაიხარა, ზედ შემოსკუპებულმა სატკეპნმა ალმაცერად შეავლო სასოწარკვეთილი მზერა ძირს მოგრუხუნე ენგურს.

ხალხი ათას წინადადებას აყენებდა, მაგრამ ყოველივე მაინც წყალწაღებულის ხავსთან ჭიდილს ჰგავდა. ამ რთულ სიტუაციაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათასი კი არა, შესაძლოა, ერთი ნაღდი გამოსავალიც არ არსებულიყო. მდგომარეობას აძნელებდა ცენტრიდან სიშორე, დამხმარე ტექნიკის უქონლობა. აქ საჭირო იყო მძლავრი ამწეები, მაგრამ საიდან მოიტანდი? ვის დაუკავშირდებოდი, და რომ გამოეგზავნათ კიდეც, როდისღა ჩამოაღწევდა ადგილზე? ბედი წამებში წყდებოდა. უშველებელ სიმძიმეებთან ადამიანები უსუსურნი იყვნენ. მაგრამ კაცის გონება მაინც იბრძოდა, გამოსავალს ეძებდა. ერთი რომ რაიმე წინადადებას წამოაყენებდა, სხვები უწონებდნენ, ან იწუნებდნენ, ერთი სიტყვით სხვადასხვა აზრი საჯაროდ განიხილებოდა. საჭილდაო ქვასთან ჭიდილს ჰგავდა ყოველივე — წადილით დამუხტული ბიჭები ჩაუჩოქდებოდნენ უშველებელ ლოდს, ყელზე ხელს შემოხვევდნენ, მაღლა ეწეოდნენ. მონაცვლეობით მოდიოდნენ, ერკინებოდნენ, ოცნებააუხდენელნი გადიოდნენ მოედნიდან. ამ სამასტონიანი ასფალტსატკეპნივით მძიმე იყო ლოდი.

ბოლოს ვიღაც ხმელ-ხმელა, შავგვრემანმა წოწოლამ შემოაგრიალა თავისი ორდანიანი გრეიდერი მოედანზე. არაფერი არ უთქვამს, ისე შემოაჭირითა. ვერავინ მიხვდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული. ხალხი გაისუსა. წოწოლამ მიწაზე დაუშვა დანები, გაზი მისცა და წინ მოაწვა. ბლომად ფიქლის ნაშალი წამოიღო და მისაბმელის უკანა ბორბლებთან მიაზვინა.

— ეჰეი, ახლა კიდევ შენი ფოკუსები გვჭირდება? — მიაძახა მას ვიღაცამ, — სულ ჩაუხერგა უკან გასასვლელი...

— ახლა მოინდომე გზის გაფართოვება? ხომ არ დაგაგვიანდა ძმობილო? — აჰყვა იმ პირველს მეორე, გაუპარსავი, ხუჭუჭა თმიან-წვერიანი ახმახი.

წოწოლამ გაზს დაუწია, ჟირაფივით გრძელი კისერი გადმოყო კაბინიდან და იმ ახმახს მიაძახა:

— როდემდე ვუყუროთ ამ საცოდაობას? მალე უბედურება დატრიალდება...

„კი, ბატონო, თანახმა ვართ, რომ უბედურება დატრიალდება, მაგრამ მიწას რომ აყრი უკანიდან, ამით ვითომ ეშველება საქმეს?“ — ვერაფერი გაეგოთ სხვებსაც. ზოგიერთი მაინც ჩააგდო საგონებელში წოწოლას სიტყვებმა — „იქნებ ეგ კაცი გენიოსია და ჭკვიანური რამ მოაფიქრდა, ჰა? ჩვენ კი ტყემალზე ვზივართ...“ — ფიქრობდნენ ისინი და ცნობისწადილით აღვსილნი შესცქეროდნენ წოწოლას საქმიანობას. მან მშვიდად დასწია უკან გრეიდერი, კვლავ ჩაუშვა გრუნტში დანები და წინ წამოვიდა, ბლომად მიწა მოხვეტა და ისევ მიაზვინა ბორბლებთან. რამდენჯერმე კიდევ მოაზვინა და როცა მიწისპირი მისაბმელის ძარას გაუსწორდა, გვერდზე გააჩერა მანქანა, ასფალტსატკეპნს ჯალამბარი გამოსდო, მეორე ბოლო გრეიდერის ღერძზე დაახვია, უშველებელი ჩაქუჩი დააძრო საბარგულიდან, გაშტერებულ მძღოლს მისცა ხელში — ეგ სამაგრი მავთულები შემოაჭერიო სატკეპნს, ერთი თვითონვე შემოაჭრა, ზედ მისაბმელის რკინის შველერზე მიაბრტყელა. მძღოლს სხვა ბიჭიც მოეხმარა, სხვა ჩაქუჩით სხვა სამაგრებს დაუტრიალდა. ათმილიმეტრიან მავთულებს წკაპა-წკუპი გაჰქონდათ. ბოლოს სატკეპნი განთავისუფლდა ბორკილებისაგან, წოწოლამ დაქოქა თავისი გრეიდერი, უკან-უკან დასწია, სამასტონიანი სატკეპნი ნელნელა დაიძრა მისაბმელის ძარიდან.

— სატკეპნის დათრევა სდომებია. მაგ შეჩვენებულს — შვებით ჩაილაპარაკა ახმახმა და იმ პირველს გადახედა, ფოკუსნიკობა რომ დააბრალა წოწოლას.

— დაითრევს, რო... — დაეჭვდა იგი.

— დედას არ უტირებს? დაიძახა წოწოლამ.

— ხო??

—მაშა...

— საიდან იცი ეგრე ზეპირადა? — იგი წოწოლას მიეჭრა და გრეიდერი გააჩერებინა. უთხრა, რო გადაყირავდეს ეგ ჯაბახანა, მერმე რაღას აპირებ? იცი, რა, მავთულს გამოვაბამთ და ყველანი ფერდისკენ გავქაჩავთ, ისე სჯობია...

— არ უნდა არაფერი.... ბანზე აუგდო ნათქვამი წოწოლამ.

— რატომ ვითომ?

— არ უნდა და იმიტომ.

— ვახ, ეგ რა გენიოსები გამომიჩნდნენ ყველანი, მაინც საიდან იცი ეგრე დანამდვილებით ყველაფერი?

— ჟინვალბურგშია, ძმაო, მაგისთანა საქმეების აკადემია დავამთავრე, მაშა...

ხალხს ღიმილმა დაუსერა მოქუფრული სახეები.

წოწოლამ ამასობაში დაქოქა გრეიდერი და უკან-უკან გაქაჩა სატკეპნი. იგიც ზანტად, მაგრამ ბატონკაცურად ჩამობრძანდა მეორე სართულიდან „ეზოში“.

— დაგრჩა ოხრად ე შენი აჭილა, ჰა? — მოუტყაპუნა უშველებელ ბორბალზე ძარღვიანი ხელი სატკეპნს ახმახმა.

— გაცხონოს ღმერთმა, გულბათაშვილო... — მიაძახეს აქეთ-იქიდან წოწოლას.

— რა აკადემია დაუმთავრებია, კაცო იმ ჟინვალბურგშია, ჰა? — ხუმრობდნენ სხვები

— წითელი დიპლომი მაგრად გექნება შენახული სახლში, არა?

ცარიელი მისაბმელის უკან გათრევას უკვე აღარაფერი უნდოდა. მოფერიანებულმა

მძღოლმა მსწრაფლ გაათავისუფლა გზა, მისაბმელი და მანქანა გვერდზე გადააყენა. გახარებული წოწოლას მიეჭრა და მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა.

ზეიმობდა ყველა — მთაში ეგზომ აუცილებელი დეფიციტური მანქანა „დალუპვას" გადარჩა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო!

მეთვრამეტე საგზაო-სარემონტო სამმართველოს შოფერი — გურამ ჩერქეზია პირველად როდი იყო ამ გზაზე, მაგრამ ხიფათი მაინც შეემთხვა, თუმცა ყველაფერი რომ მშვიდობიანად მთავრდება, ის რა ხიფათია. გურამმა მითხრა:

— ასფალტსატკეპნი სამტრედიიდან მომაქვს. ამ სიმძიმისა და სიძლიერის მანქანა ჯერ არ ასულა ამ გზაზე. ამიტომ ვასაგებიცაა ჩვენი მღელვარება. მსგავსი მანქანები საერთოდ ცოტაა რესპუბლიკაში, გზები კი, სამწუხაროდ მოუწესრიგებელი გვაქვს, ერთი სიტყვით ტაცობაა გაჩაღებული სატკეპნებზე. მესტიისათვის არავინ არაფერს არ იშურებს. სამტრედიელებმა სახოებით ვამომატანეს მთაში, ჩვენი სამმართველოს ხელმძღვანელებმა ძვირფასი ნივთივით ჩამაბარეს, და აქ კი რა გამოდიოდა, ლამის იყო ხევში გადავაგდე ეგ დალოცვილი.... ამ კაცმა ნამდვილად მიხსნა — გულბათაშვილზე მიმითითა გურამმა.

— თქვენ საიდანა ხართ ჩამოსული? — მივმართე ახლა ნიკო გულბათაშვილს.

— შეიძლება ითქვას, კავკასიონის ხერხემლის მეორე ნაწილიდან, — მომიგო ნიკომ — ჟინვალჰესიდან გახლავართ, მთიელი ვარ და მთიელებს ვეხმარები გზების მშენებლობაში. აქ საინჟინრო ნაგებობათა სამმართველოს მიერ ვარ მოვლინებული. აპრილში ჩამოვედი...

— ხომ არ გაგიძნელდათ სვანეთში მუშაობა?

— ტყუილად კი არ ვიხუმრე, აკადემია დავამთავრე-მეთქი, ცხოვრება შრომაში მაქვს გატარებული, მაგრამ ასეთი საძნელო საქმე ჯერ არც მინახავს, აქ მთამსვლელიც უნდა იყო, ჯანიანიც, და ცოტა თავზეხელაღებულიც. ხალხური ლექსი როა: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო, თვალნი ქორებულ მხედველნი, მუხლები ზევარდნისაო..." — აქაურ მშენებლებზეა ზედგამოჭრილი. როგორც უკვე ვთქვი, ადვილი არ გახლავთ აქ მუშაობა, მაგრამ ერთი რამ კია — უძლეველობისა და ყოვლისშემძლეობის განცდა გეუფლება. ამ მთების ტოლა გგონია თავი. ეს კი, იცით, რას ნიშნავს?

აქვე გავიცანი მეთვრამეტე საგზაო-სარემონტო სამმართველოს წარმომადგენელი მიხეილ უგულავა, გორის ხიდების სამშენებლო-სარემონტო კომბინატის სამაღლო ტექნიკის სპეციალისტი ბორის გოგეშვილი და სხვები. ყველა ისინი თავიანთ საუბარში აღნიშნავდნენ იმ სპეციფიკურ სირთულეებს, რაც დამახასიათებელი იყო სვანეთის გზის მშენებლობისათვის, უამრავ ტექნიკურ და ბუნებრივ სიძნელეებს, რაც მათ ხელს უშლიდა ნორმალურ მუშაობაში, ბევრ წვრილმან მოუგვარებელ საკითხს, მაგრამ მათს „გულწრფელ აღსარებაში" არ იგრძნობოდა წუწუნი და უკმაყოფილება, დაღლილობა, იმედგაცრუება და სასოწარკვეთილება, შიში და უძლურება. პირიქით, მთებში ხმალამოხებულებს, მუხლმომაგრებულთ, ღრმად სწამდათ გამარჯვებისა, მათს მონათხრობში იყო სურვილი შრომის კულტურის კიდევ უფრო ამაღლებისა, საქმის შეუფერხებლად წარმართვისა, მათი სული ანთებული იყო შეტევისა და შრომის, გამარჯვების წყურვილით. ამისი ერთ-ერთი დადასტურება საკუთარი თვალითაც ვიხილე ამ რამდენიმე წუთის წინ — ახალგაზრდებისა და უფროსების, ქართველი მშრომელების მამულიშვილურმა შემართებამ, მოწადინებამ და ძალამ სასწაულებრივად იხსნა გადაჩეხვისაგან „ხელიხელსაგოგმანებელი" მანქანა.

ამ უკაცრიელ ღრანტეებზე ასეთი ენთუზიაზმი და შრომის ჰეროიკა ოცდაჩვიდმეტი წლიდან არც ყოფილა ალბათ. გზათა გასწვრივ და მაღლა მაღალი ძაბვის ხაზები გადაჭიმულიყო, ელექტროდენი ენგურის საპირისპიროდ „მისრიალებდა". მისი სათავეებისაკენ. უშველებელი, ყანჩებივით აყელყელავებული ელექტროანძები მეციხოვნეებივით ჩარიგებულიყვნენ ხეობაში. აქ კი გზის ყოველ მეტრს თავისი პატრონი ჰყავდა მიჩენილი, ერთგული პატრონი. ენგურის გაღმაგამოღმა სოფლებშიც შრომა იყო გაჩაღებული. ფართოვდებოდა ძველი ქუჩები, კეთილმოწყობილი ხდებოდა მოედნები, მისასვლელები, ვეძები... იჯდა ახლა მთებში ჩაკარგულ სოფელში მოხუცი სვანი და მხოფლიოში მომხდარ ამბებს აქიდან ადევნებდა თვალს. გულში ნატრობდა — ნეტავი ეგრე ადრე არ დავბადებულიყავიო.

რაც უფრო წინ მივიწევდი მესტიისაკენ, თანდათან მიორკეცდებოდა გრანდიოზული გარდაქმნებით გამოწვეული სიხარული. ვიმსჭვალებოდი მადლიერების გრძნობით ამ კეთილი ადამიანების მიმართ, დღე და ღამეს რომ ასწორებდნენ ენგურის ხეობაში. მათი წყალობით ახალი ხანა დაწყებულიყო სვანეთის ცხოვრებაში, ამიერიდან ყველას ძალუძდა პირჯვრის გადაუწერლად, გულდამშვიდებით და სასურველ ჟამს შეჰყოლოდა საკუთარი თუ საზოგადო დანიშნულების

ტრანსპორტით ლომის ხეობის თვალწარმტაც სანახებს.

უკვე აღარ მაშინებდნენ გზისპირებზე გაკეთებული ეპიტაფიები. წინ და მაღლა თეთრონი მწვერვალები უელყელაობდნენ, ჩემი სამშობლოს ფარფატა ანგელოზები, მისი ყველა ჭირისა და ლხინის მოზიარენი...

გულანთებული, იმ მწვერვალებივით ამაღლებული და განსპეტაკებული მივუყვებოდი მშვიდობიან გზას და ამ ახალი ცხოვრების დასაწყისზე, ზღაპრულ გარდაქმნათა ისტორიასა და საფუძვლებზე, და, რა თქმა უნდა, იმ ადამიანებზე ვფიქრობდი ვინაც განახლების პროცესი დააჩქარა და დღევანდელი დღე მოიყვანა სვანეთისათვის.

როგორ დაიწყო ახალი ერა სვენეთისათვის?

## 1974 წელი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციათა დარბაზი

18 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება — „მესტიის რაიონის შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“. აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ზოგიერთი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება და განხორციელება დაევალა მეცნიერებათა აკადემიას. და, აი, კონფერენციათა დარბაზში თავი მოიყარა სვანეთის ინტელიგენციამ. აქ არიან აგრეთვე სვანეთის პრობლემებთან უშუალოდ დაკავშირებული ამინისტროებისა და უწყებათა წარმომადგენლები — წამყვანი სპეციალისტები: გეოლოგები, გეოდეზისტები, ელექტროფიკატორები, გზათა მშენებლები, სოფლის მეურნეობის ხამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, ცნობილი მეცნიერები, მწერლები...

მიზანი კი ერთია — აზრთა ჭიდილში, სხვადასხვა მოსაზრებათა ფონზე გამოიკვეთოს ის ძირითადი მიმართულება, რომელიც საფუძვლად დაედება მთავრობის ამ მნიშვნელოვანი დადგენილების პრაქტიკულ განხორციელებას. ერთი სიტყვით, დღეს აქ ინტელიგენციის, მეცნიერებისა და სპეციალისტთა ფორუმზე განიხილება მაღალმთიანი სვანეთის მომავლის საკითხი...

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ რესპუბლიკაში ახალ გარდაქმნებს ჩაეყარა საფუძველი, დაჰქროლა განახლების სიომ. მესტიის რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამაც აუბა მხარი საყოველთაო მოძრაობას. მათ პირველ რიგში მიზნად დაისახეს რაიონის კეთილდღეობაზე ზრუნვა, გამოწვლილვით შეისწავლეს მისი აწინდელი მდგომარეობა, სათანადო დასკვნების გაკეთების მერე წერილით მიმართეს ცენტრალურ კომიტეტს, რათა იგი სათავეში ჩასდგომოდა საშური პრობლემების გადაწყვეტას.

და, აი, კონფერენციის მონაწილეებს გააცნეს ნაწყვეტი რაიონის ხელმძღვანელების მიერ ცენტრალურ კომიტეტში წარმოდგენილი ზემოთაღნიშნული წერილისა.

„საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი კუთხის — სვანეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთობ სავალალო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ცენტრიდან სიშორემ, უგზოობამ, კარჩაკეტილობამ, ბუნებრივმა მკაცრმა პირობებმა და, რაც მთავარია, ხელჩაქნეულობისა და ინდიფერენტულობის პერიოდმა თავისი კვალი დააჩნია რაიონის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს. რაიონის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს. ჩვენის აზრით, საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა უმოკლეს დროში აღმოფხვრილ იქნას ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი... მხოლოდ ასე თუ გადავუღობავთ გზას მიგრაციის აჩქარებულ პროცესს, ვიხსნით მთას დაცარიელებისაგან, ხევსურეთის, ნაწილობრივ რაჭის მაღალმთიანეთის და თუშეთის არასახარბიელო ხვედრისაგან“.

წერილს ხელს აწერდნენ რაიკომის პირველი, მეორე და მესამე მდივნები — ბორის სარალიძე, ოლია ნაკანი, იოველ მერლანი, აღმასკომის თავმჯდომარე მურადი უშხვანი და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი გულისტკივილები ადრეც ხშირად გამოითქმებოდა მესტიის რაიონის მოწინავე ინტელიგენციის მხრიდან — ისინი ენერგიულად ესწრაფვოდნენ სახალხო მეურნეობისა თუ განათლების და კულტურის დარგში არსებული ჩავარდნების გამოსწორებას, მაგრამ მათ, როგორც წესი, დევნიდნენ, ავიწროვებდნენ. ამ ადამიანთა ლტოლვა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“ არც „მაღლა“ და არც „დაბლა“ მათი საჩივრებისა და წინადადებების გამრჩევი და გულთან მიმტანი არავინ გამოჩენილა.

რაც შეეხება აღნიშნულ წერილს, როგორც ზემოთაც ვთქვით, მის თაობაზე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ უმალვე მიიღო შესაბამისი დადგენილება და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაავალა სათავეში ჩადგომოდა სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერული გეგმის შემუშავების საქმეს. მეცნიერებათა აკადემიამ, პირადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა პრეზიდენტმა ილია ვეკუამ მართლაც რომ შესაშური დაინტერესება გამოიჩინა სვანეთის პრობლემების მიმართ. ამ მზრუნველობის უშუალო გამოხატულება გახლდათ ამ მაღალმთიანი კუთხის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის პერსპექტიული გზების დასახვისა და შემუშავებისადმი მიძღვნილი ფართო წარმომადგენლობითი კონფერენცია.

ამ თათბირზე, როგორც სარკეში, ისე აისახა მონაწილეთა პროგრესული და ჩამორჩენილი, მოწინავე და დრომოჭმული შეხედულებანი. ზოგიერთი ამხანაგების გამოსვლებში შეიმჩნეოდა „მიღწეულით" გულდაჯერებულობა. დისკუსიაში, რომელიც სტენოგრაფიულად იწერებოდა, ყველა მსურველს შეეძლო თავისი აზრის გამოთქმა სვანეთის საჭირბოროტო საკითხებზე, მათი გადაწყვეტის გზებზე. მთელ ამ მასალებს შემდგომში გულდასმით შეისწავლიდა საგანგებო კომისია, შემუშავებული დასკვნები კი საფუძვლად დაედებოდა მაღალმთიანი კუთხის პერსპექტიული განვითარების პროგრამის განხორციელებას.

მე, როგორც ამ კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს, საშუალება მომეცა თვალდაც მიმეღო მონაწილეობა დისკუსიაში და აგრეთვე ახლოს გავცნობოდი ზოგიერთი გამოსული ამხანაგის შედარებით საქმიან და საინტერესო მოხსენებას. ნარკვევში ჩავრთე აგრეთვე ზოგიერთი დაინტერესებული ამხანაგის მიერ ჩემთან საუბარში გამოთქმული პრობლემატური მოსაზრებები. ამ ნაირნაირ თვალსაზრისთა ფონზე, ჩემის აზრით, უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს სვანეთის მტკივნეულ პრობლემათა და საკითხთა წრე და მათი გადაწყვეტის გზები...

მდინარეების — ნაკრულასა და ხანის შმავობის ამბავი ყველას მოეხსენება. ორივეს ღამრეც ხევში დაუდევს ბინა, თავის გზაზე მოანგრევენ ყოველივეს. ახლა ამ მდინარეებზე რკინა-ბეტონის თანამედროვე ხიდები შენდება. ჯერჯერობით კი აყირავებული და უსწორმასწორო მორებისაგან შეკოწიწებული ბოგირებით სარგებლობენ მგზავრები. საშიშია მანდ გავლა, განსაკუთრებით კი ღამით, როცა გზის ღელელუდეობის გამო სივრცეში გაბნეული ფარების შუქზე ერთობ ძნელდება ბოგირის ზედაპირის რელიეფის აღქმა და ადვილი შესაძლებელია მძღოლმა იმ სივიწროვესა და საბნელეში გადააცილოს მანქანა სავალ ნაწილს. ესმით ეს მდგომარეობა მშენებლებს და, რამდენადაც შესაძლებელია, ჩქარობენ. ხანთან, ეს-ეს არის, ბურჯების ჩახმას მორჩენილან, ახლა გზისპირსა და ბურჯებს შორისი უფსკრულია მიწით ამოსავსები, ხელმარჯვნივ აყუდებული კლდეა ასაფეთქებელი და გადმოსანგრევი და მერე უკვე მალების გაწყობას აღარაფერი შეუშლის ხელს. ხიდის მშენებლობას ხელმძღვანელობს მესტიის საგზაო-სარემონტო უბნის სამუშაოთა მწარმოებელი კამო ფალიანი. კამომ რამდენიმე წელია რაც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და, როგორც გზათა მშენებლობის სპეციალისტმა, მყისვე მშობლიურ კუთხეს მოაშურა.

— როგორ მიდის თქვენი საქმეები? — ვეკითხები სამუშაოთა მწარმოებელს.

— საქმეებს მართლაცდა რა გამოლევს, ოღონდ უმჯობესი იქნება გზათამშენებლებთან მხოლობითში იხმაროთ სიტყვა — „საქმეები". — კამოს ღიმილმა დაუსერა სახე — იმ დღიდან მოყოლებული, რაც ამ გზის მშენებლობას შევუდექით ჩვენთვის არსებობს ერთადერთი საქმე — დღენიადაგ ფიქრი და ზრუნვა მის დროულად დამთავრებაზე. მართლა, ხუმრობაში ნუ ჩამომართმევთ, დანარჩენი საქმეებისათვის თითქმის ვეღარც კი მოგვიცლია. დილაუთენია შინიდან გამოსულები ღამის ათ საათზე თუ მივბრუნდებით ხოლმე სახლში. ხანდახან კი ობიექტზე დარჩენაც გვიხდება, და თანაც განა ერთი და ორი დღით...

— სხვებიც ამ დღეში არიან?

— რა თქმა უნდა, ნათქვამი ყველა სამართველოს და ყველა მშენებელს ეხება. სამუშაო გრაფიკი ყველასთვის ერთნაირად დაძაბული და საპასუხისმგებლოა. თქვენ თვითონ განსაჯეთ, თანამედროვე კეთილმოწყობილი გზა მესტია-ჯვარს შორის, ახალი ვალდებულებით, საიუბილეოდ უნდა ჩავაბაროთ...

— რა მთავარი სიძნელეები გხვდებათ მუშაობის დროს?

— სჯობია სიძნელეებზე საუბარს საერთოდ თავი გავანებოთ, რადგანაც ისინი იმდენად თავზესაყარია, რომ კაცმა აღარც კი იცი, საიდან უნდა დაიწყო — ეს ტრანსპორტის პრობლემაა, ეს საშენ მასალათა პრობლემაა, კვების პრობლემაა, და ბოლოს კულტურული დასვენება-გართობის პრობლემა. ეს უკანასკნელი ალბათ მართლაც ფუფუნება იქნებოდა ჩვენს პირობებში, მაგრამ მთლად ასეც ხომ საცოდაობაა — ლამისაა ტყიურები გავხდეთ — აბა წარმოიდგინეთ თვეების განმავლობაში მოკლებული რომ იქნება ახალგაზრდა კაცი ელემენტარულ საყოფაცხოვრებო, თუ გნებავთ, სამუშაო პირობებსაც კი. მუშაობა ხომ თავისთავად დასვენებასაც გულისხმობს, მაგრამ გააჩნია დასვენებასაც — აბა ჰკითხეთ ბიჭებს, რად უღირთ

ახალი გაზეთის, ჟურნალის გადაკითხვა სადამოს ჟამს, განსაკუთრებით გაცხოველებული საფეხბურთო ციებ-ცხელებისას. აღარაფერს ვამბობთ მთელი დღე ტყე-ღრეში გდების მერე თბილ აბაზანაზე. ღვთის წყალობით, ბუნებრივი ჩანჩქერები ხეობაში ბლომადაა და იმითაც იოლას გავდივართ.

— თქვენ ახსენეთ კვების პრობლემა. რა გქონდათ მხედველობაში?

— ის, რომ ერთი მოძრავი სასადილო ოცნებად გადაექცათ მშენებლებს. მართალია, ხეობის სოფლებში ნათესავებს თუ ამხანაგ-მეგობრებს შეგვიძლია მივადგეთ კარზე, მაგრამ რა ქნან სხვა რაიონებიდან მოვლინებულებმა? ჰაერი და წყალი, იცოცხლე, დიდებული გვაქვს, მაგრამ მშრომელი კაცისთვის „არსობის პური" მაინც მთავარია, და არა მარტო მშრომელისათვის...

ხშირად თქვენი კოლეგები თავიანთ წერილებში მხოლოდ ეგზოტიკურ მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას. სიძნელეები რატომღაც გვერდზე რჩებათ და საბოლოო ჯამში მშენებელი კაცის სახე მკრთალად იხატება.

— როგორც საგზაო ინჟინერმა სად მიიღეთ პირველი ნათლობა?

— მაღალმთიანი სოფლების — წვირმისა და იელის გზების მშენებლობაზე.

— გაგიჭირდათ პირველ ხანებში?..

— რომ ვთქვა, არაო, სწორი არ იქნება. სამთო გზათა მშენებლობას მრავალი სპეციფიკური სიძნელეები ახასიათებს, მაგრამ მთიელებისათვის ეგ უცხო ხილი არ უნდა იყოს.

— რას იტყვით მშენებლებზე? როგორია მათი განწყობილება?

— აქაური კაცი თავის გულში ძნელად ვინმეს თუ ჩაახედებს. განა უხასიათობის ანდა უნდობლობის გამო, არა! უბრალოდ „პირად საქმეებზე" საუბარი ერთგვარად დამამცირებლად ეჩვენება, მიუხედავად სიტყვაძუნწობისა, მშვენივრადა ვგრძნობ, რაოდენ გულაღგზნებულნი, მოწადინებულნი არიან. უცნაური ამბავი შევნიშნე — კოლმეურნეობაში რომ ზარმაცის იარლიყი ჰქონდა აკრული, აქ სულ გამოიცვალა, ისეთი შრომის ცეცხლი დაატრიალა, ველარც კი იცნობდით. განა ერთი და ორია ასეთი. მიზეზი ალბათ დაინტერსებაა. ჩვენთან ანაზღაურება არც თუ ურიგოა. მაგრამ ეგ მაინც როდია მთავარი, მრავალგზის დავრწმუნდი, მუშები ალმაფრენას განიცდიან, მშვენივრად უწყიან, რომ სათავისო გზასა ჰკვალავენ, საშვილიშვილო საქმეს ჩასდგომიან. ამისი შეგრძნება მოწადინებასა და შემართებას ბადებს მათში... მშრომელი ადამიანისათვის კი ახეთი მამულიშვილური წვდომა საქმის არსში — ყველაზე სასიხარულო მოვლენაა, მგონი...

## ხარები...

მხატვრული ინფორმაცია

იმ წელს მამაჩემმა ენგურისპირა ქვა-ღორღიანი ადგილი მოასუფთავა და შემოღობა. მიწა და ნაკელი მოაყარა, ბალახი გაახარა. რამდენი ოფლი დაღვარა ღოღების დაძრობაზე... მაგრამ მამაჩემი მაინც ბედნიერი იყო, შემოდგომისპირზე აღარც კი ახსოვდა ის წვალება, ნარიყალაზე ერთი მარხილი თივა მოიწია და უხაროდა.

მახსოვს, შევეკითხე, ერთი მარხილი თივა ღირდა ამდენ წვალებად-მეთქი?

ნაღვლიანად გადმომხედა. არაფერი მიპასუხა. გზაში, ხარებს და მამაჩემს ადევნებული, წეღანდელ ნათქვამზე ვფიქრობდი. ანდეთი ვგრძნობდი, ნამდვილად გული დასწყვიტა მამაჩემს იმ სიტყვებმა, ეტყობა, ვერ ავწონდავწონე სათქმელი.

უხმოდ მიუძღოდა ხარებს, წელში მოხრილი, გამხდარი, გაუპარსავი და ხერხემლის ღართან ოფლისაგან პერანგამოსველებული. მის მოძრაობას აკლდა ძველებური ცეცხლოვანება და ენერგიულობა, მართალია, წელიც რომ მოსწყდომოდა მუშაობისაგან, ერთს არ დაიჩივლებდა და დაიწუწუნებდა, გარეშე თვალი ახლაც ვერ შეატყობდა ვერაფერს, მაგრამ მე ვგრძნობდი, მისი ნაბიჯები დაღლილი ადამიანის ნაბიჯები იყო, და მაშინ პირველად გონებაში გამიელვა იმ აზრმა, რომ მამაჩემი უკვე მოხუცდა. სამოცდაცხრამეტი წელი აძლევდა მას ამის უფლებას. თუმცა არც მის წლოვანებისათვის მიმექცია იმ წუთამდე ყურადღება, ჩემს თვალში მამა უძლიერესი არსება იყო ამ ქვეყანაზე და ვერ წარმომედგინა თუ მას წლები რაიმეს დააკლებდა, ხანდაზმულობა შემოეპარებოდა... და პე ვიფიქრე, რომ უკვე ველარ შესძლებდა იგი უშბისპირა წარაფებიდან ზურგით წვალებით მოთიბული ბალახის გამოზიდვას, უკაცრიელ ღარტაფებზე ახალგაზრდულად ვერ დატრიალდებოდა. და, აი, მან ასეთი გამოსავალი დაძებნა — მოასუფთავა რიყე და ბალახი გაახარა. ნაცად ბილიკებს ველარ ენდო და უფრო მშვიდობიან საქმეს მოჰკიდა ხელი. თვალნათლივ ვიგრძენი, რომ ჩემი შეკითხვით მოხუცის მტკივნეულ ადგილს შევეხე. გულწრფელად ვნანობდი, მაგრამ...

სწორ გზაზე რომ გავედით, მამაჩემმა თავის ნებაზე მიუშვა ხარები, დამელოდა, მხარზე გადამდო ხელი და მითხრა:

— სხვა თუ არაფერი, ეგ თივა იმ შენს დეკეულას ხომ გამოკვებავს ამ ზამთარსო...

— გადარჩება კიდეც, მე მგონი, გადარჩება... — შვებით დავუდასტურე მამაჩემს, მიხაროდა, რომ ის წელანდელი წყენა გულიდან გადაყროდა. ხალისიანი და მხიარული ჩანდა. მერე ძველი სვანური სიმღერა წამოიწყო, მხარზე ხელი მომიჭირა და ამით მაგრძნობინა, პირველი ამაყოლეო.. ჩვენთვის მივბლაცუნობდით შინისაკენ და ჩუმად ვმღეროდით. ჩრდილოეთით ლელლამის ხევებად დასერილი მთა მოგვაცილებდა, სამხრეთით თეთრი ენგური. წინ მზით გაჩახჩახებული სვანეთის ქედის თოვლიანი მწვერვალები ყელყელაობდნენ. ჩვენს სიმღერაში ნათქვამი იყო ოქროსკუდიან და ოქროსრქიან ხარებზე, ისინი მიუვალ იალაღებზე დაბალახობდნენ. მათი ბუღრაობის ხმაზე უშბისა და თეთნულდის კალთებიდან ზვავები წყდებოდა, ნადირი ფეთდებოდა, რეტდასხმული კლდე-ღრეებს ევლებოდა.

ხარების პატრონი უბედნიერესი კაცი იყო. ყველაზე ძლიერი, ყველაზე ლამაზი ხარები ჰყავდა. სიმღერის დასასრულს იგი თავის სიხარულსა და ბედნიერებაზე მოუთხრობდა მსმენელს.

ჩვენმა სიმღერამ ათასი ფიქრი დამახვია თავს. წარმოვიდგინე ზღაპრული მთები და საბალახოები, იმ ხარების ბუღრაობა და ნადირ-ფრინველის წიოკა, ზვავების წყდომა მწვერვალთა კალთებიდან და ბოლოს, სახეგაბრწყინებული და ბედნიერებით აღვსილი იმათი პატრ[illegible] თომ მამაჩემი. ეს, მამაჩემი მღერ[illegible] ვოფხაისა და ტალმაიზე. საოცრად ტკბილი განცდა იყო — ასეთი ბედნიერი არასოდეს მენახა იგი. მეამაყებოდა, ყველაზე ძლიერი ხარები ჰყავდა.

სიმღერა რომ ჩამოვამთავრეთ, მამაჩემი წინ დაუდგა ხარებს, უღელზე გადააწვა, „ხიო, ხიო" — უკან დასწია საქონელი, აპეურები შეუხსნა, უღელი ააცალა.

— ვეძაზე ავრეკოთ, მადლი იქნებაო... — მითხრა მერე მე.

სამხრობის ჟამი იყო. მზე მწვალებლურად იკბინებოდა. ჩვენსავით ხარებსაც ბული ასდიოდათ. ვეძა მართლა მისწრება იქნებოდა მათთვის. ამ მჟავე წყალს „ხანი სგიმს", საქონლის, ხარის ვეძას ვეძახდით სოფელში. იგი უშველებელი, თითქოს ფერდობზე საგანგებოდ დაყუდებული ლოდის ძირში მოჩუხჩუხებდა. საქონელი მართლაც სიამოვნებით ეტანებოდა, ეს უშველებელი ლოდი და ცივციველა მჟავე წყალი სასიამოვნოდ აგრილებდნენ იქაურობას. საქონელსაც მეტი რა უნდოდა. შუადღემდე წაიბალახებდა ახლო-მახლოში, მერე ვეძას მოაშურებდა, დარწყულდებოდა, ჩადგებოდა გრილოში და მოჰყვებოდა ცოხნას. ნებანება ათამაშებდა კუდსა და ასე იგერიებდა აბეზარ ბუზანკლებს, რომელთაგანაც გული ჰქონდა გაწყალებული.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# ოქტომბერი და ქართული მწერლობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი აღმავლობა განიცადა მხატვრულმა პროზამ. ეს პროცესი განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1924 წლიდან. ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა იმ ხანებში ახლად დაარსებულმა სქელტანიანმა ქართულმა ჟურნალმა „მნათობმა“.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რუსთაველის შემდეგ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ქართულ ლიტერატურაში ჰეგემონია ეკუთვნოდა პოეზიას, პოეზია წამყვანი ჟანრი იყო, თუმცა ქართულ პროზასაც წარსულში უბრწყინვალესი ოსტატები ჰყავდა. აქ საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მარტო გზის პირველი გამკვალავი იაკობ ცურტაველი, ავტორი პირველი ქართული მოთხრობისა „შუშანიკის მარტვილობა“. მეათე საუკუნისათვის ჩვენ უკვე გვაქვს პროზის შესანიშნავი ნიმუშები — გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“... ფეოდალური ეპოქის მწერლობაში პროზა საბოლოოდ გაიმართა „ვისრამიანისა“ და „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორების ხელში, ხოლო მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე იგი უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა სულხან-საბა ორბელიანმა; მისი წიგნი „სიბრძნე-სიცრუისა“ ძველი მწერლობის ნამდვილი შედევრია. ძველი პროზიდან ახლამდე იყო ერთგვარი ხარვეზები და ამ ხარვეზის შევსება ჟურნალმა „ცისკარმა“ დაიწყო. მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ძველი პროზის ტრადიციას აცოცხლებენ გ. რჩეულიშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი და სხვა. მაგრამ ეს გამოცოცხლება ჯერ კიდევ ნელი პროცესით მიდიოდა.

ახალ ქართულ პროზას, ისე როგორც ახალ სალიტერატურო ენას, მტკიცე ნიადაგი შეუქმნა და საფუძველი ჩაუყარა ილია ჭავჭავაძემ და მისმა სკოლამ; ილია მეცხრამეტე საუკუნის ქართული პროზის ახალი სათავეა. ილიასთან ერთად აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ალ. ყაზბეგმა, ვაჟამ, ე. ნინოშვილმა, დ. კლდიაშვილმა, შ. არაგვისპირელმა შექმნეს ქართული პროზის კლასიკური ეპოქა, გაათავისუფლეს ქართული მწერლობა მოძველებული ფორმებისაგან, რაც აბრკოლებდა მის განვითარებას. ქართული პროზის ამ დიდმა ტრადიციამ ერთგვარი დაკნინება განიცადა მე-20 საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებში.

რეაქციისა და მსოფლიო ომის წლებში წარმოშობილმა დეკადენტურმა მიმართულებებმა სცადეს გადაეჭრათ რეალისტური მწერლობის გზა; დეკადენტები უარყოფდნენ საზოგადოებრივად აქტუალურ თემებს, იკეტებოდნენ საკუთარ ნაჭუჭში და ლიტერატურის მთავარ ჟანრად აღიარებდნენ ლირიკას. პროზიდან ისინი არსებობის უფლებას აძლევდნენ მხოლოდ ესკიზებსა და მინიატურებს. ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მცირე ფორმებს უპირისპირებდნენ რომანსა და მოთხრობას. უფრო მეტიც: ზოგიერთი მათგანი ამტკიცებდა, ახალ მკითხველს სრულიად არა აქვს სქელტანიანი ნაწარმოების კითხვის სურვილი, ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ნაწარმოების სათაური შევარჩიოთ, პროზა სათაურებამდე უნდა დავიდესო. ამ მავნე თეორიებმა ზიანი მიაყენეს ქართული ლიტერატურის განვითარებას. მაგრამ საბოლოო ანგარიშში მაინც ვერ გადაულობეს გზა რეალისტურ პროზას. ამას ამტკიცებს ამ წლებში გამოქვეყნებული რომანები: ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ (1915 წ.), შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“ (1919წ), ნიკო ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“ (1911წ.), ვ.

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარნოვის „მიმქრალი შარავანდედი“ (1913 წ.), „ტრფობა წამებული“ (1918წ.). ამ ნაწარმოებთა შექმნა იმაზე მიუთითებდა, რომ რეალისტური ფუძე და ტრადიცია ქართული მწერლობისა უაღრესად ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი იყო.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების ქართულ პროზაში დიდი ადგილი დაეთმო ისტორიულ და ისტორიულ-რევოლუციურ თემებს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა 1905 წლის რევოლუციის თემა, სწორედ ამ თემის გაშუქებით დაუახლოვდა შემოქმედებითად ძველი თაობის მწერალთა ერთი ნაწილი საბჭოთა ლიტერატურას.

1927-1929 წლებში „მნათობში“ დაიბეჭდა ცხრაასხუთისადმი მიძღვნილი მთელი რიგი რომანები და მოთხრობები, მათ შორის უნდა დავასახელოთ ლეო ქიაჩელის „სისხლი“ (1927წ.), ნიკო ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“ (1927 წ.), დავით სულიაშვილის „ნალვერდალი“, „ჩიკორი“ (1928 წ.) და სხვ.

ამ პერიოდის ქართული პროზის აღორძინება აღინიშნა იმით, რომ მოწინავე მწერლები სისხლხორცეულად დაინტერესდნენ თანამედროვე თემებით. რევოლუციური ეპოქის, საბჭოთა სინამდვილის დახასიათებას და ამ სინამდვილის მხატვრულ ასახვას მიეძღვნა რამდენიმე საინტერესო პროზაული ნაწარმოები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“, დემნა შენგელაიას „სანავარდო“, კ. ლორთქიფანიძის „ხავსი“ და „პირველი დედა“, ს. კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“, რ. გვეტაძის „თეო“ და „ქიაკოკონა“, ელ. ზედგინიძის „ლურჯი სუფრა“, „ორი მზე“, „რკინის ძმები“, ი. ტატიშვილის „მოსარეცხე“, ალ. ქუთათელის „კორნელი და მუშები“, „განთიადის წინ“, ბ. ჩხეიძის „დღეები“, პ. ჩხიკვაძის „სართულები“ და სხვ.

ამ ხანის ქართულ პროზაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა საკოლმეურნეო ცხოვრების თემას. ამ თემას მიეძღვნა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ (ადრინდელი ვარიანტი), ს. კლდიაშვილის და ელ. ზედგინიძის რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი. ამავე დროის ქართულ პროზაში იყო ცდა ეპიკური ნაწარმოების ცენტრში დაეყენებინათ ახალი ადამიანის — ბოლშევიკის სახე. მიუხედავად ერთგვარი სქემატურობისა. ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენდა ლევან მეტრეველის „ბოლშევიკი“, სადაც ავტორმა სცადა რევოლუციონერის, ბოლშევიკის ტიპი დაეპირისპირებინა წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტის ტიპთან.

აქ საჭიროა ცალკე გავარჩიოთ ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც ტონს აძლევდნენ ჩვენს მწერლობას და მომავლისთვისაც ერთგვარ სავტაპო მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ.

ლეო ქიაჩელი, საინტერესო რევოლუციური ბიოგრაფიის მქონე მწერალი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებიდან რედაქტორობდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალ-გაზეთებს: ჟურნალ „ლომისს“, გაზეთ „ივერიას“, თვით კავშირის მუშაობაშიაც აქტიურად თანამშრომლობდა; ამ ხანებში დასწერა ლეო ქიაჩელმა თავისი ცნობილი ნოველები: „ისკანდერი“, „მე და ჩემი ორი მე“, „რაც იყო და რაც არა“; ეს ნოველები მოდერნიზმის გავლენით იყო დაწერილი.

ჟურნალ „მნათობში“ 1927 წლიდან იბეჭდება ქიაჩელის ახალი რომანი „სისხლი“. ეს რომანი თავისებური გაგრძელებაა იმ თემატიკური რკალისა, რომელიც მწერალმა „ტარიელ გოლუათი“ დაიწყო. „სისხლში“ აღწერილია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ე. ი. რეაქციის ხანა. როგორც უკვე ვთქვით, ეს ნაწარმოები ქრონოლოგიურად, რომანში გამოყენებული თემატური მასალის თვალსაზრისითაც, „ტარიელ გოლუას“ გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ თუ „ტარიელ გოლუაში“ მწერალი მთლიანი, მწყობრი და გამართული იდეური და მხატვრული კონცეფციით გვევლინება, იგივე არ შეიძლება ითქვას „სისხლის“ მიმართ. რომანის ცენტრში მწერალმა დააყენა მენშევიკი არჩილ დადიშიანი. იგი უნებისყოფო, მერყევი ადამიანია და მას სრულებითაც არ ეკუთვნის ისეთი დიდი ადგილი, როგორიც ეთმობა რომანში. ამასთან, ამ პერიოდის მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის არსებული უთანხმოების განმარტება მხატვრულად სათანადოდ დასაბუთებული არ გამოდის. მიუხედავად ამისა, ამ რომანში არის ბევრი საინტერესო რეალისტური სურათი, დამახასიათებელი რეაქციის წლებში რევოლუციური ინტელიგენციის ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი აქ ქუთაისის ციხის საიდუმლო გვირაბის გაყვანის ისტორია. ახევე შესანიშნავი რეალისტური ფერებითაა დახატული რევოლუციონერი ანდრო, სამართლიანი სიძულვილის გრძნობას აღძრავს მკითხველში რეაქციის ლაქიის, ციხის უფროსის აბალანდიას სახე.

„ტარიელ გოლუას“ ავტორს არ გასჭირვეშია მკვეთრად გამიჯნოდა მოდერნიზმს; ოციან წლებში იგი გახდა ერთ-ერთი ფუძემდებელი საბჭოთა ნოველისა. მხედველობაში მაქვს ლ. ქიაჩელის ბრწყინვალე ნოველები: „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“ და „ალმასგირ კიბულანი“.

ფრიად საინტერესო ნოველად მიგვაჩნია ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“ (1927წ.). თემატურად აქ მეტად საინტერესო პრობლემაა დასმული და გადაწყვეტილი, რევოლუციამ ის-

ტორიის სანაგვე ყუთში გადაჰყარა ყველა მუქთახორა: თავადი, აზნაური, ბურჟუა... ოდესღაც ბრწყინვალე არისტოკრატი, თავადის ქალი მაია რევოლუციამ ქონებრივად გაალატაკა, გახუნდა მაიას სილამაზეც, ასაკმა თავისი გაიტანა. თავის დროზე კი ულამაზესი თავადის ასულის სიყვარულს არა ერთი და ორი ვაჟკაცი შეეწირა. მაგრამ ის დრო წავიდა, თავადაზნაურობამ დაკარგა ყველაფერი. ამას ზედ დაერთო თავადის ასულის მოახლოებული სიბერე; მასზე გული აიყარა მისმა უკანასკნელმა მიჯნურმა, თავადმა ბონდომ. მას ეშხით სავსე გლეხის გოგონა დაფინო მოსწონს. მაგრამ ეს ლამაზი გლეხის გოგონა თავადის ასულის ყოფილი მოჯამაგირის — ამბაკოს საცოლეა.

ძუნწად, რამდენიმე ფრაზით გვიხატავს მწერალი წელში გამართულ, გაამაყებული ყოფილი მოჯამაგირეების — დაფინოსა და ამბაკოს გულწრფელ სატრფიალო გრძნობებს; მათს ცხოვრებას, მათს სიყვარულს ნათელი პერსპექტივა აქვს. ბონდოსა და მაიას სიყვარულის მზე კი ჩაესვენა, მსგავსად მათი წოდებრივი ბრწყინვალებისა.

მაიამ ნათლად დაინახა საკუთარი ცხოვრების დასასრული, იმედდაკარგული, გაბოროტებული თავადის ქალი ზღვაში თავს იხრჩობს.

გასაოცარი ისტორიული სიმართლით გამოხატა ლეო ქიაჩელმა ამ ნოველაში ძველისა და ახლის კონფლიქტი. ფინალში ბონდოც იღუპება და მაიაც. ისტორიულად ეს სავსებით კანონზომიერი სურათია, რომელშიაც ნათლად არის გამოხატული, რომ ძველმა არისტოკრატიამ ცხოვრების გზა ყოფილ მოჯამაგირეებს — დაფინოსა და ამბაკოს უნდა დაუთმონ. ისტორიის ამ განაჩენის შეცვლა არავითარ ძალას არ შეუძლია.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთ ბრწყინვალე ფსიქოლოგიურ ნოველად მიგვაჩნია „ალმასგირ კიბულანიც". ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ტრაგიკულის უფრო მძაფრი შეგრძნება, ვიდრე ეს ამ ნოველაშია გამოხატული. ალმასგირ კიბულანის განცდები, მისი სულის მოძრაობის ყოველი დეტალი, მისი გაწყობილებები გადმოცემულია დიდი ოსტატობით — აქ ყოველი ეპიზოდი, ყოველი სახე ავსებულა დიდი ცხოვრებისეული სიმართლით. საერთოდ ლეო ქიაჩელის ეს ნოველები წერის მანერით, ხასიათებით, ფსიქოლოგიური განცდების გამოსახვით, მთელი მხატვრული ქსოვილით რეალიზმის ცხოველმყოფელ პრინციპებს ეფუძნება.

ამ წლებში ლეო ქიაჩელი უკვე აქტიურად ეხმაურებოდა საბჭოთა მკითხველის ამაღლებულ და გაზრდილ ლიტერატურულ გემოვნებას. ოციანი წლების ქართული საბჭოთა მწერლობის მთავარი თემა ჩვენი ქვეყნის განახლების, აღორძინების, ახალი, საბჭოთა ადამიანის დაბადების გამოსახვა და მხატვრული დახასიათება იყო. მაგრამ მაშინ არა მარტო ვამკვიდრებდით ახალს, არამედ ვანგრევდით ძველს, უარვყოფდით ძველ ყოფას, ძველი სამყაროს ეგოისტურ მორალს; ამ ეპოქის ადამიანთა გრძნობები —სიყვარულით გამოწვეული აღტაცება თუ ახლობელის სიკვდილით მოტანილი მწუხარება ასევე მოითხოვდა მხატვრულ გამოსახვას. ცხოვრებისეულ მოვლენათა მრავალფეროვნება მხატვრულ გამომსახველობათა მრავალფეროვნებას მოითხოვდა. ერთი თემა, ერთი ფერი მწერლობის გაღარიბებას უდრიდა. თვით რევოლუცია მოითხოვდა ცხოვრებისეული სიმართლის მრავალსახოვნად გამოხატვას. ტრაფარეტს, ერთფეროვნებას, პლაკატურობას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადა. ცხოვრება აყენებდა დღის წესრიგში ადამიანების სულში მომხდარი დიდი გარდატეხების, აზრთა ჭიდილსა და ბრძოლაში დაბადებული ახალი ჭეშმარიტების ასახვას. ლ. ქიაჩელის ნოველები — „თავადის ქალი მაია", და „ალმასგირ კიბულანი" სწორედ რომ ჩვენი რთული ეპოქის ადამიანთა ამ სიბრტყეზე გამოხატვის კლასიკური ნიმუშებია.

ამ პერიოდის უაღრესად თვალსაჩინო ფიგურა იყო ნიკო ლორთქიფანიძე. 1928 წელს „მნათობში" მან გამოაქვეყნა ახალი ნაწარმოები „ბილიკებიდან ლიანდაგებზე", რომელიც მწერლის შემოქმედებითი წინსვლის უტყუარი მაჩვენებელი იყო. აქ თემად აღებულია 1905 წლის რევოლუციისა და მისი მომდევნო წლების საზოგადოებრივი ცხოვრება. მოთხრობის ცენტრში მწერალმა დააყენა ბოლშევიკი მებრძოლი, რევოლუციონერი გაიოზ ლაბარდავა, თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშა. იგი, გამოცდილი კინოოპერატორი, სოფლად ჩასული, აჩაღებს რევოლუციურ მუშაობას. გაიოზი რაზმავს გლეხებს სოფლის მუქთახორების, ჩარჩ-ვაჭრებისა და პოლიციის მოხელეების წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ გაიოზი იძულებულია დატოვოს სოფელი და რევოლუციური მუშაობა ქალაქად გადმოიტანოს. აქ მას გვერდით უდგანან მის მიერ გამოზრდილი რევოლუციონერები — პარმენი და შაქრო. რომანში რევოლუციის ძალები მძაფრად უპირისპირდებიან რეაქციის ძალებს.

ეს რომანი მრავალმხრივ საყურადღებოა. ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობების ადრინდელი პერსონაჟების — მეფეების, ფეოდალების და რაინდების ნაცვლად აქ პირველად გამოჩნდნენ რევოლუციური მასების წარმომადგენლები — მუშები და გლეხები. მწერალმა ეს მშრომელი ადამიანები დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით დახატა, რითაც გამოთქვა თავისი სიმპათია რევოლუციური მუშებისა და გლეხებისადმი, რომლებიც ამ რომანის დაწერის წლებში, უკვე ხელისუფლების ბატონ-პატრონნი იყვნენ. ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კო ლორთქიფანიძის ეს რომანი იყო პირველი დიდი მხატვრული ტილო, რომლითაც მან, როგორც საბჭოთა მწერალმა, ნათლად გამოავლინა თავისი პოზიცია.

1925 წელს გამოქვეყნებული „თავსაფრიანი დედაკაცი“ ერთი უბრწყინვალესი ნოველთაგანია მე-20 საუკუნის ქართულ პროზაში. ამავე დროს, ის ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის ყველაზე უფრო ტიპიური გამომხატველიცაა: აქ სულ რამდენიმე გვერდზე წარმოდგენილია დაქვრივებული ქართველი ქალის დიდი შინაგანი სულიერი დრამა. თავსაფრიანი დედაკაცის შრომითი ცხოვრების ფურცლები გადმოცემულია უაღრესად შეკუმშული სახით. თავისი დაუცხრომელი შრომის ნაყოფით, შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლით თითქოს უნდა გაიხაროს მოხუცის გულმა. მაგრამ ასე როდი ხდება; მოულოდნელი ფინალით მთავრდება მისი ცხოვრება; უმადურმა რძალმა მწარე სიტყვით შელახა ქვრივის თავმოყვარეობა. ამაყი დედა ოჯახს ტოვებს, ბოლოს ამ კეთილშობილი და უაღრესად თავმოყვარე ქალის გვამს სადღაც ქალაქში იპოვნიან.

ქართველი მშრომელი ქალის ხასიათს მწერალი მეტად შთამბეჭდავად ძერწავს, ქმნის ქართველი ქალის ძლიერსა და მონუმენტურ სახეს. ვინც „თავსაფრიან დედაკაცს“ კარგად დააკვირდება, ადვილად დაინახავს, რომ ამ ნოველის საერთო სული, მისი მთავარი გმირის გამოხატვის პათოსი ი. ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივის ხასიათს ენათესავება, მაგრამ ისე ორიგინალურად და ოსტატურად არის დაწერილი, რომ მხოლოდ შორეულ მსგავსებაზე შეიძლება ლაპარაკი. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ნ. ლორთქიფანიძეს ჰქონდა ძლიერი კავშირი ქართული ეროვნული მწერლობის ტრადიციებთან.

მიხეილ ჯავახიშვილმა მოთხრობებით შემოაღო ქართული მწერლობის კარი: „ჩანჩურას“, „კურკას ქორწილის“, „მეჩექმე გაბოს“, „უპატრონოს“, „ეკას“ ავტორმა ერთბაშად მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. ეს იყო მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე (1903-1906წ.). შემდეგ, თითქმის ოცი წლის მანძილზე არაფერი გამოუქვეყნებია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში იგი კვლავ დაუბრუნდა ქართულ მწერლობას. პატარა ადამიანების ბედის მხატვარმა 1906 წელს შეწყვეტილი ლიტერატურული მოღვაწეობა 1923 წელს განაახლა; მოთხრობა „ტყის კაცი“, ისევ პატარა, რიგითი ადამიანის ბედს მიუძღვნა, ოღონდ აქ მოვლენებს ერთგვარი ფილოსოფიური განზოგადება მიანიჭა. ეს მოთხრობა მეტად აქტუალურსა და საინტერესო საკითხს აყენებდა. საზოგადოებას, ხალხს, სოფელს ჩამოცილებული ადამიანი იღუპება. მწერალი მიანიშნებდა, რომ პიროვნებისა და საზოგადოების ერთობლიობა ადამიანის ბედნიერების წყაროა. ამ კავშირის დარღვევას კატასტროფა მოსდევს. საზოგადოებისაგან განდგომას უბედურება მოაქვს კაცისათვის. ეს აზრი გამოხატა მიხ. ჯავახიშვილმა მოთხრობა „ტყის კაცში“. სოფლელი გლეხის პავლეს თავგადასავალი ამის მაგალითია. ამ მოთხრობას მოჰყვა მიხ. ჯავახიშვილის რომანები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“. ამ რომანების თემა და აქ გამოხატული ადამიანები სავსებით განსხვავებულნი არიან ერთი-მეორისაგან, მაგრამ სამივე ამ რომანში ავტორმა დახატა მოვლენები და ადამიანები ძველი და ახალი საქართველოს გაყრის გზაჯვარედინზე, წარმოაჩინა თავისი დამოკიდებულება ახალ დროსთან, საბჭოთა საქართველოსთან.

„კვაჭი კვაჭანტირაძე“ ერთგვარი სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებია. აქ მიხ. ჯავახიშვილმა პირველად ქართულ მწერლობაში გამოძერწა გაქნილი საქმოსნის, საერთაშორისო ავანტურისტის ხასიათი. გზა და გზა რომანში ასახული იყო იმ დროის დიდი ისტორიული ამბები და მოვლენები — პირველი მსოფლიო ომი, თებერვლის რევოლუცია, დიდი ოქტომბერი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

მიხ. ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ რეალიზმის ბრწყინვალე გამარჯვება იყო. ამ რომანში ვრცლად არის გამოხატული არისტოკრატიული წოდების ტრაგედია. რევოლუციამ განუკითხავად ძირს დასცა და საბოლოოდ განაიარაღა ფეოდალიზმის ნარჩენები, ბურჟუაზიასთან ერთად ისინი ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისროლა. რომანის ცენტრში ავტორმა სწორედ ეს ეკონომიურად გალატაკებული და პოლიტიკურად უფლებაჩამორთმეული ძველი კლასების ნაშიერი თეიმურაზ ხევისთავი დააყენა და მის ბედში განაზოგადა პარაზიტული კლასების დაღუპვა. თეიმურაზ ხევისთავი საკუთარი თვალით ხედავდა მოვლენების ახლებურ მსვლელობას, როცა ერთნი ასპარეზიდან უკვე მიდიოდნენ, ხოლო მეორენი მოდიოდნენ და თავიანთ ბედს თვითონვე სჭედდნენ. ამ გზაჯვარედინზე ჩნდება რევოლუციას მიტმასნილი მოურავობაში გაწვრთნილი გაიძვერა კულაკი ჯაყო. მიხ. ჯავახიშვილმა სწორად შეიცნო ჯაყოს ხასიათი: „რევოლუცია შენთვის მღვრიე წყალია, ხელსაყრელი ნიღაბია, შენ კი რევოლუციის მუნი ხარ, მისი წურბელა ხარ“. ამ წურბელამ მოხერხებულად გაფცქვნა თეიმურაზი, მის ქონებას დაეპატრონა, მერე ცოლიც წაართვა უასპარეზო და უნიადაგო ბედოვლათს, სულით ხორცამდე ჯიჯგნა და გაამასხარავა. მაგრამ საბოლოოდ ჯაყო რევოლუციამ ამხილა. რევოლუციის ნამდვილმა გმირმა — მშრომელმა ხალხმა ჯაყოებს ნამდვილი პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზიტი — გზიდან ჩამოშორა. რევოლუციის ნამდვილი გმირი ხალხია, ის ჰქმნის ისტორიას, ის წარმართავს ცხოვრებას, ისაა გადამწყვეტი ძალა. აქ სავსებით კანონზომიერად თავი იჩინა ჯავახიშვილის რეალიზმმა. ამ რომანის დიდი ღირსება ისაა, რომ ავტორმა სწორად წარმოსახა საბჭოთა საქართველოს პირველი წლების ვითარება, რევოლუციის ფონზე გამოხატა პარაზიტული კლასების შეუთავსებლობა ახალ ეპოქასთან, გვიჩვენა ამ კლასების დაღუპვის აუცილებლობა და ყველაფერი ეს დიდი მხატვრული ძალით წარმოაჩინა.

ძველისა და ახლის ურთიერთობის ვრცელი სურათი გამოხატა მწერალმა „თეთრ საყელოში", ოღონდ სხვა ასპექტითა და გაშუქებით. ამ რომანში მიხ. ჯავახიშვილმა რომანტიკული ფერებით გამოხატა პირველყოფილი მთა, მაგრამ რეალიზმმა აქაც იჩინა თავი და, მწერალმა ძველის, პირველყოფილების სიკეთესთან ერთად, მისი დიდი ნაკლიც სააშკარაოზე გამოიტანა. საბოლოო ანგარიშში როცა აწონ-დაწონა, უპირატესობა ბარს მიანიჭა. ცივილიზაციაზე, ქალაქზე გულაყრილმა ვაჟიკამ საბოლოოდ, ბარს, ქალაქს მიაშურა, და თან ჩამოიყვანა ცოლი ხათუთა და შვილი ნოდარი. მათ თან გამოჰყვათ მთის ღონე და ძალა. თავად ვაჟიკამ ხევსურული ტალავარი გაიხადა და თეთრი საყელო გაიკეთა.

ამ ნაწარმოების ძირითადი იდეა და მწერლის ჩანაფიქრი ყველაზე კარგად თვითონ მ. ჯავახიშვილს აქვს ახსნილი. 1926 წელს მიხ. ჯავახიშვილი ვალია ბახტაძეს — ჟურნალ „მნათობის" რედაქტორსა და კრიტიკოსს, პირადი ბარათის პასუხად სწერდა: „მეტისმეტად ნუ გავამარტივებთ პრობლემას. მე ტილისა და რადიოს შედარება კი არ მინდოდა, არამედ პრიმიტივისა და კულტურისა, საშუალო საუკუნეების კარჩაკეტილობისა და დღევანდელი კარილობისა, განდეგილობისა და ქალაქის სოციალობისა, ცოცხალი რომანტიკისა და მიწა-ქალაქის რეალობისა... ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ: თემატიკურად „თეთრ საყელოში" ახალი არაფერია. ეს თემა — ქალაქიდან გაქცევა და პრიმიტივისა და კულტურის დაპირისპირება რუსოს, ჰამსუნს, კელერმანს და სხვა მწერლებსაც გამოუყენებიათ. მე იმით განვსხვავდები მათგან, რომ გმირი ისევ ქალაქში დავაბრუნე, ე. ი. კარჩაკეტილობა დავგმე და გამარჯვება კულტურას მივაკუთვნე", ავტორის ამ განმარტებას უნდა დავეთანხმოთ, ოღონდ აქვე უნდა დავუმატოთ, რომ მ. ჯავახიშვილი უთუოდ ხედავს მთის ცხოვრებისა და ტრადიციის სიკეთესაც. ეს სიკეთე ქალაქის გაჯანსაღების დაუშრეტელი წყაროა. ამ თვალსაზრისით შემთხვევით როდია დაპირისპირებული ქალაქელი ქალი ცუცქია და ხევსური ხათუთა. ქალაქისაგან თავმობეზრებულ ელიზბარს მთისკენ ცოლის აუტანელი ხასიათიც უბიძგებდა. და აი, მთაში გაიცნო და შეიყვარა მან მუწეზის შვილი, კეთილი ხევსური ხათუთა — წრფელი სულისა და კეთილი გულის ქალი, შვილებისა და ქმრის დიდი მოტრფიალე, ელიზბარის მორალური გაჯანსაღების სათავე და წყარო.

საერთოდ ამ რომანის მიზანი მთისა და ქალაქის პრიმიტივისა და ცივილიზაციის დაპირისპირება კი არ არის, ასეთ დაპირისპირებას არავითარი აზრი არ ექნებოდა, არამედ პრიმიტივისა და ცივილიზაციის, მთისა და ქალაქის შედარება და მათი ღირსებებისა თუ ნაკლოვანებების აწონ-დაწონა. ეს შედარება — რომანის ლეიტმოტივია. ამ შედარების მიზანია წამოიღოს მთიდან ბარში ის, რაც იქ კარგია, ჯანსაღია, რომ ამით წინსვლის ახალი ძალა შემატოს ბარსა და ქალაქს.

კონსტანტინე გამსახურდიამ უაღრესად რთული და საინტერესო გზა გაიარა, ქართული სიტყვის ამ დიდოსტატმა, უჩვეულო შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე მწერალმა, შეიძლება ითქვას, მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში. შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე, მიუხედავად ექსპრესიონისტული იდეებით გატაცებისა, მწერლის გულში მაინც მძაფრად ღვიოდა სიყვარული უბრალო ადამიანებისადმი. ამის ნათელი მაგალითია 20-იან წლებში დაწერილი ნოველა „დიდი იოსები". ამ ნოველის მთავარი გმირია მშრომელი კაცი, რაჭველი მეკურტნე იოსები, დახატული დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით. ოციან წლებშივეა დაწერილი ნოველები „ტაბუ", „ქოსა გახუ", „ზარები გრიგალში"; ამ ნოველებში მწერალი ასახავს იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელთა რევოლუციამ ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ. „მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულისათვის, რადგან მნათე ოქროპირი სარწმუნოების აღტაცებაში და ექსტაზში დაიღუპა". ეს ფრაზა ლეიტმოტივად გასდევს ამ ციკლის ნოველებს.

კონსტანტინე გამსახურდიამ 1925 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი „დიონისეს ღიმილი". ამ რომანში, მოქმედების ცენტრში დგას ახალგაზრდა აზნაური, უნიადაგო კაცი, კონსტანტინე სავარსამიძე, გამსჭვალული მისტიკურ-ინდივიდუალისტური იდეებით. კ. გამსახურდიამ „დიონისეს ღიმილის" მეორე გამოცემას 1938 წელს შენიშვნა დაურთო, იგი წერდა: „სავარსამიძე განწირული ქართველი აზნაურობის უკანასკნელი მოჰიკანია. იგი ოათქარიძისა და სამანიშვილის ღვიძლი შვილია, თუმცა მათზე უფრო განათლებული და კულტურული, მაგრამ მაინც მომაკვდავი წოდების სასიკვდილოდ განწირული ნაშიერი". აქ გამსახურდია ემიჯნება სავარსამიძეს. შემდეგ მწერალი ამავე შენიშვნაში ამბობს: „ვისაც ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის მომავალი სწამს, მას უთუოდ უნდა სჯეროდეს, რომ ეს აზნაუ-

რული ფსიქოლოგია უნდა დაძლეული იქნას. მეტსაც ვიტყვი, უნდა დაითრგუნოს-მეთქი". აქაც მწერალი იმეტებს თავის გმირს.

კონსტანტინე სავარსამიძე ავტორის თანაგრძნობასაც იმსახურებდა, თუმცა მწერალი აცხადებდა: „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე ჩემი ცოდვებიც მეყოფაო". კონსტანტინე სავარსამიძე ტრაგიკული კილოთი შესჩივის ბედს: „დღეს ოცდათორმეტი წელი შემისრულდა; ნახევარი ხმელეთი მომივლია, შვიდი ენა შემისწავლია, შვიდი ხალხის ყოფაცხოვრება შემიცვნია. ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში. შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა. ისევ შენ გიგონებ და გეძახი. გულთმისანო ჩემო გამზრდელო. ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. განა არ გესმის. „გზა" — იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნაზე; „გზა" — იძახიან მეეტლეები, მგზავრები, ვატმანები და შოფრები; „გზა" — იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართმოძღვარები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა... თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია. ყველა ასპარეზი ნაცადი, ყველა ბორკილი ისევე ტკბილი, როგორც საყვარლისაგან ნაბოძები სამაჯური, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულეველია და გაუვალი... ტაია შელია, გეძახი სამჯერ. შორსა ხარ ჩემგან, შორეული და განუყრელი, ტკბილად გახსენებ, ჩემს სულში მყევხარ, არ შემიძლია მაინც არ დაგწყევლო. რისთვის გამზარდე, ოჯახქორო ტაია შელია, ან ჩემი თავი მამას რატომ დააწყევლინე".

ასეთი სახით გვევლინებოდა კონსტანტინე სავარსამიძე — ნიადაგგამოცლილი, უასპარეზო ადამიანი. ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, თუ არ შევნიშნავდით, რომ „დიონისეს ღიმილი" ქართულ პროზაში ახალ კარს აღებდა, ხანგრძლივი მხატვრული ძიების შედეგად მიკვლეულ კარს: ეს რომანი იყო ცდა ექსპრესიონიზმისა და რეალიზმის თავისებურად მორიგებისა. ამ მხრივ ეს ახალი ტიპის რომანია. აქ ახალგაზრდა ადამიანის სახე ორი სამყაროს გაყრის გზაჯვარედინზეა გამოკვეთილი, სავარსამიძე უაღრესად რთული სახეა. მასში ორი კაცია: სავარსამიძე — ევროპულად განათლებული, პარიზში სპარსეთის კონსულის ალი მირზა ხანის სალონში განებივრებული, იმ მირზა ხანისა, რომელსაც ულამაზესი ქართველი ქალი, სამცხის ათაბაგების შთამომავალი ჯენეტი ჰყავს ცოლად, და სავარსამიძე — ტაია შელიას მოწაფე და ძველი საქართველოს მოტრფიალე. ის, როგორც ტოლი და სწორი, ისე ეკამათება გადამდგარ გენერლებს, მსოფლიო დიპლომატებს, მწერლებს, მხატვრებს, ჟურნალისტებს. ლამაზი ქათინაურებით უმასპინძლდება სალონის ქალბატონებს. და სწორედ აქ დარწმუნდება საბოლოოდ, რომ ბებერ ევროპაში ყველაფერი იყიდება, სინდის-ნამუსიც და სიყვარულიც. ფული და ფულიანები განაგებენ ქვეყანას და მას შესძაგდება ეს ძირდამპალი ევროპა და საქართველოში დაბრუნებას გადასწყვეტს; ასე ბრუნდება ის სამშობლოში, ბრუნდება ამ სიტყვებით: „კარი გამიღე. მშვიდობა საქართველოს ყანებს"... კარი კი გაუღეს, მაგრამ საქართველო ვერ იცნო, და ვერც საქართველომ იცნო სავარსამიძე; აქ დარწმუნდა, რომ მათი გზები გაყრილან. და ეს იმიტომ, რომ სავარსამიძე იმ ძველი საქართველოს ნაშიერია, რომელსაც რევოლუციამ ბუდე დაუნგრია. უცხოეთში ქართველი ემიგრანტი, სამშობლოშიც ემიგრანტად გრძნობს თავს. ამ ნიადაგზე იბადება დიდი სულიერი დეპრესია და განწირულის ბრძოლა, ბრძოლა ამაო. მწერალმა ნათელმყო უნიადაგობა სავარსამიძისა ,რომელსაც ვერ უშველა ვერც სამცხე-საათაბაგოს ნახვამ, ვერც აბასთუმანში მისსავე მორდუს — მეჯოგე ტაია შელიას იდილიურ ბუნებაში გატარებულმა დღეებმა. იგი სამუდამოდ დარწმუნდა, რომ ზედმეტი ადამიანია, მწერალი მას „სამეგრელოს ეწერში მდგარ უნაყოფო, გამხმარ თხმელას" ადარებს. სწორედ აქ იჩინა თავი კ. გამსახურდიას რეალიზმმა.

დემნა შენგელაიამ ლიტერატურაში თავისი ნიჭი პირველად 1915 წელს მოსინჯა, ხოლო 1918 წელს გამოქვეყნებული „თბილისის აჩრდილები" ახალგაზრდა ავტორს უკვე უმკვიდრებს ნიჭიერი პროზაიკოსის სახელს. და მაინც მან, როგორც ქართული პროზის ოსტატმა, თავისი ნიჭი მთელი ძალით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოავლინა. დემნა შენგელაიას „სანავარდო" პირველი ნაწარმოები იყო, პირველი რომანი იყო, რომლითაც „მნათობმა" დაიწყო თავისი ისტორია.

„სანავარდო" მოგვითხრობს თავადი ჭილაძეების უძველესი გვარის უკანასკნელი მოჰიკანის, ყარამან ჭილაძის ოჯახის ისტორიას, მაგრამ ამ რომანში, როგორც ფოკუსში, თავმოყრილია მთელი ის წინააღმდეგობანი, რომლებშიც გახლართული იყო ქართული არისტოკრატიული წოდება.

ისტორიის მიერ დასაღუპად განწირული ოჯახის უფროსი ავტორს ერთბაშად შემოჰყავს რომანში: „თავადი ყარამანი: ახოვანი ვაჟკაცი, აქა-იქ ჭაღარა შეპარვია, სიარული — ნელი, დინჯი, მაღალი, მხრებში ოდნავ წახრილი, შემოხედვა — ამაყი, ჯიშიანი, ამღვრეული თვალები, ჩვეულებად გადაქცეული შუბლზე ხელის გადასმა (ალბათ სისხლი უვარდება თავში)". ავტორი ამ დახასიათებით — „ამღვრეული თვალები", „მხრებში ოდნავ წახრილი",

გვამცნობს, რომ ამ კაცის შინაგან არსებაში ყველაფერი რიგზე როდია, ხოლო სიტყვები „ამაყი“ და „ჯიშიანი“, ამავე გმირის გარდასულ დიდებაზე მიგვანიშნებს.

„მისი გვარი გრგვინავდა წარსულში.

გვარის მემატიანე დაშვრა ქილაძეთა გმირულ წარსულის აღწერაში.

ეს გვარი ფლობდა დიდებულ ქყონდიდელთა კვერთხს და ზვიადად განაგებდა სანავარდოს, საჭილაოს, მარანს, ორპირს, ქორეის უბანს.

თავმომწონედ კითხულობდა კვირის ეკლესიაში წინაპართა ხუცურ წარწერებს: უფალო იესო ქრისტე ღმერთო, შეეწიე, შეიწყალე და აცხონე რომანოზ ქილაძე, თანამეცხედრე მათი, უტანდარ ჩხეტიძის ქალი... ამინ...

ამაყობდა გვარიშვილობით, თავი მოჰქონდა, მაგრამ როცა მარტო დარჩებოდა და ფიქრებს კრიალოსანზე ჩათვლიდა, მას იპყრობდა შიში იმ საგვარეულო სენისა, დიდებასთან ერთად რომ დაუტოვეს წინაპრებმა და კვალდაკვალ უმიზნებდა მის მოდგმას“.

რომანში ჩვენს თვალწინ იშლება, მეტად სევდიანი და ბნელით მოცული ამბავი ამ გვარისა; ავხორცი ოტია ქილაძის შთამომავალი თავადი ყარამანი და მთელი მისი ოჯახი ავადმყოფი და სნეულია: ყარამანი, ბონდო, ციცინო, — ყველა ერთპირად ამ ოჯახში გადაშენებისა და გავერანების გზაზეა დამდგარი. ერთს აციებს, მეორეს ბნედა სჭირს, მესამეს ქალის სნეულება კლავს. ეს შეძლებული ოჯახი ოდესღაც განთქმული იყო მოკეთეებით, დარბაისლობით, ყანწებით, მწევრებით, მიმინოებით, გულუხვობითა და სტუმარ-მასპინძლობით. მას შემდეგ, რაც გლეხთა განთავისუფლების ამბავი მოვიდა, გლეხები თავიანთ კერას დაუბრუნდნენ, დარჩა ყარამანი მახინჯი მოსამსახურე ლიზიკას ამარა. ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აეწეწა. ერთ ხანს საქმის გამოსწორება სცადა, თბილისს მიაშურა, იქ ქართულ მილიციაში ნამყოფ ყარამანს, შამილის წინააღმდეგ ომებში მონაწილე თავადს, შვილი, ბონდო სასწავლებელში ჩაურიცხეს, თვითონ კი დაბრუნდა სოფელში თავის ავადმყოფ ციცინოსთან და ამიერიდან დარდსა და სევდას ღვინოში ახრჩობდა.

თავადის ცხოვრების ამ დაქვეითების ისტორიას მწერალი ოსტატურად უკავშირებს კოლხეთის ჭაობის უჟმურებისა და ციების სევდიან სურათებსა და ეპიზოდებს:

„წვიმები... წვიმები... წვიმები...

აშმორებული რიონი ზარმაცად მიდუდუნებდა.

ღამე თუ გაისმოდა გარეული იხვების ჟღივილი. ხანდახან ამოვარდებოდა ქარი და დაიწყებდა უზარმაზარი დასველებული ფრინველის მხარმოტეხილი ფრთახავით სახლის ყავარზე ხმაურობას. დაათრევდა ფრთას და [illegible] მაკვდავივით.

ბიბლიოთეკა

ქარი ზუზუნებდა.

ბუხრის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა დამზრალ თითებზე სულს იბერავდა და კნაოდა საცოდავად...

ღამის ლანდები სულს აიდგამდნენ და დაიწყებდნენ ოთახში ბორგვას და ტორტმანს. მწუხარება იყო ყველგან და დუმილი...

ჭაობი და ჭონჭყი... ლელი და ლაქაში.

ჩამონგრეული ღობეები... დამპალი წყლით სავსე თხრილები...

სანავარდო კვდებოდა ციებ-ცხელებით...

გაჭრილ საფლავში წყალი ამოდიოდა...

არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი“.

ასეთია ეს გარესამყარო, ლანდებისა და მოჩვენებების შიშისმომგვრელი სურათები და ეპიზოდები. აი, ამ ფონზე აქვს მწერალს გამოხატული ყარამანის ოჯახის გადაშენების ამბები და გადარეული ბონდოს ავადმყოფური ვნებები და საქციელი.

ჩვეულებრივ, ამგვარად წარმოდგენილ სინამდვილეში, გარემოს იმ სურათში, რომელსაც მწერალი ქმნის თავის გმირების მოქმედებისათვის, ზოგჯერ ხედავდნენ ანტირეალისტური სკოლების გავლენას. ეს შეხედულება შეიძლება არ იყოს სიმართლეს მოკლებული, მაგრამ ზუსტი არ არის. დ. შენგელაიას რომანში, შიგადაშიგ, გამოყენებული აქვს მისტიკური ელფერის ხალხური თქმულებები და ზღაპრები. მოვიგონოთ ხალხური ზღაპარი „ბაყაყთა დედოფალზე“, რომელიც ოსტატურადაა გამოყენებული რომანში ბონდოს ჰალუცინაციებისა და სულიერი სამყაროს გამოსახატავად.

დემნა შენგელაიას შემოქმედებაში ავსულების, უჟმურების, ჭინკებისა და მისთანათა მისტიკური ამბების გამოხატვაში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების კვალს. განა იგივე მისტიკური სამყარო, ხალხში გავრცელებული ზღაპრებისა და ლეგენდების სახით, არა აქვს გამოყენებული კ. გამსახურდიას ნოველებში „ტაბუ“ და „ქოსა გახუ“?! ჩვენი აზრით, გამსახურდიასა და შენგელაიას ეს ერთგვარი შეხვედრა ხალხური მასალიდან მოდის; კოლხეთში გავრცელებული თქმულებები და ზღაპრებია ორივე მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი წყარო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყარამან ქილაძის გვარის გადაშენებისა და დეგრადაციის სურათის აღწერა საოცრად გვაგონებს ნ. ლორთქიფანიძის „დანგრეულ ბუდეებში“ გამოხატულ სურათებს. ეს მსგავსება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აქ უშუალო გავლენა და ეპიგონობა ვეძებოთ. არა, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ეს „პარალელიზმი“ თავადაზნაურობის მდგომარეობამ, მისმა ისტორიამ შექმნა... ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნმა მწერლებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიაგნეს ამ სამყაროს.

ჭილაძეების ფიზიკური გადაშენების, მათი სულიერი დაკნინების, მიზეზად დ. შენგელაია ამ საგვარეულოს წამხდარ სისხლსა და წინაპართა ცოდვებს მიიჩნევს, ამრიგად ერთგვარი ბიოლოგიური ახსნა აქვს მოცემული მთელ ამ გადაშენების ტრაგიკულ ისტორიას, ბონდო ასე მოთქვამს:

„ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით!... იმ ცოდვებით, რომლებიც მე არ ჩამიდენია. რისთვის უნდა ვზლო ის ცოდვები, ოდესღაც ჩემს მამა-პაპებს რომ ჩაუდენიათ.... მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს...

გიჟი ვარ, ნამდვილი გიჟი... დაჩიავებული და გადაგვარებული...

გუჯუ, ჩემი ძმაა! ისიც ავადმყოფია, გიჟია, მამა, იმიტომ, რომ ისიც შენი ნაყოფია...

ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას. ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად. მოგვდევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული მუნიანი ჰინკები".

მართალია, აქ უთუოდ არის კვალი ძველი ლიტერატურული სკოლების, ისტორიული პროცესის ბიოლოგიური ახსნისა, მაგრამ ეს ახსნა მაინც თავისებურად მიგვანიშნებს სწორედ იმ სოციალურ ამბებზე, რომელთა ფონზე საგრძნობი ხდება, რომ თავადაზნაურობამ მოჭამა თავისი დრო და, ლუარსაბ თათქარიძის მსგავსად, დაძაბუნდა და ცოცხალ ლეშად იქცა.

ბონდო გრძნობს, რომ მისი გვარის ისტორია დამთავრდა, ახლა სხვა ხალხი მოვა. იგი თითქოს გულწრფელად აღიარებს მამის წინაშე:

„იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა, ამისათვის საჭირო იყო რუს ხელმწიფის მოკვლა, მაგრამ შემეშინდა.. მეშინოდა ღმერთის. მეშინოდა ჩემი თავის და რა ვიცი. კიდევ რისი არ მეშინოდა... ვერ გავბედე და ასე გათავდა ეს ამბავი... გადავწყვიტე, რომ ხისულელეა ყველაფერი და ამ საქმისათვის საჭიროა სხვა ხალხი. ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის, მე კი დაჩიავებული ვარ... ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო, ახლა რკინისგზა მოდის და ჩვენ უნდა დავხუროთ მატიანე. ახლა სხვები მოვლენ ჩვენს ადგილას დაზიდული ძარღვებით და ახალი სისხლით, — ახალი ხალხი, ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ძველი დიდებით შევიქციოთ თავი, ჩვენ ახლა მოხუცი ბერიკები ვართ".

მართალია, რომანში კლასობრივი ჭიდილი და ბრძოლა, რევოლუციური შემართება სოციალური აქცენტები ახალი ცხოვრების მიერ მოტანილი, არ არის სათანადოდ გამახვილებული, მაგრამ მოთხრობის ფინალი მიგვანიშნებს, რომ კოლხეთის ციების სამყაროს, რომელიც სიმბოლურად ძველ ცხოვრებას განასახიერებს, ბოლოს მოუღებს სხვა მოდგმის ხალხი, ძარღვმაგარი და რევოლუციური სულისკვეთების თაობა. ფინალში გამოხატული სურათი ნამდვილი აპოთეოზია იმ ახალი ცხოვრებისა, რომელმაც ისტორიას გადააბარა მთელი ეს წარსული თავისი უჟმურებითა და ავადმყოფური ლანდებით; ამ გარემოებაზე მიუთითებს რომანის ბოლო სტრიქონები.

დ. შენგელაიას „სანავარდომ" გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველებისა და ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. მას წილად ხვდა მაღალი შეფასება. იყო ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიც. ავტორს ანტირეალისტურ თვალთახედვას სწამებდნენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, თავისი მხატვრული ფაქტურით ეს ნაწარმოებები უფრო ახლოსაა ფოლკლორულ საწყისებთან, კოლხეთის ლეგენდებთან და წარსულთან, ვიდრე სიმბოლიზმთან. დ. შენგელაია გასაოცარი ხატოვანებით აცოცხლებდა და აღადგენდა ჩვენს მეხსიერებაში ძველ ლეგენდებსა და ზღაპრებს, რომლებსაც სიმბოლურად უკავშირებდა არისტოკრატიული წოდების გადაშენების ისტორიას. მწერლის შემოქმედების მთელ პათოსს ახალი ცხოვრების გზა განსაზღვრავდა.

რაჟდენ გვეტაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც პოეტი, ოქტომბრის წინა ხანებში იგი „ცისფერყანწელების" სკოლას დაუკავშირდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მან ერთმა პირველთაგანმა გაწყვიტა კავშირი დეკადენტურ-სიმბოლისტურ სკოლასთან და საბჭოთა პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატი გახდა. მისმა რომანმა „თეომ" თავიდანვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება.

რომანის ცენტრში დგას ყოფილი მოჯამაგირე მირზა, რომელიც რევოლუციამ, საბჭოთა სინამდვილემ მოწინავე ადამიანად აქცია. საბჭოთა აჭარის პასუხისმგებელი მუშაკი მირზა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობის ერთ-ერთი ყრილობის დელეგატი. თბილისში შემთხვევით ხვდება ყოფილი მემამულის ყაფლანის ქალიშვილს თეოს. რომლის სახლში იგი წინათ მოჯამაგირედ იყო. მათ ერთი-მეორე უყვარდათ. თეო მირზას თანაუგრძნობდა, ეხმარებოდა იმ მძიმე წლებში, როდესაც მირზას სდევნიდა მენშევიკების მთავრობა. მაგრამ გაუგებრობის ნიადაგზე მირზა და თეო ერთმანეთს დაცილდნენ. და აი, ახლა ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თეო ცოლად მიყვება მირზას. ამას ვერ აიტანს ყოფილი მემამულე ყაფლანი, რომელსაც სამადლოდ ხან სამიკიტნოში აჭმევდნენ ლუკმაპურს, ხან კიდევ მათხოვრობით შოულობდა ორიოდე გროშს. მწერალი გადაგვიშლის ამ მრისხანე მემამულის — ყაფლანის ბიოგრაფიას. ყაფლანის ხასიათში

ჩვენ თვალწინ ცოცხლდება გულქვა თავადის, ხალხის აწიოკებლისა და მჩაგვრელის განზოგადებული სახე. რომანს საინტერესო ფინალი აქვს:

„ყაფლანისეულ მამულში შარშან მოეწყო ულარიბეს გლეხთა დიდი კოლექტივი.

უფრო ადრე, მისეულ სახლში გახსნეს კლუბი, სამკითხველო და ჭრა-კერვის სკოლა, ხოლო ქვედა სართულში მოაწყვეს კოოპერატივი.

დანარჩენი საჭალაბო ხის სახლები სოფელმა გადასცა უსახლკაროებს“.

საინტერესოდ ახერხებს მწერალი მხატვრულად განაზოგადოს შედეგები რევოლუციის ეპოქისა, რომელმაც ფართო გზა გაუხსნა მშრომელ ხალხს. მწერალმა მთელი ეს დიდი პროცესი საკოლმეურნეო ცხოვრების დასაწყისს დაუკავშირა.

დროულად გამოეხმაურა რ. გვეტაძე საბჭოთა სინამდვილის ახალ მოვლენებს მეორე რომანში — „ქიაკოკონა“.

მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობას ემხრობოდა სერგო კლდიაშვილი თავის შემოქმედების ადრინდელ ეტაპზე. ამას ნათელყოფენ მწერლის პროზაული მინიატურები, რომლებიც იბეჭდებოდა რევოლუციის პირველ წლებში იმ დროის ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე („ოქროს ვერძი“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“). მწერალმა სულ მალე აიღო ხელი მოდერნისტულ გატაცებებზე და გულწრფელად დაადგა კლასიკური მწერლობის რეალისტურ გზას. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ უკვე ადრინდელ მინიატურებში იგრძნობოდა პოეტური სიტყვის ოსტატი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფრაზას, დიალოგს, რეპლიკას; სერგო კლდიაშვილი საბჭოთა ეპოქაში გახდა ცნობილი და პირველხარისხოვანი ოსტატი ქართული სიტყვისა: განსაკუთრებით დიდი გახმაურება ხვდა წილად მწერლის იმ ნაწარმოებებს, სადაც ასახულია თანამედროვე ცხოვრება.

ახალმა საქართველომ, რევოლუციურმა ცხოვრებამ შემოაბრუნა მწერალი რეალიზმისაკენ და მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

პირველი დიდი მხატვრული ტილო, რეალისტის კალმით დახატული, მოთხრობა „ფერფლი“ იყო.

მოთხრობაში აღწერილია ქართველი ხალხის ცხოვრება პირველი მსოფლიო ომის წლებში, ერთი გლეხის ოჯახის მაგალითზე. ნაჩვენებია გაჭირვება და სიდუხჭირე ხალხისა, რომელსაც მძიმე ტვირთად დააწვა ომით გამოწვეული უბედურებანი. ომმა ყველა მშრომელი, გამრჯე და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა ფრონტზე გარეკა; ფრონტიდან ყოველდღე მოდიოდა ცნობა სოფლელი ჭაბუკების დაღუპვისა და ოჯახის გაუბედურებისა; სოფელში ბრუნდებიან ფეხმოჭრილი, დასახიჩრებული ინვალიდები. მწერალი ამ ამბებს საკმაოდ მუქ ფერებში აღწერს და ამ ფონზე ნათელი ხდება, რომ იმპერიალისტური ომის სასაკლაოზე არ სურს ხალხს ნებით წავიდეს, მაგრამ მთავრობისაგან დაშინებული გლეხკაცობა ვერ ახერხებს თავი დააღწიოს სამხედრო ბეგარას. ამ ვითარებაში ზოგი ძუას იყრის ფეხებში, ზოგი კიდევ ტყეში გარბის ყაჩაღად. მოთხრობაში ეს ეპიზოდები მეტად მძაფრად არის დახატული.

„ფერფლში“ ასახულია ცხოვრება არა მარტო დაბეჩავებული, ღარიბ-ღატაკი გლეხებისა, არამედ აქვე ჩანან შეძლებული ფენების წარმომადგენლებიც; სხვისი უბედურების შედეგად ისინი იძენენ დოვლათსა და სიმდიდრეს; ასეთები არიან, კერძოდ დიმიტრი ლანჩა და მისი შვილი პარმენი.

და აი მოხდა თებერვლის რევოლუცია, მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. ხალხს ეგონა მშვიდობა დაუბრუნდებოდა ქოხებს, მაგრამ კერენსკის დროებითმა მთავრობამ კვლავ გააგრძელა ომი. კვლავ გარეკეს ფრონტზე გლეხკაცობა. ხალხის უკმაყოფილებას საზღვარი არა აქვს. საქართველოში ბოლშევიკური პროკლამაციები ვრცელდება. ამ პროკლამაციებს ავრცელებს ომს გადარჩენილი გიგა, რომელიც ახლა ბოლშევიკების მხარეზეა. გიგას მენშევიკური მთავრობის კომისარი იბარებს და მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— „ამხანაგო გიგა, იყო თუ არა შემთხვევა, რომ ფრონტზე დასაბრუნებელ ჯარისკაცებს აგულიანებდი არ წასულიყვნენ და მთავრობის ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ?

— არა.

— მე კი ამის ფაქტები მაქვს. იმასაც უარყოფ, რომ მათ ომის გაგრძელების წინააღმდეგ ელაპარაკე?

— ეგ კი იყო.

— მერე და, როგორ გგონია, ნიშნავს ეს თუ არა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებას?

— თუ კი რესპუბლიკა ომის გათავებას არ ფიქრობს, მე უფლება მაქვს, ხალხის მხარეზე ვიყო და ვთქვა, რომ ომი უნდა გათავდეს“.

როცა მას მენშევიკების კომისარი ბოლშევიკურ პროკლამეციებს წარუდგენს, გიგა აღიარებს, რომ ბოლშევიკები მართალი არიან და ის მათს მხარეზეა. ამ ეპიზოდებში მწერალი ხატავს იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების ნამდვილ სურათს, ხატავს გლეხების მზადყოფნას, იბრძოლონ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

„ფერფლი“ იყო პირველი მოთხრობა ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მძაფრად ამხილებდა იმპერიალისტური ომის საშინელებას.

მთელი ეს ნაწარმოები აღსავსეა სიცოცხლის სიყვარულით, უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით, რაც მას ოპტიმისტურ ჟღერადობას აძლევს.

სერგო კლდიაშვილმა ქართული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის სახელი დაიმკვიდრა უმთავრესად მცირე ფორმის ნაწარმოებებით, ნოველებით. კლდიაშვილის მოთხრობებისა თუ ნოველების ამბავი, ფაბულა და მთელი მხატვრული მასალა, გმირების დასახასიათებლად მოწოდებული, ექსპრესიულია, ემოციური და დინამიური, დიალოგები ნათელი და სხარტი, ყოველი შტრიხი — ზუსტი და სახიერი. ავტორის ტენდენციას ყოველთვის ნათლად ვხედავთ და ვგრძნობთ. აქ ყველაფერი ნათელია, გამჭვირვალე, ყველაფერი აშკარა და პირდაპირია, ერთი ამოსუნთქვით ნათქვამი. დიდი სიმსუბუქე და ჰაეროვნება სიტყვიერი მასალისა ამის ნათელი დადასტურებაა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ერთდროულად დაიწყო მუშაობა როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც, და ორივე ჟანრში მას ბრწყინვალე შემოქმედებითი წარმატება ხვდა.

ლექსების პირველი კრებული კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 1926 წელს; როცა ახლა მის ადრინდელ კრებულებს ვფურცლავთ, თვალში გვეცემა ახალგაზრდული, მებრძოლი პათოსი, რითაც გამსჭვალულია საბჭოთა პოეტის ეს ადრინდელი ლექსები. აქ გამომჟღავნებულია მგზნებარე რევოლუციური პათოსი და პოეტური აღქმა განახლებული ცხოვრებისა, პროტესტი ყოველივე დახავსებულისა და დრომოჭმულისადმი. პოეტის ადრინდელი ლექსები სრულ წარმოდგენას იძლევიან იმ მძაფრ ლიტერატურულ ძიებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ტრადიციების დამკვიდრების ამ პირვანდელ პერიოდში.

არაერთი ლექსი მიუძღვნა პოეტმა ხალხთა მეგობრობას, ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ გრძნობას. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლექსი სომხეთზე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ამავე წლებში გამოაქვეყნა მოთხრობები და ნარკვევები: „ახალი გლეხები“, „ფოტოგრაფი“. „ხავსი“, „პირველი დედა“, „გაზეთი“ და საბავშვო მოთხრობები: „პიონერი თანდო“, „ცხოვრებას დაუბრუნდა“, „გატეხილი თოფი“, „პატარა რიქშა“ და სხვ. აქაც ჩვენ ყურადღებას იპყრობს იგივე მებრძოლი რევოლუციური განწყობილებები და ინტონაციები, რომელთა მიხედვითაც კ. ლორთქიფანიძე გვევლინებოდა ახალი სოციალისტური საქართველოს მხატვრად. ყველა ამ ნაწარმოებში იგი მგზნებარე მებრძოლია ახალი იდეების დამკვიდრებისათვის ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ჩვენს ყოფასა და ოჯახში.

„ახალი გლეხები“ მხატვრული ნარკვევია, დაწერილი მგზნებარებითა და პათოსით. ავტორი აგვიწერს თავის მოგზაურობას კახეთში, შეხვედრას პირველ კომუნარებთან, რომლებსაც სათავეში უდგას კომუნის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, დაუღალავი მებრძოლი კობა ჩოხელი. წიგნში დაწვრილებითაა მოთხრობილი სოციალისტური სოფლის პირველ მერცხლებსა და მახარობლებზე, იმ ჩვიდმეტ კომუნარზე, რომელთაც შირაქში პირველი ყამირი გატეხეს. პირველი დღიდან დაწყებული გვიყვება მწერალი იმ სიძნელეების, წინააღმდეგობებისა და კლასობრივი ბრძოლების შესახებ, რომლებიც კომუნარებმა გადაიტანეს. მწერლის პოზიცია ახალი სოციალისტური სოფლის მოწინავე ადამიანების მიმართ აქ მთელი სიმძაფრითაა გამოხატული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარტო ამაში როდია კ. ლორთქიფანიძის ამ წიგნის მნიშვნელობა: ხსენებული წიგნი — ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო სამუდამო ამორჩევა თემისა, შირაქისა და მისი ადამიანებისა, რომელთა სიყვარული მწერალს გამოჰყვა, მთელი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე, გამოჰყვა დღემდე და ჩვენ იმედი გვაქვს მწერლის მომავალ წიგნებშიც კვლავ გაიხმაურებს შირაქის სახელი.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის პატარა ნარკვევს, რომელსაც „გაზეთი“ ეწოდება. იგი ასახავს ერთ-ერთ საინტერესო ეპიზოდს საქართველოს ლენინური კომკავშირის ისტორიიდან. დამახასიათებელია, რომ ამ ნარკვევის მთავარი მოქმედი პირი სპარტაკელების არალეგალური ჯგუფის მეთაური ოთიაურია; შემდეგ მან „პირველ დედაში“ შეგვახვედრა თავის ამ გმირთან. იგი მებრძოლი კომკავშირელის, სპარტაკელის შესანიშნავი სახეა.

აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც ზემოთ „ახალი გლეხების“ შესახებ ვთქვათ — ეს თემაც — საქართველოს ახალგაზრდობის ბრძოლის თემა — კვლავ არაერთგზის გაიხმაურებს მწერლის მომავალ წიგნებში.

კ. ლორთქიფანიძე თავის პროზაულ ნაწარმოებებში, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ყოფისა და სულიერი სამყაროს ყველაზე მწვავე, ყველაზე მძაფრ კითხვებს აღძრავს. მწერალი მღელვარე ცხოვრების ცენტრში დგას და, თვითონაც შეპყრობილი ამ მღელვარებით, ხედავს და ხატავს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს, ის კარგად გრძნობს როგორც მხატვარი, თუ ჩვენი ცხოვრების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რა უფრო იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

სწორედ პრობლემატურობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „პირველი დედა“. აქ დასმულია სოციალისტურ საზოგადოებაში ოჯახის, ცოლქმრობის, ახალგაზრდობის ურთიერთობის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ლორთქიფანიძე პირველი ქართველი პროზაიკოსია, რომელმაც მეტად მწვავედ დააყენა ეს საკითხი და მას სრულიად სწორი გადაწყვეტა მისცა. მოთხრობა საინტერესოა არა მხოლოდ პრობლემატური აქტუალობით, არამედ წმინდა ლიტერატურული ღირსებებითაც. ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელშიაც კ. ლორთქიფანიძის წერის მანერა, როგორც პროზაიკოსისა მთელი სისრულით გამოვლინდა და ჩამოყალიბდა.

1930 წელს „მნათობის“ მეშვიდე ნომერში დაიწყო ალ. ქუთათელის უაღრესად საინტერესო ეპოპეის „პირისპირის“ ბეჭდვა. ეს რომანი იყო პირველი ვრცლად მოფიქრებული მხატვრული ტილო, რომელშიაც მწერალმა ასახა ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

რომანში აღწერილია ათიანი და ოციანი წლების საქართველო. ერთი მხრივ მოქმედებენ ძველი, ფეოდალური და ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლები, მეორე მხრივ — მუშათა კლასისა და გლეხობის, პროლეტარიატისა და ბოლშევიკური პარტიის მოწინავე ადამიანები; ავტორმა გვიჩვენა მრავალი საინტერესო ეპიზოდი ამ მოპირდაპირე სოციალური ფენების დამახასიათებელი ყოფისა თუ პოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან .

რომანის ცენტრში დგას მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსული, ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ახალგაზრდა კაცი კორნელი მხეიძე. წიგნში ამ პიროვნების შფოთიანი ცხოვრების აღწერას, მისი თავგადასავალის ჩვენებას მთავარი ყურადღება ეთმობა. კორნელის ვეცნობით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის გიმნაზიის მოსწავლეა. ამ პერიოდში იგი გატაცებულია სპორტითა და ნადირობით. ამავე ხანებში კორნელი უახლოვდება ლიტერატურულ წრეებს, თვითონაც სცდის კალამს... პეტროგრადში რევოლუციაა, თვითმპყრობელობის ტახტი დაემხო. ამას მოჰყვა რუსეთში ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია. საქართველოში კი — მენშევიკების ბურჟუაზიული ხელისუფლების დამყარება.

მშფოთვარე ეპოქა, აღსავსე უდიდესი ამბებით, გარდატეხებით, კორნელი მხეიძის წინაშე მწვავედ აყენებს საკითხს როგორ მოიქცეს, რა გზა აირჩიოს. ერთ ხანს იგი ეწერება მოხალისეთა ჯარში და ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძვის. ბოლოს იგი შამქორის ბრძოლების მონაწილე ხდება. შამქორის ტრაგედიამ თვალი აუხილა მას, ამიერიდან მომხდარი ამბებისადმი კორნელი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს და ოქტომბრის რევოლუციის მხარეზე დგება.

ოციანი წლების ბოლოსათვის ავტორმა თავისი ეპოპეის პირველი წიგნის დასრულება მოასწრო. ჩვენ აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით მთლიანად ამ რომანის ანალიზზე. საერთოდ კი აღვნიშნავთ: „პირისპირ“ არის შესანიშნავი მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც განეკუთვნება ქართული მწერლობის ყველაზე საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს.

* * *

ამ პერიოდის ქართული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ ოციან წლებში, მძაფრ იდეურ-ლიტერატურულ მიმდინარეობათა ბრძოლაში, საბჭოთა მწერლობის პოზიცია იმარჯვებს და თავის გარშემო იკრებს ოცდაათიანი წლების დასაწყისის ყველა მოწინავე და წამყვან მწერალს. ამ ვითარებაში დაიწერა და შეიქმნა ბევრი საინტერესო ნაწარმოები, რომლებმაც დიდად გაამდიდრეს ქართული საბჭოთა მწერლობის საუნჯე. მათ რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ შ. დადიანის „გიორგი რუსი“, ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და „თეთრი საყელო“, ლ. ქიაჩელის „სისხლი“ და „თავადის ქალი მაია“, კ. გამსახურდიას „დიონისეს ღიმილი“ და „ზარები გრიგალში“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“, დ. შენგელაიას „სანავარდო“, კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა“...

პოეზიიდან აქ უნდა დავასახელოთ გ. ტაბიძის „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ჯონ რიდი“, „ეპოქა“, ალ. აბაშელის „უცნაური ამბავი“, „მამის სიკვდილი“, გ. ქუჩიშვილის „ვინ არის იგი“, ს. შანშიაშვილის „დედისერთა ლენინთან“, „მუხის დაცემა ჭიათურის ტყეში“, ი. გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“, პ. იაშვილის „ლენინს“, „პოეზია“, ტ. ტაბიძის „ლექსი მეწყერი“, „მაშ გამარჯვება“. კ. ჭიჭინაძის „რიონის აპოლოგია“, ილო მოსაშვილის „უღელტეხილზე“, გ. ლეონიძის „თუკი ვცოცხლობთ სიმღერების იმედით“, „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“, ალ. მაშაშვილის „ლენინი“, „დამკვრელი ბრიგადები“, „ი, ადამიანი“, ს. ჩიქოვანის „მგზავრის სიმღერა“, კ. კალაძის „როგორ“ და „ხატიჯე“ და სხვ.

ამგვარად, ოცდაათიანი წლების ბოლოსათვის ქართული მწერლობა იქცა ერთ ძლიერ ბანაკად, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრის დაცვას, ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა გამოსახვას მიუძღვნა თავისი საუკეთესო წიგნები, საუკეთესო ქმნილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ორჯონიკიძე

# აღმავლობის გზის პრობლემები

## I თანამედროვე შემოქმედება. გეზი და ტრადიციები. განახლების პათოსი.

ქართული მუსიკის სხვადასხვა ეტაპების შედარებისას, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ადვილად შეიმჩნევა მოვლენების რაოდენობრივი მომრავლება. ამაში არაფერი არ არის მოულოდნელი. რადგან 20-იან წლებში ყველა პროფესიული კომპოზიტორის ჩამოსათვლელად ათი თითიც არ დაგვჭირდებოდა, დღეს კი მათ რიცხვმა ასს გადააჭარბა და ეს ზღვარიც ჩქარა დაირღვევა. ადვილად შეიმჩნევა ზრდის ტემპის არათანაბრივობა, როგორც სხვადასხვა მუსიკოსის ევოლუციის, ასევე სხვადასხვა ჟანრების განვითარების თვალსაზრისითაც. შედარების მეთოდი იმასაც ცხადყოფს, რომ ქართულ მუსიკაში სულ უფრო და უფრო მეტი ძალით იგრძნობა სტილისტური მიმდინარეობების ერთმანეთისაგან დაცილება.

ეს 60 წელი რომ ზეაღმავლობის ხანაა, აღნიშნული დიდი შემოქმედებითი გამარჯვებებით და ეროვნული კულტურის შესამჩნევი წინსვლით — ეს მრავალგზის თქმულა და ეჭვს არავისში არ იწვევს. მაგრამ საინტერესოა ამ „საერთოზე“ უფრო დეტალური დაკვირვება. მთელი 60 წლის მანძილზე კომპოზიტორთა ძიებებს გარკვეული ერთიანობა, გზების სიახლოვე ახასიათებდა. რასაკვირველია, ამჟამად მოქმედი კომპოზიტორები ერთმანეთისაგან მთელი რიგი მონაცემებით, შემოქმედებითი ტემპერამენტით, სხვადასხვა თემების მუსიკაში აღბეჭდვით განსხვავდებიან, მაგრამ თუ ასე შეიძლება ითქვას, ისინი „ერთ მიზანში ისროდნენ“. ამიტომ კულტურის საერთო ხედის გათვალისწინებისას ის უფრო მნიშვნელოვანი ჩანს, რაც სხვადასხვა კომპოზიტორს აერთიანებს, ვიდრე ის, რაც მათ ერთმანეთისაგან ანცალკევებს. ამ მთლიანობას ქართული მუსიკის განვითარების მთავარი პირობებიც უწყობს ხელს. მათ შორის უმთავრესია დამოკიდებულება ხალხურ წყაროებთან, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის სინთეზისაკენ მისწრაფება, თანამედროვე ტექნოლოგიის დაუფლება. რომელიც ჩვენში პროგრესის საცდელი ქვის მნიშვნელობას იძენს.

თანამედროვე ქართული მუსიკის მთლიანი სურათის გათვალისწინებისას ადვილად შევამჩნევთ, რომ, მოჩვენებითი უკიდურესობების მიუხედავად, განვითარებას სტაბილური ტენდენციები ახასიათებს, როგორც ცალკეულ კომპოზიტორთა ევოლუციის თვალსაზრისით, აგრეთვე ეროვნული კულტურის მასშტაბით. რასაკვირველია, არის ცალკეული ნახტომები, მკვეთრი გადახრებიც თითქოსდა მიკვლეული მიმართულებებიდან. არის ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც განახლების ნიშნები განსაკუთრებულად მკაფიოდ ვლინდება. მაგრამ კულტურა არსებითად ევოლუციური გზით ვითარდება. მასში იგრძნობა მემკვიდრეობითობა, მიგნებულის შეგნებული გაღრმავება. ეს ქმნის ჩვენი საბჭოთა ქართული მუსიკის ტრადიციებს. ეს ამყარებს კავშირს სხვადასხვა თაობებს შორის. ეს, თუ გნებავთ, ეროვნული კულტურის წინსვლის წინაპირობაა.

ქართული მუსიკის ლირიზაციის პროცესი ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისისათვის ო. თაქთაქიშვილის ნაწარმოებებმა აღნიშნა (მისი ორივე სიმფონია, საფორტეპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანო კონცერტი). მაშინ ეს დაკავშირებული იყო კომპოზიტორის შეგნებულ სწრაფვასთან ეროვნულ ნიადაგზე ჩაიკოვსკის მუსიკის სტილისტური თვისებები. მისთვის დამახასიათებელი ინტერნაციონალურ-ფსიქოლოგიური „განსაკუთრებულობანი“ დაეუფლა. თვით კომპოზიტორის აზროვნებაში ჩაიკოვსკიმ გარკვეული კვალი დასტოვა. დღესაც მათ გარკვეული საზიარო მომენტები აქვთ მუსიკის ემოციურსა თუ მელოდიურ განზომილებებში. მაგრამ თვით თაქთაქიშვილისავე შემოქმედებაში ლირიზაციის პროცესი ამჯერად სხვა ტრადიციებზე დამყარების გზით ხორციელდება. ლირიზაციის პროცესმა დღეს მრავალი კომპოზიტორის შემოქმედება მოიცვა, იგი ეროვნული მუსიკის განვითარების ერთ-ერთ მსაზღვრელ ფაქტორად იქცა. იგი შეეხო ს. ცინცაძის კვარტეტებს და ს. ნასიძის სიმფონიებს, თავისებურად ვლინდება გ. ყანჩელის სიმფონიებში. ლირიკული ოპერის მშვენიერი ნიმუშია რ. ლაღიძის „ლელა“, ლირიკის ნაკადი მსჭვალავს ვ. აზარაშვილის ინსტრუმენტულ კონცერტებს. ლირიკული საწყისი უაღრესად თავისებურადაა გარდატეხილი ი. კეჭაყმაძის „ძველი თბილისის სიმღერებში“, გ. ცაბაძის მუსიკის ნერვი — ლირიკული ემოციაა. თვითეულ დასახელებულ შემთხვევაში ლირიკული საწყისი თავისებურადაა გამოვლენილი, თავის ემოციურ კლიმატსა ქმნის, მაგრამ საერთო პლანში ეროვნული მუსიკის განვითარების სტაბილურ ტენდენციაზე მიგვითითებს.

საერთო ტენდენცია, ამავე დროს, საერთო ინერციასაც წარმოშობს, ნაწარმოებთა ქმნადობის არსებული ტიპის, არსებული მოთხოვნილების შესაბამისად. ეს უკვე აკადემიზმის მომასწავებელია და ყველაზე მეტად იგი ჩვენში ინსტრუმენტულ მუსიკაში შეიმჩნევა. ამიტომაც საკმაოდ უცნაური სიტუაცია იქმნება, როდესაც, მაგალითად, ახალი ინსტრუმენტული კონცერტი ან სონატა თითქოს თავისი „ობიექტური პარამეტრებით“ აღიარებულ ნიმუშს არ ჩამოუვარდება, მაგრამ რატომღაც საზოგადოებრივ ინტერესს ვერ იწვევს. მას მხოლოდ ერთი რამ აკლია — პირველი აღმოჩენის სიხასხასე, მიკვლევა იმ თავისებურებებისა, რომლებიც ეროვნული მუსიკალური გამოცდილებისათვის არ არსებობდა. ერთია ტრადიციებზე დაყრდნობა და მეორე — ტრადიციონალიზმი. ერთია გამოცდილების ათვისება და მეორე — აკადემიზმი. მე, მაგალითად, მომწონს, რომ ს. ცინცაძემ საკვარტეტო ჟანრში შესძლო თავის მიერვე შექმნილი ინერციის დარღვევა და რომ იგი ამ ჟანრში დაუცხრომლად ეძიებს. მომწონს ისიც, რომ ს. ნასიძე ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე, არ იმეორებს რომელიმე ტიპს, არამედ მხატვრულ განზოგადებათა ახალ ტიპებს, ახალ გამომსახველ ხერხებს ეძებს. რასაკვირველია, ამის საპირისპირო მაგალითების დასახელებაც შეიძლება. მაგალითად, ა. მაჭავარიანის შესანიშნავმა „მონოლოგებმა“ წაბაძვების მთელი ტალღა გამოიწვია, რაც თავისთავად არასასიამოვნო ფაქტია და ეროვნულ მუსიკას არაფერს არ მატებს.

თანამედროვე ქართული მუსიკის სტილისტური მრავალფეროვნების ერთ-ერთი საგულისხმო მომენტი ისაა, რომ სხვადასხვა შემოქმედებით ხელწერას შორის განსხვავება განუხრელად ღრმავდება, უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს იძენს. ამ სტილთა შორის პოლემიკა ხან აშკარაა და ხან ფარული, მწვავე ან და რამდენადმე შერბილებული, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი ჩვენი მუსიკალური ცხოვრების არსებით მხარედ იქცა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბრძოლა „თვითდამკვიდრებისათვის“ სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. მათგან ყველაზე ხელშესახები და თვალსაჩინოა ტრადიციებთან დამოკიდებულება. მაგალითად, ბევრი ქართველი კომპოზიტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან. ხალხური შემოქმედება მათთვის ჟანრულ-ინტონაციური, მხატვრული სახეების, განვითარების სპეციფიკური ხერხების დაუშრეტელი წყაროა. მაგრამ ჩვენში არიან კომპოზიტორებიც, რომლებიც ფოლკლორული ტრადიციებისადმი საკმაო გულგრილობას იჩენენ და მეტწილად სხვა წყაროებით საზრდოობენ ხალხური მუსიკა თუ აინტერესებთ, მხოლოდ ლოკალური სპეციფიკური კოლორიტის შესაქმნელად.

აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ ფოლკლორთან მჭიდრო ურთიერთობა ღირებულების გარანტია არ არის: ოქრო თავისთავად ფასეულია, მისი ხელთპყრობა მის ღირებულებას ვერც ასწევს და ვერც დასცემს. სულ სხვაა, როდესაც მისგან რაიმე ნივთია დამზადებული, მაშინ თვით ნახელავის ხარისხი განაპირობებს ღირებულებას. თუ კომპოზიტორის ნახელავთან გვაქვს საქმე, მაშინ მუსიკის ღირებულება თვით კომპოზიტორის წვლილით განისაზღვრება.

მთელი ეს მსჯელობა ადამიანმა შეიძლება უბრალო ტრუიზმამდე დაიყვანოს. მაგრამ ქართული მუსიკის რეალური სურათის გათვალისწინებისას ჩვენ თვალნათლივ ვრწმუნდებით დასახელებული ფაქტორების მოქმედებაში, ვგრძნობთ მათ თანამონაწილეობას სხვადასხვა მხატვრულ და ტექნოლოგიურ სახეობებში, რომლებიც დღეს ეროვნული სტილის მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის დღესდღეობით აუცილებელია მრავალფეროვანების კანონიერების აღიარება, სხვადასხვა სტილისტური მიმართულებების მოქალაქეობრივი უფლებების აღიარება. ყოველი ნაწარმოების ღირებულებას მისი კონკრეტული ღირსებები სწყვეტს და არა ის, თუ რა მიზნებს ისახავდა კომპოზიტორი, რა წყაროებს და პრინციპებს ეყრდნობოდა. სულ სხვაა იმის გამოკვლევა, თუ იმ პრინციპსა თუ წყაროს ობიექტურად რა შესაძლებლობანი გააჩნია. მაგრამ განყენებულად რომ ვიმსჯელოთ, შესაძლებლობა და მისი რეალიზაცია ერთი და იგივე არ არის. ისიც უნდა ითქვას, რომ „სუფთა“ სახით არავითარი პრინციპი და წყარო არ გამოიყენება. ვიღაცას ხუმრობით უთქვამს რომ ბახის კარგად ტემპერირებული კლავირის ფუგებს შორის არცერთი არ ეგულება, რომელშიც წესი არაა დარღვეული საქმე სწორედ ისაა, რომ მხატვრული აზროვნება „წესს“ მუდამ არღვევს „გარღვევის კუთხე“ კი ხელოვანის ინდივიდუალობაზე, კონკრეტულ ამოცანასა და მასალის თვისებებისგანაა დამოკიდებული. მუსიკალური ანალიზის სირთულეს სწორედ ის განაპირობებს, რომ ზოგადი და კერძო განუყოფელია და ზოგადი ნიშნის დადგენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კერძოს ბუნების მიკვლევას, იმ რაღაცა „განუმეორებელის“ გაგებას, რომელიც ამ კონკრეტულ მხატვრულს ასულდგმულებს, მისი აზრი და გამართლებაა. ამიტომაც ისეთი დახასიათებანი, როგორიცაა „ხალხურ წყაროებზე დაყრდნობილი“, „პროკოფიევის ზეგავლენით შექმნილი“, „მღერადი“ და სხვ. შესაძლოა ცალკეულ რეალურ თვისებებზე მიგვითითებდეს, მაგრამ მოვლენის არსში ვერ გადიოდეს.

ამიტომაც ერთი რომელიმე მხარის აღნიშვნა ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას მთელი მოვლენის ღირებულება დავადგინოთ საერთო კულტურის კონტექსტში. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ნაწარმოების ღირსებებთან ერთად მისი ფუნქციონირების დინამიკაც უნდა გავითვალისწინოთ. შესაძლოა ნაწარმოების ტექნოლოგია დიდი სიახლეებით არ გამოირჩეოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუსიკა უზარმაზარ საზოგადოებრივ ინტერესს ათწლეულთა მანძილზე იწვევდეს, სოციალურ-ფსიქოლოგიურს, ესთეტიკურს შეესატყვისებოდეს, მხატვრული შემოქმედების დიდ უნარს ამჟღავნებდეს. მეორე მხრივ საწინააღმდეგო ხასიათის მოვლენებიც საკმარისია. მხატვრული ღირებულების დადგენისას კი სოციალური ფუნქციონირების გაუთვალისწინებლობა საერთო სურათზე ცალმხრივ წარმოდგენას შეგვიქმნიდა.

* * *

უნივერსალური კულტურის შექმნისაკენ ყოველი ერი მიისწრაფვის და ეს სურვილი პრესტიჟის მოსაზრებებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ცხოვრების მიერ წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობიდან. ჩვენი ქართული მუსიკა ჟანრული მრავალფეროვნების თვალსაზრისით მართლაც რომ უნივერსალურია. ძნელია მუსიკალური ხელოვნების ისეთი სახეობის დასახელება, რომელსაც ქართველ კომპოზიტორთა ყურადღება არ მიეზიდოს: სიმფონია, ოპერა, ბალეტი, ინსტრუმენტული კონცერტი, კვარტეტი და მრავალი სხვა უკვე დამკვიდრდა ქართულ მუსიკაში, ეროვნული თვითმყობადობით, განუმეორებელი მუსიკალური ენით და მხატვრული ენით ხასიათდება. დღეს სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ ქართულ ორიგინალურ ოპერასა, სიმფონიასა და კვარტეტზე. ეს მართლაც დიდი მიღწევაა, ჩვენი ერის კულტურული აღმავლობის მჭევრმეტყველი დადასტურება. მუსიკალური კულტურის უნივერსალიზმი ჩვენი ხალხის ინტელექტის სიმძლავრეს, მის მრავალმხრივობას მოწმობს.

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით უნივერსალურ კულტურებშიც არის თავისებური ცენტრები, არეები, რომლებშიც ეროვნული აზროვნების განსაკუთრებულობა იჩენს თავს. ქართული ხალხური შემოქმედებისათვის ასეთი ცენტრი ოდითგანვე მრავალხმიანი გუნდი იყო. ბუნებრივი იქნებოდა, რომ მრავალხმიანმა გუნდმა თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედებაშიაც თავისებური მიზიდულობის ცენტრის როლი ითამაშოს.

თუ ის „განსაკუთრებულობა“, რომელიც ხალხურ საგუნდო აზროვნებას ახასიათებდა, შემოქმედებითად იქნება ქართველ კომპოზიტორთა მიერ ათვისებული (ამის შესანიშნავი მაგალითი თავის დროზე ზ. ფალიაშვილმა მოგვცა), მაშინ ეროვნული ტრადიციები პროდუცირების უნარს არ დაკარგავენ და ახალ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაში განაგრძობენ განვითარებას. ფოლკლორულ ტრადიციებს გრძელი გზა აქვთ გამოვლილი, მაგრამ იმ დროიდან, რაც ასპარეზზე პროფესიული მუსიკა გამოდის, „ფოლკლორულზეც“ ზრუნვა მას ევალება და თავის მისიას იგი მხოლოდ მაშინ შეასრულებს პარნათლად, თუ კი შესძლებს ახალ ვითარებაში ფოლკლორის შინაგანი პოტენცია გამოავლინოს. ფოლკლორი საწყობი კი არაა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც შეუძლია არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებობა". „სხვა სხეულშიც" განაგრძოს. ამ უკანასკნელის წინაპირობა კი ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ფორმების, ჟანრების ინტონაციური წყობის და, რაც მთავარია, ზოგადმუსიკალური პრინციპების განვითარებაა. ამიტომაც ჩვენში საგუნდო ჟანრი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ლაპარაკი ეროვნული აზროვნების უწყვეტ ძაფზე, რომელიც ხალხურ შემოქმედებას თანამედროვეობასთან აკავშირებს.

* * *

თანამედროვე ქართული მუსიკა შეგვიძლია ორ სხვადასხვა ასპექტში განვიხილოთ. ერთი მათგანი მიგვანიშნებს ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების ობიექტურ-შინაარსეულზე, პირობითად რომ ვთქვათ, საგნობრივ მხარეზე. მაგალითად, მუსიკას „მხედველობაში აქვს" სინამდვილის გარკვეული უბნები. იგი მათ ასახავს, გვიყვება მათ შესახებ, წარმოაჩენს რეალურ-ადამიანურ მიმართებებს, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას. მუსიკა მიმართავს პოეზიას, ლიტერატურას, ხელოვნების სხვა დარგებს, ერის ისტორიას და მისი დღევანდელი ცხოვრების ფაქტებს. იგი აქედანაც იღებს გარკვეულ მასალას.

მხოლოდ ასეთი ასპექტი რომ ვიქონიოთ მხედველობაში და სტატისტიკური მეთოდებით რომ გამოვიკვლიოთ იგი, დავრწმუნდებით, რომ ქართულმა მუსიკამ 60 წლის მანძილზე გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ. გაიზარდა მისი ჰორიზონტი, გაიზარდა იმ სფეროების რაოდენობა, რომლებითაც იგი დაინტერესებულია, მრავალფეროვანი გახდა მისი კავშირი ხელოვნების სხვა დარგებთან. აი, თუნდაც კინოხელოვნება. ამჯერად თავი დავანებოთ იმ საკითხს, რომ ფილმებს მუდამ ხარისხოვანი მუსიკა არ ახლავს (ხშვათაშორის ისიც ხდება, რომ სუსტ ფილმს წილად კარგი მუსიკა ერგება). ფაქტი კი ის გახლავთ, რომ კინოში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქართული სასიმღერო, საზოგადოდ, საყოფაცხოვრებო ჟანრების კულტივირებისათვის. აქ ტრადიციული ჟანრები ახალი თემებით და სახეებით მდიდრდება , საკმაოდ ინტენსიურად ხდება მათი ტექნიკური გადაიარაღება და ახალ ხაესტრადო ფორმებში გარდასხვაფერება.

„აბესალომ და ეთერი" ქართული საოპერო ხელოვნების კულმინაციური წერტილია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრის სათავეებთან დგას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ 60 წლის მანძილზე საოპერო მუსიკამ ბევრი სიახლე შეიძინა, აქაც ახალი სახეები, თემები და ფორმები დამკვიდრდა, აქაც განახლდა დრამატურგიული ტიპები. საამისოდ საკმარისია დავასახელოთ ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი", დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი", შ. მშველიძის „ამბავი ტარიელისა" და „დიდოსტატის მარჯვენა", ო. თაქთაქიშვილის „მინდია", „სამი ნოველა", და „მთვარის მოტაცება", რ. ლაღიძის „ლელა". მე უკვე არას ვამბობ კანტატა-ორატორიასა და ინსტრუმენტულ ჟანრებზე, ბალეტისა და კამერული მუსიკის შესახებ, სადაც განვლილი გზით მოპოვებული „საგნობრივი სინამდვილის" მნიშვნელობა განსაკუთრებულ თვალსაჩინოებას იძენს.

შემოქმედებითი პროცესის ობიექტურ-შინაარსეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განზომილებაა მასალა, რომელსაც კომპოზიტორი მხატვრული ამოცანების გადასაწყვეტად მიმართავს. აქ იგულისხმება არსებული ჟანრულ-ინტონაციური წყაროები, როგორც ეროვნული, ასევე ინტერნაციონალური ფორმები, ტრადიციის მიერ შემუშავებული „მუსიკალურ-ლოგიკური" აპარატი; ყოველივე ეს კომპოზიტორის ცნობიერებასთან მიმართებაში ქმნის მის ინტელექტუალურ ჰორიზონტს, წინაპირობას გარკვეული იდეის ხორცშესხმისათვის. რომელიც ნებისმიერ მხატვრულ განზოგადებაში მთლიანად ვერ იქნება უგულვებელყოფილი.

როდესაც ქართულ მუსიკას ამ თვალსაზრისითაც ვაკვირდებით, ვრწმუნდებით, რომ მის ამ მხარემაც საგრძნობი ევოლუცია განიცადა. ჯერ ერთი გამდიდრდა მისი ჟანრულ-ინტონაციური წყაროები. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ჩვენი მუსიკა ეროვნული ნიადაგის უფრო დიდ „ფართობს" ემყარება, ვიდრე ჩვენი კლასიკოსების ეპოქაში. ქართული მუსიკის ჟანრული მრავალფეროვანება განპირობებულია პროფესიული მუსიკის მდინარებაში ახალ-ახალი წერტების ჩართვით, თანამედროვე ინტონაციური ლექსიკონის უფრო თამამი გამოყენებით. თუნდაც მხოლოდ უკანასკნელი წლები საკმარისია პროფესიული მუსიკის შესამჩნევი გადაიარაღების საილუსტრაციოდ. ჩვენს მუსიკაში ის ხერხებიც მკვიდრდება, რომლებიც ევროპულმა მუსიკამ უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე გამოიმუშავა და ისიც, რომლებიც XVI-XVII საუკუნეებში იქმნებოდა (მე ვგულისხმობ პოლიფონიურ ფორმებს, პოლიფონიური განვითარების სპეციფიკურ ხერხებს).

მაგრამ შემოქმედებას, ობიექტურ-შინაარსეულის გარდა, სხვა ასპექტიც გააჩნია, რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვაზე — როგორ სახეს იღებს მუსიკაში „ობიექტურ-შინაარსეული"? როგორია მისი გარდასხვაფერე-

ბის და გამოხატვის გზები, რა მონაწილეობას იღებს მხატვრულის ქმნადობაში სუბიექტური საწყისი.

„ობიექტურ-შინაარსეული“ სტილის მხოლოდ წინაპირობაა, თუ შეიძლება ასე ითქვას მასალის „წინათემატიური“ მდგომარეობა, რომლიდანაც მას გამოიყვანს ახალი იდეის განსახიერების აუცილებლობა, ამოცანა, რომლის დაყენების უმთავრესი პირობაა ღირებულების გარკვევისათვის სუბიექტური მისწრაფება.

ამ შემთხვევაში სუბიექტურობის წყაროები უნდა იქნეს შესწავლილი. თუ კი მუსიკა ეპოქის ორგანული ნაწილია და თავისი დროის იდეებით, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტებით იკვებება, თუ კი არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების ზნეობრივი კლიმატი შემოქმედებაზე ზეგავლენას ახდენს, მაშინ მუსიკა ისტორიული აუცილებლობის თავისებური გამოხატულებაა. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ თუმცა მუსიკის ქმნადობაში ტრადიციებზე დაყრდნობილი „თვალთახედვა“, მოვლენათა განჭვრეტის ისტორიულად შემუშავებული ფორმები უდიდეს როლს თამაშობს, მაინც შემოქმედების მთელ „პროფილს“ არსებითად დღევანდელობის მიერ დასმული ამოცანების „თანამედროვე გაგება“ განაპირობებს.

მუსიკალური პროგრესი, ამრიგად ისეც შეგვიძლია გავიგოთ, როგორც გარკვეული დისტანციის დაძლევა, ისტორიული თვალთახედვიდან დღევანდელ გაგებამდე აღნიშნული ვითარება არსებითი მომენტია მხატვრული ინდივიდუალობის ბუნების გაგებაში. თვითმყობადობა და სიახლის გრძნობა ისე კი არ უნდა გავიგოთ, როგორც თანდაყოლილი, თითქოს და ფიზიოლოგიური უნარი, არამედ როგორც ინტელექტუალური ჰორიზონტის, თანამედროვე სიღრმეებში წვდომის, ჩვენი დროის პულსაციის მანიშნებელი. ინდივიდუალობა, ეს უპირველეს ყოვლისა, ისტორიული აუცილებლობის გათვალისწინების, თანამედროვეობის განსაკუთრებულობის შეგრძნობის ნიჭია. ეს „განსაკუთრებულობა“ ნიჭიერმა ხელოვანმა შესაძლოა ინტუიციით აღიქვას. ამ განსაკუთრებულობამ მისთვის შესაძლოა ლოკალურ ფორმებში იჩინოს თავი (აქ მართლაც წყლის ნაყვა იქნებოდა ყველა შესაძლო ვარიანტის გამოძიება). მთავარი ისაა, რომ ეს „განსაკუთრებულობა“ განცალკევებული კი არაა ზემოაღნიშნულ „ობიექტურ-შინაარსეულისაგან“, არამედ მხატვრის ინდივიდუალურ წვდომაშია რეალიზებული.

როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ქართულ მუსიკაში „დისტანციის დაძლევა“ თანამედროვე სინამდვილესთან მიახლოვების, მისდამი დამოკიდებულების აქტივიზაციაში მოიხატა. განჭვრეტის ისტორიულად შემუშავებული „ფორმიდან“ გაგების ისეთ ფორმებზე გადასვლაში, სადაც სპეციფიკურად თანამედროვე და სადღეისო უფრო ხელშესახებია, გადაიქცევა არა მარტო დაკვირვების საგნად, არამედ თვით შედის აზროვნების სტრუქტურაში. ეს ვითარება განსაკუთრებულად თვალნათლივ ინტონაციურ სფეროში ვლინდება, რომელშიც თანამედროვე სამეტყველო ენის მიმოქცევები მკვიდრდება. ეს სიახლენი თავს იჩენს ბგერადი გარემოს სპეციფიკური მხარეების არეკვლაშიც, თანამედროვე ჟანრების და გამოყენებითი მუსიკის ასიმილაციაში. ამ მხრივ თანამედროვე მუსიკის ყველა სახეობა „გამტარიანი“ აღმოჩნდა. სპეციფიკურად თანამედროვე, უფრო ზუსტად, თანამედროვე ყოფიდან წამოსული ინტონაცია შეიჭრა სიმფონიაშიც (ა. ბალანჩივაძის, ს. ნასიძის, რ. გაბიჩვაძის, დ. თორაძის, ბ. კვერნაძის, გ. ყანჩელის ნაწარმოებები:), ოპერაში (რ. ლაღიძის „ლელა“, ო. თაქთაქიშვილის „სამი ნოველა“ და „მთვარის მოტაცება“), ინსტრუმენტულ კონცერტში (საკმარისია დავასახელოთ ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები, ვ. აზარაშვილის კონცერტები ჩელოსა და ალტისათვის), კანტატა-ორატორიაში (მე მხედველობაში მაქვს ა. ჩიმაკაძის „ქართლის გული“, ა. მაჭავარიანის „ჩემი სამშობლოს დღე“, ო. თაქთაქიშვილის კანტატა-ორატორიული ნაწარმოებები და განსაკუთრებით „ნიკოლოზ ბარათაშვილი“).

უკვე ითქვა, რომ ჩვენს თანამედროვე მუსიკალურ კულტურას ერთის მხრივ ახასიათებს ტრადიციებთან, ეროვნულ წიაღისეულთან მჭიდრო კავშირი, ხოლო მეორეს მხრივ „მეორე ნაკადიც“. ჩვენ ეროვნულ ნიადაგზე მუზიცირების ისეთი პრინციპების დანერგვა, ისეთი სახეობების ათვისება, რომელნიც ადრე ქართული აზროვნებისათვის დამახასიათებელი არ იყო. ისიც ნათელია, რომ „მეორე ნაკადი“ გამოვლენილია არა სუფთა სახით, არა მთლიანად გაუცხოვებულად, არამედ „წმინდა ეროვნულთან“ გარკვეულ მიმართებაში, მასთან სინთეზის, ყოველ შემთხვევაში, შეხამებათა სხვადასხვა ხარისხში. მუსიკალური კულტურის ეს დუალიზმი გარდაუვალია და, როგორც ჩანს, თანამედროვე საზოგადოების იდეურ-ესთეტიკურ მისწრაფებათა მრავალფეროვნების გამოხატულებაა. ორივე ნაკადი (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ამ ორივე ნაკადის შეხამებათა ერთობლიობა) ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობით სულდგმულობს.

რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა სრულებითაც არ სარგებლობს საყოველთაო

შემწყნარებლობით. სწრაფი და რადიკალური ზომების მომხრენი რამდენადმე აუფასურებენ ტრადიციების მნიშვნელობას, მისი ბორკილებიდან სწრაფი განთავისუფლებისაკენ მიილტვიან . ასეთი განახლების მომხრეთა რიგში მაინცა და მაინც ახალგაზრდები კი არ არიან, არამედ ხშირად მოწიფული მუსიკოსებიც, რომლებიც „უცხოურით დომპინგს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოქმედებითი წინსვლისათვის.

ალბათ შემთხვევითი არაა, რომ 20-იან წლებშიაც და უფრო გვიან, დაახლოებით 60-იანი წლების შუახანაშიც, „მოძველებული ფალიაშვილის“ შესახებ ერთი და იგივე მოტივი საკმაოდ მკაფიოდ გაისმოდა. ეს ორივე ხანა გზაჯვარედინის მნიშვნელობისაა ქართული მუსიკისათვის. მაშინ (20-იან წლებში), ფეხს იდგამდა ქართული ინსტრუმენტალიზმი და თავის ღირებულებას და დამოუკიდებლობას იგი, სხვათაშორის, ასეთი გზითაც იცავდა. 60-იანი წლები — ახალი ევროპული გამოცდილების გაცნობის ხანაა და მისი ღირებულების აღიარება (ეს კი აუცილებელი პირობა იყო მისი ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგვისათვის) ტრადიციებზე შეტევის გარეშე ძნელდებოდა. ამავე დროს თავდასხმა საკუთარი მე-ს თვითდამკვიდრების საუკეთესო საშუალებაა და ანტიტრადიციონალიზმის ბუნების გასათვალისწინებლად ეს მომენტიც არ უნდა გავუშვათ მხედველობის არიდან.

ის, რაც ჩვენში მოხდა — კანონზომიერი მოვლენაა და არაფრით არ განსხვავდება იმ „უპატივცემულობისაგან“, რაც სხვადასხვა დროს რუსეთშიაც, გერმანიაშიაც, იტალიაშიაც და საფრანგეთშიც გამოუჩენიათ თავისი კლასიკოსების მიმართ. მხატვრულ ღირებულებებთან დამოკიდებულებას თვით შემოქმედებითი პროცესების დინამიკა განაპირობებს. დრომ დაიცვა ფალიაშვილი და ფალიაშვილი მომავლშიაც ყოველნაირ შემოტევებს გაუძლებს, რადგანაც მისი მუსიკის ღირებულება კონიუქტურისათვის ხელმიუწვდომელია. „აბესალომი“ და „დაისი“ ჩვენი ერის ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებაა და ეს ორივე ქმნილება მანამდე არ დაკარგავს მნიშვნელობას, ხანამ თვით ეს მრწამსი იარსებებს.

მეორე უკიდურესობისათვის ბრალი თვით ტრადიციონალისტებს ედებათ. აქაც არც თუ ისე მოსახერხებელია ყველაფერი უბრალო გაუგებრობაზე დავიყვანოთ. ტრადიციონალისტისათვის განსაკუთრებული კრიმინალი ის გახლავთ, თუ ფორმა არ იმეორებს მისი აზრით ეროვნული სტილის არსებით თავისებურებებს. ტრადიციონალისტის ესთეტიკური პოზიცია მთლიანად დეტერმინირებულია სტილზე ემპირიული დაკვირვებით და საქმე ბოლოსდაბოლოს მექანიკურ შესატყვისობაზე დაიყვანება. მე ერთმანეთისაგან ვანსხვავებ კონსერვატორს და ტრადიციონალისტს, მაგრამ არსებითთან დამოკიდებულებაში მათი პოზიციები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და ბოლოს ტრადიციონალისტი და კონსერვატორი შესაძლოა ერთ პიროვნებაში გაერთიანდეს. საკმარისია გავიხსენოთ ა. ბალანჩივაძის სიმფონიაზე პირველი გამოძახილები და ის ბრალდებები, რომლებიც მისი მისამართით მაშინ გაისმა, რომ დავრწმუნდეთ ტრადიციონალიზმის სუბიექტურ ცალმხრივობასა და მის მიერ მომავლის გეზის განჭვრეტის უუნარობაში.

ჩვენი ქართული მუსიკისათვის ტრადიციების უარმყოფელთა და ტრადიციონალისტების საკითხს გარკვეული, მე ვიტყოდი, პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. პოზიციების გარკვევა იმისათვის კი არაა საჭირო, რომ პერსონალურად ვინმე დაადანაშაულო, რატომ წინასწარმეტყველის ჭკუისა არ აღმოჩნდა ან და მთელი ტემპერამენტი ყალბი იდეალების დაცვას რათ შეალია, პოზიციების გარკვევა იმისათვისაა საჭირო, რომ კარგს გზა და გაშლა-განვითარების საშუალება მიეცეს, ხოლო ის, რაც არაპროდუქტიულია (ცხადია, ტაქტის დაცვით) პრინციპული პოზიციებიდან იქმნეს მხილებული.

ვიღაცამ ალეატორული პრინციპი გამოიყენა—ამის გამო ექსტაზში ნუ ჩავვარდებით, სხვამ თორმეტტონიანი ბგერათა რიგის ტექნოლოგია ისესხა — ნუ ავჩქარდებით და სახაცილო მდგომარეობაში ნუ ჩავიგდებთ თავს იმის მტკიცებით, თითქოს ასეთი ტექნოლოგია დღეს შემოქმედების აუცილებელი პირობაა. ჯერ მხატვრული შედეგი მოვსინჯოთ, ის გავარკვიოთ, შესძლო თუ არა კომპოზიტორმა სინამდვილის ახალი კუთხით დანახვა, მისი ჯერ კიდევ ფარული კანონზომიერებების გამოვლენა. მეორემ, პირიქით, კლასიკური მუსიკისათვის დამახასიათებელი ქორალური ფაქტურა გამოიყენა ისეთი ჰარმონიული განლაგებით, რომელიც ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ მუსიკალურ აზროვნებაში „საერთო ადგილად“ იქცა. არც ესაა განსაკუთრებული მიგნება და საბაბი ავტორის გაღმერთებისათვის, მისი შემოქმედებისათვის განსაკუთრებული ღირსებების მიწერისათვის. პირველ რიგში ნუ დავივიწყებთ მხატვრულ რეზულტატს და მეორე შემთხვევაში კი იმას, რომ გამომსახველ ხერხთა მიმართ პასიურობა მხატვრული განზოგადებისათვის უკეთილოდ ვერ ჩაივლის და რომ ამის გამო მუსიკაში გარკვეულ „კლიშეს“ ვერ ავცდებით. არც ხასიათეობრივ ტრადიციების გამოყენებაა დიდი ვაჟკაცობა და არც მათი იგნორირებაა განსაკუთრებული კრიმინალი. აქაც და

იქაც მხატვრულობის განსაზღვრისათვის მუსიკის „ობიექტურ-შინაარსეული“ მხარე გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ქართულ მუსიკაში თანდათან გამოიკვეთა მისი განვითარების პარადოქსული ვექტორი. ერთის მხრივ, იგი სიღრმისეულში გადის, ტრადიციულსა და ნიადაგობრივს თანდათანობით წამოაჩენს და თანამედროვე მუსიკალურ შემოქმედებაში მზარდი აქტიურობით რთავს. ხოლო მეორეს მხრივ, ძლიერდება ეროვნული მუსიკის ის სექტორიც, სადაც ტრადიციულს „უცხო“ ემყნობა, სადაც ჩვენი კულტურის ინტერნაციონალური კავშირები განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება. ასეთი მრავალფეროვნება მხოლოდ ძლიერი კულტურის პრეროგატივაა. ქართული საბჭოთა მუსიკაც მათ რიგს მიეკუთვნება. ბრძოლა ერთ-ერთი ამ სექტორის დისკრედიტიზაციისათვის უნაყოფოა და მორალურად მავნე. იგი მხოლოდ აბუნდოვანებს იმ ტენდენციებს, რომელიც ჩვენ მუსიკალურ დღევანდელობას ახასიათებს.

## II. ისტორია, პოეზია, სიტყვა — მუსიკის წყაროები

პოეტური სახეებისა თუ ისტორიულად სარწმუნო მასალის გამოყენებას მუსიკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც აქ ცხოვრებისეული მიმართებანი, რეალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი მხარეები შემონახული არის და საიმედო დასაყრდენის მნიშვნელობას იძენს კომპოზიტორის ფანტაზიის გაშლისათვის. თანამედროვეობა მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფითაა დაკავშირებული „ისტორიად ქმნილ“ მასალასთან, მას წიაღში იძენს ძალას. თანამედროვე მუსიკალური ცხოვრების უშუალო კავშირი „ისტორიულ სინამდვილესთან“ საიმედოდაა შემონახული და უშუალოდ ვლინდება ჩვენი ეროვნული ხალხური მუსიკის ჟანრებში, მათ სახეებსა, ფორმებსა და ინტონაციათა ნიშან-თვისებებში, მთელ მათ პოეტიკაში. ამიტომ ამ ჟანრების აღორძინებით დაიწყო ახალმა ქართულმა მუსიკამ თავისი ზრდა-განვითარება და ამ ჟანრების შემოქმედებით პროცესში ჩართვა არასოდეს არ კარგავდა თავის მნიშვნელობას ჩვენი მუსიკალური კულტურის ქმნადობისათვის.

მაგრამ ქართული მუსიკისათვის თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს საკუთრივ ისტორიულ მასალასაც, რომელიც შემოინახა ჩვენმა ლიტერატურამ, ისტორიულმა ძეგლებმა, თქმულებებმა, და ბოლოს, სამეცნიერო გამოკვლევებმა. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ამ უდიდესი მასალის ათვისებაში ჩვენ[illegible] ჯერობით დიდი წარმატებისათვის არ[illegible] წევია. მე იმას კი არ ვგულისხმობ, რომ მუსიკის ენაზე „ითარგმნოს“ რომელიმე ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი (თუმცა ამის შემთხვევები საკმაოდ ხშირია). მართლაც რა აზრი აქვს ამას? შესწევს კი მუსიკალურ „თარგმანს“ რაიმე შესძინოს ლიტერატურულ პირველწყაროს? არა, აქ ლაპარაკია საკუთარი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტის შესახებ.

„ისტორიული სიტუაციის“ და ისტორიული ხასიათის გაგების მეშვეობით მუსიკა პირველ რიგში ისევ თანამედროვეობას შეიმეცნებს ასეთი თანამშრომლობა მუსიკისა და ლიტერატურულ-ისტორიული მასალისა ისევ თანამედროვეობის მოვლენათა კანონზომიერების ხედვას აადვილებს, თავისებურ აქცენტებს უკეთებს მას. გაგებისათვის ხედვის პერსპექტივას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ისტორია ამ პერსპექტივას მეტ გამჭვირვალებას სძენს, თავისებურად ასაბუთებს დღევანდელობას. „ისტორიული სიტუაციის“ და „ისტორიული ხასიათის“ განუმეორებელი კოლორიტის აღორძინება და მათი შესატყვისი ბგერადი ფორმის ძიება კომპოზიტორის წმინდათ მუსიკალურ თვალსაწიერს აფართოვებს, მის ინტელექტს აღრმავებს, გამომსახველ ხერხთა მის პალიტრას ამდიდრებს. ამ ძიებას წმინდათ მუსიკალურ განზომილებაში „დოკუმენტურად დადასტურებული“, რეალურ-ობიექტური თვისებები შემოაქვს, შემოაქვს ისეთი ჟანრულ-ინტონაციური მასალა, რომელიც „იმ ვითარებისათვის“ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. მუსიკას ძალუძს ისტორია თავისებურად წაიკითხოს, მისი თავისებური „გაგება“ შემოგვთავაზოს, მუსიკის მეშვეობით „ისტორიული ხასიათი“ მეტ ემოციურ სისავსეს და ამის გამო მეტ კონკრეტულობას იძენს, უფრო „ხორციელი“ და ადამიანურად გასაგები ხდება.

ქართველ კომპოზიტორთა ყურადღებას მუდამ იზიდავდა და იზიდავს ისტორიული თუ ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოჩენილი ძეგლები და უნდა ითქვას, რომ ჩვენ მუსიკაში ამ ძეგლთა ახლებურად აჟღერების შესანიშნავი მაგალითებიც გაგვაჩნია. სხვას რომ თავი დავანებოთ, „დაისი“, უპირველეს ყოვლისა, ქართული პოეზიის და მუსიკის თაიგულია.

მაგრამ მუსიკისა და ლიტერატურულ-ისტორიულ ურთიერთკავშირს მხოლოდ შემოქმედებითი გამარჯვებები არ მოუტანია. ისედაც მომხდარა, რომ მათი ურთიერთობა ↑რაპროდუქტიული აღმოჩენილა, იგი ზემოდნახსენები „თარგმანის“ სახით მოგვლინებია. მუსიკის პრეტენზია დედანი შესცვალოს — დაუსა-

ბუთებელია. კომპოზიტორს მხოლოდ მაშინ შეუძლია ისტორიული ლიტერატურული პირველწყაროს „თავისიანად ქცევა". როდესაც ამ მასალასთან თავისი საკუთარი ხედვით, თანამედროვეობის მიერ წამოჭრილ ამოცანების გადაჭრის სურვილით მიდის. მხატვრული ამ შემთხვევაში მის დროში მომქმედის და ისტორიულის შემოქმედებითი კოორდინირებაა, რომლის მნიშვნელობასაც კვლავ და კვლავ თემის საზოგადოებრივი აქტუალობა განაპირობებს. რასაკვირველია, მხატვრულის ხარისხი წარმოსახვის უნარსა, ოსტატობასა და ინტელექტზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს განზომილებანი ორგანულადაა დაკავშირებული თავის დროის შეგრძნობასთან.

ხელოვნება — ეს უპირველეს ყოვლისა, ურთიერთობაა, და ეს ურთიერთობა უნდა გავიგოთ არა ყოფით სიბრტყეში, არამედ როგორც სულიერი ნათესაობის მომასწავებელი, როგორც გაცვლა-გამოცვლის, აზრთა გაზიარების აუცილებლობა. ისტორიული ფაქტის თუ ლიტერატურული სახეების ინტერპრეტაციაში ეს მომენტი უდიდეს მნიშვნელობას იძენს, შეიძლება ითქვას, რომ თავისი მნიშვნელობით ყველაფერს ფარავს, მე, მაგალითად, მოხიბლული ვარ შ. მშველიძის ოპერის „დიდოსტატის მარჯვენის" მთელი რიგი ეპიზოდებით, მისი თვითმყობადობის, მთელი რიგი საგუნდო ეპიზოდების ხალხური კოლორიტით. ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოა მამამზე ერისთავის დატირების სცენა. ბრწყინვალე მასალაა გამოყენებული ფხოველთა შეთქმულების სურათშიც. მაგრამ მე იმის აღნიშვნაც მსურს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას რომანის მუსიკალურ ინტერპრეტაციაში ჩვენი თანამედროვეობის ცოცხალ სულისკვეთებას რეტროსპექტულობა აღემატება. შ. მშველიძის მუსიკა, თუ ასე შეიძლება ითქვას, უფრო რომანზეა მიმართული, ვიდრე კომპოზიტორის თანამედროვეობაზე, იგი უფრო ილუსტრაციაა, ვიდრე თვითმყობადი კონცეფციის ნაყოფი.

მე ამჟამად მუსიკალური დრამატურგიის ხარვეზები არა მაქვს მხედველობაში, არამედ ის თავისებური სიტუაცია, როდესაც მუსიკის მეშვეობით რომანმა კი არ გადმოდგა ნაბიჯი ჩვენი თანამედროვეობისაკენ, არამედ თვით კომპოზიტორმა იმ შორეული ხანისაკენ. შემოქმედება და ტირანია შეუთავსებელნი არიან — გვეუბნება კ. გამსახურდია. ეს ნოტა მშველიძის ოპერაშიაც ჟღერს, მაგრამ იგი მეტ სიმძაფრეს და, რაც მთავარია, თანამედროვე სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოცდილებით შობილ ინტონაციას მოითხოვდა. თუ ცრურწმენა სოციალური ვითარებით სულშეხუთულ ხალხს მოეკიდა, მაშინ ეს სტიქიონი საშიშ დამანგრეველ ძალას წარმოადგენს, რომელიც გაქნილ პოლიტიკოსის ხელში მარჯვე იარაღია. ამ აზრს კ. გამსახურდია იშვიათი შთაგონებით ასახიერებს. ოპერაში კი შესატყვისი სცენა უფრო ეთნოგრაფიული მიგნებებით გვიზიდავს (ამასაც რომ თავისი სილამაზე და ღირსებები აქვს — ეს კი ეჭვგარეშეა). მაგრამ მწერლის იდეა XX საუკუნის კომპოზიტორისაგან გაცილებით უფრო საინტერესო გადაწყვეტას მოითხოვდა.

ცხადია, ყველა დასახელებული პრობლემის ფართო და მახვილი ხედვა კომპოზიტორს ვიწრო ეროვნული ჩარჩოებიდან საკაცობრიო მასშტაბში გაიყვანდა, ხოლო ოპერას კი ილუსტრირების ფუნქციას თავიდან აიცილებდა. მთავარი ხომ ისაა, რომ ლიტერატურულ ქმნილებაში დასმული პრობლემის საერთო მნიშვნელობა გახსნა, მისი შინაგანი (დროის მიერ ნაკარნახევი) გაგება მოგვცე, და არა ის, რომ მწერლის სიტყვას შესატყვისი მუსიკალური დიალექტი გამოუნახო.

* * *

ქართულ ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს სიტყვისადმი დამოკიდებულების ევოლუცია განსაზღვრავს. ამ ევოლუციის პერსპექტივა და გეზი დაახლოებით შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: სიტყვის მელოდიაზე გადატანიდან პოეტურ ტექსტის მუსიკის გამოვლინებამდე, მარტივი ინსტრუმენტული თანხლებიდან ისეთ ფორმებზე გადასვლამდე, რომლებშიც ვოკალური და ინსტრუმენტული საწყისები სრულუფლებიან პარტნიორთა სახით გვევლინება.

სიტყვის პრობლემა ქართულ ოპერაშიაც და კამერულ-ვოკალურ ინსტრუმენტულ მუსიკაშიც იმთავითვე მწვავედ იდგა. ქართული ხალხური სიმღერის მონაპოვარია სიტყვა — მუსიკის წიაღში შობილი და მუსიკა — თვით სიტყვიდან გადმოღვრილი. მაგრამ ამ მეტაფორებს თავი რომ გავანებოთ კიდეც, ვოკალისა და სიტყვის შეხამების ფორმების სიუხვე ფოლკლორში თვალს მოგვჭრის. კანტილენა და ვოკალიზმი, მშრალი რეჩიტატივი და მელო-დეკლამაცია, კრიმანჭულის ტიპის ვოკალური „ინსტრუმენტალიზმი", საერთო ბგერად ქსოვილში უსაზღვრო სივრცეებზე გადაჭიმული ბგერები მოძრაობის კალაპოტს რომ ქმნის, რომელსაც დანარჩენი ხმების ორნამენტი ედება, ცალფა ხმის იმპროვიზაციები ურმულის ტიპის სიმღერებში და ქორალური არქიტექტონიკა, რომელიც სტერეომეტრიულ ეფექტებს შეიცავს. ქართული ფოლკლორის ეს მონაპოვარი ისეთი მწვერვალია, რომლის ხელახლა დაპყრობა გაძნელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც კლასიკოსებისათვისაც მწვავე პრობ-
ლემას წარმოადგენდა, ქართული საბჭოთა
ოპერის სიცოცხლისუნარიანობის მკაცრი გა-
ნომცდელის როლში გვევლინება. შეიძლება
ითქვას, რომ მშველიძისა და თაქთაქიშვილის,
ხოლო უფრო გვიან ლაღიძის საოპერო ქმნი-
ლებათა გამოჩენამდე ამ ჟანრის ნიმუშთა უდი-
დესი უმრავლესობის მარცხის ერთ-ერთი
მთავარი მიზეზი „სიტყვის სუსტი გრძნობა“
იყო. იმ „დამარცხებულთა“ გაცნობისას
ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს სიტყვა
ვერა ქმნის მუსიკალურ იმპულსს. კომპოზი-
ტორი თითქოს მზამზარეულ თემატიური მა-
სალის და პოეტური ტექსტის შეზავებას
ისახავს მიზნად, და ამას ახორციელებს წინას-
წარგანზრახვით დიფერენცირებულ დონეზე:
რეჩიტატივის, არიოზულ-სასიმღერო თუ კან-
ტილენური მელოდიის ხასიათში. მშველიძის
ვოკალური ფორმების მიმზიდველობას მათი
ძარღვიანი, კოლორიტული მუსიკალური ენა
განაპირობებს. ხშირად ამ ფორმებს მითის სი-
ოც დაჰკრავს, რომელიც მუსიკაში არქაულ ხა-
სიათს აძლიერებს, დღევანდელ სამეტყველო
ნორმებს აცილებს მათ. მაინც ეროვნული სიტყ-
ვის ალღო კომპოზიტორს არასოდეს არ ღალა-
ტობს, იგი მის ფონეტიკურ ბუნებასაც ითვალი-
სწინებს და სინტაქსის მარილსაც, ყველაფერი
ეს დენად მელოდიურობასთან, საკუთრივ არი-
ოზულ-სასიმღერო საწყისთან რომ ყოფილიყო
შერწყმული (ე. ი. მუსიკალური განზოგადე-
ბის უფრო მაღალ ხარისხამდე რომ ასულიყო),
მაშინ „ამბავი ტარიელისა“ და თვით დიდ-
ოსტატის მარჯვენაც“ სანიმუშო პარტიტურე-
ბის რიგს მიეკუთვნებოდა, ქართული ვოკა-
ლური გამომსახველობის შემსწავლელთათ-
ვის უდავო დადებით როლს ითამაშებდა.

თავისთავად აბა რა უნდა გვქონდეს დეკლა-
მაციური სტილის განვითარების საწინააღმ-
დეგო? მით უმეტეს, რომ იგი ხშირად იმ
ხიდის როლს თამაშობს, რომელზედაც საკუთ-
რივ მელოდიური დენი და ლოგოსი ერთმა-
ნეთს ხვდება. მაგრამ დეკლამაციური, თუ
მას არ ემატება „სპეციფიკურად მუსიკალური“
მაინც სიტყვის ილუსტრაცია უფრო არის,
მისი შემზადება უფროა, ვიდრე საკუთრივ
მუსიკალური ფორმა, მაშინ, როდესაც მუ-
სიკალური ფორმის ქმნადობას საკუთრივ
მუსიკალური პრინციპები უზრუნველყოფს.
დეკლამაციურობა შესაძლოა სტრუქტურის
ორგანულ ნაწილად იქცეს. მაგრამ თუ კი
დეკლამაცია ამ კონტექსტში არ თავსდება,
თუ საკუთრივ მუსიკალური საწყისით არაა შე-
მაგრებული, მაშინ იგი მხოლოდ პოეტური
ტექსტის ილუსტრაციით კმაყოფილდება, მის
ისეთ განზომილებად გადაიქცევა, რომე-
ლიც „მუსიკალურ სივრცეს“ ვერა ქმნის. დე-
კლამაციური სტილის მხატვრული ღირებუ-
ლება სახასიათო საწყისის სიმახვილესთან [...]
თად განზოგადებული ინტონაციურ[...] გა-
იზომება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლე-
ბელი ლაპარაკი ინდივიდუალური ხასიათის
გამოკვეთის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევა-
ში მუსიკალურ დახასიათებას სტრუქტურული
სიმწყობრე მოაკლდებოდა, მოაკლდებოდა ის
ღერძი, რომელიც დენად მეტყველებაში გამა-
ერთიანებელ საწყისის როლს ინარჩუნებს.

ამ მხრივ ო. თაქთაქიშვილის ოპერების
მუსიკალური ენა უფრო მოქნილი და ჟანრუ-
ლად საინტერესოა. სიტყვა თვით ვოკალურ
ხაზში ინარჩუნებს თავის გამომსახველობას, მა-
გრამ მელოდიური საწყისი დრამატურგიული
ამოცანების გადასაწყვეტადაა მოწოდებული.
მასში მეტია მოძრაობა და ემოციურადაც იგი
უფრო გარკვეული, უფრო კონცენტრირებუ-
ლია. მშველიძისაგან განსხვავებით ეს მელო-
დიზმი უფრო „თანამედროვე“ ქანებში იღ-
ებს დასაბამს, ამიტომაც უფრო ძალდაუტანებ-
ლადაა დაკავშირებული თანამედროვე სამეტყ-
ველო ნორმებთან. თაქთაქიშვილის საოპერო
მელოდიკის ქმნადობაში ქართულ ეროვნულ
წყაროებთან ერთად მონაწილეობას იღებს
ზოგადევროპული გამოცდილებაც, ის რაც
ჩვენთვის გერმანული, რუსული და იტალიუ-
რი საოპერო ტრადიციებიდანაა ცნობილი. შე-
საძლოა მუსიკალურ ენას ამის გამო სიხასხასე
რამდენადმე აკლდება მაგრამ ჟანრულ საყრ-
დენთა მრავალფეროვნება განსაზღვრავს მუ-
სიკალური ენის „ლექსიკურ სიმდიდრეს და
ელასტიურობას, მის უნარს მწვავე ფსიქოლო-
გიური განცდები და დრამატული ვითარებები
ასახოს.

დიახ, ქართული პოეზია შთაგონების წყა-
როა ქართველ კომპოზიტორთათვის და ჩვენი
მუსიკის ზრდა-განვითარება დიდადაა იმაზე
დამოკიდებული, თუ წვდომის რა უნარს გა-
მოამჟღავნებენ ქართველი კომპოზიტორები
ქართულ პოეტურ სიტყვაზე მუშაობისას. ქარ-
თველმა კომპოზიტორებმა, მაგალითად, გაიკ-
ვლიეს გზა ვაჟას პოეზიისაკენ, მისთვის და-
მახასიათებელი მხატვრული სახეების მომაჯა-
დოებელი სამყაროსაკენ. თავისებური გახა-
ლების როლს ამ შემთხვევაში მთის ფოლკლო-
რი ასრულებს, რადგან თვით ვაჟას ლექსში
მისი წვენია გამჯდარი, მისი სული ტრიალებს.
სადაც მთა შედის, იქ უჩვეულოდ ვაჟას პოე-
ზიის სურნელიც იგრძნობა. მე ამჟამად მხე-
დველობაში მაქვს ს. ნასიძის მშვენიერი
ვოკალური ციკლი „ქართული ხალხური პო-
ეზიიდან“, რომელშიც თუმც ვაჟა-ფშაველას
ტექსტები არაა გამოყენებული, მაინც მთის
მგოსნის ლექსისათვის ესოდენ დამახასიათებე-
ლი მშმუნვარება, სასოწარკვეთილების გადა-
ლახვის ჟინი და დარდიანი ლხინა სევდისა
და ვაჟკაცური შემართების ტონალობას ქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟას პოეზიისაკენ მიმავალი გზა ჯერჯერობით მაინც შ. მშველიძის სიმფონიური პოემებით „ზვიადაურით“ და „მინდიათი“, ო. თაქთაქიშვილის ამავე სახელწოდების ოპერით და ა. მაჭავარიანის „მონოლოგებით“ გაიზომება. კერძოდ „ზვიადაური“ ულრესად ნიშანდობლივი აღმოჩნდა ვაჟას პოეზიისაკენ გზის გაკვალვის თვალსაზრისით. ამ ნაწარმოებში მართლაც ტრიალებს ალპიური ველების სუსხიანი სურნელება. მუსიკალური სახეები მართლაც იწვევს ასოციაციებს ვაჟას პოემის გმირებისას. აქ ხატოვნადაა აღბეჭდილი ნისლში მცურავი მწვერვალები, სისხლის დაუოკებელი წყურვილი, ჯოყოლას, ქისტი მუსას თუ ზვიადაურის სახეები. მართალია დიდი ქართველი მოაზროვნის ფილოსოფიური იდეების წვდომისათვის აუცილებელი იყო საწყის ჟანრულ მასალის ემპირიზმის დაძლევა, მისი ამაღლება ფილოსოფიური განზოგადების მნიშვნელობამდე, მაგრამ ასეთი სურვილი ოდნავადაც არ აკნინებს შ. მშველიძის დიდ დამსახურებას მთისა და ვაჟას დამკვიდრების თვალსაზრისით ქართულ მუსიკაში.

## III. ორიოდე შენიშვნა ოპერისა და სიმფონიური მუსიკის შესახებ

ეროვნულ კულტურაში საოპერო ჟანრი ჯერჯერობით ვერ თამაშობს ავანგარდულ როლს. ჩვენ გაგვაჩნია ამ ჟანრის საინტერესო ნიმუშები, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა მე მსურს დავასახელო ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება“ და „მინდია“, რ. ლაღიძის „ლელა“. მთელ რიგ საინტერესო მომენტებს შეიცავს აგრეთვე სხვა საოპერო ნაწარმოებებიც, მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის ორიგინალური საოპერო მიმართულების შექმნისათვის. ახალი ქართული ოპერის თვით საუკეთესო ნიმუშებიც კი (მე ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ფალიაშვილის უკვდავ ქმნილებებს) თავისი არსით და წმინდა საოპერო პრობლემებისადმი მიდგომით ტრადიციონალიზმით გამოირჩევა. საოპერო მოძრაობა ჩვენში უფრო მეტად თემატიკური განახლებით და ახალი თემებისადმი ტრადიციული ფორმების გამოყენებით აღინიშნა.

ეს სხვათაშორის არც თუ ისე ცოტაა და ეროვნული მუსიკალური თეატრის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ახალ ქართულ ოპერაში ახალი ადამიანური ხასიათები დამკვიდრდა, განახლდა მუსიკალური ენა და ჟანრული მასალა. მაგალითად, ო. თაქთაქიშვილი ხალხურ სასიმღერო საწყისს დაეყრდნო, მას ამოსავალი წერტილის მნიშვნელობა მიანიჭა, არიოზული და საგუნდო ფორმების მშვენიერი გრძნობა გამოამჟღავნა, შესძლო ცოცხალი დრამატურგიის შექმნა. რ. ლაღიძის ოპერის ნიშანდობლივი თავისებურებაა ახალ სასიმღერო ფორმებთან კავშირი. მისი მუსიკა გამოირჩევა მელოდიური ფორმების სისავსით, რომლებიც ე. წ. საყოფაცხოვრებო მუსიკის წიაღიდანაა ამოღებული.

ამასთან ერთად ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება საოპერო ნაწარმოები, რომელიც ორიგინალურ მუსიკალურ-თეატრალურ მიმართულებას აღნიშნავდა, მსგავსად ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერისა“, ანდა ვ. ჭაბუკიანის ბალეტებისა. „აბესალომ და ეთერი“ გარკვეული თვალსაზრისით ქართული საგუნდო კულტურის წიაღში იშვა, მისი ნიშან-თვისებების გაღრმავება-განვითარების შესანიშნავი ნიმუშია; იგი მართლაც რომ თვითმყობადი დრამატურგიით და საოპერო ფორმებისადმი დამოუკიდებლობის თავისუფლებით გამოირჩევა. ფალიაშვილის ტრადიციები, თქმა არ უნდა, ცოცხლობს (მაგალითად, ისინი შეიმჩნევა შ. მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“), მაგრამ უფრო რადიკალურ განახლებას მოითხოვს, ორიგინალურ მუსიკალურ-თეატრალური დრამატურგიის შექმნას, რომლისთვისაც ეროვნული ჟანრულ-ინტონაციური სამყარო არა მარტო ნედლი მასალის როლს შეასრულებს, არამედ ცოცხალი დრამატურგიული ბირთვის მნიშვნელობას შეიძენს. მე მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ამის საინტერესო ცდებია მოცემული ო. თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში“.

და მაინც, როგორც ითქვა ქართული ოპერა არსებითად ჯერ კიდევ ამ ჟანრის ტრადიციულ ფორმებს ეყრდნობა და გარკვეული თვალსაზრისით ეროვნული კლასიკის გამოცდილებასაც იყენებს. მაგრამ მისი წინსვლისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც „არასაოპერო„ და პირველ რიგში ხალხური შემოქმედების ძირითადი სახეობანი, პოლიფონიური გუნდები და საყოფაცხოვრებო სიმღერები იძენს. თაქთაქიშვილის „მინდიას“ საოპერო დრამატურგიის ორიგინალობას, მუსიკალურ ენის მეტყველ და საოპერო ფორმების სხარტ, შეკრულ ხასიათს სწორედ რომ სასიმღერო, სტროფული ფორმები განაპირობებს. თანაც ავტორი თავს არიდებს სასიმღერო ლაკონიური სტრუქტურის დამუშავებითი ელემენტებით დამძიმებას. მისთვის სიმღერის თეზისურ, ექსპოზიციურ სიცხადეს მეტი მიმზიდველობა გააჩნია, ვიდრე რთული ფსიქოლოგიური რელიეფის მქონე არიოზულ ფორმას, სადაც დრამატურგიას თემატურად უფრო დანაწევრებულ მუსიკალურ-პოეტურ ქსოვილთან აქვს საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ქართული სიმფონიზმი თავის გზას სიმფონიური მინიატურიდან იწყებს ეს ჟანრი ჯერ კიდევ ეროვნული ოპერის წიაღში ისახება საცეკვაოები და შესავალი საორკესტრო ეპიზოდები მისი პირველი ნიმუშებია. აქვე გამოიკვეთა ქართული მინიატურის, როგორც მომავალი დამოუკიდებელი სახეობის შინაარსეული და ჟანრულ-ინტონაციური თავისებურებანიც. ორივეს მხრივ, იგი ქართულ ხალხურ წყაროებს ეყრდნობა. კომპოზიტორისეულ ნაწარმოებს, ჩვეულებისამებრ, საფუძვლად ხალხური სიმღერისა თუ საცეკვაოს მელოდია ედება (ამასთან ერთად იშვიათი არაა, როდესაც სიმღერა სახასიათო საცეკვაო რიტმით იმსჭვალება, ხოლო საცეკვაო კი თავისი მელოდიური თვისებებით სიმღერას უახლოვდება).

წესისამებრ კომპოზიტორი დედნის „პრიორიტეტს“ იცავს. ავტორისეული „ჩარევა“ თემის შერჩევისას უფრო მჟღავნდება, ვიდრე თვით მასალის დამუშავებისას. (უკანასკნელი არსებითად მოცემულობის გამოვლენას ისახავს მიზნად, ვიდრე მის გადალახვას, ამიტომ ავტორი, უმეტეს შემთხვევებში ფაქტურის ვარირებით კმაყოფილდება).

კომპოზიტორის გამომგონებლობა უშუალოდ საორკესტრო ოსტატობაში უნდა გამოვლენილიყო, ხოლო 20-იან წლებში, გასაგები მიზეზების გამო იგი მაღალი არ იყო. მაგრამ უკვე ამ პერიოდში რამდენიმე მინიატურა შეიქმნა საოპერო ეპიზოდისა თუ დამოუკიდებელი პიესის სახით, რომელიც დღესაც ამშვენებს ეროვნულ სიმფონიურ ლიტერატურას. ამ მხრივ პირველ რიგში „დაისის“ შესავალი უნდა აღინიშნოს. იგი განუმეორებელია თავისი თვითმყობადობით, ამაღლებული ტონით და ფერადოვნებითაც თავისი დრამატურგიული ფუნქციით იგი ტიპიური საორკესტრო პრელუდიაა, რომელიც საოპერო ხელოვნებაში ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან დამკვიდრდა, თავისი ჟანრული თვისებებით კი საორკესტრო ნოქტიურნია. „დაისის“ არცერთი ეპიზოდი არ ამართლებს ესოდენ უშუალობით ფალიაშვილის ოპერის სახელწოდებას, როგორც მისი შესავალი. აქ ყველაფერი ღამის პოეზიით სუნთქავს და ყველაფერი მის მყუდროებას არღვევს: მეურმის გულჩათხრობილი ღიღინიც და სატრფოსთან სიკვდილისწინა გამოთხოვება — „დიდი ღამის“ სასოწარკვეთილი მოლოდინი.

ის, რასაც ჩვენ „მეურმის ღიღინს“ ვუწოდებთ, შესაბამისი ჟანრის (ურმულების) პირმშოა. მაგრამ ეს მაგალითი თვალნათლივ მოწმობს რამდენ თავისუფალია ფალიაშვილი მასალასთან დამოკიდებულებაში. არც მელოდიურ ხაზში და არც განწყობილებაში, არ მიისწრაფვის ეთნოგრაფიული სიუჟეტისკენ. მისი მთავარი საზრუნავი, ერთის მხრივ, უფრო ზოგადჟანრული და, მეორეს მხრივ, ფსიქოლოგიურად უფრო დაძაბული განწყობილების შექმნაა.

მე მინდა ეს ლაკონიური შედევრი შევადარო და დავუპირისპირო არანაკლები მხატვრული ღირებულების „რიწას ტბას“. „რიწას ტბა“ ა. ბალანჩივაძის ნაწარმოებია. მისი შექმნის დროისათვის ბალანჩივაძე საფორტეპიანო კონცერტის, ბალეტ „მთების გულის“ და მთელი რიგი სხვა პიესების ავტორი იყო. „რიწას ტბა“ მისი ოპერის „ბედნიერების“ ერთერთი ეპიზოდთაგანია. ქართული მუსიკის ისტორიას „ბედნიერების“ სახელიღა შერჩა და კიდევ აი ეს პატარა ეპიზოდი, რომელსაც ოპერიდან, მუსიკის გარდა, დრამატურგიული ფუნქციის აღმნიშვნელი ქვესათაური „ინტერმეცო“ გამოჰყვა.

ბალანჩივაძის პარტიტურა „ქართული იმპრესიონიზმის“ პირველი ნიმუშია (შემდგომ ეს ხაზი განვითარდა ბ. კვერნაძის მთელ რიგ ნაწარმოებებში, ნ. მამისაშვილის ინსტრუმენტულ მინიატურებში). „რიწას ტბა“ იმ ძიებების ნაყოფია, რომელიც უფრო გვიან ბალანჩივაძის IV საფორტეპიანო კონცერტში უფრო მკვეთრად გამოვლინდა. ეს არის პეიზაჟის პოეტური ხილვა, საარაკო ტბის მოლივლივე სილამაზით შთაგონებული განწყობილებების გადმოცემის წარმატებული ცდა. იმპრესიონიზმთან და კერძოდ დებიუსისთან მას აახლოვებს სწორედ პეიზაჟის ლირიკული განცდა. ბგერწერითი და ლირიკულ-საოცნებო ერთმანეთს ისე ორგანულად დაუკავშირდა მის მუსიკაში, რომ არსებითად ერთ მხატვრულ მთლიანობას ქმნის. შეიძლება ეს პარალელი საკმაოდ უჩვეულოდ გამოიყურებოდეს, მაგრამ ფალიაშვილის, კერძოდ „დაისის“ შესავლის მეურმულ საწყისთან ბალანჩივაძის მუსიკას სპეციფიკური, მელოდირებული ორნამენტი აკავშირებს აქაც და იქაც ამ სასიმღერო „იმპროვიზაციის ძაფს“ ღიღინი ქმნის, ფიქრში წასული ადამიანის ანგარიშმიუცემელი მღერა.

თქმა არ უნდა, „რიწას ტბის“ და „დაისის“ შესავლის შინაარსეული ქვეტექსტები ერთმანეთისაგან განსხვავდება და ემოციური საწყისიც მათ სხვადასხვა აქვთ. მაგრამ კომპოზიციური პრინციპი მონათესავეა და იგი ეროვნული მუსიკალური აზროვნების ერთი წყაროდან მოდის.

ჩვენს ინსტრუმენტულ მუსიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის პირდაპირი კავშირების დადგენა საკმაოდ რთული ამოცანაა. მაგრამ, რომ ინსტრუმენტული ჟანრი თანამედროვე სულიერი ცხოვრების გარკვეული რეზონატორის როლს ასრულებს — ეჭვგარეშეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიძლება ითქვას, რომ თუ კი პირდაპირი თემატიური კავშირები რთული გასაშიფრია, სამაგიეროდ საზოგადოებრივი ცხოვრების ემოციურ ტონუსსა და მუსიკის სტილს შორის გარკვეული მიმართებანი დავას არ იწვევს. ეს უპირველეს ყოვლისა, ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი გმირული შემართებაა, შემოქმედებითი ძალის დუღილია, რომელიც გამოსავალს მუსიკაში ეძიებს და ნისთვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეთა თავისებურებებს განაპირობებს.

გმირული მოქმედება — ეს დევიზი ბეთჰოვენის სიმფონიური აზრის უდიდესი მონაპოვარია და იგი კლასიკურმა მუსიკამ გვიანდერძა, მაგრამ სხვადასხვა დროში თვით მოქმედება სხვადასხვანაირად გაიგება და სხვადასხვა მიზანს ისახავს, სხვადასხვა ემოციური ტონუსითაა შეფერადებული, სხვადასხვა ზნეობრივ ბუნებას ამჟღავნებს. ჩვენი მუსიკის განვითარების ისტორიას რომ ჩავუკვირდეთ, განსაკუთრებით ინსტრუმენტულს, ძალდაუტანებლივ დავასკვნიდით, რომ არსებითად გმირული შემართების მუსიკალურ სახეებში განზოგადება, გმირული სულისკვეთების დამკვიდრება ხალხური წყაროებიდან ამომავალი ენერგიის გაშლა-განვითარებას გულისხმობს.

მართალია, სინამდვილესთან აქტიური ურთიერთობა არ შეიძლება მხოლოდ ენერგიული სახეებით, მოძრაობით და „ძალისმიერი" საწყისით, გარეგნული დინამიკით შევზღუდოთ. შემოქმედებითი დამოკიდებულება სინამდვილისადმი შეიძლება გრძნობათა სინატიფეში, მსოფლაღქმის სიმახვილეში, განსაკუთრებულ მგრძნობელობაში გამოვლინდეს. თუ კი წმინდა მუსიკალური კატეგორიებით ვიმსჯელებთ, იგი თავს იჩენს მასალასთან დამოკიდებულების ხასიათში, გარდასახვის სიმკვეთრეში, შინაგან მოძრაობაში. საილუსტრაციოდ მე მსურს ქართული მუსიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს — ა. მაჭავარიანის ხავიოლინო კონცერტს მივმართო, რომლის მუსიკაც გმირულ-რომანტიკული აღმაფრენითაა გამსჭვალული. შინაგანი წვა, სინამდვილისადმი აქტიურ-შემოქმედებითი დამოკიდებულება კონცერტის არა მარტო იმ ნაწილებში იჩენს თავს, რომლებიც სწრაფვითი მოძრაობითა და პულსაციითაა გამსჭვალული, არამედ ამაღლებულ ლირიკის ეპიზოდებშიაც, თვით ამ ამაღლების ხასიათსა და ხარისხში

ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქმედითი ხასიათის დამკვიდრება-დასაბუთება გაშლილ ფორმას მოითხოვს ამით არის განპირობებული ქართველ კომპოზიტორთა ლტოლვა მონუმენტური ფორმებისადმი. მასშტაბური სიმფონიური სტრუქტურები ავტორს საშუალებას აძლევს სინამდვილის არსებითი მხარეები განაზოგადოს. შემთხვევითი ალბათ ისიც არაა, რომ „სიმფონიური" ჩვენში მხატვრულობის გარკვეულ კრიტერიუმად იქცა. თანამედროვეობას უჭირდა მუსიკაში კონკრეტული მხატვრული სახეებით, თემებით და ფ..ტებით დამკვიდრება (წმინდა კომპოზიტორულ ძიებებთან ერთად ამ პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ლიტერატურულ-დრამატურგიული მასალა იყო საჭირო). ამიტომაც მიეძალა მუსიკა უფრო განზოგადებულ თემატიკას და, რაც მთავარია, იმ ჟანრულ-ინტონაციურ მასალას, რომელიც მხატვრულ განზოგადებათა ისტორიულად „დასაბუთებულ" ტიპებს წარმოადგენენ.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დავით აბაშიძე**

# პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“

მიმდინარე წელს შესრულდა 125 წელი მას შემდეგ, რაც თბილისში, გამოჩენილი ქართველი მწერლის გიორგი ერისთავის რედაქტორობით, გამოვიდა პირველი ქართული ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“. ჟურნალმა დიდი როლი ითამაშა ქართული ენისა და კულტურის, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

საქართველოში ლიტერატურული ცხოვრების აღორძინება გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო, მაგრამ იმის გამო, რომ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, დ. ყიფიანი, ალ. ორბელიანი და სხვ.). გადასახლებული იყვნენ საქართველოდან, ხსენებული აღორძინების პროცესი კარგახნით შეფერხდა.

მხოლოდ 50-იანი წლების დამდეგიდან ხდება შესამჩნევი ლიტერატურის ხელახალი აღმავლობა. ამ პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა ღრმა კრიზისს განიცდიდა. მზადდებოდა პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნებისათვის. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა აგრეთვე ევროპასა და რუსეთში შექმნილი ვითარება. ევროპის სახელმწიფოებს 1848 წლის რევოლუციის ქარტეხილმა გადაუარა; 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დამდეგს რუსეთის იმპერიაში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

შექმნილმა ვითარებამ, „განახლების გრიგალის ქროლამ“ აიძულა მეფის მთავრობა ქართველ თავად-აზნაურობასთან მორიგების გზას დადგომოდა და ზოგიერთი, დროისშესაფერი კულტურული ღონისძიება გაეტარებინა.

1844 წელს კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშნულ იქნა გრაფი მ.ს. ვორონცოვი. წინამორბედთაგან განსხვავებით, ვორონცოვი უფრო მოქნილ პოლიტიკას დაადგა. მის დროს განხორციელდა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები. — თბილისში ოპერის თეატრის გახსნა, ქართული თეატრის აღდგენა, ქართული წიგნების გამოცემა და სხვ. ამავე დროს, ქართულ ენას გარკვეული ადგილი დაეთმო სასწავლებლებში. განსხვავებით კავკასიის სხვა სამხედრო მმართველებისაგან, ვორონცოვმა შედარებით კეთილგანწყობილი დამოკიდებულება დაამყარა ქართველ თავადაზნაურობასთან. ვორონცოვის გარკვეული „ლიბერალობით“ კარგად ისარგებლა გიორგი ერისთავმა და, სხვა ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან ერთად, გადაწყვიტა დიდი ხნის მომწიფებული იდეის განხორციელება.

1851 წლის თებერვლის დასაწყისში გ. ერისთავმა თხოვნით მიმართა ვორონცოვს, რათა მისთვის ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემის ნებართვა მიეცათ. იმავე წლის თებერვალში ვორონცოვმა ამის თაობაზე წერილი გაუგზავნა სამხედრო მინისტრს ა. ი. ჩერნიშოვს; მალე ნებართვაც მიღებული იქნა.

ჟურნალში ადგილი უნდა დათმობოდა ქართულ, რუსულ და უცხოურ სიტყვიერებას; შეიძლება გამოქვეყნებულიყო ცნობები სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ. მ. ვორონცოვი ქებით მოიხსენიებდა გ. ერისთავს და ღირსად თვლიდა, რომ პირველ ქართულ ჟურნალს სწორედ ის ჩადგომოდა სათავეში, იგი ამბობდა: „თავად ერისთავის ნიჭი და უნარიანობა ლიტერატურის სარბიელ-

ზე ამ მხარეში კარგა ხანია ცნობილია მისი მშვენიერი დრამატული პიესებითა და კომედიებით; მან პირველმა წარმოადგინა ისინი სცენაზე, რისთვისაც შექმნა ქართული თეატრალური დასი".[1]

იმავე 1851 წელს გაზეთ „კავკაზში" დაიბეჭდა განცხადება შესახებ იმისა, რომ 1851 წლიდან დაიწყებოდა ჟურნალ „ცისკრის" გამოცემა. მაგრამ, როგორც ცნობილია, „ცისკრის" გამოცემა მოხერხდა მხოლოდ 1852 წლის იანვრიდან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთგვარი ფულადი დახმარება „ცისკარს" თვითონ ვორონცოვმა აღმოუჩინა; თბილისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის სახელზე, რომელიც მისი მეუღლის მფარველობის ქვეშ იყო, ვორონცოვმა ასი ცალი ჟურნალი გამოიწერა.

ქართველ ინტელიგენციას მანამდე საკუთარი ჟურნალი არ გააჩნდა; ამიტომ „ცისკრის" გამოცემა ქართული კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ჟურნალი ხუთი განყოფილებისაგან შედგებოდა: ქართული სიტყვიერება, თარგმანი, სწავლა, ხელოვნება და სახლის პატრონობა.

იმ პერიოდის „ცისკარში" დაბეჭდილ ლექსებს შორის აღსანიშნავია, უპირველესყოვლისა, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, გიორგი ერისთავის ლექსები. (ნ. ბარათაშვილის პოეზია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი). მაგრამ ჟურნალში, სამწუხაროდ, არცთუ ცოტა რაოდენობით, იბეჭდებოდა მდარე ხარისხის პოეტური ნაწარმოებებიც.

1853 წლის დამლევიდან „ცისკრის" გამოცემა კარგა ხნით შეწყდა და მისი აღდგენა მხოლოდ 1857 წლის იანვარში მოხერხდა. ამ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოსა და მთელ რუსეთში დიდმნიშვნელოვანი ამბავი დატრიალდა.

ყირიმის ომმა მთელი კავკასია საომარ ასპარეზად აქცია, რუსეთი კავკასიის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თურქების თავდაპირველმა შემოტევამ ახალციხის მიმართულებით და ესკადრის გადმოსხმამ აფხაზეთში კავკასიის მთელი ეკონომიური რესურსებისა და ენერგიის მობილიზაცია მოითხოვა.

ომში დამარცხებამ საბოლოოდ დაარწმუნა რუსეთის მთავრობა, რომ ძველი, დრომოჭმული მეთოდებით ქვეყნის მართვა შეუძლებელი იყო, ანტიბატონყმური იდეები დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა, გლეხთა აჯანყებები ძლიერდებოდა. საზოგადოებრივი ცხოვრების ახალმა აღმავლობამ მოამზადა ნიადაგი „ცისკრის" განახლებისათვის. იმხანად არსებული კანონის მიხედვით, თუ პერიოდული გამოცემა ერთი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გამოვიდოდა, მომავალში მისი გამოცემის ნებართვა ხელახლა უნდა გამოთხოვილიყო. 1854 წლიდან გ. ერისთავმა ჟურნალის რედაქტორობა ივ. კერესელიძეს გადასცა.

ივ. კერესელიძის რედაქტორობით „ცისკარი" 1857 წლის იანვრიდან იწყებს გამოსვლას. ჟურნალის პირველივე ნომრებიდან თვისობრივი განსხვავება გ. ერისთავის პერიოდისაგან აშკარად იგრძნობოდა. ლიტერატურული თხზულებებიდან თუმცა კვლავ გვხვდება მდარე ხარისხის ნაწარმოებები, მაგრამ ჟურნალი ახლა ხშირად აქვეყნებს მაღალმხატვრულ ნაწერებს. რაც მთავარია, „ცისკარში" გამოქვეყნებულ მასალას უკვე, გარდა წმინდა ლიტერატურული ხასიათისა, სოციალური და ეროვნული ხასიათი ეძლევა, პროზაულ ნაწარმოებებში ეპოქის მაჯისცემა იგრძნობა, იკვეთება ავტორთა მსოფლმხედველობა, რომელიც ძირითადად ჟურნალის გარშემო შემოკრებილ თავადაზნაურ ლიბერალთა მრწამსს გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალში დაბეჭდილი ბევრი ნაწარმოები ენის მხრივ სცოდავს, პირველი სერიოზული კამათი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის შესახებ, სწორედ „ცისკრის" ფურცლებზე გაიმართა, რაც ჟურნალის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ჟურნალი ძველი ეროვნული ტრადიციებისა და თანამედროვეობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებსაც ეხება. ჟურნალის წამყვანი თანამშრომლები იმ ხანად არიან ივ. კერესელიძე, ალ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ლ. არდაზიანი, მ. თუმანიშვილი, გრ. ორბელიანი და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჟურნალში „სალაყბო ფურცლის" დაარსება. თუ გ. ერისთავის ხანაში ჟურნალს მხოლოდ სიტყვიერებითი მნიშვნელობა აქვს, „სალაყბო ფურცელი" ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველი პუბლიცისტური სიტყვაა. „მოლაყბის" და „მებუკეების" ხელმოწერით ჟურნალში იბეჭდებოდა საინტერესო წერილები დღიურ კითხვებზე, რომლებიც არაჩვეულებრივი გონებამახვილობით გამოირჩეოდნენ.

„ცისკარი" განსაკუთრებით გააქტიურდა ბურჟუაზიული რეფორმის ხანაში. მას შემდეგ, რაც თვით სამეფო კარზეც მიხვდნენ, რომ ქვეყნის ძველებურად მართვა შეუძლებელი იყო, საბატონყმო რეფორმისათვის პრაქტიკული მზადება დაიწყო, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „გლეხთა ამბოხებებმა", რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზ ე ვ ი დ ა ნ, ვიდრე ქ ვ ე ვ ი დ ა ნ დ ა გ ვ ა მ ხ ო ბ დ ნ ე ნ ო"[2].

ამ მღელვარე ეპოქაში ძლიერ გაიზარდა ჟურნალ-გაზეთების როლი მთელი რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჟურნალ-გაზეთები ცდილობდნენ საზოგადოებრივი აზრის გამოხატვას, ეზოპეს ენით მსჯელობდნენ

დახასიათებული ბატონყმური წესწყობილების მოსპობის აუცილებლობაზე, ჟურნალისტიკაში მკვეთრად გამოიხატა კლასობრივი ძალების განლაგება. ჟურნალისტიკა ამ პერიოდში გადაიქცა ნამდვილი ბრძოლის ასპარეზად, სადაც ორი აშკარად გამოხატული ბანაკი დაუპირისპირდა ერთმანეთს — ერთის მხრივ, ლიბერალურ-მონარქიული, ხოლო მეორეს მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიული.

დროის ცვლილება „ცისკარსაც“ აშკარად დაეტყო. თუ მანამდე ბატონყმობის გაუქმების საკითხს მისი პუბლიცისტები ლიბერალური პოზიციიდან უდგებოდნენ და იგი ხელმწიფე იმპერატორის უმაღლეს წყალობად მიაჩნდათ, 1859 წელს მანამდე სრულებით უცნობმა ავტორმა „რაზნოჩინელმა“ დანიელ ჭონქაძემ „ცისკრის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა შესანიშნავი მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. დ. ჭონქაძემ თავის მოთხრობაში მთელი სიცხადით დახატა ბატონყმობის ამორალობა, ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობანი და ამ ურთიერთობის განწირულობა. „სურამის ციხის“ გამოქვეყნებამ მკითხველებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა; პროგრესული საზოგადოება მას დიდი ინტერესით შეხვდა. თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა კი თავის უკმაყოფილება ვერ დამალა. რედაქცია იძულებული გახდა მათთვის ბოდიში მოეხადა.

განახლებულ „ცისკარში“, გარდა „სურამის ციხისა,“ ქართული რეალისტური პროზის მრავალი სხვა ნიმუში დაიბეჭდა. მათ შორის აღსანიშნავია ლ. არდაზიანის შესანიშნავი მოთხრობა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, რომელშიც კოლორიტულად არის ასახული ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის აღმოცენება და განვითარება საქართველოში; 50-იანი წლების მეორე ნახევარში „ცისკარმა“ პირველად დაიწყო ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის გამოქვეყნება. სწორედ „ცისკრის“ საშუალებით გაეცნო ქართველი მკითხველი საზოგადოება გენიალური პოეტის ნაწარმოებებს. იმხანად ნ. ბარათაშვილის ბრწყინვალე ლექსები ჟურნალის თითქმის ყველა ნომერს ამშვენებდა.

„ცისკრის“ ფურცლებზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სამოციანელების გამოსვლამდე აღიძრა საკითხი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების, მისი ნორმების დადგენის შესახებ. მართალია XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი საუკეთესო ქართული პოეტური ქმნილებები არაჩვეულებრივი კეთილხმოვანებითა და ბუნებრიობით გამოირჩევიან, მაგრამ ამ ეპოქის ქართულ მწერლობას მაინც აზის დაღი ანტონ კათალიკოსის დოგმატიზმისა. ჯერ კიდევ გიორგი ერისთავის რედაქტორობის პერიოდში, „ცისკრის“ ერთ-ერთი უმთავრესი თანამშრომელი, მთარგმნელი ს. ალექსი-მესხიშვილი მოუწოდებდა ენის ზოგიერთი საჭირო გამარტივებისაკენ, თუმცა ხშირად ამ მხრივ თვითონაც ცოდავდა. ალ. ორბელიანმა კიდევ უფრო საფუძვლიანად დააყენა საკითხი ერთიანი ქართული სალიტერატურო ნორმების დადგენის შესახებ. ამოსავალ ენად მას რუსთაველისა და გურამიშვილის ენა მიაჩნდა, ალ. ორბელიანის ამ თაოსნობას „ცისკარში“ გარკვეული გამოხმაურებაც მოყვა (აღსანიშნავია დიმ. ბაქრაძის წერილი ალ. ორბელიანის მიმართ).3

ქართული სალიტერატურო ენის, ისევე როგორც ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების, ნამდვილი განვითარება და აყვავება დაკავშირებულია სახელოვანი ქართველი სამოციანელების (თერგდალეულების) სახელთან. თერგდალეულთა მთავარი ხელმძღვანელების, დიდი ქართველი მწერლების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის უკვდავი ნაწარმოებები პირველად სწორედ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.

თერგდალეულთა სახელოვანი თაობა, რომელსაც ეკუთვნოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. და ბ. ღოღობერიძეები და სხვ. ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის პერიოდში განიმსჭვალენ რუსეთის განმანთავისუფლებელი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გააჩაღეს ბრძოლა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის.

თავდაპირველად თერგდალეულებმა თავიანთი ახალი იდეების ქადაგება „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყეს, მაგრამ ამ ლიბერალური ორგანოს დონე მათ, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა. უკმაყოფილებამ მალე იმავე „ცისკრის“ ფურცლებზე იჩინა თავი. მიზეზი წმინდა ლიტერატურული ხასიათისა იყო. ძველი და ახალი თაობა ერთმანეთს ენას უწუნებდნენ, მაგრამ ორ მსოფლმხედველობას შორის უფსკრული სულ უფრო ღრმად იკვეთება.

1861 წელს „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი. — „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმდროინდელ საზოგადოებაზე.

ეხება რა თვით კოზლოვის პოეზიას, რომელსაც ცრუ-კლასიციზმის ნიმუშად მიიჩნევს, ი. ჭავჭავაძე მიზანშეწონილად არ სთვლის მის ქართულად თარგმნას, რადგან მისი აზრით, კოზლოვი თვით რუსული ლიტერატურისათვის არ წარმოადგენს დიდ განძს: თუ რუსეთში კოზლოვს ერთხანს მაინც ყავდა მკითხველი, ამ-

ეროვნული

ბობს ილია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოზლოვის პერიოდი ჩვენმა ლიტერატურამაც უთუოდ გაიაროს. „მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა-პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, — ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის, თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ველარ წავდგამთო".

ი. ჭავჭავაძე „შეშლილის" თარგმანს ენას უწუნებს და ამის გამო მარტო მთარგმნელს კი არა, თვით ჟურნალსაც კიცხავს. „ცისკარმა", მისი აზრით, ბევრი მდარე პოეტური ნაწარმოები დაბეჭდა თავის ფურცლებზე, თუმცა „ორიოდე თ. ალ. ჭავჭავაძის, თ. ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რა". აკრიტიკებს რა ანტონ კათალიკოსის „კატილორიების" მიმდევარ პოეტებს, ი. ჭავჭავაძე დაასკვნის:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს"[4].

ძველმა თაობამ უპასუხოდ არ დატოვა ი. ჭავჭავაძის გამოლაშქრება. პოეტმა ქალმა ბარბარე ჯორჯაძემ, თავისი თავი იგულვა „რითმების მორახუნებლებს" შორის, გაშმაგებით ეკვეთა ი. ჭავჭავაძეს და განაცხადა, რომ „ყოვლის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელია იცოდეს: თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნების სიტყვიერებისა"[5].

ილია ჭავჭავაძემ უპასუხოდ არ დატოვა თავისი ოპონენტები და „ცისკარში" 1861 წელსვე დაიბეჭდა მისი „პასუხი", რომელიც რედაქტორ კერესელიძის შენიშვნებით იყო აჭრელებული, სხვანაირად წერილის დაბეჭდვა რედაქციას გაუჭირდებოდა. თავის წერილს ი. ჭავჭავაძემ ეპიგრაფად ბელინსკის სიტყვები წაუმძღვარა:

«Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках: энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостью, критику — комплиментами»[6].

1863 წლიდან ახალი თაობა, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, აარსებს ახალ პერიოდულ ორგანოს „საქართველოს მოამბეს". ამიერიდან თერგდალეულები თავიანთ ახალ იდეებს საკუთარი ჟურნალის ფურცლებიდან ქადაგებდნენ.

1863 წელს „ცისკარი", „საქართველოს მოამბესთან" აწარმოებს პოლემიკას, მაგრამ არა ძველი თაობის სახელით, არამედ მისი ახალი თანამშრომლის — ანტონ ფურცელაძის წერილებით.

1874 წელს, თავისი არსებობის დასასრულს, „ცისკარმა" კვლავ მოაგონა თავი მკითხველებს; ე. წ. „მამათა და შვილთა" გამძაფრებული ბრძოლის დროს მან დაბეჭდა გრ. ორბელიანის ლექსები, მიმართული „თერგდალეულთა" წინაამდეგ.[7] მაგრამ ჟურნალის ეს გამოცოცხლება ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. 1875 წლის შემდეგ „ცისკარი" აღარ გამოსულა.

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ და ისტორიოგრაფიამ, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ძირითადად დადებითად შეაფასეს „ცისკრის" როლი, როგორც პირველი ქართული ეროვნული ჟურნალისა. თვით ილია ჭავჭავაძეც, რომლის წერილებმა თავის დროზე პირველად დაანახეს მკითხველს ჟურნალის იდეური ჩამორჩენილობა, თავის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში სხვაგვარად აფასებდა „ცისკარს" კერძოდ, ილია აღნიშნავდა, „ცისკრის" როგორც ქართული ჟურნალისტიკის პიონერის როლს და იმასაც ითვალისწინებდა, თუ რა სოციალურ გარემოში უხდებოდა ჟურნალს არსებობა და რა სიძნელეებს უქმნიდა ეს გარემო ჟურნალის რედაქციას.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პირველმა ქართულმა ჟურნალმა „ცისკარმა", მიუხედავად სერიოზული ხარვეზებისა და ნაკლოვანებებისა, დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზრისა და ჟურნალისტიკის განვითარების ისტორიაში. მართალია, იგი ძირითადად თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმართულების ორგანო იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მის ფურცლებზე დაიბეჭდა რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით გაჟღენთილი მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებმაც გამოაღვიძეს და გამოაფხიზლეს ფეოდალურ-ბატონყმური რუტინით მიძინებული ქართული აზრი.

შენიშვნები:

1 პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941 წ. ტ. I, გვ. 115.

2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 127.

3 „ცისკარი", 1861 წ. № 2.

4 „ცისკარი", 1861 წ. № 4.

5 „ცისკარი", 1861 წ. № 5.

6 „ცისკარი", 1861 წ. № 6.

7 „ცისკარი", 1874 წ. № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტები, მოგონებანი

**გიორგი ლეონიძე**

## მცირედი მოსაგონარი

ჩვენს ხელთ არის გიორგი ლეონიძის უცნობი მემუარული ნაშრომი, რასაც პოეტმა უწოდა „მცირედი მოსაგონარი“. ნაშრომი შეიცავს გიორგი ლეონიძის ავტობიოგრაფიას, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან, ცალკეულ ეპიზოდებს, საუბრებს მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, უმთავრესად თავის თვალით ნახულსა და გაგონილს ცხოვრების იმ დიდ გზაზე, რომელიც პოეტმა განვლო სიცოცხლის მანძილზე.

გიორგი ლეონიძემ „მცირედი მოსაგონარი“ დაწერა დიდი სამამულო ომის შემდეგ, 1947 წელს და ფიქრობდა იგი შეევსო შემდეგ წლებში, მაგრამ, მიუხედავად დაპირებისა, ველარ შესძლო მისი გაგრძელება სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობით დატვირთვის გამო; მემუარების წერა ბოლოსთვის მოიტოვა. მაგრამ ვაგლახ, რომ აღარ დასცალდა...

ვიდრე გიორგი ლეონიძე საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორი იყო, მე ამ მუზეუმის დირექტორის მოადგილე გახლდით სამეცნიერო ნაწილში (1953 წლამდე). რამდენჯერმე შევახსენე გიორგის, რომ დაესრულებინა თავისი მემუარები და მუზეუმში დასაცავად გადმოეცა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დაპირება ყოველთვის შეუსრულებელი რჩებოდა, რადგან იგი ამ დროს გარდა მუზეუმის დირექტორობისა, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეც იყო და სრულიად აღარ ეცალა მემუარების წერისათვის... დაუმთავრებელი დაგვიტოვა თავისი „მცირედი მოსაგონარი“.

გ. ლეონიძის ეს ბიოგრაფიულ-მემუარული შრომა ჩვენს ხელთაა ავტოგრაფის სახით და შეიცავს 57 გვერდს; ვაქვეყნებთ მას იმ სახით, როგორც ავტორმა დაგვიტოვა.

**დავით შუღლიაშვილი**

დავიბადე 1899 წელს 27 დეკემბერს (ახ. სტ), სოფელ პატარძეულში (გარე კახეთი).

პატარძეული მთელ ივრის ხეობაში ერთ მრავალრიცხოვან და მაგარ სოფლად ითვლება.

მამაჩემმა ნიკოლოზ სვიმონის-ძე ლეონიძემ ! დაასრულა გორის საოსტატო სემინარია 1886 წელს. მისი სკოლის ამხანაგები იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა, ვანო ავალიშვილი, ლადო ალნიაშვილი, ალ. გარსევანიშვილი და სხვ. მათთან ერთად, იგი იყო აქტიური წევრი გორის ხალხოსნური წრისა.

ალბათ იმავე წრის ზეგავლენით გახდა ახლობელი თანამშრომელი გაზეთ „ივერიისა“, „ცისკრის“, როცა იგი სამეურნეო გაზეთად გადაკეთდა, ჟურნალ „თეატრის“ და სხვ.

„ივერიაში“ ხშირად შეხვდებით მის ვრცელ ისტორიულ-არქეოლოგიურ წერილებს და კორესპონდენციებს შიდა ქართლიდან, მთიულეთიდან, გარე კახეთიდან.

როგორც ივანე კერესელიძის მისადმი წერილებიდან ირკვევა, მას „ცისკრისათვის“ გადაუთარგმნია სტრუვეს კაპიტალური ნაშრომი მევენახეობასა და მეღვინეობაზე. მამაჩემს კალამი უცდია აგრეთვე მხატვრულ მწერლობაშიც. დღემდე ჩემს არქივში შემონახულია მისი მოთხრობა „პეპელა“, რომელსაც აწერია რედაქტორის რეზოლუცია-დასკვნა: „არ დაიბეჭდება“.

ნიკო ლეონიძე გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 39 წლისა (დაიბადა 1861 წ.), ბრმა ნაწლავის ანთებით. დარჩა ხუთი შვილი: სამი ვაჟი და ორი ქალი. ვაჟებიდან ყველაზე უმცროსი მე ვარ.

მე ძალიან ადრე გამეღვიძა მწერლობის სიყვარული. ოთხი წლისამ უკვე ვიცოდი ანბანი და ხუთი წლისა უკვე ვკითხულობდი გაზეთებს. ასე, ოჯახში მე მაკითხებდნენ იაპონიის ომის ამბებს გაზეთ „ცნობის ფურცელში".

ჩვენს ბავშვურ გათვითცნობიერებას ალბათ ხელს უწყობდა მამაჩემის მიერ დატოვებული ბიბლიოთეკაც და სრულიად ბავშვი გატაცებით ვკითხულობდი ყაზბეგს, ილიას და ქართულ ისტორიულ წიგნებს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართული მწერლობის სიყვარული ახასიათებდა არა მარტო მამაჩემს და დედას, რომელიც ძალიან იყო დაინტერესებული ქართული მწერლობითა და ისტორიით, არა მარტო ჩემს მამიდებს და დეიდებს, რომელნიც კორესპონდენციებსაც კი ათავსებდნენ მაშინდელ გაზეთებში (დეიდაჩემის მათიკო მათიკაშვილის დღიურებით ისარგებლა შიო არაგვისპირელმა რომელიღაც თავის ნაწარმოების შექმნისას, როგორც ამბობს, ჩვენი ოჯახური გადმოცემა), თვით ჩემს ბიძებს დედის მხრიდან ფეხი უდგიათ მწერლობაში. ასე, ბიძაჩემი ზაქარია გულისაშვილი (მწერლობაში „შაქრო") არის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ჩვენი ხალხოსნური მწერლობისა (იხ. ზანდუკელის წიგნი) სოფრომ მგალობლიშვილთან და ნიკო ლომოურთან ერთად (ამჟამად 1947 წ. მზადდება გამოსაცემად მისი მოთხრობების და ნარკვევების ტომი).2

დედაჩემის ღვიძლი ძმა ალექსი გულისაშვილი, ძველი სემინარიელი, იყო ახლო თანამშრომელი გაზეთ „დროებისა" (იხ. მისი ისტორიულ-არქეოლოგიური წერილები „ბოჭორმა და მისი ნაშთები", „ნინოწმინდის ტაძარი", „იალბუზზე ასვლა" და სხვ., მეორე ბიძა, იერემია გულისაშვილი ცნობილი დრამატურგია (ავტორი ცნობილი პიესებისა: „დრონი მეფობენ", „ცხოვრება ბრძოლაა", — დაბეჭდილია ცალკე წიგნებად).

მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ობოლი, ჩარიცხული ვიქმენ სასულიერო სასწავლებლის პანსიონერთა რიცხვში, 1907 წელს.

კარგად მახსოვს, როცა მე სახლში დამაბინავეს, დედაჩემი გაეშურა სიონის ტაძარში, სადაც ესვენა ილია ჭავჭავაძე. პანაშვიდიდან დაბრუნებული დედაჩემი გვიამბობდა, ილიას გახვრეტილ შუბლზე, ნატყვიარზე მუხის ფოთოლი ეფინაო, ეს სიტყვები ძალიან კარგად მახსოვს.

აუტანელი და შემზარავი იყო თბილისის სასულიერო სასწავლებლის რეჟიმი. ყოველდღე ლოცვა, წირვა, ქართული ენის აკრძალვა, ყოველგვარი თავისუფლების შეზღუდვა სულს გვიხუთავდა.

ერთხელ, დაახლოებით 1911 წელს, მორიგე ზედამხედველმა გამიჩხრიკა გარდერობი და ორი ქართული წიგნისათვის ორი სილა მითავაზა.

ასეთი დევნა მშობლიური ენისა ჩვენს გულში სასტიკ პროტესტს აღვიძებდა და გვრაზმავდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

ჩვენ გაორკეცებულის ენერგიით დავეწაფეთ მშობლიურ მწერლობის შესწავლას.

1912 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, როცა მესამე კლასში ვიყავი, შევადგინე ლიტერატურული წრე. წრეში ვაწარმოებდით ქართველ მწერალთა შესწავლას. მუშაობამ გაგვიტაცა და ბოლოს შევუდექით ხელნაწერ ჟურნალის გამოცემას „ფანდურის" სახელწოდებით. ვრედაქტორობდი მე. რადგან პანსიონში სასტიკად გვქონდა აკრძალული ქართული საერო წიგნების კითხვა; ცხადია, ჟურნალის გამოშვებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა და არალეგალურად უნდა გვემუშავნა. ჟურნალში უმთავრესად ვმუშაობდით: მე, ვანო ჩოხელი (დღეს დამსახურებული ექიმი), გიორგი ღვთისავრიშვილი (გარდაიცვალა სიჭაბუკეშივე). კოტე ჭრელაშვილი, ბარნაბიშვილი და სხვ.

ერთ დღეს გავიგე, რომ ვაჟა-ფშაველა თბილისში ჩამოვიდა. ეს ამბავი პანსიონში მოიტანა კოტე ჭრელაშვილმა, რომელიც გარედან დადიოდა და „ნახლებნიკად" ცხოვრობდა მწერალ „მელანიას" ოჯახში, როგორც ნათესავი. ვაჟაც ამ ოჯახს სტუმრობდა, როგორც ახლობელი და მეგობარი (მელანიას ცოლისდა ჰყავდა ცოლად ვაჟას უმცროს ძმას სანდრო რაზიკაშვილს).

კოტე მოგვიყვა ვაჟას სტუმრობას და გადმოგვცა მისი ზოგიერთი ნალაპარაკევი მელანიას ოჯახში (ლაპარაკი თურმე ეხებოდა მაშინდელ ახალგაზრდა მწერლებს, — სანდრო შანშიაშვილს და იოსებ გრიშაშვილს.).

ის იყო ჟურნალის მორიგ ნომერს ვამზადებდი. პირველ გვერდზე „ქრონიკაში" მკითხველს ვაწოდებდი ვაჟას ჩამოსვლას, ხოლო მეორე გვერდზე მოვათავსე საკუთარი ლექსი „მთის არწივს ვაჟა-ფშაველას" და კოტე ჭრელაშვილის ხელით ვაჟას გავუგზავნე, თუ თითონ კოტეს წაელო, კარგად აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის ბედნიერი ნოემბრის დილა, როცა კოტემ პირველ გაკვეთილზე დამიბრუნა ჩვენი ჟურნალი, შიგ ვაჟა-ფშაველას საკუთარი ხელით ჩაწერილი ლექსით (ჩემი ლექსის მეორე ცარიელ გვერდზე პასუხად). აი ეს ლექსიც:

სიჭაბუკის დროს პირველად,
როს ვახილებდი თვალებსა
და ვეცნობოდი მტირალი
სამშობლოს განაწვალებსა,
ვეძებდი აქეთ-იქითა
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არავინ უჩნდა დარაჯად
ამ ჩვენ დაჩაგრულ მხარესა;
ვტიროდი უფრო ძალიან,
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა,
... დღეს, ვხედავ, გამრავლებულან
მშობელი ქვეყნის შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მირჩება წყლული გულისა,
ვყუჩდები ანატირები...

გასაგებია, თუ რა დიდ სიხარულს გამოიწვევდა ჩემში დიდი მგოსნის ლექსი ჩემი ლექსის პასუხად დაწერილი (ეს ლექსი 1915 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი, რომელიც მაშინ მე არ ვიცოდი. საქმე იმაშია, რომ მამაჩემი ნიკო ლეონიძე ვაჟა-ფშაველასთან ერთად სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში. მამა რომ ხსენებულ სასწავლებელში სწავლობდა, ეს ვიცოდი, მაგრამ მისი დაახლოვებული მეგობრობა ვაჟასთან გავიგე მხოლოდ 1922 წელს, როცა შიო მღვიმელმა და სოფრომ მგალობლიშვილმა დაბეჭდეს თავიანთი მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე და იქ მოიხსენიეს მამაჩემი, როგორც ვაჟას განუყრელი მეგობარი, მათი მონაწილეობა გორის ხალხოსნურ წრეში, კრივში, თევზაობაში და სხვ.

ამრიგად, არც ვაჟა-ფშაველამ იცოდა, რომ მე მისი ახლო მეგობრის შვილი ვიყავი და არც მე ვიცოდი, რომ ვაჟა მამას მეგობარი იყო.

* * *

ლექსების წერა დავიწყე 1909 წელს. თუმცა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის სიკვდილზე, 1907 წელს მაქვს დაწერილი „ლექსისებური“ რაღაც, რომელიც ახლაც შემორჩენილია ჩემს არქივში.

ოფიციალურად პირველი ჩემი ლიტერატურული გამოსვლა ეკუთვნის 1910 წელს, როცა ჟურნალ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა თარგმანი „მხვნელ მთესველის მეგობრები“.3

1911 წელს, ივ. როსტომაშვილის გაზეთ „სინათლეში“ დაიბეჭდა ჩემი ლექსები: „მცხეთას“ და „ხმალს“.

სხვათაშორის ერთი პატარა ამბავი:

ივანე როსტომაშვილს გაუჭირდა გაზეთის გამოცემა და გაზეთით სთხოვდა თავის თანამშრომლებს, რათა ფულით დახმარებოდნენ და დაბეჭდვაში სტრიქონზე ერთი კაპიკი გადაეხადათ.

იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ როსტომაშვილის წინადადებას სასტიკი დაცინვით გამოეხმაურა. მან დაბეჭდა კარიკატურა, რომელშიც გამოსახულია პატარა ბავშვი, რომელსაც ლექსი მიუტანია რედაქტორისათვის.

ბავშვი ეუბნება: მართალია, ლექსში ათი სტრიქონია, მაგრამ მე ცხრა კაპეიკი მოგიტანეთ.

„ეშმაკის მათრახის“ ამ კარიკატურას მოჰყვა სასტიკი წერილი ივ. როსტომაშვილისა, სახელწოდებით „ფშუტურებს“ („ფშუტურა“ ნიშნავს ფიტულს, „ჩუჩელას“).

წერილში, აღშფოთებული რედაქტორი თავს იწონებს თვით „მცირე“ თანამშრომლებითაც და კონკრეტულად მასახელებს მე, დიდის ქებით და მომავლის ქადაგებით. ეს იყო 1911 წელს.

ამ წელს მე დავბეჭდე კიდევ რამდენიმე ლექსი საკუთარი გვარით და „გ. ივრისხეველის“ ფსევდონიმით. და აგრეთვე მოთხრობა „მკვდრის პასუხი“, თარგმნილი რუსულიდან. ამავე ხანებში მე ვთარგმნე საბავშვო წიგნი „ავი ბოზატი“ (ლეგენდარული ცხენის სახელია) ყირგიზების ცხოვრებიდან.

ლიტერატურული ჰონორარი მაშინ თითქმის არ არსებობდა ჩვენში და მე, როგორც ბავშვს, მითუმეტეს ოცნებაც არ შემეძლო, მაგრამ 1913 წელს, ერთ მზიან დილას, როცა მე შევედი „ნაკადულის“ რედაქციაში მორიგი ახალი ნომრის მისაღებად, რომელშიც ჩემი ლექსი „შემოდგომა“ იყო დაბეჭდილი, ნაკადულის რედაქტორმა ნინო ნაკაშიძემ შემაჩერა, არ წახვიდეთ, ჰონორარი გაქვთ მისაღებიო და იქვე გადმომითვალა ვერცხლის ფულად რვა მანეთი და ათი შაური. მე გავშრი ასეთი უჩვეულო ყურადღებით, მაგრამ ნინომ პირდაპირ ძალით ჩამაჩეჩა ხელში ხსენებული თანხა.

გამოველ რედაქციიდან თუ არა, მე პირდაპირ წიგნის მაღაზიებს ვეცი და ჩემი სასურველი წიგნები ვიყიდე, რომელთა შეძენას საკუთარი ფულით, წინა დღეს ვერც კი წარმოვიდგენდი.

ასეთი იყო ჩემი პირველი ჰონორარი. შემდეგში კი ასეთი ჰონორარი აღარ ამიღია, რადგან „ნაკადულში“ აღარ ვწერდი. პირველი ჰონორარი რასაკვირველია, მე ავიღე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

* * *

ბავშვობიდან მე ძალიან ვეტანებოდი ქართულ ისტორიულ წიგნებს.

პირველი ასეთი წიგნი იყო იაკობ გოგებაშვილის „თავდადებულნი ქართველნი“, რომელმაც პირდაპირ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ეს იყო 1906 წელს. წიგნი მივიღე საჩუქრად შობის ხეზე, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფ. ახალსოფლის (მარტყოფთანაა) სკოლამ გამართა.

ასეთივე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე აკაკი წერეთლის „სოლომონ დიდმა“, სიკო კანდელაკის მიერ ნაამბობმა (აკაკის ჟურნალ „კრებულში“). **1907** წელს უკვე წაკითხული მქონდა „საქართველოს ისტორია“ მოსე ჯანაშვილისა და „ქართლის ცხოვრება“, ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული. შემდეგ დავეწაფე აგრეთვე რუსულ ხელმისაწვდომ წიგნებს საქართველოს ისტორიის შესახებ.

მალე ისე გავიწაფე, რომ თვით დავიწყე ისტორიულ-არქეოლოგიურ კომპილაციების წერა. ასე, **1912** წელს, გაზეთ „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა ჩემი „სამების მონასტერი გარეჯკახეთში“, „მიქელ მოდრეკილი“, „ს. ნინოწმინდა და მისი ტაძარი“, „ამბროსი ნეკრესელი“, „ივერიის ათონის მონასტერი“) (ორ ფელეტონად); **1913** წელს, გაზეთ „თემში“ დავბეჭდე „უჯარმა და მისი ნაშთები“ და სხვ.

იმავე ხანებში შევუდექი ენერგიულად ძველი ხელნაწერი წიგნებისა და სიგელების შეგროვებას, რომელთაც ვსწირავდი წერა-კითხვის საზოგადოებას და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმებს. მრავალ ჩემს შეწირულებათა შორის აღსანიშნავია: „წმ. ესტატეს ცხოვრება“, „ფუტკარი“. „ვახტანგიანი“, „კატილორია“ ანტონ კათალიკოსისა, „ამბროსი ნეკრესელის“ ქადაგებანი და სხვ.

სიგელებიდან — გედევანიშვილების სიგელები 15-18 საუკუნეებისა. ცნობილი „არვანბეგის“ სიგელი მეცამეტე საუკუნისა, ციციშვილების საგვარეულო კოლექცია და მრ. სხვა.

* * *

აქ მე მინდა ვახსენო ჩემი ერთი დიდი მოამაგის სახელი. ეს არის ზაქარია ჭიჭინაძე.

ეს დაუცხრომელი მოხუცი დიდად გვაქეზებდა მწერლობით დაინტერესებულ მოწაფეებს.

ყოველ კვირა დილით მივდიოდით მასთან წიგნების სახყიდლად (თუმანოვის ქუჩაზე) და ორ-სამ აბაზში გვატანდა 20-25-მდე წიგნს. ზოგ წიგნში ფასს სრულიადაც არ იღებდა. მის ბინაშივე ვეცნობოდით ზოგ ჩვენს მოღვაწეებსაც, რომელნიც მამაშვილურ კურთხევით გვისტუმრებდნენ.

ასეთივე ჩვენი მფარველი იყო მეორე მხცოვანი ბიბლიოფილი ივანე როსტომაშვილი, რომელმაც სათითაოდ დაგვირიგა მის მიერ გამოცემული ბატონიშვილი ვახუშტის გეოგრაფია და თან დაგვმოძღვრა, რომ სამშობლოს სიყვარულისათვის საჭიროა მისი ცოდნაო.

ასეთივე დიდი ამაგი მქონდა ჩემზე მოსე ჯანაშვილს, რომელიც თავის პატარა მყუდროებას მეძახდა, რომელსაც არა ერთხელ უჩუქებია ჩემთვის საკუთარი წიგნები წარწერით, აგრეთვე ანტონ ნატროშვილს ავტორი წიგნისა „Мцхет и его собор Свети-цховели“), ჩემს ნათლიას და ჩემს მასწავლებელს.

დასასრულს, არ შემიძლიან დიდი სიყვარულით არ მოვიგონო ჩემი ორი მასწავლებელი — შიო ისაკის-ძე შიუკაშვილი და ცნობილი მწერალი ვასილ ბარნოვი, რომელთა ყურადღებით ასე ვარ დავალებული.

შიო შიუკაშვილი ქართულ ენას გვასწავლიდა სასულიერო სასწავლებელში. იმ საშინელ ატმოსფეროში, რომელიც მაშინ სასულიერო სასწავლებელში ჰსუფევდა, შიო შიუკაშვილი ჩვენთვის, მოწაფეებისათვის, ერთადერთი შუქურა იყო. იგი დაუცხრომლად გვიღვიძებდა გულში სამშობლოს სიყვარულს, გვაძლევდა წიგნებს, გვასწავლიდა ზედმიწევნით ენას და ისტორიას, გვახალისებდა, გვაქეზებდა, გვაძლევდა გადასაწერად ძველ ქართულ ხელნაწერებს, რათა ძველი ქართულის კითხვაში თვალი გაგვეტეხა და გადაწერაში სახყიდელსაც გვაძლევდა. ყოველივე ამას აკეთებდა თითქმის არალეგარულად, რადგან ასეთი მოღვაწეობისათვის იგი ათვლისწუნებული ჰყავდა სასწავლებლის მთავრობას, რომელიც შავრაზმელებისაგან შესდგებოდა.

სამშობლოს სიყვარულში გვაქეზებდნენ აგრეთვე ჩვენი გალობის მასწავლებლები ნიკო სულხანიშვილი და შემდეგ ია კარგარეთელი, რომელნიც ძალიან ხშირად, გალობის გაკვეთილის მაგიერ გვმოძღვრავდნენ, როგორც ანთებული პატრიოტები.

დასასრულ, ჩემთვის დიდ ბედნიერებას შეადგენდა ის გარემოება, რომ სასულიერო სასწავლებლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლისას (**1913** წ.) მე მოვხვდი ვასილ ბარნოვის მოწაფეთა რიცხვში.

ჩვენი მეგობრობა მალე გაიბა. მე მისი უსაყვარლესი მოწაფე და მესაიდუმლე გავხდი.

არ მახსოვს, მას რაიმე მოთხრობა ან რომანი დაეწეროს, რომ ჩემს ხელში არ გაევლოს. ბოლოს მან ოფიციალურად მიძღვნა თავისი რომანი „ხაზართა სახძლო“, რომლის პოსტსკრიპტუმში გამჟღავნებულია დიდი სიყვარული ჩემდამი, რასაც, რასაკვირველია, მე არც ერთს შემთხვევაში არ ვიმსახურებდი.

ვასილ ბარნოვმა და ზემორე ჩამოთვლილ მასწავლებლებმა ჩემს ცხოვრებაში, ჩემს პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს და მათ ნათელ, ჭაღარა სახეებს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.

სასულიერო სემინარიიდან და სასულიერო სასწავლებლიდან გამომყვა კარგი ქართულის ცოდნა, სასულიერო მწერლობის ცოდნა და აგრეთვე ლათინური ენისა და რუსული ისტორიისა, რასაც გატაცებით ვსწავლობდი. სხვა რამ ამ სასწავლებლებს ჩემთვის არა მოუციათრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არ შემიძლია სიყვარულით არ გავიხსენო ჩემი ბავშვობის ერთი აღმზრდელთაგანი— ცნობილი „ჯეჯილის" რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა, რომელსაც მე წარვუდექი ჩემი ლექსებითა და მოთხრობებით 1910 წლის შემოდგომაზე. მან დიდი ალერსით მიმიღო და ალბათ მან მომცა საბაბი, რომ თითქმის ყოველდღე მევლო მასთან, სულ მალე, 1910 წ. „ჯეჯილის" ნოემბრის ნომერში, მე ვნახე დაბეჭდილი ჩემი გვარი და სახელი და სიხარულით ცას ვეწეოდი.

1911 წელს, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, გაზეთ „სინათლეში" დაიბეჭდა ჩემი პირველი ლექსები, მას შემდეგ ძალიან ხშირად ვიბეჭდებოდი ლუარსაბ ბოცვაძის ჟურნალ „განათლება"-ში, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში", გაზეთ „სახალხო გაზეთის" (შემდეგ „სახალხო ფურცლის"), „საქართველოს" დამატებებში და სხვ. რასაკვირველია, უმრავლესობა ამ ლექსებისა — ბავშვური ვარჯიშობაა და არც ერთ ჩემს კრებულში არ შემიტანია.

1916 წელს, მე საკუთარი ფულით გამოვეცი მხატვრული კრებული „საფირონი", რომელშიც მონაწილეობდნენ სანდრო შანშიაშვილი, კოტე მაყაშვილი, შიო მღვიმელი, ნიკო ლორთქიფანიძე, განდეგილი, გერონტი ქიქოძე და სხვები. აქვე დავბეჭდე ალექსანდრე ყაზბეგის უცნობი მოთხრობა „ბედკრულაძის ოჯახი"-ს ნაწყვეტი.[4]

ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი, როცა ვიცოდი, რომ სემინარიაში პოეტების წრე არსებობდა. ჩემი უფროსი ძმის მეოხეობით მალე გავიცანი სემინარიელი პოეტები: აკაკი სვანი (მარგიანი), ვასო გორგაძე, ქელბაქიანი და სხვ. რომელნიც თავის საკუთარ ლექსებს მიგზავნიდნენ სასწავლებლის პანსიონში. განსაკუთრებით დამიახლოვდა ვასო გორგაძე, რომელიც ყოველ კვირას მინახულებდა ხოლმე პანსიონში თავის ახალ-ახალი ლექსებით.

1913 წელს მე შევედი სასულიერო სემინარიაში. სწორედ ორი წლით ადრე სემინარიიდან დაეთხოვნათ გალაკტიონ ტაბიძე; იმავე ხანებში ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს „დემონს" (ქუჩუ ქავთარაძეს) ვერ აეტანა სემინარიის რეჟიმი და თავი მოეკლა. გორგაძე უკვე ათავებდა სემინარიას. ხოლო ი. მოსაშვილს უკვე მოესწრო ხარკოვის უნივერსიტეტში შესვლა.

მიუხედავად სემინარიის ლიტერატურული ძალების ასეთი დაქსაქსულობისა, ახლად მოსულებმა ჩამოვაყალიბეთ ახალი ლიტერატურული წრე და მხნედ შევუდექით მუშაობას. ჩვენ დავაარსეთ არალეგალური ხელნაწერი ჟურნალი „ფუტკარი", რომლის რედაქტორადაც მე ვითვლებოდი. სარედაქციო ოთახი გვქონდა დღევანდელ ნიკოლაძის ქუჩაზე, ამხანაგის ბინაზე. ჟურნალი რამდენიმე ეგზემპლარად გამოდიოდა. გადაწერასაც თვითონ ვასრულობდით.

სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფეებიდან მხარს გვიჭერდნენ: ნიკო კეცხოველი, დათა აგლაძე, გრიშა მჟღრელიშვილი. უკანასკნელი, როგორც მეტად ნიჭიერი პოეტი, მწერლობაში გამოდიოდა „მთის ნიავის" ფსევდონიმით. 1919 წელს იგი მოჰკლეს ოსმალოს ასკერებმა აწყურის ფრონტზე, როგორც მხნე მებრძოლი სამშობლოსათვის.

1913 წლის ნოემბერში ახლად დაარსებულმა ჩვენმა ლიტერატურულმა წრემ მონაწილეობა მიიღო სემინარიის ყოველწლიურ „ლიტერატურულ აქტში", რომელსაც დაესწრნენ: კავკასიის ნამესტნიკის მეუღლე, სასახლის დიდკაცობა და საქართველოს ექსარხოსი. აქტზე მე წავიკითხე ლექსი „შემოდგომა". რეცენზია ამ ლიტერატურულ საღამოს შესახებ დაიბეჭდა მაშინდელს გაზეთებში (ვრცლად გაზეთს თემში").

* * *

1917 წლის რევოლუციამ სკოლის მერხზე მოგვისწრო. რამდენიმე თვის შემდეგ შესდგა მოწაფეთა კომიტეტი, რომლის წევრადაც მეც ვითვლებოდი. კომიტეტის მიერ არჩეულმა დელეგაციამ (რომელშიც მეც შევდიოდი) ულტიმატუმით მიმართა ჩვენს მჩაგვრელ შავრაზმელ მასწავლებლებს,, რათა ორს დღეში დაეტოვებინათ სემინარია, რაც უყოყმანოდ შეასრულეს. მალე რექტორად დაგვინიშნეს კორნელი კეკელიძე, რომელიც იმავე დროს ღვთისმეტყველებას და ეკლესიის ისტორიას გვასწავლიდა.

1918 წლის იანვარში გავათავეთ სემინარიის კურსი და შემდეგ წელს შევედი ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც ორი წლის შემდეგ გამოველი „მემარცხენე მწერლობით" გატაცებული; რადგან მენშევიკური მთავრობა მწერლობას არავითარ დახმარებას არ უწევდა, მაშინ თვით მწერალთა ჯგუფებმა მიჰყვეს ხელი გამოცემის საქმეს.

ასე იბეჭდებოდა ჟურნალი „ხომალდი", „ცისარტყელა", გაზეთი „ბარიკადი" და სხვ.

ქართული მწერლობის გაჭირვებას ბოლო მოეღო მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1921 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში მე წარვუდექი განათლების სამინისტროსთან არსებულ „გლავპოლიტ პოსვეტს". სადაც მუშაობდნენ: გიორგი ხაჰაპურიძე და სანდრო ეული და გამოვთქვი ჩემი სურვილი მუშაობის შესახებ.

პირველ მარტიდან მე უკვე შევუდექი მუშაობას „გლავპოლიტპროსვეტის" „ლიტო"-ში (ლიტერატურული განყოფილება); სამი-ოთხი თვის განმავლობაში, სანდრო ეულთან ერთად (მე მის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ თანამემწედ ვითვლებოდი) მე, 50-ამდე ქართული წიგნი გამოვეცი. პოლიტგანათლებაში ჩვენ დავაარსეთ აგრეთვე იუმორისტული ჟურნალი „ყუმბარა“, წითელ არმიელთა გაზეთი „წითელარმიელი“.

მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი მუშაკთაგანი სამხედრო კორესპოდენტებთან და მონაწილე სამხკორთა კონფერენციისა.

პოლიტგანათლებაში გამოცემულ წიგნებიდან აღსანიშნავია სხვათაშორის „რევოლუციის პოეტები“, ჩემი რედაქციით გამოსული.

1922 წელს, პირველ ივნისიდან მე შევუდექი საკუთარი ლიტერატურული გაზეთის, ყოველკვირეული „ბახტრიონის“ გამოცემას. ეს იყო პირველი ქართული პერიოდული ლიტერატურული გაზეთი, რომელიც ბოლომდე რეგულარულად გამოდიოდა.

ამ გაზეთის დამსახურებად შეიძლება ისიც ჩაითვალოს, რომ მან პირველმა გასწია პროპაგანდა გენიალური სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ; პირველმა დაადგინა მისი ბიოგრაფია, მისი სადაურობა (ქიზიყი, მირზაანი). ყოველივე ეს იყო აღნიშნული „ბახტრიონის“ სპეციალურ ნომერში, რომელიც მიეძღვნა ფიროსმანს.

ფიროსმანის ნომრის გარდა, გამოვეცით სპეციალური ნომრები ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძისა. იაკობ ნიკოლაძის, არტურ ლაისტისა და სხვ.

იმ დროისათვის, როცა მბრძანებლობდა „მემარცხენე“ გემოვნება, ასეთ პროპაგანდის ინიციატივას დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა.

* * *

მე ბედნიერი ვარ მით, რომ მომიხდა ხილვა დიდი ქართველი პოეტების, — აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველასი.

კვირა დღის საღამო იყო. დღევანდელი შოთა რუსთაველის ძეგლის სიახლოვეს, ჩემი ყურადღება მიიპყრო უეცარ სანახაობამ. მთელი ქუჩა განცვიფრებული უყურებდა მომავალ ეტლს, რომელშიც იჯდა ვინმე ჭაღარა. თითქმის ღმერთ-კაცი. შევხედე და მაშინვე ვიცანი აკაკი წერეთელი, ჩვენი ღვთაებრივი აკაკი!...

სწორედ ერთი კვირის შემდეგ მომეცა ბედნიერება, მომესმინა თვით აკაკის ხმა.

„ზუბალოვის სახალხო სახლში“ (დღევანდელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში) შედგა სალიტერატურო დილა. პირველად გამოვიდა აკაკი. ეს იყო 1913 წლის გაზაფხულზე (ვგონებ, მაისში), მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკიმ დაიწყო კითხვა ლექსის „მთაწმინდა“. რატომღაც შეჩერდა ერთ ალაგს, დაავიწყდა, აუდიტორიამ დავიწყებული ლექსის ხანა უკარნახა. აკაკიმ უზნავრიძო, შემდეგ კიდევ დაავიწყდა. ხალხმა კიდევ უკარნახა, აკაკი აღელდა... ეს იყო მომენტი ცოცხალი კავშირისა პოეტსა და ხალხს შორის, გულის აღმძვრელი. ამაჩუყებელი...

ოვაცია გრძელდებოდა ათს წუთს...

ფეხზე ამდგარი ხალხი არ სცხრებოდა...

შემდეგ, თავის ლარიბულ ჩოხაში გამოვიდა ვაჟა-ფშაველა, — ჯერ წაიკითხა „არწივი ვნახე დაჭრილი“, შემდეგ „ბახტრიონის“ შესავალი:

მოგესალმებით ქედებო,
მომაქვს სალამი გვიანი...

არავითარი ჟესტი. როგორ არ ჰგავდა მისი ლექსების დღევანდელ მკითხველებს. არც „ფშაური“ მოქცევა ენისა, არც ხმის ყალბი აწევა. თითქოს საუბრობსო, კითხულობდა თითქოს ოდნავ დარცხვენილი, ოდნავ ხამი სცენისა. საზოგადოებამ გულთბილად მიიღო, მხოლოდ... არავითარი ოვაციები ხალხს ვაჟასათვის არ გაუმართნია. ეტყობოდა, რომ ხალხი ჯერ არ იცნობდა ვაჟას, როგორც ბუმბერაზ პოეტს... და ეს იყო 1913 წელს, ვაჟას სიკვდილამდე ორი წლის წინ...

შემდეგ გამოვიდნენ: ია ეკალაძე, ნარკანი (ნიკოლოზ კურდღელაშვილი), სანდრო შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი. შანშიაშვილი პირველად ვნახე ამ დილას, და მახსოვს, როგორ ავყევი მას ვერის ხიდზე, როგორც მისი პოეზიის დიდი მათაყვანებელი.

აკაკისა და ვაჟა-ფშაველას გარდა, მე შევესწარი გასული საუკუნის დიდსა და პატარა ხალხს. მე მისაუბრნია ნიკო ნიკოლაძესთან, ახლო ვიცნობდი კრიტიკოს ხომლელს, შიო მღვიმელს, გიგო ყიფშიძეს („ივერიის“ მდივანს და ცნობილ მთარგმნელს), სოფრომ მგალობლიშვილს, ბაჩანას, შიო დავითაშვილს, ილია აგლაძეს, შაქრო ბილანიშვილს, არტემ ახნაზაროვს, შიო არაგვისპირელს და მრავალთა სხვათ.

ზოგი მათგანის წერილები ჩემდამი დღემდის შენახული მაქვს, როგორც ძვირფასი სახსოვარი.

რაკი „ძველ ხალხთან“ ნაცნობობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მე უნდა გავიხსენო აგრეთვე სომხური მწერლობის კლასიკოსი ოვანეს თუმანიანი, რომელიც გულწრფელი მოყვარული იყო ჩვენი კულტურის, ჩვენი მწერლობის.

მან ერთხელ, საგანგებო სადილი გაგვიმართა ქართველ პოეტებს, სადაც წაიკითხა თავისი ახალი ლექსი „ქართველ პოეტებს!“

„სომეხ-ქართველთა ომის“ დღეებში, ის აცრემლებული ტიროდა და მოგვიწოდებდა კავკასიის ხალხთა სოლიდარობისაკენ. ხსენებული ომის დღეებში მან გამოაქვეყნა მოწოდება ორივე ერისადმი. ცნობილია, რომ მან თავის შვილებს აუკრძალა მონაწილეობა მიეღოთ ქართველ-სომეხთა ომში, რომელიც დაშნაკებმა და მენშევიკებმა მოახვიეს თავზე ქართველსა და სომხის ხალხებს.

აქ არ მინდა დავივიწყო ჩემი მეგობრობა და ნაცნობობა რუსულ პოეზიის ორ ბრწყინვალე წარმომადგენელთან. მე ვლაპარაკობ ვლადიმერ მაიაკოვსკიზე და სერგეი ესენინზე.

სერგეი ესენინი იყო ქარიშხლიანი ადამიანი, მუდამ ზარხოში, მუდამ „ყალყზე აწეული“, სკანდალებისა და დუელის მოყვარული.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, პირიქით, წყნარი, დინჯი, დარბაისელი, საქმიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ის ყოველ დღე შემოქმედებით მუშაობაში იყო და ამბობდა მუდამ: „ის რა დღეა, რომ 8-10 სტრიქონი არ გამოვიმუშაოო“. ერთხელ შემხვდა სასახლის ქუჩაზე, რაღაცას ბუტბუტებდა გზად მომავალი. გამოირკვა, თურმე ლექსს სწერდა...

ამხანაგებმა ერთხელ სადილი გავუმართეთ ორთაჭალაში, ცნობილ ჩოფურაშვილის დუქანში. შემთხვევით გვერდით ვუჯექი. მოულოდნელად მომმართა სუფთა ქართულით:

— თქვენი ენა ძალიან აჭრელებულია რუსიციზმებით, ეს არ ვარგა!

მე გამიკვირდა, რომ ქართულად დაილაპარაკა და გაოცებულმა შევძახე:

— ვლადიმერ, განა ქართული იცით, საიდან?

— როგორ არა, — მომიგო ბოხი ხმით იმერულ აქცენტზე: — მე ქუთაისში გავიზარდე, ათ წლამდე იქ გავატარე ჩემი ბავშვობა და იცით, ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე, რომელ პოეტმა მოახდინა? — იროდიონ ევდოშვილმა!... მაშინ, 1905 წელში, ქუთაისში დიდი და პატარა ვმღეროდით მის ლექსს:

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული!“.

— სამწუხაროდ, მეტი აღარ მახსოვს. მაშინ კი, ევდოშვილის ეს ლექსი თავიდან ბოლომდის ზეპირად ვიცოდი. ამ ლექსმა, რომელიც მაშინ ნამდვილი „ქართული მარსელიოზა“ იყო, წარუხოცელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე! — მიამბობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი, რასაკვირველია, რუსულად.

— ახლა კი თქვენი ენა აჭრელებულია რუსიციზმებით. აბა, რა არის ასეთი ნათქვამი: „სლესარს კალესო წავუღე გასაკრასკავად!“ აქ მხოლოდ ერთი სიტყვაა ქართული „წავუღე“ — დანარჩენები კი — რუსული!

ვახშამზე ძალიან წყნარად იჯდა. არც სადღეგრძელო უთქვამს და არც არაფრით არ გამოჰკლებია ქართულ ნადიმს. დილის 7 საათზე მე და მაიაკოვსკი ორნი ვბრუნდებოდით ორთაჭალიდან ტრამვაით. ტრამვაიში მას ცოტახნით ჩაეძინა. შემდეგ მივიყვანე თავის ბინაზე სასტუმრო „ორიანტში“.

ესენინი, პირიქით, მეტად ლირიკული ადამიანი იყო პირად ცხოვრებაში. ბუნებით მეტად ნაზი, მასთან მეტად ლაღი და, რაც გასაკვირია, მეტად „ეშმაკი“, რუსებში რომ იტყვიან „Лукавый“. უყვარდა პოეტური [illegible]-ილები და არაფისი ისე არ ეშინოდა, როგორც თავისი ნაცოლარის, ცნობილი აისოდორე დუნკანის, რაც ჩემთვის არა ერთხელ გაუმჟღავნებია.

ერთხელ, მე და მას ერთად გვეძინა დღევანდელს მწერალთა კავშირის შენობაში. გათენებისას გამოიღვიძა და ტირილი დაიწყო.

— სერგეი, სერიოჟა, რა დაგემართა? — ვეკითხები მე.

— წუხელის სიზმარი ვნახე, ჩემი ორივე და ქუჩა-ქუჩა მოწყალებას თხოულობდნენ!

დღესვე უნდა რამენაირად ფული ვიშოვნო და დებს გავუგზავნო!

შუადღისას მე და სერგეი ვიყავით „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობაში. მან ხელშეკრულება გააფორმა გამომცემლობასთან და ხელშეკრულების მიხედვით მიღებული ავანსი იმავე დღეს მთლიანად გაუგზავნა მოსკოვში თავის დებს.

ერთხელ, კაფე „ქიმერიონში“ (რუსთაველის თეატრის ქვეშ) მე და სერგეი ესენინს დიდი ჩხუბი მოგვივიდა რადგან ძალზე მთვრალი ვერაფრით ვერ დავაწყნარე. იქ მჯდომ მანდილოსნებს შეურაცხყოფას აყენებდა.

საქმეში ჩაერია მილიცია... ესენინი დაატუსაღეს და მეორე თუ მესამე დღეს, თბილისურ რუსულ გაზეთში, „ტიფლისსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა წერილი პოეტების თავგასულობის შესახებ.

მაგრამ მე და ესენინი მალე შევრიგდით.

მალე რუსეთში წავიდა და მეგობრებთან მოწერილს წერილებში პირველ მოკითხვას მე მითვლიდა.

ჩემი ჩხუბის შემდეგ მან დასწერა ლექსი „საქართველოს პოეტებს“.

**Дралися сонмища племен,**
**Зато не ссорились поэты,...**
**Поэт поэту есть кунак...» и т. д.**

„გარდასულ ხალხიდან“ არ შემიძლიან არ მოვიგონო ჩემი ახლო მეგობრობა ბელორუსიის სახალხო პოეტთან, — იანკა კუპალასთან და ცნობილ რუს ბელეტრისტთან „ცუსიმას“ ავტორ ნოვიკოვ-პრიბოისთან.

ორივენი ჩემთან იყვნენ სტუმრად 1937 წელს, რუსთაველის იუბილეს დღეებში. შემდეგ ერთად წყალტუბოში, ორივენი აღტაცებულნი იყვნენ საქართველოთი. იანკა კუპალამ არა ერთი ლექსი დასწერა საქართველოზე. ერთი ლექსი მისივე თხოვნით („გენაცვალე“) მე ვთარგმნე ქართულად.

იგი აღტაცებული იყო საქართველოში პოეტების მიღებით და ხშირად შეგვნატროდა.

უკანასკნელად იგი ვნახე მოსკოვში 1941 წელს. ორივემ ერთად მივიღეთ სტალინის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელობის პრემიები და შემთხვევით, ორივე ერთად გავეშურეთ ბანკში პრემიის თანხის მისაღებად. როცა ჩვენ ხელი მოვაწერეთ ფულის აღებაზე, მთელმა ბანკმა ფეხზე ადგომით ოვაცია გაგვიმართა...

დათქმული გვქონდა, რომ ორივეს ერთად უნდა გვესადილა იმ დღეს, მაგრამ როცა ბანკიდან გამოვედით, იანკამ გვერდით ქუჩისაკენ გასწია და მას მერე აღარ მინახავს...

ნოვიკოვ-პრიბოი, ეს დაუღგრომელი მეზღვაური და ენთუზიასტი, უკანასკნელად ვნახე მოსკოვში 1942 წელს პლენუმზე. პლენუმის შემდეგ ერთად ვისადილეთ მწერალ ევგენი პეტროვთან ერთად (რომელიც სულ მალე დაიღუპა თვითმფრინავის კატასტროფის დროს). ნოვიკოვ-პრიბოი დაღონებული იყო, დაძმარებული... სიბერე ძალზე ეტყობოდა...

— ჰხედავ, რას გვიბედავს მტერი? მაგრამ ბოლო ჩვენია! რუსის ხალხმა იცის მაგარი პასუხი! ჩვენ სტალინი გვყავს და არაფრისა არ გვეშინიან!.. — ამბობდა დაიმედებული და მუშტს არტყამდა მაგიდაზე.

ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა... მე ახლაც სახსოვრად მაქვს შენახული საკუთარი დიდი წარწერით ჩემდამი მოძღვნილი მისი წიგნი „ცუსიმა“.

* * *

სხვათაშორის ერთი დეტალი: როცა პლენუმი მიმდინარეობდა, ყურადღებას იქცევდა შემდეგი სურათი. — მწერალთა კლუბი მოსკოვში მტერს დაებომბა და პრეზიდიუმს ახდილ ჭერიდან თავისუფლად დასდიოდა თოვლი. მაგრამ ასეთი აღგზნებული, გულგამგრებული, იმედიანი ხალხი არ მინახავს როგორც ამ პლენუმის მონაწილენი... ეს ის დრო იყო, როცა მტერი ჯერ კიდევ მოჟაისკში იდგა, მოსკოვთან ახლოს...

* * *

**1943** წელს მე მივიღე მონაწილეობა საქართველოს დელეგაციაში, რომელიც წარგზავნილი იყო ფრონტზე, ანაპის ქართულ დივიზიაში.

კვირა დილით, როცა ჩამწკრივდა ჯარის ნაწილები, მე გამოვედი მისასალმებლად ლექსით.

არასოდეს არ მიგრძვნია ასეთი მღელვარება. როცა ლექსი დავიწყე:

სალამი საქართველოსი
ცაში აყრილი მთებიდან...
. . . . . . . .
. . . . . . . .
მტკვარმა, რიონმა, თბილისმა,
მოკითხვა გამოგიგზავნეს!

შევხედე, მრავალ მებრძოლს სქელ ულვაშებზე ცრემლი მოსდიოდათ. მე თვითონ ავძაგძაგდი და ლექსი ძლივს გავაგრძელე... (ლაპარაკია ჩემს პოემაზე „ქართველ მეომრებს“), ლექსის დამთავრებისას მებრძოლებმა მაღლა ამწიეს და „ჰაერში მისროლეს“.

გამოსვლა მომიხდა კიდევ მეორე დღეს სხვა ნაწილში და აქაც იგივე განმეორდა.

მაშინ პირველად ვიგრძენ სიტყვის მნიშვნელობა და როლი პოეტისა.

დელეგაციაში შედიოდნენ მიხეილ ბარამია (ცენტრალური კომიტეტის მდივანი), აკაკი ხორავა, უჩა ჯაფარიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი კირვალიძე და მე.

გზად, ანაპიდან გამოვლით შევიარეთ ქ. ნოვოროსიისკში, რომელიც მთლად გადამწვარი, გადაბუგული და მიწასთან გასწორებული აღმოჩნდა. არც ერთი სახლი, არც ერთი კედელი ამ ვეება ქალაქისა აღარ იყო მთელი. თვით ქალაქის პარკის ხეები, რომელნიც კიდევ იდგნენ მიწაზე, მთლიანად დანახშირებულნი იყვნენ.

მაგრამ ყველაზე მეტად, ჩვენ გაგვაკვირვა საზარელმა სიჩუმემ. ქალაქში მოსახლეობა არ იყო და იგი შემოგვყურებდა, როგორც დიდი სასაფლაო.

ხიდზე რომ გამოვდიოდით, უცბათ გაისმა ჭექა. ჩვენს გვერდით, მდინარეში ფაშისტების მიერ ჩაწყობილი ნაღმი აფეთქდა! ნაღმი ორი თვის წინ ჩაწყობილი!

ერთი წვრილმანი:

როცა ვბრუნდებოდით, ერთ სადგურზე დავინახე ქართველი ჯარისკაცი საგუშაგოზე. დილა იყო. მივუახლოვდი. — გამარჯვება! — შევძახე ქართულად.

წინაღამ თოფი არ გაუვარდა ხელიდან მოულოდნელი სიხარულით.

— გეგონება ჩიტმა დამიძახაო! რამდენი ხანია ქართული არ გამიგონიაო! — უეცარი სიხარულით ატაცებული შემომხაროდა ქართველი მებრძოლი.

დელეგაციამ მრავალი საომარი პუნქტი ინახულა, ქ. ტემრიუკიდან დაწყებული.

ჩვენ ვნახეთ აგრეთვე მთა გირლიანაია, რომელიც ქართველებმა აიღეს სასტიკი ბრძოლის პირობებში. ამ გირლიანაიას მთის ახლო გვაჩვენეს ქართველთა საფლავები. თითოეულ საფლავს ხის ჯვარი ესვა სახსოვრად. ერთ ხის ჯვარზე ფანქრით დაწერილი წარწერა თითქმის სრულიად გადასულიყო ქარისა, მზისა და წვიმისაგან. ოდნავღა ჩანდა მკრთალად სახელი „ლევანი“, გვარი კი მთლად წარხოცილიყო.

ამ სამარის ხილვამ დამაწერინა ლექსი „არ დაიდარდო დედაო“, რომელიც ჩემს მკითხველებს შორის პოპულარობით სარგებლობს.

სიტყვა ჩემს მიერ წარმოთქმული ბრძოლის ველზე („ქართველ მეომრებს“) სახელგამმა დაბეჭდა ცალკე წიგნად და გაუგზავნა მებრძოლებს. თბილისში გასასყიდად არ გამოსულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ბავშვობიდანვე დიდი სიყვარული მაქვს სტამბისა და გამომცემლობისადმი. 1915 წლიდან განუწყვეტელი საქმე მაქვს სტამბასთან. როგორც მოგახსენეთ, 1916 წელს გამოვეცი საკუთარი ჟურნალი „საფირონი“, 1922 წელს მქონდა საკუთარი გაზეთი, იმავე დროს ვმუშაობდი ხან სტილისტად, ხან პასუხისმგებელ რედაქტორად, რედაქციის მდივნად.

ასე, 1923 წლიდან ვმუშაობდი ჟურნალ „დროშას“ რედაქციის გამგედ (ამ ჟურნალის დაარსების ინიციატორი მე ვიყავი, — თვით ჟურნალის სახელის ავტორიც), შემდეგ ვმუშაობდი ჟურნალ „გრდემლში“ ფაქტიურ რედაქტორად, შემდეგ ვიყავ პასუხისმგებელ რედაქტორის მოადგილედ ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტისა“.

ამ გამომცემლობასა და სარედაქციო მუშაობის დროს მრავალი სტამბის მოღვაწე და ლიტერატორი გავიცანი.

მაგონდება ღრმად მოხუცებული ასოთამწყობი ზაქარია კოტეტიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1860-იან წლებში გაზეთ „დროებაზე“ მუშაობდა და რომელიც იყო საყვარელი ასოთამწყობი ალექსანდრე ყაზბეგისა. სხვათაშორის, მანააწყო ცალკე წიგნად ყაზბეგის „მოძღვარი“ და როდესაც ცენზურამ შეუბრალებლად გაანადგურა „მოძღვარის მთელი ტირაჟი, — ერთადერთი ეგზემპლარი ზაქარია კოტეტიშვილს გადაემალა და შეენახა.

მაგონდება უძველესი 1880-იან წლების კორექტორი და რეპორტიორი ნიკო ჩიგიონაშვილი, თბილისელი სომეხი, რომელიც საინტერესო ამბებს გვიყვებოდა გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ.

მაგონდება აგრეთვე სერგეი მესხის ცოლისძმა „დროების“ გამომცემელი სოსიკო მელიქიშვილი (სტეფანეს ძმა). იგი ისევე, როგორც ნიკო ნიკოლაძე, კერძო საუბარში ილია ჭავჭავაძეს „ილიკოს“ ეძახდა, ყაზბეგს — სანდროს და მათი მეგობრობით დიდად ამაყობდა.

1924 წელს, როდესაც პროფ. მიხ. ზანდუკელი შეეხო ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის საკითხს, აღშფოთებული სოსიკო მელიქიშვილი შემოვიდა ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში და მოგვთხოვა იმავე ნომერში სასწრაფოდ დაგვებეჭდა მისი წერილი ალ. ყაზბეგის ავტორობის დასაცავად.

იგი იყო ერთ-ერთი ცოცხალი მოწმეთაგანი იმისა, თუ ალ. ყაზბეგი როგორ წერდა პირდაპირ თეთრად „ელგუჯას“, „მოძღვარს“ და სხვა რომანებს მისი თანდასწრებით გაზეთ „დროების“ რედაქციაში.

სოსიკო მელიქიშვილის წერილს გამოეხმაურნენ ძველი, გადარჩენილი ლიტერატორები (დათიკო მესხი, კაკო მესხი, ეკატერინე გაბაშვილი, სოსიკო მერკვილაძე და სხვები), რომელთაც თავგამოდებით დაიცვეს ალ. ყაზბეგის ავტორობა, როგორც მისმა ახლო მცნობებმა და მეგობრებმა.

ძველი სტამბის მოღვაწეებიდან გამოირჩეოდნენ პოეტი ქალი განდეგილი, რომელიც 16 წლიდან კორექტორობდა თვით სიკვდილამდე. იგი ჩიოდა, რომ არასოდეს არ ჰქონია თავისუფალი დრო ლექსის წერისათვის. იგი, იმავე დროს, სათავადაზნაურო ბანკში მსახურობდა რომელიღაც წვრილმან მოხელედ.

მუდამ სტამბაში ნახავდით აგრეთვე პოეტს შიო მღვიმელს და ილია აგლაძეს, რომელნიც უმთავრესად კორექტორობით და მთარგმნელობით (ილია აგლაძე) სცხოვრობდნენ.

ხსენებულმა ლიტერატორებმა ბევრი რამ იცოდნენ ჩვენი ახლო წარსულიდან. ახლო ურთიერთობაში იყვნენ ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან. ბევრს საინტერესო ამბებს გვიყვებოდნენ მათი პირადი ცხოვრებიდან, მაგრამ როცა დაჟინებით ვთხოვდით მოგონებანი დაეწერათ, ისინი მტკიცედ უარს გვეუბნებოდნენ. ეს უმთავრესად მათი მოკრძალების ამბავი იყო.

— აბა როგორ უნდა დავწერო ისეთ დიდ ადამიანზე, როგორიც იყო ილია! — გაასავსავებდა ხელებს ილია აგლაძე.

სანანურია, რომ მრავალი რამ საყურადღებო ჩვენი მწერლობის წარსულისა სამარეში ჩაიყოლეს.

* * *

რაკი სიტყვა ჩამოვარდა ჩვენი მწერლობის წარსულზე, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დაარსების საქმეს.

1929 წელს მთაწმინდაზე გაიმართა ალექსანდრე გრიბოედოვის გამოფენა-მუზეუმი. როცა ეს პაწაწინა, ერთს ოთახში გამართული გამოფენა ვინახულეთ, გული მეტკინა, რომ ასეთივე გამოფენა არ არსებობდა არც ილია ჭავჭავაძისა, არც აკაკი წერეთლისა, არც ვაჟაფშაველასი და სხვათა, რომელნიც მთაწმინდაზე არიან დაკრძალულები.

მეორე დღესვე შევიტანე განცხადება თბილისის საბჭოში, რომელშიც ვამტკიცებდი „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის“ მოწყობას.

თბილისის საბჭომ დიდი ყურადღებით მიიღო ჩემი წინადადება და ამ საქმის ორგანიზაციაც მე მომანდო.

შტატში ვიყავით მე და ერთი დარაჯი. ბინად მოგვცეს მთაწმინდაში ერთი ოთახი, შემდეგ ორი, მთაწმინდის ყოფილ მღვდლის სახლში.

განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის ზამთრიის დღეებში სიარული, მთაწმინდის აღმართზე ხშირად ფეხი მიცურდებოდა და ბუჩქებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეძიებდი, მაგრამ საქმემ გამიტაცა, ამაგზნო.

დღედაღამ დავდიოდი ოჯახებში და ვაგროვებდი ექსპონატებს. მრავალი საინტერესო საბუთები, ხელნაწერები თვით ილიასი, თვით აკაკისა, სრულიად შემთხვევით აღმომიჩენია უცნობ ოჯახებში, ისე, რომ თვით პატრონებმაც კი არ იცოდნენ. ასე აღმოჩნდა, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის დიდი მოხსენებითი ბარათი „საბანკო საქმეები“ (რუსულად), „ბაბილონის ხემწიფის დაუდ-ფაშას“ წერილი თავის მშობლებთან. ბაღდადის ფაშა დაუდი, რომელიც მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში, რომ ტომით ქართველი იყო, უცნობი ამბავი იყო და მხოლოდ ამ წერილმა დაადასტურა პირველად (ხსენებულ დაუდ-ფაშასთან რუსეთის მთავრობის დავალებით მოლაპარაკებას აწარმოებდა ალ. გრიბოედოვი, როცა იგი სრულუფლებიან წარმომადგენლად იმყოფებოდა სპარსეთის კარზე.

ასევე დიდ შენაძენს წარმოადგენს „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი. ცნობილია, რომ „ქილილა და დამანა“ საბა-სულხან ორბელიანმა და ვახტანგ მეექვსემ გადმოთარგმნეს; ისიც ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნის ბოლო წლებში „ქილილა და დამანა“ სთარგმნა კახთა მეფემ დავითმა (ქეთევან დედოფლის მეუღლემ) ჯერ კიდევ ბატონიშვილობაში. მან ეს წიგნი მიიყვანა „კუს“ არაკამდის, როგორც ვახტანგის წინასიტყვაობა გვამცნობდა, მაგრამ თვით დავითის ნამუშევარი არსად ჩანდა.

ჩვენგან ნაპოვნი „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი კი სწორედ დავითის თარგმანი გამოდგა.

ცხადია, ფასდაუდებელია მნიშვნელობა ამ ხელნაწერისა. განსაკუთრებით საყურადღებოა დავითის წინასიტყვაობა, რომელიც ერთგვარ შუქსა ჰფენს მეთექვსმეტე საუკუნის კულტურულ ცხოვრებას, კერძოდ კი მაშინდელ კახეთის ამბებს.

არა ერთი და ორი ძვირფასი ხელნაწერი და საბუთია დაბინავებული მუზეუმში, არა ერთი და ორი ძვირფასი მემორიალური ნივთია დაცული.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მწერალი მეცხრამეტე საუკუნისა, რომ მისი არქივი ან ხელნაწერი, ან მიმოწერა არ მოეპოვებოდეს მუზეუმს.

განსაკუთრებით მდიდარია მუზეუმის იკონოგრაფიული ფონდი. საერთოდ, მუზეუმის ქონება ოცდაათ ათასამდე ექსპონატს აღწევს. მუზეუმმა დიდი საქმე გააკეთა, უკვე ერთგვარ კერად იქცა. მისი მომავალი უზრუნველყოფილია.

* * *

თუმცა ლექსების წერა ადრე დავიწყე, მაგრამ პირველი ჩემი ლექსების წიგნი 1938 წელს გამოვიდა. მე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, არ ვიყავ კმაყოფილი ჩემი ლექსებით და არც წიგნად გამოცემას ვაპირებდი, რომ გამომცემლობა „ფედერაციას“ და ამხანაგებს თითქმის ძალა არ დაეტანებინათ.

პირველ წიგნს მოჰყვა ჩემი ცნობილი პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“, წიგნი პირველი, რის გამოც 1941 წელს მივიღე სტალინის სახელობის პრემია.

1939 წელს გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული.

1942 წელს ლექსთა დიდი კრებული

1943 წელს დაიბეჭდა ლექსები სამამულო ომზე, „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“.

1944 წ. — მცირე ლექსთა კრებული.

1946 წელს დაიბეჭდა ლექსთა კრებული „ქართლის ბაღი“.

1947 წელს გამოვიდა (გამოდის ამ დღეებში) ჩემი ერთტომეული, რომელშიც მოქცეულია ლექსები და პოემები, დაწერილი 1926-1947 წლებში.

ჩემი ლექსები თარგმნილია რუსულად (მთარგმნელები: ნ. ტიხონოვი, ბ. პასტერნაკი, პ. ანტოკოლსკი, ვლ. დერჟავინი, სერგეი სპასკი, ნიკ. ზაბოლოცკი, არ. კოჰშტეინი, ალ. გატოვი, ვერა ზვიაგინცევა და სხვები. პირველი წიგნი ჩემი ლექსებისა რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1938 წელს, მოსკოვს, გამომცემლობა „გოსლიტიზდატში“.

ჩემი ლექსები აგრეთვე თარგმნილია: უკრაინულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად, ბელორუსულად, ჩეხოსლოვაკურად და სხ.

1936 წელს „ბედმა“ მაღირსა ვყოფილიყავ საქართველოს რესპუბლიკის დელეგატი საბჭოების სრულიად საკავშირო მე-8-ე ყრილობაზე, სადაც 1936 წლის 27 ნოემბერს სხდომაზე გამოველი ვრცელი გალექსილი სიტყვით, საქართველოს ხალხის სახელით.

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ დამავიწყდება ეს ბედნიერი დღე. ლექსი ჯერ წარმოვსთქვი ქართულად, შემდეგ რუსულად.

სამწერლო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული ვარ: ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის““.

* * *

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მშობლიურმა მწერლობამ და ისტორიამ ბავშვობიდანვე გამიტაცა.

1912 წლიდან მე პრესაში ვათავსებდი ისტორიულ-არქეოლოგიურ წერილებს კომპილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციური ხასიათისას. შემდეგ უკვე სერიოზული მუშაობა დავიწყე.

1920 წელს მე დავბეჭდე ცალკე წიგნად „ქაშნიკი" — მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა.

1924-1928 წლ. ჟურნალ „მნათობში" მე ვბეჭდავდი მონოგრაფიას „ივანე მაჩაბელი"

1928 წელს გამოვაქვეყნე ჩემი კაპიტალური ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანი".

1931 წელს დავბეჭდე „მგოსანი. საათნოვა" ახალი ქართული წყაროების მიხედვით.

ჯერ კიდევ 1929 წელს მე გავემგზავრე ლენინგრადს და იქ მთელი თვის განმავლობაში ვმუშაობდი „შაჰნავაზიანის" უნიკალურ ხელნაწერზე. ლენინგრადში გადმოვწერე ტექსტი, გადავიღე ფოტოპირი, ვიმუშავე რამდენიმე წელი და ვრცელი გამოკვლევით და კრიტიკული აპარატით გამოვეცი 1934 წელს.

1938 წელს ვრცელი გამოკვლევით და ლექსიკონით გამოვეცი მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიული პოემა იოსებ თბილელისა „დიდმოურავიანი".

ჩემი წინასიტყვაობით, თანამშრომლობითა და რედაქციით „დიდ-მოურავიანი" გამოვიდა რუსულ ენაზედაც.

მაქვს გამოუქვეყნებელი ვრცელი ნაშრომი „ვოლტერიანობა საქართველოში".

1946 წელს, თებერვალში, ჩემი ლიტერატურული და სამეცნიერო შრომისათვის არჩეულ ვიქმენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

* * *

დასასრულ, ჩემი მოღვაწეობის ერთი დარგიც: ჩემი უახლოესი მონაწილეობით (საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) ჩატარდა იუბილეები: ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალ. პუშკინისა, ალ. გრიბოედოვისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა.

ასევე ჩემს მიერ ჩატარებულია ყველა საიუბილეო რესპუბლიკური გამოფენები 1937 წლიდან ვიდრე დღევანდლამდე.

1939 წლიდან ვრედაქტორობ ლიტერატურული მუზეუმის ორგანოს „ლიტერატურულ მატიანეს". ამაზე ადრე, 1935 წელს ვიყავი პასუხისმგებელი მდივანი საკვლეო დიდი ჟურნალის „ლიტერატურულ მემკვიდრეობისა".

1931 წ. 1932 წ. მე ვხელმძღვანელობდი სტალინის სახელობის ორთქმავალ-სარემონტო ქარხანაში არსებულ მუშათა სალიტერატურო წრეს. ამ წრის ნაყოფიერი მუშაობა არა ერთხელ აღნიშნულია თვით მუშების მიერ საქარხნო პრესაში.

1931-1933 წლებში მე პირველმა შევკრიბე ცნობები სახალხო მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის შესახებ. დავწერე მისი ბიოგრაფია და შევკრიბე თბილისსა და რაიონებში ფიროსმანიშვილის 20-მდე სურათი და გადავეცი მეტეხის მუზეუმს.

ჩემს მიერ დაწერილია ცნობილი ბალეტის „მთების გულის" ლიბრეტო.

ეს ბალეტი დიდი წარმატებით სარგებლობს დღესაც. იგი დაიდგა ლენინგრადში, თბილისში, ტაშკენტში, კიევში და სხვ.

დავწერე სცენარი „გიორგი სააკაძე", „ნ. ბარათაშვილი".

მევე მეკუთვნის დადგმულ კინოსურათებიდან: „ჯურღაის ფარი", „მზიური საქართველო".

ჩემი განცხადებით და თაოსნობით აღმოჩენილია რუსეთში, ვორონცოვის არქივში მეჩვიდმეტე საუკუნის „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი („ზაზასეული ვარიანტი).

1940 წელს არჩეულ ვიქმენ თბილისის საბჭოს დეპუტატად.

აქვე უნდა დავძინო, რომ მე ხანგრძლივად ვმუშაობდი თბილისის ქუჩების სახლების გადარქმევაში.

კომისიის სხდომებზე რომელიც ქუჩების „გადანათვლაზე" მუშაობდა, მე 300-მდე ქუჩის სახელი გავიყვანე.

ვითვლებოდი საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად და საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

1945 წლიდან ვირიცხები საკავშირო კომუნისტური პარტიის წევრად.

**შენიშვნები:**

1 მამაჩემი ჯერ მასწავლებლობდა სოფ. ქვემო ჭალაში, შემდეგ ლუდაში (მთიულეთი). იგი, როგორც სამაგალითო პედაგოგი, მოხსენებულია გაზეთ „ივერიის" მეთაურში (1889). შემდეგ ეკურთხა მღვდლად.

2 ზაქარია გულისაშვილის ეს წიგნი გამოსცა „საბჭოთა მწერალმა" 1953 წელს. წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის --გ. ლეონიძის წინასიტყვაობა დ. შ.

3 ეს ნაწარმოები დაიბეჭდა 1910 წელს, ხსენებული ჟურნალის მე-11 ნომერში, „პატარა მოწაფე გ. ლეონიძის" ხელმოწერით. დ. შ.

4 1913 წელს მე ვიყავი თითქმის არა ოფიციალური რედაქტორი, მდივანი და სულისჩამდგმელი იუმორისტული ჟურნალების „ლახტის" და „სუსხის", რომელსაც თავისი ხარჯით ბეჭდავდნენ გაზეთ „სახალხო ფურცლის" ასოთამწყობები. ამ ჟურნალებში აუარებელი ლექსები მაქვს დაბეჭდილი ჩემი საკუთარი სახელ-გვარით და მრავალი ფსევდონიმებით გამოქვეყნებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# ტრიბუნის ვეფხვი

რა უნდა იყოს იმაზე უფრო ძნელი, ვიდრე მოგონების დაწერა ამ ქვეყნიდან წასულ ახლობელ ადამიანზე, ვისი სიკვდილი დღესაც ვერ დაგიჯერებია, თუმცა აგერ უკვე მეორე წლიწადი მიიწურა, რაც ჩვენს შორის აღარ არის და ვისი სახელიც და ნამოღვაწარიც აწ და მარადის ქართული ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებად ქცეულა.

იბადებიან ქვეყნად პიროვნებები, რომელთაც თითქოს დედის მუცლიდანვე თან დაჰყვებათ სიცოცხლის მაღალი დანიშნულება. ისინი თითქოს არაფრით გამოირჩევიან თანამედროვეთაგან, ერთის შეხედვით ჩვეულებრივ კაცობრივ ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ თუ გონების თვალით დააკვირდები, შენს წინაშე სულ სხვა სურათი გადაიშლება.

თავიანთი ყოველდღიური მოღვაწეობით ისინი შორს სცილდებიან საკუთარ თავს, თითქოსდა ვერ ეტევიან ერთს პიროვნულ „მე“-ში, ქვეყნის ცხოვრება თავის პირად ცხოვრებად მიუჩნევიათ და სხვა რამ პიროვნული, გულთან უფრო ახლო მისატანი და თავგამოსადები სხვა არც არაფერი გააჩნიათ.

ბესარიონ ჟღენტი ერთი ამათგანი იყო. მეცნიერების დოქტორს, პროფესორს, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე ლიტერატურის განყოფილების გამგეს, საქართველოს წერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სტუმართმოყვარე, შვილებითა და შვილიშვილებით ავსებული ოჯახის მამას თითქოს ყველაფერი უკვე მიღწეული ჰქონდა, მაგრამ ყოველი ახალი დღის გათენებას მისთვის სიცოცხლის დაუსრულებელი განახლება, ახალ სიძნელეებთან შეურიგებელი ჭიდილი და მომავალზე ფიქრისა და ზრუნვის მარად მოუშლელი სტიმული მოჰქონდა.

ასეთი ახსოვს ბესარიონ ჟღენტი ყველას, ვინც კი იცნობდა და მიუხედავად მისი თავმდაბლობისა და მოკრძალებული ხასიათისა, ამას პირველი შეხვედრის უმალვე იგრძნობდი. საკვირველი ყურადღების გამოჩენა იცოდა. თითქოსდა ათასსანთლიანი პროჟექტორით გაგაკაშკაშებდა და, როგორც დურბინდით მოახლოებულ მთას, ისე დაგაკვირდებოდა. მისთვის ყველაფერი უკვე ცხადი იყო. გადაშლილი წიგნივით წაგიკითხავდა და გულში თავის მსჯავრსაც დაგდებდა. ამიერიდან თვალს გადევნებდა. არც აღარასოდეს დაავიწყდებოდი. შენი ნაწარმოების წიაღშიაც ასევე შედიოდა. მისი ათასსანთლიანი პროჟექტორი თვალისმომჭრელი შუქით ანათებდა შენს ნაწარმოებსაც და ყოველივე იმასაც, რაც მის გარშემო იყო. ამიტომაც მსჯელობისას ფართო განზოგადებებს მიმართავდა და ქმნილების სულს ღრმად სწვდებოდა.

ბესარიონ ჟღენტთან ჩემმა პირველმა რომანმა მიმიყვანა. ბატონი ბესო მაშინაც და შემდგომაც, სიკვდილამდე, საჯარო ბიბლიოთეკის უკან, ფურცელაძის ქუჩაზე ცხოვრობდა ერთი ძველებური, ევროპულ ყაიდაზე აგებული სახლის მესამე სართულზე და მისი მყუდრო სამუშაო კაბინეტის ქვის აივანიც ქუჩას გადმოჰყურებდა. მე ის არასოდეს მინახავს დაღლილი და ამ აივანზე დასასვენებლად გამოსული. მწვანეაბაჟურიანი მაგიდის ლამპებით შემოღობილი წიგნებითა და ხელნაწერებით დახვავებულ მკვიდრ მაგიდას უჯდა და დილამდე თავაუღებლივ მუშაობდა. შინ მუშაობისათვის ბესოს სხვა დრო არც ჰქონდა. დღისით ათას ადგილას ელოდნენ და როგორი დაუშრეტელი ენერგიის პატრონიც არ უნდა ყოფილიყო, თვალის მოსატყუებლადაც ხომ სჭირდებოდა სამიოთხი საათი!

ამ ვიწრო კაბინეტში, ჭერამდე წიგნებით და პერიოდული გამოცემებით რომ იყო ავსებული და სადაც მრავალი წლის შემდეგ ოჯახის სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართმოყვარე უფროსი, ჩვენი მწერლობისა და თეატრის დიდი მოჭირნახულე ბესარიონ ჟღენტი უკანასკნელადაც ვნახე, ჩვენი დროის ბევრ გამოჩენილ ადამიანს შევხვედრივარ. გარდა ჩვენი სასიქადულო მწერლებისა, რომელთა შორის ბესარიონ ჟღენტს ბევრი უახლოესი მეგობარი და გულწრფელი პატივისმცემელი ჰყავდა, აქ ხშირად ნახავდით აკაკი ხორავასა და ვერიკო ანჯაფარიძეს, ნატო ვაჩნაძესა და სერგო ზაქარიაძეს, ვასო გოძიაშვილსა და დიმიტრი ალექსიძეს, დოდო ანთაძესა და აკაკი ვასაძეს, აგრეთვე მხატვრებს, კომპოზიტორებს, იურისტებს, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომელთაც აქეთ, ამ ოჯახში მოსიყვარულე მასპინძლის მხურვალე გული, სახელდახელო სუფრა და ცხარე კამათი ელოდა.

საკვირველი ის იყო, რომ არცთუ იშვიათად აქ ისინიც მოდიოდნენ ხოლმე, რომლებიც აშკარად თუ ფარულად მტრობდნენ ოჯახის უფროსს. სხვებზე უკეთ ეს თვით ბესარიონს მოეხსენებოდა, მაგრამ გამორჩეული პატივისცემითა და სიყვარულით, რითაც ჟველა გარემოსილი ჰყავდა, სწორედ მათ ხვდებოდა და თითქოს ამით კიდევაც ეუბნებოდა: არც აგრეა საქმეო, რა ვერ გავიყავით, ერთმანეთს რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვადავკიდებივართ, დრო გავა, ჩვენი მტრობის მიზეზი სიცილადაც არავის ეყოფაო.

ეს, რასაკვირველია, საყოველთაოდ გამოსადეგი დიდი სიბრძნე იყო და ბესარიონ ჟღენტი არა სცდებოდა, როცა ცდილობდა, ადამიანური შეხლა-შემოხლებისათვის ცოტა უფრო ზევიდან დაეხედა და ამაო მეხთატეხა დაენახა.

მაგრამ ზემოთ ნათქვამი იმას როდი ნიშნავს, რომ მას შეეძლო პრინციპებზე ხელი აეღო და ყალბი კაცთმოყვარეობის მანტიაში გახვეულს უკან დაეხია. უკანდახეული და თავისი ნაწერნაქადაგების უარმყოფელი ბესარიონ ჟღენტი არავის უნახავს; მახსოვს მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას წინაშე ტრიბუნაზე ბოდიში მოიხადა და საქვეყნოდ აღიარა, რომ მწერლის ათვალწუნება, რასაც სათავე ოცდაათიანი წლების დამდეგს დაედო და თითქმის ოცდაათი წელიწადი გაგრძელდა, მთელი ქართული კრიტიკის უხეში შეცდომა იყო და შემცდართა შორის თავისი თავი პირველი დაასახელა.

ამ განცხადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისადმი კრიტიკის დამოკიდებულების ძირფესვიანი შეცვლისა, ისევე თვით ბესარიონ ჟღენტისთვისაც. თუ ამ ოფიციალური განცხადებით ის საზოგადოების წინაშე არ წარსდგებოდა, კრიტიკოსი ვერ მოიპოვებდა მორალურ უფლებას, კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებებისათვის, თვით მწერლის თხოვნისამებრ, ვრცელი ნარკვევი დაერთო, რომელშიაც ისტორიული მოვლენებისა და მათი მხატვრული ასახვის ღრმა გაგებით არის განხილული კონსტანტინე გამსახურდიას მიერ განვლილი ვრცელი და მრავალმხრივი ლიტერატურული გზა.

ცუდია, როდესაც შეცდომა მოგდის, მაგრამ ათასწილ უფრო ცუდია, როდესაც მას პატიოსნად არ აღიარებ და საქვეყნო საქმის საზიანოდ ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირი!

სამართლიანობა მოითხოვს აქვე ითქვას, რომ თვით ბატონი კონსტანტინეც უმადლოდა ყოველივე ამის გამო თავის უმცროს თანამოკალმეს, პირსუკან ხსენებისას „ჩვენს ბესოს" ეძახდა და მის პატრიოტულ ღვაწლს აშკარად აღიარებდა. ბევრჯერ მინახავს ბესოს ბრწყინვალე გამოსვლებით აღფრთოვანებული. „შე თათარო!" — მიეფერებოდა ხოლმე თავისებურად. ისიც უთქვამს, რა გვეშველებოდა, ეს რომ არ გვყოლოდა, ანდა აწი რა გვეშველება, როცა აღარ გვეყოლებაო.

მახსოვს, კრიტიკოსიც უაღრესად მოკრძალებული იყო მწერლის მიმართ. ერთხელაც არ მომხდარა, უბატონოდ და ულრმესი პატივისცემის გარეშე სიტყვა ეკადრებინოს

პირად ურთიერთობებში ბესარიონ ჟღენტი უაღრესად ნაზი და სათუთი ადამიანი იყო. და განა მარტო თავისი თანამოკალმე მწერლების მიმართ! განათლებით იურისტს უამრავი ნაცნობი, მეგობარი და ამხანაგი ჰყავდა საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. ბესოს ვინ არ იცნობდა, ვის არ ჰგვრიდა აღტაცებას მისი დიდი ორატორული ნიჭი და შემართება! ძნელია კაცს დაავიწყდეს, როგორ დაამწუხრა ჩვენი დროის დიდი მწერლებისა და მოღვაწეების: გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის და ლეო ქიაჩელის გარდაცვალებამ გულდათუთქული ბავშვივით ტიროდა და თითქოს მხოლოდ თავისთვის გაიძახოდა, ვაიმე, ეს რა მეხი დაგვეცა, ეს რა დაგვემართაო.

წრფელი იყო მისი ცრემლები. ბესომ ხომ ზეპირად იცოდა თავისი სათაყვანო მწერლების მთელი შემოქმედება და ცოდნასა და სიყვარულში მას ხომ ვერავინ შეედრებოდა! გიორგი ლეონიძის და სიყრმის მეგობარ სიმონ ჩიქოვანის უდროო სიკვდილმა თავზარი დასცა. შემდეგ ყველაფერი გააკეთა მათი სახელის უკვდავსაყოფად და ნამდვილი ჭირისუფლობა გაუწია. და განა მარტო მათ?

დაუფასებელია ბესარიონ ჟღენტის ღვაწლი ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის პროპაგანდის საქმეში საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამ პროპაგანდას, უპირველეს ყოვლისა, ის ტრიბუნაზე თავისი გამორჩენით ეწეოდა. შეუდარებელი ორატორი პირვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი სიტყვებიდანვე იპყრობდა აუდიტორიას და მას თავის სასარგებლოდ განაწყობდა.

ბესარიონ ჟღენტის გამოსვლები შორს იყო ეროვნული შეზღუდულობისაგან, საკავშირო ტრიბუნაზე ასული ყველა ხალხისათვის საერთო მტკივნეულ პრობლემებს აყენებდა და თითქოსდა ყველას სახელით გამოდიოდა. ბესარიონის თვითეულ გამოსვლას, რომელიც მხოლოდ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, სულგანაბული უსმენდნენ მოსკოვში თუ ლენინგრადში, კიევში თუ ტაშკენტში, ერევანში თუ მინსკში, ბაქოში თუ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ის მათთვისაც „ჩვენი ბესო" იყო და თვალები გაუბრწყინდებოდათ ხოლმე, ტრიბუნაზე ასულს რომ დაინახავდნენ.

კრიტიკოსის ქართველი თანამოკალმენი, უფროსნი, თანატოლნი თუ უმცროსნი, მათ შორის მეც, არა ერთჯერ გავმხდარვართ მოწმენი და მონაწილენი ამ ტრიბუნის ვეფხვას ტრიუმფისა მშობლიური საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ბატონი ბესო განსაკუთრებით უკრაინელებს უყვარდათ. ჰქონდათ კიდევაც ამის მიზეზი. ერთხელ, კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ხალხით გაჭედილი აუდიტორიის წინაშე ორსაათიანი მოხსენება წაიკითხა და აქედან ოც წუთზე მეტი უკრაინულად ილაპარაკა. საკვირველი ის იყო, რომ აქამდე არავინ იცოდა, თუ ბესარიონ ჟღენტი ასე თავისუფლად ფლობდა დიდი კობზარის ენას. წარმოუდგენელი ამბავი დატრიალდა. მქუხარე ტაშმა კ[illegible] ლამ ჩამოაქცია თეატრის ბჭეები!

სამი თუ ოთხი წლის წინათ, ბატონი ბესო მაშინ ცოცხალი იყო, კრიტიკოს გურამ ასათიანთან ერთად, მინსკში ვიყავი ერთ-ერთ დიდ საკავშირო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად. პირველი, ვინც ქართველ მწერალთაგან ბელორუსმა კოლეგებმა მოიკითხეს, ბესარიონ ჟღენტი იყო. იქვე გვიამბეს მათთვის და, ალბათ, ჩვენთვისაც დაუვიწყარი ამბავი...

ბელორუსიის ტელევიზიას ლიტერატურული გადაცემა მოემზადებინა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო იმხანად იქ მყოფ ქართველ კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტს. გეგმა ასეთი ჰქონდათ: ბესარიონ ჟღენტი თავისი მწერლობისა და ქართველი ხალხის სახელით მიესალმებოდა ბელორუს კოლეგებს და ბელორუს ხალხს და მსმენელ-მაყურებელთ მოუთხრობდა, როგორი პოპულარობით და აღიარებით სარგებლობდნენ საქართველოში ბელორუსი მწერლები და პოეტები. შემდევ ერთ- ადგილობრივი ლიტერატურისმცოდნე, გადაცემის მონაწილე, როგორც სპეციალისტი, თანამედროვე ბელორუსულ მწერლობას მოკლედ მიმოიხილავდა და ეკრანს დაუთმობდა პოეტებს...

ბესო ჟღენტის სიტყვა, რითაც გადაცემა დაიწყო, 45 წუთს გაგრძელდა. მან არა მარტო შეასრულა ის, რაც სთხოვეს, მთელი ბელორუსული ლიტერატურა მიმოიხილა და ამ საქმის გასაკეთებლად აქ მოსულ სპეციალისტს დასამატებელ-დასაზუსტებელი ერთი სიტყვაც აღარ დაუტოვა. ყველა აღტაცებული იყო. ვინლა წუხდა იმას, რომ ბელორუსიის ტელევიზიის საღამოს გადაცემების პროგრამას სასწრაფოდ გადახალისება-გადაკეთება დასჭირდა, რათა მათი ხალხის მეგობარი ქართველი ოქროპირისათვის სათქმელი სიტყვის დასრულების საშუალება მიეცათ!

რომელი ერთი უნდა გაიხსენო! აჲ ჩვენი გამოჩენილი თანამედროვის ცხოვრებისა და შემოქმედების რომელ მხარეს უნდა შეეხო, რომ ცალკე მონოგრაფიის დასაწერად არ გამოგადგეს!

უკურნებელმა სენმა ბოლოს ფრთა მოსტეხა და სარეცელს მიაკრა, მაგრამ სულს მაინც ვერაფერი დააკლო, სული გაუტეხელი დარჩა. იმავე სამუშაო კაბინეტში იწვა, სადაც ოცი წლის წინათ პირველად ვნახე და ვინ იცის, რამდენჯერ გადაკეთებულ-გადამუშავებული რომანი მივუტანე. მაშინდებურად გახარებული შემხვდა, არიქა, სკამი მოართვითო, დაიძახა და სტუმართმოყვარე მასპინძლისათვის დამახასიათებელი მოუსვენრობა დაეუფლა. საგულდაგულოდ ვისაუბრეთ, სიცილის მომგვრელი ამბებიც გავიხსენეთ და ბევრიც ვიცინეთ. უჩვეულოდ გამხდარი და მისუსტებული ბატონი ბესო ცრემლებს იწმენდდა და რომელიღაც ამოჩემებულ სიტყვას, როგორც მუდამ სჩვეოდა ხოლმე, მეათასედ იმეორებდა. თავის ავადმყოფობაზე, იმაზე, რომ დღეები დათვლილი ჰქონდა და ეს სხვებზე უკეთ იცოდა, სიტყვაც არ დასცდენია. ეს, ალბათ, მეტისმეტად პირად საქმედ მიაჩნდა და, მისი აზრით, ამაზე ლაპარაკი თავაზიანობის ფარგლებს სცილდებოდა. სამაგიეროდ, დაკვირვებულად გამომკითხა, რას ვაკეთებდი, ყურადღებით მომისმინა და გამამხნევებელი სიტყვები მითხრა. ვის უნდა სცოდნოდა, თუ არა ბესარიონ ჟღენტს, რომ გამხნევება, შემოძახება, იმის რწმენის ჩანერგვა, რომ შენც ნამდვილად რაღაც შეგიძლია, ყოველ დიდსა თუ მცირე შემოქმედს სჭირდება. შთაგონება ჭირვეული რამ არის. ადვილი როდია, მისი ხანძარი მარტოოდენ საკუთარი ძალებით აანთო. იქნებ არაფერი ისე არ მოითხოვდეს მხარდაჭერასა და წახალისებას, როგორც შთაგონება!

ბესარიონ ჟღენტი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვისაც შეეძლო, შენს გულში ეს ცეცხლი გაეღვივებინა და ჭირსა და ლხინში გვერდში ამოგდგომოდა. სამუდამოდ წავიდა ეს ჩვენგან ახდა დიდი კონსტანტინეს წინასწარმეტყველება და ქართულ ლიტერატურას, ჩვენს ყოველდღიურ ლიტერატურულ ცხოვრებას დიდხანს შერჩება სიცარიელე, ბესო ჟღენტის ამ ქვეყნიდან წასვლამ რომ გააჩინა.

## წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვაწლმოსილი მანდილოსნები

ქართველი ხალხის შრომისა და ბრძოლის დიდი ისტორიის მანძილზე ქალი მამაკაცს მუდამ მხარში ედგა და მასთან ერთად ეწეოდა საქვეყნო საქმის მძიმე ჭაპანს, დაუღალავად იღწვოდა ერის ნათელი მომავლისათვის. ქართველი ქალის ეს სასახელო საქმეები ნათლად ასახეს წარსულის დიდმა პოეტებმა. „ოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო“ — წერდა ნ. ბარათაშვილი. „ქართვლის დედაო, ძუძუვ ქართვლისა, უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“ — ეხმაურებოდა მას ილია ჭავჭავაძე. ჩვენი დროის პოეტებმაც არა ერთი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნეს ამ თემას. ქართველი ქალის ისტორიული ღვაწლის გასაშუქებლად გულმოდგინედ მუშაობენ დღევანდელი ჩვენი მწერლები და მკვლევარები. ჩვენს დროში ამ საკითხის კვლევა-ძიებას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა მკვლევარმა ლევან ასათიანმა, რომელმაც 1936 წელს გამოსცა შესანიშნავი წიგნი „ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გამოკვლევა და ტექსტები“. ამ წიგნიდან გაეცნო მკითხველი ქართული სიტყვის მოამაგეებს — ქეთევან დედოფალს, მარიამ-მაკრინეს (ირაკლი I-ის ასული), მანანას, სალომეს, მაია გაბაონს, ქეთევან ირაკლი II-ის ასულს, თეკლე ირაკლი II-ის ასულს (პოეტ ვახტანგ ორბელიანის დედა) და სხვებს. ლევან ასათიანის მიერ დაწყებული ეს კეთილშობილური საქმე გააგრძელეს სხვებმა, რომელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ლიტერატორი-ქალი ნინო ჩიხლაძე. უკვე მრავალი წელია იგი გულმოდგინედ იკვლევს ჩვენი კულტურის წარსულს; როგორც პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში, ისე ცალკე ნაშრომებსა და მონოგრაფიებში იგი თვალწინ გადაგვიშლის ქართველი ქალის მამულიშვილურ ღვაწლს ერისა და ქვეყნის წინაშე.

ქართველი ქალი დღეს კომუნიზმის აქტიური მშენებელია და ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვებაში მას თანაბარი წილი უძევს.

ნინო ჩიხლაძის ახალი წიგნი „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები“ ეძღვნება მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატორ ქალებს. ამ წიგნის ფურცლებიდან თქვენს წინაშე წარმოსდგებიან დომინიკა განდეგილის, ელისაბედ ორბელიანის, ნინო ყიფიანის, ლიდა მგალობლიშვილის, სოფიო ამირეჯიბის, ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძის, ელენე ყიფიანის, ანასტასია მაჩაბლის და სხვების ცოცხალი პორტრეტები. როგორც ვიცით, აქ ჩამოთვლილ ქალებს არ დაუწერიათ სქელტანიანი რომანები და გამოკვლევები, მაგრამ როგორც სარეცენზიო წიგნის ავტორი წერს: „ქართველი ქალი მოექცა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივი აზრების ცენტრში. იგი იბრძვის ეროვნული განთავისუფლებისათვის, იბრძვის მშობლიური დედაენისათვის, განმათავისუფლებელი იდეებისათვის, თეატრის აღორძინებისათვის. ქალები თავს იყრიან ისეთი კულტურული კერების გარშემო, როგორიცაა „ივერია“, „კვალი“, „დროება“, თეატრი და ცხოვრება“, „თემი“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ. აქ ხვდებიან ისინი ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, ივანე მაჩაბელს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს“. ამ დიდ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ურთიერთობა ქართველ მოღვაწე ქალებს უფრო მეტს ენერგიასა და ძალას მატებდა ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში ჩამოთვლილ თითოეულ მოღვაწე ქალზე მას მდიდარი საარქივო მასალა და მოგონებები შეუგროვებია; ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ ქართველი ქალი მუდამ მხარს უმშვენებდა მამაკაცს, მუდამ მასთან იყო გაჭირვებისა და განსაცდელის მძიმე წუთებში. ბევრ შემთხვევაში თითქოს სუსტმა ქალმა შთააგონა სულის სიმტკიცე თავის მეუღლეს, თავის ძმასა თუ შვილს. ისტორიამ ამისი უამრავი მაგალითი იცის და ამ წიგნშიც ამის დამადასტურებელი ფაქტები უხვად არის.

დომინიკა ერისთავ-განდეგილი კარგად არის ცნობილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში,

---

**ნ. ჩიხლაძე, ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები; „საბჭოთა საქართველო“ 1976 წ.**

როგორც პოეტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი. ცნობილია, რომ მან თარგმნა ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. თარგმანს მაშინდელმა ქართულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა. ამან კი ახალგაზრდა პოეტ ქალს სახელი მოუხვეჭა მწერალთა ფართო წრეში და მისი ნათარგმნი „ვაი ჭკუისაგან“ ქართული თეატრის სცენაზე დაიდგა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თარგმანი დღეისათვისაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. განდეგილი მგზნებარე გულის პატრიოტი ქალი იყო. მას დიდად შესტკიოდა გული ე. წ. „ოსმალოს საქართველოში“ მცხოვრებ თანამემამულეებზე. იგი წერდა: „ჩვენ ერთი დედმამიშვილები ვართ, ერთი ცისქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მის შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს იგი“.

მეორე საზოგადო მოღვაწე ქალი, რომლის მოღვაწეობას ავტორი კრებულში ფართოდ განიხილავს, გახლავთ ნინო ყიფიანი, მეუღლე დიმიტრი ყიფიანის ვაჟის, ცნობილი მსახიობის კოტე ყიფიანისა. ნინო ყიფიანი შესანიშნავად აგრძელებდა დიმიტრი ყიფიანის საზოგადო მოღვაწეობის დიდ ტრადიციებს. ამიტომ იყო, რომ აკაკი წერეთელმა 1894 წელს ასეთი სიტყვით მიმართა ნინო ყიფიანს: „ნინო, შენ თვალისჩინივით შეინახე დიმიტრის საყვარელი სახლ-კარი, შენ, არა თუ დაგინგრევია იგი, როგორც ბევრმა ჩვენთაგანმა თავადაზნაურთა შვილებმა თავისი მამა-პაპეული მამული გაანიავეს, პირიქით, შენ ერთიანად გაამშვენიერე ის, დიმიტრის რომ ასე უყვარდა, თავის სახლკარს პირმშოს რომ ეძახდა. ბარაქალა, ქალო!“

ნინო ყიფიანმა შესანიშნავად თარგმნა იტალიელი მწერლის ჯიოვან ოლის ისტორიული რომანი „სპარტაკი“ და ამით ქართველ ხალხს შეაყვარა ძველი რომის სახელოვანი მეამბოხე და მის ბრძოლები მონობის წინააღმდეგ..

ელისაბედ ორბელიანი ჩუმი და უანგარო მოღვაწე იყო. 1913 წელს, როცა ს. რახმანინოვი საქართველოში ჩამოვიდა, ის ეწვია ელისაბედ ორბელიანის სალონს, სადაც გაეცნო ქართველ კომპოზიტორებს: ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, კონსტანტინე მეღვინეთუხუცესს და სხვებს. ელისაბედ ორბელიანი თავის ცნობილ სალონში აგრძელებდა ხალხთა მეგობრობის იმ დიდ ტრადიციებს, რომელიც რუს და ქართველს ხალხს აკავშირებდა; ელისაბედ ორბელიანის ყველაზე დიდი დამსახურება ფრანგულ ენაზე ქართული პოეზიის ანთოლოგიის შედგენაა, რომელშიაც შეტანილია მის მიერ თარგმნილი, როგორც მე-19 საუკუნის კლასიკოსების, აგრეთვე მე-20 საუკუნის ქართველი საბჭოთა მწერლების ლექსები.

ავტორი ასევე საინტერესოდ განიხილავს ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძის საზოგადოებრივ საქმიანობას; იგი დიდხანს იყო „ქართველ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარე და დიდ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა. ასევე თვალსაჩინო როლს ასრულებდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე. ნიკო ნიკოლაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც ჟენევაში სტუდენტობის პერიოდში და შემდეგაც დაკავშირებული იყო რუს და ფრანგ რევოლუციონერებთან და პარიზის კომუნის მონაწილეებთან. იგი საზოგადოება „უღელის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

ვისაც უნდა შეისწავლოს ქართველ ქალთა საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა, ის გვერდს ვერ აუვლის ნინო ჩიხლაძის მშვენიერ წიგნს „ღვაწლმოსილ ქართველ მანდილოსნებს“. ამ წიგნის საშუალებით მკითხველი ბევრ საინტერესო ცნობას მიიღებს ქართველ მოღვაწე ქალთა შესახებ, რომელთაგან ზოგი გამორჩათ ჩვენს ისტორიკოსებს, ზოგი კი სავსებით დაივიწყეს. ეს კი უსამართლობა იყო. ამ შესანიშნავი ადამიანების დავიწყება არ შეიძლება, პირიქით, ჩვენს ახალგაზრდობას მათ მაგალითზე უნდა ვზრდიდეთ.

თ. ჩიგოგიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის“ 1977 წლის ნომრების შინაარსი

## მოწინავე


თავისუფლების დიადი ქარტია. № 10
საუკუნის მთავარი მოვლენა. № 11
დიადი დღესასწაულის წინ. № 7


## 60 დიადი ოქტომბერი 60


კლდიაშვილი სერგო — დიდი ოქტომბრის კვირაძალი. მოგონება. № 11
მაისურაძე დავითი — ოქტომბერი და სოციალური პროგრესი. № 10
რევიშვილი შოთა — დიდი ოქტომბრის ნათელი და გერმანული მწერლობა. № 4
სანადირაძე გიორგი — შენი ცხოვრების გადასახედი. ნარკვევი. № 8; ოქტომბრის პირმშო. ნარკვევი. № 10
ფანჩულიძე დავითი — ოქტომბრის რევოლუცია და ფრანგული მწერლობა. № 10
ჩიქოვანი გრიგოლი — მეგობრობის ცისარტყელა. ნარკვევი. № 9
ჭილაია სერგი — ოქტომბერი და ქართული მწერლობა. № 8, 9, 10, 11, 12
ჯიბლაძე გიორგი — დიადი ჩვენი ქარტია. № 7


## მოთხრობები, რომანები, ნარკვევები, პიესები


ანდრონიკაშვილი ბორისი — სადილი შუაღამისას. მოთხრობა. № 9
არდაშელია ციალა — სინანული. მოთხრობა. № 10
აფხაზავა ნუგზარი — მოთხრობები. № 12
გალდავაძე ავთანდილი — ფიცი. მოთხრობა. № 12
გოდერძიშვილი თამაზი — ავტოპორტრეტი გამხმარი ყვავილებით. მოთხრობა. № 3
გურასპაული არჩილი — შირაქული ჩანახატები. მოთხრობები. № 6
დემურხანაშვილი სოლომონ — მზის მოქცევა, თავი დოკუმენტური მოთხრობიდან. № 7
კანდელაკი ვალერიანი — გრძელი დღე. პიესა. № 10
კაპანაძე გურამი — ბოსლევი. მოთხრობა. № 5
კეცხოველი ნიკო — კიდევაც დაიზრდებიან. მოთხრობა. № 1, 2, 3
კობიძე რამაზ — გვიმრის ფოთლები. რომანი. № 9, 10
კუპრავა ოთარი — სირიაჩქონის ტყის სიზმარი. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 3
ლორთქიფანიძე კონსტანტინე — წვიმიანი ღამე. მოთხრობა. № 7
მაისურაძე ელიზბარი — ოშორა. თავი წიგნიდან. № 9
მესხი ლეილა — გამოთხოვება. მოთხრობა. № 4
მერაბიშვილი ელგუჯა — ბედის პური. მოთხრობა. № 9
მიშველაძე რევაზი — ნოველები. № 5
ნრელაშვილი ლადო — მატნელი კაცი. მოთხრობა. № 7
ონაშვილი ნათელა — განძით სავსე გუდა. მოთხრობა. № 8
რატიანი ზურაბი — ჰა, თქვე დოყლაპიებო. მოთხრობა. № 8
სამხარაული სილოვანი — თეთრი გედი. მოთხრობა. № 12
სიმონოვი კონსტანტინე — ქვეითი ჯარისკაცი. მოთხრობა. თარგ. ა. გაბესკირიამ. № 1
ქირია ჯემალი — დალ-ექიმი. მოთხრობა. № 11
ქორქია როდიონი — მინიატურები. № 8
შავლიაშვილი მედეა — არა ხელჰყო. მოთხრობა. № 8
შინკუბა ბაგრატი — უკანასკნელი უბიხი. რომანი. თარგ. თ. ჩიჯავაძემ. № 4, 5, 6, 7, 8, 9
ჩიქოვანი გრიგოლი — მიწა. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5
ჩხეიძე ბორისი — თუ სადმე იყო ედემი. ნარკვევი. № 11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციციშვილი გიორგი — სძლიე სიხარბესა შენსა!.. მოთხრობა. № 11, 12
ჭილაშვილი ქეთევანი — ფორიაქი. მოთხრობა. № 2
ხერგიანი მირონი — გზანი მშვიდობისანი. ნარკვევი. № 12
ჯაფარიძე რევაზი — ევროპაში და ევროპის გარშემო. ნარკვევი. № 1, 2

## ლექსები და პოემები

აბაშიძე ირაკლი — სამი ლექსი. № 1; ლექსები № 2, ლექსები. № 4; ლექსები. № 6; ლექსები. № 12
ადეიშვილი ნოდარი — ლექსები. № 5
ავსაჯანიშვილი მირანგული — ლექსები. № 8
ალხაზიშვილი გივი — გადარჩენა. პოემა. № 4
ამისულაშვილი შალვა — ლექსები. № 4
აროსია ილია — ორი ლექსი. № 7
ასკურავა დავითი — ლექსები. № 12
ბარტელი კურტი — ლექსი. თარგ. შ. ამირანაშვილმა. № 11
ბედიანიძე დალილა — ლექსები. № 9; ლექსები. № 11
ბერულავა ხუტა — ლექსი. № 4; თბილისის თანამგზავრი. პოემა. № 10, 12
ბექიშვილი თედო — ლექსები. № 7
გეგეჭკორი გივი — ლექსები. № 3
გიორგობიანი გურამი — ლექსები. № 9
გიგაური გიორგი — ლექსები. № 6
გორგანელი ვახტანგი — ლექსები. № 8
გურგულია ბორისი — ლექსები. აფხაზურიდან თარგ. გ. გოგიაშვილმა. № 6
გურეშიძე ნოდარი — ლექსები. № 6
დავითაძე ემენი — ლექსები. № 3
დანელია რევაზი — ლექსები. № 1
ვაინერტი ერიხი — შენ რომ არა, საბჭოეთო. ლექსი. თარგ. შ. ამირანაშვილმა. № 11
ვასაძე აკაკი — ლექსები. № 2
ივარდავა დილარი — ლექსები. № 5; ლექსები. № 8
ივაშკევიჩი იაროსლავი — მოხუცი პოეტი. ლექსი. თარგ. მ. ქვლივიძემ. № 3
ინჯია ჯემალი — ლექსები. № 8
ისაევ-ავარსკი ალი — ლექსები. თარგ. ო. შალამბერიძემ. № 10
კალაძე კარლო — ლექსები. № 12
კალანდია გენო — ლექსები. № 2
კუხიანიძე ზურაბი — ლექსი. № 2
მამარდაშვილი ნათელა — ლექსები. № 3
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 9
მილდიანი ჯულიეტა — ლექსები. № 7
მირნელი მირიანი — ლექსები. № 6
მჭედლური დავითი — ლექსები. № 5
ნადირაძე კოლაუ — ლექსები. № 1, ო, სანატრელო და უნაზესო. ლექსი. № 7; ლექსები. № 10, 1917 წელი, ოქტომბერი. ლექსი. № 11
ნარიმანიძე სილოვანი — ლექსები. № 12
ნეკერიშვილი ნაილი — ორი ლექსი. № 7
ორჯონიკიძე იზა — ლექსები. № 7; ლექსები. № 12
რუხაია გრიგოლი — ლექსები. № 9
სარმენი — ჰაოსი და ქართლოსი. პოემა. თარგ. ა. ბეგაშვილმა. № 3
სახვაძე ეთერი — ლექსები. № 3
სვანაძე თენგიზი — ლექსები. № 4
სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 7; ლოდზე ამოკითხული თქმულება პოემა. № 11
სურგულაძე მირონი — ვურია. ლექსი № 2
ფოცხიშვილი მორისი — ლექსები. № 1
ქავთარაძე გიორგი — ლექსები. № 6
ქარამიანი მარტინი — ბალადა ოქტომბრის ჯარისკაცზე. თარგმ. ზ. ლორთქიფანიძემ. № 9
ქართლელი ზურაბი — ცეცხლი. ლექსი. № 8
ქვლივიძე მიხეილი — ახალი ლექსები. № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ